თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული

VII

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

ნ. არევაძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ვლ. პაპავა, რ. სარჩიმელია, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი 2014

UDC (უაკ) 061.62: 33(479.22)(045)

პ - 121

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამედროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა
2014

ISSN 1987 – 6904
9771987690003

PROCEEDINGS OF SCIENTIFIC WORKS OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

VII

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, Sh. Gogiashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, R. Sarchimelia

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF TSU

TBILISI 2014

UDC (ეროვ) 061.62: 33(479.22)(045)
ბ – 121

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

© Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU
2014

ISSN 1987 - 6904
9771987690003

რამაზ აბესაძე

სახელმწიფო – ეკონომიკის "მესაჯე"

ეკონომიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც კლასიკოსთა, ისე მრავალ სხვა მეცნიერთა შრომებში, ფართოდ განიხილება პრობლემები სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ. ძირითადი დავა მიმდინარეობს სახელმწიფოს (მთავრობის) ეკონომიკაში ჩარევის საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ აქ არ შევეხებით სახელმწიფოს ცნობილ ეკონომიკურ ფუნქციებს, მხოლოდ დავძენთ, რომ მთავრობას აკისრია უდიდესი როლი ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების მიღწევასა და შენარჩუნებაში, უფრო მეტიც, მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის სწორი მიმართულებით წარმართვა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ იმ ქვეყნებმა მიაღწიეს წარმატებებს, სადაც მთავრობა სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდა.

ნებისმიერ ეკონომიკაში ადგილი აქვს ეკონომიკური განვითარების, ანუ ეკონომიკის ახალ თვისებრივად უფრო მაღალ მდგომარეობაში გადასვლის პროცესებს. ამ პროცესებს განსაზღვრავს მასზე მოქმედი ფაქტორები, რომელთა გავლენა დამოკიდებულია მათი კნსოლიდაციის ხარისხზე, ანუ იმაზე, თუ ამ ფაქტორთა ერთობლივი მოქმედება რამდენად უწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას. ეკონომიკას, სადაც მასზე მოქმედ ფაქტორთა ერთობლიობა ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, "კონსოლიდირებულ ეკონომიკას" ვუწოდებთ.

გარდა განვითარების პროცესებისა, ეკონომიკაში მიმდინარეობს რეგრესის, ანუ განვითარების საპირისპირო პროცესები, რის შედეგადაც შესაძლებელია საქმე გვქონდეს ეკონომიკურ რეგრესთან[1], ანუ ეკონომიკის გადასვლასთან თვისებრივად უფრო დაბალ მდგომარეობაში.

მთავრობის გულისხმევა მიმართული უნდა იყოს სწორედ ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და ეკონომიკური რეგრესის თავიდან აცილების ან მისი სწრაფად აღმოფხვრისაკენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკაზე მოქმედ ფაქტორთა რაოდენობა იზრდება და ეკონომიკა სულ უფრო და უფრო

---

[1] აღნიშნული პრობლემის ფართოდ გაცნობა შესაძლებელია წიგნში: რ. აბესაძე. „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი". თბ., „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2014.

მგრძნობიარე ხდება არაეკონომიკურ ფაქტორებთან მიმართებაში. კონსოლიდირებული, ანუ განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებას. აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი სახელმწიფოს როგორც ეკონომიკური (და სოციალური), ისე საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

კონსოლიდირებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და შენარჩუნება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია გამართული სამეურნეო სისტემის შექმნაზე, რომელიც ეფუძნება საბაზრო მექანიზმს. ასეთი სამეურნეო სისტემის შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: მეწარმეობის თავისუფლება, კერძო საკუთრების დომინირება და მისი ხელშეუხებლობა, ბიზნესის გადაქცევა შემოქმედებითი საქმიანობის სფეროდ, ჯანსაღი ფინანსების არსებობა, მეცნიერების განვითარება, სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის კოორდინირება. სახელმწიფოს მარეგულირებელი ინსტრუმენტებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინოვაციურ ინსტრუმენტებს. საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ინოვაციური რეგულირება საშუალებას მოგვცემს, ეკონომიკა გადაადგილდეს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ მოხერხდეს ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული შემცირება, საშინაო პოლიტიკის განხორციელებისას სახელმწიფოს საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ზნეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის განვითარებისა და კრიმინოგენური სიტუაციის სულ უფრო გაუმჯობესებისაკენ, სასამართლო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისაკენ. საგარეო სფეროში სახელმწიფომ თავიდან უნდა აიშოროს სამხედრო კონფლიქტები, განახორციელოს სამშვიდობო პოლიტიკა, უზრუნველყოს გლობალიზაციის დადებითი შედეგების გამოყენება და უარყოფით შედეგთა თავიდან აცილება.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეროვნული წარმოების ხელშემწყობი პოლიტიკა, რის შედეგადაც სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდება იაფ, მაგრამ დაბალხარისხიან იმპორტულ საქონელთან შედარებით. სახელმწიფოს სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საბაზრო პრინციპების დამკვიდრება პრაქტიკაში, მოახდინოს პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა.

მთავრობა სისტემატურად უნდა აკონტროლებდეს ეკონომიკაში მიმდინარე არა მხოლოდ განვითარების, არამედ რეგრესის პროცესებსაც და ამის სფუძველზე ხელს უწყობდეს ეკონომიკურ განვითარებას, ანეიტრალებდეს რა რეგრესის გამომწვევ მიზეზებს.

ეკონომიკური განვითარების პროცესების შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური, სოციალური და თვისებრივი მაჩვენებლები.

ეკონომიკური მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია: ა) მთლიანი შიგა (ან ეროვნული) პროდუქტი, გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე; ბ) შემოსავალი ღარიბი ფენის ერთ სულზე; გ) ჯინის კოეფიციენტი.

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ყველაზე კარგი შემთხვევაა, როდესაც მთლიანი ეროვნული პროდუქტის სიდიდე ერთ სულ მოსახლეზე და შემოსავალი ღარიბი ფენის ერთ სულზე საშუალოდ იზრდება, ხოლო ჯინის კოეფიციენტი მცირდება. დანარჩენ შემთხვევაში აღნიშნულ მაჩვენებელთა გაუმჯობესება მაინც მიგვანიშნებს დადებით თვისებრივ ცვლილებებზე ეკონომიკურ სისტემაში.

ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ასევე უნდა გამოიყოს ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები: შრომის მწარმოებლურობა, წარმოების რენტაბელობა, კაპიტალის უკუგება, მასალატევადობა და სხვ.

სოციალური მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოიყოს: ა) ადამიანის განვითარების ინდექსი (Human Development Index); ბ) მოსახლეობის ცხოვრების დონე; გ) სამედიცინო მომსახურების დონე; გარემოს მდგომარეობა; დ) შრომის პირობები; ე) საშუალო და უმაღლესი განათლების მოცვის ხარისხი; ვ) დასაქმების დონე სპეციალობის მიხედვით; ზ) სიცოცხლის ხანგრძლივობა; თ) შობადობის საერთო კოეფიციენტი; ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და სხვ. მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე და ა. შ.

თვისებრივი მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია: ა) საკუთრების ფორმების ცვლილება; ბ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; ბ) საწარმოთა რესტრუქტურიზაცია; გ) საწარმოთა პრივატიზება; დ) საწარმოთა რეკონსტრუქცია-გადაიარაღება; ე) ინსტიტუციური ცვლილებები; ვ) ინოვაციებზე გაწეული ინვესტიციების ხვედრითი წილი ინვესტიციების საერთო რაოდენობაში; ზ) განათლებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში; თ) მეცნიერების განვითარებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში; ი) განათლების დონე; კ) პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები; ბიზნესის, ვაჭრობის, ინვესტიციების განხორციელების თავისუფლება; მესაკუთრის უფლებათა დაცვა და სხვ.

ეკონომიკაში რეგრესული პროცესების წარმოშობის შესაფასებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დეტერმინანთა სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს რეგრესის წარმომშობ წყაროებს. ასეთი დეტერმინანტები შეიძლება იყოს: ა) სოციალური მდგომარეობის გაუარესება; ბ) ეკონომიკის სოციალიზაციის ზრდა; გ) საგადასახადო ტვირთის ზრდა; დ) მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკა; ე) ინსტიტუციების განვითარების დაბალი დონე; ვ) გლობალიზაციის ნეგატიური გავლენა; ზ) შემოსავლების უთანაბრობის ზრდა; თ) ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავება; ი) ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება; კ) განათლების სისტემას განუვითარებლობა; ლ) მეცნიერების განვითარების დაბალი დონე; მ) ინოვაციების განხორციელების დაბალი დონე; ნ) სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი დონე და მისი ზრდა; ო) საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა და გაუმართაობა; პ) ფულის გაუმართლებელი ემისია; ჟ) ბიუჯეტის გადაჭარბებული დეფიციტი; რ) დიდი საშინაო და საგარეო ვალი; ბუნებრივი პირობების გაუარესება; ს) ინფლაციისა და ვალუტის დევალვაციის მაღალი ტემპები; ტ) არასწორი საგარეო პოლიტიკა; უ) კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება და ა.შ.

როგორც ვხედავთ, აუცილებელია ეკონომიკის არა მხოლოდ უშუალო რეგულირება, არამედ გაძღოლა, ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც მასზე მოქმედებს, **ასევე განვითარების** პერსპექტივების განსაზღვრა. მაშასადამე, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ეკონომიკის "მესაჭის" როლი. ამისათვის იგი ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს, თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური რეგრესი შესაბამისი დეტერმი-

ნანტების თითქმის ყოველდღიური ანალიზის შედეგად, რომელშიც ჩართული უნდა იყვნენ მეცნიერები და მაღალკვალიფიციური პერსონალი და ბიზნესექტორი. მთავარია არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ ეკონომიკური რეგრესის თავიდან აცილებაზე ზრუნვა, ვინაიდან იგი ყოველთვის აშკარად შესამჩნევი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი შეფერხებები იქნება.

შახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის მესაჭის, მაგალითად გამოდგება სამხრეთ კორეა. მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, რესურსების არმქონე და განადგურების პირზე მისული ქვეყანა უმოკლეს დროში განვითარებული ქვეყნების რიგში ჩადგა. მან ყველაფერი (მეცნიერების და განათლების სფერო, კულტურა და ხელოვნება, საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ა. შ.) ეკონომიკის განვითარების ინტერესებს დაუქვემდებარა. შექმნა საბაზრო სისტემაზე დამყარებული სამეურნეო მექანიზმი, გამოიყენა ზომიერი პროტექციონისტური პოლიტიკა, განუხრელად სრულყოფდა და ცვლიდა კანონებს, ყოველმხრივ ხელს უწყობდა დანაზოგის გადიდებას, ექსპორტის ზრდას, ყველაფერს აკეთებდა ინფრასტრუქტურის (გზები, პორტები, რკინიგზა, სკოლები, და ა.შ.) შესაქმნელად და გასაუმჯობესებლად, მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელებისას თავდებად უდგებოდა კერძო მეწარმეებს საგარეო ვალის აღების დროს. ინფლაცია, ბიუჯეტის დეფიციტურობა, ფულადი მიმოქცევა ყოველთვის იმყოფებოდა მთავრობის კონტროლის ქვეშ. სახელმწიფო ახორციელებდა ექსპორტიორთა სუბსიდირებას, მათვე ეძლეოდა საბანკო შეღავათები, ამასთან, ხორციელდებოდა კრედიტების გამოყენების კონტროლი და ა.შ.[2]

მთავრობის მიერ რეგრესული პროცესების წარმოშობის მაგალითად კი შესაძლებელია გამოდგეს საქართველო. რეფორმების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ არაერთი შეცდომა დაუშვა, რამაც რეგრესული პროცესები გამოიწვია ეკონომიკაში. ეს შეცდომები ძირითადად არის: საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკა; დიდი ხნის განმავლობაში დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის არაეფექტიანი ზომების გატარება; ეკონომიკური რეფორმების არაკომპლექსურობა და არასისტემურობა; ლიბერალური პოლიტიკის არასწორი აღქმა – ეკონომიკის სა-

[2] http://www.goodreferats.ru/referats/geography/03_5.php

ხელმწიფო რეგულირებაზე თითქმის ხელის აღება ლიბერალური პოლიტიკის განხორციელების საბაბით; რეფორმების განხორციელების არასწორი გზის არჩევა; გარდამავალი ვალუტის – კუპონის შემოღების შემდეგ არასწორი ფულად-საკრედიტო (ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი ფულადი და საბიუჯეტო ემისია, საზღვარგარეთის კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება) პოლიტიკის გატარება; საქართველოს ეკონომიკაში 1995-1997 წლებში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელების შემდეგ რეფორმების კვლავ არასწორი წარმართვა, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების არაეფექტიანობა; მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარებების არაეფექტიანად გამოყენება; ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების არასრულყოფილი შესაბამისობა საბაზრო მოთხოვნებისადმი; მცირე ბიზნესის განვითარებისადმი უყურადღებობა; წლების განმავლობაში სოფლის პრობლემების უგულებელყოფა; ომი რუსეთთან; პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები; საჯარო სამსახურებში მომუშავეთათვის არაოფიციალურად ასაკობრივი შეზღუდვის დაწესება; კერძო საკუთრების (რომელიც საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს) ხელშეუხებლობის პრინციპის ხელყოფა; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ფაქტობრივად გაუქმება; საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდა; შემოსავლების უთანაბრობის ზრდა და სხვ.[3]

---

[3] ეს შეცდომები მრავალი ქართველი მეცნიერის ნაშრომებშია განხილული. მაგალითად: **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, "სიახლე", 2005; **ასათიანი რ.** საით მიდის საქართველო?, თბ., „სიახლე", 2014; **ბერულავა გ.** საქართველოში ბიზნესგარემოს ფორმირების კანონზომიერებები და მისი სრულყოფის პერსპექტივები. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 4, "თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2011; **ბურდული ვ.** საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები და მისი გაუმჯობესების გზები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი 6. თბილისი. 2013; **მესხია ი.** ეკონომიკური ზრდის შენელების ძირითადი მიზეზები და ფაქტორები. წიგნში: "პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე". თბ., "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2013; **პაპავა ვლ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., "პდპ", 2002; **პაპავა გ.** საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღების და ნორმალიზაციისათვის საქართველოში. თბ.,

შედეგად, დღეისათვის ჩვენ გვაქვს არასრულყოფილი, დეფორმირებული ეკონომიკა განუვითარებელი ინფრასტრუქტურით, ჩამორჩენილი მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით, მცირე მეწარმეობის დაბალი დონით, საზოგადოების სუსტი საშუალო ფენით და ა.შ.

მომავალში საქართველოს ეკონომიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება უბრალოდ ინერციით სვლის შედეგად. მთავარი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებაზე, ანუ ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე უნდა იქნეს გადატანილი, რათა აღმოიფხვრას ეკონომიკის დეფორმირებულობა. ეს კი განხორციელდება ქვეყანაში ახალი, ანუ **ინოვაციური ეკონომიკის** მშენებლობის მეშვეობით. დღეისათვის ამ მიმართებით მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. განსაკუთრებით ძლიერ განუვითარებელი და არაეფექტიანია ქვეყნის საინოვაციო სისტემა, კერძოდ: არ არსებობს მკვეთრად გამოხატული საინოვაციო პოლიტიკა; სავალალო მდგომარეობაშია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი; სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს უმაღლესი, პროფესიული მომზადებისა და უწყვეტი განთლების სისტემა; დაბალგანვითარებულია სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემა; თითქმის არ არსებობს კვლევის შედეგების წარმოებაში გადაცემის სისტემა; არ არსებობს ტექნოლოგიების დიფუზიის ხელშემწყობი მექანიზმები; თითქმის არ არსებობს კავშირი მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის; არსებობს ახალი ტექნოლოგიების შემოტანის დამამუხრუჭებელი მრავალი ფაქტორი – ცოდნის უქონლობა, პოლიტიკური

"ფინანსები", 2000; **პაპავა ვლ**. „პოსტვარდისფერი" საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანი. წიგნში: "პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე". თბილისი, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2013; **პაპავა ვლ.** "პოსტვარდისფერი" საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ექსპერტის აზრი, № 4, 2013; **სილაგაძე ა.** „პოსტსაბჭოური ეკონომიკის" განვითარების ზოგადი ასპექტები. "პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე". თბილისი, "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2013; **ჩიქავა ლ.** დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი "უნივერსალი", 2012; **ჭითანავა ნ.** საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, "ივერიონი", 2012.

ნებისა და ინსტიტუციური მხარდჭერის არარსებობა, ფინანსური რესურსების სიმწირე, პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა და სხვ.

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საბაზრო პრინციპების განუხრელი დაცვა: ბიზნესში სახელმწიფოს არაეკონომიკური ჩარევების გამორიცხვა; ბიზნესის გადაქცევა საშიში სფეროდან შემოქმედებით, საზოგადოებრივ კიბეზე სულ უფრო სწრაფი წინსვლის სფეროდ; სიმდიდრის ფენომენის ტრანსფორმაცია; კანონიერი სიმდიდრის მოპოვებისა და ინვესტიციების გაწევის ყოველმხრივი წახალისება; საბაზრო კონკურენციის გაძლიერება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სრულყოფისა და შემდგომ მისი ცხოვრებაში განუხრელი გატარების გზით; კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვა საკუთრების ფორმათა სრული პლურალიზაციის პირობებში; სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების გაძლიერება; ჯანსაღი ფინანსური ურთიერთობების ჩამოყალიბება; ოპტიმალური გადასახადებისა და სოციალური დახმარებების დაწესება; მაქსიმალური ძალისხმევის გამოვლენა მეცნიერების განვითარებისა და მისი შედეგების წარმოებაში დასანერგად ინოვაციების განხორციელების გზით; უმუშევრობის დონის შემცირებისათვის შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა; მეცნიერებისა და განათლების სისტემის დაფინანსების მოცულობის ზრდა; ინოვაციური (ცვალებადი ეკონომიკისადმი შესაბამისი) სასწავლო ტექნოლოგიების დანერგვა; მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება; სახელმწიფომ ბანკებთან ერთად უნდა განახორციელოს მსხვილი პროექტები მატერიალური წარმოების სფეროში, რის შედეგადაც, ბანკებისათვის რისკების შემცირების პირობებში, კრედიტები მოხმარდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის ზრდას, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირებას. უცხოური კრედიტებისა და დახმარებების გამოყენებაზე უნდა დაწესდეს მკაცრი კონტროლი და ის მიმართული უნდა იქნეს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისაკენ. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკას გადააადგილებს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ, გამოიწვევს თვით ფილიპსის მრუდის გადაადგილებებს ისეთ წერტილებში, სადაც უმუშევრობის დონე კლებულობს, ხოლო ფასების საერთო დონე უცვლელია ან უმნიშვნელოდ მატულობს.

სახელმწიფოს სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა.

Ramaz Abesadze

THE STATE – AS THE "HELMSMAN" OF ECONOMY

Annotation

The article studies the problems of the state as of the "helmsman" of economy, proposes the determinants of economic development and economic regress, on the basis of regular study of which the government must realize the development of economy to correct directions.

The article also shows the reasons of origin of economic regress and offers the ways of its eradication.

ვლადიმერ პაპავა

პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმი და რუსეთის ეკონომიკური განვითარების მოდელის თავისებურებები

შესავალი

ისეთი მოდელის არჩევა, რომელიც უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს როგორც ეკონომიკის თეორიის, ისე ეკონომიკური პოლიტიკისათვის. გასაკვირი არ არის, რომ ეს პრობლემა არანაკლებ აღელვებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც, რომელთათვისაც ისეთ ეკონომიკურ მოდელზე ორიენტირება, რომელიც მდგრად განვითარებას უზრუნველყოფდა, იყო და რჩება ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

წინამდებარე სტატიის მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცის უმთავრესი ეკონომიკური მახასიათებლის გამოკვეთა და პოსტკომუნისტურ პერიოდში რუსეთის ეკონომიკური განვითარების თავისებურებების შესწავლა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი მეზობელი ქვეყნებისათვის, რომლებსაც რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ.

„პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმი“ და ნეკროეკონომიკა

„პოსტინდუსტრიული საზოგადოების“ [1-3] საყოველთაოდ მიღებული გაგებისგან (რომელიც უკვე კლასიკურ გაგებად იქცა) განსხვავებით, პოსტკომუნისტური ქვეყნების დეინდუსტრიალიზაციას გარკვეული ირონიით შეიძლება ვუწოდოთ „მახინჯი პოსტინდუსტრიალიზმი“, უფრო ზუსტად კი – „პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმი“ [4, c. 68]. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკაში წარმოების წილის შემცირება განპირობებული იყო არა მაღალხარისხიანი და, მათ შორის, ინოვაციური მომსახურების გაზრდით, არამედ სამრეწველო წარმოების ვარდნით, ზოგ შემთხვევაში კი, საერთოდ არ არსებობდა ამ ტიპის მომსახურების განვითარების რაიმე ნიშანი.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა რუსეთის (და მთელი პოსტსაბჭოთა) ეკონომიკის ფართომასშტაბიანი დეინდუსტრიალიზაცია, რის შედეგადაც მრეწველობის ბევრი დარგი და საწარმო, რომლებიც ქმნიდნენ სსრკ-ის ეკონომიკის საფუძველს, დაიკარგა [5, c. 72].

ამის მიზეზი იყო „ნეკროეკონომიკის“ ფენომენი, რომელიც აერთიანებს ე.წ. მკვდარ საწარმოებს (რომლებსაც არ შესწევთ ძალა, აწარმოონ კონკურენტუნარიანი პროდუქცია) და წარმოადგენს მბრძანებლურ ეკონომიკაში კონკურენციის უარყოფის შედეგს [6-8]. ბუნებრივია, საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღ სისტემაში ნეკროეკონომიკა ვერ იარსებებს, რადგან არაკონკურენტუნარიანი საწარმოები ვერ ახერხებენ საკუთარი პროდუქციის გასაღებას, რაც იწვევს მათ გადახდისუუნარობას და გაკოტრებას.

იმის გამო, რომ ნეკროეკონომიკა ჩაისახა მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში, ხოლო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოსტსაბჭოთა გამოცდილებამ აჩვენა, რომ თვით ამ გარდამავალმა პროცესმა ვერ იხსნა ეკონომიკა მკვდარი საწარმოებისაგან, შექმნილ საზოგადოებრივ სისტემას შეიძლება ვუწოდოთ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი [9].

ეკონომიკური ვარდნა რუსეთში [10], დაფიქსირებული საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პირველ წლებში, მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ნეკროეკონომიკით. კერძოდ, პოტენციურად მკვდარი საწარმოები, განაგრძობდნენ რა ფუნქციონირებას უკვე არარსებული მბრძანებლური ეკონომიკის რეჟიმში, იქამდე მივიდნენ, რომ მათი საწყობები გაივსო არაკონკურენტუნარიანი პროდუქციით და რადგანაც შეუძლე-

ბელი იყო ამ პროდუქციის რეალიზაცია, დაუგროვდათ სახელ-ფასო დავალიანებები და სახელმწიფო ბიუჯეტის, სოციალური ფონდების, ენერგეტიკული სექტორისა თუ სხვა დაწესებულებების პრაქტიკულად უიმედო ვალები. საბოლოოდ მივიღეთ საწარმოების დავალიანებების ჩახლართული ქსელი [11, cc. 256-264; 12, cc. 363-369, 478-480, 484-486].

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (და არა მარტო იქ), რადგან არ არსებობს გაკოტრებასთან დაკავშირებით ეფექტიანი კანონმდებლობა [13], ხოლო შესაბამის მთავრობებს არ გააჩნიათ პოლიტიკური ნება, რომ მიიღონ და გამოიყენონ გაკოტრებასთან დაკავშირებული ქმედითი კანონმდებლობა, მოხდა მკვდარი საწარმოების შენარჩუნება.

სოციალური არასტაბილურობის გამო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასაწყისში რუსეთში არსებობდა მასობრივი გაკოტრების საფრთხე, რის გამოც გაკოტრებასთან დაკავშირებული რუსული კანონმდებლობა პრაქტიკულად იშვიათად თუ გამოიყენებოდა [14, c. 168]. თავის მხრივ, ნეკროეკონომიკის საწარმოებისათვის გაწეული სახელმწიფო დახმარება მათ ფუნქციონირების გაგრძელების საშუალებას აძლევდა [15, pp. 126, 153; 16, pp. 106-107].

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნეკროეკონომიკის საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერისათვის რუსეთის სახელმწიფოს საკმაო ფინანსური რესურსები გააჩნდა და გააჩნია.

ამასთან, იმ დროს, როდესაც დიდ ქვეყნებში (როგორიცაა რუსეთი) არ არსებობდა კრიზისი, ნეკროეკონომიკის პრობლემა ნაკლებად იგრძნობოდა, ვიდრე შედარებით მცირე ქვეყნებში, რადგან ეკონომიკის დიდი მასშტაბის გამო ნეკროსაწარმოებს სახელმწიფოს დახმარებით შეუძლიათ ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევა [17], რაც ქმნის ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზიას. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში განსაკუთრებით იჩინა თავი ნეკროეკონომიკამ სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი ვარდნით, რასაც განაპირობებდა ნეკროეკონომიკის სამრეწველო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მორალური გაცვეთილობა [18, 19].

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ზომები, რომლებსაც მიმართა მთავრობამ რუსეთში [20, pp. 54-58], არსებითად არ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც გამოიყენებდნენ როგორც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში [21-24], ისე მთელ მსოფლიოში [25-

27] და რომლებიც ემყარება ეკონომიკის ზომბირების იაპონურ, საკმაოდ ცუდ, გამოცდილებას [28-31], რაც გულისხმობს კრიზისის შედეგად არაკონკურენტუნარიანად ქცეული ფირმების შენარჩუნებას; ამ ქვეყნებს შორის განსხვავება მხოლოდ გაკოტრების ზღვარზე მდგომი ფირმებისათვის გაწეული სახელმწიფო მხარდაჭერის მასშტაბებშია.

ეკონომიკური განვითარების მოდელის შესახებ

რუსეთისათვის აქტუალური პრობლემა იყო და დღესაც არის ეკონომიკური განვითარების მოდელის არჩევა [32-35].

როგორც ცნობილია, პოსტსაბჭთა რუსეთის ეკონომიკური წარმატებები ძირითადად განისაზღვრებოდა ნახშირწყალბადოვანი რესურსების მოპოვება-ექსპორტით [36, cc. 54-56]. რუსეთის ეკონომიკას ნახევრად ხუმრობით „მილების ეკონომიკასაც“ უწოდებდნენ [5, c. 69]. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას გათვლა ნავთობისა და გაზის მრეწველობაზე ჰქონდა (განსაკუთრებით კრიზისამდელ პერიოდში), რუსეთის ეკონომიკის ეს დარგიც, როგორც ეკონომიკის მთელი რეალური სექტორი, ღრმა ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის კონსერვაციის მდგომარეობაში აღმოჩნდა [37].

2008 წელს (როცა ნავთობის ფასები ჯერ კიდევ მაღალი იყო და ზრდას განაგრძობდა) მთავრობამ შეიმუშავა რუსეთის გრძელვადიანი – 2020 წლამდე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. კონცეფცია ემყარებოდა ინოვაციების სტიმულირების გზით შედარებით მდგრადი ეკონომიკური ზრდის მოდელს და მიზნად ისახავდა ნედლეულის წარმოების დონისაგან ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულების შესუსტებას [36, c. 56]. ამ კონცეფციის რეალიზაციას პირველ რიგში ხელი შეუშალა გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დაწყებამ.

კრიზისის წინა 2000-2008 წლებში რუსეთის სტაბილიზაციის ფონდში დაგროვილი უზარმაზარი საშუალებები მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული საბანკო სისტემისა და საფონდო ბაზრის კრახის თავიდან ასაცილებლად, რამაც ხელი შეუწყო რუსეთის ეკონომიკურ სტრუქტურაში სათბობ-სანედლეულო სექტორის პრიორიტეტულობის შენარჩუნებას და გააღრმავა მისი ტექნიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა [5, c. 70].

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოკვლევების თანახმად, რუსეთის მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში ჩამოყალიბდა დანაზოგების, დაგროვებებისა და ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობათა უარყოფითი თანაფარდობის მდგრადი ტენდენცია და თან დაგროვებების წილი მთლიან შიგა პროდუქტში არ აღემატება 20 პროცენტს (რაც ჩამორჩება ანალოგიურ მაჩვენებლებს, მაგალითად, ბელარუსში, ინდოეთში, ყაზახეთში, ჩინეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ბრაზილიაში) [5, c. 75].

სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ რუსეთი რეალურად დადგა ახალი ეკონომიკური კრიზისის საფრთხის წინაშე [38, c. 89]. როცა ვსაუბრობთ რუსეთში ეკონომიკური კრიზისის საფრთხეზე [39], აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ეკონომიკური სანქციებიც, რომლებიც დასავლეთმა შემოიღო 2014 წელს რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა ამ სანქციების გარეშეც რუსეთს მაინც ემუქრებოდა ეკონომიკური რეცესია [40]. უფრო მეტიც, მოსალოდნელი სტაგნაციის გათვალისწინებით, რუსეთისათვის ასევე რეალურია ეკონომიკის ზომბიერებაც [41, c. 25].

რუსეთის ეკონომიკის ტექნოლოგიურმა და სტრუქტურულმა ჩამორჩენილობამ ჩამოაყალიბა ეკონომიკური განვითარების ისეთი მოდელი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მომხმარებლური [5, c. 75].

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტის გამოკვლევების თანახმად, რუსეთში რეალურად ღარიბია ყოველი მესამე მცხოვრები, ანუ რუსეთის მოსახლეობის 30 პროცენტი, და არა 9 პროცენტი, როგორც ოფიციალურად აცხადებენ, რეალურად მიეკუთვნება ღარიბების ჯგუფს [42, c. 159]. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სიღარიბის რუსული ტიპისათვის დამახასიათებელია მისი (სიღარიბის) სასოფლო დასახლებებში კონცენტრაცია, რაც, როგორც წესი, მესამე სამყაროს ქვეყნებში შეინიშნება [43].

ამრიგად, ზემოთ ნათქვამი რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ *რუსეთის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელს ღარიბი ქვეყნის განვითარების მომხმარებლური მოდელი წარმოადგენს.*

დასკვნები და რეკომენდაციები

პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთში ჩამოყალიბდა „პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმის“ სპეციფიკური ფენომენი,

რომელსაც საფუძვლად დაედო ნეკროეკონომიკა, ანუ არა-კონკურენტუნარიანი საწარმოები, შემორჩენილი მბრძანებლური ეკონომიკის ხანიდან. გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე რუსეთში, როგორც ეკონომიკის დიდი მასშტაბების ქვეყანაში, ნეკროეკონომიკის პრობლემა ნაკლებად იგრძნობოდა, ვიდრე ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკას გაცილებით ნაკლები მასშტაბები აქვს. ეკონომიკის დიდი მასშტაბის გამო ნეკროსაწარმოებს სახელმწიფოს დახმარებით ეძლევათ საშუალება, ერთმანეთს გაუწიონ კონკურენცია, რაც ქმნის ილუზიას, რომ ნეკროეკონომიკა არ არსებობს. რუსეთის ეკონომიკაში არსებული ნეკროსაწარმოების სიმრავლემ ქვეყანა კრიზისულ 2009 წელს უფრო მნიშვნელოვან ეკონომიკურ ვარდნამდე მიიყვანა.

დღეისათვის რუსეთში შეიქმნა „მომხმარებლური საზოგადოების კარიკატურული ვარიანტი“ [5, c. 75], რადგან ჩამოყალიბდა ღარიბი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მომხმარებლური მოდელი. სტაბილური ეკონომიკური განვითარებისათვის ობიექტური პირობების შესაქმნელად საჭირო, ქვეყანამ დააღწიოს თავი ნეკროეკონომიკას, რადგან რაც უფრო ჩამორჩება ქვეყანა მოწინავე ტექნოლოგიურ მიღწევებს, მით ნაკლებია შანსი, რომ ქვეყნის შიგნით კონკურენციის გაძლიერებამ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების ხარჯზე ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დააჩქაროს [44, c. 121].

თავის მხრივ, ეკონომიკის მკვდარი საწარმოებისაგან გასათავისუფლებლად აუცილებელია გაკოტრების კანონმდებლობის ამოქმედება.

ღარიბი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მომხმარებლური მოდელიდან ინოვაციურ მოდელზე გადასასვლელად აუცილებელია ამით თავად მეწარმეთა დაინტერესება, რამდენადაც ამ მიმართულებით მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევა უკიდურესად შეზღუდულ შედეგებს გამოიღებს, რომლებსაც, საუკეთესო შემთხვევაში, უცხოელი პარტნიორ-კონკურენტები თუ გამოიყენებენ [33, c. 32]. ამრიგად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ახდენდეს კერძო სექტორის სტიმულირებას (ყველაფერთან ერთად საგადასახადო შეღავათების ჩათვლით), რომელიც ორიენტირებული იქნება ეკონომიკური ზრდის ინოვაციურ ტიპზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Белл Д. *Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования*. Москва, «Academia», 1999.

2. *Новая постиндустриальная волна на Западе. Антология*. Под ред. В. Л. Иноземцева. Москва, «Academia», 1999.

3. Block F. *Postindustrial Possibilities: A Critique of Economic Discourse*. Berkley, University of California Press, 1990.

4. Городецкий А. Е. Антикризисное регулирование и модели посткризисного развития России». *Экономика Украины*, 2013, № 5.

5. Городецкий А. Е. Антикризисное регулирование и модели посткризисного развития России». *Экономика Украины*, 2013, № 4.

6. Папава В. Некроэкономика – феномен посткоммунистического переходного периода. *Общество и экономика*, 2001, № 5.

7. Papava V. Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy. *International Journal of Social Economics*, 2002, Vol. 29, No. 9-10.

8. Papava V. *Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism*. New York, iUniverse, 2005.

9. Папава В., Беридзе Т. *Очерки политической экономии посткоммунистического капитализма (опыт Грузии)*. Москва, «Дело и Сервис», 2005.

10. Аганбегян А. О месте экономики России в мире (по новым данным о международном сравнении валового внутреннего продукта). *Вопросы экономики*, 2011, № 5.

11. Ослунд А. *Россия: рождение рыночной экономики*. Москва: Республика, 1996.

12. Ослунд А. *Строительство капитализма: Рыночная трансформация стран бывшего советского блока*. Москва: Логос, 2003.

13. *Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws*. S. Claessens, S. Djankov, A. Mody, eds. Washington, D.C., The World Bank, 2001.

14. Соколин Б. *Кризисная экономика России: рубеж тысячалетий*. Санкт-Петербург, Лики России, 1997.

15. Lindsey B. *Against the Dead Hand: The Uncertain Struggle for Global Capitalism*. New York, John Wiley & Sons, 2002.

16. Shleifer A., Treisman D. *Without a Map: Political Tactics and Economic Reform in Russia*. Cambridge, The MIT Press, 2000.

17. Schaffer M., , Kuznetsov B. “Productivity”. In *Can Russia Compete?* R. M. Desai, I. Goldberg, eds. Washington, D.C.: Brookings Institution Press, 2008.

18. Илларионов А. Ноябрьский спад промышленного производства — катастрофа, которая усугубляется действиями властей. *Институт экономического анализа*, 2008, http://www.iea.ru/macroeconom.php?id=14.

19. Илларионов А. Это – катастрофа. Беспрецедентный промышленный спад ноября. *Институт экономического анализа*, 2008, http://www.iea.ru/econom_rost.php?id=26.

20. Papava V. *The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis*. Xenophon Paper, No. 9, Athens, ICBSS, 2010, pp. 45-48, 54-58, http://icbss.org/media/113_original.pdf.

21. Папава В. Проблема зомбирования посткоммунистической некроэкономики. *Вестник Института Кеннана в России*, 2009, Выпуск 15, http://www.kennan.ru/index.php/kennan/content/download/1348/7622/version/3/file/Vestnik_15.pdf.

22. Papava V. Economy of the Post-Communist Capitalism under the Financial Crisis**.** *Studies in Economics and Finance*, 2010, Vol. 27, No. 2.

23. Papava V. Post-Communist Capitalism and Financial Crisis, or the Mixing of the Necroeconomics and the Zombie-Nomics. *Georgian International Journal of Science and Technology*, 2010, Vol. 2, Issue 1.

24. Papava V. The Problem of Zombification of the Postcommunist Necroeconomy. *Problems of Economic Transition*, 2010, Vol. 53, No. 4.

25. Harman C. *Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx*. Chicago, Haymarket Books, 2010.

26. Onaran Y. *Zombie Banks. How Broken Banks and Debtor Nations are Crippling the Global Economy*. Hoboken, John Wiley & Sons, 2012.

27. Quiggin J. *Zombie Economics. How Dead Ideas Still Walk Among Us*. Princeton, Princeton University Press, 2010.

28. Ahearne A. G., Shinada N. Zombie firms and economic stagnation in Japan. *International Economics and Economic Policy*, 2005, Vol. 2, No. 4.

29. Hoshi T. Economics of the Living Dead. *The Japanese Economic Review*, 2006, Vol. 57, No. 1.

30. Hoshi T., Kashyap A. “Solutions to Japan’s Banking Problems: What Might Work and What Definitely will Fail”. In *Reviving Japan’s*

Economy: Problems and Prescriptions. Ito T., Patrick H., Weinstein D. E., eds. Cambridge, The MIT Press, 2005.

31. Smith D. C. “Loans to Japanese Borrowers”. *Japanese International Economies*, 2003, Vol. 17, No. 3.

32. Илларионов А. Модели экономического развития России». *Вопросы экономики*, 1996, № 7.

33. Сорокин Д. О стратегии развития России. *Вопросы экономики*, 2010, № 8.

34. Добрышевский С., Синельников-Мурылев С. Макроэкономические предпосылки реализации новой модели роста. *Вопросы экономики*, 2012, № 9.

35. Ясин Е., Акиндинова Н., Якобсон Л., Яковлев А. Состоится ли новая модель экономического роста в России. *Вопросы экономики*, 2013, № 5.

36. Экономический обзор ОЭСР по Российской Федерации, 2009 год. *Вопросы экономики*, 2009, № 8, сс. 54-56.

37. Гурвич Е. Нефтегазовая рента в российской экономике. *Вопросы экономики*, 2011, № 11.

38. Миронов В., Канофьев В. Грозящая рецессия и как с ней бороться: эмпирический анализ российских реалий и мирового опыта. *Вопросы экономики*, 2014, № 1.

39. Афонцев С. Российская экономика: на пороге второй кризисной пятилетки? В кн.: *Год планеты: экономика, политика, безопасность. Ежегодник. Выпуск 2013 года*. Барановский В.Г., гл. ред. Москва, Идея-Пресс, 2013.

40. Shostak F. Economic Sanctions Not Key Cause of Russia’s Possible Recession. *Mises Daily*, April 9, 2014, http://mises.org/daily/6719/Economic-Sanctions-Not-Key-Cause-of-Russias-Possible-Recession.

41. Грозовский Б. Ловушка стагнации. *Forbes*, 2013, № 8.

42. *Бедность и неравенство в современной России: 10 лет спустя. Аналитический доклад*. Москва, Институт социологии РАН, 2013, http://www.isras.ru/files/File/Doklad/Analit_doc_Bednost/full.pdf.

43. Балацкий Е.В. Бедность и неравенство в России. *Капитал страны*, 2010, 17 декабря, http://www.kapital-rus.ru/index.php/articles/article/180796.

44. Голиченко О. Модели развития, основанного на диффузии технологий. *Вопросы экономики*, 2012, № 4.

Vladimer Papava

POST-SOVIET POST-INDUSTRIALISM AND THE FEATURES OF THE MODEL OF ECONOMIC DEVELOPMENT OF RUSSIA

Annotation

This paper investigates the phenomenon of the "post-Soviet post-industrialism" and features of the model of economic development of post-Soviet Russia. The problem of necroeconomy is especially sensible for Russia, because of the large scale of its economy. It has been proved during the global financial and economic crisis. It has been shown that the modern model of economic development in Russia is the consumer model of the development of poor countries. In order to transfer to an innovative model of economic development, it is essential to stimulate the interest of the private sector of the economy.

ალფრედ კურატაშვილი

კანონის წინაშე ყველა ადამიანის კონსტიტუციური თანასწორობა – ადამიანის უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის აუცილებელი პირობა!!!

ადამიანის უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს კანონის წინაშე ყველა ადამიანის კონსტიტუციური თანასწორობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უფლებებისა და სოციალლურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის საფუძვლები, სოციალურად გამიზნული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის სამართლებრივი საფუძვლები, *უპირველეს ყოვლისა,* ასახული უნდა იყოს მსოფლიოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებში.

ამასთანავე, გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ანტიკონსტიტუციური ნორმები ზოგიერთ შემთხვევაში ჩადებული და დაფიქსირებულია თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, რამეთუ სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების "სასარგებლოდ" ადამიანების ანტიკონსტიტუციური "დახარისხების" შედეგად ფაქტობრივად აკრძალულია სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების და, მათ შორის, მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო (დანაშაულებრივი) ქმედებების ჩადენის-

თვის – სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის და ა.შ., რაც, ჩემი ღრმა რწმენით, წარმოადგეს უსამართლობისა და ანტიადამიანურობის გამოვლინებას, რომელიც კანონსაწინააღმდეგოდ "დაკანონებულია" მსოფლიოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებში (?!).

ამრიგად, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვის პრობლემების გადაჭრას ზოგჯერ აბრკოლებს თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციები – *კონსტიტუციებში ჩადებული ანტისამართლებრივი ნორმები,* ნაცვლად იმისა, რომ კონსტიტუციები ემსახურებოდეს ყოველი ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვას, *და არა ცალკეული თანამდებობის პირებისათვის დაუსჯელობის გარანტიების შექმნას.*

ზემოაღნიშნულის დამადასტურებელ უდავო ფაქტს (სხვა ფაქტებთან ერთად) წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში არსებული ანტიკონსტიტუციური დაბრკოლებების არსებობის შედეგად (?!) ფაქტობრივად აკრძალულია სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების და, მათ შორის, მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, მაშინ როდესაც თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება – აშკარად სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია.

მიუხედავად ამისა, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში შეუძლებელია მოიძებნოს აღნიშნული კანონსაწინააღმდეგო მოვლენის კრიტიკული ანალიზი, ჩემ მიერ მრავალჯერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების გარდა.

მოცემული სამეცნიერო კვლევის მიზანს წარმოადგენს ამ კვლევის საფუძველზე მსოფლიოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებში რადიკალური ცვლილებების შეტანა და სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედება არა მარტო ჩვეულებრივი – *ეგრეთ წოდებული უბრალო* – ადამიანების მიმართ, არამედ სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების მიმართაც, რამეთუ კანონის წინაშე ყველა უნდა იყოს თანასწორი, რაც კონსტიტუციური მოთხოვნა [1] და საყოველთაოდ აღიარებული უდავო ანბანური ჭეშმარიტებაა.

მოცემული კვლევის ამოცანას წარმოადგენს მსოფლიოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დასაბუთება სისხლის სამართლის კოდექსის სრულყოფილი ამოქმედების მიზნით არა მარტო

ჩვეულებრივი – *ეგრეთ წოდებული უბრალო* – პირების მიმართ, არამედ აგრეთვე სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების მიმართაც, ჩემ მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე [2].

სამეცნიერო ნაშრომის მთავარ სიახლეს წარმოდგენს, *ჯერ-ერთი,* ანტიკონსტიტუციური დაბრკოლებების ფაქტების მხილება, რომლებიც ჩადებული და დაფიქსირებულია თვითონ მსოფლიოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, და რომლებიც ფაქტობრივად კრძალავს სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების და, მათ შორის, მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, რაც კანონსაწინააღმდეგო – კრიმინალური – ნორმაა (?!).

და, *მეორეც,* სამეცნიერო ნაშრომის მთავარ სიახლეს წარმოდგენს მსოფლიოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებში რადიკალური ცვლილებების შეტანის – *სამართლებრივი პასუხის აუცილებლობის ამოქმედების აუცილებლობის* – მეცნიერული დასაბუთება არა მარტო ჩვეულებრივ პირთა მიმართ, რომლებსაც არ უკავიათ მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობები, არამედ აგრეთვე სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების მიმართაც, *ჩემ მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე,* მით უმეტეს, რომ სახელმწიფოთა კონსტიტუციებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად – კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია.

რაც შეეხება უშუალოდ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის პრობლემას, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მოსამართლეს უფლება აქვს თავისი დამოუკიდებლობის ბოროტად გამოყენებით შელახოს და უხეშად გათელოს ადამიანის უფლებები, თითქოს მას უფლება აქვს გადაამეტოს სამსახურებრივ უფლებამოსილებას – გამოიტანოს ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო, სისხლისსამართლებრივად დასჯადი გადაწყვეტილებები, და მაინც არ დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (?!).

უფრო მეტიც, სასამართლოს დამოუკიდებლობა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ თითქოს მოსამართლეს შეუძლია გადაამეტოს სამსახურებრივ უფლებამოსილებას – *გამოიტანოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, და ნაცვლად იმისა,*

რომ მას დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თითქოს უფლება აქვს დაუსჯელად და მშვიდად განაგრძოს მოსამართლის მოვალეობის შესრულება, და თანაც მუდმივად (?!).

მოსამართლეთა ასეთი "გადმერთება" სრულიად დაუშვებელი – უსამართლო და კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის *(და არა მარტო საქართველოს კონსტიტუციის)* თანახმად (მუხლი 14): "ყველა ადამიანი... კანონის წინაშე თანასწორია..." [1].

ადამიანის ინტერესების დაცვის, და აგრეთვე მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მეცნიერულ მიმართულებას და აუცილებელ ინტელექტუალურ საფუძველს, – *როგორც მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ აღვნიშნავდი,* – წარმოადგენს ჩემ მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია [2].

აღნიშნული თეორიის დანერგვა წარმოადგენს ჩემ მიერვე შექმნილი სოციალური მიზნის ფილოსოფიისა [3] და ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის [4] პრაქტიკული განხორციელების აუცილებელ თეორიულ საფუძველს.

სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს სასამართლო ხელისუფლებამ, რომელსაც უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მის მიერ თავისი უფლებების გამოყენებაზე – პასუხს უნდა აგებდეს თავისი მოღვაწეობის შედეგებზე, რაც დაბალანსებული უნდა იყოს მის უფლებებთან და მოვალეობებთან.

მიუხედავად ამისა, სასამართლო ხელისუფლების უფლებებთან დაბალანსებული მისი შესაბამისი პასუხისმგებლობის არარსებობის მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, რომელსაც, *ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს,* უფლება აქვს და ვალდებულიც არის მიიღოს მხოლოდ კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება, მაგრამ ზოგჯერ ეს მოსამართლე ღებულობს აშკარად კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომელიც ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და კანონიერ სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს, და რაც არცთუ

იშვიათად შემდგომში დასტურდება ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ, მაგრამ ამისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა (?!).

ამასთანავე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს და ზოგჯერ ნამდვილად ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებას სააპელაციო (მეორე ინსტანციის) სასამართლოში, და აგრეთვე საკასაციო (მესამე ინსტანციის) სასამართლოში.

თუმცა, სამწუხაროდ, ამ შემთხვევებშიც არავის – იმ მოსამართლეთაგან, რომლებიც ღებულობენ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას წარმოადგენს, არ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ანუ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მათ უფლებებთან და მოვალეობებთან – მიიღონ მხოლოდ კანონიერი, სამართლიანი გადაწყვეტილებები.

მაშასადამე, მოსამართლეებისათვის, მათი საქმიანობის შედეგების ადეკვატური სამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედებაზე ჩემ გარდა, *როგორც ჩანს,* არავინ არ ფიქრობს.

და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეების მიერ კანონსაწინააღმდეგო, ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღება, რომლებითაც ილახება ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, *როგორც უკვე აღინიშნა,* აშკარად სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია, რამეთუ ეს არის მოსამართლეების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რადგან ამ შემთხვევაში მოსამართლეები ღებულობენ ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორი გადაწყვეტილებების მიღების უფლებაც მათ არა აქვთ (?!).

ამრიგად, მოსამართლეების მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება – მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების აშკარა გადამეტებას წარმოადგენს (?!), რადგან ისინი (მოსამართლეები) უნდა ხელმძღვანელობდნენ კანონებით და, *უპირველეს ყოვლისა,* სახელმწიფოს კონსტიტუციით, და მათ არავითარი უფლება არა აქვთ ღებულობდნენ კანონსაწინააღმდეგო – *დანაშაულებრივ* – გადაწყვეტილებებს, რამეთუ, *როგორც უკვე აღინიშნა,* ეს არის სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაული.

ამიტომ მოსამართლეების მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის მათ მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის დაუყოვნებლივ ამოქმედებას [5, მუხლი 333].

ამასთანავე, *ჩემი ღრმა რწმენით,* ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე – ღმერთი კი არ არის, არამედ ადამიანია, რომელიც (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი) შეიძლება ცდებოდეს.

ხოლო ზოგიერთი მოსამართლე *ცალკეულ შემთხვევებში* შეიძლება განზრახაც კი "ცდებოდეს" (?!), *რაც მოითხოვს მოსამართლეების მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის მექანიზმების ამოქმედებას.*

პრინციპულად მნიშვნელოვანია აღინიშნოს აგრეთვე, რომ თუმცა **საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის** მე-4 მუხლის თანახმად სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, და თუმცა ამ კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, და თუმცა **სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით,** რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ იქვე – ამ კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 პუნქტში დასმულია მძიმე, და შემდეგ სწერია: "რის შედეგად მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ" [6].

ამრიგად, თუმცა სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით, მაგრამ ეს რწმენა უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლომ უნდა გამოიტანოს კანონიერი, სამართლებრივად დასაბუთებული და სამართლიანი, და არა კანონსაწინააღმდეგო დასკვნა, რამეთუ კანონსაწინააღმდეგო – *დანაშაულებრივი* – დასკვნის გამოტანის უფლება არც ერთ სასამართლოს არა აქვს, ანუ თუმცა სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს შინაგანი რწმენით, მაგრამ თუ ეს რწმენა მცდარია და სასამართლო ღებულობს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, ამას სათანადო კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, რამეთუ ასეთ შემთხვევაში ფაქტობრივად ადგილი აქვს მოსამართლის – როგორც თანამდებობის პირის – მიერ სამსახურებრივი უფლებამოსი-

ლების გადამეტებას, რაც სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს მოსამართლის უფლებას გამოიტანოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება – გადაამეტოს სამსახურებრივ უფლებამოსილებას და თავისი დამოუკიდებლობის ბოროტად გამოყენებით შელახოს ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები (?!), რამეთუ ასეთ ანტიკონსტიტუციურ და სისხლისსამართლებრივად დასჯად დანაშაულებრივ ქმედებას არავითარი გამართლება არა აქვს.

უფრო მეტიც, მოსამართლის ასეთ – *სისხლისსამართლებრივად დასჯად* – ქმედებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უდავოდ უნდა მოჰყვეს მისი სწორედაც რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლიანობაზე ლაპარაკი მხოლოდ ცარიელ ლაპარაკად და უაზრო ლოზუნგად დარჩება (?!).

ამასთანავე, ნაცვლად იმისა, რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებით გარანტირებული იყოს თანამდებობის პირთა, *და, მათ შორის,* მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის, პირიქით, მოსამართლეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დაცვა კონსტიტუციებით ფაქტობრივად გარანტირებულია.

ზემოაღნიშნულით ირღვევა თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, რითაც ილახება ჩვეულებრივი – უდანაშაულო – ადამიანების უფლებები და ინტერესები, ხოლო ზოგიერთი თანამდებობის პირები, *რომლებიც ხალხს უნდა ემსახურებოდნენ,* გაბატონებულები არიან უდანაშაულო ადამიანებზე.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა:

რაში მდგომარეობს სამართლებრივი გამოსავალი შექმნილი – ყოვლად გაუმართლებელი – ვითარებიდან?!

პრობლემის ეფექტიანი გადაჭრის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ჩემ მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე [2] – თანამდებობის პირთა მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული შესაბამისი

იურიდიული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ნორმების ამოქმედებით, და ამავე თეორიის საფუძველზე ახალი სამართლებრივი მექანიზმების შექმნით და დანერგვით, *რომლებიც – პასუხისმგებლობის მექანიზმები* – დაბალანსებული იქნება მათ უფლებებთან.

სწორედ თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას *(და უნდა შეიქმნას)* თანამდებობის პირთა უფლებებთან დაბალანსებული მათი პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმები.

ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის პრობლემები ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს თანამდებობის პირებისათვის, და, მათ შორის, *უპირველეს ყოვლისა,* მოსამართლეებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, მათ მიერ *სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის, რაც გამოიხატება მოსამართლეების მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებაში.*

ნუთუ საეჭვო და სადავოა, რომ მოსამართლის მიერ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება, *ანუ იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიღების უფლება მოსამართლეს არა აქვს,* მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისას წარმოადგენს?!

სამსახურებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების გადამეტებისათვის ნებისმიერი სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირისათვის, და, მათ შორის, მოსამართლეებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე შეუძლებელია ადამიანის ინტერესების დაცვა და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის სოციალურად – *ჰუმანოსოციალურად* – გამიზნული ფუნქციონირება.

ამასთანავე, საერთო სასამართლოების მოსამართლეების მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედებისათვის, აუცილებელია მსოფლიოს სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან ამოღებულ იქნეს შესაბამისი "სამართლებრივი" ნორმები, რომლებიც წინააღმდეგობაშია თვითონ კონსტიტუციების არსობრივ ბუნებასთან და კონსტიტუციის პრინციპებთან, რამეთუ ამ შემთხვევაში, ანუ კვლევის პრობლემასთან დაკავშირებით ეს სამართლებრივი ნორმები აშკარა წინააღმდეგობაშია კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციურ მოთხოვნასთან [1, მუხლი 14].

კერძოდ, სამართლიანობის დამკვიდრებისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამოქმედების მიზნით, *ჩემ მიერ შექმნილი თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის საფუძველზე,* საქართველოს კონსტიტუციიდან აუცილებელად ამოღებულ უნდა იქნეს 87-ე მუხლის პირველი პუნქტი (ისევე, როგორც აუცილებელია ამოღებულ იქნეს მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან ანალოგიური "სამართლებრივი" ნორმები), **რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: "მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა..." [1].**

აღნიშნული "სამართლებრივი" – *უფრო ზუსტად კი, ყოვლად გაუმართლებელი ანტისამართლებრივი* – ნორმის ამოღება საქართველოს კონსტიტუციიდან, და ანალოგიური ნორმების ამოღება მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებიდან, მოსამართლეების მიმართ აამოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს, რაც კანონის მიმართ თანასწორ პირობებში ჩააყენებს მოსამართლეებს და ჩვეულებრივ ადამიანებს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები არ უკავიათ.

რაც შეეხება იმას, რომ თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მოსამართლე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ა.შ. მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, ეს სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო და ალოგიკური ნორმაა, რამეთუ უმთავრესი ის არის, რომ თუ მოსამართლემ (ისევე, როგორც სხვა თანამდებობის პირმა) გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას არავისი – *მათ შორის, არც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის* – თანხმობა არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ამით ირღვევა ყველა ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურად დაკანონებული და საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმა.

ამრიგად, დაუშვებელია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდეს უფლება დაარღვიოს ყველა ადამიანის

თანასწორობა კანონის წინაშე და არ დაუშვას კრიმინალი მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რამეთუ არც ერთ კრიმინალს, *მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა,* კონსტიტუციით "დაკანონებული" ეგრეთ წოდებული "კრიშა" («Крыша») არ უნდა იცავდეს, რამეთუ ეს აშკარად "დაკანონებული" უკანონობა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი დანაშაულია (?!).

მაშასადამე, *როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა,* საქართველოს კონსტიტუციიდან აუცილებელად ამოღებული უნდა იქნეს 87-ე მუხლის პირველი პუნქტი, როგორც მოსამართლეების კრიმინალური ქმედებების მხარდამჭერი და კრიმინალი მოსამართლეების დამცავი უსამართლო "სამართლებრივი" ნორმა, რაც მოხსნის მოსამართლეების და ჩვეულებრივი ადამიანების – კანონის წინაშე თანასწორობის დამკვიდრების გზაზე კონსტიტუციით "დაკანონებულ" ანტიკონსტიტუციურ დაბრკოლებებს.

სწორედ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის კონსტიტუციური და ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნა აუცილებელს ხდის თვითონ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში რადიკალური ცვლილებების შეტანას იმ თვალსაზრისით, რომ კონსტიტუციურად ნამდვილად უზრუნველყოფილი იყოს ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე!!!

ყოველივე ზემოაღნუშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის უზრუნველყოფა – სახელმწიფო ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლიანობის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა!!!

ამრიგად, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანის კონსტიტუციური თანასწორობა ადამიანის უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სახელმწიფოში უშუალოდ სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტისათვის, არამედ აგრეთვე ეკონომიკის განვითარებისათვის და, საბოლოო ჯამში, ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის, რამეთუ მხოლოდ სამართლიანი სამართლებრივი ნორმების საფუძველზეა შესაძლებელი ეკონომიკის განვითარება და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს.
http://www.ags.ge/wp-content/uploads/2010/12/saqarTvelos-axali-konstitucia.pdf

2. კურატაშვილი ალფრედ. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

3. კურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2003.

4. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. *პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია* (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი: საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
http://laws.codexserver.com/226.DOC

6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
http://kutaisiappeal.court.gov.ge/files/upload-file/pdf/samoqalaqo_saproceso_kodeqsi.pdf.pdf

Alfred Kuratashvili

CONSTITUTIONAL EQUALITY OF ALL PEOPLE BEFORE LAW – NECESSARY CONDITION OF PROTECTION OF RIGHTS AND SOCIAL-ECONOMIC INTERESTS OF PERSON!!!

Annotation

In scientific work is examined constitutional equality of all people before law – as a necessary condition of protection of rights and social-economic interests of person.

The special attention is spared to the problem of bringing in judges to criminal responsibility for an acceptance by them illegal decisions.

ვახტანგ ბურდული

გლობალიზაციის პირობებში ნეოინდუსტრიული განვითარებისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიული ასპექტები

ოც წელზე უფრო მეტი გავიდა, რაც საქართველოში დაიწყო ეკონომიკის პოსტსაბჭოური ტრანსფორმაცია დაიწყო, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პარამეტრები სანუგეშო არ არის. მართალია, მიღწეული იყო ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი ტემპები, მაგრამ შეიკვეცა წარმოება ბევრ საჭირო დარგში, არ წარმოქმნილა ახალი თანამედროვე დარგები, ბოლო წლებში შესამჩნევი იყო ძლიერი დაცემა სოფლის მეურნეობაში, საქონლის და მომსახურების იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, ამასთან, სექტორების (დარგების ჯგუფების) უმეტესობაში იმპორტი რამდენჯერმე აღემატებოდა საკუთარი გამოშვების პროდუქციის მოცულობას. ზრდის მაღალი ტემპები 2005-2012 წლებში უზრუნველყოფილი იყო, უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის (ხშირად არა პირველი საჭიროების) და ძვირადღირებული საჩვენებელი ობიექტების აგების (უპირატესად სახელმწიფო ინვესტირების მეშვეობით) და, ასევე, სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასების მომატების ხარჯზე (უკანასკნელი უპირობოდ იყო საჭირო). მცირე იყო ინვესტიციების დონე რეალურ წარმოებაში, დაბალი – ბიზნესის ინვესტიციური და ინოვაციური აქტიურობა.

ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ ფორუმზე "ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსათვის" პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საექსპორტო და იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის (მათ შორის სასურსათო პროდუქციის) გამოშვების მოცულობის ზრდისა და დივერსიფიკაციის აუცილებლობაზე [20].

რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკური განვითარების კოორდინაციის სფეროში, რათა მიღწეულ იქნეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საჭირო დინამიზმი და ბიზნესის ეკონომიკური აქტივობის ამაღლება ეკონომიკური ზრდის ორიენტაციის მიზნით ამ მიზანდასახულობების მიხედვით?

1999 წ. სტატიაში [11] აღვნიშნავდით, რომ საჭიროა საბოლოო გათავისუფლება მბრძანებლურ-ადმინისტრაციული რეგულირების გადმონაშთებისაგან, რისთვისაც ყურადღება გავამახვილეთ სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების განვითარების ზოგიერთ მიმართულებაზე ეკონომიკური განვითარების დინამიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. ამავეს იხილავს ი. კორნაი ინოვაციურ განვითარებასთან მიმართებაში ([24], 2012 წ.). მაგრამ კონკრეტულ ქვეყნებში პერსპექტიული წარმოებების განლაგებისა და გასაღების ბაზრებისათვის სულ უფრო გამწვავებადი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ეს საკმარისი არ არის. ქვეყანამ გეზი უნდა აიღოს განვითარების თანამედროვე მოდელის ფორმირებაზე, რომლის საფუძველში უნდა ჩაიდოს **განვითარების ნეოინდუსტრიული ტიპი,** დაფუძნებული **ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაზე** ქმედითი **განვითარების საფინანსო ინსტიტუტებით** და, ასევე, მოწესრიგებული **ქსელური ურთიერთკავშირებით**. გლობალიზაციისა და ქვეყნების ეკონომიკების სულ უფრო მეტი და მეტი ღიაობის პირობებში საერთაშორისო ასპექტში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება შეუძლებელია ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მოდელზე ორიენტაციის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს განვითარებული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკების წარმატებულ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ამჟამად ფართოდგამოყენებადი ტერმინების "გლობალიზაცია", "ინოვაციური ეკონომიკა", "ნეოინდუსტრიული განვითარება", "განვითარების საფინანსო ინსტიტუტები" და "ქსელური ურთიერთკავშირები" (რომლებიც ასეთი მოდელის ფუნდამენტური შემად-

გენლებია) თანაფარდობისა და მათი ურთიერთკავშირების და ურთიერთზემოქმედების თეორიულ ასპექტში განხილვა.

1. ნეოინდუსტრიული ეკონომიკის (ნეოინდუსტრიული განვითარების) თანამედროვე გაგება და გლობალიზაციის პირობებში მისი ურთიერთკავშირი ინოვაციურ ეკონომიკასთან

სამეურნეო დარგები (დარგები საქმიანობის სახეების ჭრილში ან დარგები მათში წარმოებული პროდუქციისა ან მომსახურების ჭრილში) ვითარდება მათში ინოვაციების დიფუზიის შედეგად, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათში ახალი ტექნოლოგიების დიფუზიის შედეგად. ამასთან ხდება არა მარტო ფიზიკური ტექნოლოგიების განახლება (მოდერნიზაცია), არამედ სოციალურ-ინსტიტუციური ტექნოლოგიების განახლებაც (სახელმწიფო მმართველობის ან ბიზნესტექნოლოგიების, ე.ი. საბაზრო და სხვა საწარმოო ტექნოლოგიების, ასევე, სტრუქტურულ-დარგობრივი განვითარების სახელმწიფო კოორდინაციის ტექნოლოგიების).

უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე და პერსპექტიული დარგობრივი სტრუქტურების განხილვა საჭიროა გამსხვილებულ განზოგადებულ ასპექტში, რომელიც განისაზღვრება ტერმინით "პოსტინდუსტრიული" (დ. ბელი), ან "სუპერინდუსტრიული (მესამე ტალღა)" (ე. თოფლერი) სტრუქტურა, რომლებიც ძირითადად გამოიყენება განვითარებული ქვეყნების მიმართებაში. მაგრამ განვითარებადი (მათ შორის ახალი ინდუსტრიული და პოსტსაბჭოური) ქვეყნების განვითარების გზების დასახვისათვის უფრო მიზანშეწონილია ტერმინის "ნეოინდუსტრიული სტრუქტურა" გამოყენება (ტერმინი "ახალი ინდუსტრიული საზოგადოება", როგორც ვიცით, შემოღებული იყო უფრო ადრე, ჯ. გელბრეიტის მიერ). ამ სტატიაში ეს ტერმინი გამოიყენება ეკონომიკის დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურების განვითარებასთან კონტექსტში, ასევე, ბიზნესსტრუქტურების დახასიათების დროს. ეს ტერმინი უფრო ზუსტად ასახავს ეკონომიკის განვითარებაში მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე ტენდენციებს (მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში) და სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში, ინტერნეტში, მათ შორის მსხვილი კორპორაციების პრეზენტაციებში. ტერმინი "პოსტინდუსტრიული" სტრუქტურა სწორად არ ასახავს იმ სტრუქტურულ-ეკონომიკურ მოვლენებს, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს განვითარებულ და განვი-

თარებად ქვეყნებში: "ინდუსტრია" ხომ არ იკვეცება, ის ღებულობს ახალ თვისებებს, ჩნდება მრავალი ახალი "ინდუსტრია" (ე. ი. დარგი), ხდება არსებულების მოდერნიზაცია.

რამდენადაც ტერმინი "პოსტინდუსტრიული განვითარება" სრულად და ადეკვატურად არ ასახავს თანამედროვე ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს და, ამიტომ, თანამედროვე ეკონომიკასთან მიმართებაში უფრო მიზანშეწონილია ჯ. გელბრეიტის უფრო ადრეული ტერმინის "ნეოინდუსტრიული განვითარება" გამოყენება, ასევე, ამჟამად ფართოდგამოყენებადი ტერმინები "ახალი ეკონომიკა" და "ცოდნის ეკონომიკა" სრულად არ მოიცავს ინოვაციურ საქმიანობაში ამჟამად მიმდინარე მოვლენებს. უფრო მეტიც, ტერმინი "ახალი ეკონომიკა" ასევე მიეკუთნება იმ ცნებებს, რომლებიც ახასიათებენ ეკონომიკის მდგომარეობას მთლიანობაში, უპირველეს ყოვლისა, დარგობრივ და ტექნოლოგიურ სტრუქტურებს *(ე. ი. ეს იმავე კლასის ცნებაა, რაც "პოსტინდუსტრიული ეკონომიკა", "სუპერინდუსტრიული ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა", თუმცა, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მისი დეფინიციის მიხედვით, ეს ცნება ("ახალი ეკონომიკა") სრულად არ მოიცავს თანამედროვე ეკონომიკას),* მაშინ, როდესაც ტერმინი "ინოვაციური ეკონომიკა" ახასიათებს ინოვაციებისადმი ეკონომიკის ამთვისებლობის, ინოვაციების დიფუზიის კოორდინაციის არსებული მექანიზმების (ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო და ბიზნესრეგულირების) ხარისხს, მთლიანად სახელმწიფოში სამეცნიერო და დამნერგავი ორგანიზაციების არსებობისა და, ასევე, მსხვილ კორპორაციებში ინოვაციური საქმიანობის უზრუნველმყოფელი ქვედანაყოფებისა და მექანიზმების არსებობის ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი "ინოვაციური ეკონომიკა" შედარებით ახალია, ინოვაციური ხასიათის ეკონომიკები არსებობდა უფრო ადრეც, ეკონომიკის "ინოვაციურობის" ხარისხი კი ცალკეულ პერიოდებში და ცალკეულ ქვეყნებში მკვეთრად იზრდება (მაგალითად, ინგლისში და შემდეგ რიგ სხვა ქვეყანაში სამრეწველო რევოლუციის დროს). ინოვაციური განვითარების "ტალღათა მოზღვავების" ეტაპები კარგადაა დახასიათებული ს. გლაზიევის ნაშრომებში [14; 15] (თუმცა ის იშვიათად ხმარობს ტერმინს "ინოვაციური განვითარება"). როგორც ცნობილია, სსრკ-ში 80-იანი წლების პერიოდში ინოვაციური განვითარების მექანიზმი ფაქტბრივად მოშლილი იყო (სამხედრო სამრეწველო კომპლექსის გამო-

კლებით), რაც აღრმავებდა ტექნოლოგიურ ჩამორჩენას განვითარებული ქვეყნებისაგან. რა თქმა უნდა, არსებობდა ინოვაციური ზედნაშენის მრავალი ელემენტი, მაგალითად, მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, აკადემიური და საუწყებო დარგობრივი ინსტიტუტები, მაგრამ მათი საქმიანობა ატარებდა სულ უფრო და უფრო ფორმალურ-ბიუროკრატიულ ხასიათს და წარმოშობდა სულ უფრო და უფრო ნაკლებ რეალურ სამეცნიერო და პრაქტიკულ შედეგებს. პრინციპში, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო სტრუქტურები არ ვითარდებოდა პოსტკომუნისტური პერიოდის განმავლობაშიც, ცალკეული ფირმების კერძო წარმატებების გარდა (თუ არ ჩავთვლით რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსს). ამიტომ, დღევანდელ პირობებში პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არსებობს ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნის სერიოზული იმპერატივები, მისწრაფებები, ე. ი. თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების იმპერატივები (ასეთი მექანიზმები, განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, ჩვენ მიერ ნაწილობრივ დახასიათებულია [1; 6, თავი V]).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ ამჟამად ყველაზე მეტად აღიარებული გლობალიზაციის დეფინიცია გვაძლევს შესაძლებლობას, მკაფიოდ დავადგინოთ ურთიერთდამოკიდებულება ტერმინებს – "გლობალიზაცია", "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" და "ინოვაციური ეკონომიკა" – შორის. ეს დეფინიცია ჟღერს შემდეგნაირად: "გლობალიზაცია" წარმოადგენს მთელი მსოფლიოს ქვეყნების მზარდ ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებას საქონლის, მომსახურების და კაპიტალის ტრანსსასაზღვრო ნაკადების სულ უფრო მზარდი მოცულობის და ნაირსახეობის მოძრაობისა, და, ასევე, ტექნოლოგიების სულ უფრო სწრაფი და ფართო დიფუზიის შედეგს [8]. ის, რომ "ნეოინდუსტრიული განვითარება" ან "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, ჩვენ დავასაბუთეთ [2; 6, თავი III]-ში (ქვემოთ, ამ სტატიაში, მოცემულია ამ ფაქტის დამატებითი დასაბუთება). ამასთან, "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" მოიცავს როგორც ახლად წარმოშობილ დარგებს და ტექნოლოგიებს, ასევე ახალი ტექნოლოგიების დიფუზიას (უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების) ყველა ტრადიციულ დარგში. გლობალიზაციის მოცემული განსაზღვრების ბოლო ნაწილი კი "ტექნო-

ლოგიების სულ უფრო სწრაფი და ფართო დიფუზია” ზუსტად ასახავს ურთიერთკავშირს ცნებებს “გლობალიზაცია” და “ინოვაციური ეკონომიკა” შორის და გარკვეულ ზომებში ურთიერთშეთავსებას. “ინოვაციური განვითარების თანამედროვე სტადიაზე გლობალიზაციის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა. ამ პროცესის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელს ხდის ოპერატიულად გადაწყვეტილებების მიღებას ეკონომიკურ, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, მეცნიერულ-ტექნიკურ საქმიანობაში; თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში წინმსწრები ტემპებით იზრდება ვაჭრობა მომსახურებით, ტექნოლოგიებით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით – ე. ი. იმით, რაც განსაზღვრავს თანამედროვე *ახალი ეკონომიკის* შინაარსს” [8].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინი “ახალი ეკონომიკა” მოიცავს ცნების “ნეოინდუსტრიული ეკონომიკა” მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, რადგანაც დარგების ერთობლიობაში ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს როგორც ყველა ტრადიციული დარგის (გულისხმობს მხოლოდ მათ აღჭურვას ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებით), ასევე, სხვა ახლად გაჩენილი დარგების მოცვას. ამასთან, “ეკონომისტთა შორის არ არსებობს ერთიანობა ახალი ეკონომიკის ფენომენის შეფასებაში. ზოგიერთი მკვლევარი მის დამსახურებად თვლის ყველა იმ დადებით ცვლილებას, რაც ხდება საზოგადოებასა და ეკონომიკაში. სხვები კი მას, უკიდურეს შემთხვევაში, გარკვეული სკეპტიციზმით, ზოგჯერ კი – საერთოდ უარყოფითად, ეპყრობიან, ამასთან ამტკიცებენ, რომ საინფორმაციო რევოლუცია წარმოადგენს რიგით საბირჟო თამაშს, ან კიდევ – საბირჟო ავანტიურას” [8]. რა თქმა უნდა, ყველა დადებითი და უარყოფითი აზრის გათვალისწინება საჭირო არ არის, მაგრამ ამ დეფინიციებიდან ჩანს, რომ “ახალი ეკონომიკა” ძალიან არაერთმნიშვნელოვანი და არაყოვლისმომცველი ტერმინია.

ცნება “ახალი ეკონომიკისაგან” განსხვავებით, ტერმინები “ნეოინდუსტრიული ეკონომიკა” და “ნეოინდუსტრიული განვითარება” უფრო ტევადი და ყოვლისმომცველია და ზუსტად ასახავს თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის მდგომარეობას. ამ მოსაზრებების განმტკიცებისათვის მოვიყვანთ ვ. მაუს აზრს: “... განვითარებული ქვეყნების ახალი ინდუსტრიალიზაციის იდეა საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება.

ამას აშშ-ის პოლიტიკოსები და ეკონომისტები ყურადღებას აქცევდნენ ჯერ კიდევ კრიზისის დასაწყისში, ამაზე პერიოდულად ლაპარაკობს რუსეთის ხელმძღვანელობაც. ლაპარაკია არა ტრადიციული სექტორების აღდგენაზე, არამედ პრინციპულად ახლების გაჩენაზე, რომლებშიც ინტელექტუალური საქმიანობა და საკუთრივ წარმოება მჭიდროდ გადახლართულია და რომელთა განთავსება მსოფლიოში (რესურსებზე დანახარჯების გათვალისწინებით) არაეფექტიანია" [25, გვ. 6]. მაგრამ პოსტსაბჭოური ქვეყნების უმეტესობის წინაშე, რომლებმაც პოსტსაბჭოური დაცემის შედეგად დაკარგეს რიგი ტრადიციული წარმოება, დგას ასევე თანამედროვე ტექნოლოგიური ბაზის საფუძველზე მათი უმეტესობის რეანიმაციის საკითხი. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარებას (წინათ არსებულების რეანიმაციას და ახლების ჩამოყალიბებას), რომლებიც უზრუნველყოფენ დიდი მოცულობის დამატებულ ღირებულებას და, მაშასადამე, რომლებსაც შეაქვთ დიდი წვლილი ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში (ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში გადამამუშავებელი მრეწველობის როლი ძალიან თვალსაჩინოდ ნაჩვენებია [22]-ში).

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ბაზაზე ქვეყნის ეკონომიკის ნეოინდუსტრიული სტრუქტურის მიღწევა გულისხმობს ამ სტრუქტურის განვითარების შემდეგ ხასიათს:

– ახალი დარგების გაჩენას, კერძოდ, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებს (იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი საწარმოებით მსოფლიო უკვე საკმაოდ გაჯერებულია), და, ასევე, სხვა ისეთი ახალი დარგების, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მიჯნაზე ჯერ არ არის ფართოდ გავრცელებული მსოფლიოში, მაგრამ პერსპექტივაში დარგობრივ სტრუქტურაში უნდა მოიპოვონ მნიშვნელოვანი ადგილი (ზოგიერთი წინადადება ასეთი დარგების შექმნის შესახებ მოყვანილია ავტორის ნაშრომებში);

– ინოვაციური საქმიანობის (activity) მდგრად განვითარებას, როგორც ცალკეული დარგების და ფირმების შიგნით, ასევე ცალკე ინოვაციური სექტორის ობიექტების სახით;

– ქვეყნის ელექტროენერგოდამოუკიდებლობის მიღწევას;

– აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ორიენტაციას გრძელვადიან ასპექტში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, და, ასევე, სოფლის მეურნეობისა

და მსუბუქი მრეწველობის მომიჯნავე დარგების ურთიერთ-შეხამებულ განვითარებაზე;

– სასერვისო (მომსახურების) სფეროს ხვედრითი წილის ზრდას წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მთლიან მოცულობაში;

– ინტელექტტევადი პროდუქციის და მომსახურების ხვედრითი წილის ზრდას წარმოებული პროდუქციის და მომსახურების საერთო მოცულობაში;

– მაღალ- და საკვანძოტექნოლოგიური დარგების, შესაბამისი ნაკეთობების და მომსახურების წარმოების მდგრად განვითარებას;

– რიგ ტრადიციულ დარგში ინოვაციების (ახალი და მოდერნიზებული ტექნოლოგიების სახით) თავისდროულ დიფუ-ზიას;

– ზოგიერთი საკვანძო ტრადიციული დარგის ტრან-სფორმაციას და ეკონომიკაში ადგილის და როლის შეცვლას, სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ ბაზაზე ახალი, ამა თუ იმ ფარგლებში ამ დარგების ჩანაცვლებადი დარგების გაჩენას (დამახასიათებელი მაგალითებია: მეტალოპლასტიკატების წარ-მოება, რომელმაც ჩაანაცვლა ტრადიციული შავი მეტა-ლურგიის დარგის საკმაოდ ტევადი სეგმენტი; ლამპური ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკისა და მათი გამოყენების ტექნოლოგიების თითქმის სრული ჩანაცვლება მოხდა კომპიუ-ტერული ტექნოლოგიებით);

– საქართველოში, როგორც პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, მოდერნიზებული ტექნოლოგიების ბაზაზე დროებით დაკარ-გული ტრადიციული დარგების და წარმოებების რეანიმაციას (მსუბუქ მრეწველობაში, მაღალტექნოლოგიურ დარგებში, ავეჯის წარმოებაში და ა. შ.);

– ინდივიდუალური მოხმარების ნაკეთობების და მომსახურების წარმოების ტექნოლოგიების განვითარებას (ტან-საცმლის ინდივიდუალური კერვა, საცხოვრებლების აშენება, ავეჯის წარმოება, სამედიცინო მომსახურების ზოგიერთი სახეობა და ა. შ.).

ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკის დარგობრივი და ტექნო-ლოგიური სტრუქტურებისა და ინოვაციური განვითარების პოლიტიკის დასახვა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია გლობალიზაციის პროცესებისაგან მოწყვეტით. ამიტომ, ჩვენს მიერ განხორციელებულია ცალკეული, უპირველეს ყოვლისა, განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი, ქვეყნების

ეკონომიკის დარგობრივი, ტექნოლოგიური და ინოვაციური სტრუქტურების ფორმირებაზე გლობალიზაციის ფაქტორების გავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების სისტემატიზაცია. ამ ფაქტორებს შორისაა შემდეგი:

1. მნიშვნელოვნად გაიზარდა ინოვაციების, ახალი საწარმოო ტექნოლოგიების დიფუზიის შესაძლებლობანი ქვეყნებიდან – ტექნოლოგიური ლიდერებიდან ქვეყნებში – რეციპიენტებში (ამ უკანასკნელებში ხელსაყრელი ეკონომიკური კლიმატის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, ინოვაციების განხორციელება, ახალი და მოდერნიზებული ტრადიციული ტექნოლოგიების ათვისება ხდება როგორც რეალური უცხოური კაპიტალის მოზიდვის (უპირველეს ყოვლისა, ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების სახით), ასევე, ახალი და მოდერნიზებული ტრადიციული ტექნოლოგიების შესყიდვისა და ათვისების გზით (მცირე და საშუალო ქვეყნების პირობებში საკუთარი საწარმოო ტექნოლოგიების წარმოება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული არჩეული მიმართულებებით);

2. განვითარებადი გლობალური და ქვეყნებსშორისი რეგიონული ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოებში იხსნება ბიზნესისა და მისი მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუციური სისტემის დაჩქარებული ადაპტაციის ახალი შესაძლებლობები ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და ეკონონიკის დარგობრივი სტრუქტურის ნეოინდუსტრიული ტრანსფორმაციის აღქმისათვის. რიგი განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნების მაგალითები (რომლებშიც დამყარებულია ხელსაყრელი, ბიზნესის ხელშემწყობი ინსტიტუციურ-ეკონომიკური კლიმატი და ჩამოყალიბებულია თანამედროვე ორგანიზაციულ-ინსტიტუციური ბიზნეს-სტრუქტურები) თვალსაჩინოდ ადასტურებს ამ ფაქტს.

3. მნიშვნელოვნად იზრდება საერთაშორისო ტექნოლოგიურო კოოპერაციის როლი, მათ შორის ინოვაციურ საქმიანობაში. ხდება ქვეყნების ეკონომიკების, მათი დარგებისა და ბიზნესის ჩართვა შესაბამის გლობალურ და ქვეყნებსშორის რეგიონულ ქსელებში. ეს უკიდურესად მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნების წარმოების მაქსიმალურად შესაძლებელ დარგობრივ და ტექნოლოგიურ დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით მცირე ქვეყანაში ტრანსფორმირებადი ეკონომიკით, რომლის ბიზნესწრეებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მონაწილეობა არა მარტო გლობალურ,

არამედ ქვეყნებსშორის რეგიონულ კოოპერაციულ ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ქსელებში;

4. გლობალური ეკონომიკური ორგანიზაციები სულ უფრო ფართოდ ახდენენ გლობალური ეკონომიკური პროცესების რეგლამენტაციას. ვაჭრობის ლიბერალიზაცია (ტარიფების შემცირება), რომლის რეგლამენტაციას ახდენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ერთი მხრივ, აფართოებს ქვეყნებისათვის ექსპორტის შესაძლებლობას, მეორე მხრივ კი, გარკვეულ ზომებში ახდენს ზეწოლას ეროვნულ მეწარმეებზე. ორივე ეს ფაქტორი გარკვეულ გავლენას ახდენს ცალკეულ ქვეყნებში დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურების განვითარებაზე;

5. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი კრედიტების გაცემისას ასევე აწესებენ მათი გამოყენების განსაზღვრულ პირობებს. მიზანშეწონილი შეთანხმებები კრედიტების გამოყენების შესახებ დადებით გავლენას ახდენს ქვეყანა-რეციპიენტში დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურების ეფექტიან განვითარებაზე.

6. განსაზღვრულ უპირატესობებს აძლევს ქვეყნებს მათი მონაწილეობა რეგიონულ ქვეყნებსშორის ორგანიზაციებში (მაგალითად, ევროკავშირში), შეთანხმებები (ხელშეკრულებები) მათ ჩარჩოებში (საბაჟო ტარიფებზე, რეგიონული ფონდების გამოყენებაზე და სხვა) ასევე იძლევა ცალკეულ ქვეყნებში დარგობრივი, ტექნოლოგიური და ინოვაციური სტრუქტურების რაციონალიზაციის შესაძლებლობას. მაგრამ რეგიონულ კავშირებში მონაწილეობის შემთხვევაშიც ცალკეული ქვეყნების მთავრობებმა სიტუაცია ისე უნდა გააკონტროლონ, რომ არ მოხდეს ცალკეული დარგების შეკვეცა;

7. გლობალიზაციის პირობებში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ამწვავებს კონკურენციას საერთაშორისო დონეზე, რაც ქვეყნების მთავრობებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს უბიძგებს აქტიური ზომების მიღებისაკენ ეროვნული საწარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის;

8. გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო ფართოდ მკვიდრდებიან ეროვნულ საწარმოო სისტემებში და ამით შეაქვთ თავისი წვლილი ქვეყნების დარგობრივი სტრუქტურების ფორმირებასა და განვითარებაში. მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნების გლობალურ პროცესში ჩართვის პირობებში ძალიან მწვავდება ქვეყნებს

შორის კონკურენცია ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების ქვეყნებში მოზიდვისათვის;

9. გლობალური ფაქტორების მოქმედება (მცირე სავაჭრო ტარიფები, ინფორმაციის ხელმისაწვდომა მწარმოებლების მიერ შემოთავაზებული ტექნოლოგიების შესახებ და ა. შ.) აადვილებს სამამულო მეწარმეების მიერ ახალი ლიცენზირებული ტექნოლოგიების შესყიდვას მწარმოებლური დარგებისათვის. ამასთან, სახელმწიფომ და საქმიანმა წრეებმა საჭირო ძალისხმევა უნდა გაწიონ სპეციალისტებისა და მუშა ძალის მომზადებისათვის ასეთი ტექნოლოგიების ათვისებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების მიზნით;

10. გლობალიზაციის პროცესების გავლენისას, მათ მიმართ ადაპტაციის მიზნით, იცვლება ცალკეულ ქვეყნებში სახელმწიფო რეგულირების ფუნქციებიც. წარმატებულად განვითარებად ქვეყნებში ხდება ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების (და, შესაბამისად, ბიზნესის) მხარდაჭერის სისტემების მოდერნიზაცია და ეს სისტემები სულ უფრო იხვეწება.

2. ცნების – "ინოვაციური ეკონომიკა" – თანამედროვე გაფართოებული დეფინიცია და ცნებების – "ინოვაციური ეკონომიკა", "ცოდნის ეკონომიკა" და "ნეოინდუსტრიული განვითარება" – თანაფარდობა

რაც შეეხება "ინოვაციურ ეკონომიკას", შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მისი ბევრი დეფინიცია, ამასთან ყველა მარჯვე დეფინიცია, პირდაპირ ან ირიბად, დაკავშირებულია გლობალიზაციის ცნების განსაზღვრებასთან.

ვიკიპედიაში მოცემულია ინოვაციური ეკონომიკის შემდეგი განსაზღვრება: "ინოვაციური ეკონომიკა (ცოდნის ეკონომიკა, ინტელექტუალური ეკონომიკა) – ეს არის ეკონომიკის ისეთი ტიპი, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციების ნაკადზე, მუდმივ ტექნოლოგიურ სრულყოფაზე მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ძალიან მაღალი დამატებული ღირებულებით, და თვით ტექნოლოგიების წარმოებასა და ექსპორტზე" [13]. ამ განსაზღვრებაში მხედველობაში მიღებულია ყველა მაღალტექნოლოგიური დარგი (არა მარტო ისეთები, რომლებიც აწარმოებენ ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებს), მაგრამ მხედველობიდან გამორჩენილია არამაღალტექნოლოგიური დარგები, თუმცა, რასაკვირველია, მათშიც ხორციელდება ინოვაციები (ასე, მაგალითად, ა.

იუდანოვი აღნიშნავს, რომ "დაბალტექნოლოგიური სექტორის მიმართებაში ნაჩვენები იყო, რომ მისი ინოვაციურობა დაფუძნებულია სხვა დარგების მიღწევების გამოყენებაზე", ამის გარდა, არსებობს კიდევ ორგანიზაციული, ინსტიტუციური და, ასევე, "არაფორმალური ინოვაციები, რომელთა ქმედითობა მოწიფულ დაბალ- და საშუალოტექნოლოგიურ სექტორში" დადასტურებულია, მაგალითად, ფირმა-გაზელების (სწრაფი ზრდის სტაიერების) გამოცდილებით [33, გვ. 32-33], ვ. მაუ კი აღნიშნავს, რომ "საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა დარგების დაყოფა პროგრესიულებზე და ჩამორჩენილებზე: თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი დარგი შეიძლება იყოს როგორც მაღალტექნოლოგიური, ასევე ძველმოდური" [25, გვ. 6]. მაგრამ, რაც მთავარია, ამ განსაზღვრებაში არაა გათვალისწინებული გლობალიზაციის ფაქტორის როლი ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში. ამასთან დაკავშირებით "ძნელია იმის აღიარება, რომ ეს დეფინიცია შეესაბამება რეალობას, რადგანაც, მაგალითად რუსეთში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, "სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ხდებოდა ინოვაციების სესხება საზღვარგარეთიდან" (ბუნებრივ, გარკვეული ნაწილის) "და ნასესხები ინოვაციების საფუძველზე შენდებოდა ინოვაციური ეკონომიკა. ახლა ეს თავისებურ ტრადიციად იქცა. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ასე იქცეოდნენ (და ახლაც იქცევიან) ჩინეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა და მრავალი სხვა ქვეყანა" [28].

ა. იუდანოვის მიერ ჯერ კიდევ 1996 წ. მოცემულმა ინოვაციური ეკონომიკის გაფართოებულმა განმარტებამ [34, გვ. 218], ჩვენი აზრით, მნიშვნელობა ამჟამადაც არ დაკარგა. მოვიყვანთ მას ინტერპრეტაციაში, რომელიც მოცემულია [28]-ში:

"**პირველი,** ეროვნული ეკონომიკა შეიძლება იყოს ინოვაციური, თუ: ა) იქმნება და წარმატებულად ინერგება ისეთი უმარტივესი და ეფექტიანი ინოვაციები, რომლებიც დაფუძნებულია ძველ ცოდნაზე; ბ) არ იქმნება ახალი ცოდნა, მაგრამ ისესხება მათზე დაფუძნებული ინოვაციები.

მეორე, ეროვნულ ეკონომიკაში გამოყენებული დამოუკიდებლად შექმნილი გაუკეთესებული ინოვაციები შეიძლება დაეფუძნოს ან ახალ ცოდნაზე (ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ცოდნის ეკონომიკაზე), ან უფრო ადრე ცნობილ ცოდნაზე (ამ შემთხვევაში ინოვაციურ ეკონომიკას არა აქვს ცოდნის ეკონომიკის თვისებები).

მესამე, ახალი (ეროვნული) ეკონომიკა შეიძლება იყოს ჩამოყალიბებული: ა) ქვეყანაში შექმნილი ახალი ცოდნის საფუძველზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ხდება ცოდნის ეკონომიკის ფორმირება; ბ) მაღალტექნოლოგიური წარმოებების გადმოღებაზე.

ავტორების აზრით, რაციონალურ ვარიანტს წარმოადგენს გონივრული შეხამება: ა) **მეოთხე,** გადმოღებული და საკუთარი ისეთი დამუშავებებისა, რომლებიც შექმნილია როგორც საზღვარგარეთ შეძენილ, ასევე ქვეყანაში წარმოშობილ ახალ ცოდნაზე; ბ) ტრადიციული დარგების ინოვაციური და ცოდნისეული განვითარების და იმ დარგების და საქმიანობის სფეროების პრიორიტეტული განვითარების, რომლებიც იმყოფებიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მწვერვალზე და თანამედროვე ეტაპზე პრიორიტეტულ და კრიტიკულ დარგებს წარმოადგენენ.

მიუხედავად ამ განსაზღვრების საკმაო ტევადობისა, ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე საჭიროა, ერთი მხრივ, მისი კორექტირება, მეორე მხრივ, შევსება. ამიტომ, ამ განსაზღვრების მიმართ ჩვენ გვაქვს შემდეგი შენიშვნები: ა) ტერმინი "ახალი ეკონომიკა" გამოიყენება ტერმინის "ნეოინდუსტრიული ეკონომიკას" მაგივრად, რაც, ზემომოყვანილიდან გამომდინარე, არაა კორექტული; ბ) შევიწროებულია ცნება "ცოდნის ეკონომიკა" – ძველი ცოდნა, რომლებიც გამოიყენება ინოვაციებში, ასევე მიეკუთვნება ცოდნის ეკონომიკას, დეფინიციაში კი საწინააღმდეგო იგულისხმება; გ) განვითარების ნებისმიერ ეტეპზე ქვეყანას ესაჭიროება ზოგიერთი ტრადიციული დარგის პრიორიტეტული განვითარება (არჩეულ ახალ დარგებთან ერთად), როგორც ეს საჭიროა, მაგალითად, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, სადაც მწვავედ დგას ზოგიერთი ტრადიციული დარგის რეანიმაციის საკითხი; დ) და, რაც მთავარია, დეფინიციაში არაა ასახული არც სახელმწიფო, არც კორპორაციული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების განხორციელებას, ეს კი წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის დედაარსს.

ე.ი. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ინოვაციური ეკონომიკის გაფართოებულ დეფინიციაში უნდა აისახოს ეროვნული ინოვაციური სისტემის არსებობა და ფუნქციონირება. ეროვნული ინოვაციური სისტემები ჩვულებრივად განისაზღვრება, როგორც "სახელმწიფო და კერძო სექტორში არსებული ქსელები, რომელთა საქმიანობა და ურთიერთზემოქმედება

ახდენს ახალი ტექნოლოგიების ინიცირებას, იმპორტირებას, მოდიფიცირებას და გავრცელებას (diffuse) (C. Freeman) [3, იხილეთ 33-ში, გვ. 32] (ქვემოთ შემოთავაზებულ გაფართოებულ დეფინიციაში ეს რამდენადმე სხვანაირად აისახება).

მაშასადამე, ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით (ასევე, მცირე ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით) ინავაციური ეკონომიკის გაფართოებული განსაზღვრება (ა. იუდანოვისა და ვიკიპედიის განსაზღვრებების პოზიტიური მომენტების გამოყენებით) უნდა იყოს შემდეგნაირი:

პირველი, ეროვნული ინოვაციური ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკის ტიპი, რომელიც დაფუძნებულია ნასესხებ (გადმოღებულ) და საკუთარი დამუშავებებით შექმნილ ინოვაციებზე, მუდმივ ტექნოლოგიურ სრულყოფაზე, ძალიან მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის (მათ შორის საწარმოო ტექნოლოგიების) წარმოებასა და ექსპორტზე.

მეორე, ეს არის ეკონომიკა, რომელშიც შექმნილია საიმედო სახელმწიფო (სახელმწიფო მაკოორდინებელი და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების სისტემა) და კერძო (კორპორაციული და კორპორაციათაშორისი, მათ შორის სახელმწიფათაშორისი, სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველ-ყოფენ ინოვაციების შემუშავებას, გადმოღებას და დანერგვას) მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციების განხორციელებას.

მესამე, ეს არის ეკონომიკა, რომელშიც: ა) იქმნება და წარმატებულად ინერგება ძველ ცოდნაზე დაფუძნებული მარტივი და ეფექტიანი ინოვაციები; ბ) არ იქმნება ახალი ცოდნა, მაგრამ ისესხება მათზე დაფუძნებული ინოვაციები.

მეოთხე, ნეოინდუსტრიული ინოვაციური ეკონომიკა შეიძლება დაფუძნებული იყოს: ა) ქვეყანაში შექმნილ ახალ ცოდნაზე; ბ) გლობალიზაციის შესაძლებლობებით განპირობებული ახალი საწარმოო ტექნოლოგიების სესხებაზე (გადმოღებაზე).

მეხუთე, რაციონალურ ვარიანტს წარმოადგენს გონივრული შეხამება: ა) ნასესხები (გადმოღებული) და საკუთარი (მცირე ქვეყნების შესაძლებლობების გათვალისწინებით) ისეთი შემუშავებების, რომლებიც დაფუძნებულია როგორც საზღვარგარეთში შეძენილ, ასევე ქვეყანაში შექმნილ ახალ ცოდნაზე; ბ) საჭირო (პრიორიტეტული) ტრადიციული დარგების ინოვაციური განვითარებისა (ან ინოვაციურ ბაზაზე რეანიმაციის)

და რამდენიმე (მცირე ქვეყნის შესაძლებლობებიდან გამომდინარე) არჩეული ისეთი დარგების დაჩქარებული განვითარების, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მწვერვალზე იმყოფებიან და თანამედროვე ეტაპზე პრიორიტეტულები და კრიტიკულები არიან.

ასეთი განსაზღვრება აშკარად ან ფარულად (მაგალითად, სიტყვების "გადმოღებული", "ნასესხები", "ტექნოლოგიების ექსპორტი" მეშვეობით) ადასტურებს თანამედროვე ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას გლობალიზაციის ფაქტორებთან.

ცხადია, არ არის კორექტული ტერმინების "ახალი ეკონომიკა" და "ცოდნის ეკონომიკა" გაიგივება, რაც დამახასიათებელია რიგი მეცნიერ-ეკონომისტის პოზიციისათვის. ვიკიპედიაშიც კი, "ახალი ეკონომიკა" წარმოდგენილია "ცოდნის ეკონომიკის" სინონიმად, "ინოვაციური ეკონომიკა" კი – "ცოდნის ეკონომიკისა" და "ინტელექტუალური ეკონომიკის" სინონიმებად. თუმცა ბევრი მეცნიერი და "ვიკიპედია" ეყრდნობა იმ აზრს, რომ "ცოდნის ეკონომიკა" წარმოადგენს "ინოვაციური ეკონომიკის" უმაღლეს ეტაპს. მაგრამ ეს ტერმინებიც არ წარმოადგენენ სინონიმებს, თუმცა, განსაზღვრულ ზომებში, შეთავსებადები არიან.

ქვეყნის ინტეგრაციისათვის გლობალიზაციის პროცესებში ქვეყანაში უნდა მოხდეს ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია, უნდა გაფართოვდეს ინოვაციური საქმიანობის მიმართულებები. მცირე ქვეყანაში, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ნასესხებმა, გადმოღებულმა ინოვაციებმა, მაგრამ უნდა გაიზარდოს საკუთარი ინოვაციური და სამეცნიერო-კვლევითი სექტორის როლიც, ამასთან, თვით ნასესხები (გადმოღებული) ტექნოლოგიების ათვისებისა და დანერგვის მიზნებისათვისაც.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ თუმცა "ახალი ეკონომიკა" მოიცავს დარგების უმეტესობას, მაგრამ მხოლოდ (ძირითადად) ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან ურთიერთკავშირში, ხოლო ტერმინი "ნეოინდუსტრიული ეკონომიკა" მოიცავს როგორც ყველა ტრადიციულ, ასევე ყველა ახალ დარგს. ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი, თუ განვსჯით სახელწოდების მიხედვით, გათვალისწინებულია რუსეთის პროგრამაში "ეკონომიკური განვითარება და ინოვაციური ეკონომიკა". მაგრამ კიდევ უფრო აქტუალურად თანამედროვე ეკონომიკის წინაშე მდგარ მიზნებს და

დასამყარებელ ურთიერთკავშირებს ასახავს სიტყვათშეწყობა “ნეოინდუსტრიული განვითარება და ინოვაციური ეკონომიკა”. ამასთან დაკავშირებით, ამ ცნებების თანაფარდობისა და ურთიერთშეთავსებადობის დონის გრაფიკული ინტერპრეტაცია ეილერის წრეების მეშვეობით ასახულია [28]-ში. ვისარგებლეთ რა ამ იდეით, ჩვენ ავაგეთ მსგავსი გრაფიკი (ნახ. 1), ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ცნების “ახალი ეკონომიკა” შეცვლით ცნებით “ნეოინდუსტრიული განვითარება”. ამასთან ამ ცნებების ურთიერთშეთავსებადობა უფრო მჭიდროა, ვიდრე მოცემულია [28]-ში, რაც გათვალისწინებულია ჩვენს ნახატში (მაგალითად, ეკონომიკის ამ მიმართულებებით კოორდინაციისათვის განსხვავებულ ხერხებთან (ორგანიზაციებთან, სტრუქტურებთან) და ინსტრუმენტებთან ერთად, გამოიყენება მრავალი საერთო ხერხი და ინსტრუმენტი).



ნახ. 1. ცნებების – “ინოვაციური ეკონომიკა”, “ცოდნის ეკონომიკა” და “ნეოინდუსტრიული განვითარება” – თანაფარდობა

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია, ნეოინდუსტრიული განვითარება, ინოვაციური ეკონომიკა და ცოდნის ეკონომიკა – ესაა ახალი მსოფლიო სამეურნეო კონტურის ჩამოყალიბების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეთავსებადი პროცესები, რომლებშიც ადეკვატურად

უნდა ჩაერთოს მცირე ქვეყნის, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკა.

ამიტომ, ქვეყანაში თანამედროვე ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა ისეთი განზოგადებული მოდელის აგება და ამოქმედება, რომელშიც ასახული იქნება დარგობრივი (ნეოინდუსტრიული) რესტრუქტურიზაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების გზები და ასეთი ინოვავაციური ნეოინდუსტრიული განვითარების სახელმწიფო და ბიზნეს-კოორდინაციის მექანიზმები. განვითარების ინოვაციური და ნეოინდუსტრიული მოდელების ურთიერთკავშირის სხვადასხვა ასპექტი ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით უკვე საკმაოდ ფართოდ განიხილება პოსტსაბჭოური ქვეყნების სამეცნიერო კვლევებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებმაც ყველაზე წარმატებულად გადაწყვიტეს ტრანსფორმაციული პერიოდის წინამავალი ეტაპები (იხ., მაგ., [32, გვ. 115]), მაგალითად, ყაზახეთსა და უზბეკეთში (იხ., მაგ., [26; 27]). რუსეთში კი სამეცნიერო წრეებში დაიწყო ეკონომიკის "საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მოდელების ძებნა" ინოვაციური ნეოინდუსტრიული მოდელის აგების მიზნით [19] და უკვე ტარდება ღონისძებები, მაგალითად, რეგიონებში ახალი ინდუსტრიული ცენტრების (ტექნოლოგიური პარკების) შესაქმნელად (იხ. მაგ., [12]).

3. განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთკავშირების გადამწყვეტი როლი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ და ნეოინდუსტრიულ რეორგანიზაციაში

რა თქმა უნდა, ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ-ნეოინდუსტრიული რეორგანიზაცია მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს. ასე, მაგალითად, ა. აგანბეგიანი აღნიშნავს, რომ რუსეთში საწარმოო მოწყობილობების, ძირითადი ფონდების გასვლა ინოვაციურ დონეზე (ისეთებზე, რომლებიც ჭარბობს განვითარებული ქვეყნის სხვადასხვა დარგში[4]) მოითხოვს 10-15 წელს. ამასთან მოწყობილობის განახლება უნდა ხდებოდეს კომპლექსურად, ესე იგი ისეთი მთლიანი ტექნოლოგიური ხაზებით, სისტემებით, კლასტერებით, რომლებიც მოწინავე

[4] ამ ფორმულირებაში გამორჩენილია სრულიად ახალი (ახლად გაჩენილი) დარგების ფორმირების აუცილებლობა.

ტექნოლოგიების რეალიზაციას ახდენენ" [4]. რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურ დონეზე გასვლა შესაძლებელია უფრო მოკლე ვადებში, იმის გათვალისწინებით, რომ ის მცირე ქვეყანაა და თავისდროულად ჩაერთვება შესაბამის გლობალურ და რეგიონულ **ქსელებში.** ქვეყნის ბიზნესის ჩართვა ასეთ სავაჭრო, ინოვაციურ, ტექნოლოგიურ ქსელებში წარმოადგენს მისი ეკონომიკის ინოვაციურ დონეზე გასვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.

ასევე, უმნიშველოვანეს საკითხს წარმოადგენს ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების დაფინანსების პრობლემა. ბიზნესი თავისთავად, ინვესტიციების მხოლოდ არსებული საკუთარი სახსრებით განხორციელებისას, ასეთ პრობლემას ვერ მოერევა. ამიტომ საჭიროა განვითარების შედავათიანი დაკრედიტების თანამედროვე სისტემებისა და მეწარმეთა საფინანსო მხარდაჭერის სხვა ხერხების გამოყენებაც. ამასთან დაკავშირებით სტატიაში "აგანბეგიანმა იცის, საიდან უნდა ავიღოთ ფული" [5] აღწერილია რუსეთის პირობებისათვის საფინანსო და საკრედიტო რესურსები, რომელთა გამოყენება საჭირო თანამედროვე ეკონომიკის ფორმირებისათვის. ამ სტატიაში შემოთავაზებული ბევრი ხერხის გამოყენება შეიძლება ჩვენ ქვეყანაშიც, მაგრამ, საქართველოში, რომელსაც არ გააჩნია მსხვილი ოქროვალუტის რეზერვები, ინოვაციური ნეოინდუსტრიული განვითარების დაფინანსების მექანიზმი უნდა იყოს გარკვეულ წილად სხვანაირი, კერძოდ, მასში უფრო დიდი როლი უნდა ითამაშონ **განვითარების საფინანსო ინსტიტუტებმა.**

ამიტომ, ქვემოთ განსაკუთრებული ყურადღებით განიხილება ეს ორი საკითხი: განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთობების როლი თანამედროვე ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში.

გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ ეროვნული ინოვაციური ნეოინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბებას, უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლის გაფართოება. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, მაგრამ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციური ტექნოლოგიების შემოდებას. საკუთარი საინვესტიციო წყაროებიდან უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში ზოგიერთ განვითარებულ

ქვეყანაში ერთ წყებაზე უფრო მეტად ინვესტირებაში გაიზარდა ინსტიტუციური ინვესტორებისა (მაგალითად, საპენსიო ფონდების) და საინვესტიციო ფონდების როლი. საქართველოში საპენსიო ფონდის შექმნაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრვია, მაგრამ საწარმოო ინვესტირებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს რიგი მსხვილი სამამულო და უცხოური ინვესტორების მიერ დაფუძნებულმა თანაინვესტირების ფონდმა, რომელიც "საქართველოში ჩამოყალიბდა თანამედროვე დასავლური პრაქტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით" [21; 31].

თანაინვესტირების ფონდი იმუშავებს მსხვილი ბიზნესმენებისა და კომპანიების მონაწილეობის ხარჯზე სხვა მეწარმეებთან ერთობლივ საინვესტიციო პროექტებში, მაგრამ სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს შესაბამისი კოორდინაციის სისტემა ბიზნესის შესაგულიანებლად მიზანშეწონილ ინვესტიციებსა და ინოვაციებზე ხარჯების გასაზრდელად. სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მხარდაჭერის სისტემებში მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს და კვაზისახელმწიფოს (კერძო სექტორის მონაწილეობით) განვითარების საფინანსო ინსტიტუტების შექმნა (განვითარების ფონდების, განვითარების ბანკების და ა. შ.). მსოფლიოში ამჟამად არსებობს რამდენიმე ასეული განვითარების საფინანსო ინსტიტუტი [29, გვ. 4], რომელთა საქმიანობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს: ინოვაციების სტიმულირება, საექსპორტო ოპერაციების მხარდაჭერა, ინფრასტრუქტურის განვითარება, რეგიონული განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკის ცალკეული სექტორების მხარდაჭერა (ტიპური მაგალითია – სოფლის მეურნეობა), ინფრასტრუქტურის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება [29, გვ. 4, 5]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით ხდება მხარდაჭერის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) გადანაცვლება ეკონომიკის ზრდის მხარდაჭერისაგან უმეტესად ინოვაციებისა (ტექნოლოგიური მოდერნიზაციის) და ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერაზე და, მაშასადამე, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დარგობრივი დივერსიფიკაციის და, ამის მეშვეობით, ექსპორტის (და მისი დივერსიფიკაციის) და იმპორტჩანაცვლების მხარდაჭერაზე.

საქართველოში, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან (მაგალითად, რუსეთისაგან) განსხვავებით, ქმედუნარიანი (მიზანშეწონილად ორიენტირებული) განვითარების სახელმ-

წიფო საფინანსო ინსტიტუტების ფორმირება მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაიწყო. 2011 წელს საქართველოში დაარსდა სს "საპარტნიორო ფონდი", რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდს. ეს ფონდი შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწოფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. "საპარტნიორო ფონდის" საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: აქტივების მართვა და საინვესტიციო საქმიანობა. ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 1 მილიარდ აშშ დოლარს. ფონდი ახდენს კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერას საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, მათ შორის ენერგეტიკის, აგრობიზნესის, წარმოების, ტურიზმის, ლოგისტიკის და სხვა [35].

მიზანშეწონილია ამ ფონდის საინვესტიციო პოტენციალი გაიზარდოს ეკონომიკის განვითარებაში უფრო ფართო მონაწილეობის მიზნით. ამისათვის 2013 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ მომზადებული იყო საკანონმდებლო მასალები "საქართველოს სუვერენული ფონდის" შექმნის შესახებ, მაგრამ შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რეორგანიზაციის გზით აქციონერული საზოგადოების "საქართველოს განვითარების ბანკის" დაფუძნების შესახებ (2014 წლის აპრილი). მაგრამ შემდეგ მიჩნეული იყო, რომ საპარტნიორო ფონდის პოტენციალი ჯერ არ არის სრულად გამოყენებული, ამიტომ, უკანასკნელი გადაწყვეტილება არ იყო განხორციელებული და ეს ფონდი ამჟამადაც ფუნქციონირებს შესაბამისი კანონის ჩარჩოებში (საქართველოს კანონი სააქციო საზოგადოების – საპარტნიორო ფონდის შესახებ; 02.03.2012. №5746; განახლებულია 20.09.2013 [36]).

ინსტიტუციონალიზაცია, ე.ი. სახელმწიფო და შერეული (სახელმწიფო და კერძო სექტორის მონაწილეობით) განვითარების საფინანსო ინსტიტუტების მიერ მხარდაჭერის ფორმების საკანონმდებლო და, ასევე, კერძო სექტორის ფარგლებში ასეთი მხარდაჭერის გაფორმება, გვაძლევს სუბსიდირების, თანაინვესტირების, შეღავათიანი დაკრედიტების და საფინანსო მხარდაჭერის სხვა ფორმების არჩევისა და მისი ეფექტიანობის საიმედო კონტროლის შესაძლებლობას.

საქართველოში 2013 წ. ასევე იყო შექმნილი და მოქმედება დაიწყო სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდ-

მა (რომლის მოცულობა შეადგენდა 1 მლრდ დოლარს). მიგვაჩნია, რომ ამ ფონდის მოქმედების წესები ასევე უნდა გაფორმდეს საკანონმდებლო წესით. ეს, მით უმეტეს, იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ სასოფლო სამეურნეო წარმოების კარდინალური გამოცოცხლების აუცილებლობის პირობებში საჭიროა სოფლის მეურნეობის საფინანსო მხარდაჭერის მოცულობის გაზრდა. ასე, მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში (აშშ-ში, ევროკავშირში), სადაც, საქართველოსაგან განსხვავებით, მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში ხელსაყრელია, სოფლის მეურნეობის ყოველწლიური ერთობლივი მხარდაჭერის წილი სოფლის მეურნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (იხ., მაგ., [30, გვ. 133]).

თანამედროვე ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იღებს **ქსელური სტრუქტურები** (იხ., მაგ., [7]. თანამედროვე ეკონომიკაში ქსელური სტრუქტურებისა და ქსელური ურთიერთკავშირების როლი, ასე რომ ვთქვათ, ინოვაციურ ეკონომიკაში მათი როლის კვინტესენცია ძალიან მოხერხებულად არის ფორმულირებული [8]-ში. ამიტომ ჩვენ მოგვაქვს ეს, შეიძლება ითქვას, გაფართოებული დეფინიცია, კომენტარების გარეშე: თანამედროვე ეკონომიკაში ქსელური "ურთიერთობები თამაშობს სისტემაშემქმნელ როლს. ისინი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ ინოვაციური საქმიანობის განვითარებაზე, რომლის შესაძლებლობა განისაზღვრება ინოვაციური ციკლის სხვადასხვა სტადიას შორის პირდაპირი და უკუკავშირების ერთობლიობით, ცოდნის მწარმოებლებით და მომხმარებლებით, ფირმებით და ბაზრით სახელმწიფოთა ეროვნული საზღვრების ფარგლებში და, სულ უფრო მეტად, გლობალურ მასშტაბებში. ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობა ... დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, რამდენად ეფექტიანია დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების (ფირმების, სამეცნიერო ორგანიზაციების და ა. შ.) საქმიანობა, არამედ იმაზეც, როგორ მოქმედებენ ისინი ერთმანეთთან ცოდნისა და მათი გამოყენების სისტემებში" [8].

ორგანიზაციათაშორისმა ქსელებმა, რომელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს ქსელებში მონაწილე პარტნიორების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება (მათ შირის ფირმებისა და ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის) ინოვაციური საქმიანობის ქსელური ორგანიზაციის ხარჯზე, მიიღო სახელწოდება "ინოვაციური ქსელები" (იხ., მაგ., [17]). სხვანაირად

რომ ვთქვათ, ინოვაციური ქსელების ცნების ქვეშ იგულისხმება ქსელები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ინოვაციების შექმნის, გავრცელებისა და დანერგვის პროცესებს. ინოვაციური ქსელების ძირითად ტიპებს შორის გამოირჩევიან: კოოპერაციის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებში მონაწილე კოოპერაციის ქსელები – ესაა ისეთი სამეცნიერო კოლექტივების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ კოოპერირებას რთული კვლევითი პროექტების შესრულების მიზნით (აქცენტი გაკეთებულია ახალი ცოდნის გენერირებაზე); სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივებს შორის რთული საპარტნიორო კავშირების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს კვლევების შედეგების სწრაფ კომერციონალიზაციას (აქცენტი გაკეთებულია ახალი ცოდნის კომერციონალიზაციაზე); აქტიური ურთიერთმოქმედი ექსპერტული საზოგადოება, რომლის მიზანს წარმოადგენს საერთო კომპეტენციის გაზრდა მეცნიერების საკვანძო საკითხებზე სინერგიის ეფექტის გამოყენებით (აქცენტი მიმართულია ახალი ცოდნის გენერირებაზე); ისეთი სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამრეწველო ორგანიზაცია-პარტნიორების ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ერთიანი მიზნით (აქცენტი მიმართულია სრული ინოვაციური ციკლის წინაკონკურენტული ეტაპის თანხლებაზე) [17].

არსებობს ქსელური ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური ეფექტის მიღებაზე არა მხოლოდ ინოვაციური საქმიანობის ქსელიზაციის მეშვეობით, არამედ ეკონომიკური საქმიანობის სხვა მხარეების ქსელიზაციაზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება ქსელური ორგანიზაციის ისეთი ტიპები, როგორიცაა სტრატეგიული ალიანსები, ვირტუალური ორგანიზაციები, მიწოდების ფოკალური ქსელები, დინამიკური ქსელები, ფასეულობების შექმნის ქსელები, ინოვაციური კლასტერები, ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელები, მცირე ინოვაციური ბიზნესის მსხვილ კორპორაციებთან საწარმოო თანამშრომლობის ქსელები [9; 10, გვ. 29; 17].

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკური განვითარების მხრივ უპირველესი აქტუალობა გააჩნია ისეთი ტიპის ქსელების განვითარებას, როგორიცაა **ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელები.** ბევრ ქვეყანაში ასეთი ქსელები უკვე საკმაოდ განვითარებულია. ასე, მაგალითად, "რუსეთის ტექნოლოგიების

ტრანსფერის ქსელი” დაფუძნებულია 2002 წელს და ამ დროისათვის აერთიანებს 70-ზე მეტ ინოვაციურ ცენტრს [10, გვ. 29]. ისეთ მცირე ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ტექნოლოგიების ტრანსფერის ეროვნული ქსელი, რა თქმა უნდა, უნდა ჩაერთოს შესაბამის საერთაშორისო ქსელებში. საქართველოში უკვე 15 წელია არსებობს კომპანია-ახალი ტექნოლოგიების მომწოდებელი “ალტა”, რომელიც ამჟამად საკონსულტაციო ფირმის “სინერგი ჯგუფის” დახმარებით, ფაქტობრივად, ნერგავს კომპანიებისათვის ტექნოლოგიების მიწოდების სამუშაოების ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს [23]. ჩვენი აზრით, ამ კომპანიის პროდუქტულობა უფრო გაიზრდება, თუ ის აქტიურად ჩაერთვება ქსელური თანამშრომლობის შესაბამის საერთაშორისო ფორმებში.

მაგრამ არ შეიძლება შემოფარგვლა ქსელური ტიპის ერთი მსხვილი კომპანიის არსებობით. ასე, მაგალითად, პოლიტიკურ ფორუმზე “ეკონომიკური ზრდის გამოწვევები საქართველოსათვის” პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ “საქართველო უნდა იქცეს რეგიონულ სატრან-ზიტო ლოგისტიკურ ცენტრად”, რაც, კერძოდ, გულისხმობს “ვაჭრობის ხელშემწყობი ლოგისტიკური სერვისების” ჩამო-ყალიბებას [20], ეს კი, თანამედროვე პირობებში, საჭიროებს ქვეყანაში ისეთი რიგი კომპანიების არსებობას, რომლებიც ორგანიზებული იქნება ქსელური პრინციპების მიხედვით.

ამიტომ, დღევანდელ პირობებში საქართველო, ეროვნული ეკონომიკის ფორსირებული ინოვაციური განვითარების მიზნით, აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო (გლობალური, რეგიონული) ინოვაციური ქსელური ურთიერთკავშირების სხვა სახეებშიც.

საქართველოს კომპანიები (ფირმები და ორგანიზაციები) ქსელიზაციის პროცესში უნდა ჩაერთონ საერთაშორისო **სტრატეგიულ ალიანსებში**. ასეთ ალიანსებში მონაწილეობა აფართოებს ინოვაციებისადმი მისაწვდომობას და ხელს უწყობს ცოდნების გენერაციას და გადაცემას (აღვნიშნოთ, რომ სტრატეგიული ალიანსები იქმნება არა მარტო ინოვაციური საქმიანობის კოოპერირების მიზნით, არამედ ბევრი სხვა ამოცანის გადასაწყვეტადაც). სტრატეგიული ალიანსების შექმნა შეიძლება ქვეყნის ფარგლებშიც, მაგრამ განსაკუთ-რებულ სარგებელს მოიტანს ეროვნული ფირმებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა საერთაშორისო სტრატეგიულ ალიანსებში.

ვირტუალური ორგანიზაციის განმასხვავებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს "მრავალი კომპანიის (როგორც წესი, მცირე და საშუალო) არსებობა, რომლებიც აერთიანებენ რესურსებს ისეთი პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებ-საც ცალ-ცალკე ვერ განახორციელებენ. ვირტუალური ორგანიზაციის წევრები აღწევენ თავისი შესაძლებლობების საზღვრების გაფართოებას "ვირტუალური" განზომილობის არსებობის ხარჯზე და ამასთან ინარჩუნებენ ისეთ მოქნი-ლობას, რომელიც დამახასიათებელია მცირე კომპანიები-სათვის" [17]. ასეთი "ვირტუალური' ორგანიზაციების შექმნა შეიძლება ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში, ასევე, ეროვ-ნული კომპანოების ჩართვის გზით საერთაშორისო ვირტუა-ლური ორგანიზაციების ქსელებში.

ქსელური ურთიერთკავშირები დიდ როლს თამაშობენ **ინოვაციურ კლასტერებში.** ამ კლასტერების ბირთვები "ჩვეულებრივად წარმოადგენენ მეცნიერული და საწარმოო ორგანიზაციების ქსელს. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია ინოვაციური პროექტების დიდი რაოდენობით და გააჩნიათ შიდა ინფორმაციული სივრცე ინოვაციების გადაცემისათვის" [17]. ინოვაციური კლასტერები უფრო ხშირადაა ლოკალი-ზებული განსაზღვრული ტერიტორიების ფარგლებში, მაგრამ არ არის გამორიცხული მათი ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ორგანიზაციის შესაძლებლობაც, კერძოდ, საერთაშორისო მასშტაბებში. მაგრამ "კლასტერების იდენტიფიკაციის დროს საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ისინი ფუნქციონირებენ დამატებული ღირებულების შექმნის ერთიანი ჯაჭვის ჩარჩოებში" [17].

დიდი მნიშვნელობა აქვს ნეოინდუსტრიული ინოვაციური განვითარების პროცესში რეგიონალიზაციის (ქვეყნებსშორისი) ფაქტორების გამოყენებას. რეგიონალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე გლობალიზაციის განვითარების ერთ-ერთ მნიშვ-ნელოვან მიმართულებას და მოიცავს, როგორც ცნობილია, ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც ქმნიან გაერთიანებებს, კავ-შირებს და ა. შ., რომელთა ჩარჩოებში ადგილი აქვს ვაჭრობის, ფასწარმოქმნის, კაპიტალის მოძრაობის და შრომითი რე-სურსების მიგრაციის მეტ-ნაკლებად ლიბერალიზაციას.

ასეთ რეგიონულ გაერთიანებებში მონაწილეობის გარეშე, სადაც მონაწილე ქვეყნებისათვის დგინდება გარკვეული პრე-ფერენციები, ძნელია გლობალურ და რეგიონულ მასშტაბებში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის აშენება, რადგანაც ხვედრითი

დანახარჯები ტექნოლოგიურ ინოვაციურ განვითარებაზე ქვეყანაში უფრო დიდი იქნება, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებსაც პრეფერენციები გააჩნიათ. ამიტომ, ინოვაციური მშენებლობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მოახერხა ევროკავშირთან შეთანხმების მიღწევა ამ გაერთიანებაში ასოცირებულ წევრად მიღების თაობაზე. ამასთან, საქართველოს გააჩნია ბევრი საერთო პრობლემა ინოვაციური მშენებლობის სფეროში პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან (როგორც წესი, ამ ქვეყნებში მცირეა მაღალტექნოლოგიური წარმოებების პროდუქციის წილი (რუსეთშიც კი) მთლიან შიდა პროდუქტში, ყველა ამ ქვეყანაში მცირეა მსუბუქი მრეწ-ველობის დარგების პროდუქციის წილი და ა. შ.). ასე, მაგალითად, ამასთან დაკავშირებით რ. ს. გრინბერგი აღნიშნავს, რომ "საჭიროა (საბაჟო კავშირის ფარგლებში) საკუთარი ეკონომიკების რესტრუქტურიზაციის და დივერსი-ფიკაციის საერთო პროგრამის ინიცირება საბჭოთა მეც-ნიერულ-ტექნიკური პოტენციალის დარჩენილი წამოწყებების გამოყენებით" [18, გვ. 28]. გასაგები გარემოებების გამო (საქართველოს ასოცირება ევროკავშირთან, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ოკუპირებულ ტერი-ტორიებიდან ავტოქტონული ქართული მოსახლეობის გადევნა), საქართველოს არ შეუძლია საბაჟო კავშირში მონაწილეობა. მაგრამ, საქართველოს მთავრობის მიერ აღებულია კურსი რუსეთის ფედერაციასთან დაძაბულობის შერბილებასა და ეკონომიკური კავშირების აღდგენაზე. ამ პირობებში ქვეყნის მეწარმეებს შეუძლიათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთობლივ ინოვაციურ ტექნო-ლოგიურ პროექტებში (მაღალტექნოლოგიური საწარმოებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე რეანიმაცია და ა. შ.) ჩართვა თანამედროვე ქსელურ სტრუქტურებში მონაწილეობის ჩარჩოებში (მეცნიერულ-კვლევითი, საპროექტო და დამნერგავი ორგანიზაციების, ინვესტორების, ტექნოლოგიურ განახლებას ან რეანიმაციას დაქვემდებარებული წარმოებების და ა. შ. მონაწილეობით).

გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის პროცესებში ჩაბმა დააჩქარებს ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის ჩამო-ყალიბებას განვითარებული ქსელური ურთიერთკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი სტრუქტურული ეფექტის მიღებას ნეოინდუსტრიული ხასიათის სტრუქტურულ-დარგობ-

რივი ძვრების ხარჯზე და აქტიურ მონაწილეობას გლობალურ კონკურენციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abesadze R., Burduli V. Innovative Activities and Their Coordination under Advansing Globalization. – The Caucasus & Globalization (Journal of Social, Political and Economic Studies). Volume 3. Issue 4. 2009. CA&CC Press. SWEDEN.
2. Burduli V., Abesadze R. Sectoral, Tecnological and Institutional-Organization Structures of the Georgian Economy: Development Issues in the Context of Globalization. – The Caucasus & Globalization (Journal of Social, Political and Economic Studies). Volume 7. Issue 1-2. 2013. CA&CC Press. SWEDEN.
3. Freeman C. The "National System of Innovation" in Historical Perspective // Cambridge Journal of Economics. Vol. 19. P. 5-24.
4. Абел Аганбегян: что надо сделать, чтобы догнать и перегнать. 21 февраля 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ). www.tpp-inform.ru/analityc_journel/4336.html
5. Аганбегян знает, где взять деньги (Ната Марк. ТПП-Информ). www.tpp-inform.ru/analytic_journel/4339.html
6. Абесадзе Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тбилиси: 2014.
7. Абесадзе Р. Сетевая экономика и основные направления ее формирования в Грузии. В книге: SPOŁECZEŃSTWO SIECI. GOSPODARKA SIECIOWA W EUROPIE ŚRODKOWEJ I WSCHODNIEJ. T.1, "WYDAWNICTWO KUL", Lublin, 2011, c. 186-191.
8. Базылев Н. И., Соболева Н. В. Глобализация и «новая экономика» (соотношение понятий. – Проблемы современной экономики (Евразийский международный научно-аналитический журнал), №1/2 (13/14), 2005. www.m-economy.ru/art/php?nArtid=666
9. Баринов В., Жмуров Д. А. Развитие сетевых формирований в инновационной экономике. – ж.: Международный менеджмент в России и за рубежом, 2007, №1. dis.ru/library/561/561/25924/
10. Болычев О. Н., Волошенко К. Ю. Межорганизационные сетевые взаимодействия как определяющая форма научно-технического и инновационного сотрудничества России и Европейского Союза в Балтийском регионе. – ж.: Балтийский регион. №4/2013. cyberleninka.ru >Научные статьи> Экономика и экономические науки автор ОН БОЛЫЧЕВ-2013

11. Бурдули В., Церетели Г. Проблемы динамизации экономического развития Грузии. – Известия АН Грузии. Серия экономики. 1998, №4.

12. Васин С. Россия не должна проспать новую индустриальную революцию. 28 апреля 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ). www.tpp-inform.ru/analytic_journal/4541/html

13. Википедия-интернет: определения: «новая экономика», «экономика знаний», инновационная экономика.

14. Глазьев С. Возможности и ограничения технико-экономического развития России в условиях структурных изменений в мировой экономике. / С. Ю. Глазьев. www. spkurdyumov.narod.ru/glaziev/htm

15. Глазьев С. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. – Вопросы экономики, 2009, №3.

16. Голиченко О. Модели развития, основанного на диффузии технологий. – ВЭ, 2012, №4.

17. Горденко Г. В. Перспективы развития инновационных сетей. Innclub.info/wp-content/uploads/2011/02/горденко_6_конк_дд.doc

18. Гринберг Р. С. Контуры новой экономики и шансы евразийской интеграции. – Proceedings of Materials of International Scientific-practical Conference Dedicated to the 90-th Birth Anniversary of Professor George Papava: Actual Problems of Economies of Post-Communist Countries at Current Stage. (28-29 June, 2013). Tbilisi: 2013.

19. Илья Быковников: идет поиск моделей повышения конкурентоспособности российской промышленности. 13 мая 2014 г. (Ната Марк. ТПП-Информ) (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით).

20. ირაკლი ღარიბაშვილი: "ძალიან სუსტია ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა... ქვეყანაში ძალიან დაბალია დასაქმების ზრდის ტემპი". 18 თებერვალი, 2014. http://www.frontnews.ge/ge/news/27159-%/E1... (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით).

21. ქარჩავა თ. თანაინვესტირების ფონდში უკვე 6 მლრდ დოლარი აკუმულირებულია. www.for.ge/view/php?for_id=27126&cat=1

22. Клинов В. Какой должна быть экономическая политика *(О книге Э. Райнерта «Как богатые страны стали богатыми, и почему бедные страны остаются бедными»).* – Вопросы экономики, 2012, №1.

23. კომპანია „ალტამ“ და სინერჯი ჯგუფმა“ ინოვაციურ სტრუქტურულ მოდელზე მუშაობა დაასრულეს. 11.03.2014 (ძებნა ინტერნეტში სათაურის მიხედვით – internetnews.ge).

24. Корнаи Я. Инновации и динамизм: взаимосвязь систем и технического прогресса. – Вопросы экономики, 2012, №4.

25. May В. Между модернизацией и застоем: экономическая политика 2012 г. – ВЭ, 2013, №2.

26. Неоиндустриальная модель экономического развития и формирование перспективных инновационных кластеров (2013 г., Виртуальный проект, Казахстан). www.group-global.org/aef/view/163

27. Расулев А. Ф. Неоиндустриальная модель промышленности в свете формирования перспективных инновационных кластеров. shagdo.ru/docs/index-1008759.html

28. Сербиновский Б. Ю., Захарова А. С. О содержании терминов «инновационная экономика», «новая экономика» и «экономика знаний». – Научный журнал КубГАУ, №61(07), 2010. httr://ej/kubargo.ru/2010/07/pdf/11/pdf

29. Симачев Ю, Кузык М., Иванов Д. Российские финансовые институты развития: верной дорогой? – Вопросы экономики, 2012, №7.

30. Узун В. Российская политика поддержки сельского хозяйства и необходимость ее корректировки после вступления в ВТО. – Вопросы экономики, 2012, №10.

31. თანაინვესტირების ფონდი: ყველა კარგ პროექტს დავაფინანსებთ. 07-10-2013. ქვეყანაში 6 მლრდ დოლარის მოცულობის პირდაპირი ინვესტიციები განხორციელდება (ე. ტუხაშვილი). www.kvirispalitra.ge/economic/18928-thanainvestirebis-fondi-yvela-karg-proeqts-davafinansebt.html

32. Эллман М. Что исследование переходных экономик дало мейнстриму экономической теории? – Вопросы экономики, 2012, №8.

33. Юданов А. Что такое инновационная фирма. – Вопросы экономики, 2012, №7.

34. Юданов А. Ю. Конкуренция: теория и практика. – М.: Акалис, 1996.

35. www.fund.ge/geo/who_we_are/04/

36. www.esco.ge/files/kanoni_sap._fondis_shesaxeb.pdf

Vakhtang Burduli

THEORETICAL ASPECTS OF NEO-INDUSTRIAL DEVELOPMENT AND BUILDING OF INNOVATIVE ECONOMY IN CONDITIONS OF GLOBALIZATION

Annotation

We have investigated the theoretical aspects of the content, the interrelation and interdependence of the concepts of "neo-industrial development" and "innovation economy".

The concept of "neo-industrial development" and "neo-industrial economy" is investigated and substantiated with the emphasis on their structural-sectoral and structural-technological aspects.

The contents of several modern definitions of the concept of "innovation economy" is critically examined and on this basis is formulated and justified the author's extended definition (taking into account the positive sides of other discussed definitions).

The relationship, interdependence and partial interoperability of concepts "neo-industrial development", "innovation economy" and "knowledge economy" is shown and substantiated and it is proved that under conditions of globalization, they are the absolute main directions of economic development of the country.

Special attention is paid to the study of modern content and systematization of financial development institutions and network interconnections. It is shown that these concepts are the main absolute attributes of neo-industrial innovative development of the country.

გიორგი ბერულავა

ეკონომიკური განვითარების პროცესში ინსტიტუტების როლის შესახებ

წინამდებარე კვლევაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური განვითარების პროცესში საბაზრო ინსტიტუტების როლის განხილვას. თანამედროვე ეტაპზე ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ისეთი სტიმულების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც წაახალისებს ბიზნესს საწარმოო საქმიანობაში სახსრების ინვესტირების და არა რენტის ძიებისათვის. საქმე ეხება ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელ სამართლებრივ და

მარეგულირებელ გარემოს. კერძოდ, არეგულირებენ საკუთრების უფლებებს, საკონტრაქტო ურთიერთობებს, აგრეთვე ბაზრიდან გამოსვლას და ბაზარში შესვლას და ა.შ. ეს ინსტიტუტები, რომლებიც ავსებს საბაზრო კონკურენციის მექანიზმს, მათ უფრო ეფექტიანს ხდის ბაზრის განუსაზღვრელობისა და ტრანსაქციური დანახარჯების შემცირების, სწავლებისა და ცოდნის სტიმულების უზრუნველყოფის, ინოვაციების სტიმულირების, მეწარმეობისა და საწარმოო საქმიანობისათვის ეკონომიკური აგენტების წახალისების გზით.

საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის მხარდამჭერი ინსტიტუტების რთულ სისტემას, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა. დუგლას ნორთის მიხედვით, ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავება მათი ინსტიტუციური გარემოს განსხვავებულობით შეიძლება აიხსნას [6]. ეკონომიკური განვითარებისთვის ინსტიტუციური ბაზის მნიშვნელობა განისაზღვრება ეკონომიური სუბიექტებისთვის სათანადო სტიმულირების სისტემის შექმნის უნარით, რაც გავლენას ახდენს მათ გადაწყვეტილებებზე ინვესტირებისა და ინოვაციების მიმართ. თუმცა, ნეოკლასიკური ზრდის თეორია ეკონომიკურ ზრდაზე პასუხისმგებლად მხოლოდ ერთ ინსტიტუტს – ეფექტიან ბაზარს მიიჩნევს, ხოლო სხვა ინსტიტუტებს ამ მხრივ არ ანიჭებს რაიმე მნიშვნელობას.

ადამ სმითის მოღვაწეობის პერიოდიდან დაწყებული, საბაზრო კონკურენციას ეკონომისტები ცალსახად მიიჩნევენ ეკონომიკური პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალად. კონკურენტული პროცესების განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ფასებს ანიჭებს ეკონომიკის ძირითადი მარეგულირებელი ფაქტორის როლს, რაც უზრუნველყოფს რესურსების ყველაზე ეფექტიანად განაწილებას. ეს დასკვნა დაფუძნებულია იმ დაშვებაზე, რომ ფასებში ჩადებულია სრული ინფორმაცია, რომელიც საკმარისია საბაზრო ურთიერთობების მონაწილეებისთვის ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. სხვა სიტყვებით, ბაზარზე მოქმედებს "უხილავი ხელი", რომელიც კონკურენციის საფასო მექანიზმების საშუალებით უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შესატყვისი საწარმოო ფაქტორების კომბინაციის შექმნას.

თუმცა, ბოლო ორასი წლის მანძილზე, კონკურენციის პროცესმა, ისევე, როგორც საბაზრო ურთიერთობების დამახასიათებელი საბაზისო გარიგებების მრავალფეროვნებამ,

კარდინალური ცვლილებები განიცადა. ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ეტაპი, რომელიც ასოცირდება ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა Iნდუსტრიალიზაცია, ინოვაციები და ტექნიკური პროგრესი, მოითხოვს მუშახელის დაყოფისა და სპეციალიზაციის გაღრმავებას, წარმოების მასშტაბების ზრდას და ბაზრების გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებას, რასაც, თავის მხრივ, თან ახლავს მნიშვნელოვანი ინვესტიციები წარმოებისა და ადამიანური რესურსების სფეროებში ახალი მეთოდების დასანერგად. ასეთი პროცესების შედეგად მოხდა საბაზრო გარიგებების რაოდენობისა და სირთულის ხარისხის მნიშვნელოვანი მატება. უფრო მეტიც, თავად გარიგებები ნაკლებად პერსონიფიცირებული გახდა ადამ სმითის დროინდელ პერიოდთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ, გარიგებების რაოდენობისა და სირთულის დონის ზრდასთან ერთად, შესაბამისი რისკ-ფაქტორებიც და გარიგებების ხარჯებიც იზრდება. გარიგების ხარჯები, რომლებიც ინფორმაციის დეფიციტითაა განპირობებული, მოიცავს, რესურსების გაცვლისა და გამოყენების პროცესში მათ შეძენაზე, დაცვასა და გასხვისებაზე მიმართულ სახსრებს [11]. გაღრმავებული სპეციალიზაციის, მუშახელის დაყოფის და მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკის პროგრესისთვის, ფასებში ჩადებული ინფორმაცია სრულებით აღარ არის საკმარისი ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად. ბაზრის განუსაზღვრელობის დონის ზრდა იწვევს გარიგებების ხარჯების მკვეთრ მატებას და მთლიანობაში აქვეითებს ეკონომიკის ეფექტიანობას.

ამდენად, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ახერხებს იგი მის წინაშე მდგარი დილემის გადაჭრას – ერთდროულად ხელი შეუწყოს რთული გარიგებების განხორციელებას და უზრუნველყოს გარიგებების დაბალი ხარჯები. საბაზრო კონკურენციის ინსტიტუტს ამ პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა არ შეუძლია და საჭიროებს სხვა ინსტიტუტების მხარდაჭერას. მაგალითად განვითარებულ ეკონომიკებში კონკურენციის საბაზრო მექანიზმებს ემატება ქონებრივი უფლებების უზრუნველმყოფი ინსტიტუტები. ასეთი ინსტიტუტების ხელმისაწვდომობა, განუსაზღვრელობის დონისა და გარიგებების ხარჯების შემცირებასთან ერთად, ხელს უწყობს სპეციალიზაციის გაღრმავებასა და თანამშრომლური

დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ისევე, როგორც განაპირობებს ფირმების მოტივირებას ინოვაციებში ინვესტირების მიმართვის კუთხით. ორივე, საბაზრო კონკურენციის მექანიზმები და ქონებრივი უფლებების ინსტიტუტები, შეადგენს განვითარებული ბაზრების წარმატების საფუძვლებს.

დუგლას ნორთი ინსტიტუტებს განმარტავდა, როგორც "... ადამიანების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვებს, რომლებიც ჩადებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთქმედებებში ...", რომელთა შემადგენლობაში შედიან "... როგორც არაფორმალური შეზღუდვები (სანქციები, აკრძალვები, ჩვეულებები, ტრადიციები და ქცევის ნორმები), ასევე ოფიციალური წესები (კონსტიტუციები, კანონები, ქონებრივი უფლებები)" [4, გვ. 97]. მართალია, ბაზრის შემავსებელი ინსტიტუტები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, მთლიანობაში მათი ურთიერთქმედება უზრუნველყოფს ბაზრის შესახებ ძირეული ინფორმაციის გავრცელებას, ქონებრივი უფლებების სამართლებრივ ამოქმედებას, კონტრაქტების შესრულებას და კონკურენციის განვითარებას, რაც ეკონომიკურ სუბიექტებს აძლევს სათანადო შესაძლებლობებსა და სტიმულს საბაზრო საქმიანობებში ნაყოფიერი მონაწილეობისთვის. ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, საბაზრო ინსტიტუტების მიერ ამ ფუნქციების რეალიზაციას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების გარანტირებისთვის [1].

პირველი, საბაზრო პირობების, საქონლის და ეკონომიკური სუბიექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით ეს ინსტიტუტები საშუალებას აძლევენ ცალკეულ კომპანიებს, უმცირესი დანახარჯებით შეარჩიონ პარტნიორები, განამტკიცონ მათი გადახდისუნარიანობა და განსაზღვრონ საქმიანობის ყველაზე მომგებიანი სფეროები. იმავდროულად, ხდება ბიზნესის რეგულირების სფეროში სახლმწიფოს შესაძლებლობებისა და პოტენციალის ზრდა. ასეთი ინსტიტუტების მაგალითებს წარმოადგენენ, აუდიტორული კომპანიები, კრედიტების სარეგისტრაციო სისტემები, სადამკვირვებლო, ანუ ე.წ. "მოთვალთვალე" კომპანიები, ინფორმაციის ნაკადების სახელმწიფო დონეზე რეგულირების სხვადასხვა ფორმები და ა.შ. ეს ინსტიტუტები გავლენას ახდენენ ბიზნესის სხვადასხვა სფეროში და განსხვავებულ ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტებისთვის საჭირო ცოდნისა და ინფორ-

მაციის გენერირების, შეგროვების, გაანალიზების, დამოწმების და გადაცემის პროცესებზე.

მეორე, საბაზრო ეკონომიკის საბაზისო ინსტიტუტს ქონებრივი უფლებები ქმნის. ქონებრივი უფლებები განსაზღვრავს ეკონომიკური სუბიექტების კომპეტენციას ქონების გამოყენების, შემოსავლების მიღების და სხვა სუბიექტებისთვის საკუთრების უფლების გადაცემის მიმართულებით. კონტრაქტებისა და ქონებრივი უფლებების მკაფიოდ განმარტებისა და ლეგალიზების გზით ინსტიტუტები ნათლად განსაზღვრავენ ეკონომიკური აგენტების მიერ მისაღები სარგებლის მოცულობას და შესაბამის ვადებს. კერძოდ, კონსტიტუციური უფლებები, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემები, არაოფიციალური სოციალური ნორმების სისტემები და სხვ. ინსტიტუტები თითოეულ ეკონომიკურ სუბიექტს აძლევენ ქონებრივი უფლებების მკაფიოდ განსაზღვრისა და დაცვის, შესაძლო კონფლიქტების გადაჭრასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების და კონტრაქტების პირობების ამოქმედების შესაძლებლობას. ინსტიტუციური საქმიანობების ყველა ეს შედეგი უაღრესად მნიშვნელოვანია გამართული საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის.

მესამე, სახელმწიფო მარეგულირებელ ინსტიტუტებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონკურენციის დონეზე და შექმნან ან მოხსნან ბაზარზე შესვლაზე მოქმედი დაბრკოლებები. კონკურენციის განვითარება არა მარტო უზრუნველყოფს ეკონომიკურ აგენტებს თანაბარი შესაძლებლობებით, არამედ, ასევე, ასტიმულირებს ინოვაციურ მიდგომებსა და ეკონომიკის ზრდას.

ეს ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას ინფორმაციის ასიმეტრიულობის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებული გარიგებების ხარჯების შემცირების გზით. თავის მხრივ, ეს ასტიმულირებს ინვესტიციებს, ხელს უწყობს ეკონომიკური სუბიექტების სამეწარმეო აქტივობას, ინოვაციებს და მათი საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას [12].

მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მიჯნა ნეოკლასიკურ და ინსტიტუციურ ეკონომიკურ თეორიებს შორის საბაზრო ინსტიტუტების უზრუნველყოფის მიმართებით, სახელმწიფოს როლის გააზრებაზე გადის. ნეოკლასიკურ ეკონომიკურ ლიტერატურაში, ბაზრის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიმართებით სახელმწიფოს მნიშვნელოვნად შემცირებული

როლი ენიჭება. ინსტიტუტები საერთოდ არ განიხილებიან ბაზრის ეფექტიანობისთვის აუცილებელ კომპონენტად, არამედ უფრო აღიქმებიან, როგორც თავისთავად არსებული სტრუქ-ტურები. უფრო მეტიც, იგულისხმება, რომ ეკონომიკა იმყოფება თვითრეგულირებად (laissez-faire) მდგომარეობაში. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ბაზარი არ არის უზრუნველყოფილი სრულყოფილი ინფორმაციით ან ზოგიერთი საბაზრო სეგმენტი გამორჩენილია, ბაზარს აღარ შეუძლია მისი მთავარი ამო-ცანის გადაჭრა, რაც რესურსების ეფექტურ განაწილებაში მდგომარეობს. სტიგლიცის მიხედვით, ასეთ ვითარებაში ნეოკლასიკურ მოდელს, რომელიც ხაზს უსვამს "უხილავი ხელის", როგორც ეკონომიკის მარეგულირებელი მექანიზმის როლს, ნაკლებად შეუძლია გამოდგეს ეკონომიკური არჩევანის სახელმძღვანელოდ, რის გამოც ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობა უდავო და განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს [10]. ამგვარი აუცი-ლებლობა იმ უბრალო ფაქტით აიხსნება, რომ ეკონომიკას არ ძალუძს ეფექტიანი ფუნქციონირება სახელმწიფოს მიერ არა-სრულყოფილი ბაზრების სათანადო დამატებითი ინსტიტუ-ტებით გაძლიერების გარეშე.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, არასრული ბაზრების და არასრულყოფილი საბაზრო ინფორმაციის პირობებში, სახელმ-წიფო გაცილებით უფრო სერიოზულ როლს თამაშობს ეკო-ნომიკის რეგულირებაში, ვიდრე ეს ნეოკლასიკური ეკო-ნომიკური თეორიით იგულისხმება. განვითარებულ კაპიტა-ლისტურ საზოგადოებებში, სახელმწიფო (საბაზრო მექანიზ-მებთან, ბიზნესგარემოსთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სხვა კომპონენტებთან ერთად) მხარს უჭერს ეკონომიკის ინსტიტუციურ მოწყობას, რისთვისაც განსაზღვრავს ეფექტიან სამართლებრივ რეჟიმს, რომელშიც ქონებრივი უფლებები მკაფიოდ გამიჯნული და დაცულია [5, 3].

შეუძლებელია საბაზრო ინსტიტუტები შეიქმნას, თუ ეკონომიკა სახელმწიფოსგან იზოლირებულად ვითარდება. უფრო მეტიც, სამართლებრივი რეჟიმი და პოლიტიკური სისტემა არ არის დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემისგან (როგორც ეს ნეოკლასიკოსებს მიაჩნიათ). ამის საწინააღმ-დეგოდ, ისინი ღრმად არიან ჩამჯდარი ეკონომიკის წყობაში, რომელიც, თავის მხრივ, შეუძლებელია არსებობდეს ასეთი სტრუქტურების გარეშე [7]. სახელმწიფო გამჯდარია მთელს ეკონომიკურ სისტემაში და, ეკონომიკურ სუბიექტებზე

გავლენის მქონე სამართლებრივი და ინსტიტუციური ინფრა-სტრუქტურების სახით, წარმოადგენს დასაყრდენს ამ სუბიექ-ტებს შორის წარმოებულ ყველა კერძო სახის ურთიერთო-ბისთვის. სწორედ სახელმწიფოა ის ელემენტი, რომელიც თავისი ადმინისტრაციული, სამართლებრივი და საკანონმდებ-ლო ინსტიტუტებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ აგენტებზე ეკონომიკური ორგანიზების ადეკვატური ფორმების შერჩევის პროცესში და, ამდენად, განსაზღვრავს მთელი ეკონომიკური სისტემის სტურქტურასა და საბაზისო მახასიათებლებს [2].

ქონებრივი უფლებების დამკვიდრების უნარი სახელმ-წიფოს ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს და მას მთლიანი ეკონომიკის ორგანიზებაზე გავლენის შესაძლებლობას აძლევს. სწორედ სახელმწიფოს უნარი, გავლენა იქონიოს ეკონომიკურ სისტემაზე, წარმოადგენდა იმ ასპექტს, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ იყო აღიარებული და სათანადოდ შეფასებული მრავალი ეკონომისტის მიერ. ადამ სმითის მიერ ფორმულირებული ბაზრის "უხილავი ხელის" კონცეფციის ანალოგიურად, შეიძლება ვისაუბროთ სახელმწიფოს "შეუმჩნე-ველ ხელზე". ორივე აღნიშნული ფაქტორი თანდაყოლილად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთი მეორეს ავსებენ განვითარებული ეკონომიკური სისტემისთვის საჭირო აუცი-ლებელი და საკმარისი პირობების შექმნისას.

შუმპეტერის მიხედვით [8; 9], ეკონომიკური განვი-თარებისა და ზრდის ამოსავალ წინაპირობას წარმოადგენს ისეთი ფირმების არსებობა, რომლებსაც გააჩნიათ ცოდნის მიღებისა და სათანადოდ გამოყენების, სამეწარმეო აღმო-ჩენების და ინოვაციების განხორციელების, ბაზრების დარღვე-ვის და ზემაღალი მოგების მიღების უნარი. თავის მხრივ, ნოვატორების არსებობა დამოკიდებულია ქვეყნის შესაძ-ლებლობაზე, უზრუნველყოს სათანადო ინსტიტუციური გარე-მო, რომელშიც ნოვატორების ზემაღალი მოგება საკმარისად მდგრადი იქნება, რათა მოახდინოს ინოვაციებთან დაკავ-შირებული გაზრდილი ხარჯების კომპენსირება. ამ კონ-ტექსტში, განვითარებად ქვეყნაში ეკონომიკური განვითარების პროცესის საბოლოო წარმატებულობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად წარმატებით მოხდება ქვეყანაში ნოვატორი ფირმებისთვის, სათანადო სტიმულირების სისტემის უზრუნ-ველმყოფი ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა. ქვეყნებში, სადაც ამგვარი შეღავათიანი სტრუქტურის უზრუნველყოფის

მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, ვერ მოხდა მდიდარი ქვეყნებიდან ჩამორჩენის საგრძნობი შემცირება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბაზრის ქმედითი ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ქონებრივი უფლებების, საკონტრაქტო პირობების შესრულების, სესხების დაბრუნებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებისა და გარიგებების ხარჯების შემცირების უზრუნველმყოფი და საწარმოო ფაქტორების რაციონალურობის ამაღლების ხელშემწყობი ქმედითი ინსტიტუტების არსებობის პირობებში. მხოლოდ ასეთ ვითარებაში მიიღებენ ეკონომიკური სუბიექტები ინოვაციების განხორციელებისთვის საჭირო შესაძლებლობას და სტიმულებს, რაც ეკონომიკის მდგრადი განვითარების წინაპირობებს წარმოადგენს. დასავლეთის ქვეყნების კეთილდღეობას განსაზღვრავს სათანადო ინსტიტუციური გარემოს არსებობა, რომელიც მოიცავს რაციონალურ ბაზრებს, სტაბილურ პოლიტიკურ სტრუქტურებს, მკაფიოდ განსაზღვრულ და მოქმედ ქონებრივ უფლებებს და კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფისთვის საჭირო ხარჯების სიმცირეს (ჩვეულებრივ, საკანონმდებლო ნორმების გამოყენების გზით). ასეთ გარემოში ხდება ფირმების მხრიდან რესურსების რაციონალური გამოყენების, ფაქტორების ზრდისა და ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობა და სტიმულირება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის საკვანძო საკითხს უნდა წარმოადგენდეს იმ დაწესებულებებისა და მოქმედებების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობენ ისეთი სამეწარმეო ან ინსტიტუციური გარემოს შექმნას, სადაც ინოვაციების დამნერგავი სუბიექტებისთვის გარანტირებული იქნება გაზრდილი მოგების მიღების შესაძლებლობა, რაც ასევე ნიშნავს ფირმებისთვის ინოვაციებში ინვესტირების განსახორციელებლად სათანადო შედავათიანი პირობების შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Acemoglu, Daron, Philippe Aghion, and Fabrizio Zilibotti, (2002), “Distance to Frontier, Selection, and Economic Growth,” NBER Working Paper No. 9066, July.

2. Campbell L. John and Leon N. Lindberg. (1990) “Property Rights and the Organization of Economic Activity by the State”, *American Sociological Review,* Vol. 55, Issue 5 (October): pp. 634-647.

3. Furubotn, G., Eirik and Rudolf Richter.(2003). *Institutions and Economic Theory: The Contribution of the New Institutional Economics*. Ann Arbor: The University of Michigan Press.

4. North Douglass C. (1991). "Institutions", *The Journal of Economic Perspectives*, Vol. 5, Issue 1 (Winter), pp.97-112.

5. North Douglass C.(1990). *Institutions, Institutional Change and Economic Performance*. Cambridge: Cambridge University Press.

6. North, Douglass C. and Robert P. Thomas (1973). *The Rise of the Western World: A New Economic History*. Cambridge University Press, Cambridge UK.

7. Rapaczynski A. (1996). "The Role of the State and the Market in Establishing Property Rights", *Journal of Economic Perspectives*, Vol. 10., N2 (Spring): pp. 87-103.

8. Schumpeter, J. A. (1934). *The Theory of Economic Development*. Cambridge, MA: Harvard University Press.

9. Schumpeter, J. A. (1942). *Capitalism, Socialism and Democracy*. New York: Harpers and Row.

10. Stiglitz, J.E. *Whither Socialism?* Cambridge: Cambridge University Press, 1994.

11. Williamson Oliver E. "The Economics of Organization: The Transaction Cost Approach", *American Journal of Sociology*, Vol.87, Issue 3 (Nov. 1981), pp.548-577.

12. World Bank (2001). *World Development Report 2002: Building Institutions for Markets*. The World Bank, Washington DC.

George Berulava

ON THE ROLE OF INSTITUTIONS IN THE PROCESS OF ECONOMIC DEVELOPMENT

Annotation

The paper considers the role of market institution in the process of economic development. At present stage, the development of the efficient market system implies creation of the incentive structure that will stimulate businesses to invest in innovation and production activities rather than to 'rent-seeking' behavior. Such an incentive structure, in turn, is a product of viable institutions guaranteeing property rights, honoring of contracts and payment of credits, lowering of transaction costs and facilitating increase of the effectiveness of the market of production factors. Only under such conditions economic agents receive the possibility and stimuli for innovation, thus creating preconditions for steady economic growth.

რევაზ ჯავახიშვილი

ევროკავშირი: ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა, მისი შექმნა და განვითარება

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება და ღრმავდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, რაც ახალ დიდ შესაძლებლობებს ქმნის ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის. მსოფლიო მასშტაბით ახალ-ახალი სავაჭრო ბლოკების შექმნა და მათი გავლენის გაძლიერება მიუთითებს ქვეყნების სწრაფვაზე მათ შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავების შესახებ, რომლის მიზანია სამამულო კომპანიებისათვის ახალ-ახალი ბაზრების შექმნა და ბიზნესსაქმიანობის არეალის გაფართოება, ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური ინტეგრაციის როლი ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებასა და მათი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

გლობალიზაციის ეპოქაში ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია ეკონომიკის გლობალიზაციისა და მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების ფონზე ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ „ეკონომიკურ გლობალიზაციასა" და „ეკონომიკურ ინტეგრაციას" შორის არსებობს მნიშვნელოვანი მსგავსება და მჭიდრო ურთიერთკავშირი, სინამდვილეში მათ შორის არის არსებითი განსხვავება. აღნიშნული ცნებების შინაარსის სრულყოფილი გაგებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა ჯერ ზოგადად გლობალიზაციის არსის განსაზღვრა და შემდეგ მისი ზემოქმედების დადგენა ეკონომიკური გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების მიმდინარეობაზე.

გლობალიზაცია, უწინარეს ყოვლისა, არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მოძრაობას, სხვადასხვა სისტემების ურთიერთდაახლოებას, სისტემებს შორის საზღვრების მოშლას ან შესუსტებას. ეკონომიკურ ლიტერატურაში გლობალიზაციის ცნების განმარტების შესახებ არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. თუმცა, საერთო ისაა, რომ იგი განმარტებულია როგორც ქვეყნებს შორის ტერიტორიული, ენობრივი, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-ცივილი-

ზაციური ბარიერების რღვევის პროცესი. ზოგადად კი, გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების პროცესს, რომელიც არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფსიქიკურ ბარიერებს და მიმართულია კულტურულ-ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისაკენ [1, 17-18].

თავისი შინაარსის მიხედვით არსებობს სრული და არასრული, ანუ ნაწილობრივი გლობალიზაციის ფორმები. პირველი მათგანი გულისხმობს გამთლიანებულ სისტემას, რომელიც მოიცავს ცოცხალ და არაცოცხალ, მატერიალურ და არამატერიალურ სისტემებს. ნაწილობრივ გლობალიზაციაში კი იგულისხმება: ყოფიერებისა და ცნობიერების გლობალიზაცია; ფიზიკური და ვირტუალური სივრცის გლობალიზაცია; პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაცია; დემოგრაფიული, კულტურული, ეკოლოგიური, სამხედრო და ზნეობრივი გლობალიზაცია. ნაწილობრივი გლობალიზაცია პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ გლობალიზაცია მუდმივი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ინტენსივობით მიმდინარეობს.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით იზრდება **ეკონომიკური გლობალიზაციის** როლი, რაც გამოიხატება: საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი ზრდით; კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მნიშვნელოვანი დაჩქარებით, პირველ ყოვლისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადიდებით; საერთაშორისო შეთანხმებების გაფართოების კვალობაზე ქვეყნებს შორის ეკონომიკური ბარიერების შესუსტებით; გლობალური ფინანსური სისტემის განვითარებით; ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და მათი ალიანსების საქმიანობის გაფართოებით; საერთაშორისო გარიგებების განხორციელებაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლის ზრდით. ეკონომიკური გლობალიზაციის არსი იმითაც გამოიხატება, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში წაშლილია ეკონომიკური საზღვრები და თავისუფლად შეიძლება ნებისმიერი ეკონომიკური რესურსის მოპოვება, გადამუშავება და გამოყენება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მიუხედავად მათი წარმომავლობისა.

ეკონომიკურ გლობალიზაციას აქვს დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია: მსოფლიო ეკონომიკის მრავალგანზომილებიან განვითარებაზე გადასვლა; გლობალი-

ზაციის სივრცობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია; ცოდნის გლობალიზაციის დონის ამაღლება, რაც გამოიხატება ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისაკენ სწრაფვაში; ბუნების, საზოგადოებისა და ინდივიდის ერთიანობისა და ურთიერთ-დამოკიდებულების გაღრმავება; ეკონომიკის ყველა სფეროში გლობალური ბაზრების ფორმირება და მცირე ბაზრების მქონე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დაჩქარება; მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური რესურსების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს შემოსავლების გადიდებას, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირებასა და სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის აღმოფხვრას [3,11-12].

რაც შეეხება საკუთრივ **ეკონომიკურ ინტეგრაციას**, იგი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდაახლოების პროცესია, რომელიც მათ შორის მსგავსი ბიზნესგარემოს შექმნას, ცხოვრების დონისა და ხარისხის გამოთანაბრებას გულისხმობს. ისევე, როგორც ეკონომიკური გლობალიზაცია, ეკონომიკური ინტეგრაციაც საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების დონითაა განსაზღვრული. განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია შედარებით სუსტად, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის უფრო ძლიერად ვლინდება.

ინტეგრაციული გაერთიანების შექმნა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მიზეზებითაა განპირობებული. ინტეგრაცია განსაკუთრებით ხელსაყრელია პატარა ქვეყნებისათვის, რომელთაც უფრო მეტი საშუალება ეძლევათ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისათვის. მეორე მხრივ, იგი საშუალებას იძლევა ცალკეული ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. სწორედ ამითაა განპირობებული თანამედროვე მსოფლიოში მათი ქსელის სწრაფი გაფართოება. ამჟამად მსოფლიოში 367-ზე მეტი საინტეგრაციო დაჯგუფება და 70 საინტეგრაციო ბლოკია. საინტეგრაციო შეთანხმებები ფართოდ გავრცელდა დედამიწის ყველა კუთხეში, რომელთა რიცხვმა დაახლოებით 400-ს მიაღწია [2, 132-133].

ეკონომიკური ინტეგრაციის არსის გარკვევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა, რომელთაგან აღსანიშნავია: შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და კოოპერირების გაღრმავება, საშინაო და საგარეო ბაზრის ტევადობის გაფართოება, მასშტაბის

ეკონომიისა და მოგების მოცულობის გადიდება, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, დასაქმების დონის ზრდა და უმუშევრობის შემცირება და ა.შ. აღნიშნულ ფაქტორთა ამოქმედების შედეგად ვითარდება და იცვლება ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციული ბლოკები, თავიანთი ტიპებიდან და შესრულებული ფუნქციებიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან, რასაც საფუძვლად უდევს ბლოკის წევრ-ქვეყანათა შორის ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი. სწორედ ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს ბიზნესის წარმოების პროცესში კომპანიის საექსპორტო და საინვესტიციო შესაძლებლობებს როგორც ეკონომიკური გაერთიანების წევრ-ქვეყნებს, ისე იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ შედიან ასეთ გაერთიანებაში. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შემდეგ ძირითად ფორმებს: თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, სრული ეკონომიკური კავშირი (გაერთიანება).

თავისუფალი ვაჭრობის ზონა – ეს არის ქვეყნების ჯგუფი, სადაც მოხსნილია სავაჭრო ბარიერები: საბაჟო ტარიფები, ქვოტები და სხვა არასატარიფო შეზღუდვები. ეკონომიკური ინტეგრაციის ეს ფორმა სპობს შიდა ბარიერებსა და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ჯგუფის ყველა მონაწილე ქვეყნისთვის, რამდენადაც თითოეულ მათგანს შეუძლია დასპეციალდეს იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომლისთვისაც აქვთ მათ ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები. ასეთი შეთანხმების მაგალითებად შეიძლება დასახელდეს თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (EAST) და თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაცია (NAFTA).

საბაჟო კავშირი – ეს არის ინტეგრაციულ კავშირში შემავალი ქვეყნების საბაჟო ტერიტორია, სადაც არსებობს ერთიანი საბაჟო ტარიფი იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებიც გააქვთ ან შემოაქვთ ინტეგრაციაში არმყოფი ქვეყნებიდან. ინტეგრაციის ეს ფორმა ეფუძნება საბაჟო კავშირში შემავალ წევრ-ქვეყნებს შორის საშინაო ვაჭრობის შეზღუდვების აღმოფხვრასა და ამ ქვეყნებსა და ინტეგრაციის გარეთ მყოფ ქვეყნებს შორის საერთო პოლიტიკის განხორციელებას, რაც სავაჭრო ნაკადების გადართვასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების საშუალებას

იძლევა. ამის საუკეთესო მაგალითებია: ანდების გაერთიანება (5 ქვეყანა), კარიბის გაერთიანება (15 ქვეყანა) და მერკოსური (4 ქვეყანა).

საერთო ბაზარი – ეს არის საყოველთაო ეკონომიკური ინტეგრაციის მესამე საფეხური, საერთო ეკონომიკური სივრცე, სადაც გაერთიანებულია გარკვეული რაოდენობის ქვეყნები, რომელთათვისაც განსაზღვრულია თანაბარი პირობები. საბაჟო კავშირის მსგავსად, საერთო ბაზარში შემავალ ქვეყნებს შორისაც მოხსნილია ყოველგვარი სავაჭრო და საბაჟო ბარიერები და გაერთიანებისა და მის გარეთ მყოფ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ხორციელდება ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის საფუძველზე. საერთო ბაზრის არსებითი თავისებურებაა ინტეგრაციაში შემავალ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის, კაპიტალის, ახალი ტექნოლოგიების, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება, რაც ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის დონის ამაღლებას ყველა ქვეყანაში, რამდენადაც წარმოების ფაქტორები ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეიძლება განთავსდეს იქ, სადაც მათ ყველაზე დიდი ეფექტის მოცემა შეუძლიათ. საერთო ბაზარში შემავალი ქვეყნები, ახორციელებენ რა ერთიან სავაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკას, თითოეული მათგანი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში. ინტეგრაციის ასეთი ფორმის მაგალითად შეიძლება დასახელდეს სამხრეთ-ამერიკის ქვეყნების ბაზარი, რომელიც მოიცავს 4 ლათინოამერიკულ ქვეყანას.

ეკონომიკური კავშირი წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლეს ფორმას, რომელიც გულისხმობს ორი ან მეტი ქვეყნის სრულ ეკონომიკურ ინტეგრაციას. გარდა საერთო ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა, ეკონომიკური კავშირი გულისხმობს მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის – ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის, აგრეთვე, სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების კოორდინაციას, ერთიანი ვალუტის შემოღებას. სადღეისოდ სრული ეკონომიკური ინტეგრაციის ერთადერთი და საუკეთესო მაგალითია ევროკავშირი, რომელიც აერთიანებს 28 სუვერენულ ქვეყანას, სადაც შემოღებულია ერთიანი ვალუტა – ევრო და არსებობს ევროზონა, რომელშიც გაერთიანებულია ევროკავშირის 16 ქვეყანა.

ეკონომიკური ინტეგრაციის დინამიკა და ხარისხი ეკონომიკის განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით

მნიშვნელოვნად განსხვავებულია, რასაც თავისი მიზეზები და ახსნა აქვს. მაგალითად, ეკონომიკის განვითარების ინდუსტრიულ ეპოქაში ეკონომიკური ინტეგრაციის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება წარმოების პროცესში მატერიალური რესურსების ინტენსიური გამოყენება და ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდა. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში კი, ეკონომიკის განვითარებაში მომხდარი რადიკალური ძვრების გამო, წინა პლანზე გამოდის ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში, ცოდნა, განათლება, სინერგიულობის ხარისხი. ამ ეტაპზე ეკონომიკური ინტეგრაცია ხორციელდება თანამედროვე ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და კულტურულ-ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ერთიანი საგანმანათლებლო, ინფორმაციული, ტექნოლოგიური სივრცის ჩამოყალიბებას, კულტურული, პოლიტიკური, ზნეობრივი ინტეგრაციის გაღრმავებას [3, 49].

სადღეისოდ ეკონომიკურ ინტეგრაციულ გაერთიანებათა შორის ყველაზე მძლავრი და სიცოცხლისუნარიანია ევროკავშირი, რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უდიდესი პოტენციალი. თავისი ნახევარსაუკუნოვანზე მეტი ხნის არსებობის მანძილზე, ევროკავშირმა მიაღწია არნახულ წარმატებებს, მან დაამყარა მშვიდობა თავის წევრსახელმწიფოებს შორის, შექმნა გაერთიანების მძლავრი ეკონომიკური ბაზა და დიდი კეთილდღეობა მოუტანა ინტეგრაციაში შემავალი ქვეყნების მოქალაქეებს, რასაც ცალ-ცალკე ვერც ერთი ქვეყანა ვერასდროს მიაღწევდა.

ევროინტეგრაციულმა კავშირმა თავისი შექმნისა და განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო. მანამადე კი ევროპის გაერთიანების იდეა მხოლოდ ფილოსოფოს-მოაზროვნეებისა და საზოგადო მოღვაწეთა იდეალი იყო. დიდი ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვიქტორ ჰიუგო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ოცნებობდა ჰუმანისტური იდეალებით განმსჭვალულ „ევროპის შეერთებულ შტატებზე", მაგრამ გასული საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიო ომებით გამოწვეულმა ნგრევამ ძირშივე მოუსპო საფუძველი ასეთი იდეის პრაქტიკულ განხორციელებას.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, ევროპის რამდენიმე გაბედულმა სახელმწიფო მოღვაწემ – რობერტ შუმანმა, კონრად ადენაუერმა, ალჩიდე დე გასპერიმ და უინსტონ ჩერჩილმა გადაწყვიტეს დასავლეთ ევროპაში შექმნილიყო ქვეყნების გაერთიანება, რომელსაც საფუძვლად

დაედებოდა ხელშეკრულებები და სახელმწიფოთა საერთო ინტერესები, რომლებიც იქნებოდა კანონის უზენაესობისა და ქვეყნებს შორის თანასწორუფლებიანობის გარანტი. 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ შუმანი წინადადებით გამოვიდა საფრანგეთისა და გერმანიის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის გაერთიანების შექმნის თაობაზე. სულ მალე, 1952 წელს ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ (ბელგია, გფრ, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და საფრანგეთი) ხელი მოაწერა შეთანხმებას ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების (ECSE) შექმნის შესახებ. შეთანხმება მიზნად ისახავდა დარგობრივი ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობდა ამ დარგების გამოცოცხლებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. გაერთიანებამ ბინა დაიდო ლუქსემბურგში.

ევროპული თანამშრომლობა მომავალში უფრო გაღრმავდა და 1957 წელს დაიდო – ე.წ „რომის ხელშეკრულება", რის შედეგადაც შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა (EEC) და ატომური ენერგეტიკის განვითარების მიზნით კი – „ევრატომი" (EURATOM). ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ვაჭრობის თავისუფალი ზონის შექმნას, რომლის მიზანი იყო ტარიფების, ქვოტებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა; ინტეგრაციაში შემავალ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება; სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკის შექმნა; კაპიტალის გადაადგილების წასახალისებლად საინვესტიციო ფონდისა და საბაჟო კავშირის შექმნა.

ევროკავშირმა თავისი ევოლუციის პროცესში გაფართოება განიცადა როგორც სივრცეში, ისე სიღრმეში. სივრცობრივი გაფართოება გამოიხატა ევროკავშირის სრულუფლებიანი და ასოცირებული წევრების რაოდენობრივ ზრდაში. კერძოდ, ევროკავშირის დამფუძნებელ 6 წევრ-ქვეყანას მიემატა 1973 წელს დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია; 1981 წელს – საბერძნეთი; 1986 წელს – ესპანეთი და პორტუგალია; 1995 წელს – ფინეთი, ავსტრია, შვეცია; 2004 წელს – კვიპროსი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვენია. ასეთი გაფართოებით ევროკავშირის წევრი-ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა 25-მდე, რომელთა მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 452 მლნ კაცი, მშპ-მ 8,2 ტრლნ დოლარი [5,491]. სულ მალე – 2007 წელს

ევროკავშირს შეუერთდა ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო მოგვიანებით – ხორვატია. ამჟამად ევროკავშირი აერთიანებს 28 სუვერენულ სახელმწიფოს, სადაც ცხოვრობს 500 მლნ კაცი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს ბაზარს მთელ მსოფლიოში.

ევროკავშირის სიღრმისეული გაფართოება გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანების შიგნით სამეურნეო მექანიზმების ფორმირებასა და სრულყოფას, საქმიანობის იმ სფეროთა გაფართოებას, რომელიც მოიცავს გაერთიანების შიგნით სახელმწიფოთაშორის რეგულირებასა და უნიფიკაციას. თავისი არსებობის მანძილზე ევროკავშირმა არაერთი ნაბიჯი გადადგა გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულებით.

დღესდღეობით, ევროინტეგრაციის საქმიანობა მხოლოდ წმინდა მერკანტილურ ინტერესებსა და ეკონომიკურ მოსაზრებებზე არ არის აგებული. მისი ფუნქციონირების საფუძველს წარმოადგენს, აგრეთვე, საერთო იდეოლოგია, ფასეულობითა ერთიანი სისტემა და მთელი ევროპული ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა. ინტეგრაციულ გაერთიანებას აქვს საერთო მიზნები: მშვიდობის შენარჩუნება, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ფორმირება-განვითარება და ა.შ.

გაერთიანების უმთავრესი ეკონომიკური მიღწევა არის შიდა საერთო ბაზრის ფორმირება და ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღება. სწორედ ეს იყო მიზანი ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების მიერ 1993 წელს ხელმოწერილი მაასტრიხტის ხელშეკრულებისა, რის შედეგადაც, იმავდროულად, ევროპულმა თანამეგობრობამ მიიღო „ევროპული კავშირის" სახელწოდება.

ფაქტობრივად, ევროკავშირში ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნითა და ერთიანი ვალუტის შემოღებით დაიწყო ევროინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა. მას ჰქონდა უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა. ექსპერტთა შეფასებით, ევროკავშირის კომპანიებს, გაერთიანების ქვეყნებს სხვადასხვა ნორმატიულ აქტებთან წინააღმდეგობათა დასაძლევად, ყოველწლიურად 260 მლრდ დოლარის გაღება უხდებოდათ. ერთიანი ვალუტის შემოღებას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობისთვის, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობის დროს ყოველწლიურად 25-დან 30 მლრდ

დოლარს ხარჯავდნენ სასტუმრო-ტურისტული მომსახურებისა და საქონლის შეძენისათვის თავიანთი ეროვნული ვალუტის უცხო ვალუტაზე გადაცვლასთან დაკავშირებით [5, 52, 57].

ევროკავშირის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად შეიქმნა ერთიანი ეკონომიკური სივრცე, სადაც აღმოფხვრილია საბაჟო და სავაჭრო ბარიერები. საერთო ბაზრის შექმნამ უზრუნველყო გაერთიანების ფარგლებში კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის მიღწეულმა შეთანხმებებმა უზრუნველყო ცალკეულ დარგებში – ენერგეტიკაში, ტრანსპორტზე, სოცილური და რეგიონული განვითარების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის გატარება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინტეგრაციაში გაერთიანებული ქვეყნების საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღმრავებას, მათი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებასა და ეკონომიკური განვითარების დონეთა ურთიერთდაახლოებას.

დღესდღეობით ევროკავშირი წარმოადგენს ყველაზე დიდ და მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებას, სადაც ხორციელდება წევრ-ქვეყნებს შორის აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით: ეკონომიკის, სავალუტო-საფინანსო, ჰუმანიტარულ, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, მიკრო და მაკროეკონომიკის, სამართლის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკოლოგიის, რეგიონული და სოციალური განვითარების სფეროებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ., 2005.
2. გუროვა ი., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2014.
3. ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში, თბ., 2009.
4. ვეშაპიძე შ. და სხვები, ეროვნული ღირებულებები – მთავარი საზრუნავი საქართველოს გადარჩენისათვის, ჟ. „მეცნიერება და ცხოვრება", №1, თბ., 2014.
5. Гриффин Р., Пастей М., Международный бизнес, М., 2006.

Revaz Javakhishvili

EUROPEAN UNION: THE PROMINENT FORM OF ECONOMIC INTEGRATION, ITS CREATION AND DEVELOPMENT

Annotation

Deepening of the integration processes in the era of globalization is the development trends of the world economy. Theoretical aspects of the economic integration, its main categories and forms are defined and analyzed in the article. At present the European Union (EU) is the prominent form of economic integration, the most powerful and vibrant community, which has the greatest potential for sustainable economic development. The EU has expanded during its evolution period. It combines 28 sovereign states with 500 million populations presenting the largest market in the world.

As a result of the reforms and the introduction of the single currency – Euro Union a common economic space was created inside the Union, where trade and customs barriers are eliminated, free movement of capital, labor, goods and services are ensured. At the new stage of the integration systematically deepens cooperation between member countries in the fields of economy, politics and law, science and technologies, ecology, regional and social development.

ნანული არევაძე
ნანა ბიბილაშვილი

საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი

ნებისმიერ ქვეყანაში, კვების მრეწველობის განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული სურსათით მოსახლეობის უწყვეტი მომარაგება და, ამდენად, მათი კეთილდღეობა.

კვების მრეწველობა რესპუბლიკის ერთ-ერთი ძველი და ტრადიციული დარგია და, მიუხედავად იმისა, რომ XX ს. დასაწყისამდე საქართველოში ძნელად ვითარდებოდა მანქანური წარმოების ბაზაზე დაფუძნებული მსხვილი წარმოება განვითარება, XIX ს. ბოლოს კვების მრეწველობის ზოგიერთ დარგში მაინც წარმოიშვა კაპიტალისტური საწარმოები, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო: ვეტცელის ლუდის ქარხანა – 1869 წ., სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა – 1888 წ., ბოზანჯიანცისა და სხვათა თამბაქოს ფაბრიკები XIX ს. 90-იან წლებში [1].

ღვინის მრეწველობაში წარმოების კაპიტალისტური ფორმების გავრცელება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XIX ს. 80-იან წლებში, მაგალითად, სოფელ მუხრანში ი. ბაგრატიონ-მუხრანელის მეურნეობაში მეღვინეობა ვითარდებოდა "ევროპაში დიდი ხნის წინათ შემუშავებული ყველა წესის მიხედვით" [2]. ასევე, საუფლისწულო უწყების, კაპიტალისტ ანანოვისა და ზოგიერთი მემულის მეღვინეობის საწარმოებს კაპიტალისტური ხასიათი ჰქონდა, თუმცა მათი ხვედრითი წონა დარგის მთლიან პროდუქციაში უმნიშვნელო იყო.

XX ს. დასაწყისში საქართველოში კვების მრეწველობა განვითარებული იყო და ძირითადად შინამრეწველური საწარმოებით ხასიათდებოდა. ქვეყნის კვების მრეწველობის მსხვილი მანქანური ინდუსტრიის შექმნას საფუძველი 1926-1937 წლებში ჩაეყარა, როცა აშენდა 33-მდე ახალი ჩაის ფაბრიკა და განხორციელდა ადრე არსებული რამდენიმე ფაბრიკის ტექნიკური რეკონსტრუქცია, უმთავრესად საქართველოს მანქანათმშენებელი ქარხნების მიერ წარმოებული ტექნიკით. აშენდა, აგრეთვე, თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა და მნიშვნელოვნად განვითარდა ღვინის სახელმწიფოებრივი მრეწველობაც..... შეიქმნა საკონსერვო და შაქრის მრეწველობა, ამუშავდა აგარის შაქრის, ქუთაისისა და გორის საკონსერვო ქარხნები [3].

ამავე პერიოდში ფართოდ განვითარდა პურის საცხობი, საკონდიტრო, მარგარინის, ერბო-კარაქის, ყველის, თევზის, სამაცივრო და კვების მრეწველობის სხვა დარგები. თბილისსა და ფოთში აშენდა მძლავრი ახალი ტექნიკით აღჭურვილი წისქვილ-კომბინატები და სხვ.

1937 წ. კვების მრეწველობის საწარმოთა ხვედრითი წილი საქართველოს მთელი ინდუსტრიული წარმოების საერთო რაოდენობაში 51.3%-ს შეადგენდა, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მიხედვით – 28.4%-ს.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ქვეყნის კვების მრეწველობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოსახლეობისა და ფრონტის კვების მრეწველობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში, ომის შემდგომი წლები კი ხასიათდებოდა კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეებისა და ტექნიკური ბაზის სწრაფი ზრდით. 1951-1970 წლებში ამუშავდა პირველადი მეღვინეობის ქარხნები კარდანახში, კურდღელაურში, ტვიშში, საგარეჯოში და სხვ., ზეთსახდელი ქარხანა – ოჩამჩირეში, რძის კომბინატი – თბილისში, მიწისქვეშა ღვინის საცავი –

ყვარელში, პირველადი მეღვინეობის ქარხნები და ჩაის ფაბრიკები, საკონსერვო ქარხნები, მინერალური წყლებისა და რძის ქარხნები და სხვა.

1961-1972 წლებში კვების მრეწველობის ძირითადი კაპიტალის ღირებულება 2,4-ჯერ გაიზარდა. მ.შ. ღვინის მრეწველობაში – 2,0-ჯერ, ჩაის მრეწველობაში – 1,7-ჯერ, პურის ცხობაში – 3,1-ჯერ, თამბაქოს მრეწველობაში – 2-ჯერ, ლუდის წარმოებაში – 1,6-ჯერ, კარაქის, ყველისა და რძის წარმოებაში – 3-ჯერ, ხორცის წარმოებაში – 2,4-ჯერ და ა.შ. [5].

1972 წელს კვების მრეწველობის წილად მოდიოდა საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 39,5%, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის – 16,2% და ძირითადი კაპიტალის 16,6%.

საქართველოს კვების მრეწველობისათვის ამ პერიოდში დამახასიათებელი იყო სპეციფიკური და ფრიად მრავალფეროვანი დარგობრივი სტრუქტურა, რომელშიც წარმოდგენილი იყო კვების მრეწველობის თითქმის ყველა ქვედარგი, მაგრამ, გამომდინარე ბუნებრივი და კლიმატური პირობებიდან, ყველაზე ფართოდ განვითარებული იყო ჩაის პირველადი გადამუშავება, პირველადი მეღვინეობა, საკონსერვო, ეთეროვანი ზეთების, თამბაქოს საფერმენტაციო, ტუნგოს ზეთსახდელი მრეწველობა, მინერალური წყლების ჩამოსხმა [6].

1971-1985 წლები საქართველოს კვების მრეწველობაში ახალი მიღწევებით აღინიშნა. მთლიანი პროდუქცია 2,3-ჯერ გაიზარდა, მ.შ. ჩაის მრეწველობაში – 2,9-ჯერ, საკონსერვო მრეწველობაში – 4,8-ჯერ, მინერალური წყლების ჩამოსხმაში – 2,3-ჯერ, ხორცის მრეწველობაში – 2,4-ჯერ და ა.შ.

კვების მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება 1840-1990 წლებში შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

კვების მრეწველობის პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოება 1940-1990 წლებში[5]

		ზომის ერთეული	1940	1965	1970	1980	1985	1990	ზრდა %-ში 1990-1940
1	შაქრის ფხვნილი	ათ. ტონა	13,1	60,2	40,2	49,3	49,7	33,8	2,58-ჯერ
2	ხორცი	"-"	11,5	30,5	48,4	85,2	105,0	69,7	6,06-ჯერ
3	ძეხვეულის ნაწარმი	"-"	2,5	11,5	17,3	30,6	35,8	26.5	10,6-ჯერ
4	მოუხდელი რძის პროდუქცია	"-"	–	65,9	98,0	177	212	250	3,4-ჯერ
5	ყველი ცხიმიანი	"-"	1,6	15,1	19,1	22,3	28,0	16,0	10-ჯერ
6	მცენარეული ზეთი	"-"	4,6	6,8	8,8	9,0	11,0	13,8	3-ჯერ
7	კონსერვები	მლნ პირ.	29,1	140,5	234,0	497	744	677	23-ჯერ
8	საკონდიტრო ნაწარმი	ათ. ტონა	9,5	27,0	31,3	50,7	64,3	58,7	6,2-ჯერ
9	პირველადი გადამუშ. ბაიხის ჩაი	"-"	11,1	45,8	63,9	127,5	133,9	127,8	11,5-ჯერ
10	ჩაი ნატურალური	"-"	2,7	24,1	27,7	68,1	114	120	44,4-ჯერ
11	ყურძნის ღვინოები	მლნ დ.ლ.	2,2	8,6	14,4	13,5	27,0	18,1	8,2-ჯერ
12	შამპანური	მლნ ბ.	1,7	7,7	10,0	1,8	1,3	2,0	1,2-ჯერ
13	მინერალური წყლები	მლნ 0.5 ბ.	24,4	125,8	190,0	397,0	376	223	9,1-ჯერ

[5] **ცხრილი შედგენილია:** 1940-1970 წლებში – Народное хозяйство Груз. ССР за 60 лет. Тб., 1980, გვ. 79-80; 1980-1990 წლები წიგნიდან – ლ. ჩიქავა, საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1995, გვ. 161-162.

1 ცხრილის მონაცემების თანახმად, საქართველოს კვების მრეწველობაში შესამჩნევია ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოების შემცირების ტენდენცია 1980-1990 წლებში, მაგალითად, შაქრის ფხვნილის, ხორცის, ძეხვეულის, თევზის, მინერალური წყლების, ყურძნის ღვინის მიხედვით. ეს შემცირება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო 1988-1990 წლებში, ანუ კრიზისის წინა პერიოდში. ამის მიუხედავად, საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა ქვეყნის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში ყველა სხვა დარგთან შედარებით მაღალი იყო და 37,4%-ს უდრიდა.

როგორც ცნობილია, 1985 წლიდან ყოფილ საბჭოთა სივრცეში დაიწყო ეგრეთ წოდებული გარდაქმნები, რაც, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალიზებული კონტროლის შესუსტებასა და ინდივიდუალური ინიციატივების გაფართოებაში გამოიხატა, რასაც ქვეყანა და ეკონომიკის ყველა დარგი მოუმზადებული შეხვდა. დაიწყო ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რამაც გამოიწვია კვების მრეწველობის, ისევე, როგორც დარგების უმეტესობის, პროდუქციის წარმოების კატასტროფული დაცემა, მაგალითად, 2000 წ. 1990 წლის მიმართ პურისა და პურ-ფუნთუშეულის წარმოება 7,69-ჯერ შემცირდა, ფქვილის – 8,28-ჯერ, ბურღულის – 11,95-ჯერ, ყურძნის ღვინოების – 9,58-ჯერ და ა.შ. შედეგად, კვების მრეწველობის ხვედრითი წონა მთელი მრეწველობის პროდუქციაში 1990 წლის 37,4%-დან 2000 წ. 28,5%-მდე დაეცა, რაც, გარკვეულწილად, იმის მაჩვენებელიც იყო, რომ ამ პერიოდში ბევრად გაიზარდა აღურიცხავი პროდუქციის მოცულობა.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასაწყისი და შესაბამისი ეკონომიკური რეფორმები, რის შედეგადაც მთლიანად მრეწველობასა და მის ყოველ დარგში დაიწყო დიდი საწარმოების რესტრუქტურიზაცია და მცირე ბიზნესის განვითარება, რამაც განაპირობა უპირატესად მცირე საწარმოების ამოქმედება. შედეგად, თუ 1990 წელს კვების მრეწველობაში იყო 466 სამრეწველო საწარმო, რომელიც მთელ მრეწველობაში არსებულ საწარმოთა საერთო რაოდენობის (1365) 31,1% უდრიდა, 2000 წლისათვის კვების მრეწველობაში არსებული საწარმოთა საერთო რაოდენობამ 1732 ერთეული შეადგინა, რაც მთლიანად მრეწველობაში მაშინ აღრიცხული საწარმოების (3328) უკვე ნახევარზე მეტი იყო – 52%. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ დარგში დიდ საწარმოთა დანაწევრება მთელ მრეწველობასთან შედა-

რებით ბევრად უფრო სწრაფად ხორციელდებოდა და იზრდებოდა კერძო საკუთრებაში გადასულ საწარმოთა ხვედრითი წონა [7]. ამასთან, ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა დარგში დასაქმებულთა ყოველწლიურ შემცირებას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ, მთელ მრეწველობასთან შედარებით, ტემპი უფრო დაბალი იყო, მთელ მრეწველობაში – 4,79-ჯერ, კვების მრეწველობაში მხოლოდ 3,44-ჯერ. ამ პერიოდში 2-ჯერზე მეტად შემცირდა დარგში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასიც. მკვეთრად დაქვეითდა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონეც, 1990 წლის 56,9%-დან, 16,7%-მდე. 2000 წ. შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისეთ ქვედარგებში როგორიცაა ხორცის, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმის, ყველის, ჩაის პირველადი დამუშავების, ეთერზეთების წარმოებისა და სხვა.

2000-2010 წლებში ქვეყანაში წარმოიქმნა კვების პროდუქტების მწარმოებელი რამდენიმე კომპანია, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს "სანტე", "ეკოფუდი", "სოფლის ნობათი" – აწარმოებენ ძირითადად რძის პროდუქტებს; "ნიკორა", "შინჰოფერი", "ზეიკიძე" – ძეხვეულისა და ხორცის პროდუქტებს. "სასკო", "კულა", "ჩემი ბებო" და სხვები – წვენებს, ჯემებს, მურაბებს, საწებლებს და ა.შ. ამის მიუხედავად, საქართველოს კვების მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილების დაახლოებით მესამედის დაკმაყოფილება თუ ხდება, დანარჩენი იმპორტით იფარება. იმპორტის ძირითადი სახეებია: ხორბალი და სხვა მარცვლეული, ხორცი და ხორცის პროდუქტები, შაქარი, თევზი, რძე და რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი და მრავალი სხვა. პარადოქსია, რომ საქართველოში, ტრადიციულად ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებელ ქვეყანაში, შედარებით დაბალი ხარისხისა და ეკოლოგიურად დაბინძურებული ხილისა და ბოსტნეულის შემოტანა მეზობელი ქვეყნებიდან ხორციელდება, რომელზეც ყოველწლიურად ათეულობით მილიონი დოლარი იხარჯება. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით დასტურდება, რომ ქვეყანაში იმპორტირებული სურსათის ხვედრითი წონა მთლიან მოხმარებაში 37-47%-ია, მაშინ, როცა, ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 20%-ია და ძირითადად ცალკეული დელიკატესებისაგან შედგება [8].

1990-2013 წლებში კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოება საქართველოში, ღირებულებითი მაჩვენებლების მიხედვითაც კი მნიშვნელოვნად შემცირდა – 4508 მლნ ლარიდან

2670 მლნ ლარამდე, ანუ 40,8 პროცენტული პუნქტით, ინფლაციის გათვალისწინების გარეშე. მაშინ, როცა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მარტო 2000-2010 წლებში სამრეწველო პროდუქციის ფასების საშუალო წლიურმა ინდექსმა 182,9% შეადგინა [9], რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზის – სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობის ნატურალური მაჩვენებლების შედარების დროს ისეთი პროდუქციის მიხედვით, როგორიცაა ჩაი, თამბაქო, ყურძენი, ხორცი და ა.შ. როცა შემცირების მაჩვენებელი პროცენტებით კი არა, არამედ ჯერადობით გამოიხატება.

საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში წარმოებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით, კვების მრეწველობა ყოველთვის პრიორიტეტული იყო და პირველ პოზიციაზე იმყოფებოდა, რაც განპირობებულია ქვეყანაში სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელი, მრავალფეროვანი ნიადაგობრივი და ბუნებრივი პირობებითა და ეკოლოგიური სისუფთავით, რომელიც ახლა მსოფლიოში პროდუქციის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი სულ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელი გასათვალისწინებელი კრიტერიუმი გახდა. ამ მხრივ საქართველოში წარმოებული სოფლისმეურნეობრივი და კვების მრეწველობის პროდუქცია მართლაც რომ უკონკურენტოა, რასაც გამოყენება სჭირდება. ამდენად, საქართველოს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას, თუ ის სათანადოდ იქნება კაპიტალიზებული, შეუძლია დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიოს უზარმაზარი ბაზარისათვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების – ხორცის, რძის ნაწარმის, ბოსტნეულის, ხილის და უამრავი სხვა პროდუქტის შეთავაზება, ტრადიციულ, უნიკალურ ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებთან, მტკნარ და მინერალურ წყლებთან ერთად, ყველაფერი ეს კი საქართველოს ეკონომიკას რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის დამატებითი ღირებულების შექმნის შესაძლებლობით გაამდიდრებს.

იმის გათვალისწინებაც საჭიროა, რომ, ჩვეულებრივ, განვითარებად ქვეყნების (საქართველოს ახლა სწორედ ეს სტატუსი გააჩნია) უმეტესობა ინდუსტრიულ განვითარებას სწორედ მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებით იწყებს. რამდენადაც ეს დარგები, როგორც ცნობილია, შედარებით მცირე კაპიტალდაბანდებებს საჭიროებს, უკუგებას კი სწრაფად იძლევა. საქართველო ახლა, შესაძლოა, ფინანსურ რესურსებზე არა-

ნაკლებ, დროის დეფიციტს განიცდის იმ დაკარგული წლების გამო, როცა ქვეყანაში უფრო მეტი სამრეწველო საწარმო განადგურდა, ვიდრე აშენდა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ განვითარებად ქვეყნების გამოცდილებაც და ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომებიც. თუ ეს ვერ შევძელით და ქვეყანა ინდუსტრიულ საფუძველზე ვერ გადავიყვანეთ, ჯერ კიდევ დიდხანს დავრჩებით განვითარებადი ქვეყნის სტატუსით და შესაძლოა მას თავი ვერც ვერასდროს დავაღწიოთ. ამისათვის, განსაკუთრებით კვების მრეწველობის განვითარებისათვის, მას თითქმის ყველა პირობა გააჩნია: ბუნებრივ-კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები, სანედლეულო ბაზების აღდგენისა და განვითარების შესაძლებლობა, შემორჩენილი კადრები და ტრადიციები. განა ჯერ კიდევ 30 წლით ადრე, დღევანდელისაგან განსხვავებით, საქართველოში ნახევარი მილიონი ტონა ჩაი არ იკრიფებოდა, განა ყოფილი საბჭოთა კავშირი თითქმის სრულად ქართული ჩაით არ კმაყოფილდებოდა?

როგორც ვხედავთ, საქართველოში მრეწველობის დარგებიდან განვითარების ყველაზე უკეთესი შანსები, შესაძლებლობები და პერსპექტივები სწორედ კვების მრეწველობას გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке. Тб, 1957, ст. 73.
2. П. К. Дзюбенко, Виноделие на Кавказе. Тифлис, 1886, с. 16.
3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1961 წლებში, პ. გუგუშვილის რედაქციით, თბილისი, 1961, გვ. 208.
4. იქვე, გვ. 209, 235.
5. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბ., 1975, გვ. 327.
6. იქვე, გვ. 332-333.
7. გ. ერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების საკითხები საქართველოში. თბ., 2004, გვ. 96.
8. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშელაშვილი, დ. გეგია. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ., გამომცემლობა "ნეკერი", 2011, გვ. 243-247.
9. დ. ჩომახიძე, სამრეწველო პოლიტიკის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები, ციტირებულია საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის კრებულიდან, ტ. 11, გამომცემლობა "სიახლე", თბ., 2013, გვ. 425.

Nanuli Arevadze
Nana Bibilashvili

SOME ASPECTS OF FOOD INDUSTRY DEVELOPMENT OF GEORGIA

Annotation

The article deals with some aspects of food industry development in pre-crisis and post crisis periods. At present situation, the volume of production of the sector is lagged both by value and especially by natural indices in comparison with 1990. It is concluded that Georgia has the best conditions and possibilities for food industry development.

ილია (აზიკო) სისვაძე

წარმოების ეფექტიანობის მათემატიკური ანალიზი, ოპტიმიზაცია და პროგნოზირება

გთავაზობთ სტატიათა ციკლს, სადაც საწარმოო ფუნქციების გამოყენებით გამოკვლეულია წარმოების ფაქტორთა ეფექტიანობის ცვლილების კანონზომიერებანი, რამაც შესაძლებელი გახადა შემუშავებულიყო მათი ოპტიმიზაციისა და პროგნოზირების ახალი მეთოდები. ციკლის ამ ნაწილში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპის თავისებურებათა გათვალისწინებით დადგენილია მკაცრი მათემატიკური დამოკიდებულება შრომის მწარმოებ-ლურობასა და კაპიტალუკუგებას შორის.

ნაწილი I. შრომის მწარმოებლურობისა და კაპიტალუკუგების მაჩვენებელთა მათემატიკური ანალიზი და მისი შედეგები

ბიზნესის შედეგობრივი და ეფექტიანობის ამსახველი მაჩვენებლების კვლევისა და ამ საფუძველზე მათი გადიდების რეზერვების გამოვლენის ერთ-ერთ უმძლავრეს ინსტრუმენტს საწარმოო ფუნქციები წარმოადგენს, რომლებიც, იმავდროულად, საშუალებას იძლევიან, აღმოვაჩინოთ ახალი, ადრე უცნობი კანონზომიერებანი, რაც ანალიზის ტრადიციული მეთოდების გამოყენებით შეუძლებელი იქნებოდა. ამაში ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების – შრომის მწარმოებლურობისა და კაპიტალუკუგების მათემატიკური ანალიზის შედეგებით დარწმუნდებით.

1. შრომის მწარმოებლურობა, როგორც საწარმოო ფუნქცია

შრომის მწარმოებლურობის ცვლილების ტენდენციები. შრომის მწარმოებლურობა, როგორც მაკროეკონომიკის, ისე ბიზნესის, იმდენად წონადი მაჩვენებელია, რომ მისი სიდიდე და დინამიკა ამ დონეებზე ეკონომიკური პოტენციალის და პროგრესული განვითარების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმადაა მიჩნეული.

შრომის მწარმოებლურობის განმსაზღვრელი ფაქტორია სამეცნერო-ტექნიკური პროგრესი, რომელთანაც იგი მრავალმხრივ კავშირში იმყოფება.

ერთი მხრივ, შრომის მწარმოებლურობის დინამიკა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპის თავისებურებებითაა განპირობებული, რაც მის შრომადამზოგველ და კაპიტალტევად ბუნებაში გამოიხატება და შესაბამისად, შრომის ეფექტიანობის გადიდებას უზრუნველყოფს. მეორე მხრივ, შრომის მწარმოებლურობის ზრდა თვითონაც ასახავს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დონესა და ტემპებს. კერძოდ, მისი მატება სამუშაო ძალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი ერთობლივი კაპიტალის მასის და, ამდენად, შრომის კაპიტალშეიარაღების ზრდაში ვლინდება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, თვითონ წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის გადიდების გადამწყვეტ ფაქტორს.

შრომის მწარმოებლურობის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება. შრომის მწარმოებლურობაზე კაპიტალშეიარაღების ზემოქმედების პროცესის მოდელირება საწარმოო ფუნქციების გამოყენებითაა შესაძლებელი.

მათ შორის ფუნქციური კავშირის დადგენის მიზნით ფირმის მოგება გამოვსახოთ, როგორც კაპიტალის, დასაქმებულთა რიცხოვნობის და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფუნქცია, განსაზღვრული ტინბერგენის ფორმულით:

$$\boldsymbol{P = AK^{\alpha}L^{\beta}e^{\lambda t}}, \quad (\alpha + \beta = 1) \qquad (1.1)$$

სადაც $\boldsymbol{P}$ არის მოგება; $\boldsymbol{K}$ – მთლიანი კაპიტალი; $\boldsymbol{L}$ – დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა; $\boldsymbol{A, \alpha, \beta}$ – მუდმივი კოეფიციენტები, რომლებსაც განსაზღვრული ეკონომიკური შინაარსი გააჩნიათ; $\boldsymbol{e}$ – ნატურალური ლოგარითმის ფუძე ($\boldsymbol{e \approx 2{,}718}$); $\boldsymbol{t}$ – დროის პარამეტრი; $\boldsymbol{\lambda}$ – შედეგობრივი მაჩვენებლის (მოგების) ნაზრდში მატერიალიზებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეფექტის ამსახველი კოეფიციენტი.

საწარმოო ფუნქციის ორივე მხარის გაყოფით დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობაზე მიიღება შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი:

$$\frac{P}{L} = \frac{AK^{\alpha}L^{\beta}e^{\lambda t}}{L} = AK^{\alpha}L^{\beta-1}e^{\lambda t} = AK^{\alpha}L^{-\alpha}e^{\lambda t} = A\left(\frac{K}{L}\right)^{\alpha}e^{\lambda t}$$

ე. ი. შრომის მწარმოებლურობა, როგორც საწარმოო ფუნქცია, შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$f_L = A\left(\frac{K}{L}\right)^{\alpha}e^{\lambda t} \qquad (1.2)$$

წარმოდგენილ გამოსახულებაში შეფარდება $\frac{K}{L}$ შრომის კაპიტალშეიარაღებაა. თუ შემოვიღებთ აღნიშვნას $\varphi = \frac{K}{L}$, მაშინ, შრომის მწარმოებლურობა წარმოგვიდგება, როგორც შრომის კაპიტალშეიარაღებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფუნქცია (იხ. გრაფ. 1):

$$f_L = A\varphi^{\alpha}e^{\lambda t} \qquad (1.3)$$

სადაც, φ შრომის კაპიტალშეიარაღების მაჩვენებელია.

შრომის მწარმოებლურობასა და აღნიშნულ ფაქტორებს შორის, როგორც ეს თეორიულადაც იგულისხმება, პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს. კერძოდ, შრომის კაპიტალშეიარაღების ზრდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეფექტის უცვლელი დონის პირობებში, შრომის მწარმოებლურობის გადიდებას განაპირობებს. იმის გამო, რომ მიღებულ ფორმულაში ხარისხის მაჩვენებელი $\alpha < 1$, შრომის კაპიტალშეიარაღების ზრდის ტემპი წინ უსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპს და შესაბამისად, ეს უკანასკნელი შენელებული ტემპით მოიმატებს.

მაგრამ საანალიზო ფუნქციაში მონაწილეობს მეორე ფაქტორიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეფექტის სახით (კოეფიციენტი λ), რომელიც ასევე შრომის მწარმოებლურობის ზრდაზეა მიმართული. ამ პირობებში ეს უკანასკნელი დამოკიდებული იქნება იმ გარემოებაზე, თუ რამდენად დიდია ორივე ფაქტორის ერთობლივი ზემოქმედების ძალა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, თუ შრომის კაპიტალშეიარაღება გაიზრდება დასაქმებულთა მუდმივი რაოდენობისა და თვისებრივად უცვლელი ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში, მაშინ შრომის მწარმოებლურობის ზრდისათვის იარსებებს ფირმის წარმოებრივი შესაძლებლობებით (საწარმოო სიმძლავრით)

განპირობებული ზღვარი (პირველ გრაფიკზე ზედა ჰორიზონტალური ასიმპტოტი), რომლის ზემოთ შრომის მწარმოებლურობა ვერ გაიზრდება. თუმცა ამ ზღვრის აწევა სამეცნიერო-ტექნიკური გარღვევების შედეგადაა შესაძლებელი (იხ. გრაფიკი 2).

თუ გამოთვლებს კობა-დუგლასის ფუნქციის საფუძველზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფაქტორის ეფექტის გათვალისწინების გარეშე განვახორციელებთ, მივიღებთ, რომ:

$$f_L = A \cdot \varphi^{\alpha}$$

მიუხედავად იმისა, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდა ობიექტური მიზეზებით განპირობებული პროცესია, ფირმა სისტემატურად უნდა აკონტროლებდეს მის დინამიკას და ახორციელებდეს გადიდების ღონისძიებებს.

საქმე ისაა, რომ შრომის ნაყოფიერების მხოლოდ ისეთი მატებაა ეკონომიკურად გამართლებული, რომელიც მის გადიდებაზე გაწეულ კაპიტალის დანახარჯებსაც აანაზღაურებს და იმავდროულად საკმარისი დამატებითი ეფექტის მიღებას უზრუნველყოფს.



გრაფიკი 1.
დამოკიდებულება შრომის კაპიტალშეიარაღებასა და შრომის მწარმოებლურობას შორის თვისებრივად უცვლელი ტექნიკის პირობებში



გრაფიკი 2.
დამოკიდებულება შრომის კაპიტალშეიარაღებასა და შრომის მწარმოებლურობას შორის ტექნიკური გარღვევის პირობებში

2. კაპიტალუკუგება, როგორც საწარმოო ფუნქცია

კაპიტალუკუგების ცვლილების თანამედროვე ტენდენცია. შრომის მწარმოებლურობის მსგავსად, ძირითადი საწარმოო კაპიტალის ეფექტიანობის უმთავრესი მაჩვენებლის – კაპიტალუკუგების ცვლილების ძირითადი ტენდენციებიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპის თავისებურებებითაა განპირობებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამჟამად შრომის მწარმოებლურობის ზრდა კაპიტალუკუგების შემცირების ხარჯზე მიიღწევა.

ეფექტიანობის საანალიზო მაჩვენებლების ასეთი დინამიკის პირობებში ბიზნესი მომგებიანად მხოლოდ იმ შემთხვევაში განვითარდება, როდესაც შრომის მწარმოებლურობის ზრდით მიღებული ეკონომიკური ეფექტი კაპიტალუკუგების შემცირებით გამოწვეულ დანაკარგებს გადააჭარბებს.

კაპიტალუკუგებაზე მოქმედი ფაქტორები მარტივად გამოვლინდება, თუ სასაქონლო პროდუქციის მიხედვით განსაზღვრულ კაპიტალუკუგების მაჩვენებელში მრიცხველსა და მნიშვნელს დასაქმებულთა რაოდენობაზე გავყოფთ:

$$f_K = \frac{Q}{K} = \frac{Q/L}{K/L}$$

მიღებულ გამოსახულებაში შეფარდება Q/L წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის, ხოლო შეფარდება K/L – შრომის კაპიტალშეიარაღების მაჩვენებელს. ე.ი. გამოდის, რომ შრომის კაპიტალშეიარაღების გადიდება კაპიტალუკუგებას ამცირებს. მსგავსი შედეგი მიიღება, თუ კაპიტალუკუგების მაჩვენებელს საწარმოო ფუნქციის ფორმით გამოვსახავთ.

კაპიტალუკუგების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება. კაპიტალუკუგების მაჩვენებელი, როგორც შრომის კაპიტალშეიარაღების ფუნქცია, მიიღება ტინბერგენის ფორმულის ორივე მხარის კაპიტალის ღირებულებასთან შეფარდების გზით:

$$\frac{P}{K} = \frac{AK^{\alpha}L^{\beta}e^{\lambda t}}{K} = AK^{\alpha-1}L^{\beta}e^{\lambda t} = AK^{-\beta}L^{\beta}e^{\lambda t} = A\left(\frac{K}{L}\right)^{-\beta}e^{\lambda t} = A\cdot\frac{e^{\lambda t}}{\varphi^{\beta}},$$

სადაც φ შრომის კაპიტალშეიარაღებაა.

ე.ი. კაპიტალუკუგება შემდეგი საწარმოო ფუნქციით გამოისახება:

$$f_K = A\cdot\frac{e^{\lambda t}}{\varphi^{\beta}} \qquad (1.4)$$

ამრიგად, მივიღეთ, რომ:

კაპიტალუკუგება პირდაპირპროპორციულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეფექტისა, რომელიც λ კოეფიციენტში აისახება და უკუპროპორციულია შრომის კაპიტალშეიარაღებისა (იხ. გრაფიკები 3,4).



გრაფიკი 3.
დამოკიდებულება შრომის კაპიტალშეიარაღებასა და კაპიტალუკუგებას შორის



გრაფიკი 4.
კაპიტალუკუგების დამოკიდებულება
კაპიტალშეიარაღებასა და ტექნიკური პროგრესის ეფექტთან

ამ პირობებში, კაპიტალუკუგების დინამიკა იმ გარემოებაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ფაქტორის მოქმედებაა უფრო ძლიერი – სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეფექტისა თუ შრომის კაპიტალშეიარაღებისა. მეოთხე გრაფიკზე ნაჩვენებია შემთხვევა, როდესაც ტექნიკური პროგრესის ეფექტის შედეგად კაპიტალუკუგება ნაკლები ზომით შემცირდა (იხ. მრუდი II).

თუ კაპიტალუკუგებას კობა-დუგლასის ფუნქციის საფუძველზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფაქტორის ეფექტის გათვალისწინების გარეშე გამოვითვლით, მიიღება, რომ:

$$f_K = \frac{A}{\varphi^{\beta}} \qquad (1.5)$$

3. შრომის კაპიტალშეიარაღებისა და კაპიტალუკუგების ცვლილების ტენდენციები

უკუპროპორციული დამოკიდებულების არსებობა კაპიტალუკუგებასა და შრომის კაპიტალშეიარაღებას შორის, როგორც შეუქცევადი მოვლენისა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია სამართლიანი, როდესაც ეს უკანასკნელი უწყვეტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგრამ, ჩემი აზრით, ერთი სამეცნიერო-ტექნიკური ციკლის განმავლობაში შრომის კაპიტალშეიარაღების დინამიკა გამოისახება არა უწყვეტად ზრდადი, არამედ ლოგისტიკური ფუნქციით, რომლის შესაბამისად იგი თანმიმდევრობით გაივლის შენელებული და დაჩქარებული ზრდის, ხოლო დასკვნით ეტაპზე მიღწეული დონის სტაბილიზაციის სტადიებს.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ძირითად კანონზომიერებას არათანაბარი მიმდინარეობა წარმოადგენს, რომლის პირობებში ერთმანეთს ევოლუციური და რევოლუციური განვითარების სტადიები ენაცვლება. დროის მონაკვეთი, რომლის დროსაც ეკონომიკა თანმიმდევრობით გადის ევოლუციური და რევოლუციური განვითარების ეტაპებს, **სამეცნიერო-ტექნიკურ ციკლს** ანუ ტექნოლოგიურ ტალღას შეადგენს (იხ. გრაფიკი 5). ეკონომიკის თანამედროვე მეცნიერებაში მიღებულია, რომ ერთი ასეთი ციკლის ხანგრძლივობა საშუალოდ 50 წელს შეადგენს. მე-18 საუკუნეში სამრეწველო რევოლუციის დასაწყისიდან დღემდე კაცობრიობამ გაიარა ოთხი ტექნოლოგიური ტალღა და ამჟამად მეხუთე ტალღაზე იმყოფება (1985–2035 წწ).



გრაფიკი 5.
წარმოების ტექნიკური დონის ცვლილება ერთი სამეცნიერო-ტექნიკური ციკლის (ტექნოლოგიური ტალღის) განმავლობაში

მეხუთე გრაფიკის ჰორიზონტალურ ღერძზე გადაზომილია დრო, სადაც $0-t_1$ შუალედში ეკონომიკა ევოლუციურად ვითარდება, t_1-t_2 შუალედში განვითარება რევოლუციური ნახტომის ფორმით მიმდინარეობს, ხოლო t_2-t_3 ეტაპზე კვლავ ევოლუციური გზით. გრაფიკის ვერტიკალური ღერძი კაპიტალშეიარაღების ცვლილებას ასა-ხავს.

შესაბამისად, გრაფიკზე შრომის კაპიტალშეიარაღების დინამიკის ამსახველ მრუდს S-წარმომქმნელი ფორმა აქვს და სიმეტრიული ლოგისტიკური ფუნქციით გამოისახება (თუმცა არაა გამორიცხული ლოგისტიკური ფუნქციის არასიმეტრიული ფორმების არსებობაც):

$$\varphi = \frac{\varphi_{\max}}{1 + ae^{-bt}} \qquad (1.6)$$

სადაც $\varphi_{\max}$ კაპიტალშეიარაღების მაქსიმალური დონეა, რომელიც მიიღწევა თანამედროვე მეხუთე სამეცნიერო-ტექნიკური ციკლის ბოლო ეტაპზე.

სამეცნიერო-ტექნიკური ციკლის საწყის სტადიაზე ტექნიკა თანდათანობით, ძირითადად გამოყენებით მეცნიერებათა ხარჯზე ახალ გამოგონებათა საფუძველზე, შედარებით ნელი ტემპებით ვითარდება. ასევე დაბალია შრომის კაპიტალშეიარაღების ზრდის

ტემპიც. ამავე პირობებში, ინტენსიური კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს ფუნდამენტურ მეცნიერებებშიც, სადაც ნაბიჯ-ნაბიჯ გროვდება უახლესი ცოდნა, რომელიც რადაც კრიტიკულ მომენტში ისეთ დონეს აღწევს, რომ ადგილი აქვს პრინციპულად ახალ აღმოჩენებს, რომელთა გამოყენება არსებითად ცვლის არსებულ ტექნიკას, ტექნოლოგიას და წარმოების ორგანიზაციის მეთოდებს.

შესაბამისად, ეკონომიკა გადადის **სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის** სტადიაზე, როდესაც შრომის კაპიტალშეიარაღება მკვეთრად იზრდება. მომდევნო ევოლუციური განვითარების ეტაპზე, როდესაც ამოიწურება სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შესაძლებლობები, კაპიტალშეიარაღების ზრდის ტემპი კვლავ შენელდება, ხოლო რაღაც ეტაპზე მისი დონე სტაბილური გახდება. შრომის კაპიტალშეიარაღების ციკლური დინამიკა როგორც კაპიტალუკუგების, ისე შრომის მწარმოებლურობის ციკლური ზრდის ტენდენციას განაპირობებს.

ჩემი აზრით, აღნიშნული ფაქტორის გარდა, თანამედროვე მეხუთე სამეცნიერო-ტექნიკური ციკლის ბოლო სტადიაზე კაპიტალუკუგების ზრდის დამატებით ფაქტორად იქცევა წარმოებიდან ფიზიკური შრომის საბოლოოდ გამოდევნის გამო შრომის ეკონომიის ხარჯზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობების ამოწურვა. ამ პირობებში ეფექტიანობის გადიდების ძირითად გზად კაპიტალდამზოგველი ტექნოლოგიის შექმნა და გამოყენება იქცევა. ეს კი, თავის მხრივ, შრომის კაპიტალშეიარაღების სტაბილიზაციას გამოიწვევს.

ამრიგად, თუ გრძელვადიან პერიოდში შრომის კაპიტალშეიარაღების დინამიკას განვიხილავთ, როგორც ციკლური ზრდის და სტაბილიზაციის კიბისებრ პროცესს, მაშინ კაპიტალუკუგებაც შესაბამისი ტენდენციით შეიცვლება – მისი ზრდისა და შემცირების პროცესი ციკლური მონაცვლეობით განმეორდება. შრომის კაპიტალშეიარაღების ზრდის სტადიაზე კაპიტალუკუგება შემცირდება, ხოლო სტაბილიზაციის სტადიაზე მოიმატებს. ისე, რომ საერთო დინამიკა აღმავალი დარჩება.

ერთი სამეცნიერო-ტექნიკური ციკლის (ტექნოლოგიური ტალღის) განმავლობაში კაპიტალუკუგების დინამიკის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება შესაძლებელი გახდება, თუ შრომის კაპიტალშეიარაღების მაჩვენებელს, გამოხატულს ლოგისტიკური ფუნქციის სახით, ჩავსვამთ კაპიტალუკუგების ამსახველ (1.4) ფორმულაში. მარტივ გარდაქმნათა შედეგად მიიღება კაპიტალუკუგების გრძელვადიანი საპროგნოზო ფუნქცია (ტრენდი):

$$f_K = A \frac{e^{\lambda t}}{\left(\frac{\varphi_{\max}}{1 + a\ell^{-bt}}\right)^{\beta}} = \frac{A\left(1 + a\ell^{-bt}\right)^{\beta} \ell^{\lambda t}}{\varphi_{\max}^{\beta}}$$

$$= \frac{A}{\varphi_{\max}^{\beta}} \times \left(1 + \frac{a}{\ell^{bt}}\right)^{\beta} \times \ell^{\lambda t}$$

ამრიგად, კაპიტალუკუგების გრძელვადიან საპროგნოზო ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$f_k = \frac{A}{\varphi_{\max}^{\beta}} \times \left(1 + \frac{a}{\ell^{bt}}\right)^{\beta} \times \ell^{\lambda t} \qquad (1.7)$$

(1.7) ფუნქციის საფუძველზე გამოითვლება არა მარტო კაპიტალუკუგების გრძელვადიანი პროგნოზი, არამედ **დროის კრიტიკული მნიშვნელობაც**, როდესაც კაპიტალუკუგების შემცირების ტენდენცია ზრდით შეიცვლება. ასეთი ვარაუდის დაშვების საშუალებას ის გარემოება იძლევა, რომ (1.7) ფორმულიდან გამომდინარე დროის პარამეტრი კაპიტალუკუგებაზე წინააღმდეგობრივ გავლენას ახდენს.

ამჟამად კაპიტალუკუგების შემცირების საწინააღმდეგოდ მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკის სრული დატვირთვა, მისი გაიაფება, მოწყობილობათა მწარმოებლურობის ზრდა და სხვა. მაგრამ შრომის კაპიტალშეიარაღების ზრდის ფაქტორის მოქმედება ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, რომ იგი მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი კაპიტალუკუგების შემცირების ტენდენციას განაპირობებს.

4. დამოკიდებულება შრომის მწარმოებლურობასა და კაპიტალუკუგებას შორის

როგორც ვნახეთ, შრომის მწარმოებლურობა და კაპიტალუკუგება შრომის კაპიტალშეარაღების ფუნქციებს წარმოადგენს და ამდენად, ეს უკანსკნელი მათ დამაკავშირებელ რგოლად გვევლინება. ასეთი დამოკიდებულება შესაძლებლობას ქმნის ეფექტიანობის ეს ორი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი ერთმანეთის საშუალებით გამოვსახოთ. ამისათვის (1.3) შრომის მწარმოებლურობისა და (1.4) კაპიტალუკუგების ამსახველი ფორმულების საფუძველზე გამოვითვალოთ შრომის კაპიტალშეარაღება და მიღებული შედეგები ერთმანეთს გავუტოლოთ.

(1.3) გამოსახულებიდან გამომდინარე:

$$\varphi^{\alpha} = \frac{f_L}{A \cdot \ell^{\lambda t}},$$

საიდანც $\varphi = \left(\frac{f_L}{A \cdot \ell^{\lambda t}}\right)^{\frac{1}{\alpha}}$ (1.8)

იგივე ოპერაციები განვახორციელოთ კაპიტალუკუგების მაჩვენებლის მიმართაც:

$$\varphi^{\beta} = A \cdot \frac{\ell^{\lambda t}}{f_K},$$

საიდანაც $\varphi = \left(\frac{A \cdot \ell^{\lambda t}}{f_K}\right)^{\frac{1}{\beta}}$ (1.9)

(1.8) და (1.9) გამოსახულებათა გატოლებით მიიღება, რომ:

$$\left(\frac{f_L}{A \cdot \ell^{\lambda t}}\right)^{\frac{1}{\alpha}} = \left(\frac{A \cdot \ell^{\lambda t}}{f_K}\right)^{\frac{1}{\beta}} \quad (1.10)$$

წარმოდგენილი ფორმულიდან გამოვითვალოთ ჯერ შრომის მწარმოებლურობა – f_L, ხოლო შემდეგ კაპიტალუკუგება – f_K.

$$f_L^{\frac{1}{\alpha}} = \frac{\left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{1}{\alpha}} \cdot \left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{1}{\beta}}}{f_k^{\frac{1}{\beta}}} = \frac{\left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{\alpha+\beta}{\alpha\beta}}}{f_k^{\frac{1}{\beta}}} = \frac{\left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{1}{\alpha \cdot \beta}}}{f_K^{\frac{1}{\beta}}}$$

მარტივი გარდაქმნებით მიიღება, რომ შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი, როგორც კაპიტალუკუგების ფუნქცია, შემდეგი ფორმულით გამოიხატება:

$$f_L = \frac{\left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{1}{\beta}}}{f_K^{\frac{\alpha}{\beta}}} \quad (1.11)$$

სადაც, f_L შრომის მწარმოებლურობა; f_K – კაპიტალუკუგება.

(1.10) ტოლობის საფუძველზე ანალოგიური გამოთვლების გზით მიიღება კაპიტალუკუგების მაჩვენებელიც.

$$f_K^{\frac{1}{\beta}} = \frac{\left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{1}{\alpha}} \cdot \left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{1}{\beta}}}{f_L^{\frac{1}{\alpha}}} = \frac{\left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{\alpha+\beta}{\alpha\beta}}}{f_L^{\frac{1}{\alpha}}} = \frac{\left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{1}{\alpha \cdot \beta}}}{f_L^{\frac{1}{\alpha}}}$$

შესაბამისი გარდაქმნებით კაპიტალუკუგება, როგორც შრომის მწარმოებლურობის ფუნქცია, შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$f_K = \frac{\left(A \cdot \ell^{\lambda t}\right)^{\frac{1}{\alpha}}}{f_L^{\frac{\beta}{\alpha}}} \qquad (1.12)$$

ამრიგად, ზუსტი მათემატიკური გამოთვლები გვიჩვენებს, რომ, სხვა ფაქტორების უცვლელობისას, შრომის მწარმოებლურობასა და კაპიტალუკუგებას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. კაპიტალუკუგების ზრდა შრომის მწარმოებლურობას ამცირებს და პირიქით, შრომის მწარმოებლურობის გადიდებით კაპიტალუკუგება კლებულობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

შრომადამზოგველი და კაპიტალტევადი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში შრომის მწარმოებლურობასა და კაპიტალუკუგებას შორის არსებობს ეკონომიკური კანონის რანგის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება, რომლის ძალით, სხვა თანაბარ პირობებში, შრომის მწარმოებლურობის ზრდისას კაპიტალუკუგება იკლებს და პირიქით, კაპიტალუკუგების გადიდება შრომის მწარმოებლურობის შემცირებასთანაა დაკავშირებული, რის გამოც გამოყენებითი ფაქტორებისა და ტექნოლოგიური დონის უცვლელობისას მათი ერთდროულად გაზრდა შეუძლებელია.

ასეთი დამოკიდებულება საფუძველს ქმნის ვივარაუდოთ, რომ დროის მოკლევადიან პერიოდში შრომის მწარმოებლურობასა და კაპიტალუკუგებას შორის უნდა არსებობდეს მათი ისეთი კრიტიკული თანაფარდობა, რომლისთვისაც შემოსაზღვრული წარმოების ფაქტორებით ექსტრემალური სამეურნეო შედეგები მიიღება. მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდა დამატებითი მოგების მიღებას უზრუნველყოფს, ხოლო ამავე პირობებში კაპიტალუკუგების შემცირება მოგების დანაკარგებს იწვევს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ისმის საკითხი, თუ სად გადის კაპიტალუკუგების კლების ის კრიტიკული საზღვარი, რომლის შემდეგ შრომის მწარმოებლურობის გადიდებით მიღებული დადებითი ეფექტი კაპიტალუკუგების შემცირების უარყოფით შედეგებს მთლიანად გადაფარავს და ამ ფაქტორის ხარჯზე ჯანსაღი ბიზნესის ეფექტიანობის შეუქცევად ზრდას გაპირობებს.

გრძელვადიან პერსპექტივაში კი საანალიზო პროცესი აშკარად გამოხატული ციკლური ტენდენციით განვითარდება, როდესაც ერთი სამეცნიერო-ტექნიკური ციკლის განმავლობაში ექსტრემუმის რამდენიმე წერტილი იქნება მიღწეული.

დასმული პრობლემების გამოკვლევა და გადაწყვეტა მათი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებითაა შესაძლებელი, რასაც შემდეგში სტატიის მომდევნო ნაწილებში შემოგთავაზებთ.

Ilia (Aziko) Sisvadze

MATHEMATIC ANALYSIS, OPTIMIZATION AND FORECASTING OF THE EFFECTIVENESS OF A PRODUCTION

Annotation

The article has solved two problems in respect to peculiarities of modern stage of scientific-technical progress: first, are analyzed expectable long-run tendencies of change of capital-return and is given its prediction formula during one scientific-technical cycle; second, by mathematical analysis of labor productivity and capital-return is substantiated that there exists antiproportional relations between them. Respectively, both cannot simultaneously grow in other equal conditions.

თამილა არნანია-კეპულაძე

ადამ სმიტი: ადამიანთა ქცევის ორი მოდელი

დღეს სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრად არის განპირობებული ეკონომიკის მიკროდონეზე ფუნქციონირების თავისებურებებითა და იმ გადაწყვეტილებებით, რომლებსაც იღებენ ეკონომიკური აგენტები. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ისეთი „სიღრმისეული პარამეტრების“ გათვალისწინება, როგორიცაა ინდივიდუალური ქცევა და მისი ბუნების გაგება.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში არსებულ მრავალრიცხოვან სკოლებსა და მი მართულებათა შორის გამოიყოფა ადამიანის დომინირებადი მოდელი, რომელიც წარმოადგენს თავისებურ ათვლის წერტილს, საორიენტაციო და შესადარებელ საფუძველს ყველა სხვა დანარჩენი ეკონომიკური სკოლებისა და მიმართულებებისთვის ეს არის კლასიკური სკოლის ფარგლებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ადამიანის − “Homo Economicus”-ის მოდელი, რომლის განვითარების საწყის ეტაპად ადამ სმიტის ადამიანის მოდელია მიჩნეული.

ამასთან, ფართო მეცნიერული წრეებისათვის ნაკლებად არის ცნობილი, რომ სმიტს ადამიანის ქცევის ორი მოდელი ჰქონდა ჩამოყალიბებული. ეს მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთ-მანეთისაგან და გამოხატავს ადამიანთა ქცევის განსხვავებულ სტრატეგიებს.

ადამ სმიტის ეკონომიკური ადამიანის მოდელი. ადამ სმიტის ეკონომიკური ადამიანის მოდელი ემყარება მის მიერ შემუშავებულ და კლასიკური ეკონომიკური ანალიზისთვის ერთ-ერთ ფუძემდებლურ მიდგომად გადაქცეულ უხილავი ხელის პრინ-ციპს. ადამ სმიტის შეხედულებით, უხილავი ხელი მართავს ინდივიდის ქცევას იმგვარად, რომ მიიღწევა კერძო და ინდივიდუალური ინტერესების შეთანხმება და შეწონასწორება. სმიტისთვის პირველადია ადამიანის კერძო, ეგოისტური ინტერესები, რომელთა დაკმაყოფილებისათვის ხელშემ-შლელი ფაქტორების არარსებობის შემთხვევაში საზოგადოების ინტერესები აგრეთვე აღწევს სრულ დაკმაყოფილებას. სხვა გვარად რომ ვთქვათ, სმიტის აზრით, თავისუფალი ბაზრის პირობებში ცალკეული ინდივიდები ხელმძღვანელობენ საკუთარი ეგოისტური ინტერესებით და იმართებიან ბაზრის „უხილავი ხელით", რის შედეგად მათი ქცევა, მათი სურვილისა და ნების მიუ-ხედავად, უზრუნველყოფს სხვა ადამიანთა და, საბოლოო ჯამში, - მთელი საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებას.

თავის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (1776) ა. სმიტი აღნიშნავს ადამიანის ისეთ თვისებებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის ეკონომიკურ ქცევასა და, მაშასადამე, მის სამეურნეო საქმიანობის სტრატეგიაზე. ამ თვისებებში ა. სმიტს დასახელებული აქვს 1. „გაცვლისადმი მიდრეკილება", 2. საკუთარი ინტერესების დაცვა, ანუ ეგოიზმი, 3. ადამიანის კომპეტენტურობა, როგორც ადამიანის ინტელექტუალური ნიჭისა და ინფორმირებულობის ერთობლიობა.

„გაცვლისადმი მიდრეკილებას" სმიტი განიხილავს, როგორც ადამიანთა ბუნების განუყოფელ ნაწილს, ხოლო თვით გაცვლას როგორც საზოგადოებაში ადამიანთა პირად ურთიერთობათა საწყის მომენტს. ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, სმიტი აიგივებდა ყველა ადამიანის ურთიერთობებს მოვაჭრეების ურთიერთობებთან, რომელ-თა ცხოვრებისეული და საქმიანი სტრატეგია ეფუძნება გაცვლის სარგებლიანობის გაცნობიერებას და მოკლებულია ყოველგვარ ემოციურ დატვირთვას. გადაწყვეტილებები, რომელსაც იღებს ინდი-ვიდი, განპირობებულია პიროვნების ცხოვრების პირობებითა და ფასეულობებით და მიმართულია პირად გამდიდრებაზე. სმიტის ამ მოდელში ადამიანთა ფასეულობები იფარგლება „საკუთარი და არა საზოგადოების სარგებლიანობის მიღებით", ანუ მატერიალური

დოვლათის მიღებით. ეს მიღწევა კი ეფუძნება ადამიანის ეგოიზმს და საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მუდმივ სწრაფვას. ამის გამო ინდივიდი ირჩევს საქმიანობის ისეთ სფეროს, რომელსაც შეუძლია, მას მაქსიმალური შემოსავალი მოუტანოს.

ა. სმიტის აზრით, არსებობს უშუალო კავშირი ადამიანის ისეთი თვისებებს შორის, როგორიცაა „გაცვლისადმი მიდრეკილება" და საკუთარი ინტერესების დაცვა [2, გვ. 27-29]. სმიტის რწმენით, ამ თვისებებს მოაქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგი, ვინაიდან უბიძგებს ადამიანს, აირჩიოს თავისი საქმიანობის ისეთი სფერო, რომელიც მას ყველაზე დიდ შემოსავალს მოუტანს. ა. სმიტის მიერ წარმოდგენილ მოდელში ადამიანის ისეთი თვისებები, როგორიცაა ინტელექტუალური ნიჭი (კომპეტენტურობა) და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები, ახსნილია იმით, რომ ადამიანი კომპეტენტურია იმაში, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მის ინტერესებთან, ანუ „გათვითცნობიერებულ მოთხოვნილებასთან". ადამ სმიტი აღიარებს ინდივიდთა კომპეტენტურობას იმ საქმიანობაში, რომელსაც იგი ახორციელებს. სმიტის აზრით, ინდივიდს სხვებზე უკეთ შეუძლია განსაზღვროს საკუთარი ინტერესი. ეს ინტერესი კი მიმართულია უშუალოდ ამ ინდივიდის „საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე". ინდივიდის მუდმივი, შეუწყვეტელი სწრაფვა საკუთარი ინტერესების რეალიზებისკენ ა.სმიტს წარმოდგენილი აქვს როგორც ცალკეული პირების, ასევე სახელმწიფოს სიმდიდრის შექმნის წყაროდ. ამასთან, ა.სმიტი განასხვავებს სხვადასხვა კლასების წარმომადგენელთა ინტერესებს და განიხილავს მიწათმფლობელთა, კაპიტალისტთა და დაქირაბულ მომუშავეთა ინტერესებს.

ნაკლებად არის ცნობილი, რომ ტრაქტატის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" გამოქვეყნებამდე თხუთმეტი წლით ადრე ა. სმიტს მოცემული ჰქონდა ეგოისტურ განზრახვებზე დაფუძნებული ეკონომიკური ადამიანის მოდელისაგან განსხვავებული მოდელი.

ადამ სმიტის მორალური ადამიანის მოდელი. 1759 წელს დაწერილ „მორალურ გრძნობათა თეორია"-ში[6] ადამ სმიტს წარმოდგენილი ჰქონდა ადამიანის ქცევის განსხვავებული მოდელი, სადაც ადამიანი წარმოდგენილია, როგორც მგრძნობიარე არსება, რომლის ქცევა მორალურ პრინციპებზეა დამყარული.

[6] ა. სმიტის წიგნი „The Theory of Moral Sentiments" პირველად დაიბეჭდა 1759 წელს. შემდგომ, ა. სმიტის სიცოცხლის მანძილზე, ეს წიგნი კიდევ ხუთჯერ გამოიცა - 1761, 1767, 1774 და 1781 წლებში.

ამ მოდელში ადამიანთა ქცევა გამპირობებულია ინდივიდის ვნებებითა და გრძნობებით. ის გრძნობები, რომელსაც განიცდის ადამიანი, არის სიმპათია და თანაგრძნობა, ანუ სხვა ადამიანების გრძნობების გაზიარება. ამასთან, ა. სმიტი განასხვავებს ადამიანთა ვნებების ხუთ განსხვავებულ სახეს[7], რომელსაც ავლენს ადამიანი და რომელსაც ეფუძნება მისი ქცევა, კერძოდ:

- ვნებები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმის ფიზიკურ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. ამ ვნებების რიცხვს ა.სმიტი მიაკუთვნებს ტკივილს, შიმშილის გრძნობას, სექსუალურ ლტოლვას და სხვ.
- ვნებები, რომლებიც ადამიანის წარმოსახვაზეა დაფუძნებული. ესენია სიყვარული, ერთგულება და სხვ.
- ვნებები, რომლებიც საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, ანუ მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობა, თანაგრძნობა, ურთიერთპატივისცემა, სულგრძელობა, სიბრალული და სხვ.
- ვნებები, რომლებიც ასოციალურ ხასიათს ატარებს – სიბრაზე, რისხვა, გულისწყრომა, სიძულვილი და ა.შ.
- ვნებები, რომლებიც პირად ინტერესებზეა დაფუძნებული, ანუ ეგოისტური ვნებები.

ა. სმიტის შეხედულებით, ადამიანის ვნებათა ამა თუ იმ ტიპის განვითარებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდის ბუნება, არამედ ადამიანთა საქმიანობაც. ეს საქმიანობა ძალზე ნაირფეროვანია და განსხვავებულად მოქმედებს ადამიანთა მიდრეკილებებზე, ზნეობასა და ხასიათზე და, მაშასადამე, ადამიანის ქცევაზე.

ადამიანის ქცევას ა. სმიტი პირდაპირ კავშირში აყენებს ადამიანის საქმიანობის სფეროსთან (რაც სმიტისთვის ზოგჯერ გაიგივებულია გარკვეულ კლასთან), პროფესიასთან და ასაკთან. ამასთან, ადამიანთა ქცევის შეფასებისას სმიტი დიდ მნიშვნელობას მოლოდინის ფაქტორს ანიჭებს. ანუ, სმიტისთვის მნიშვნელოვანია ის შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება ადამიანის ქცევა იმ წარმოდგენებს, იმ მოლოდინს, რომელიც დაკავშირებულია ამ ადამიანის საქმიანობის სფეროსა და ასაკთან.

მიუხედავად იმისა, რომ „მორალური ადამიანის“ მოდელი ინდივიდის ბუნებრივ ვნებებზეა დაფუძნებული და მასში მთავარ როლს სწორედ პიროვნების გრძნობები ასრულებს, ა. სმიტი არც ამ მოდელში უგულებელყოფდა ინდივიდის კერძო ეგოისტურ ინტერესებს, მაგრამ, ეკონომიკური ადამიანის მოდელისაგან განსხვა-

[7] Смит Адам. Теория нравственных чувств.- М., Республика. 1997, часть 1, отдел II, главы I, II, III, IV, V.

ვებით, არ ანიჭებდა საყოველთაო ხასიათს და ზღუდავდა მათ სამართლიანობის ფარგლებით.

„მორალური ადამიანის“ მოდელში ა. სმიტს არ დაჰყავს ადამიანის ინტერესი უბრალო ფულად შემოსავლის მიღებამდე, სიმდიდრის მოხვეჭამდე. მას აინტერესებდა არა მხოლოდ ადამიანთა საქმიანობის შინაგანი მოტივები (ინტერნალიები), არამედ ამ საქმიანობის გარე პირობებიც (ექსტერნალიები). ა. სმიტი აღნიშნავს, რომ ადამიანისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო შემოსავალი, არამედ საქმიანობის ხასიათი: რამდენად სასიამოვნო თუ არასასიამოვნოა იგი, მუდმივია თუ არა ეს საქმიანობა, რამდენად პრესტიჟულია ეს საქმიანობა საზოგადოების თვალში, რამდენად რთული ან რამდენად სასიამოვნოა ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სწავლა, რამდენად სავარაუდოა წარმატების მიღწევა და ა.შ. ამ ფაქტორების არსებობით ხსნიდა ა. სმიტი ადამიანთა შემოსავლების უთანაბრობას.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც ა.სმიტი გამოყოფს ადამიანის ქცევის თავისებურების ასახსნელად, დაკავშირებულია ხალხთა და ქვეყნებს შორის, ისტორიულ პერიოდებს შორის არსებულ განსხვავებებთან. ანუ, ა.სმიტი აღიარებს, რომ ადამიანთა ვნებებსა და ქცევაზე გარკვეულ გავლენას ახდენს კულტურული განსხვავებები, რომლებიც ყალიბდება ადამიანის ცხოვრების ისტორიული პერიოდითა და ადგილმდებარეობის ზემოქმედებით.

ადამიანის ბუნებასა და ქცევაზე ორ განსხვავებულ შეხედულებათა არსებობის გამო ხშირად საუბრობენ წინააღმდეგობაზე სმიტი ეკონომისტისა და სმიტი მორალისტის შორის. მაგრამ ეს წინააღმდეგობა დიდწილად მოჩვენებითია. განვითარებული გაცვლითი ურთიერთობების პირობებში ადამიანებს უწევთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში შესვლა და ეს ურთიერთობები, სმიტის აზრით, არ შეიძლება იყოს ან აბსოლუტურად ეგოისტური ანდა სრულად ალტრუისტული. ამ ურთიერთობებში სხვადასხვა დონით ჩართულია როგორც ადამიანის გრძნობები, ისე მისი გონება, რაც განსხვავებულად წარმოაჩენს ადამიანს და მის ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში.

ა. სმიტის შეხედულებებში შეიმჩნევა თანახმიერება ტ. ვებლენისა და სხვა (ადრეული) ინსტიტუციონალისტების იდეებთან. კერძოდ, ა. სმიტი განიხილავს ადათწესებისა და ჩვევების გავლენას ადამიანთა ქცევაზე [1, ნაწილი 5, თავი 2]. სმიტისთვის ადამიანთა წარმოდგენა სიკეთესა და ბოროტებაზე გარკვეულწილად გამომდინარეობს ადამიანთა ჩვევებზე მოდის გავლენისა და მოდით ნაკარნახევი ქცევის ჩვევად გადაქცევის შედეგს. ა.სმიტი განიხილავს ადათ-წესებისა და მოდის გავლენას ადამიანთა გრძნობებზე და,

აქედან, მათ ქცევაზე. ამასთან, მოდა სმიტისთვის წარმოადგენს გარკვეული ჩვევების ჩამოყალიბების საფუძველს.

იგი წერს, რომ მოდა ზოგჯერ მიდის იმ დონემდე, რომ ბიძგს აძლევს და ხელს უწყობს ზოგიერთი მანკიერი თვისების ჩამოყალიბებასა და განვითარება-გავრცელებას, ხოლო ისეთი პატივ-საცემი თვისებები, როგორიცაა კეთილშობილება და პატიო ს ნება, გულახდილობა და გულისხმიერება, შრომისმოყვარეობა და კანონი-სადმი დამორჩილება, გადაქცეულია დაცინვისა და მიუღებლობის საგნად. ამის დასასაბუთებლად სმიტს მოჰყავს მაგალითი კარლოს მე-2-ის მეფობის პერიოდიდან, როცა, მისი მტკიცებით, გარყვნილობა და უღირსობა, უპატიოსნობა კარგი აღზრდის ნიშანდობლივ თვი-სებებად იყო აღიარებული [1].

ამრიგად, დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებული ეკონომი-კური ადამიანის მოდელის ჩამოყალიბებისკენ ადამ სმიტის მიერ გავლილი გზა არ იყო მარტივი და პირდაპირი. მას წინ უძღოდა ნაკლებად ცნობილი „მორალური ადამიანის“ მოდელის ჩამოყა-ლიბება, რომლის გადასინჯვისა და შემდგომი გააზრების შედეგად შეიქმნა საყოველთაოდ ცნობილი ეკონომიკური ეგოისტის მოდელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Смит Адам. Теория нравственных чувств (1759).- М., Республика, 1997.

2. Смит А. (1776), Исследование о природе и причинах богатства народов. М., 1962.

Tamila Arnania-Kepuladze

ADAM SMITH: TWO MODELS OF HUMAN BEHAVIOUR

Annotation

The article considers the particularities of two models of human behaviour, developed by Adam Smith: the well-known “Homo Economicus” model and less-known where human is presented as sensitive and susceptible to passions.

ელენე ჩიქოვანი

ბიზნესის კეთილსინდისიერების კონცეფციის არსისა და დანერგვის შესახებ საქართველოში

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბიზ-ნესის მართვის თეორიასა და პრაქტიკაში სულ უფრო მნიშვნელოვან

ადგილს იკავებს ბიზნესის კეთილსინდისიერების („Business Integrity“) კონცეფციის დანერგვის საკითხები. თანამედროვე ბიზნესგარემოში წარმატებული საქმიანობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ეფექტური მმართველობის, შეთანხმებაზე ორიენტირებულობისა და ანტიკორუფციული პროგრამების გამოყენება. აღნიშნულის ძირითად შემადგენელ ელემენტებს ბიზნესლიდერების პასუხისმგებლობა, პროფესიონალთა შეთანხმებული საქმიანობა და რისკების მართვა წარმოადგენს, რათა ბიზნესმა იმოქმედოს იმ წესებისა და რეგულაციების ფართო წრის შესაბამისად, რომლებიც გლობალური ბიზნესის მიმართ გამოიყენება [1].

ბიზნესის კეთილსინდისიერების მნიშვნელობას ყოველთვის ყურადღება ექცეოდა ბიზნესსაზოგადოებაში, მაგრამ თანამედროვე პირობებში მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. გლობალური კონკურენტუნარიანობის პირობებში მომხმარებლები უპირატესობას მხოლოდ ისეთ კომპანიებს ანიჭებენ, რომლებიც კეთილსინდისიერების მაღალი მახასიათებლებით ხასიათდებიან. შესაბამისად, ნაკლებად ენდობიან და განიხილავენ ისეთ კომპანიებს, რომელთა კეთილსინდისიერება და რეპუტაცია ეჭვს ქვეშ არის დაყენებული.

თანამედროვე პირობებში ბიზნესის წარმატების განმაპირობებელ ფაქტორთა სიაში ბიზნესის კეთილსინდისიერების ფაქტორი ყველაზე მაღალ ადგილს იჭერს. კეთილინდისიერების გარეშე კომპანიის ყოფნა ბიზნესის სადავეებთან ხანმოკლეა. მაშინ, როდესაც კეთილსინდისიერი ბიზნესის შემთხვევაში კომპანიის სიღრმისეული, და არა მის ზედაპირზე არსებული, მოვლენები ბიზნესის კულტურის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი ხდება და იმ არსებით განსხვავებას განაპირობს, რაც ბიზნესის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება და წარმატებისა და ჩავარდნის მიზეზებს შორის სხვაობას უდევს საფუძვლად.

ბიზნესის კეთილსინდისიერების კონცეფციის არსი მისი სამი ძირითადი შემადგენლის – ანგარიშვალდებულების, კომპეტენტურობისა და ეთიკის თანმიმდევრულობას გამოხატავს და გულისხმობს ამ სამი კომპონენტის ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთმიმართებას კორუფციის გარეშე. შესაბამისად, ბიზნესის კეთილსინდისიერების ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია: ანგარიშვალდებულება, კომპეტენტურობა და ეთიკა კორუფციის კონტროლით [2].

ზემოაღნიშნული თითოეული შემადგენლის ძირითადი შინაარსი შემდეგში მდგომარეობს:

ანგარიშვალდებულება ნიშნავს, რომ ბიზნესის მონაწილეებს საშუალება აქვთ, შეამოწმონ შესრულდა თუ არა დასახული და დაპირებული ამოცანები, განხორციელდა თუ არა საქმე პროფე-

სიულად, მოხდა თუ არა მორალის პრინციპების დაცვა, შესრულდა თუ არა საქმიანობა საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, კორუფციის გარეშე.

ანგარიშვალდებულების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს წარმოადგენს: გამჭვირვალობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თანმიმდევრულობა, სოციალური პასუხისმგებლობა, მკაფიოობა და სიცხადე, მოთამაშეთა მიმართ ღიაობა.

კომპეტენტურობა ნიშნავს საქმის პროფესიულად შესრულებას. ეთიკა არის მორალის პრინციპების დაცვა საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით. კორუფცია – კორუფციის გარეშე საქმიანობაა კორუფციის კონტროლით.

კომპეტენტურობა ფასდება ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა: პროფესიონალიზმი, ხარისხი, ეფექტურობა, პასუხისმგებლობა და უნარიანი მმართველობა.

ეთიკური ქცევის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს წარმოადგენს: სანდოობა, პატიოსნება, სიმართლე, კანონიერება, ანტიკორუფცია, სოციალური სამართლიანობა, უფლებების პატივისცემა და კონფიდენციალურობა. ბიზნესის ეთიკის აღნიშნულ განმარტებასა და ბიზნესის კეთილსინდისიერების განმარტებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. ბიზნესის ეთიკა ბიზნესის კეთილსინდისიერების ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული განმარტებები ერთმანეთთან არის გაიგივებული.

იმისათვის, რომ კეთილსინდისიერების ბაზისი შეიქმნასწ მომხმარებლებთან კარგი ურთიერთგაგება უნდა ჩამოყალიბდეს. მაგრამ მომხმარებლებთან ჭეშმარიტი კეთილსინდისიერი ურთიერთობის მიღწევის შემდეგაც შესაძლებელია დარჩეს ისეთი მნიშვნელოვანი რამ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მომავალში მისი განხორციელების ტექნიკასა და გარანტიებს. ბიზნესის კეთილსინდისიერება არ არის ის, რისი მიღწევა გამოყენებაც მარტივად არის შესაძლებელი. მიღწეული და გამოყენებული იქნეს. კეთილსინდისიერება არსობრივად ისე უნდა იყოს ჩანერგილი ინდივიდების, კომპანიისა და მისი გუნდის შემადგენლობაში, რომ იგი მყარად იყოს შენარჩუნებული. ბიზნესის კეთილსინდისიერება იწყება მისი ლიდერით (ხელმძღვანელით), რომელსაც ესმის ბიზნესის კეთილსინდისიერების მნიშვნელობა, რომელიც შემდგომ აისახება მთელ კომპანიაში მისი ყველა ქვედანაყოფისა და მისი წევრების მიდგომებსა და დამოკიდებულებებში. ამდენად, ბიზნესის კეთილსინდისიერება ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის სინქრონიზაციას გულისხმობს [2].

კეთილსინდისიერების ჭეშმარიტი ბუნების გასაგებად, ანუ იმის გასაგებად, თუ რა არის კეთილსინდისიერება, არსებობს ფუნდამენტური საბაზისო პრინციპები, რაც ბიზნესის კეთილსინდისიერების ხარისხს ახასიათებს.

პირველი პრინციპი არსობრივად გამოხატავს იმის აღიარებას, რომ მომხმარებლებს საქმიანი ურთიერთობა სურთ იმ კომპანიასთან, რომელსაც ისინი ენდობიან და სჯერათ. როდესაც ნდობა კომპანიის დედაარსს წარმოადგენს, მისი აღიარება ადვილია. ამასთან, ნდობა განიმარტება, როგორც ბიზნესის გარანტირებული დაყრდნობა ხასიათზე, უნარიანობაზე, სიძლიერესა და სიმართლეზე. მეორე პრინციპი ასევე აუცილებელია კომპანიის საქმიანობის უწყვეტი და შეუფერხებელი გაუმჯობესებისათვის. ორგანიზაციის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სურვილი იდეებს გაუღოს კარი უკეთესობისკენ. ამიტომ, მან უნდა გაიგოს როგორც კლიენტების, ასევე გუნდის წევრების აზრი. კომპანია მხოლოდ ასეთ პირობებში განაგრძობს ზრდას. მესამე პრინციპი უბიძგებს კომპანიას, მიუხედავად გარემოებებისა, აკეთოს ყველაფერი, რისი ძალაც შესწევს, რათა მოიპოვოს ძველი კლიენტების ნდობა თუ რამე არასწორად, მრუდედ ან დამახინჯებულად წარიმართა. აღნიშნული პრინციპის დევიზია, კომპანიამ გააკეთოს ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეუძლია ბიზნესის დანაკარგების აღსადგენად ისე, რომ პატივი სცეს ყველანაირ ვალდებულებსა და პასუხიმგებლობას. მეოთხე პრინციპი მოითხოვს გადაფასდეს ყველა ნაბეჭდი მასალა რეკლამის, ბროშურებისა და ბიზნესის სხვა დოკუმენტაციის ჩათვლით, რათა კომპანია დარწმუნდეს, რომ ისინი პროფესიონალები არიან პროფესიონალური. უფრო მნიშვნელოვანია ისინი დარწმუნდენენ, რომ კომპანია არ არის დამახინჯებული და არასწორად ახსნილი. მეხუთე პრინციპი, მიუთითებს კომპანიას, ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობასა და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში და ამით მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მისი ბიზნესი პასუხისმგებელი საზოგადოებრივი კონტრიბუტორია. სხვა სიტყვებით, პრინციპის დევიზია – დარჩი ჩართული. მეექვსე პრინციპი მიუთითებს კომპანიას, ხელი მოჰკიდოს აღრიცხვისა და საადრიცხვო ჩანაწერების წარმოებასა და შენახვას არა მარტო კომპანიის პროგრესის უკეთ შეგრძნობისათვის, არამედ, როგორც რესურსი, მრავალი „საეჭვო“ საქმიანობის განხორციელებისაგან თავის ასარიდებლად. აღრიცხვასა და საადრიცხვო ჩანაწერების შენახვის კონტროლი საშუალებას აძლევს კომპანიას, მარჯვედ გაართვას თავი ნებისმიერ საეჭვო საქმიანობას. მეშვიდე პრინციპი ცდის სხვებს, მიუხედავად პატივისცემისა, განსხვავებისა, თანამდებობისა, ტიტულებისა, ასაკისა და განსხვავების სხვა სახეე-

ბისა. იგი ურჩევს კომპანიას, ყოველთვის სცეს პატივი სხვას, მიუხედავად პროფესიული პატივისცემისა და თავაზიანობისა [5].

რაც შეეხება კორუფციას, კორუფციის ქვეშ ესმით საზოგადოებრივი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება კერძო სარგებლის მიღების მიზნით. კერძო სექტორში კორუფციის სახეებს მიეკუთვნება კომერციული, ანუ ფირმების მენეჯერთა კორუფცია, ფირმების მიერ სახელმწიფო მოხელეებისათვის მიცემული სამეწარმეო ქრთამი. კერძო სექტორში კორუფციის გამოვლენის ფორმებს წარმოადგენს გარიგებები ბიზნესსა და სამთავრობო დაწესებულებებს შორის, ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის, ბიზნესსა და ბიზნესს შორის, ბიზნესსა და სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე ბიზნეს ორგანიზაციის შიგნით არსებული გარიგებები [4].

კერძო სექტორში კორუფციის შედეგს წარმოადგენს ორგანიზაციის რეპუტაციის შელახვა, ბიზნესზე დანახარჯების ზრდა, ინოვაციების შემცირება, რადგანაც ქრთამი ხელს უშლის ორგანიზაციის საქმიანობასა და მის მიერ პროექტების ეფექტურ განხორციელებას. კორუფციის გამოვლინების ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო რესურსების არაეფექტური განაწილება და ხარჯვა, ზოგიერთი ფირმის უპატიოსნო პრივილეგირება სხვებთან შედარებით სახელმწიფო დაკვეთებისა და ტენდერების დროს.

კორუფციის შედეგების გავლენა ეკონომიკაზე გამოიხატება საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის ბარიერების შექმნაში. იგი ხელს უწყობს ფასების ზრდას და პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის შემცირებას. მცირდება ინვესტიციები წარმოებაში და ხდება ეკონომიკური ზრდის შენელება, ხელს უშლის გადასახადების ამოღებას, ხელს უწყობს მცირე და საშუალო საწარმოების გაკოტრებას. კორუმპირებული პოლიტიკოსები და მოხელეები ახდენენ ბიუჯეტური სახსრების გაფლანგვას მეორეხარისხოვან კონტრაქტებსა და ღონისძიებებზე, საიდანაც ხდება ფულის გათეთრება.

ანტიკორუფციული სტრატეგია მოიცავს კორუფციის კონტროლს, კერძო სექტორის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოქმედებასა და განხორციელებას.

ბიზნესის კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმები მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: სამართლებრივი გარემო და კეთილსინდისიერების დანაკარგების კრიმინალიზაცია; კოლექტიური ქმედებები; რისკის შეფასება; ჯეროვანი გულმოდგინება, შეთანხმებულობაზე ორიენტირებულობის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ძალდატანების, მონიტორინგისა და შემოწმების ღონისძიებებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; საზოგადოებრივი

კეთილსინდისიერების მშენებლობას, მრავალ მონაწილეთა ინიციატივებს და სხვა.

საქართველოს სინამდვილეში ბიზნესის კეთილსინდისიერების მიდგომების გამოყენება არასდროს ყოფილა ისეთი მოთხოვნადი, როგორც ახლა. ბიზნესის კეთილსინდისიერების კონცეფციის გამოყენებას შეუძლია დაეხმაროს ორგანიზაციებს, გამოიყენონ პრაქტიკული სტრატეგიები, რათა ამ მოთხოვნებს უპასუხონ. ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ თავიანთ კლიენტებთან, რათა მოახდინონ რისკების იდენტიფიცირება, შეაფასონ არსებული კორპორაციული მმართველობითი პოლიტიკის ეფექტურობა, შეიმუშაონ ან გაზარდონ შეთანხმებაზე ორიენტირებულობის პროგრამები და ტრენინგის ღონისძიებები, მოახდინონ შეთანხმებაზე ორიენტირებულობის მიმართულებით ჩატარებული საქმიანობის მონიტორინგი.

ორგანიზაციები, რომლებიც ბიზნესის კეთილსინდისიერებისა და შეთანხმებაზე ორიენტირებულობის კულტურას ნერგავენ, კონკრეტულ შედეგებს აღწევენ, რაც მოგების გადიდებაში, თანამშრომელთა კმაყოფილებისა და საზოგადოების ნდობის ამაღლებაში გამოიხატება. ბიზნესის კეთილსინდისიერების პოლიტიკას გააჩნია სათანადო გამოცდილება და ექსპერტიზა, რათა შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღოს მდგრადი წარმატებების მისაღწევად. იგი ეხმარება ორგანიზაციას შეთანხმებაზე ორიენტირებულობის პროგრამების შეფასებასა და განვითარებაში.

შეთანხმებაზე ორიენტირებულობის პროგრამის დანერგვის უპირველეს მიზანს წარმოადგენს, მოახდინოს პრობლემების პრევენცია კრიზისის დაწყებამდე. სისტემას შეუძლია, შეაფასოს ორგანიზაციის მიმდინარე კორპორაციული მართვის შეთანხმებაზე ორიენტირებულობისა და ანტიკორუფციული პროგრამების ქმედითობა, განსაზღვროს საჭირო მოდიფიკაციები, რათა მოახდინოს დაუცველობის მინიმიზება, აღმოაჩინოს პრობლემები, რბილად გაართვას თავი მათ გადაწყვეტას და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მათზე. მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიზანმიმართული ორიენტირებულობა შიდა შეთანხმებაზე, რაშიც განსაკუთრებული როლი აკისრია რისკის მართვის ჯგუფების მუშაობას, რომელსაც შეუძლია კორპორაციული მართვის, შეთანხმებაზე ორიენტირებულობის და ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავება ძლიერი ეთიკის კოდექსისა და ფორმალური ტრენინგ-პროგრამების ჩათვლით, რათა მოახდინოს ორგანიზაციის შიგნით პოლიტიკისა და რეგულაციური მოთხოვნების ინტეგრირება. შეთანხმებაზე ორიენტირებულობის პროგრამები მუდმივ მონიტორინგსა და სიფხიზლეს მოითხოვს. მონიტორინგის მეშვვეობით საჭიროა, დადგინდეს არსებული მმართველობითი ეთიკის, შეთანხმებაზე ორიენტირებულობისა

და ანტიკორუფციული პროგრამების ეფექტურობა. ამდენად, აუცილებელია პერიოდულად შეფასდეს ახალი ან მოდიფიცირებული ეთიკის ან შეთანხმებაზე ორიენტირებულობის პროგრამების ეფექტურობა იმის დასადგენად თუ როგორი პროგრესია აღნიშნულ სფეროებში მიღწეული [1].

ბიზნესის კეთილსინდისიერების კონცეფციის უკეთ შეცნობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუციური კეთილსინდისიერების გაგებას. ინსტიტუციური კეთილსინდისიერების განმარტება მოიცავს მახასიათებელთა სისტემას, რომლებიც მთლიანობაში მოთამაშეთა ნდობის ამაღლებას განაპირობებს. ორგანიზაცია დემონსტრირებას უკეთებს შიდა და გარე მოთამაშეების მიმართ ნდობას. იგი მიმართულია პერსონალური კეთილსინდისიერების ამაღლებისაკენ. მის საბაზისო ორგანიზაციულ პლატფორმას წარმოადგენს: ძირითადი ღირებულებები, ფასეულობები და სახელმძღვანელო პრინციპები, როგორიცაა მისია, ხედვა, ფასეულობები, ეთიკის კოდექსი, ქცევის კოდექსი, კეთილსინდისიერების ოფიცერი, სახელმწიფო ჩარჩო-პირობები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მენეჯმენტის სახელმძღვანელო პრინციპები (ინტერესთა კონფლიქტი, საჩუქრები და სხვა); ხელმძღვანელობის მხრიდან ნათელი შეტყობინებები, თანამშრომელთა დანიშვნა და მათი პოზიციების გადასინჯვა, მონიტორინგის სისტემის ამოქმედება; შესაძლებლობები და წინასწარი შეტყობინებები გაუმჯობესებისათვის და სხვა [2]. ბიზნესის კეთილსინდისიერების დაცვა გულისხმობს სამართლებრივი გარემოს სრულყოფასა და კეთილსინდისიერების დანაკარგების კრიმინალიზაციის პრევენციას, კოლექტიურ ქმედებებს, რისკის შეფასებას, ჯეროვან გულმოდგინებას, შეთანხმებებზე ორიენტირებულობის მექანიზმებს, ძალდატანების ღონისძიებებს, მონიტორინგსა და განხილვას და სხვა [3].

ამჟამად, საქართველოში ბიზნესის კეთილსინდისიერების შეფასების მიმართულებით კვლევები თითქმის არ არის ჩატარებული. დამუშავებასა და შეფასებას მოითხოვს როგორც ბიზნესის კეთილსინდისიერების მარეგულირებელი ჩარჩო-კანონმდებლობის შემუშავებისა და გამოყენების პრობლემები, ასევე ბიზნესის პრაქტიკაში კეთილსინდისიერების კონცეფციის დანერგვის საკითხები, რაც დეტალური მეცნიერული კვლევის საგანი უნდა გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Business Integrity @ Compliance.. Freeh Group International Solutions, LLC©2011. All rights reserved.
2. Introduction to Integrity. Ellen Goldberg, Director. Integrity Education Copyright © Business Integrity Workshop. Tbilisi, Georgia, 2014. pp. 1-11.

3. Facing Integrity Challenges – Community Integrity Building and Social Accountability Practical and Effective Means to Improve Integrity In Public Service Delivery. Ellen Goldberg. Director.Integrity Education.Integrity Action Business Integrity Workshop Tbilisi, Georgia, 2014. pp. 1-20.

4. Коррупция и ее последствия в бизнесе. Арутюн Алексанян, Менеджер образовательной сети интегрити по Европе и Центральной Азии. Рабочая встреча по вопросам добросовестности бизнеса. Тбилиси, Грузия 2014.с. 1-9.

5. The 7 Principles of Business Integrity. Copyright 2004. Robert Moment .pp.1-3.

6. Compliance and Business Integrity Program. Robert J. Dole VA Medical Center/589A7/ Department of Veterans Affairs Center Circular IMC-11- 06. Wichita, Kansas. May 24, 2011.

Elene Chikovani

ABOUT THE ESSENCE OF BUSINESS INTEGRITY CONCEPT AND ITS INCULCATION IN GEORGIA

Annotation

The article is devoted to the essence and importance of the integrity concept for the successful functioning and rising of the global competitiveness of the business. Characterizes main point and three elements of integrity: accountability, competence and ethics, without corruption. The necessity of conducting of the special scientific researches on inculcation of the concept of integrity in business practice of Georgia is substantiated.

თინა ჩხეიძე

ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების პრობლემები საქართველოში

ტყე გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილია, რომელიც მოიცავს კანონმდებლობით ტყისათვის მიკუთვნებულ ხეებს, მათი გავრცელების არეალში მოქცეულ მიწას, აგრეთვე ბუჩქებს, ბალახებს, ცხოველებს და სხვა ერთობლიობას და გავლენას ახდენს ერთმანეთსა და გარემოზე [9].

ტყეს, როგორც მცენარეულობის გარკვეულ ტიპს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ტყეს დიდი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის. თანამედროვე ეტაპზე არ არის დარგი, სადაც არ იყენებდნენ ტყის პროდუქტებს. მისი მერქანი ფიზიკურ-მექანიკური

თვისებებით და დამუშავების სიადვილით საუკეთესო ნედლეულია მრეწველობის მთელი რიგი დარგებისათვის.

მერქანი ძირითად ნედლეულად ითვლება საავეჯო, საფანერო, ცელულოზა-ქაღალდის, მუყაოს, ხელოვნური ბოჭკოს, საფეიქრო და სხვა სახალხო მეურნეობის დარგებში.

ტყე გავლენას ახდენს ჰაერის შემადგენლობაზე, ცვლის ტემ-პერატურას, ტენიანობას და ჰაერის მასების მოძრაობას, ტყე ფილტრაციას უკეთებს ჰაერს, ასუფთავებს მას ტექნიკური შენაერ-თებისაგან.

ტყეს ბალნეოლოგიური თერაპიის დარგშიც დიდი გამოყენება აქვს. სამკურნალო თბილ წყლებს გამაჯანსაღებელი თვისება გააჩ-ნია.

ტყე ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს მისი მწვანე ფერის გამო. ჩვენი კურორტების ღირსება მისი შემოგარენის სიმწ-ვანეა.

ტყე არეგულირებს ატმოსფერულ პროცესებს, ხელს უშლის ქარისმიერ ეროზიას.

ტყე საუკეთესო ბაზას წარმოადგენს გარეული ფრინველებისა და ცხოველების გამრავლება-მოშენებისათვის.

მას ბიოსფეროს სტაბილიზატორსაც უწოდებენ. იგი იცავს ნიადაგს ეროზიისაგან, არეგულირებს კლიმატს და ჰიდრო-რესურ-სებს [3].

ბუნებრივი ტყის ხემცენარეები გამოყოფენ 300-მდე სხვადასხვა შემადგენლობის ქიმიურ ნივთიერებებს, არომატულ ნაერთებს, ეთერზეთებს, ტყე გამოყოფს განსაკუთრებულ ნივთიერებებას – ფიტონციდებს, რომელიც ანადგურებს მავნე ბაქტერიებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსხვილი დასახლებული პუნქტების სიახლოვეს არსებულ ტყეს, რომელსაც გააჩნია სუფთა ჰაერის მიწოდებისა და ქარდაცვის ფუნქცია.

ტყე ბიოსფეროს, ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს მდგრადობის უნივერსალური ფაქტორია. მას პლანეტის „მწვანე ფილტვებს“ უწოდებენ. მისი მეშვეობით ბალანსირდება ატმოსფეროში ჟანგბადის, ნახშირორჟანგისა და აზოტის საჭირო რაოდენობა.

ტყე გადამწყვეტ როლს ასრულებს მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნებაში, ეროზიული პროცესების სტაბილიზებაში, სინოტივის მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ქარსაცავი ზოლების გაშენებას მოსავლიანობის გადიდებისთვის.

ჭალის ტყე არა მარტო იცავს წყლის რესურსს, არამედ წარმოადგენს ბუნებრივ „ფილტრს“ სხვადასხვა დამაბინძურებლე-ბისაგან.

ტყის რესურსების გამოყენება კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა. ამჟამად მისი რაციონალური გამოყენება და დაცვა არა მარტო გლობალური მნიშვნელობის პრობლემაა, არამედ სასიცოცხლო სივრცის და არაერთი ბუნებრივი რესურსის შენარჩუნების წინაპირობაა.

ტყეებს დედამიწაზე 40 მლნ კმ^2, ანუ თითქმის 1/3 უკავია. მათი უმეტესი ნაწილი ბუნებრივად ვითარდება. ტყეების ნახევარზე მეტი თავმოყრილია სამ ქვეყანაში – რუსეთში, ბრაზილიასა და კონგოში. დედამიწაზე ყველაზე ფართოდ ტროპიკული ტყეებია გავრცელებული, მეორე ადგილზეა ზომიერი სარტყელის ტაიგა, შემდეგ კი ამავე სარტყელის სხვა ტიპის (შერეული, ფართოფოთლიანი და სხვა) ტყეები.

ტყეებს ძირითადად მერქნის მარაგით აფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა ტყიანი ფართობების მხრივ, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბრაზილიას მერქნის მსოფლიო მარაგით. ამ ქვეყანაზე მსოფლიო მერქნის მარაგის 27% მოდის.

კაცობრიობის ისტორიაში ტყისა და მისი რესურსების გამოყენება შემგროვებლობისა და მონადირეობის ადრეული ეპოქიდან იწყება. მასზე მასშტაბური ზემოქმედება მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების განვითარებას ემთხვევა.

ევროპაში ვაკის ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი ენერგიის მისაღებად და საშენ მასალად იქნა გამოყენებული, მოგვიანებით კი გაჩეხეს და დაწვეს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. X საუკუნის ბოლოს ტერიტორიის 70% ტყით იყო დაფარული, ამჟამად კი ეს მაჩვენებელი 25%-ს არ აღემატება. გაცილებით უფრო რთული ვითარებაა ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში – დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვა, სადაც შენარჩუნებულია ტყეების მხოლოდ 5%. მსოფლიოში, მთელი ისტორიის მანძილზე, ტყეებით დაკავებული ფართობები ორჯერ შემცირდა. განსაკუთრებით ანთროპოგენული ზეწოლა განიცადა შერეულმა და ფართოფოთლოვანმა ტყეებმა, რომლებიც შემცირდა 40-50%, ხოლო ხმელთაშუა ზღვისა და სუბტროპიკული ტყეები და მუსონური ჰავის ოლქის ტყეები კი შემცირდა 70-80% – 85-90%. ამჟამად აღმოსავლეთ ჩინეთში და ინდგანგის დაბლობზე არსებული ტყეების 5%-ია დარჩენილი. ტროპიკული ტენიანი ტყეების ფართობები სწრაფად მცირდება (10-11 ჰა წელიწადში) [3].

ტყეებს ხშირად ანადგურებს ხანძარი. უმეტესად ხანძარი ჩნდება ადამიანის უყურადღებობით და დაუდევრობით (მაგ., რუსეთში 25 ათასი ტყის ხანძარია დაფიქსირებული). ტყის მტერია დაბინ-

ძურებული ატმოსფეროს ჰაერი, ბიოლოგიური მავნებლები და დაავადებები. ტყეს ემუქრება აგრეთვე საქონლის გადამეტებული ძოვება.

მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დაწოლა აქვს საგარეუბნო ტყეებს, რომლებიც თითქმის ყველა ქვეყანაში დასვენების კერად იქცა. განსაკუთრებით შაბათ-კვირას, ზაფხულის თვეებში მილიონობით ადამიანი სარგებლობს ტყის რეკრეაციული მიზნით, რასაც მცენარეულობის სრული დეგრადაცია მოსდევს.

ტყეები იზიდავს მოსახლეობას ხილკენკრისა და სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად. მილიონობით ტურისტი ერთი და იმავე მარშრუტით ბილიკზე სიარულისას ტკეპნის ნიადაგს და ანადგურებს მცენარეულობას.

მსოფლიოში ყოველწლიურად 150 ათასი კმ^2-მდე ტყიანი ტერიტორია ხრიოკდება, განსაკუთრებით ინტენსიურად მერქნის მარაგებით გამორჩეული ტროპოკული ტყეები იჩეხება, თითქმის მთლიანად არის განადგურებული ამგვარი ტყეები ცენტრალურ ამერიკაში. მნიშვნელოვნად შემცირდა აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინური ამერიკის ტყის ფართობები.

ჩრდილოეთის ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს ტყეების განახლება, ყოველწლიურად მსოფლიოში 56 ათას კმ^2-ზე ხორციელდება ტყეების აღდგენა. აქედან თითქმის ნახევარი მოდის ტყეების ბუნებრივ თვითგანახლებაზე, ხოლო მეორე ნახევარი ხელოვნურზე – სატყეო პლანტაციებში გამოყვანილი ხემცენარეების დარგვით. სატყეო პლანტაციებში გაზრდილ ხემცენარეების მერქანს სამრეწველო დანიშნულებისათვის იყენებენ.

სატყეო პლანტაციების მასშტაბებით ლიდერობენ იაპონია, ჩინეთი და სხვა ქვეყნები, რომლებზეც ამგვარი პლანტაციების 2/3 მოდის. ეს ქვეყნები ტყის რესურსებზე მოთხოვნილებას ძირითადად ამ გზით იკმაყოფილებენ.

ხე-ტყის გადამამუშავებელ მრეწველობაში სწრაფად ინერგება ახალი ტექნოლოგიები, უნარჩენო წარმოება. მაგალითად, ავეჯის წარმოებაში გამოიყენება ხე-ტყის ნარჩენები. ზოგიერთმა ქვეყანამ შეძლო ხე-ტყის მაგივრად ახალი, ალტერნატიული ენერგიის წყაროს გამოყენებაც. ასეა ტუნისში, სადაც საწვავად პლანტაციებში მოყვანილ სპეციალურად გამოყვანილ კაქტუსს იყენებენ.

არაერთმა სახელმწიფომ აკრძალა ტყეების გადარჩენისათვის მიზნით ხე-ტყის სამრეწველო მიზნით გადამუშავება. ზოგიერთმა კი შეიმუშავა ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების გრძელვადიანი პროგრამები. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი შევინარჩუნოთ ძვირფასი ტყეები, მსოფლიო ბიომრავალფეროვნება და ეკოლოგიური გარემო.

ტყეს მისი დანიშნულების მიხედვით ყოფენ სამ ჯგუფად:

– ტყე როგორც ბუნებრივი რესურსი (ადამიანი მოიპოვებს მერქანს, სამკურნალო მცენარეულობას და ა.შ.);

– ტყე როგორც ბუნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი (ტყე იცავს ნიადაგს, ინარჩუნებს ტენს, ასუფთავებს და აჯანსაღებს გარემოს, ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს, ინარჩუნებს ბიო-მრავალფეროვნებას);

– ტყე როგორც ეკონომიკური და სოციალური ფენომენი (სატყეო მეურნეობა ადამიანების დასაქმების საშუალებაა, ხოლო ტყიანი ტერიტორია დასვენებისა და ტურიზმის საუკეთესო ადგილი. ტყე ინარჩუნებს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს) [3].

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა, მისი ტერიტორიის მესამედი ტყეს უკავია. საქართველოს ტყის ფონდი შედგება სახელმწიფო ტყის ფონდისა და საქართველოს საკუთრების სხვა ფორმებით არსებული ტყეების და მათი რესურსების ერთობლიობისაგან. სახელმწიფო ტყის ფონდი პრივატიზებას არ ექვემდებარება. ტყის ფონდის ფართობი 3007,8 ათას ჰა-ს შეადგენს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის (6949,4 ათასი ჰა) 43%-ს. ტყის ფონდის საერთო ფართობებიდან საკუთრივ ტყეს (ტყით დაფარული მიწები) უკავია 2822,5 ათასი ჰა, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 40,6%. ტყეებში მერქნის სავარაუდო საერთო მარაგი შეადგენს 451,2 მლნ $მ^3$-ს, ხოლო მერქნის მარაგის საშუალო წლიური შემატება შეადგენს 3,75-4,5 მლნ $მ^3$-ს. ერთ სულ მოსახლეზე მოდის საშუალოდ ზემდგომი მოცულობა ჰექტარზე 176 $მ^3$.

როგორც ცნობილია, ტყის მიწების მერქნულ და არამერქნულ პროდუქტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მათი ეფექტურად მართვის პირობებში.

ტყის მიწების ძირითად რესურსს მერქანი წარმოადგენს. მისი დამზადება ხე- მცენარეთა ჭრის შედეგად ხდება, რაც ბოლო პერიოდში საგრძნობლად შემცირდა, რასაც ვერ ვიტყვით შეშაზე.

საქართველოს ტყეების საშუალო ასაკი დაახლოებით 100-120 წელია. დომინირებს ფართოფოთლოვანი ტყე, რომელიც მოიცავს ტყის 80%-ს, აქედან 50% წიფელია. ტყეების უდიდესი ნაწილი გავრცელებულია ციცაბო ფერდობებზე. დღეისათვის მხოლოდ 600 000 ჰა, ანუ სატყეო მიწის 21% არის მიჩნეული კომერციული თვალსაზრისით საექსპლუატაციო ტყეებად. საქართველოს ტყიანობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გააჩნია, რის მიხედვითაც, განეკუთნება იგი ტყით მდიდარი ქვეყნების რიგს.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ ითქმის ტყის მიწებზე, რადგან იგი ტერიტორის 40% შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ფართობისა და მარაგის მიხედვით

საგანგაშო მდგომარეობა არ იგრძნობა, სტრუქტურული ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ ფართობის 50%-ზე მეტი დაბალპროდუქტიულია [7].

წარსულში საქართველოში ტყით სარგებლობა უფასო იყო. ტყე იჭრებოდა როგორც შეშად და სამშენებლო მასალად, ისე საძოვრად, სათიბათ, სახნავ-სათესათ და ა.შ. გამოყენებისათვის. ტყისადმი გაუფრთხილებელმა დამოკიდებულებამ მასზე შესამჩნევი გავლენა იქონია და ამის გამო VII საუკუნიდან სახელმწიფო მოხელეთა ჩამონათვალში გაჩნდა "ტყის მცველთუხუცესის" და "ტყის მცველის" თანამდებობები, რომელთა წარმომადგენლები დიდი სახელმწიფო-ებრივი (თავდაცვითი) მნიშვნელობის ტყეებს იცავდნენ და განაგებდნენ. ამავე დროს, სახელმწიფო ტყეებთან ერთად არსებობდა სასოფლო და სამონასტრო ტყეები. შემდეგშიც მეფე ვახტანგ VI – ის (1675-1737) სამართლის წიგნთა კრებულის "წყალი, შეშა და ბალახი" მიხედვით, ტყე სახელმწიფო იყო და მისი უფასოდ სარგებლობის უფლება არავის ეკრძალებოდა. 1801 წლიდან, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, პირველ ხანებში ტყის მართვაგამგეობა ძველებურად დარჩა. ამ პერიოდში იყო ქაოსი და განუკითხაობა გამეფებული. სატყეო მეურნეობის აღორძინება ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მართალია, ტყეები იჩეხებოდა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საჭიროებისათვის, თუმცა მოსახ-ლეობის სიმცირის გამო (1800 წლისათვის საქართველოში სულ 675 000 კაცი ცხოვრობდა) და ტყეთა სიმრავლის (ქვეყნის ტყიანობა 60-65%-ს აღემატებოდა) წყალობით მას ჯერ კიდევ შესამჩნევი ცვლილებები არ ეტყობოდა [1].

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 26 ოქტომბერს სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მიერ ყრილობამ მიიღო დეკრეტი, რომლის მეორე მუხლიც, სხვა წარმოების საშუალებებთან ერთად, ტყეზეც გაუქმდა ყველა სახის საკუთრება. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები იქნა ნაციონალიზებული, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები – მუნიციპალიზებული.

1923 წლიდან სატყეო კოდექსმა ტყეები მოხმარებისა და დანიშნულების მიხედვით 2 ჯგუფად დაყო, საერთო-სახელწიფოებრივ და ადგილობრივ ტყეებად. აღნიშნულმა სტატუსმა ტყის სახელმწიფო მართვის გარკვეული ფორმების სტრუქტული ცვლილებების გათვალისწინებით 1991 წლამდე იარსება, რომელიც კარდინალურად შეცვალა 1999 წლის 22 იანვარს მიღებულმა საქართველოს ტყის კოდექსმა. მას, ფაქტობრივად, ამჟამადაც არ დაუკარგავს მოქმედების ძალა. თუმცა, ქვეყნის პარლამენტის გადაწყვეტილებებით ტყის კოდექსში სისტემატურად ხორციელდებდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები [1].

1999 წელს მიღებული კოდექსის მე-9-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები. ამავე დროს, მითითებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი არის სახელმწიფოს საკუთრება და მისი განსახელმწიფოების წესი დგინდება "საქართველოს ტყეების განსახელმწიფოების შესახებ" საქართველოს კანონით.

ამჟამად საქართველოში სახელმწიფოს გააჩნია უფლება, გაანაწილოს ტყეები სხვადასხვა გამოყენებისათვის ან მისცეს ტყეები მფლობელობისათვის და სამართავად სხვადასხვა დაწესებულებებს. 1990 წლიდან ხე-ტყის დამზადების უფლება მთლიანად დელეგირებული იყო კერძო სექტორზე, რომელზეც გაიცემოდა შესაბამისი ლიცენზია, მაგრამ ეს ლიცენზიები იყო მოკლევადიანი (ერთ წლამდე), თავის მხრივ რაც ხელს უშლიდა კერძო სექტორის განვითარებას ამ დარგში, რადგან ის, ხელს უშლიდა მასში გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას. უბიძგებდა საქმიანობის განხორციელების პროცესში დარღვევებისაკენ და ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს უკანონო ქმედებისათვის.

წინა პერიოდში სატყეო სექტორის წვლილი წლიურ მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 4-5%, 1990 წლამდე მონაცემები ასე გამოიყურებოდა: ჭრები – 14%, ხის გადამამუშავებელი მრეწველობა – 69%, მერქნისა და ქაღალდის მრეწველობა – 17%; 1980-1990 წლისათვის ხის გადამამუშავებელი მრეწველობების მონაცემებით: სახერხები – 10,4% და 9%, ავეჯის მრეწველობა – 55% და 60%, სამშენებლო დეტალები – 12,1% და 11%, შესაფუთი მასალები – 7,25% და 6%, სხვა სახის ხის მასალები – 15,3% და 14%.

დღეისათვის მდგომარეობა მეტად რთულია, სატყეო კომპლექსის საწარმოები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მძიმე პროცესშია. ძირითადად ამ დარგში ხდება ხე-ტყის მასალის ექსპორტი. ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება ჭრა და მრგვალი მორების პირველადი დამუშავება, შემდგომ კი მათი საზღვარგარეთ გატანა. ნებისმიერი მიზნით მრგვალი მორების სრული მოხმარება დაახლოებით 2,55 მლნ $მ^3$ შეადგენს. სატყეო დეპარტამენტის მონაცემებით, იგი ტოლია 420 000 $მ^3$. დახერხილი მერქნის ოფიციალური ექსპორტი შეადგენს 37 000 $მ^3$ ან 80 000-90 000 $მ^3$ მრგვალი მორების ეკვივალენტში, რაც საბოლოოდ მოგვცემს მრგვალი მორების მთლიანი შიდა მოხმარების დაახლოებით 1,17 მლნ $მ^3$ ფარგლებში.

ტყეების ჭრას განსაკუთრებით უარყოფითი შედეგები მთიან რეგიონებში მოსდევს. დიდი დახრილობის ფერდობებზე ტყეების ჩეხვას გეოდინამიკური პროცესების (მეწყერების, ღვარცოფების და ა.შ.) გააქტიურება მოჰყვება, რის გამოც მეურნეობა დიდ დანაკარგს

განიცდის. ადგილობრივი მოსახლეობა სათბობის, სამშენებლო მასალების, ტყის ნობათის და სამკურნალწამლო საშუალებათა გარეშე რჩება. უტყეო ტერიტორიაზე მატულობს ზედაპირული ჩამონადენი და აორთქლება, ვითარდება ეროზიული პროცესები, შრება წყაროები, უტყეო ტერიტორიებზე სწრაფად იცვლება ბუნებრივი გარემო.

გარდა მერქნისა, საქართველოს ტყის მიწებს გააჩნია მრავალფეროვანი პროდუქტები და მომსახურება.

- ტყის არამერქნული პროდუქტები (თესლები, თხილი, კენკრები, სოკო, ფურაჟი შინაური ცხოველებისთვის, სამკურნალო მცენარეები);
- საძოვრები საქონლისათვის;
- ნადირობისათვის;
- თევზაობისათვის;
- სულიერი, კულტურული და რეკრეაციული გამოყენებისათვის;
- ტურიზმისათვის.
- წყალშემკრები აუზის დაცვისათვის.

არამერქნული ტყის პროდუქტები – ყველაზე გავრცელებული არამერქნული პროდუქტი კომერციული თვალსაზრისთ არის მაღალი ხარისხის სოჭის თესლი, რაც გამოიყენება დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში საექსპორტოდ საახალწლო ნაძვისხეების გამოსაზრდელად. ყოველწლიურად 20-2ტ თესლის ექსპორტირება ხდება, 35-40 აშშ დოლარი 1კგ-ზე. აქედან მიღებული შემოსავალი შეადგენს 70 000 – 88 000 აშშ დოლარს. არსებობს 10 კერძო კომპანია, რომელიც ამ სფეროში მუშაობს.

სოფლის ყველა მოსახლეს საქონელი სძოვარად ტყეში გაჰყავს, არც ერთ რესპონდენტს ნებართვა ან ლიცენზია სატყეო დეპარტამენტიდან არ გააჩნია. ყოველწლიურად ძოვების ეკონომიკური ღირებულება ამ არალიცენზირებული ძოვების შედეგად მიიღება 105 000 ლარი, ეს მაჩვენებელი დაახლოებით მერქნის პოტენციურ ღირებულებაზე 3-ჯერ მეტია და 6-ჯერ მეტი საშეშე მერქნის ეკონომიკურ ღირებულებაზე. ძოვების მდგრადი ეკონომიკური ღირებულება შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე შეფასებული ღირებულება, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია სოფლის მცხოვრებთათვის.

სამონადირეო მეურნეობა კარგად იყო ორგანიზებული საქართველოში. არსებობდა ორგანიზაცია „მონადირეთა კავშირი“, რომელშიც გაერთიანებული იყო 80 000 წევრი, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ არსებული ქსელი მთლიანად განადგურდა. ამის მიზეზია სახელმწიფოსაგან შესაბამისი დაფინანსების შეწყვეტა და ახალი კანონების („დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, 1996) შექმნა. ამ კანონების

მიხედვით, ყოფილი სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიები მიჩნეულ იქნა დაცული ტერიტორიის აღკვეთილის ტერიტორიებად.

ტყის მიწებსა ტბებში და მდინარეებში ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად თევზაობს აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ამ პროდუქტის წლიური ეკონომიკური ღირებულება შეადგენს დაახლოებით 56 194 ლარს.

ტურიზმი – დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოს ყოველ წელიწადს დაახლოებით 4 მლნ ტურისტი სტუმრობდა. საქართველოს გააჩნდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა ტურიზმისათვის: 102 კურორტი, 15 000 ისტორიული ძეგლი (მათგან 4 შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხაში). მხოლოთ ერთ რეგიონში სახელმწიფო ყოველწლიურად 90 000 რუბლს ხარჯავდა და ტურიზმს 1 000 000 რუბლზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა. ამ მონაცემებთან შედარებით, ახლანდელი 90 500 ლარი. თითქმის ასეთივე პერსპექტივა გააჩნია ყველა ტყით დაფარულ ტერიტორიას საქართველოში.

საუკუნეების განმავლობაში შეშა იყო საქართველოს ტყეებიდან ძირითადი მოთხოვნილების პროდუქტი. ოჯახების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სოფლის მოსახლეობა ყოველწლიურად მოიხმარს 10-15 $მ^3$ საწვავ შეშას. ბოლო ხანებში მოთხოვნილება ადგილობრივ გადამამუშავებელ ხის მრეწველობაზე საგრძნობლად შემცირდა. იქ, სადაც ჯერ კიდევ ხორციელდება, მოხმარება ძალზე დაბალია.

საქართველოში სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ძალზე რთულია (ხე- ტყის გადამამუშავებელ სექტორზე), მისი მოპოვების შემთხვევაში მონაცემები შეუსაბამოა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ტყის მიწების გამოყენების ამჟამინდელი წვლილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად დაბალია დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდთან შედარებით.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოში ხდებოდა მერქნის მნიშვნელოვანი იმპორტი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. საქართველოში ჯერ კიდევ ხდება მერქნის იმპორტი. მერქნისა და მერქნითი პროდუქტების ვაჭრობის ბალანსი უმეტესად უარყოფითია.

ტყის მიწების დეპარტამენტის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ეხება კანონიერი ჭრების ინფორმაციას 1998-2004 წლებში.

2003 წლის განმავლობაში კანონიერი ჭრების მოცულობის რაოდენობა 13%-ით ნაკლები იყო 2000 წელთან შედარებით. მოჭრილი მოცულობის შემცირება გამოიწვია საქმიანობის უკუსვლამ დასავლეთ საქართველოში. 2003 წლის მოჭრილი მოცულობა იყო 31%-ით

ნაკლები 2000 წელთან შედარებით. ჭრის მოცულობა გაიზარდა აღმოსავლეთ საქართველოში და აჭარაში 9.5-18%-ით.

უკანონო ჭრების დონემ 2004 წელს შეადგინა 50 000 მ^3. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ოფიციალური მონაცემებით, 1/3-ით გაიზარდა. უკანონო ჭრებმა ტყის მიწების დეგრადაცია გამოიწვია. პრობლემას უფრო ართულებს რეალური უკონტროლობის მექანიზმის არსებობა.[8]

მერქნის უკანონო მოპოვების გარდა, დანაკარგები შედგება ზეზემდგომი ხეების დაზიანებისაგან.

რაც შეეხება ტყის მასივების პრივატიზებას და კერძო სექტორში გადაცემას, მას უარყოფითი შედეგი მოჰყვა. საქართველოში ტყე სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს. ტყის კერძო სექტორზე გადაცემამ მსოფლიოში ტყის მთელი მასივები გაანადგურა. ამის დასტურია აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი. ამ ქვეყნებში ტყის მასივები პრივატიზებას არ დაქვემდებარებია, მაგრამ სტრუქტურიზაციის შედეგად ყოფილ მეპატრონეებს დაბრუნებული ტყეები გაჩანაგდა.

ამჟამად მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში უკუპროცესი მიმდინარეობს. ტყის მასივებზე სახელმწიფო საკუთრების უპირატესობასა და აუცილებლობაში დარწმუნებული მთელი რიგი სახელმწიფოები, სხვადასხვა დროს კერძო მფლობელებზე გადაცემული ტყეების შესყიდვას აწარმოებენ.

რაც შეეხება საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ტყის რეფორმების საიმედოობას, იგი მეცნიერ-სპეციალისტთა სამართლიან ეჭვს იწვევს, რადგან რეფორმის გატარება ძირითადად გრძელვადიანი იჯარის გადაჭრის გზებზეა ორიენტირებული. გრძელვადიანი იჯარის შემთხვევაში ტყის ძარცვა გაგრძელდება, რამაც ტყეების სრული გაჩანაგება შეიძლება გამოიწვიოს [4].

სამწუხაროდ, საქართველოში ტყეები ხანგრძლივი – 49 წლიანი იჯარითაა გაცემული, მაშინ, როდესაც იგი სტრატეგიული დანიშნულების სისტემაში უნდა მოქცეულიყო და სახელმწიფოს მართვის საგანგებო ფუნქციით უნდა დატვირთულიყო.

ტყე სახელწიფო ზრუნვის საგნად უნდა გადაიქცეს, რომელზეც კონსტიტუციურად უნდა დამკვიდრდეს სახელმწიფო მართვის ორგა-

---

[8] ასე მაგალითად, აჭარის, რაჭის, იმერეთის ტყეების გაჩეხვით (ხე-ტყის უკანონო ჭრისა და მერქნის მრგვალი მორების საზღვარგარეთ გატანა – მოგების მიზნით) გამოწვეულმა მეწყერებმა და ღვარცოფებმა უამრავი სოფელი გაანადგურა. მოსახლეობა უსახლკაროდ დატოვა. სახელმწიფოს მოუხდა ეკომიგრანტების სხვა ადგილზე გადასახლება, რამაც ქვეყანას დიდძალი ზარალი მოუტანა.

ნული სისტემა. სატყეო მეურნეობა აღიარებული უნდა იყოს, როგორც სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი წამყვანი ორგანო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წყლის ბუნებრივი განახლების პირობების 47% ტყეზე მოდის.

უნდა შეიქმნას ტყის სახელმწიფო მეურნეობები. **საქართველოს ტყეები არ არის მერქნის რესურსი**. სამაგიეროდ ისინი წყალდაცვით და ნიადაგდაცვით, ტურიზმისა და სარეკრეაციო რესურსებს წარმოადგენს. ამიტომ, უპირველესი პირობაა ამ რესურსების გადარჩენა და დაცვა, შემდეგ კი – რაციონალურად გამოყენება.

საჭიროა ტყის რესურსების და მისი გამოყენების დაცვის სხვადასახვა შესაძლებლობების სერიოზული ეკონომიკური შეფასება და საუკეთესო ვარიანტის ამორჩევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. კანდელაკი საქართველოს საპატრიარქო ტყეების სტატუსი, საქ. ეკონ. მეც. აკადემია – შრომები, 2012, ტ. 10.
2. ზ. ნოზაძე, ტყის რესურსებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ზოგიერთი საკითხი, პ. გუგუშვილი ეკ. ისტიტუტი. საკავშირო სამეცნიერო კონფ. მასალები, 2010.
3. ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, გლობალური გეოგრაფია, 2012.
4. ა. ჯიბუტი, საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები, 2014.
5. მ. ჩიქოვანი, მ. სოსელია, თ. როსტიაშვილი, ტყის მიწების გამოყენების პროცესის რეგულირება, როგორც ბუნებათსარგებლობის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი, ბათუმი, 2011.
6. თ. ბერიძე, თ. როსტიაშვილი, ტყის მიწების მნიშვნელობა და ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში, რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი, ბათუმი, 2011.
7. მ. ხუსკივაძე, საქართველოში ხე-ტყის მრეწველობა და ავეჯის წარმოების განვითარების სტრატეგია, გუგუშვილის ეკ. ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2014.
8. გ. წერეთელი, ლაგოდეხის სახ. ნაკრძალის წიფლნარების ფიტომასალა და ნახშირბადის მარაგი, თსუ კონფერენციის მასსალები, 2013.
9. მესხიშვილი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ურბანული) მიწის მესაკუთრეობა, რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ბათუმი, 2011.

Tina Chkheidze

PROBLEMS OF RATIONAL USE AND REPRODUCTION OF FOREST RESOURCES IN GEORGIA

Annotation

The article discusses forests of Georgia as the best soildefensive, water ragione regulatory, air cleaning, balneological theurapy object, as a stable basis of recreation – tourist industry and not as a wood resource, as georgian forests are mostly developed on sleep slopes of mountaneous relief and their function is to protect soil.

The article emphasises that forests of Georgia must not be privatized, they must stay at state disposal. Must also be strengthened the control of cutting without a spacial permission which is a couse of ecological disaster.

ლინა დათუნაშვილი

მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და დარგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მეხილეობა საქართველოში საუკუნეების მანძილზე ფრიად განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. მიწათმოქმედების მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყანა ძველი დროიდანვე იქცა ხეხილის ერთიან ბაღნარად, რითაც სამართლიანად იმსახურებდა უცხო მოგზაურთა აღფრთოვანებასა და ქებას.

ფრანგი მოგზაური ჟ. შარდენი საქართველოს მეხილეობის შესახებ ასე წერდა: „აქ ხილი განსაკუთრებით ბლომად იყო და ამასთან ძალიან კარგი და ყოველგვარი. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი, აზიაშიც არ მოდის უკეთესი ბროწეული. თბილისის მიდამოები განსაკუთრებით შემკულია მშვენიერი ბაღებით, რომელიც ამავე დროს ამშვენებენ, ჩრდილსა და სიგრილეს ავრცელებენ ქალაქში“ [8].

პ. ჟუკოვსკის შეფასებით „ქართველები უძველესი მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მატარებლები არიან და სრულიად ბუნებრივია, რომ აქ ხეხილ-მცენარეთა მრავალი ენდემური სახეობაა შემორჩენილი“ [9].

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში საქართველოს მეხილეობა ასეა აღწერილი: ბაღებში ანუ წალკოტში მრავალია: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა,

ქლიავი, მრავალგვარი ლეღვი, ბალი, ალუბალი, მსხალი და ვაშლი, მრავალგვარი კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი [1].

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მეხილეობის სამრეწველო განვითარებას ხელს უწყობდა უპირატესად ძვირფასი თესლოვანი ხეხილის უცხო ჯიშების შემოტანა. ეს ის პერიოდია, როდესაც მეფის რუსეთი ცდილობს საქართველოს გადაქცევას იაფი სამრეწველო ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიმწოდებლად. ევროპიდან შემოტანილი ხილის ნერგები გაშენებულ იქნა ქართლში ი. ფურცელაძის მიერ სოფ. მერეთში, ნ. კეცხოველის მიერ – სოფ. ტყვიავში და ს. ხეთაგურის მიერ სოფ. ნიქოზში. ამ პიროვნებების დიდი დამსახურებაა ის, რომ პირველებმა მათ ჩაუნერგეს მოსახლეობას ხილის უცხო ჯიშების გავრცელების ინტერესი. ი. ფურცელაძის მიერ შექმნილი საკოლექციო ბაღი სოფ. მერეთში ბოლო პერიოდამდე საუკეთესო ბაღს წარმოადგენდა, სადაც ხეხილის 200-ზე მეტი ჯიში იყო გაშენებული, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ადგილობრივ ჯიშებს ეკუთვნოდა, როგორიცაა: კეხურა, თურაშაული, აბილაური, გულაბი და სხვა.

სამრეწველო სახით მეხილეობის განვითარებისათვის აუცილებელი იყო ნერგები, რომლის გამოყვანის საქმეს ისევ ი. ფურცელაძემ, ნ. კეცხოველმა და ს. ხეთაგურმა მოჰკიდეს ხელი. შემდგომ პერიოდში კახეთში შეიქმნა იყალთოს სანერგე, რომელიც თავისი მასშტაბით, კულტურათა და ჯიშთა მრავალფეროვნებით სრულად ვერ აკმაყოფილებდა ამ რეგიონში ხეხილის ნერგებზე მოთხოვნილებას. ამასთან ქართლის სანერგეებიდან ნერგებით მარაგდებოდა ახალციხისა და იმერეთის რეგიონები. დასავლეთ საქართველოში მეხილეობის განვითარებისათვის ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა აგრონომი ე. ნაკაშიძე, რომელიც ხეხილის სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ ეწეოდა მუშაობას, რამდენადაც აღნიშნული დაავადება საკმაოდ გავრცელებული იყო ამ რეგიონში და ძლიერ აზიანებდა ნერგებს.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 20-იან წლებამდე სამრეწველო ხილის რეალიზაციის საქმე მოვაჭრე ადამიანების – ჩარჩ-ვაჭრების ხელში იყო, რომლებიც მართალია იაფად, მაგრამ ადგილზე იძენდნენ და შემდეგ ძვირად ყიდდნენ ხილს, რითაც გარკვეულ სტიმულს აძლევდნენ ხილის მწარმოებლებს დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

საქართველოში თუ 1917 წელს ხეხილ-კენკროვნების ფართობი 32,4 ათას ჰა იყო, მისი ფართობი გასაბჭოების პერიოდისათვის 30,8 ათას ჰა-ს შეადგენდა [4].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო აქტიური სამუშაოები მეხილეობის სამრეწველო

საფუძველზე გადაყვანისათვის. ქვეყნის სხვადასხვა მხარეში იქმნებოდა მეხილეობის ამხანაგობები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მეხილეობის შემდგომი განვითარების საქმეში. მეხილეობის ინტენსიური განვითარების მიზნით, მაგალითად, გორში შეიქმნა მეხილეობის მიმართულების ამხანაგობა „ქართლი“, რომელმაც თავის თავზე აიღო ხეხილის გაშენება-მოვლისა და მოსავლის აღების საქმე. მეხილეობის მიმართულების ამხანაგობები ყალიბდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აღნიშნული ამხანაგობების აქტიური მუშაობით ქართული ხილი უკვე ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. ხდებოდა გლეხთა დაქუცმაცებული ხეხილის ფართობების გაერთიანება „სახალხო მამულებში“, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენდა როგორც საკუთარი მეურნეობების რაციონალური მოწყობა, ისე გლეხური მეურნეობების გაუმჯობესებისათვის დახმარება – ვაზისა და ხეხილის ნამყენის, გაუმჯობესებული სათესლე მასალის და საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მიწოდება [3].

საქართველოში პირველი სამრეწველო ხეხილის ბაღების მასიური გაშენება 30-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო; ხეხილის ბაღებისათვის ნერგების მიწოდება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა, რის გამოც 30-იანი წლების შუა ხანებში ქარელის რაიონში სოფ. ბებნისში თესლოვანი ხეხილისათვის, ხოლო გორის რაიონში კურკოვანი ხეხილისათვის შეიქმნა სანერგეები. აღნიშნული სანერგეების მიერ წარმოებულმა ნერგებმა დადებითად იმოქმედა ამ რეგიონში მეხილეობის შემდგომ განვითარებაზე.

ამ დარგის აღმავლობის მიმართულებით საქართველოში დაარსდა მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც შევიდა სკრის, თელავისა და ქარელის საცდელი სადგურები. მთელი რიგი პრობლემების გადაჭრასთან ერთად ეს დაწესებულებები აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ხეხილის ადგილობრივი პერსპექტიული ჯიშების გამოვლენის, უცხოური ჯიშების გამოცდის და ახალი ჯიშების გამოყვანის მიმართულებით. აღნიშნულ ორგანიზაციებთან ერთად დარგს ემსახურებოდა მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრა. ქართველი სელექციონერების მიერ გამოყვანილ იქნა მაღალი სამეურნეო თვისებების მქონე ვაშლის ჯიშები: გორული სინაპი, საგამოფენო ივერია, საქართველოს პიონერი; მსხლის: აისი, სკრის მდნარი; ატმის – ნობათი, გორული საადრეო, ერისთავის ვარდისფერი, პიონერი და სხვა. 70-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა ხეხილის 25

სანერგე მეურნეობა, სადაც ყოველწლიურად დაახლოებით 4,5-5 მლნ ნერგი მზადდებოდა.

საქართველოში მრავალწლიანი ნარგავების მთლიან ფართობში პირველი ადგილი წლების განმავლობაში ხეხილის ფართობს ეკავა, შემდეგ მოდიოდა ვენახი, ჩაის პლანტაციები, ციტრუსები და სხვა.

1990 წლამდე მეხილეობა სოფლის მეურნეობის მაღალგანვითარებულ დარგს წარმოადგენდა. 1975 წელს ხეხილის ფართობი 159,1 ათასი ჰა იყო, 1985 წელს – 142,6 ათასი ჰა, 1990 წელს – 126,5 ათასი ჰა, რაც 1998 წელს 65,3 ათას ჰა-მდე, ხოლო 2008 წელს 44,6 ათას ჰა-დე შემცირდა.

ქვეყანაში 2000-2013 წლებში ხილის წარმოება 32,4 ათასი ტონით შემცირდა (250 ათასი ტ-დან 217,6 ათას ტ-მდე). ხილის წარმოება შემცირდა აჭარის არ-ში (4,9 ათასი ტ); იმერეთის (30,8 ათასი ტ); გურიის (22,7 ათასი ტ) და ქვემო ქართლის (0,6 ათასი ტ) რეგიონებში, ხოლო ზრდა დაფიქსირდა სამეგრელო და ზემო სვანეთის (7,7 ათასი ტ); შიდა ქართლის (3,8 ათასი ტ); სამცხე-ჯავახეთის (8,0 ათასი ტ); კახეთისა (2,2 ათასი ტ) და დანარჩენ რეგიონებში (4,9 ათასი ტ).

ხილის სტრუქტურაში მაღალია თესლოვანი ხილის ხვედრითი წილი. საკვლევ პერიოდში თესლოვანი ხილის წარმოება შემცირდა 34,5 ათასი ტ (122,4 ათასი ტ-დან 87,9 ათას ტ-მდე). შემცირება დაფიქსირდა გურიის (7,9 ათასი ტ); იმერეთის (18,1 ათასი ტ); სამეგრელო და ზემო სვანეთის (2,2 ათასი ტ); ქვემო ქართლისა (3,3 ათასი ტ) და დანარჩენ რეგიონებში (14,4 ათასი ტ), ხილის წარმოება გაიზარდა აჭარის არ (5,3 ათასი ტ); სამცხე-ჯავახეთის (4,8 ათასი ტ) და შიდა ქართლის რეგიონებში (1,3 ათასი ტ).

საქართველოში თესლოვანი ხილიდან ვაშლს, რომელიც განეკუთვნება ვარდყვავილოვანთა ოჯახს, ვაშლოვანთა ქვეოჯახის გვარს, თავისი გავრცელების არეალისა და მოსავლიანობის მიხედვით წამყვანი ადგილი უკავია. ვაშლის მოსავლიანობა დამოკიდებულია მის ბიოლოგიურ თავისებურებაზე, ნიადაგის შემადგენლობასა და ჰავაზე, აგრეთვე მაღალი ხარისხის საძირეებზე, აგროღონისძიებათა კომპლექსის დროულად და მაღალხარისხიანად გატარებაზე და სხვა.

მკვლევართა აზრით, მსოფლიოს სხვადასხვა მხარის მაგ., კავკასიური, შუაზიური, ევროპული და ამერიკული ვაშლის ჯიშები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქმნებოდა. შემდეგში ჯიშების ურთიერთშეჯვარებამ გაამდიდრა და გადაასხვაფერა კულტურული ჯიშების მემკვიდრული ბუნება.

ვაშლის ადგილობრივ ჯიშებს შორის ყველაზე გავრცელებულია თურაშაულის ტიპის ჯიშები, როგორიცაა რაჭა-ლეჩხუმის

თურაშაული, ქართლური და კახური თურაშაულები, რომლებიც გამოირჩევიან წვენის დიდი რაოდენობით, შეიცავენ გარკვეული რაოდენობის სიმჟავეებს და დაბალი არომატით ხასიათდებიან.

კიტრა ვაშლის ტიპები ზამთრის ჯიშებს განეკუთვნება და ხასიათდებიან მოტკბო, საშუალო მჟავიანობით. აბილაურის ტიპის ვაშლებიც მომჟავო-მოტკბო გემოსია. ნაყოფი ხშირად მდარე ხარის-ხისაა. ხომანდულის ტიპის ვაშლები კი ტკბილი გემოსია. საქართველოში ასევე ფართოდ არის გავრცელებული ვაშლის ჯიშები: ივერია, კეხურა, ლაგოდეხის რენეტი, ლეჩხუმური შაფრანი, რაჭული ვაშლი, საირმულა, ქონა ვაშლი, შაქარა და სხვა.

ვაშლის ადგილობრივ ჯიშებთან ერთად გვხვდება ვაშლის უცხო ჯიშები, როგორიცაა: გოლდენ დელიშესი; რედ დელიშესი (საადრეო); შამპანური რენეტი (ევროპული ჯიში, საადრეო); გალა (ახალზელანდიური, უხვმოსავლიანი); აიდარადი (ამერიკული საგვია-ნო); მუცუ (იაპონური, საადრეო).

ადგილობრივი ჯიშის ვაშლებს გამძლეობის, ტრანსპორტაბლე-ლურობისა და შენახვის კარგი უნარი ახასიათებს.

ვაშლის წარმოება საქართველოში 2000-2013 წლებში 14,4 ათასი ტ-ით შემცირდა (83,0 ათასი ტ-დან 68,6 ათას ტ-მდე). მეტ-ნაკლები ოდენობით შემცირდა ვაშლის წარმოება იმერეთის (11,2 ათასი ტ); ქვემო ქართლის (1,1 ათასი ტ); სამეგრელო-ზემო სვანეთის (0,2 ათასი ტ) და დანარჩენ რეგიონებში (6,4 ათასი ტ); ხოლო ვაშლის წარმოება გაიზარდა ამ კულტურის ძირითად მწარმოებელ შიდა ქართლის რეგიონში (4,7 ათასი ტ).

ხეხილოვან კულტურებში ვაშლის შემდეგ მსხალს მეორე ადგილი უკავია. 70-იან წლებში მსხლის კულტურას 14 ათას ჰა-ზე მეტი ფართობი ეკავა, ხოლო 2008 წელს მისი მთლიანი ფართობი 1,4 ათას ჰა-ს არ აღემატებოდა. მსხალი გამოირჩევა შეხამებული გემური თვისებებით. მას გააჩნია რიგი უპირატესობები. იგი უფრო გვალ-ვაგამძლეა, ვიდრე ვაშლი, ნაკლებად ზიანდება დაავადებებითა და მავნებლებით, ადვილად ხარობს სხვადასხვა საძირეზე და მძლავრი ხე იზრდება, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

მსხლის კულტურული ჯიშების უმრავლესობა მსხმოიარობაში უფრო ადრე შედის, ვიდრე ვაშლის ჯიშები. ხანგრძლივი სიცოც-ხლის უნარით ხასიათდებიან მსხლის ადგილობრივი ჯიშები: ხეჭეჭურა, გრძელი მსხალი, თავრეჟულა და სხვა, რომელთა ჯიშების ასწლიან ხეებს ახლაც ვხვდებით მესხეთში. საქართველოში გავრცელებული მსხლის ადგილობრივი ჯიშების უმრავლესობა მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება.

მსხლის ადგილობრივი ჯიშებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება: აყირო, თიბათვის მსხალი, გრძელი მსხალი,

კახური გულაბი, სესელა, სამარიობო, ქართული გულაბი, შაქარა, გვერდწითელა, გოგრამსხალი, კაცისთავა, შავი მსხალი, თავრეჯულა, ხეჭეჭური, თაფლა, კვირისთავა და სხვა. ადგილობრივი ჯიშებიდან ასევე გავრცელებულია შემოდგომა-ზამთრის ჯიშები: გვერდწითელა, ნესვა მსხალი, ბორბალა, შავი მსხალი, ხეჭეჭური და სხვა.

მსხლის კულტურა ძირითადად გავრცელებულია ქვეყნის ხუთ რეგიონში. 2000-2013 წლებში მისი წარმოება 17,2 ათასი ტ-ით (34,2 ათასი ტ-დან 17,0 ათას ტ-მდე) შემცირდა. წარმოების შემცირება დაფიქსირდა თითქმის ყველა რეგიონში: აჭარის არ – 2,2 ათასი ტ; გურიის – 2,1 ათასი ტ; იმერეთის – 5,1 ათასი ტ; სამეგრელო და ზემო სვანეთის – 1,5 ათასი ტ; შიდა ქართლის – 3,8 ათასი ტ და დანარჩენ რეგიონებში – 2,5 ათასი ტ.

ახალი ვაშლის, მსხლისა და კომშის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2007-2012 წლებში შემცირდა 1404 ტ-ით (2053 ტ-დან 649 ტ-მდე), რაც ღირებულებით მაჩვენებელში ტოლია 223 ათასი დოლარის (480 ათასი დოლარიდან 257 ათას დოლარამდე).

ახალი ვაშლის, მსხლისა და კომშის იმპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით გაიზარდა 2113 ტ-ით (1088 ტ-დან 3201 ტ-მდე), რაც ღირებულებით მაჩვენებელში ტოლია 1265 ათასი დოლარის (668 ათასი დოლარიდან 1933 ათას დოლარამდე);

ხილის თესლოვან კულტურათა სამრეწველო ჯიშები რიგ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: ადრე უნდა შედიოდეს მსხმოიარობაში; გააჩნდეს გარემო პირობებისადმი კარგად შეგუების უნარი; გამოირჩეოდეს უხვი და მაღალხარისხიანი მოსავლით; არ უნდა იყოს მეწლე; უნდა ჰქონდეს მაღალი სასაქონლო გამოსავალი; დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ გააჩნდეს ბრძოლის უნარი; იძლეოდეს ნორმალური სიდიდისა და შეფერილობის ნაყოფს და ხის ვარჯი იძლეოდეს მისი კარგად მოვლის საშუალებას.

აღნიშნული პირობების დაცვა უზრუნველყოფს სამრეწველო ბაღის მაღალ რენტაბელობას, შრომის ნაყოფიერების მაღალ დონეს და პროდუქციის დაბალ თვითღირებულებას.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, კურკოვანი ხილი (ატამი, ქლიავი, ბალი, ალუბალი, ტყემალი) გავრცელებულია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. საკვლევ პერიოდში კურკოვანი ხილის წარმოება შემცირდა 26,6 ათასი ტ-ით (76,1 ათასი ტ-დან 49,5 ათას ტ-მდე). რეგიონების მიხედვით კურკოვანი ხილის წარმოების შემცირება დაფიქსირდა: აჭარის არ – 5,3 ათასი ტ-ით (6,5 ათასი ტ-დან 1,2 ათას ტ-მდე); გურიის 5,4 ათასი ტ-ით (6,6 ათასი ტ-დან 1,3 ათას ტ-მდე); იმერეთის 12,9 ათასი ტ-ით (18,7 ათასი ტ-დან 5,8 ათას ტ-მდე);

სამეგრელო და ზემო სვანეთის 5,5 ათასი ტ-ით (9,5 ათასი ტ-დან 4,0 ათას ტ-მდე) და ქვემო ქართლის 2,1 ათასი ტ-ით (3,5 ათასი ტ-დან 1,4 ათას ტ-მდე) რეგიონებში, ხოლო ამ სახის ხილის წარმოება გადიდდა კახეთის – 5,9 ათასი ტ-ით (13,3 ტ-დან 19,2 ათას ტ-მდე); შიდა ქართლის 2,1 ათასი ტ-ით (10,2 ათასი ტ-დან 12,3 ათას ტ-მდე); მცხეთა-მთიანეთის 1,7 ათასი ტ-ით; რაჭა-ლეჩხუმის – 0,6 ათასი ტ-ით და სამცხე-ჯავახეთის – 2,1 ათასი ტ-ით, რეგიონებში.

კურკოვანი ხილის სახეობებიდან 2000-2013 წლებში ქვეყანაში შემცირდა ქლიავის წარმოება 10,4 ათასი ტ-ით (19,1 ათასი ტ-დან 8,7 ათას ტ-მდე); ქლიავის წარმოება შემცირდა იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის და დანარჩენ რეგიონებში ათასი ტონით შესაბამისად: 1,2; 3,4; 2,2; 0,7; 2,1; 2,4; ხოლო გაიზარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1,5 ათასი ტ-ით.

ბალისა და ალუბლის წარმოება აღნიშნულ პერიოდში შემცირდა 7,1 ათასი ტ-ით (12,7 ათასი ტ-დან 5,6 ათას ტ-მდე). ამ სახის ხილის წარმოება შემცირდა აჭარის, იმერეთის, კახეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის და დანარჩენ რეგიონებში ათასი ტ-ით შესაბამისად: 1.0; 2,3; 1,8; 1,1; 0,7; 1,4; ხოლო გაიზარდა შიდა ქართლის რეგიონში 1,2 ათასი ტ-ით.

ტყემლის წარმოება საკვლევ პერიოდში 19,5 ათასი ტ-ით შემცირდა (29,8 ათასი ტ-დან 10,3 ათას ტ-მდე). ამ სახის ხილის წარმოება შემცირდა აჭარის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო და ზემო სვანეთის და დანარჩენ რეგიონებში ათასი ტონით შესაბამისად: 3,1; 8,0; 4,3; 2,7; 1,4.

კურკოვანი ხილის აღნიშნული სახეობებისაგან განსხვავებით 2000-2013 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად, 10,9 ათასი ტ-ით, გაიზარდა ატმის წარმოება, რაც ძირითადად კახეთის რეგიონში ატმის წარმოების გადიდებამ განაპირობა (10,8 ათასი ტ-ით) ამ სახეობის ხილის წარმოების ზრდა შეინიშნებოდა შიდა ქართლის (3,1 ათასი ტ-ით) და დანარჩენ რეგიონებში (0,6 ათასი ტ-ით); ხოლო მცირე ზომით, მაგრამ მაინც, შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა აჭარის არ, გურიის, იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში ათასი ტ-ით შესაბამისად: 0,2; 0,9; 1,5; 0,9; 0,2.

კახეთის რეგიონის აგროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგი მეხილეობის განვითარებისათვის კარგ საფუძველს იძლევა. აქ მართალია მრავალი სახეობის ხილი იწარმოება, მაგრამ ატმის წარმოება ბოლო წლებში უფრო შესამჩნევი გახდა. ამ მხრივ დიდი პოტენციალი გააჩნია გურჯაანის და ლაგოდეხის, ხოლო ნაწილობრივ თელავის, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებს.

გურჯაანი ძირითადად ატმის, ხოლო ლაგოდეხი ხურმის, ქლიავის, ვაშლისა და სხვა სახეობის ხილის მწარმოებელია. ამ რეგიონს გააჩნია კარგი სანედლეულო ბაზა საკონსერვო მრეწველობის განსავითარებლად. თესლოვანი ხილის წარმოებაში უმნიშვნელო, ხოლო კურკოვანი ხილის წარმოებაში კახეთს დანარჩენ რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს 46,1-70,4% (2000-2013 წლები), რამდენადაც ბოლო 13 წლის განმავლობაში ამ რეგიონში ატმის წარმოება მკვეთრად გაიზარდა, რაც კარგი ტენდენციაა.

2007-2012 წლებში გაიზარდა ახალი გარგარის, ალუბლის, ატმის და ქლიავის ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით, 983 ტ-ით (443 ტ-დან 1426 ტ-მდე), რაც ღირებულებით გამოხატულებაში ტოლია 663 ათასი დოლარის (175 ათასი დოლარიდან 838 ათას დოლარამდე).

ამავე პერიოდში გაიზარდა აღნიშნული ხილის იმპორტი ჰარმონიზებული სისიტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 852 ტ-ით (146 ტ-დან 998 ტ-მდე), რაც ღირებულებით გამოხატულებაში ტოლია 407 ათასი დოლარის (88 ათასი დოლარიდან 495 ათას დოლარამდე).

კაკლოვანი ხილი მეტ-ნაკლები ზომით გვხვდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. განსხვავებით ხილის სხვა სახეობებისაგან, კაკლოვანი ხილის წარმოება 2000-2013 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად (21,3 ათასი ტ-ით) გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა გურიის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, აჭარის არ და კახეთის რეგიონებში ათასი ტ. შესაბამისად: 5,7; 13,4; 4,8; 2,3; არ შეცვლილა კაკლოვანი ხილის წარმოება იმერეთის რეგიონში და საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 7,8 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო შემცირდა დანარჩენ რეგიონებში 4,8 ათასი ტ-ით.

კაკლოვანი ხილის სახეობებიდან კაკლის წარმოება ქვეყანაში 2000-2013 წლებში 4,7 ათასი ტ-ით შემცირდა (15,5 ათასი ტ-დან 10,8 ათას ტ-მდე). კაკლის წარმოება შემცირდა აჭარის არ, იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში ათასი ტ. შესაბამისად: 2,6; 1,8; 1,1; 0,1; 0,1; 0,4; ხოლო უმნიშვნელოდ გადიდდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, ქვემო ქართლის და დანარჩენ რეგიონებში შესაბამისად (ათასი ტ): 0,2; 0,1; 0,1.

ბოლო პერიოდში კაკლოვანებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თხილმა, როგორც საექსპორტო კულტურამ, რომელიც გაადგილებულია ძირითადად გურიის, იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის და დანარჩენ რეგიონებში. ეს პროცესი შესამჩნევია თხილის მწარმოებელ ყველა რეგიონში: გურიის (5,7 ათასი ტ);

იმერეთის (1,9 ათასი ტ); სამეგრელო და ზემო სვანეთის (14,5 ათასი ტ) და დანარჩენ (3,4 ათასი ტ) რეგიონებში.

საქართველოში კაკლის და სხვა ექსპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასაქონლო პოზიციების მიხედვით 2007-2012 წლებში გაიზარდა 4030 ტ-ით (11650 ტ-დან 15680 ტ-მდე), რაც ღირებულებით გამოხატულებაში ტოლია 18537 ათასი დოლარის (65122 ათასი დოლარიდან 83659 ათას დოლარამდე).

საქართველოს ექსპორტში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (საექსპორტო ათეულში) თხილს და კაკალს 2013-2014 წლებში ეკავა 2,8 და 2,7 პროცენტული წილი. ღირებულებით გამოხატულებაში ეს მაჩვენებელი 2999,8 ათასი დოლარით გადიდდა (22192,1 ათასი დოლარიდან გაიზარდა 25191,9 ათას დოლარამდე), რაც კარგი ტენდენციაა.

კაკლის და სხვა იმპორტი ჰარმონიზებული სისტემის სასა-ქონლო პოზიციების მიხედვით გაიზარდა 422 ტ-ით (386 ტ-დან 808 ტ-მდე), რაც ღირებულებით გამოხატულებაში ტოლია 765 ათასი დოლარის (1253 ათასი დოლარიდან 2018 ათას დოლარამდე);

საქართველოს ბუნებრივი პირობები ქმნის იმის საშუალებას, რომ ხეხილი მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყოს ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში. ხეხილი გვხვდება როგორც ბაღების, ისე ერთელი ძირების სახით. რესპუბლიკის მეხილეობის რაიონებში ხეხილი ძირითადად ერთიან ფართობებზე იყო გაშენებული ბაღების სახით. მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში და იქ, სადაც მეხი-ლეობა დამხმარე დარგია, ხეხილი ერთეული ნარგაობით არის წარმოდგენილი.

წარსულში რესპუბლიკაში წარმოებული ხილის 20%-ის გადამუშავება ხდებოდა გადამამუშავებელი მრეწველობის მიერ. წლების განმავლობაში გადამამუშავებელი ქარხნების უმოქმედოდ ყოფნამ, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობის დატაცებამ და განიავებამ დიდი პრობლემები შეუქმნა ამ დარგს. ამიტომ პრი-ვატიზებული ქარხნების მფლობელებმა საბაზრო პირობების შესა-ბამისად უპირატესობა უნდა მიანიჭონ საწარმოების აღჭურვას ახალი მაღალი წარმადობის მქონე ტექნოლოგიური ხაზებით, რომლებიც უდანაკარგოდ გადაამუშავებენ ცოცხალ ხილს და გამოუშვებენ სხვადასხვა ასორტიმენტის მაღალხარისხიან ხილფაფებს, მურაბებს, კონსერვებს და სხვა პროდუქციას, რომელზედაც ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო როგორც ადგილობრივ, ისე რუსულ ბაზარზე.

მსოფლიო ბაზარზე ასევე დიდი მოთხოვნილებაა მაღალი ხარისხის ხილის წვენებზე და კონცენტრატებზე, რომლებიდანაც ამზადებენ სხვადასხვა სახის ნატურალურ პროდუქციას, ბავშვების საკვებს, პარფიუმერიულ და ფარმაცევტულ ნაწარმს და სხვა.

მეხილეობის რაიონებში უნდა გაფართოვდეს ხეხილის ფართობები ძირითადად ნაკლებშრომატევადი, მაღალმოსავლიანი, ნახევრადჯუჯა საძირეებით, რომელთა რგვის სიხშირე არ აღემატება 320 ხე/ჰა-ს. აღნიშნული სახის ხეხილის ბაღი 4-5 წელიწადში შედის ექსპლუატაციაში. ასევე ყურადღების ღირსია ულტრაჯუჯა ნერგებით ბაღების გაშენების პერსპექტივაც (500-1000 ხე/ჰა) რგვის მაღალი სიხშირით, რომლებიც მსხმოიარობაში სამ წელიწადში შედიან. ეკონომიურობის თვალსაზრისით აღნიშნული ბაღების გაშენება ძვირადღირებულია, რადგან საჭიროებენ დიდ ყურადღებას როგორც წვეთოვანი რწყვის, ისე გამუდმებულ მზრუნველობას დროული აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნულისა, მეხილეობის სწრაფი აღდგენის თვალსაზრისით, ასეთი სახის დაბალშტამპიან-ადრემსხმოიარე ბაღებს უნდა მიეცეს უპირატესობა.

ხეხილის ბაღების ფორმირების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხეების გასხვლასა და მათთვის ნაკლებ შრომატევადი პალმისებრი ფორმის მიცემას. მეხილეობის განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ხეების ასეთი ფორმით ჩამოყალიბების პროცესს. მაღალი ოსტატობით ჩატარებული გასხვლით მებაღეები უფრო ადვილად აღწევენ ტოტებზე კვირტების განლაგების, ხილის ზომისა და ფორმის რეგულირებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის შესაბამისად უნდა შეიცვალოს სოფლად ფერმერების მომსახურება. სასურველია ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო სამსახური, რომელიც სხვადასხვა სახის მომსახურებასთან ერთად ამ დარგში მეცნიერების უახლეს მიღწევებს გააცნობს მებაღეებს.

მეხილეობამ განვითარების პიკს 1985-1990 წლებში მიაღწია, როდესაც 142,6 და 126 ათასი ჰექტარი ფართობის პირობებში ხილის მთლიანი მოსავალი 724 და 591 ათას ტონას შორის მერყეობდა. ხილის მწარმოებლებმა ამ წლებში ხეხილის ბაღის ერთი ჰექტრიდან ხილის ყველაზე მაღალი მოსავალი – 70,8 და 58,0 ცენტნერი მიიღეს. ქვეყანაში ათეული წლების განმავლობაში მეხილეობა ძირითადად ექსტენსიურად – ხეხილის ფართობის გადიდების გზით ვითარდებოდა. საქართველოში ხეხილის მთლიანმა ფართობმა 1975 წელს – 159,1 ათას ჰა-ს მიაღწია. 1995 წელს 94,9 ათას ჰა-მდე, ხოლო 2008 წელს 44,6 ათას ჰა-მდე შემცირდა. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი ხილის მთლიანი მოსავალის მხრივაც (ათასი ტ) 1975 წელს 368; 1995 წელს 383,9; 2008 წელს 113,6.

ბოლო ათწლეულში საქართველოში ხეხილის ფართობისა და შესაბამისად ხილის მთლიანი მოსავლის შემცირებას რიგი მიზეზი

განაპირობებდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო ცოცხალი და გადამუშავებული ხილის პროდუქციის გასაღების ბაზრის მოულოდნელი და სწრაფი მოშლა, ქვეყანაში ნაჩქარევად განხორციელებული მიწის პრივატიზაცია, რომლის შედეგად დაქუცმაცდა ხეხილის დიდ ფართობზე გაშენებული ბაღები, რასაც დაერთო ქვეყნის შიგნით საწვავზე მაღალი ფასები, საჭირო ტრანსპორტის ნაკლებობა, შესაფუთი მასალისა და ტარის დეფიციტი, უკვე დაშლილი სამეურნეო კავშირების ძნელად და ნელა აღდგენის პროცესი. ამას დაემატა აღნიშნულ პერიოდში სათბობი რესურსების დეფიციტი, რამაც უბიძგა მოსახლეობას, გაეჩეხა და გასათბობად გამოეყენებინა ხეხილის როგორც დაბალრენტაბელური და დაბერებული ბაღები, ისე სხვა ნარგაობაც, რასაც, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის მიერ მიწის ნაკვეთების სხვა დანიშნულებით გამოყენების საჭიროებაც მოითხოვდა. ამ ვითარებას ამწვავებდა ხეხილის ბაღების მომსახურებისათვის საჭირო მექანიზაციის საშუალებების დაბალი დონე, ქიმიური საშუალებების, მინერალური და ორგანული სასუქების როგორც დეფიციტი, ისე დაბალი ხარისხი და მათი მაღალი ფასი, რასაც ემატებოდა არსებულ ხეხილის ბაღებში მეჩხერიანობის მაღალი დონე და ახალგაზრდა ნარგავების დაბალი ფიზიკური მდგომარეობა.

მეხილეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია: აუცილებლად ჩატარდეს ხეხილის ბარეებისა და ერთეული ნარგავების აღწერა-პასპორტიზაცია.

დარგის განვითარება უნდა წარიმართოს როგორც ხეხილის ფართობის გადიდების (ექსტენსიურ), ისე ინტენსიურ საფუძველზე დარგის უპირატესად განვითარების გზით. მეხილეობაში ინტენსიფიკაციის ამაღლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ხეხილის ფართობებში ორგანული და მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზებით გამოყენება, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ხილის მოსავლიანობას და გააუმჯობესებს მის ხარისხობრივ მაჩვენებელს.

საჭიროა სოფლად მეურნეობების მაღალხარისხიანი სტანდარტული ნერგებით მომარაგების უზრუნველყოფა. მუშაობა ძირითადად უნდა წარიმართოს ვირუსისა და ხეხილის ნარგავთა სხვადასხვა დაავადებების მიმართ გამძლე საძირეებზე გაუმჯობესებული ჯიშების სელექციის მიმართულებით. ამ საქმეში მეცნიერული კვლევის დიდი გამოცდილება გააჩნდა მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, რომელსაც წარსულში საცდელი მეურნეობების ფართო ქსელი ჰქონდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. ამავე დროს, სახელმწიფოს მხარდაჭერით, შეძლებისდაგვარად, ფუნქციები უნდა აღადგინოს „საქნერგმა“, რომელიც წარსულში 26 სახელმწიფო სანერგეს ხელმძღ-

ვანელობდა და ახორციელებდა ამ დარგში სანერგე მასალის გამრავლებას და მეხილეობის მეურნეობების ნერგებით უზრუნველ-ყოფის საკითხს. ამასთან, ხელი უნდა შეეწყოს კერძო სანერგეების საქმიანობასაც, რომლებიც გაცემული ლიცენზიის საფუძველზე წარმართავენ თავიანთ საქმიანობას და ხეხილის სტანდარტული ნერგით მოამარაგებენ მოსახლეობას.

ახლო პერსპექტივაში, მეხილეობის რაიონებში ამოძირკული ბაღების ადგილას ახალი ბაღების გაშენებისას, თავი უნდა შევი-კავოთ უცხოური და ადგილობრივი უპერსპექტივო ხეხილის ჯიშე-ბისაგან, რომლებსაც დაბალი ხარისხის ნაყოფთან ერთად ახასია-თებს მეწლეობა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ხეხილის ისეთ ჯიშებს, რომლებიც მსხმოიარობაში ადრე შედიან, აქვთ უხვი და რეგულარული მოსავალი და მათი ნაყოფი მაღალი ღირსებით გამოირჩევა, გააჩნია არომატული და მიმზიდველი შეფერილობის ნაყოფი.

მეხილეობაში – ხილის წარმოების, ნაყოფის დახარისხების, შეფუთვისა და მათი საცავებში შენახვის, აგრეთვე ტრანსპორტ-ირების საკითხის დასარეგულირებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მებაღეების მიერ წარსულში გავრცელებული პრაქტიკის – კოო-პერატივებისა და ამხანაგობების ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომელთა საფუძველზეც შეიძლება საკუთარი მცირე წარმადობის მქონე ხილის გადამამუშავებელი საამქროების ფორმირება და ფუნქციონირება. ამის გარდა, საქართველოს მთავრობის დახმარებით, აუცილებელია მიზნობრივად გამოვიყენოთ „TASIS“-ის პროგრამა, რომელიც წარმატებით განხორციელდა რუსეთსა და უკრაინაში.

აუცილებელია დაკარგული საბაზრო სივრცის აღდგენა და დაბრუნება (ამ მიმართულებით გარკვეული მოლაპარაკებები მიმდინარეობს რუსეთთან). ამასთან, ხილის სარეალიზაციო არეალის გაფართოება უნდა განხორციელდეს წარსულში მოკავშირე, ამჟამად ახლო და შორეული უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველზე.

მეხილეობის კლასიკურ ქვეყნებთან ერთად (უნგრეთი, მოლდა-ვეთი, პოლონეთი და სხვა), საქართველომაც უნდა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი ამ პროცესში ხილის წვენების, კონცენტრატების, ხილფაფების, მურაბების და სხვა მაღალხარისხიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოების მიმართულებით.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოში ამ დარგში დასაქმებული სამეცნიერო დაწესებულებების დაკავშირება მეხილეო-ბის კლასიკური ქვეყნების სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, მათთან ამ დარგში მიღებული ახალი მეცნიერული მიღწევების

ურთიერთგაზიარებისა და გაცვლის თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს მეხილეობის შემდგომ განვითარებას.

ახლო პერსპექტივაში სამრეწველო მეხილეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა თავისი ინფრასტრუქტურით საბაზრო ეკონომიკის რელსებზე უნდა დადგეს, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ხელსაყრელი ინვესტიციების მოზიდვამ, მეცნიერული მიღწევების დანერგვამ და ქართველი მეურნის განსაკუთრებულმა სიყვარულმა ამ ტრადიციული დარგის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973.
2. დათუნაშვილი ლ. აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული თავისებურებები საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2008.
3. პავლიაშვილი დ. მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974.
4. საქართველოს ისტორია. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. II, თბილისი, 1962.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2005-2014.
6. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2007-2012.
7. საქართველოს მეხილეობა (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო), ტ. 3, თესლოვანი კულტურები. მთავარი რედაქტორი პროფ. ნ. ხომეზურაშვილი, თბილისი „მეცნიერება“, 1973.
8. Путешествие Шардена по Кавказию. Тиф., 1902.
9. Жуковский П. М. Культурные растения и их сородичи, М., 1974.

Lina Datunashvili

ACTUAL STATE IN FRUIT-DROWING AND ITS PERSPECTIVES IN GEORGIA

Annotation

The article focuses its attention to the positive opinions of foreign travelers about fruit-growing in Georgia as owing to natural conditions fruit-growing in Georgia was developed enough for ages (Sharden, Zhukovski).

Is studied the activity of Georgian enthusiasts at the end of XIX and at the beginning of XX century to develop fruit-growing in Georgia concerning fruit-free nursing and provision of population with local and European fruit plants as well.

In addition from the second part of XX century the attention is focused to the services of institutions functioning in the country for the development of industrial fruit-growing.

The article analyses subjective and objective reasons of decreasing the area of fruit, yield, fruitfulness of not only fruit-trees as a whole but of its various species: seed (apple, pear), nut (wall-nut, hazel-nut), stone (peach, plum, cherry). The article shows in details the ways and measures helping the development of fruit-growing in perspective.

ზურაბ რევიშვილი

საქართველოს სოფლის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია ავითარებდა მოსაზრებას, რომ კლასობრივ-ანტაგონისტური წარმოების წესების პირობებში მწვავდებოდა დაპირისპირება სოფელსა და ქალაქს შორის, ქალაქი უწევდა ექსპლუატაციას სოფელს და ამით უბიძგებდა მას მუდმივი ჩამორჩენილობისაკენ. ქალაქი უკვე წარმოადგენს ფაქტს მოსახლეობის, წარმოების იარაღების, კაპიტალის, სიკეთეების მიღების, მოთხოვნილებების კონცენტრაციის, მაშინ, როდესაც სოფელში შეინიშნება დიამეტრალურად საპირისპირო ფაქტი – იზოლირებულობა და განცალკევებულობა [1, გვ. 50]. კაპიტალიზმის განვითარება, მრეწველობის განვითარებასა და კაპიტალის კონცენტრაციას რომ განაპირობებდა დიდ ქალაქებში, ქალაქი სოფელს სხვადასხვაგვარ ექსპლუატაციას უწევდა და, მათ შორის "ფასების მაკრატლის" მეშვეობით, ხდებოდა სოფლის გაღარიბება და ჩამორჩენილობის გაღრმავება.

XX საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებამ რიგ განვითარებულ ქვეყნებში განაპირობა მანქანათა სისტემების გამოყენება სოფლის მეურნეობაში, შედეგად, სოფლის მეურნეობა გადაიქცა მაღალნაყოფიერი წარმოების სფეროდ. ამასთან, წარმოების ინდუსტრიალიზაციამ სოფლის მეურნეობაში, ერთი მხრივ, განაპირობა სოფლად ქალაქური ყოფის ელემენტების განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, ამან გამოიწვია მცირე, არამექანიზებული გლეხური და ფერმერული მეურნეობების შემცირება, გამოდევნა. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს სოფლის მოსახლეობის შეფარდებითი და აბსოლუტური შემცირება.

საბჭოთა ლიტერატურაში ფართოდ განიხილებოდა ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებათა დაძლევის საკითხები. განსხვავებათა შინაარსის, სტრუქტურის ანალიზისას გამოიყოფოდა ძირითადი ჯგუფები: ა) განსხვავებანი ქალაქისა და

სოფლის ძირითად საწარმოო სფეროებს შორის; ბ) განსხვავებანი, დაკავშირებული წარმოების საშუალებებზე საკუთრების საერთო-სახალხო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო ფორმების არსებობასთან; გ) განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დონეებს, პირობებსა და წესებს შორის; დ) განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში [2, გვ.7]. სოფელი ასევე განიხილებოდა, როგორც სპეციფიკური ელემენტი საზოგადოების სოციალურ-დასახლებითი სქრუქტურისა [3, გვ. 95-97; 4, გვ. 23].

პოსტსაბჭოთა, თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში, სოფელი წარმოადგენს საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ-დასახლებით ელემენტს. მთავარი თავისებურება სოფლისა, როგორც ამ სტრუქტურის ელემენტისა, მდგომარეობს იმაში, რომ მისი მოსახლეობის უმეტესი ნაწილის საწარმოო საქმიანობა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან. სასოფლო დასახლებების მოსახლეობის სიმცირის გამო აქ ნაკლებადაა განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, სოფელი ხასიათდება ფასეულობითი ორიენტაციების თავისებური სისტემით და სპეციფიკური ქცევის ნორმებით, ასევე, მოსახლეობის ცხოვრების წესით, რომელიც თავის თავში ახდენს ყველა ზემოთ დასახელებული თავისებურებების კონცენტრირებას.

ცნება სოფელი შინაგანად არაერთგვაროვანია, შეიძლება გამოვყოთ მსხვილი სასოფლო დასახლებები, რომლებშიც, სოფლის-მეურნეობრივ წარმოებასთან ერთად, განვითარებულია გადამამუშავებელი და სხვა სფეროები დასახლებების ხასიათით და საყოფაცხოვრებო პირობებით, ქალაქებთან თუ რაიონულ ცენტრებთან კავშირების სისტემით ის უახლოვდება ქალაქის ტიპის დასახლებებს. ამავე დროს, იგი მოიცავს მრავალ მცირე და საშუალო დასახლებას, რომლებშიც ძირითადი დასაქმების სფერო სოფლის მეურნეობაა, ესაა მცირე თუ პატარა დასახლებები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ქალაქებთან თუ რაიონულ ცენტრებთან საგზაო-სატრანსპორტო კავშირების განუვითარებლობა, სოციალური და სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაბალი დონე.

რესურსების კონცენტრაცია ქალაქებში, რა თქმა უნდა ქმნიდა, და ქმნის საარსებო პირობების გაუმჯობესების, კულტურული განვითარების, განათლებისა და გონებრივი შრომით დასაქმების წინაპირობებს, ხოლო სოფლის მოსახლეობის სივრცობრივი გაადგილება, ტერიტორიული განცალკევებულობა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ფიზიკური შრომით დასაქმების აუცილებლობა, აფერხებს მათ განვითარებას.

საქართველოს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების რეფორმირების თანამედროვე პირობებში საჭიროა, განისაზღვროს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის ფაქტობრივი მიზეზები, დადგინდეს სოფლის უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, განისაზღვროს სოფლებისა და ქალაქების, როგორც განსახლების სისტემების განვითარების პრიორიტეტები, რათა შემუშავდეს სათანადო სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევასა და პერსპექტივაში მის მდგრად განვითარებაზე.

სოფლის ქალაქისგან ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს: ა) სოფლისა და ქალაქის ძირითადი წარმოებრივი სფეროების, სოფლის მეურნეობასა და ქალაქში განვითარებული მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვ. განვითარების სხვაობაში; ბ) განსხვავებაში, რომლებიც განპირობებულია სოფლისა და ქალაქის დასახლებებისა და განსახლებების თავისებურებებით, რაც ობიექტურად განსაზღვრავს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობებს; გ) შრომისა და ცხოვრების პირობებისა და ცხოვრების დონეების სხვაობაში.

მართალია, სოფლის მეურნეობა სოფლის უმთავრეს წარმოებით სექტორს წარმოადგენს მაგრამ სოფლის ეკონომიკა ასევე მოიცავს იქ არსებულ გადამამუშავებელ მრეწველობასა და სხვა სფეროებს, რომელთა წილი პერსპექტივაში უნდა გაიზარდოს, ამდენად ვიზიარებთ პოზიციას, რომ სოფლის ეკონომიკა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სოფლის მეურნეობის განხილვით [5, გვ. 196].

1970-იან წლებში შეიმჩნეოდა ტენდენცია სოფლის მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილის შემცირების და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დარგებსა და არაწარმოებრივ სფეროებში დასაქმების გადიდებისა. 1979 წელს სოფლის მოსახლეობის მთლიანი დასაქმების სტრუქტურა შეადგენდა: სოფლის მეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები) – 63,7%; მრეწველობაში – 8,2%; მშენებლობაში – 4,1%; ტყის მეურნეობაში – 0,6; ტრანსპორტში – 3,4%; კავშირგაბმულობაში – 0,9%; ვაჭრობა და საზკვება – 2,7%, საბინაო-კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში-1,6%, ჯანდაცვას, ფიზკულტურასა და სოცუზრუნველყოფაში – 3,2%, განათლებასა და კულტურაში – 6,5%, მართვაში – 2,4% და სხვა სფეროებში – 2,7% [10, გვ. 25, 27].

საქართველოს გასაბჭოების პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დომინირებდა სახელმწიფო საკუთრება. მიწა მთლიანად, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგული, სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა. 1987 წლის მონაცემებით, საქართველოში ყველა

კატეგორიის მეურნეობა სარგებლობდა (რესპუბლიკის გარეთ სასოფ-ლო-სამეურნეო მიწების ჩათვლით) 3268,7 ათასი ჰა-თი. რესპუბლიკაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი სულ შეადგენდა 3174,1 ათას ჰა-ს, აქედან კოლმეურნეობების სარგებლობაში იყო 1414,9 ათასი ჰა (44,6%/), საბჭოთა მეურნეობები სარგებლობდნენ 1451,4 ათასი ჰა-ით(45,7%), სამეურნეობათაშორისი გაერთიანებები სარგებლობდნენ – 121,7 ათასი ჰა-თი (3,8%), კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობის ფართობი სულ შეადგენდა – 180,2 ათას (5,7%) ჰა-ს, ხოლო კოლექტიური მებაღეობა იყენებდა 5,9 ათას ჰა-ს (0,2%). სარგებლობაში არსებული სავარგულების 24,7%-ს შეადგენდა სახნავი მიწები, 10,5% მოდიოდა მრავალწლიან ნარგავებზე, ხოლო სათიბები და საძოვრები შეადგენდნენ 64,8%-ს [9, გვ. 6, 8, 9,11, 12,13,15].

1991 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ფონდების საერთო ღირებულებიდან 66,5% ეკუთვნოდა სახელმწიფოს, კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების წილად მოდიოდა 27% და პირადი საკუთრება შეადგენდა 6,5%. აღსანიშნავია, რომ კოოპერა-ციულ-საკოლმეურნეო საკუთრებას ნაკლებად ახასიათებდა კოო-პერაციული საკუთრების ნიშნები, რეალურად იგი სახელმწიფო საკუთრების ნაირსახეობას წარმოადგენდა. 1990 წელს საქართველოში საკარმიდამო, ანუ პირადი დამხმარე მეურნეობა სარგებლობდა მთლი-ანი სახნავი მიწების 12%-ით და მრავალწლიანი ნარგავების 27%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ პირად დამხმარე მეურნეობას არ ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თუ სხვა წარმოების ძირითადი საშუა-ლებების საკუთრებაში ფლობის უფლება. მთლიანად, ამ დროისათვის, პირადი დამხმარე მეურნეობა სარგებლობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 6,5%-ით (ამ მაჩვენებელში არ არის გათვალისწინებული საერთო საძოვრებით სარგებლობა) და, ამავე დროს, ამ სექტორში იწარმოებოდა რესპუბლიკაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 47% [5, გვ. 70, 73]. სწორედ პირადი დამხმარე მეურნეობა წარმოადგენდა სასოფლო შინამეურნეობების ჩამოყალიბების საფუძველს.

სსრკ-ს ცენტრალიზებული, გეგმური ფასწარმოქმნის და ფასების პოლიტიკის შედეგად, საქართველოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამეურნეობათაშორისო საწარმოებების საერთო რაოდენობის – 1549 ერთეულიდან, 1151, ანუ 74,3% ზარალიანი და დაბალრენტაბელური იყო, ხოლო დანარჩენ მეურნეობებს (25,7%) რენტაბელობა 25%-ზე მეტი ჰქონდათ; 404 საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა და სამეურნეობათაშორისო საწარმო უპერსპექტივოდ იყო მიჩნეული და საჭიროებდა სახელმწიფო დოტაციას [6, გვ. 61].

აღსანიშნავია, რომ მთლიანად საქართველოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-

სამეურნეო საწარმოებში 1986-1988 წწ.-ში, 1975-1980 წწ.-თან შედარებით, საშუალო წლიური ფონდშეიარაღება (ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე გაანგარიშებით) გაიზარდა 1,9-ჯერ, ხოლო ფონდუზრუნველყოფა (100 ჰა სავარგულზე გაანგარიშებით) – 1,6-ჯერ; ამავე პერიოდებში ენერგოშეიარაღება გაიზარდა 1,23-ჯერ, ხოლო ენერგოუზრუნველყოფა (100 ჰა ნათეს ფართობზე) – 1,13-ჯერ შესაბამისად და შეადგინა 6,5 ც.ძ. და 536 ც.ძ. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საქართველოს 80-იანი წლების ბოლოს სსრკ-ში ყველაზე დაბალი დონე ეკავა ენერგოშეიარაღების მაჩვენებლის მიხედვით, 1988 წელს ამ მაჩვენებლით 4,2-ჯერ ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს; ხოლო ფონდშეიარაღების მაჩვენებელით ჩამორჩებოდა 1,8-ჯერ. აღნიშნული ჩამორჩენის მიაუხედავად, საქართველოში მიღწეულ იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გარკვეული დონე, კერძოდ საზოგადოებრივ მეურნეობებში მექანიზებული იყო ძროხების წველის სამუშაოთა 60%; წყლის მიწოდება ფერმებსა და კომპლექსებში (%-ში): მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში (მრპ) – 74, მეღორეობაში – 65, მეფრინველეობაში – 99; საკვების დარიგება: მრპ-ში – 42, მეღორეობაში – 38, მეფრინველეობაში – 95; სადგომის გასუფთავება: მრპ-ში – 72, მეღორეობაში – 65 და მეფრინველეობაში – 99; კომპლექსური მექანიზაცია შეადგენდა: მრპ-ში – 37, მეღორეობაში – 30 და მეფრინველეობაში – 95-ს. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტრაქტორებით უზრუნველყოფა 100 ჰა სახნავზე გაანგარიშებით 1988 წელს შეადგენდა 40 ერთეულს, ხოლო მარცვლეულის ასაღები კომბაინების რაოდენობა 100 ჰა მარცვლეულის ნათეს ფართობზე (სიმინდის გარდა) – 3 ერთეულს [12, გვ. 9, 10, 21, 80, 81].

საქართველოს პოსტსაბჭოთა ეკონომიკის თუ კერძოდ სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციის პერიოდების განხილვისას ქართველ ეკონომისტთა შორის განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით [იხ. 6, გვ. 97-104; 7, გვ. 62-68; 8, გვ. 5]. ჩვენი აზრით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის რეფორმირების თვალსაზრისით უნდა გამოიყოს 4 პერიოდი: I 1990-1991 წწ; II 1992-2003 წწ.; III 2004-2012 წწ. და IV, მიმდინარე პერიოდი – 2013-2014 წწ.

1990-1991 წლებში პრივატიზაციის პრაქტიკულ განხორციელებამდე ჩატარდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები, 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ", პრივატიზაცია უნდა განხორციელებულიყო აუქციონისა და კონკურსის ფორმით. უნდა აღინიშნოს რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობა არ ჩქარობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განკერძოებას, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელა-

ღებით დაშლას. საქართველოს დამოუკიდებლობისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა სოფლის მეურნეობაში არსებითი გარდაქმნების განხორციელების შესაძლებლობა შექმნა. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო რეფორმირება მთლიანად, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, განკერძოების საკითხი კერძოდ, საქართველოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობისა და პრობლემურობის გამო, მოითხოვდა მსოფლიოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკების რიგ გამოცდილებათა მეცნიერულ გააზრებას, ქვეყნისათვის მისაღები სოფლის მეურნეობის განვითარების მოდელების ფართო განხილვის საფუძველზე საუკეთესო ვარიანტის შერჩევასა და სათანადო სამთავრობო სტრატეგიის შემუშავებას. ამრიგად, ამ პერიოდში, როდესაც იურიდიულად სსრკ არ იყო დაშლილი, სოფლის მეურნეობის ტრანსფორმირების მხოლოდ კონცეპტუალური გააზრება მიმდინარეობდა.

მიწების განაწილების, მათი პრივატიზების საკითხების განხილვისას, ჩვენი აზრით, მეტად ყურადსაღი იყო დასავლელ მეცნიერ-ეკონომისტთა ჯგუფის (30-მდე პროფესორი, სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელი და ცნობილი წამყვანი ეკონომისტი; მათ შორისაა ნობელის პრემიის ლაურეატები – ფრანკო მოდილიანი, ჯეიმს ტობინი და რობერტ სოლოუ, რომელთაც 1996 წელს შეუერთდა კიდევ ერთი ნობელის ლაურეატი – უილიამ ვიკრი) მიერ შემოთავაზებული პოზიცია მ. გორბაჩოვისადმი 1991 წელს გაგზავნილ ღია წერილში. ცნობილი ეკონომისტთა ჯგუფი, სსრკ-ს დაშლის შემდგომ რეალობებს რომ ითვალიწინებდა, იძლეოდა რჩევებს, რომ მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, უმჯობესია მიწაზე შენარჩუნებულიყო სახელმწიფო საკუთრება და სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოყალიბებული მიწის რენტის ფორმით, რომ დასავლეთის ქვეყნების უკეთ განვითარებას დიდად აფერხებს მიწის კერძო საკუთრება, ვინაიდან კერძო სექტორი ითვისებს მიწის რენტის დიდ ნაწილს [11].

საქართველოში მომხდარმა (1992), გარე ძალების ხელშეწყობით პროვოცირებულმა, სამხედრო გადატრიალებამ განაპირობა ქვეყნისათვის კატასტროფული, ანარქიული მოვლენები, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაჩქარევ განაწილებასა და კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ქონების გაუაზრებელ დაშლასა და რიგ შემთხვევებში ძარცვაშიც აისახა. საქართველოს რესპუბლიკის მონისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 6 თებერვლის №128, 10 მარტის №290 და სხვა დადგენილებების, აგრეთვე "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" (1996) და "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ" (1996) კანონების და სამოქალაქო კოდექსის (1997) შესაბამისად, საქართ-

ველოში განხორციელდა მიწის კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა და დაიწყო მიწის იჯარით გაცემის პროცესი.

საქართველოს სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლზე გაანგარიშებით, საშუალოდ ერთ კომლზე მოდიოდა 3,9 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული (გაანგარიშებულია 2003 წ. სავარგულების მთლიან ფართობზე - 3023,5 ათას ჰა-ზე), აქედან დაახლოებით 1,38 ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავი და 2,51 ჰა სათიბ-საძოვარი. ფაქტობრივად 2003 წელს (1 აპრილისათვის) სოფლად მცხოვრებ 772,5 ათას კომლს, პირად სარგებლობაში არსებული ნაკვეთების (0,15-0,25 ჰა) ჩათვლით, საკუთრებაში გადაეცა 690,1 ათასი ჰა ფართობი (საშუალოდ-0,89 ჰა); აქედან ყოფილ კოლმეურნეობათა წევრებს და სახელმწიფო მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეების 713,1 ათას კომლს საკუთრებაში გადაეცა 632,3 ათასი ჰა; სოფლად მცხოვრებ სხვა დასაქმების სფეროების მუშაკების 59,4 ათას ოჯახს გადაეცა 57,8 ათასი ჰა. ამ პერიოდისათვის მთლიანად საქართველოში საკუთრებაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მთლიანი რაოდენობის 25,2%. ამასთან ერთად, 40,2 ათასმა ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ათასი ჰა (საშუალოდ -11,8 ჰა) და 4,2 ათას იურიდიულ პირზე გაიცა 432,0 ათასი ჰა (საშუალოდ -102,9 ჰა) [13, გვ. 1-3; 14, გვ. 1,4].

2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდა 3025,8 ათას ჰა-ს, აქედან კერძო საკუთრებაში ამ პერიოდისათვის იყო გადაცემული სულ 767,3 ათასი ჰა(25,4%), სახელმწიფო საკუთრებაში იყო დარჩენილი 2258,5 ათასი ჰა (74,6%). კერძო საკუთრებაში იყო გადაცემული სახნავი ფართობი 438,5 ათასი ჰა (54,7%), მრავალწლიანი ნარგავები 180,5 ათასი ჰა (68,4%), სათიბები 44,0 ათასი ჰა (30,6%), საძოვრები 84,5 ათასი ჰა (4,7%) და ასევე 19,8 ათასი ჰა შენობების და ეზოების ფართობი [15, გვ. 24, 25].

2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებმა აჩვენა რომ, სასოფლო სამეურნეო მიწების მქონე შინამეურნეობების 43,2%-ს ჰქონდა 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 0,5-0,99 ჰა მიწა ჰქონდა 32%-ს მეურნეობებისას ე.ი. 1 ჰა-ზე ნაკლები ჰქონდა 75,2%-ს მეურნეობებისა; 1-1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ 18,3%-ს მეურნეობებისა; 2-2,99 ჰა – 3%-ს და 3-4 ჰა ჰქონდა 1,4 %-ს შინამეურნეობებისა. ამასთან, მეურნეობების მცირე ზომის ფართობები დანაწევრებულია, ნაკვეთები გაბნეულია და მნიშვნელოვნადაა ერთმანეთს დაცილებული. აღწერის მონაცემებით ერთნაკვეთიანი მეურნეობები შეადგენდა მთელი მეურნეობების 33,9%-ს, 2-3 ნაკვეთიანი იყო მეურნეობათა 48,8%; 4-5 ნაკვეთიანი მეურნეობა იყო 13% მეურნეობებისა და 6-9 ნაკვეთიანი იყო 3,9% მეურნეობებისა [16, გვ. 51-54, 87].

საქართველოს რეგიონები არსებითად განსხვავდებიან ოჯახური შინამეურნეობის საშუალო ფართობების მიხედვით. თუ მთლიანად

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო ადგილებში, საშუალოდ ერთი ოჯახური მეურ-ნეობა სარგებლობდა 1,05 ჰა-თი; რეგიონებში ეს მონაცემი შეადგენდა (ჰა-ში): აჭარის არ – 0,5; გურია – 0,82; იმერეთი – 0,64; კახეთი – 1,9; მცხეთა-მთიანეთი – 0,99; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 0,89; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 0,71; სამცხე-ჯავახეთი – 2,21; ქვემო-ქართლი – 0,95 და შიდა ქართლი 0,9 [16, გვ. 84-86].

შინამეურნეობის საშუალო ზომა წარმოდგენას გვიქმნის მის ეკონომიკურ პოტენციალზე, გვიჩვენებს მეურნეობათა განვითარების დონეს. საქართველოში საშუალოდ ერთ სასოფლო შინამეურნეოზე გაანგარიშებით, 2004 წ. მოდიოდა: 3,59 წევრი, მათ შორის 15-65 წლამდე 2,3 წევრი. იგი ფლობდა (ჰა-ში): 1,21 სასოფლის-სამეურნეო სავარგულს, მათ შორის 0,68 სახნავს, 0,14 მრავალწლიან ნარგავს, 0,35 სათიბ-საძოვრს და 0,05 სხვა კატეგორიის მიწას. საშუალოდ ერთი მეურნეობა ფლობდა: მსხვილფეხა (კამეჩის ჩათვლით) – 1,71 სულს, მათ შორის ფურსა და ფურკამეჩს – 1,01 სულს; ღორს 0,7 სულს, ცხვარსა და თხას – 1,04 სულს, ფუტკარს – 0,22 სკას, ფრინველს–13,8 ფრთას; ცხენს, ვირსა და ჯორს – 0,08 სულს [16, გვ. 39, 42, 45, 58, 61, 221, 224, 227, 259].

2004 წელს მეურნეობების მხოლოდ 2,1%-ს გააჩნდა საკუთ-რებაში რომელიმე სახეობის ტრაქტორი (ბორბლიანი, მუხლუხა, მინი); 2,8%-ს გააჩნდა ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი); 0,16% ფლობდა კომბაინს; 2,6% ფლობდა სატვირთო ავტომობილს; 8,4% ფლობდა სხვა სახის ავტომობილს. ამავე დროს, მეურნეობების 52,3%-მა ისარგებლა რომელიმე სახეობის ტრაქტორით; 7,4%-მა ხელის ტრაქტორით; 10,8%-მა – კომბაინით; 23,8%-მა – სატვირთო მანქანით და 10,4%-მა კი – სხვა მანქანით. ამრიგად, შინამეურ-ნეობების ტექნიკური აღჭურვილობის დონე მეტად დაბალია [16, გვ. 251, 254]. რიგი რეგიონებისა განსაკუთრებულად მწვავედ განიცდიდა ტრაქტორების, მისაბმელების, კომბაინების დეფიციტს. ნაკვეთების დაქსაქსულობის, მცირე ზომების გამო, იხარჯება მეტი საწვავი, ტექნიკა გამოიყენება არაეფექტურად, ასევე სამუშაოები ხორციელ-დება არადროულად, ირღვევა აგროვადები. პოსტსაბჭოთა პერიოდში, აშკარად ვხედავთ მექანიზებული სამუშაოების შემცირების და ცოცხალი გამწევი ძალით (ხარი, ცხენი) თუ ხელის იარაღებით შრომის წილის გადიდების ტენდენციას.

2004 წლიდან ე.წ. "ვარდების რევოლუციით" მოსული ხელის-უფლება ახორციელებდა "ლიბერტარიანულ" პოლიტიკას, რომელიც გამორიცხვდა სოფლისა თუ სოფლის მეურნეობის მიმართ რაიმე ტიპის მკაფიო და მიზანმიმართულ ხელშეწყობას, პირიქით, ხორ-ციელდებოდა ისეთი მაკროეკონომიკური ვითარების ფორმირება,

რომელიც იწვევდა ადგილობრივი წარმოების შემცირებასა და სურსათის იმპორტის სწრაფ ზრდას. ამ ხელისუფლებისათვის საინტერესო იყო მხოლოდ უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეუფერხებული მიყიდვის რეჟიმის შექმნა. შედეგად, ამ პერიოდში მკვეთრად ეცემა ადგილობრივი წარმოება, წლითი-წლობით იზრდებოდა დაუმუშავებული სავარგულების ფართობები, უარესდებოდა სოფლის მოსახლეობის დასაქმებისა და სიღარიბის მაჩვენებლები; სავალალო მდგომარეობაშია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება.

ამ პერიოდში საქართველოში მკვეთრად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. თუ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობისა და თევზჭერის წილი 2000 წ. შეადგენდა 20,6%-ს, 2008 წ. მან შეადგინა – 8,9% [17, გვ.18]; 2010 წ. – 8,4%; ხოლო 2013 წელს (წინასწარი მონაცემებით) ამ მაჩვენებელმა შეადგინა – 9,3% [18, გვ. 15], რაც კოალიცია "ქართული ოცნების" აგრარული პოლიტიკისა დამაიმედებელ შედეგს წარმოადგენს.

მცირემიწიან ფერმერთათვის საგაზაფხულო სამუშაოებში ხელშეწობით და უპროცენტო სასაქონლო კრედიტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, შედავათიანი აგროკრედიტისა და აგროლიზინგის შემოღებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების ქმედითი ხელშეწყობით, კანონით "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" (2013) და ა.შ., დაიწყო კარდინალურად განსხვავებული პერიოდი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამთავრობო პოლიტიკაში.

აგრარული პოლოტიკის გატარებისას გასათვალისწინებელია ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების როლი ცალკეული კულტურების თუ პროდუქტების წარმოებაში. 2009-2013 წწ. ცალკეული კულტურების წარმოებაში შეიმჩნევა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წილის ზრდა. ასე მაგალითად, ხორბლის წარმოებაში საწარმოების წილი გაიზარდა 10-დან 16%-მდე, ქერის წარმოებაში 1-დან 2%-მდე; სიმინდის წარმოებაში 1-დან 3%-მდე. თუმცა კარტოფილის წარმოებაში, პირიქით, გაიზარდა ოჯახური მეურნეობების წილი 99%-დან 100%-მდე და, მთლიანად, ლობიოს, ბაღჩეულის, მრავალწლიანი ბალახების წარმოების 100% ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, ისინი აწარმოებენ ხორბლის 84%, ქერის 98%-ს, სიმინდის მარცვლის 97%-ს, ბოსტნეულის 96%-ს, მრავალწლიანი ბალახების თივის 99%-ს. ამავე პერიოდში ხილის წარმოების ოჯახური მეურნეობების წილი გაიზარდა 98,8%-დან 99,6%-მდე, ყურძნის წარმოებაში 94,5%-დან 96,3%-მდე, ციტრუსების წარმოებაში – 99,9-დან 100%-მდე, ხოლო ჩაის წარმოებაში გადიდდა საწარმოების წილი 29,35-დან 75,8%-

მდე. ამავე დროს, ოჯახური მეურნეობების წილი მთლიანად მსხვილ-ფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობაში გაიზარდა 99,3%-დან 99,8%-მდე; მათ შორის ფურისა და ფურკამეჩის სულადობაში 99,6 დან 99,8%, ღორის სულადობაში შემცირდა 100%-დან 99,2%-მდე; ცხვარსა და თხაში გაიზარდა 94,9%-დან 96,8%-მდე; ფრინველში შემცირდა 79,3-დან 72,6%-მდე, ხოლო ფუტკარში გაიზარდა 99,7%-დან 100%-მდე. [18, გვ. 29]. მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოცემულ ეტაპზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მთლიანად ოჯახურ მეურნეობებს უკავიათ გადამწყვეტი ადგილი და როლი და აგრარული პოლიტიკა სწორედ მათ განვითარებასა და ხელშეწყობაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ამჟამად, ოჯახური შინამეურნეობების უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია თვითუზრუნველყოფაზე და მთლიანად ახასიათებს მეტად დაბალი სასაქონლო წარმოების დონე. ამ მეურნეობათა შემოსავლების დაბალი დონე, მათში ფულადი შემოსავლების დაბალი ხვედრითი წილი და ნატურალური შემოსავლების მაღალი ხვედრითი წონა, განაპირობებს მათი წარმოების უნივერსალურობის აუცილებ-ლობას და მნიშვნელოვანწილად მოხმარების ნატურალურ ხასიათს.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო, სანადირო და სატყეო მეურნეობაში მეტად დაბალია რეგისტრირებული საწარმოების წილი და მათი წარმოების დონე. 2012 წლის მონაცემებით, აღნიშნულ სფეროებში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა მთლიანად ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობის 0,6%-ს და ამ საწარმოებში გამოშვებული პროდუქცია არ აღემატებოდა მთლიანად საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის 1%-ს [19, გვ. 23-25].

აგრარული სექტორის განვითარების ზოგადი ტენდენციაა წარ-მოების ოპტიმალური კონცენტრაცია და სპეციალიზაცია, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურ-ნეობის მოთხოვნებს. სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, სასოფლო შინამეურნეობათა მოსავლიანობისა და პროდუქტულობის გადიდებას; ხოლო მეორე მხრივ, მან უნდა ასტიმულიროს შინა-მეურენობათა მდგრადი განვითარება, ხელი უნდა შეუწყოს მოწინავე აგროტექნოლგიების თუ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პირო-ბების კარგად მცოდნე მეურნეების ჩამოყალიბებას. ასევე უნდა შეუწყოს ხელი როგორც სასოფლო შინამეურნეობათა კოოპერა-ტივების შექმნას, ისე სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების თუ მათი გაერთიანებების შექმნასა და განვითარებას.

საქართველოში ვხვდებით სოფლის დასახლებათა სხვადასხვა ტიპებს. განასხვავებენ ძირითადად ორ – აღმოსავლეთ და დასავლეთ

საქართველოს – ტიპს: ა) როდესაც საცხოვრებელი სახლები და ეზოები ახლოს არის განთავსებული, დასახლება კომპაქტურია და მთლიანად სოფელი მოშორებულია სავარგულების ძირითად ნაწილს და ბ) როდესაც სახლები და ეზოები დაშორებულია ერთმანეთს, სავარგულების ძირითადი ნაწილი საცხოვრებელ სახლებთანაა განთავსებული. ამგვარი მდგომარეობა სოფლების ისტორიული განვითარებისა და ბუნებრივ-კლიმატური პირობების შედეგია. აღმოსავლეთ საქართველოში, ერთი მხრივ, დაბლობ აგილებში, სადაც მეტია სიცხე, განთავსებული იყო სავარგულების უმეტესი ნაწილი; ამ ადგილებში უფრო მეტად იყო მტრის მოულოდნელად შემოსევის საფრთხე, რაც განაპირობებდა სოფლების მაღლობ, შეუმჩნეველ ადგილებში შენებას. სოფლის კომპაქტური დასახლება ახასიათებთ ასევე რიგ მაღალმთიან თუ მცირე სავარგულების მქონე სოფლებსაც, სადაც მკაცრი ზამთარი, მტრისგან ერთობლივად თავდაცვის საჭიროება თუ სასოფლო დასახლების სივრცის ოპტიმალური გამოყენების გარდუვალობა ქმნიდა სოფლის კომპაქტურად დასახლების აუცილებლობას. დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში ეს პრობლემები არ იდგა ისე მწვავედ, რელიეფის კონფიგურაცია, კლიმატი და მტრის შემოსევისაგან, შედარებით მეტი დაცულობა, იძლეოდა სოფლის დასახლების მეტად გაადგილების შესაძლებლობას იძლეოდა. სოფლის დასახლების ტიპებს ახასიათებთ გარკვეული მდგრადობა, თუმცა მოსალოდნელია, რომ მომავალში ფერმერული მეურნეობების განვითარებამ გარკვეულად განაპირობოს ცვლილებები სასოფლო დასახლებებში.

აღსანიშნავია, რომ 1989 წლის აღწერის მონაცემებით, მთლიანად საქართველოში იყო 4477 სოფელი, რომელთაგან მხოლოდ 4314 იყო დასახლებული, ხოლო 163 – დაუსახლებელი; აქედან დაუსახლებელი სოფლები შეადგენდა: აფხაზეთი არ – 30, სამხრეთ ოსეთის აო – 61, ხოლო ქვეყანის დანარჩენ რაიონებში 72 სოფელს. ამ დროს სოფლის მუდმივი მოსახლეობა შედგენდა – 2409,4 ათას ადამიანს, აქედან აფხაზეთის არ-ზე მოდიოდა 482 სოფელი და მათში მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 277,5 ადამიანს; სამხრეთ ოსეთის აო-ზე მოდიოდა 417 სოფელი და მათში ცხოვრობდა 49,1 ათასი ადამიანი [20, გვ. 3, 6-9].

2002 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო 3668 სასოფლო პუნქტი, რომლის მუდმივმა მოსახლეობამ შეადგინა 2086,7 ათასი ადამიანი, ანუ 1989 წლის აღწერასათან შედარებით 322,7 ათასი ადამიანით (18,4%-ით) ნაკლები. კლების ძირითადი მიზეზია ცნობილი მოვლენები, რის შედეგადაც ყოფილ აფხაზეთის არის და ოსეთის აო-ის ტერიტორიებზე, წარმოიქმნა არაკონტროლირებადი ტერიტორიები. კლება ასევე

გარკვეულად გამოიწვია სოფლის მოსახლეობის მიგრაციამ (ძირითადად სხვა ქვეყნებში), დაბალმა შობადობამ და მაღალმა მოკვდაობამ და სხვა. აღსანიშნავია, რომ 2002 წლის აღწერამ მოიცვა მხოლოდ კოდორის ხეობისა და გულრიფშის რაიონის (აჟარის თემის საკრებულო) 23 სოფელი და აგრეთვე ახალგორის რაიონის 83 სოფელი. 2002 წელს 3668 სოფლიდან მოსახლეობის გარეშე იყო 162 სოფელი [21 გვ, 14-15]; 2014 წელს (1 მარტის მდგომარეობით) საქართველოს ტერიტორიაზე სულ იყო 4627 სოფელი, აქედან კონტროლირებად ტერიტორაზე იყო 3629 სოფელი, ხოლო არაკონტროლირებად ტერიტორიებზე კი – 998 სოფელი [22].

1991 წლის მდგომარეობით, საქართველოში სულ იყო 112 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასალება (დაბა), მათ შორის 61 ქალაქი (რომელთაგან 42 წარმოადგენდა რაიონულ ცენტრს) და 51 – ქალაქის ტიპის დასახლება [20, გვ. 3]. 2014 წელს საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა 110 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება, აქედან 62 ქალაქი, 48 ქალაქის ტიპის დასახლება; აქედან კონტროლირებად ტერიტორიაზე განთავსებულია 54 ქალაქი, 39 დაბა [22].

90-იანი წლების დასაწყისში მრეწველობისა და სხვა ინდუსტრიული დარგების საწარმოების მკვეთრი შემცირება შეეხო არა მხოლოდ მსხვილ, საშუალო და პატარა ქალაქებს, არამედ რაიონულ ცენტრებს, დაბებს. არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების სფეროების შემცირების გამო ქალაქის ტიპის დასახლებების, რაიონული ცენტრებისა და დაბების უმეტეს ნაწილში გაიზარდა სოფლისმეურნეობრივი წარმოებების მნიშვნელობა დასაქმებასა და თვითდასაქმებაში, ასევე ოჯახური მეურნეობების თვითუზრუნველყოფაში.

საქართველოს სასოფლო განსახლება ხასითდება მრავალი მცირე, პატარა დასახლებით, რომელთაც ახასიათებთ კავშირურთიერთობების სისტემის დაბალი დონე, რაც განაპირობებს ამ დასახლებების შედარებით იზოლირებულობას. სასოფლო განსახლების არსებული სისტემა, მცირე, პატარა და საშუალო ზომის სოფლების მაღალი ხვედრითი წონა სასოფლო განსახლების სისტემაში, გავლენას ახდენს ძირითადი წარმოებრივი სფეროს – სოფლის მეურნეობისა თუ სხვა წარმოებრივი თუ არაწარმოებრივი ობიექტების განვითარებაზე, განსაზღვრავს სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებებს.

ცხრილი 1

საქართველოს სოფლის დასახლებული პუნქტების დაჯგუფება ტიპების და მუდმივი მოსახლეობის მიხედვით 1989 და 2002 წლებში [20 გვ.6-7; 21, გვ. 14-15]

	სულ, %	5 და ნაკლ	6-10	11-25	26-50	51-100	101-200	201-500	501-1000	1001-2000	2001-3000	3001-5000	5001 და მეტი
1989წ. დასახლებული პუნქტები	100	2,0	2,4	5,8	7,2	10,4	13,3	25,8	17,3	10,5	3,0	1,8	0,5
მათში მოსახლეობა	100	0,0	0,0	0,2	0,5	1,4	3,5	15,6	22,0	26,2	13,0	11,8	5,7
2002წ. დასახლებული პუნქტები	100	2,1	2,2	4,8	6,4	10,3	13,7	26,0	17,7	10,6	3,5	1,8	0,8
მათში მოსახლეობა	100	0,0	0,0	0,1	0,4	1,3	3,4	14,7	21,0	24,8	14,6	11,2	8,4

1989-2002 წლებში საქართველოში შეიმჩნეოდა მცირე სოფლების რაოდენობის და მათში მცხოვრები მოსახლეობის შემცირების ტენდენცია. მონაცემები გვიჩვენებს, რომ 1989 წელს 100-ზე ნაკლები მოსახლეობით სოფლები შეადგენდა მთელი დასახლებული სოფლების 27,8%-ს და მათში ცხოვრობდა სოფლის მოსახლეობის 2,1%; ხოლო 2002 წელს 100 ნაკლები მოსახლეობით სოფლები შეადგენდა მთელი დასახლებული სოფლების 25,8%-ს და მათში ცხოვრობდა სოფლის მოსახლეობის 1,8%. ამავე დროს გარკვეულად გაიზარდა 101-დან 200-მდე მოსახლეობით სოფლების რაოდენობა, თუმცა ამავე დროს, გარკვეულად შემცირდა მათში მცხოვრები სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი; 1989 წელს 101-დან 200-მდე მცხოვრებით სოფლები შეადგენდნენ სოფლების 13,3%-ს და მათში ცხოვრობდა სოფლის მოსახლეობის 3,5%; ხოლო 2002 წელს 101-დან 200-მდე მოსახლეობით სოფლები შეადგენდა 13,7% და მათში მოსახლეობა – 3,4%-ს. ამ პერიოდში მოიმატა სოფლების წილმა 201-500 მცხოვრებით 25,8%-დან 26%-მდე, თუმცა მოსახლების წილი აქ შემცირდა 15,6%-დან 14,7%-მდე. მსგავს ტენდენციას ვხედავთ სოფლებში 501-დან 2000-მდე მცხოვრებით. ამავე დროს, სოფლებში, სადაც მცხოვრებლები შეადგენდნენ 2001-დან 3000-მდე, შეიმჩნევა როგორც სოფლების, ისე მათში მოსახლეობის ზრდის ტენდენცია.

გარკვეულად გაიზარდა სოფლების რაოდენობა 3001-დან 5000-მდე მცხოვრებით, თუმცა ამ სოფლებში შემცირდა მოსახლეობის წილი. ამავე დროს გაიზარდა სოფლების რაოდენობა 5001 და მეტი მცხოვრებით და ასევე გაიზარდა ამ სოფლებში მოსახლეობის წილი.

ამრიგად, ერთობლიობაში, შეიმჩნევა სასოფლო დასახლებებში მცირე ზომის სოფლების შემცირების და ამ სოფლების მოსახ-ლეობისგან დაცლის და, ამავე დროს, საშუალო და მსხვილი ზომების სოფლების ხვედრითი წილების გადიდების ტენდენცია, თუმცა რიგ შემთხვევაში ამ სოფლების მოსახლეობის წილი არ იზრდება შესაბამისად ან გარკვეულად მცირდება.

მსხვილ ქალაქებთან შედარებით, სოფელს ზოგადად ახასია-თებს უკეთესი ეკოლოგიური პირობები, ადამიანის ბუნებასთან მეტი სიახლოვე, მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვე და ა. შ., რაც მას ანიჭებს მნიშვნელოვან რეკრეაციულ ფუნქციას და მიმზიდველობას. თანამედროვე დიდი ქალაქების მოსახლეობის სიჭარბე, სატრანს-პორტო საშუალებების მაღალი კონცენტრაცია, დამძიმებული ეკო-ლოგიური პირობები ქმნის მათ ნეგატიურ მახასიათებლებს. პერსპექ-ტივაში, XXI საუკუნის ტექნიკური, ტექნოლოგიური, ინფორმაციული შესაძლებლობები ქმნის სოფლის იზოლირების დაძლევის, კავშირ-ურთიერთობის თანამედროვე სისტემებში მისი სრულად ჩართვის, ყოფის გაუმჯობესების შესაძლებლობებს (დენი, გაზი, ტელევიზია, ინტერნეტი, ავტონომიური სანტექნიკურ-ჰიგიენური პირობები), რაც მნიშვნელოვნად ცვლის სოფლის საყოფაცხოვრებო და კულტურულ პირობებს და უახლოვებს მათ ქალაქის დონეს.

სოფელში უნდა გაუმჯობესდეს ცხოვრებისა და შრომის პირობები; ამასთან ერთად, უნდა მოხდეს ქალაქისა და სოფლის წარმოებრივი და არაწარმოებრივი სფეროების მაქსიმალური ინტე-გრაცია, უნდა განვითარდეს განსახლების ტერიტორიული, რეგიო-ნული სისტემები, სადაც სოფელი და ქალაქი (ან რაიონული ცენტრი) შეადგენენ ერთიან ინტეგრირებულ, მჭიდრო კავშირში მყოფ განსახ-ლების სისტემას, სადაც ოპტიმალურად განთავსდება საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა და როგორც ქალაქის მცხოვრებთ, ისე სოფლის მოსახლეობას ექნება როგორც დასაქმების, ისე სხვადასხვა მომსახურების სიკეთეებით (განათლების, ჯანდაცვის, საკონსულტაციო-ინფორმაციული, რეკრეაციული და სხვ. სისტემები) სარგებლობის საშუალება.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში შეიმჩნევა სოფლის მოსახლეობის ქანქარული მიგრაციის გაძლიერება, რაც აფართოვებს მათ ქალაქებში დასაქმების შესაძლებლობებს, ზრდის სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს. რიგ შემთხვევებში ქანქარული მიგრა-ცია ხელს უწყობს სოფლებიდან ახალგაზრდობის გადასვლას, დიდ

ქალაქებსა და სხვა ქვეყნებში სამუშაოდ წასვლას. ამდენად ქანქარული მიგრაცია წინააღმდეგობრივი მოვლენაა. საჭიროა, ხელი შეეწყოს როგორც სოფლებში დასაქმების სფეროების განვითარებას, სოფლისმეურნეობრივი შრომის პირობების და მისი მიმზიდველობის გაუმჯობესებას, ასევე მუნიციპალურ ცენტრებსა და პატარა ქალაქებში გადამამუშავებელი და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების განვითარებას, სადაც სოფლის მოსახლეობას დასაქ-მების შესაძლებლობა ექნება.

ასევე საჭიროა ცალკეული რეგიონების, მუნიციპალიტეტების ფარგლებში გამოიყოს ყველაზე დაშორებული ან საგაზაო-სატრანსპორტო კავშირებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე სასოფლო დასახლებები, გაირკვეს მათი საწარმოო, რეკრეაციული თუ სხვა ფუნქციების მნიშვნელობა, განისაზღვროს მათი შენარჩუნებისა და განვითარების პერსპექტივები. ვფიქრობთ, ყოველ ადმინისტრაციულ რეგიონს და მუნიციპალიტეტს უნდა გააჩნდეს ტერიტორიული განვითარების პროგრამები, სადაც კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, დასახული იქნება პრობლემების მქონე სასოფლო დასახლებების გადარჩენის კონკრეტული, რეალისტური გეგმები.

ასევე საჭიროა დაიგეგმოს პატარა, საშუალო და დიდი ქალაქების განვითარებაც, მოხდეს მათი წარმოებრივი სფეროების ოპტიმალური სპეციალიზაცია, საწარმოო და სოციალური ინფრა-სტრუქტურების გამოთანაბრება. ქალაქებისა და სოფლების ჩართვა ერთიან საწარმოო-განსახლებით სისტემათა ჩარჩოებში და მათი კომპლექსური განვითარება სოფლების ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენილობის ეტაპობრივი დაძლევის, "ქალაქი-სოფელი" ან "რაიონული ცენტრი-სოფელი" ერთიანი ტერიტორიულ განსახლებითი სისტემების ფორმირების შესაძლებლობებს შექმნის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Маркс К., Енгельс Ф., изд. 2, соч., т. 3, с. 50.
2. Проблемы преодоления социально-экономических различии между городом и деревней, отв. ред. Е.И. Капустин, М., «Наука», 1976.
3. Методология и методика системного изучения советской деревни, отв.ред. Т.И. Заславская и Р.В. Рывкина, изд.-во «Наука», Новосибирск, 1980.
4. Методологические проблемы системного изучения деревни, отв. ред. Т.И. Заславская и Р.В. Рывкина, Новосибирск,«Наука», 1977.
5. Р. Абесадзе, В. Бурдули, Структурные и инновационные проблемы экономического развития, Тб., Институт экономики Паата Гугушвили ТГУ, 2014.

6. ა. ჭითანავა. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. გამ. “საქართველო”, თბ., 1993.

7. რ. ასათიანი. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი, თბ., გამ,-ბა “სიახლე”, 2014.

8. ა. ჯიბუტი. საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები. თბ., “დარბეგი”, 2014.

9. საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრანსფორმირება: დამოუკიდებლობის 20 წელი (შუალედური ანგარიში), EI-LAT 2012 “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი”, http://ei-lat.ge

10. Земельный фонд Грузинской ССР, Краткий стат. сборник, Госкомстат ГССР, Тб., 1988. 11. Итоги Всесоюзной переписи 1979г. по Грузинской ССР, т.1, Тб., 1980.

12. Открытое письмо президенту СССР М.С. Горбачеву. ж. “Энергия, Экономика, Техника, Экология”, №8, 2003.

13. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობა, სტატ. კრებული, თბ., სტატისტიკის სახ. კომიტეტი, 1989.

14. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2001 წ. მდგომარეობით, თბ., 2001.

15. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, 01.04.2003 წ. მდგომარეობით, თბ., 2003.

16. საქართველოს სტატ. წელიწდეული 2005. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.

17. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურენო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2005.

18. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2009.

19. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2013, სტატ. პუბლიკაცია, საქ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2014;
www.geostat.ge/cms/site_images/-files/

20. მეწარმეობა საქართველოში 2012, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2013.

21. საქართველოს დასახლებული პუნქტები და მოსახლეობა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, თბ., 1991.
22. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ტ. II, თბ., 2003.
23. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსხურის მონაცემები.

Zurab Revishvili

POST-SOVIET RURAL TRANSFORMATION IN GOERGIA

Annotation

The article has shown the essence and reasons of problem of rural lagging from city in the Post-Soviet period and ways how to overcome them.

Has shown important stages of transformation of rural and agriculture and their results.

Has analized regularities and tendencies of changes of different types of villages and rural population.

Has developed ideas, the consideration of which will promote to cerrect the errors of reformation, sustainable drows of small and medium rural settlements, overcoming of rural social-economic lagging, and formation of the single complex systems of city-village settlements.

როლანდ სარჩიმელია

ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომიკაში

სატრანსპორტო ამოცანა პირველად დაისვა მშენებლობაში ტვირთის გადატანაზე დანახარჯის მინიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტად, შემდგომ მისი გამოყენების მასშტაბები გაფართოვდა და იგი ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების კვლევის ელემენტი გახდა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ სატრანსპორტო ამოცანა, მისი მოდელები და ამოხსნის მეთოდები წრფივი დაპროგრამების ელემენტი გახდა, საიდანაც ის ჩაერთო ოპერაციათა გამოკვლევის მიმართულებაში.

ამჯერად განვიხილავთ სატრანსპორტო ამოცანის მოდელის გამოყენებას საგარეო ვაჭრობაში, სადაც ის დაისვა ერთგვაროვანი პროდუქციის მიმღები ქვეყნის ყველა მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის პროდუქციის მიწოდება-მოხმარებაზე დანახარჯების

მინიმიზაციის პირობით, როდესაც დაკმაყოფილდება შესაბამისი მოთხოვნები.

როგორც წრფივი დაპროგრამების სატრანსპორტო ამოცანას (იმავდროულად მოდელსაც), განზოგადებულ უტოლობათა სისტემების სახით წარმოვადგენთ.[9]

$$x_{ij} \geq 0, \quad i=\overline{1,m}; \quad j=\overline{1,n}, \tag{1}$$

$$\sum_{j=1}^{n} x_{ij} \leq b_i, \quad i=\overline{1,m}, \tag{2}$$

$$\sum_{i=1}^{m} x_{ij} \geq a_j, \quad j=\overline{1,n}, \tag{3}$$

$$c(x) \equiv \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n} c_{ij}x_{ij} \to \min, \tag{4}$$

სადაც x_{ij} -ით აღნიშნულია i -ური მიმწოდებლიდან j -ური მომხმარებელისათვის მიწოდებული პროდუქციის მოცულობა, c_{ij} შეესაბამება დანახარჯებს. ერთეულ პროდუქციაზე. b_i არის i -ურ მიმწოდებელში არსებული პროდუქციის მოცულობა, ხოლო a_j მოთხოვნაა იმავე პროდუქციაზე j -ურ მომხმარებელში.

m მიმწოდებელთა, ხოლო n მომხმარებელთა რიცხვია; (1), (2), (3) უტოლობათა სისტემაა, (4) მიზნის ფუნქციაა; $c(x)$ აღნიშნავს მთლიან დანახარჯს.

(1)-(4)-ის ორადი ამოცანა შემდეგია:

$$u_i \geq 0; \; i=\overline{1,m}; \; v_i \geq 0; \; j=\overline{1,n}, \tag{5}$$

$$u_i - v_j \geq c_{ij}, \; i=\overline{1,m}; \; j=\overline{1,n}, \tag{6}$$

$$f(u,v) \equiv \sum_{i=1}^{m} b_i u_i - \sum_{j=1}^{m} a_j v_j \to \max, \tag{7}$$

სადაც უცნობებია $u=(u_1,u_2...,u_m)$, $v=(v_1,v_2...,v_n)$. u_i არის i -ურ მიმწოდებელში პროდუქციის ერთეულის ფასი, ხოლო v_j კი j -ურ

[9] რ. სარჩიმელია, მ. ქებურია. ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომეტრიკის ელემენტებით. გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2005, გვ. 39-48.

მომხმარებელში. მათი სხვაობა აფასებს i-ური მიმწოდებლისა და j-ური მომხმარებლის ურთიერთობას (6) უტოლობით. (1)-(4) და (5)-(7) ოპტიმიზაციის ამოცანები ერთმანეთთან დაკავშირებულია ორადობის თეორემების პირობებით[10].

ცნობისათვის, აღვნიშნავთ იმასაც, რომ სატრანსპორტო ამოცანა ჩართულია წრფივ დაპროგრამებაში, რომელიც ეკონომიკის მოთხოვნის შედეგად შეიქმნა, ხოლო შემდგომ გაერთიანდა ოპერაციათა გამოკვლევაში.[11]

1. დაბალანსება და წონასწორობის პირობები საგარეო ვაჭრობაში

ცნობილია, რომ ქვეყანაში დაბალანსებული ვაჭრობა პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ტოლობაა[12], რომლის მიხედვით, სავაჭრო დეფიციტი იმპორტის ექსპორტზე გადაჭარბებას ეწოდება, ხოლო სავაჭრო უპირატესობად ექსპორტის იმპორტზე გადაჭარბება ითვლება.

ზემოთ მოყვანილი განმარტებების საილუსტრაციოდ, რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით წარმოვადგენთ ექსპორტის იმპორტთან ურთიერთობის გამარტივებულ მოდელს (რომელსაც თვალსაჩინოებისათვის სქემითაც წარმოვადგენთ, სქემა 1).

პროდუქცია	**1**	**2**	**3**	**4**	**იმპორტი**
1	x_{11}	x_{12}	x_{13}	x_{14}	b_1
2	x_{21}	x_{22}	x_{23}	x_{24}	b_2
3	x_{31}	x_{32}	x_{33}	x_{34}	b_3
4	x_{41}	x_{42}	x_{43}	x_{44}	b_4
ექსპორტი	a_1	a_2	a_3	a_4	a b

სქემა 1. საგარეო ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის ურთიერთობა

[10] დასახ. ნაშრომი, გვ. 40-42.

[11] იქვე, გვ. 12-14.

[12] გ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი „დიოგენე", 2000 (თარგმანი ინგლისურიდან), გვ. 847.

სქემაში იგულისხმება, რომ პროდუქცია ერთგვაროვანია.

x_{ij} ნიშნავს i-ური პროდუქციის იმპორტს j-ურ პროდუქტთან მიმართებაში.

$$\sum_{j=1}^{4} x_{ij} = b_i\ ,\ \ i=\overline{1,4}\ ,\ \ x_{ij} \geq 0\ ,\ \ i=\overline{1,4}\ ;\ \ j=\overline{1,4}\ ,$$

$$\sum_{i=1}^{4} x_{ij} = a_j\ ,\ \ j=\overline{1,4}\ ,\ \ b=\sum_{i=1}^{4} b_i\ ,\ \ \ a=\sum_{j=1}^{4} a_j\ .$$

$b=a$ იმპორტისა და ექსპორტის დაბალანსების პირობაა.

$b<a$, მაშინ იმპორტი ნაკლებია ექსპორტზე.

$b>a$, მაშინ იმპორტი აჭარბებს ექსპორტს.

2. ექსპორტის იმპორტთან ოპტიმიზაციის პრობლემა საგარეო ვაჭრობაში

პროდუქციის ექსპორტის იმპორტთან დამოკიდებულების გასარკვევად წარმოვადგენთ ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკურ ამოცანას (რომელიც იმავდროულად მოდელიცაა):

$$\bar{x}_k \geq 0 \ \text{ და } \ \bar{\bar{x}}_k \geq 0\ ,\ \ k=\overline{1,p}\ , \tag{1}$$

$$\bar{x} = \sum_{k=1}^{p} \bar{x}_k\ ,\qquad \bar{\bar{x}} = \sum_{k=1}^{p} \bar{\bar{x}}_k \tag{2}$$

$$c(\bar{x}) = \sum_{k=1}^{p} \bar{c}_k \bar{x}_k \to \max\ , \tag{3}$$

$$c(\bar{\bar{x}}) = \sum_{k=1}^{p} \bar{\bar{c}}_k \bar{\bar{k}}_k \to \min\ , \tag{4}$$

სადაც $\bar{x}_k$ არის k-ური სახეობის საექსპორტო პროდუქციის მოცულობა, ხოლო p პროდუქციის საერთო რიცხვია.

(1)-(4) მოდელი შედგენილია მოგების მაქსიმუმის პირობით საგარეო ვაჭრობაში. $\bar{c}_k$ და $\bar{\bar{c}}_k$ მოგებებია, რომლებიც k-ური პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს აფასებენ ლარებში და შეესაბამება k-ურ პროდუქციას.

(1)-(4) მოდელის მიხედვით, დაბალანსებული ვაჭრობა ნიშნავს $\bar{x} = \bar{\bar{x}}$, როცა $\bar{x} < \bar{\bar{x}}$, მაშინ ქვეყანაში სავაჭრო დეფიციტია, თუ $\bar{x} > \bar{\bar{x}}$, ეს ნიშნავს სავაჭრო უპირატესობას.

დაბალანსების ზოგად ამოცანაში (1)-(4) პირობების დაცვით საძიებელია $\bar{x}_k$ და $\bar{\bar{x}}_k$, $k = \overline{1, p}$, როდესაც $\bar{x} = \bar{\bar{x}}$ და $c(\bar{x}) = c(\bar{\bar{x}})$, რაც იდეალური შემთხვევაა, რომლის მიღწევის შესაძლებლობები საქართველოს ეკონომიკას დროის უახლოესი პერიოდისათვის არ გააჩნია.

ყოველი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის თავისებურებაა არა მარტო მოგების მაქსიმიზაციაზე ზრუნვა, ამასთან მნიშვნელობა ენიჭება ფულად ერთეულებში გამოსახული სავაჭრო პროდუქტების მიხედვით ექსპორტის იმპორტთან გადაჭარბებულ ზრდას.

თუკი ქვეყანაში ვაჭრობის გამაძლიერებელი რესურსები დეფიციტურია, მაშინ მოგებაზე ზრუნვა იზღუდება და აუცილებელი ხდება შედარებით მაღალი დონის ეკონომიკური ანალიზის ჩატარება. იგი ძირითადად ეყრდნობა მრავალ მიზნობრივ მოცანაში პარეტოს ოპტიმუმის გამოყენებას[13].

საქართველოს ეკონომიკისათვის პარეტოს ოპტიმუმი მოდიფიცირებული შინაარსით უნდა იქნეს წარმოდგენილი, სადაც მოსახლეობის დასაქმების მაქსიმიზაცია წინა პლანზეა წამოწეული და საგარეო ვაჭრობა მოგებაზე ზრუნვას ეყრდნობა.

ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის მომგებიანობის გასაძლიერებლად საიმედოა ქვეყნის რეგიონებში პერსპექტიული, ძლიერი ფირმების ამოქმედება; აქციების გამოყენებით ვაჭრობის პირობების შექმნა ისე, რომ გააქტიურდნენ საწარმოები, ხოლო პროდუქციის გამოშვებით მიღებული მოგება მიზანმიმართული იყოს მაქსიმიზაციისაკენ.

ამას სირთულეები ახლავს, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის რეგიონებში. მაგალითად, შეიძლება ასე ვიმსჯელოთ, რომ იშვიათია ისეთი აქციონერი, რომელსაც ფირმაში დასაბანდებლად საჭირო რაოდენობის აქციები გააჩნია, ამიტომ იგი მცირე შესაძლებლობით მხოლოდ რისკის იმედზე ვერ დარჩება, მით უფრო მაშინ, როცა ამ მხრივ მრავალმხრივი გაურკვევლობაა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ცალკეული სირთულისა, ყურადსაღებია შედარებით მარტივი შემთხვევა, როცა ადამიანთა

---

[13] რ. სარჩიმელია. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი და მოსახლეობის დასაქმების ზრდის ოპტიმიზაციის პრობლემა. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, VI, თბილისი, 2013, გვ. 202.

საზოგადოებისათვის დამახასიათებელია საყოველთაო კეთილდღეობისაკენ ლტოლვა, რაც საწყისებს იღებს ხელის შრომის ორგანიზების დახვეწასა და შრომის პროცესის რაციონალურ გამოყენებაში. მაშინაც მიზანმიმართული კაპიტალდაბანდებები ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობა შედარებით მცირე მასშტაბის ოპტიმიზაციით წარიმართება, რაც საქართველოს ვაჭრობისათვის დამახასიათებელი საქონლის მიმწოდებლისა და მომხმარებლის ურთიერთობების დაკონკრეტებულ პირობებს უნდა ახლდეს.

ექსპორტის იმპორტთან დაბალანსების პრობლემა დროის პროგრესული ცვლილებების შესაბამისად რთულდება, რაც უფრო მეტად დაუბალანსებელია ექსპორტი იმპორტთან, მით ძნელი ხდება ქვეყნის ეკონომიკის მართვა, განსაკუთრებით პროდუქციის ექსპორტის დეფიციტურობის პირობებში. ამ მხრივ საქართველოში მძიმე მდგომარეობაა.

21-ე საუკუნიდან საგარეო ვაჭრობა ქვეყანაში გლობალიზაციასთან შესაბამისობით მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იქმნება პირობები პროდუქციის მიმწოდებლისა და მომხმარებლის ერთდროული მოგების მისაღებად, რეალურად ვაჭრობა ასე უნდა წარიმართოს. მაგრამ მეოცე საუკუნის პოსტსაბჭოთა საქართველოში არ იქმნებოდა თავისუფალი კონკურენციის პირობები, ამასთან, მას არ ახლდა გლობალიზაცია, მაშინ ქვეყნის ეკონომიკის დაბალი დონე განაპირობებდა მომხმარებლის ხარჯზე მხოლოდ მეწარმის მოგების მიღებას.

3. წონასწორობის ფენომენი ეკონომიკაში

წონასწორობა სისტემის ისეთი მდგომარეობაა, რომელსაც იგი, თავის „მინიშნებულ კანონზომიერებას" ისეთი შესაძლებლობებით უბრუნდება, რომელსაც განაპირობებს ამ სისტემაზე (ეკონომიკური, ბიოლოგიური და ა.შ.) ურთიერთწინააღმდეგობით მოქმედი ძალები. წონასწორობა ერთჯერადი პროცესით არ არის განპირობებული, მას წარსული, აწმყო და თავისი გენეტიკით განპირობებული მომავალი გააჩნია.

წონასწორობა ზოგადია, იგი, უნივერსალურობასთან ერთად, იმავდროულად კონკრეტულსაც ასახავს – ადამიანის აზროვნებით განპირობებულ მომწესრიგებელ სისტემას, რომლის საფუძველია თვითორგანიზება.

დიდია სხვადასხვა მდგომარეობებს შორის წონასწორობის დასამყარებლად მიმართული ნიშნების მნიშვნელობა, რადგან მას გააჩნია როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი მდგომარეობა,

რომელიც „დამუხტულია” მუდმივი მოძრაობის უნარით, თუმცა ამას ყოველთვის ვერ ამჟღავნებს.

წონასწორობის დამყარების აბსტრაქტული, ამასთან, კვლევისათვის როგორც ანალოგის მაგალითია ქანქარის რხევა უძრავად დამაგრებული წერტილის მიმართ. მასთან მიმართებაში გამოიყოფა ორი უკიდურესი მუდმივი რხევა და მუდმივი „უმოძრაობა”, რომელშიც მოსალოდნელია გენეტიკური თვისების და აღმოცენების ბუნების მქონე წონასწორობის სიცოცხლისუნარიანი კოდი იყოს ჩასახული. მისგან განსხვავებით და კინეტიკური თვალსაზრისით აღმოცენდება სისტემაში დამკვიდრებული მილევადი რხევა, მიმართული უძრაობისაკენ, რომელიც ზოგჯერ წონასწორობისაკენ მისწრაფებით აგრძელებს მოქმედებას. შესაძლებელია შემთხვევითი ფაქტორების გავლენით ამოქმედებული შეშფოთებები, რომელიც, თუ დამაკავებელ საზღვრებს გასცდა, კატასტროფის შედეგად შეწყვეტს არსებობას.

მიაჩნიათ, რომ წონასწორობა ეკონომიკაში იშვიათია, თუმცა, ზოგადი თვალსაზრისით, სახელმწიფო პოლიტიკურ და ეკონომიკურ წონასწორობაში იმყოფება, განსაკუთრებით მისი მაკროეკონომიკა.

რეალურ სიტუაციებში, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკას, საბაზრო ფასებს გააჩნია არა უშუალოდ წონასწორობის დამყარების თვისება, არამედ მათთვის დამახასიათებელია მიდრეკილება რხევების წარმოშობისაკენ.

ეკონომიკა მუდმივ მოძრაობაშია, მის წონასწორობას, როგორც კანონს, ძალა აქვს.

საზოგადოებრივი სისტემა წონასწორობაში იმყოფება იმ შემთხვევაშიც, როცა მისი მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა, მაგრამ, განსხვავებული მიზეზებით, მათი მოქმედებები წინააღმდეგობრივია.

საქმე ისაა, რომ წინააღმდეგობრიობის სხვადასხვა მიმართულებით ერთ გარემოში მოქმედება ზოგჯერ წონასწორობის საფუძველს ქმნის, წინააღმდეგ შემთხვევაში წონასწორობას არ ექნება ადგილი და შეიძლება მდგომარეობა კატასტროფაში [14] გადაიზარდოს.

წინააღმდეგობრივია, მაგრამ ჯუნგლის კანონით მკაცრად რეგულირდება წონასწორობა ბიოლოგიაში. ეკონომიკაში წონასწორობა ადამიანის შემეცნებით წარიმართება ხილული და უხილავი ხელის ფენომენით. საბაზრო ეკონომიკაში საქონელსა და მომსახურებას შორის წონასწორობის დამყარება საქონლის ფასის

[14] კატასტროფა – მდგრადი მდგომარეობიდან სხვა ახალ მდგომარეობაზე უსწრაფესი გადასვლა.

რეგულირებით წარიმართება, რასაც მუდმივი ხასიათი აქვს და ეკონომიკა დინამიკური სისტემაა.

იქმნება სიტუაცია, როცა აღქმა და რეალობა ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან და არსებობენ ძალები, რომლებიც უწყვეტი აზროვნებით უკეთესი მიახლოების ჩატარებას გვაიძულებენ. ამით ისინი დინამიკური წონასწორობისაკენ გვიბიძგებენ.

ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანების შედგენისა და აზროვნების ჯაჭვურად გადაბმული გონივრული სისტემა არის იმის შესანიშნავი ინტერპრეტაცია, რომელიც დიდ ძალას იძენს, თუკი იგი მათემატიკური ამოცანებისა და მაგალითების მხოლოდ სავარჯიშო სისტემას არ წარმოადგენს. თუ მისი შინაარსი ეკონომიკური და ბიოლოგიური პროცესებია, მაშინ განსაკუთრებული სახის მოდელირების წინაშე ვდგებით, რადგან მიღებული შედეგი – მოდელი ცოცხალ ბუნებას გენეტიკურ ჯაჭვად წარმოგვიდგენს და ამით აღმოჩენების მიღების გზაზე გვაყენებს.

აზროვნების ასეთი წარმართვა „გონიერი საზოგადოების გარემოში" კიდევ უფრო პერსპექტიულია და მოსალოდნელია, მიღებული შედეგები სათანადო აღქმის გარეშე არ დარჩეს, შედეგები საზოგადოებისათვის არ დაიკარგოს, თუკი პრობლემა ამისათვის მომწიფებულია, იგი განხორციელებულია მეცნიერთა კოლექტივის მოღვაწეობით და გონივრული დაფასებით მიმართულია ამ საქმის სასიკეთოდ.

საინტერესოა ერთმანეთთან შეჯერებულად წარმართული ცხოველთა სამყაროსა და ადამიანთა გონიერებით შევსებული ცხოვრების რეგულირების პროცესები გამრავლება-დაღუპვის სქემის მიხედვით, რომლებიც განვითარებაში ზოგჯერ ერთმანეთს ხელ უწყობენ და ამასთანავე ხელსაც უშლიან, საიდანაც გამოიყოფა ბუნებრივი რეგულირებისა და კატასტროფის შემთხვევები. გონივრულ ჩარევას იწყებს ადამიანის ტვინის შემოქმედება და აზროვნების პროცესები. იმდენად, რომ ადამიანთა საზოგადოებაში გლობალიზაციის მოთხოვნების შესაბამისად და მის „ქცევებში" წამოიჭრება მდგრადი კომპრომისების გათვითცნობიერების აუცილებლობა, თუმცა შინაგანად დაძაბულობა ყოველთვის იქნება მოქმედებაში, რაც ისევ დინამიზმისაკენ წარიმართება და წონასწორობას ახალი ძალებით გააძლიერებს[15].

[15] რ. სარჩიმელია, მ. ქებურია. ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომეტრიკის ელემენტებით. გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2005, გვ. 147-149.

4. პროგნოზი და პროგნოზირება ეკონომიკაში

პროგნოზი ინფორმაციაა მომავლის შესახებ და მას ალბათური ბუნება (შინაარსი) აქვს. იგი მომავლის მეცნიერული განჭვრეტის შედეგია. პროგნოზირებას პროგნოზის შედგენას და მის გამოყენებას უწოდებენ.

წინამდებარე ნაშრომის მიხედვით, დროის პროგრესული ცვლილებების გათვალისწინებით პროგნოზირების გააქტიურება აუცილებელია, განსაკუთრებით გლობალიზაციის პირობებში, მაშინ შესაბამისი პროგნოზი ამ პროგრესით „დამუხტული იქნება“, რაც ნიშნავს მისი თავისებურებების გათვალისწინებასაც.

დავუბრუნდეთ ამ პარაგრაფის თემის მიხედვით მსჯელობას, სადაც ეკონომიკური პროგნოზირება წარმოების მიზანდასახული სამეურნეო სტრატეგიის შესაძლო განვითარების, მისი ეკონომიკაზე აქტიური ზემოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული მოქმედებებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების შესაძლო ვარიანტების შერჩევაა, ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებების გამოვლენაა.[16]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ იმ აზრზე ვრჩებით, რომ აწმყოს მონაცემების მეშვეობით შესაძლებელი უნდა გახდეს უახლოესი წლების პროგნოზების მიღება, რაც, ძირითადად, მოკლევადიანი ადაპტაციის უნარის მქონე ექსტრაპოლაციით იხვეწება. გარდა ამისა, გრძელვადიან პროგნოზირებაში მოდელირების მეთოდები გამოიყენება მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგნოზირების დროის პერიოდებისათვის. მათ წარსულში მბრძანებლური დაგეგმვის ეკონომიკის თავისებურებები ხელოვნურად უკავშირდებოდა. მაშინ დამახასიათებელი იყო გრძელვადიანი პროგნოზირებით „გატაცება“, რასაც თავისივე მიზეზები განაპირობებდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მბრძანებლურ ეკონომიკაში ყოველგვარი გაურკვევლობა შორეულ მომავალზე გადაჰქონდათ. ასეთი წარსულიდან გამომდინარე, მნიშვნელობა შემდგომში მიენიჭა საშუალოვადიან პროგნოზირებას, რომელშიც წარსულის გამოცდილების გათვალისწინება, აწმყოსა და მომავალში მნიშვნელოვანი სიახლეების მიღება, ძველის განახლების შესაძლებლობას იძლევა.

ყურადსაღებია ექსტრაპოლაციის მეთოდთან დაკავშირებული იაკობ მესხიას[17] ნაშრომში მოცემული დასკვნა, რომელიც ეხება საკვლევ ეკონომიკურ მოვლენას და მასზე მოქმედ ფაქტორებს.

---

[16] პ. გუგუშვილი. დაგეგმვისა და პროგნოზირების თეორიული ასპექტები. თბილისი, 1972 (რუსულ ენაზე).

[17] ი. მესხია. ეკონომიკური ზრდის პროგნოზირების საკითხები. თბილისი „საბჭოთა საქართველო“, 1978.

ისინი, რაც უფრო მოკლევადიანია, არიან, მით უფრო საიმედოა რისკის შემცველი ცალკეული მაჩვენებლების პროგნოზები.

ასეთი და მსგავსი იდეების საქართველოს საბაზრო ეკონომიკაში გამოყენებაზე ზრუნვა დღესაც აუცილებელია, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საშუალოვადიან პროგნოზებს.

მოკლევადიანი პროგნოზებისათვის გამოიყენება ექსტრაპოლაციის პრინციპი. შემთხვევითი ფაქტორების გავლენის გათვალისწინების აუცილებლობისას გამოკვლეული უნდა იქნეს ამ ფაქტორების გავლენის თავისებურება.

სრიალა საშუალოთი რიცხვითი მიმდევრობის მექანიკური მოსწორების შემთხვევაში აუცილებელია შესაძლებლობის შესაბამისად დაზუსტდეს მოსალოდნელი განსხვავება საშუალო არითმეტიკულისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება „დაიკარგოს საჭირო ინფორმაცია". მიზანშეწონილია ისიც, რომ ერთი და იმავე მაჩვენებლის მიხედვით გამოთვლები სხვადასხვა, მაგალითად, ორი მეთოდით თუ ჩატარდება, მაშინ ერთი და იმავე მაჩვენებლის მონაცემების დამთხვევის ხარისხით მსჯელობა საიმედოა, მაღალი დონისაა. ამასთან, პოპულარულია ავტორეგრესიის მოდელების გამოყენება, რომლებიც დაყრდნობილი მონაცემთა მიმდევრობის საშუალო მოსწორებაზე და სხვა განზოგადებაზეც, როგორიცაა მაგალითად, „არისისა" და „არიმას" მოდელები.

ყურადსაღებია ისიც, რომ როდესაც ცალკეულ ეკონომიკურ მაჩვენებელზე ვმსჯელობთ, მაშინ გვთავაზობენ საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიულის „კომბინირებული გამოყენების სქემას".[18]

ეკონომიკა ძალიან რთული დინამიკური სისტემაა, ხოლო მისი წონასწორობა მუდივად ცვალებადია, რაც საიმედო პროგნოზის მიღებას ხელს უშლის, ამიტომ კარგად გააზრებულ ეკონომიკურ პროგნოზში იძულებული ხდებიან, ისარგებლონ ცალკეული დაშვებებით ისე, რომ წონასწორობის ცვლილებებით განპირობებული დინამიკურობის აუცილებლობის პირობა არ დაირღვეს (სხვა შემთხვევებში წონასწორობის მუდმივობის დაცვა საჭიროა მაგალითად, ტექნიკურ დარგებსა და მშენებლობაში).

ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგიის გარეშე პროგნოზირება დაბალ დონეზე რჩება. ამის გამოსწორებისათვის შესაბამისი ეფექტიანი ნაშრომები იშვიათობას წარმოადგენს.

---

[18] რ. სარჩიმელია. ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელები შეზღუდვების ცვლილებების პირობებში. თბილისი „მეცნიერება", 1989, გვ. 81-84.

ყურადღებას იპყრობს ნაშრომი[19], რომელშიც ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდების ძირითადი ნაწილის დახასიათებასთან ერთად, გამოვყოფთ მიზნობრივი დანიშნულებისაკენ მსჯელობას, რომელშიც ორიენტაცია მოთხოვნის მოდელის ფორმირებისაკენ არის მიმართული.[20]

ნაშრომი მნიშვნელოვანია ამ მხრივაც, რადგან იგი მკითხველს საშუალებას აძლევს, გააფართოვოს წარმოდგენა პროგნოზირების ეფექტიანობაზე.

ეკონომიკური პროცესების დინამიკური მოდელები საიმედოა და ფართოდაა გავრცელებული ეკონომიკაში, განსაკუთრებით მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირებისათვის. ისინი, წარმოადგენენ რა ეკონომიკური პროცესის ფორმალიზებულად აღწერის საშუალებას, შესაძლებლობას იძლევიან, ეკონომიკური მაჩვენებლები დახასიათდეს დროზე დამოკიდებული ფუნქციებით, განტოლებათა, უტოლობათა და ა.შ. სისტემების სახით. მაგალითისათვის განვიხილოთ დროითი ლაგით წარმოდგენილი მაკროეკონომიკური მოდელი:

$$y_{t+1} = \lambda y_t + \varepsilon y_{t+1} y_t, \quad t = 0,1,\ldots,s, \qquad (1)$$

სადაც y_t მაკროეკონომიკურ მაჩვენებელია t-ურ დროის პერიოდში (წელიწადი) λ და ε დროისაგან დამოუკიდებელი (მუდმივი დროის მიმართ) პარამეტრებია, s მწკრივის იმ ნაწილის სიგრძეა, სადაც მაჩვენებლის მნიშვნელობა მოცემულია.

(1) დროითი ლაგით წარმოდგენილი განტოლების ამონახსნი, (ლოგისტიკური წირი), გამოიყენება ზრდის მოდელებში. (1)-ის ზოგადი ამონახსნიდან, როდესაც $\varepsilon = 0$, მიიღება ზრდის ტემპის გამოყენებით შემდეგი სახის საპროგნოზო ფუნქცია $y_t = c\lambda^t$, როცა $t = 0$, მაშინ $y_0 = c$.

უფრო რთული შემთხვევისათვის მოდელირების მეთოდით შესაძლებელი ხდება რეალური სამეურნეო პროცესების იმიტირება და რამდენიმე ფაქტორის ცვლილებების ანალიზის საფუძველზე პროგნოზირება. ასეთია, მაგალითად, დარგთაშორისი ბალანსის დინამიკური მოდელები.

---

[19] პ. გუგუშვილი. დაგეგმვისა და პროგნოზირების თეორიული ასპექტები. თბილისი, 1972 (რუსულ ენაზე).

[20] გ. ადეიშვილი. ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდები (მოკლე თეორიული მიმოხილვა), თბილისი, 2004, გვ. 20-26.

ოპტიმისტურ პროგნოზს, პესიმისტურთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღებისას განუსაზღვრელობის პირობებში. შესაბამისი მეთოდები რთულია, თუმცა ზოგჯერ გამარტივებას კარგი შედეგი ახლავს. ამასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ ექსტრაპოლაციის პრინციპით პროგნოზირებაზე მსჯელობას[21], რომ ექსტრაპოლაციის პრინციპით „ბრმა სარგებლობა" და მასზე დამყარებული პედანტური სიზუსტით და კომპიუტერის გამოყენებით გათვლების წარმოება პროგნოზირების პროცესის შემოქმედებითობას თითქოს ბუნდოვანს ხდის, მიუხედავად ამისა, მას მაინც აქვს ეფექტი.

მომავლის განვითარებაში სუბიექტი გარკვეული არ არის, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის წინაშე მაინც დგება, მაშინ ექსტრაპოლაცია გარკვეული შედეგის წინაშე გვაყენებს, რომელიც საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიულის კომბინირებული გამოყენების სქემით მიიღწევა.[22]

მოსალოდნელია, ამ შემთხვევაშიც მკვლევარს გაუჩნდეს მირებული პროგნოზისადმი „უკმარისობის გრძნობა", რაც რისკით შეიძლება განეიტრალდეს.

ექსტრაპოლაციის, როგორც მეთოდის, შინაარსობრივი სიღრმის თავისებურებაა ის, რომ მას არ შეუძლია მხოლოდ წარსულის სტატისტიკით და მისი აწმყოთი დაკმაყოფილება. თანამედროვე ეკონომიკისათვის აუცილებელია, მოვლენა წარმოდგენილი იყოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობის დაკონკრეტებით.

თუკი წარსულზე ინფორმაცია არა არის საკმარისი მომავლის ექსტრაპოლაციის დამაჯერებლობისათვის, მაშინ აუცილებელია დაშვებები იმ დინამიკურობის ფორმირებისათვის, რომელიც მინიშნებულ წარსულს მომავალში დიდი ალბათობით რეალურს გახდის. ამით მოსალოდნელია მომავლის რისკის შედეგად გაამართლოს აპრიორმა და მომავლის განუსაზღვრელობის მიუხედავად, – დაშვება-შემოწმებამ.[23]

---

[21] ლ. ჩარექიშვილი, რ. სარჩიმელია. საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიულის კომბინირებული გამოყენების სქემა გრძელვადიან პროგნოზირებაში. ჟურნ. „ეკონომისტი", №1, 2014, გვ. 38.

[22] ლ. ჩარექიშვილი, რ. სარჩიმელია. საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიულის კომბინირებული გამოყენების სქემა გრძელვადიან პროგნოზირებაში. ჟურნ. „ეკონომისტი", №1, 2014, გვ. 40.

[23] რ. სარჩიმელია, ლ. ჩარექიშვილი. ტექნოლოგიური პროგნოზირებისა და ექსტრაპოლაციის პრინციპების ერთობლივი ანალიზისათვის ეკონომიკაში. ჟურნ. „მაცნე", ეკონომიკის სერია, №4, თბილისი „მეცნიერება", 2004, გვ. 400.

ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წარსულზე არასაკმარისი მონაცემების რაოდენობა და დაბალი ხარისხი, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიღებული პროგნოზების დამაჯერებლობა პრაქ-ტიკულად მისაღები გახდეს, თუმცა პასიური გეგმიდან აქტიურ პროგნოზებზე გადასვლა მაინც შესაძლებელი ხდება.

Roland Sarchimelia

OPERATION RESEARCHES IN ECONOMY

Annotation

Are discussed transport economic-mathematical problem connected with foreign trade and export-import relations.

Is characterized the efficiency of long-term prognostication in foreign trade economy of Georgia (representing a new use of operation researches in foreign trade).

Ната Давлашеридзе

ЗНАЧЕНИЕ МЕЖРЕГИОНАЛЬНОЙ КОНКУРЕНЦИИ В РАЗВИТИИ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ

Со второй половины XX века на фоне процессов глобализации и либерализации рынков наблюдается обострение пространственной конку-ренции как на межгосударственном, так и межрегиональном уровнях, мировая экономика все активнее превращается в единое поле конкурентного взаимодействия, на котором в качестве субъектов конкуренции выступают не только транснациональные компании, но и страны, их объединения и отдельные регионы, которые становятся все более активными и самостоятельными участниками экономических отношений. Новая роль регионов в масштабе мировой экономики воздействует на преобразование форм и инструментов конкуренции, приводя, по сути, к формированию особой ее формы – межрегиональной конкуренции, которая, в свою очередь, предъявляет новые требования к конкурентоспособности региона, как полноправного субъекта глобального рынка.

Именно регионы сегодня играют решающую роль в привлечении инвестиций, трудовых мигрантов, туристов, приобретая свойства (в соответствии с терминологией Ф. Перру) «полюсов» (фр. *pôle de croissance*) роста национальной экономики.

Межрегиональная конкуренция может быть рассмотрена на несколь-ких уровнях: как конкуренция между регионами одной страны, как конкуренция регионов одной страны с регионами другой, как конкуренция

макрорегионов, то есть объединений ряда стран.

Можно выделить следующие основные аспекты региональной конкуренции:

- формирования конкурентной среды для привлечения (удержания) бизнеса;
- повышение конкуренции регионов за человеческие и инвестиционные ресурсы;
- необходимость мер государственного регулирования процессов межрегиональной конкуренции. Следует отметить, что в таком подходе регион может иметь экономические интересы, но они не должны противоречить общегосударственным интересам.

Регионы выступают самостоятельными субъектами экономических отношений, в большинстве случаев являясь не партнерами друг другу, а конкурентами. Конкуренция регионов имеет место за ограниченные ресурсы, такие, как рабочая сила, инвестиции, бюджетное финансирование, получение государственных заказов и привлечение технологий. В более успешных регионах наблюдаются процессы концентрации экономической активности. Одни регионы в конкурентной борьбе занимают лидирующие позиции, другие становятся аутсайдерами; таким образом, в основе экономических отношений между странами и регионами лежит, с одной стороны, соперничество за перспективные рынки и привлечение факторов производства, с другой стороны, взаимовыгодное сотрудничество и партнерство в целях обеспечения конкурентоспособности в глобальном масштабе.

Можно выделить такие группы факторов, определяющих конкурентные преимущества региона, как: конкурентоспособность страны, в которую входит регион; природно-климатические, географические, экологические и социально-экономические параметры региона; предпринимательская и инновационная активность в регионе; уровень соответствия (отставания или опережения) параметров инфраструктуры региона международным и федеральным нормативам; уровень международной интеграции и кооперирования региона.

Межрегиональная конкуренция как одна из сторон глобальной (геоэкономической) конкуренции, играет важную роль для государства в целом. За счет переноса сотрудничества и ресурсов на **субнациональный** уровень, у страны появляется возможность для развития своей экономики и повышения национальной конкурентоспособности.

Управление конкурентоспособностью региона должно осуществляться через разработку и реализацию региональной экономической политики, направленной на повышение конкурентоспособности региона, поддержку и усиление имеющихся конкурентных преимуществ.

В свою очередь, эффективность региональной экономической поли-

тики, ориентированной на повышение конкурентоспособности региона, должна носить структурный характер. Например, в кризисных условиях региональная экономическая политика должна быть ориентирован не на стабилизацию ситуации в социально-экономической сфере, а на осуществление таких структурных изменений, которые позволили бы региону перейти на качественно новый этап развития, на внедрение модели управления, ориентированной на лидерство, а это, в свою очередь, возможно лишь через достижение сочетания факторов производства, обеспечивающих устойчивые конкурентные преимущества региона перед другими регионами.

Следует отметить, что конкурентные отношения между территориями или регионами строятся, в большей степени, на основе модели монополистической конкуренции. В частности, аналогично микроэкономической модели рынка монополистической конкуренции, здесь на рынке также будет действовать множество продавцов (регионы) и покупателей (индивидуумы, компании, инвесторы и др.). Для региона «вход» на рынки и «выход» с них, как правило, не связан с какими-либо существенными барьерами и техническими регламентами, а напрямую зависит от того, удастся ли региону, входящему на данный отраслевой рынок, создать привлекательные условия и факторы, для того, чтобы наравне конкурировать с теми регионами, которые работают на этом рынке уже давно, известны и имеют хорошую репутацию. На тех отраслевых рынках, где интенсивно развивается межрегиональная конкуренция, фактически отсутствует информационная асимметрия *(information asymmetry)*, характерная для монополистического рынка. Информация обо всех участниках, предлагаемых ими продуктах, услугах, ценах и возможностях открыта, общедоступна и достоверна (т.е. наблюдается совершенная информированность продавцов и покупателей об условиях рынка). Она вполне и без дополнительных усилий может быть использована потенциальными клиентами для принятия соответствующего решения (решения о покупке продукта, о совершении туристской поездки, об инвестировании и т.д.). Для территорий существуют различия в характеристиках, свойствах, качестве, внешнем виде предлагаемой продукции (услуг). Каждый регион предлагает продукцию, по ряду признаков и характеристик дифференцированную от той, которую предлагают конкуренты. Это делает предложение в каждом конкретном случае уникальным, но все же и взаимозаменяемым. Примером этому является конкуренция территорий за привлечение туристов – в каждом случае предложение будет содержать в себе уникальные особенности, но все же будет, в конечном итоге, ориентировано на удовлетворение одной и той же потребности клиентов. В большинстве случаев производство и продвижение на рынок региональных продуктов предполагает, в основном, использование факторов и инструментов неценовой конкуренции (хотя в ряде случаев и она имеет место), а также активное использование инструментов терри-

ториального маркетинга. В долгосрочной перспективе регионы, чтобы сохранить свою конкурентоспособность и привлекательность, должны совершенствовать и дифференцировать предлагаемые продукцию и услуги (в отличие от краткосрочной, где они стремятся максимизировать прибыль и минимизировать убытки за счет активного продвижения на рынок своей продукции). Это выводит на первый план необходимость постоянного стратегического планирования регионального развития, анализа изменений факторов внутренней и внешней среды и использования инструментов адаптивного управления.

В качестве требований к конкурентоспособности региона можно назвать следующие:

- способность производить отечественные товары, предназначенные для внутреннего рынка, не уступающие по качеству лучшим импортным образцам (способность к эффективному импортозамещению);
- внедрение в производство и сферу услуг, ориентированных на внутренний рынок, норм соответствующих аналогичным международным нормам и стандартам или превосходящих их;
- способность эффективно использовать и сочетать факторы производства таким образом, чтобы снизить производственные издержки и увеличить объемы выпуска продукции при неизменном качестве (достижение эффекта от масштабов производства);
- формирование такой системы управления, которая позволяла бы быстро адаптироваться к изменяющимся условиям внешней среды;
- способность эффективно сочетать восприимчивость к полезным нововведениям (прежде всего, в управленческой и экономической сферах) со способностью в этих условиях сохранять и удерживать собственную уникальность и др.

На сегодняшний день сложилось две научные школы межрегиональной конкуренции: **американская школа**, акцентирующая внимание на пространственном и воспроизводственном аспектах конкуренции территорий (в частности, на формирование и развитие региональных кластеров и цепочек добавления стоимости) и **европейская школа**, в рамках которой принято выделять британскую школу (уделяющую большое внимание пространственно-функциональным аспектам конкуренции) и скандинавскую школу (акцентирующую внимание на институциональных и инновационных механизмах повышения конкурентоспособности территории).

Наиболее значительное влияние на развитие теории межрегиональной конкуренции на современном этапе оказали такие теории регионального развития, как «концепция регионального автоматического баланса и дисбаланса» Л. Вальраса, Г. Мюрдаля; теория «полюсов роста» Ф. Перру, Ж. Будвиля, Х.Р. Ласуена, Я. Тинбергена, Х. Босса; модель «центр – периферия» Дж. Фридмана; концепция «регионалистики» В. Айзарда;

концепция специальных (свободных) экономических зон (СЭЗ); теория экономических кластеров М. Портера, А. Скотта, Л. Харрисона, Э. Маркусена, Б. Асхайма, М. Энрайта и др.

В контексте с теориями межрегионального развития необходимо рассматривать теориии международной торговли и новой экономической географии лауреата Нобелевской премии по экономике за 2008 год, профессора Принстонского университета **Пола Кругмана**.

До Кругмана основной теорией международной торговли была теория Хекшера-Олина, предложенная в 1920-е годы, согласно которой в основе международной торговли лежат межстрановые различия в запасах факторов производства. Страна, где есть избыток рабочих рук и недостаток капитала, например, Таиланд, должна производить и экспортировать товар, который требует много ручного труда, скажем, рис. Страна, в которой, наоборот, относительно много капитала, к примеру, США, должна экспортировать капиталоемкие товары - такие, как автомобили. Одним из следствий теории Хекшера-Олина является то, что наибольшие товарные потоки должны наблюдаться между странами, наименее похожими друг на друга. Страны, производящие примерно одно и то же, торговать друг с другом не должны.

Однако в шестидесятые-семидесятые годы стало очевидно, что наибольшие товарные потоки приходятся именно на страны, очень похожие друг на друга (по сравнению с остальным миром) по структуре своего производства. Более того, зачастую одна и та же страна одновременно импортировала и экспортировала очень похожие товары. Например, Канада продает автомобили в США, а США – в Канаду. Немецкие машины одинакового класса продают во Франции, а французские – в Германии. Полом Кругманом была предложена теория, раскрывающая парадокс современной международной торговли между индустриально-развитыми странами, основанной на обмене схожими товарами, и при этом не приводящей к перераспределению доходов, исходящая из следующих предположениях:

- экономия на масштабе (более крупные фирмы производят товар дешевле);
- монополистическая конкуренция (каждая фирма производит товар, слегка отличный от товара конкурентов);
- желание потребителей иметь широкий ассортимент товаров на выбор.

Из этих предположений следует, что в каждой стране существует спрос на товары производителей всего мира (чтобы был шире ассортимент), каждая фирма стремится продавать свой товар по всему миру (чтобы обеспечить больший объем продаж), при этом каждая фирма производит свой товар только в одной стране в целях удешевления производства. Таким образом, в равновесии страны с идентичными характеристиками торгуют

друг с другом очень похожими товарами.

Модель, предложенная Кругманом, была простой, гибкой и удачно объясняющей факты.

Пол Кругман математически выявил экономический механизм, обеспечивающий концентрацию деловой активности в одних регионах страны и ее снижение – в других; смоделировал товарные потоки, размещение производства и потребителей в пространстве.

Он считал, что эффект агломерации промышленности неизбежно приведёт к миграции населения и производства: производство будет стремиться к размещению в регионах с большими рынками для того, чтобы экспортировать продукцию на малые рынки. При этом стоимость жизни будет ниже в районах концентрации промышленности (из-за снижения транспортных издержек). Эти взаимодействия определяют особенности регионального развития и неизбежность развития экономики по модели «центр-периферия». Суть его теории заключается в том, что в отличие от классических теорий международной торговли в условиях совершенной конкуренции, в качестве движущий силы торговли в условиях монополистической конкуренции является преимущество, получаемое странами в результате экономии от масштабов производства с одновременным усилением специализации. Этот вывод крайне важен с точки зрения выявления источников конкурентных преимуществ. Страны не обязательно должны обладать избыточными факторами производства в конкретной отрасли (при их наличии, как правило, развивается межотраслевая торговля). Конкурентоспособными могут быть и страны с недостаточными факторами производства, получая преимущества в результате использования таких форм организации, концентрации и специализации производства, которые позволяют получить эффект от масштаба. В этом случае будет развиваться, преимущественно, внутриотраслевая торговля. Этот вывод подтверждается эмпирическими данными, характеризующими не только торговлю между индустриально-развитыми странами, но и между отдельными регионами. Поэтому он имеет исключительно важное значение с точки зрения развития теории межрегиональной торговли. Ведь очень часто трансграничная торговля (торговля между приграничными регионами, мало отличающимися по обеспеченности факторами производства и, зачастую, не обладающими специфическими факторами) характеризуется именно как внутриотраслевая торговля.

Идеи, высказанные П. Кругманом в теории новой торговли, получили развитие применительно к региональному уровню в его теории новой экономической географии (или теории «географической» экономики). Гипотеза Кругмана включает в себя два предположения относительно развития межрегиональной торговли: 1) региональная специализация

зачастую складывается благодаря случаю; 2) развитие региональных агломераций поддерживается, главным образом, внешней экономией от масштабов производства за счет прилегающих к ним низкоразвитых («аграрных») территорий. При этом, используя методологию предельного анализа применительно к оценке агломерационного эффекта и анализу транспортных издержек, он формулирует условия возникновения региональных промышленных агломераций (дальнейшее развитие они получили уже в рамках теории агломерации П. Кругмана). Ставя появление агломерации в зависимость от размера транспортных издержек и экономии от масштабов производства, П. Кругман формулирует также условия, необходимые для возникновения региональных высокотехнологических производственных кластеров, объясняет характер экономических взаимоотношений в связке «промышленное ядро - периферия».

Структуру хозяйства, в которой хозяйственная деятельность предельно сосредоточена в одном регионе называют структурой центра и окраины. Пол Кругман утверждает, что вероятность образования такой структуры велика, если выполняется хотя бы одно из следующих условий:

- издержки на перевозку промышленной продукции достаточно малы;
- разновидности этой продукции достаточно дифференцированы;
- расходы на приобретение промышленных товаров достаточно велики.

Важно отметить то, что П. Кругман применительно к факторам развития межрегиональной торговли и размещению региональных агломераций большое значение придает роли государства. Этим его теория новой экономической географии схожа с теорией «полюсов роста» и концепцией государственного дирижизма и определенным образом объясняет движущие силы процессов микрорегионализации и механизмы включения стран в процесс глобализации.

Подытоживая вышеизложенное, можно сказать что достижение конкурентоспособности региона следует рассматривать в качестве одной из главнейших целевых установок реализации региональной экономической политики государства. Поскольку любой стране нужны конкурентоспособные регионы, развитие региональной конкурентоспособности в Грузии можно рассматривать как один из факторов ее экономического роста. Понимание сущности межрегиональной конкуренции становится все более актуальной задачей в корпоративном взаимодействии регионов страны.

Литература

1. Krugman P. R. Increasing Returns and Economic Geography // The Journal of Political Economy. — The University of Chicago Press, 1991. — Vol. 99. — № 3. — P. 483—499.

2. Krugman P. R. Center and Periphery // Geography and Trade. — The MIT Press, 1991, 142 p.
3. J. Bröcker , D. Dohse, R. Soltwedel .Innovation Clusters and Interregional Competition (Advances in Spatial Science). Hardcover – June 17, 2003.
4. http://www.bibliofond.ru/view.aspx?id=526568

Nata Davlasheridze

SIGNIFICANCE OF THE INTERREGIONAL COMPETITION IN THE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMY

Annotation

The work is dedicated to complex studying of questions of interregional competition and management of competitiveness of the region in modern conditions. Specific of interregional competition, as rather a new economic event which appeared as a result of the processes of globalization and regionalization (microregionalization) observed in the world economy is reveal and analyzed. Achievements of competitiveness of the region should be considered as one of the main purposes of realization of regional economic politicians.

ზურაბ ლიპარტია
რატი ბაკურაძე

ბუღალტრული აღრიცხვა-აუდიტის ინსტიტუციური რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები

ოცდამეერთე საუკუნის მენეჯმენტის ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების, ეროვნული ნორმატიული აქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, იკვეთება ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მეთოდოლოგიური სრულყოფისა და ბიზნესის ინფორმაციული უზრუნველყოფის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა.

ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემა მოწოდებულია, უზრუნველყოს საჭირო და აუცილებელი ინფორმაციით კომპანიის მმართველობითი პერსონალი, მესაკუთრეები და გარე მომხმარებლები. ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც გამოიყენება ფინანსური საქმიანობის განხორციელების მსვლელობაზე მიმდინარე კონტროლის პროცესში, ყალიბდება შემდეგი სახით: ა) შიდა ნორმატივების სისტემა, რაც არეგულირებს კორპორაციის ფინანსურ განვითარებას. მოცემულ სისტემაში ერთვება კორპორაციის აქტივების ცალკეულ

სახეობათა და კაპიტალის სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულების ნორმატივები; ბ) საწარმოს ფინანსური განვითარების საგეგმო მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც მოიცავს მიმდინარე და ოპერატიული ფინანსური გეგმების მაჩვენებლებს.

ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემის აგება უშუალოდ უკავშირდება ორგანიზაციაში ფინანსური საქმიანობის მართვის ავტომატიზებული ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის, ასევე გამოთვლითი ტექნიკისა და კავშირის თანამედროვე საშუალებების გამოყენებას, ინფორმაციის დაგროვების, შენახვისა და გადამუშავების ტერმინალური მოწყობილობების შექმნას. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფინანსური ინფორმაციული სისტემის ავტომატიზაცია აძლიერებს მის უსაფრთხოებას და ამცირებს კონკურენტების და სხვა დაინტერესებული პირების ზემოქმედების რისკს. კორპორაციაში ფინანსური საქმიანობის მართვის ავტომატიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისას, აუცილებლად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მათი დაცვის შესაბამისი სისტემები.

შესაბამისად, ინფორმაციული მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც ყალიბდება გარე და შიდა წყაროებიდან და თანამედროვე ავტომატიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა შესაძლებელს ხდის, კორპორაციაში შეიქმნას ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზანმიმართული სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე, ასევე ფინანსური საქმიანობის ეფექტიან მიმდინარე მართვაზე.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ერთიან ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანმაპირობებელ კომპონენტებს. ფინანსური აღრიცხვის წარმოება რეგლამენტირებულია ფასს-ით, დადგენილი ფორმატით და საქართველოს კანონმდებლობით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სეგმენტური აღრიცხვის ინფორმაციის ბაზაზეა აგებული მმართველობითი კონტროლის სისტემა. სეგმენტური აღრიცხვის მონაცემები პასუხობს შიდასაწარმოო მმართველობის ინფორმაციულ მოთხოვნებს, იძლევა დანახარჯების და შედეგების კონტროლისა და სეგმენტური ანგარიშგების შედგენის საშუალებას მმართველობის სხვადასხვა დონეზე. ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდებია: ფინანსური აღრიცხვის, ინდექსებისა და კოეფიციენტების, ეკონომიკური ანალიზის მათემატიკური მეთოდები, რომლებიც ინტეგრირდება ერთიან

სისტემაში და გამოიყენება კორპორაციულ მართვაში. ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მიდგომებად განიხილება:

1. აღრიცხვის წარმოების მიზნები. ფინანსური აღრიცხვის მიზანია ფინანსური ანგარიშგების შედგენა გარე მომხმარებლისათვის, ხოლო მმართველობითი აღრიცხვის მიზანს შეადგენს შიდასაწარმოო დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის უზრუნველყოფა. მმართველობითი აღრიცხვის მიზანი დროში უწყვეტია, პერმანენტულია და მიიდწევა მყისიერად;

2. ინფორმაციის მომხმარებლები. ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია განკუთვნილია გარე მომხმარებლისთვის, მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია კი პირიქით, მზადდება შიდა მომხმარებლისთვის;

3. აღრიცხვის წარმოების მეთოდები. ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშები და სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების ორადი ჩაწერა, დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია. მმართველობითი აღრიცხვა ამ მეთოდებს საჭიროების შემთხვევაში იყენებს;

4. არჩევანის თავისუფლება. ფინანსური აღრიცხვა დაფუძნებულია საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე, რომლებიც არეგულირებს აღრიცხვას, შეფასებას და ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნებას. **საჯარო ფინანსური ანგარიშგება ექვემდებარება აუდიტორულ შემოწმებას.** მმართველობითი აღრიცხვა იწარმოება მენეჯმენტის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე და არ არის რეგალმენტირებული სახელმწიფოს მიერ. მმართველობითი აღრიცხვა მეტწილად დაფუძნებულია ლოგიკაზე, გამოცდილებაზე;

5. გამოყენებული საზომები.

6. დანახარჯების დაჯგუფება. ფინანსურ აღრიცხვაში დანახარჯები ჯგუფდება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით, ხოლო მმართველობით აღრიცხვაში დანახარჯები საკალკულაციო ობიექტების მიხედვით საკალკულაციო მუხლების ჭრილში.

7. აღრიცხვის ობიექტი. ფინანსურ აღრიცხვაში კომპანიის სამეურნეო საქმიანობა განიხილება მთლიანობაში, მმართველობით აღრიცხვაში ძირითადი ყურადღება ეთმობა პასუხისმგებლობის ცენტრებს, როგორიცაა დანახარჯთა, შემოსავლის, მოგებისა და საინვესტიციო ცენტრები;

8. ანგარიშგების შედგენის პერიოდულობა. ფინანსურ აღრიცხვაში ანგარიშგების შედგენის პერიოდულობა დადგენილია **ფასს-ით.** მმართველობით აღრიცხვაში კი საჭიროების მიხედვით;

9. ინფორმაციის საიმედოობის ხარისხი. ფინანსური ინფორმაცია დასაბუთებულია დოკუმენტურად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი შეფასებები შეიძლება არ იყოს აბსოლუტურად ზუსტი. მმართ-

ველობითი აღრიცხვის ინფორმაცია მეტწილად ატარებს გაანგარიშების ხასიათს და ნაწილობრივ არაა დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე მომხდარ ოპერაციებთან.

10. ინფორმაციის გახსნილობის ხარისხი. ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და ხშირ შემთხვევაში დადასტურებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია გვევლინება კომპანიის კომერციულ საიდუმლოებად და არ ექვემდებარება გამოქვეყნებას;

11. კავშირი დროში. ფინანსური აღრიცხვა ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ ისტორიას, ხოლო მმართველობითი აღრიცხვა შეიცავს როგორც ისტორიულ ინფორმაციას, ისე სამომავლო შეფასებებსა და გეგმებს;

12. საბაზრო სტრუქტურა. ფინანსური აღრიცხვა ეფუძნება საბალანსო ტოლობას:

აქტივი = საკუთარ კაპიტალს + ვალდებულებები.

მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციის სტრუქტურა დამოკიდებულია ამ ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნებზე;

13. ფინანსური შედეგების გაანგარიშების მეთოდიკა. ფინანსურ აღრიცხვაში შესაძლებელია ორი კონცეფციის გამოყენება: 1) მოგების გაანგარიშება, როგორც სხვაობა რეალიზებული პროდუქციის ამონაგებსა და მის სრულ თვითღირებულებას შორის; 2) მოგების გაანგარიშება, როგორც სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, მის საწარმოო თვითღირებულებასა და პერიოდის ხარჯებს შორის. მმართველობით აღრიცხვაში შესაძლებელია ფინანსური შედეგების განსაზღვრისადმი განსხვავებული მიდგომა;

14. კავშირი სხვა დისციპლინებთან. ფინანსური აღრიცხვა მეტწილად დაფუძნებულია საკუთარ მეთოდზე. მმართველობითი აღრიცხვა მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა დისციპლინებთან – მიკროეკონომიკასთან, ფინანსებთან, ეკონომიკურ ანალიზთან, მათემატიკურ სტატისტიკასთან და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პარალელურად **აქტუალურია** ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის უცხოური გამოცდილების პრაქტიკული **ანალიზი** და მასზე დაყრდნობით ერთგვარი **ეროვნული სტანდარტების** შემუშავება-დანერგვა, რაც, თავის მხრივ, ბიძგს მისცემს ფინანსური აღრიცხვის გამჭვირვალობას და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამრიგად, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა უდიდეს როლს თამაშობს კომპანიის განვითარებაში. კორპორაციული **ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები** ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს–ის) მიხედვით საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრების ერთ-

ერთი ძირითადი გზა, იმ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლაა, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საქმეში. **ფინანსური ანგარიშგების აუდიტის** განხორციელებით კი განისაზღვრება პირველად ბუღალტრულ დოკუმენტებსა და სხვა ეკონომიკურ-ფინანსურ სტანდარტებზე დაყრდნობით ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების: ფინანსური მდგომარეობის, ეკონომიკური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობის უტყუარობის, რეალობის, სამართლიანობის პრინციპების დაცვა.

ბიზნესის ადმინისტრირების თეორიის თანამედროვე მიდგამებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები უნდა ემყარებოდეს საერთო **წესებსა და ჰარმონიზაციას**, რომლის მიზანია, ნებისმიერი ქვეყნის ინვესტორმა შეძლოს სხვა ქვეყნებში მოქმედი კომპანიების მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ინფორმაციის აღქმა, ინტერპრეტაცია, შედარება და გამოყენება. სწორედ ამიტომ ფასს-ზე გადასვლის პროცესი შეუქცევადია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მჭიდრო კავშირშია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომლის ძირითად ამოცანა, უზრუნველყოს აუდიტორის კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ამასთანავე, აუდიტორმა კეთილსინდისიერად უნდა შეძლოს ფინანსურ ანგარიშგებებში არსებითი ცდომილებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კომპანიის აქციონერებსა და ინვესტორებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) ვებ-გვერდის ინფორმაციის თანახმად, *124 სახელმწიფო კოტირებულ კომპანიებს უფლებას აძლევს ან ავალდებულებს აღნიშნული სტანდარტების დაცვას. აქედან, დაახლოებით 92 სახელმწიფო სრულად იცავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ფასს-ს, სხვა ქვეყნები კი იყენებენ ეროვნულ სტანდარტებს, რომლებიც მეტწილად ფასს-ს ეფუძნება.*[24]

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება განპირობებულია ინვესტორების მზარდი მოთხოვნით, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს და შემოწმდეს გლობალურად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. *აუდიტის საერთაშო-*

[24] www.ifrs.org ბოლოს გადამოწმდა 31.08.2014

რისო სტანდარტები (ასს) მიღებულია 76 ქვეყანაში, ხოლო 54-მა ქვეყანამ ეროვნული სტანდარტები მათ არსებითად მოარგო.[25]

საერთაშორისო მასშტაბით ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის საკანონმდებლო-მარეგულირებელი ნორმები ეფუძნება: ა) ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) მიერ დადგენილ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს; ბ) პროფესიონალი ბუღალტრის (აუდიტორის) განათლების სტანდარტებს; გ) პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის შემოწმების სტანდარტებს; გ) პროფესიული ეთიკის კოდექსსა და სხვა ნორმებს.[26]

საქართველოში საკანონმდებლო რეგულირების არსებული სისტემა საჭიროებს ცვლილებებს, პროფესიული თვითრეგულირებისა და სახელმწიფო ზედამხედველობის (მონიტორინგის) განხორციელების მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით. **საკანონმდებლო ცვლილებების** შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს პროფესიის მარეგულირებელი ერთიანი სახელმწიფო საზედამ ხედველო სტრუქტურა (პირობითად, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო).

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მსოფლიო პრაქტიკის შესაბამისად რეგულირება, რომელიც მოიცავს ღონისძიებათა იმ სპექტრს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს **კორპორაციული მართვის** გაუმჯობესება და **საინვესტიციო გარემოს** განვითარება ნორმატიული რეგულირების სრულყო ფითა და ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2012 წლის 29 ივნისი)[27], რომელიც აუქმებს სახელმწიფო მარეგულირებელ სტრუქტურებს (საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და სტანდარტების კომისია, პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო), მათი ფუნქციები გადაეცა არასამთავრობო პროფესიულ ორგანიზაციებს, რითაც გაიზარდა ამ ორგანიზაციების როლი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის რეგულირების სფეროში. საქართველოში

---

[25] www.ifac.org ბოლოს გადამოწმდა 31.08.2014

[26] იხ. აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო (ქართულენოვანი ტექსტი) 2010. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (ბსფ); საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ).

[27] საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, 2012 წლის 29 ივნისი.

ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სფეროების ორგანიზებულობის დონის ამაღლების მიზანშეწონილობა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების აუცილებელ წინაპირობად გვევლინება აღრიცხვისა და შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად კორპორაციის (ორგანიზაციის) სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის.

ზემოთ აღნიშნული მიდგომა გაამარტივებს აღრიცხვისა და აუდიტის სფეროების რეგულირებას, შესაბამისად, ჩამოყალიბდება ისეთი **ინსტიტუციური სისტემა**, რომელიც უფლებამო სი ლებათა დაბალანსების პრინციპზე უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, პროფესიული ორგანიზაციების მიერ ბუღალტერთა და აუდიტორთა საქმიანობის პროფესიულ რეგულირებასა და ხარისხის კონტროლს, სტანდარტების დანერგვას და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოს მიერ პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობაზე საზოგადოებ რივი ზედამხედველობისა და მონიტორინგის გაძლიერებას. ასეთი **მიდგომის უპირატესობა** გამოიხატება იმაში, რომ საზოგადოებრივი კონტროლი და პროფესიის რეგულირება ერთმანეთისგან მკაფიოდ იქნება გამიჯნული, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მაღალ დონესა და ბუღალტერთა და აუდიტორთა მაღალკვალიფიციური მომსახურების სტანდარტების დაცვას. როგორც ცნობილია, რეგულირების არსებულ წესებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის პირველი იანვრიდან. აღნიშნული კანონით რეგულირების ფუნქციები ძირითადად გადაეცემა აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციებს, რაც ნიშნავს პროფესიაში **თვითრეგულირების პრინციპების** მნიშვნელოვან გაზრდას.

საქართველოში ჩატარებული კვლევები უჩვენებს, რომ განახლებულ საკანონმდებლო ბაზაში ძირითადად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთაშორისო პრიორიტეტები და მისი სულისკვეთება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების, პროფესიული თვითრეგულირების, პროფესიული სერტიფიცირების საყოველთაოდ აღიარებული საქართველოში მოქმედი ნორმების გაუმჯობესების კუთხით. აღნიშნულის მიუხედავად, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონით განსა ზღვრული **რეგულირების დებულებები შემდგომ სრულყოფას საჭიროებს**.

1995-2008 წლებში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი ნორმებითა და ჩატარებული სამუშაო-

ებით საქართველო თანდათან უახლოვდებოდა საერთაშორისო პრაქ-ტიკას, თუმცა, აღნიშნულ პერიოდში აშკარად გამოიკვეთა მოქმედი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის აუცილებლობა. ამასთანავე, განსაკუთრებით საყურადღებოა ბუღალტერთა და აუდიტორთა სწავ-ლების (პროფესიული მომზადების) მდგომარეობა. საქართველოში ბუღალტერთა და აუდიტორთა საკვალიფიკაციო სწავლება 1999 წლიდან ხორციელდება აშშ-ის მიხედვით. სამწუხაროდ, ჯერჯერო-ბით არ ჩანს ალტერნატივა. ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს ფუნქციურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი ცენტრალიზე-ბული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია შექმნილ მდგომარეო-ბაზე.[28]

ქართველ მეცნიერთა და პროფესიონალ-პრაქტიკოსთა წრეში ჩამოყალიბებულია ხედვები და რეკომენდაციები საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფისათვის, კერძოდ:

1) საზედამხედველო ორგანოს მიერ აუდიტორთა ერთიანი რეესტრის წარმოება;

2) ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის ერთიანი სისტე-მისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;

3) მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი კომპა-ნიებისთვის შესაბამისი საერთშორისო სტანდარტების სწავლების, ბუღალტრებისა და აუდიტორების მომზადების, ინსტრუმენტებითა და თვალსაჩინო მასალით უზრუნველყოფის ღონისძიებების განსახორ-ციელებლად განსაკუთრებული ძალისხმევის მიმართვა;

4) საკანონმდებლო დონეზე ფინანსური ანგარიშების გამოქვეყ-ნების აუცილებლობა და მისი დამოწმება სერტიფიცირებული ბუღალტრის (აუდიტორის) ხელმოწერით და სხვა.

შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით; კომპეტენტური და სათანადო ფუნქციებით აღჭურვილი ბუღალტ-რული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი ორგანოს შექმ-ნით, რომლის უფლებამოსილებაც გავრცელდება სახელმწიფო აუდი-ტის სამსახურზე, შემოსავლების სამსახურზე აუდიტის განხორციე-ლებასთან დაკავშირებით და კერძო სექტორზე.

ამრიგად, წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში საქართველოში მოქმედი ნორმატიული საკანონმდებლო ბაზის (კანონი „ბუღალტ-რული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“)

---

[28] ჭუმბურიძე ლ. “ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის მიმართულებები საქართველოში”, სოხუმის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი, დისერტაციის მაცნე, თბილისი, 2014.

ანალიზით ვლინდება პროფესიის რეგულირების სრულყოფის აუცილებლობა. შესაბამისად, შემოთავაზებული ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ხასიათის პრაქტიკული წინადადების რეალიზაცია ხელს შეუწყობს კერძო სექტორის ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შემდგომი ინსტიტუციური რეგულირების სრულყოფას.

Zurab Lipartia
Rati Bakuradze

PRIORITIES OF IMPROVING INSTITUTIONAL ACCOUNTING AND AUDIT REGULATIONS

Annotation

In case of developing Georgia's market economy, the required condition is to research and investigate international accounting and audit practice with a special accent on improvement of institutional regulations in this sphere. Consequently, adapting the world practices in accounting and auditing, which includes a range of measures to ensure the improvement of corporate governance and the development of investment environment, with the improvement of statutory regulations and keeping the financial information in accordance with the principles of transparency.

The analysis of Georgia-based normative legislative base (law "Accounting and Financial Reporting Audit" 2012.) revealed the necessity of improving the regulation of the accountant (auditor) profession. Respectively, in this scientific work is suggested the practical implementation of methodological and organizational proposal, which will promote Georgian private sector organizations of accounting and audit of financial statements for further improvement of the institutional regulation.

ევგენი ბარათაშვილი
ჯანდრი ზარანდია

მომსახურების სფეროს მარკეტინგ-მენეჯმენტის სრულყოფის საკითხისათვის

ბოლო ათწლეულებში მიმდინარე მოვლენებმა სტიმული მისცა მომსახურების მენეჯმენტის თეორიის ცოდნის მოთხოვნას. ჯერ ერთი, მნიშვნელოვნად გაიზარდა დასაქმება სერვისულ სექტორში და მისი წილი მრავალი ქვეყნის მთლიან ეროვნულ პროდუქტში. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2020 წლისათვის აშშ სამუშაო ძალის

90% იმუშავებს დაქირავებული მუშახელის რანგში სერვისულ ან მომსახურებასთან დაკავშირებულ დარგებში. სერვისის მრავალ სფეროში გაჩნდა მომსახურებისა და სერვისული მენეჯმენტის ცოდნის მოთხოვნაც. ამ დარგების დიდ ნაწილში მიწოდება აღემატება მოთხოვნას და თან ახლავს მკაცრი კონკურენტული წნეხი.

ტრანსფორმაციული პერიოდის პირობებში, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დასრულებასთან, მომსახურების კონკურენტული, დინამიური ბაზრის ფორმირება დროითაა ნაკარნახევი და წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაში მომსახურების ეფექტიანი კონკურენტუნარიანი სექტორის არსებობა და დინამიური განვითარება პოსტინდუსტრიული ტიპის თანამედროვე სამეურნეო სისტემების ძირითადი ნიშანია.

ახალი სერვისული მეთოდოლოგიის საფუძველზე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სტატისტიკურ პრაქტიკაში გადაჭრილია ეკონომიკის ყველა დარგის, მ.შ. სერვისული დარგის, სახელმწიფო ორგანოების მომსახურების წვლილის განსაზღვრის მეთოდური სიძნელეები მთლიანი ეროვნული პროდუქტის შექმნაში (მაგალითად, ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ზონის ქვეყანაში – აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში სახელმწიფო სტატისტიკის ახალი სისტემის NAICS ფარგლებში). აღნიშნული სისტემა მოწოდებულია, ასახოს მომსახურების დარგების მნიშვნელოვანი თვისებრივი და ხარისხობრივი ზრდა [1].

ამჟამად მომსახურების სფერო სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დარგებთან შედარებით ეკონომიკური განვითარების მეტი დინამიზმით ხასიათდება როგორც მაღალგანვითერებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებშიც. საწარმოო ძალების განვითარებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების კვალდაკვალ, მომსახურება იქცევა კაპიტალდაბანდების, მუშახელისა და საზოგადოების სხვა რესურსების მოზიდვის აქტიურ სფეროდ. სერვისულ ფირმებში მენეჯმენტის პრაქტიკის შესწავლა, მათი წარმატება თუ წარუმატებლობა განისაზღვრება მნიშვნელოვანი, მაგრამ ვიწრო და არამდგრადი ბაზით: პრაქტიკული გამოცდილებით, ჩვევებით და დარგობრივი ბაზრების თავისებურებების ცოდნით, ხშირად კი „ადმინისტრაცული რესურსით" და საწარმოთა ხელმძღვანელების სამეწარმეო ტალანტით. ასეთ პირობებში სერვისული საწარმოების უმეტესობის ხელმძღვანელები მიმდინარე და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებენ მხოლოდ საკუთარ გამოცდილებასა და ჯანსაღ აზრზე დაყრდნობით, რითაც მნიშვნელოვნად იზღუდება საწარმოს ინოვაციური შესაძლებლობი და არ გამოიყენება სამეცნიერო ცოდნის პოტენციალი პროფესიული სერვისული მენეჯმენტის შესა-

ხებ [2].

მართვის სრულყოფის კრიტერიუმი მომსახურების სფეროში არის საჭირო მომსახურებაზე კლიენტების მრავალმხრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე. ამ კრიტერიუმთან თანმხვედრი ყველაზე ეფექტური საქმიანობა მაშინ მიიღწევა, როდესაც გათვალისწინებულია მოცემული სფეროს თავისებურებები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იდეა სერვისული სისტემების მართვის ქსელური ხასიათის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განსახილველი საგნობრივი სტრუქტურის დარგის განმარტებითი კონცეფციის სახით, რომელშიც სერვისული მენეჯმენტი სერვისული სისტემების ფუნქციონირების შესახებ ცოდნის ქსელში „კვანძის" როლში გამოდის. აღნიშნული სერვისული სისტემები განიხილება კლიენტებთან ურთიერთობათა ფართო კონტექსტში.

სერვისულ მენეჯმენტს, როგორც ახალ საგნობრივ დარგს, გააჩნია ახალი სამეცნიერო მიმართულების ყველა საწყისი ნიშანი: ობიექტი, საგანი, მოვლენათა განვითარების კანონზომიერებები საგნობრივ დარგში, ასევე განმარტებითი, განჭვრეტითი (საპროგნოზო) და საპროექტო ფუნქციები. ყველა ეს გარემოება განაპირობებს მნიშვნელოვან სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს მოცემული განვითარებადი დისციპლინისადმი.

ეკონომიკის გლობალიზაციის ზრდასა და კონკურენციის გამწვავებასთან დაკავშირებით კომპანიები მუდმივ ინოვაციურ მზადყოფნაში უნდა იყვნენ და იბრძოდნენ ახალი იდეების – პროდუქტის შესაქმნელად. საგრძნობი ინოვაციური შედეგი მიიღწევა ინოვაციათა მენეჯმენტსა, პროდუქტის დაპროექტებასა და განვითარებას შორის ეფექტური ურთიერთდამოკიდებულებების მეშვეობით. მომსახურების სფეროს საწარმოების მართვის ინფორმაციული სისტემები მნიშვნელოვანწილად მიმართულია არა იმდენად წარმოების პროცესზე, რამდენადაც კომუნიკაციებზე, მომხმარებლებთან ურთიერთდამოკიდებულებებზე, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ეფექტური ხერხების ძიებაზე.

ბიზნესპროცესების მენეჯმენტი განავითარებს ინოვაციის სტრატეგიულ პარადიგმას, რომლის ფარგლებშიც ბიზნესსტრატეგია განიხილება, როგორც ინოვაციის მთავარი დეტერმინანტი. ინოვაციურ კონტექსტში მომსახურების გაწევა ნიშნავს კლიენტის განკარგულებაში უნარ-ჩვევებისა და კომპეტენტურობების (ადამიანური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული) ჯაჭვის გადაცემას და გადაწყვეტილების ორგანიზაციას, რომელიც შეიძლება მოცემულ იქნეს სიზუსტის სხვადასხვა ხარისხით. სიზუსტის შემთხვევაში გადაწყვეტილებამ შეიძლება მიიღოს მომსახურების ან „ფორმულების" ერთგვარი დიაპაზონის ფორმა, რომელიც საკმაოდ მაღალხარისხოვნადაა

სისტემატიზებული და სტანდარტიზებული.

სერვისული კონცეფცია – ეს არის იდეის გამოხატვის ხერხი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის ვარაუდს პრობლემების ზოგიერთი ტიპის განსაზღვრული ხერხით გადაწყვეტის თაობაზე. ეს ნიშნავს, რომ სერვისულმა კომპანიამ უნდა დაამატოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რის გაკეთებას გეგმავს მომხმარებელთა განსაზღვრული სეგმენტისათვის, როგორ შეიძლება ამის მიღწევა და რესურსების რა სახეებით. სერვისული კონცეფცია წარმოადგენს ოპერაციულ ფოკუსს და მომსახურების არსს, რომლის მეშვეობითაც სერვისული ფირმა კონკურენციას გასწევს ბაზარზე და, ამასთან დაკავშირებით, მისი განმარტება განსაზღვრული საფუძველია ორგანიზაციის ბიზნესსტრატეგიების გამოსამუშავებლად. გლობალიზაციის პირობებში კულტურული ადაპტაციის ზემოქმედება ცენტრალური უნდა გახდეს ოპერაციული მენეჯმენტის თემების შესწავლასთან მიმართებით. ეს თემები შეიძლება იყოს ვენჩურული საწარმოების, მასალების მენეჯმენტის, რესურსების შეძენის, ახალი პროდუქტის განვითარების, პროცესის დაგეგმისა და დაპროექტების, კონტროლისა და მოტივაციის, სწავლების, სამუშაო ძალის გამოყენების გრაფიკების, ეკოლოგიური მენეჯმენტისა და შრომასა და მენეჯმენტს შორის ურთიერთობათა ტიპის. ყოველი მათგანი „წინა“ და „უკანა” ხაზების სერვისული მენეჯმენტის საკვანძო დარგებია, რომლებიც, ალბათ, მოითხოვს ქვეყნიდან ქვეყანაზე ადაპტირებას მომსახურების გლობალიზაციის კვალდაკვალ [3].

თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო და უფრო კონკურენტული ხდება ბაზრები, ხოლო ბიზნესციკლები კი ძალზე მოკლე, აუტსორსინგის (თანამშრომლობის) ფენომენი განვითარდა შერჩევითი კონტრაქტების გაფორმების პრაქტიკიდან ისეთ ურთიერთობებამდე, სადაც სერვისის მიმწოდებლები მიაწოდებენ პროდუქტსა და მომსახურებას, რომლებიც ანვითარებენ კომპანიის ბიზნესმიზნებს და აძლიერებენ ორგანიზაცია-მომწოდებლის პოზიციას. საგარეო აუტსორსინგის პარადიგმების ცვლილების მნიშვნელოვანი ტენდენციაა აქცენტის გადატანა დეტალების, კომპონენტებისა და მომსახურების საშუალებების აუტსორსინგიდან ინტელექტუალური სისტემების აუტსორსინგზე. მაგალითად, ისეთი სისტემების ტიპები, როგორიცაა კლიენტების პასუხების დამუშავების, საექსპორტო სისტემების კონტრაქტებით და მენეჯმენტით მიწოდების ტიპები.

გამოყენებულია მომსახურების ტიპებად დაყოფის მიდგომა ორი კრიტერიუმის მეშვეობით. **პირველი** კრიტერიუმის შესაბამისად, როგორიცაა მოთხოვნის დაკმაყოფილების ფორმა („წმინდა მომსახურება” – „მომსახურება პროდუქტით”), საწარმოს საქმიანობის შედეგი შეიძლება იყოს ან წმინდა მომსახურება, ან მომსახურება, რომელიც

შესაძლებელია მხოლოდ მატერიალური პროდუქტის გაყიდვით, აღნიშნულ მატერიალურ ობიექტზე საკუთრების უფლების გადაცემით (მაგალითად, ქიმწმენდა, მობილური კავშირი). აღნიშნული კრიტერიუმის შესაბამისად, მომსახურება განთავსდება სკალაზე წმინდა მომსახურებიდან ნივთიერ პროდუქტთან დაკავშირებულ მომსახურებამდე.

მეორე კრიტერიუმის თანახმად – მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინსტრუმენტი ან ხერხი („პერსონალი" – „მექანიზმი") – ყველა მომსახურება ნაწილდება ფაქტორების დიაპაზონში, რომელიც ინტენსიურად მონაწილეობს წარმოებაში – ესაა პერსონალი ან მექანიზმები (მოწყობილობა). აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად მომსახურებები განთავსდება სკალაზე შემდეგი თანმიმდევრობით: იწყება იქ, სადაც მომსახურებას უწევენ სერვისული საწარმოს მუშაკები და მთავრდება იმ მომსახურებებით, სადაც მომხმარებელი იღებს მომსახურებას ავტომატური მოწყობილობის ან მექანიზმის (მაგალითად, კონსალტინგი, ავტოგასამართი სადგური) წყალობით.

მომსახურების მარკეტინგის შემოთავაზებულ მოდელს საფუძვლად უდევს ის საერთო, რაც დამახასიათებელია მომსახურების ნებისმიერი ტიპისათვის, ის, რის გარეშეც წარმოუდგენელია საკუთრივ გაცვლითი ურთიერთობები მომსახურების მწარმოებლებსა და მათ მომხმარებლებს შორის – ეს არის სამომხმარებლო ფასეულობა. სამომხმარებლო ფასეულობის გამო კლიენტი მიმართავს მომსახურების ფირმას, ხოლო მწარმოებელი სთავაზობს მას კლიენტს, სანაცვლოდ იღებს შემოსავალს. სამომხმარებლო ფასეულობა გვაქვს წმინდა მომსახურებაშიც და მატერიალური პროდუქტით მომსახურებაშიც, ასევე მომსახურებაში, რომელიც არსებობს პერსონალის უნიკალური უნარების წყალობით (მაგალითად, კონსალტინგი), ან მომსახურებაში, რომლის წარმოებისათვის საჭიროა სპეციალური მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების ამოქმედება. ეს არის სწორედ ის, რასაც იძენს მომხმარებელი.

სტრატეგიული მართვის მეთოდოლოგიის შემუშავებისას დადგინდა, რომ მარკეტინგული მართვის ყველაზე ნაკლებად დამუშავებული ელემენტია მართვის მარკეტინგული ტექნოლოგიები. ლიტერატურაში პრაქტიკულად არ გვხვდება მთლიანობაში სერვისული მენეჯმენტისათვის ტექნოლოგიის რელევანტურობის და გამოყენების პრობლემების საფუძვლიანი კვლევის მცდელობა.

იმისათვის, რომ ავაგოთ მართვის მარკეტინგული ტექნოლოგია, საჭიროა განვსაზღვროთ კლიენტის სამომხმარებლო ფასეულობის ტიპი, ჩავატაროთ ტესტი მომსახურების პოზიციონირების მოდელის ფაქტორზე. სამომხმარებლო ფასეულობის პოზიციონირება კოორდი-

ნატებში “მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფორმა” – “დაკმაყოფილების ინსტრუმენტი” გვიჩვენებს, მითითებული ფაქტორებიდან რომელია უმთავრესი მომსახურების გაწევაში, მყიდველის მოთხოვნის შესრულებაში. მომსახურების ტიპი მიუთითებს საწარმოს გუნდის ძალისხმევის კონცენტრაციის მიმართულებას, მიუთითებს ძირითად წყაროს, რომლის წყალობითაც წარმოიქმნება მატერიალური ფასეულობა. მაგალითად, თუ ეს წყაროა საწარმოს პერსონალის უნიკალური უნარები (მაგალითად, ცნობილია ადვოკატის მომსახურება) – ეს იქნება მოქმედებათა (ტექნოლოგიების) ერთი თანმიმდევრულობა საწარმოს მარკეტინგულ მართვაში, ხოლო თუ წყაროა მატერიალური პროდუქტი – მაშინ იგი განსხვავებული იქნება [4].

შეიძლება გამოიყოს მართვის მარკეტინგული ტექნოლოგიების ოთხი სახე:

1. ხელშესახები მომსახურებისათვის (მომსახურება პროდუქტით) გამოიყენება ვერტიკალური მარკეტინგის ქსელური მოდელი. მართვის მარკეტინგული ტექნოლოგია ამ შემთხვევაში არ განსხვავდება იმისაგან, რომელიც გამოიყენება საქონლის მიწოდებისას;

2. ხელშეუხები (წმინდა) მომსახურებისათვის – მარკეტინგული ტექნოლოგიის მოდელი, რომელიც მოიცავს კონკურენტულ გარემოს, ბაზრის მიმოხილვას, ბაზრის სეგმენტირებას;

3. მომსახურებისათვის, რომლის სამომხმარებლო ფასეულობა განისაზღვრება საწარმოოს პერსონალით (მომსახურების ხარისხი) – მარკეტინგული მართვის ტექნოლოგიის მოდელი ეყრდნობა კონკურენტული უპირატესობების კულტივირებას. კ. გრენროოსის თანახმად, ამგვარ სიტუაციებში მთავარია ხარისხიანი მომსახურების პროცესი და პერსონალის ქცევა. იგი განსაზღვრავს საწარმოს კონკრეტულ უპირატესობებს, რომელთა განვითარებასა და შენარჩუნებაზე უნდა იყოს კონცენტრირებული ყურადღება. შემდეგ – ეს არის ბაზრის მიმოხილვა, ბაზრის სეგმენტირების, მყიდველთა მოთხოვნების შესწავლა, შიგა მარკეტინგი;

4. მომსახურებისათვის, რომლის სამომხმარებლო ფასეულობა განსაზღვრულია მოწყობილობით, მექანიზმებით. მარკეტინგული მართვის ტექნოლოგიის მოდელი აგებული იქნება წინა მოდელის შესაბამისად. ეს არის საწარმოს მატერიალური ობიექტებით განპირობებული კონკურენტული უპირატესობები, ფირმის რესურსების, ბაზრის ტევადობის შეფასება, ბაზრის მიმოხილვა, ბაზრის სეგმენტირება და საწარმოს პერსონალი. მოდელი უთანხმდება მ. ბიტნერის მარკეტინგის ძირითად ელემენტებს – კლიენტი აღიქვამს მომსახურების გაწევის პროცესს, მატერიალურ დადასტურებას და მომსახურების დონეს.

მარკეტინგული მართვის პროცესის დასასრულებლად, სამომხმარებლო ფასეულობის შინაარსის განმარტებისა და მარკეტინგული ტექნოლოგიის კონსტრუირების შემდეგ, მოწმდება შექმნილი კონსტრუქციის რეალობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი თ., ყანდაშვილი თ., როსტიაშვილი ლ., სერვისმენეჯმენტი თბ., 2013.

2. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტი და ადმინისტრირება: თბ., 2011, – 832 გვ.

3. Менеджмент в сфере услуг: Учебник для студентов вузов, обучающихся по специалъности <<Менеджмент в сфере услуг>>. Под ред. д.э.н. В.Ф. Уколова. – М., Луч, 1995-346с.

4. Веквит Г. Четыре ключа к маркетингу услуг. Пер. С англ. – М, Алъпина Бизнес Буке, 2004.

Evgeni Baratashvili

Jandri Zarandia

ON THE ISSUE OF IMPROVEMENT OF SERVICE SPHERE MARKETING & MANAGEMENT

Annotation

Events in the last decades stimulated the demand for theoretical knowledge of service management. In current conditions, significant trend of change of foreign outsourcing paradigms is shifting of focus from outsourcing of details, components and service facilities to outsourcing of the intellectual systems.

To build management marketing technology, the type of client's consumer value should be determined. Four types of management marketing technologies could be distinguished:

1. For the material services (service with products — vertical marketing network model is applied. In such case management marketing technology does not differ from the one, used for goods' supply;

2. For non-material (fine) services — model of marketing technology including specific environment, market overview, market segmentation;

3. For the services with the consumer value comprising of the enterprise personnel (service quality) – model of marketing management is based on fostering of specific advantages. It determines the enterprise's competitive advantages on development and maintenance of which attention should be focused. Further – this is market overview, market segmentation, study of the buyers' demand, internal marketing;

4. For the services with the consumer value comprising of the appliances, mechanisms — marketing management technology model should be built in accordance with the previous model.

მურმან კვარაცხელია

შრომითი მიგრაცია საქართველოში

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსთვის ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და შიდა საფრთხე სიღარიბე გახდა. მისი დონე, სიღრმე და სიმწვავე იზრდება ოჯახში კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობის ზრდის პარალელურად. სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორები გახდა უმუშევრობა და დასაქმებიდან მიღებული მცირე შემოსავალი. შესაბამისად, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა არსებითად დამოკიდებულია დასაქმების ხელშეწყობის მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებაზე, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებაზე. ყოველივე ეს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე აისახება.

სწორედ დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა და შრომის ანაზღაურების დაბალი დონე უბიძგებს საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს, დატოვოს სამშობლო და არსებობის წყარო ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებოს. სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ შრომით ემიგრანტთა 80-85% ქვეყანას ეკონომიკური მიზეზებით (უმუშევრობა, დაბალი ხელფასი) ტოვებს. ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისათვის, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გარდა, აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობების შექმნა, რაც გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკის ყველაზე მთავარი მაჩვენებელი – მთლიანი შიდა პროდუქტი, 2010 წლამდე საშუალოდ იზრდებოდა 6%-ით. თუმცა, მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა თვალნათლივ წარმოაჩენს ქვეყნის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობას. კერძოდ, ის ფაქტი, რომ 2007 წელს წარმოებული მშპ-ის 52,6% მომსახურების სფეროში შეიქმნა, ხოლო სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში 16,9%, მრეწველობაში, ელექტროენერგიას, გაზსა და წყალმომარაგებაში – 18,4%, მშენებლობაში – 8,9% და ა.შ., ადასტურებს ქვეყანაში მწარმოებლური დარგების განუვითარებლობას. გარდა ამისა, საქართველოში იმპორტის მოცულობა თითქმის

4-ჯერ აღემატება ექსპორტის სიდიდეს და უარყოფითი სალდო სულ უფრო იზრდება. 2011 წლისათვის იმპორტ-ექსპორტს შორის უარყოფითმა სალდომ თითქმის 4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტის ზრდა და ექსპორტის შემცირება პირდაპირ ასახავს ქვეყანაში სამუშაო ადგილების კლების ტენდენციას.

ზემოთ ნათქვამი ქმნის იმის საფუძველს, რომ ყოველი ასეთი უარყოფითი პროცესი არსებით ზემოქმედებას ახდენს ქვეყანაში არსებული შრომითი რესურსების აღწარმოებაზე. ამან თავისი ასახვა პოვა მიგრაციულ პროცესებზეც, რომელიც მთელი რიგი რეგიონული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ:

ა) დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს მასობრივი, მუდმივი ემიგრაციის პროცესი. საწყის ეტაპზე უფრო ინტენსიური იყო არაქართველი მოსახლეობის გასვლა საზღვარგარეთ, შემდგომ კი თანდათან ქართველთა მიგრაციული ინტენსივობაც გაიზარდა;

ბ) ეთნოკონფლიქტებისა და ეთნოწმენდის გამო იძულებითმა მიგრაციამ დიდი ტერიტორია მოიცვა და მოსახლეობა ძალდატანებით გადაადგილდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ;

გ) განვითარდა დიდი ინტენსიურობის შრომითი ემიგრაცია;

დ) შეფერხდა ურბანიზაციის პროცესი, წარმოიშვა ანტიურბანიზაციული მოვლენები, განსახლების სისტემა კრიზისმა მოიცვა;

ე) მინიმუმამდე შემცირდა შრომითი ქანქარისებური მიგრაცია;

ვ) შეიცვალა ე.წ. სასწავლო მიგრაციის ინტენსიურობა და მიმართულებები;

ზ) პრაქტიკულად შეწყდა შიგაორგანიზებული მიგრაციები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქვეყნის მოსახლეობის უარყოფითი მიგრაციული სალდო ბოლო წლების პერიოდში დაახლოებით ერთი მლნ კაცით განისაზღვრა. სტატისტიკური მონაცემებით, 1989-2011 წლებში საქართველო მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა, რომელთა შორის დაახლოებით 800 ათასი შრომითი მიგრანტი იყო. ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, მსოფლიოში საქართველოში მიგრაციის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, 2011 წლისათვის საქართველოდან უცხოეთში 1,1 მილიონი მოქალაქეა გასული[29], რაც ქვეყნის მოსახლეობის 25% აღემატება (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში 4 401 300 ადამიანი ცხოვრობდა). დღევანდელი საქართველო მოსახლეობის მიგრაციული ვითარების თვალსაზრისით მკვეთრად გამოხატულ ქვეყანა-დონორს წარმოადგენს, რომლის ძირითად რეციპიენტ ქვეყნებად გვევლინება რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი, გერმანია და

[29] www.geostat.ge

აშშ. 1989 წლის აღწერის შედეგად საქართველოში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა 5400 ათასი ადამიანი, 2002 წლის აღწერამ მხოლოდ 4372 ათასი ადამიანი დააფიქსირა, ამ 13 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა 1029 ათასი ადამიანით შემცირდა. ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი შეადგენდა 40,8 ათას კაცს, ანუ, ჩვენი გაანგარიშებით, საქართველოს მოსახლეობა 13 წლის განმავლობაში უნდა გაზრდილიყო 530 ათასი კაცით, მაშინ 2002 წლისათვის საერთო რაოდენობა იქნებოდა 5 930 ათასი კაცი და არა 4372 ათასი; ჰიპოთეტური გათვლებით, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა არა 1029 ათასი, არამედ 1559 ათასი ადამიანით, ანუ 1989-2002 წლებში საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური დემოგრაფიული დანაკარგი 120 ათასი კაცი იყო.[30] ამ პერიოდში დაეცა შობადობის ზოგადი კოეფიციენტიც (16,8-დან 10,7-მდე), გაიზარდა მოკვდაობის კოეფიციენტი (9,2-დან 10,7-მდე) და გარე მიგრაციულ ნაკადთა ინტენსივობა, ამან საგრძნობლად შეამცირა მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი. 2002 წელს შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების სხვაობის შედეგად მიღებული ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა 0 შეადგინა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მოსახლეობა აღარ იზრდება და მიმდინარეობს დეპოპულაციის პროცესი, რომელსაც ემატება გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოც.

ჩვენს ქვეყანას, ბუნებრივია, საკუთარი წვლილი შეაქვს მსოფლიოში გარე მიგრანტთა ფორმირების საქმეში, თუმცა, აბსოლუტური რაოდენობის თავლსაზრისით, ეს „წვლილი“ საკმაოდ მოკრძალებულია და დაახლოებით 1%–ს შეადგენს.[31] დასაქმების მიზნით მიგრაცია სერიოზული გლობალური პრობლემაა, რომელიც ამჟამად მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას ეხება, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავით იგი თავს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში იჩენს. საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის არსებით მხარედ იქცა შრომითი ემიგრაცია. 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისამდე იგი ძირითადად სამხრეთ საქართველოს არაქართული მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი, კრიზისის დროს კი მან მთელი საქართველო მოიცვა ფართო ეთნიკური სპექტრით. ერთ-ერთი არსებითი პრობლემა, რომელიც თანამედროვე მიგრაციულ პროცესებს ახასიათებს, არის მოსახლეობის სოფლიდან ქალაქად გადანაწილების პროცესის ინტენსივობის უკიდურესი

[30] www.geostat.ge

[31] მიგრაციის მსოფლიო ორგანიზაცია. კვლევა მიგრანტთა შესახებ. 2011 წელი, გვ. 49.

შემცირება და სრული შეუსაბამობა თანამედროვე ურბანიზებულობის დონესთან. დარღვეულია სოფელსა და ქალაქს შორის მოსახლეობის გადანაწილების სტაბილური პროცესი. ამჟამად ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის განაწილება სრულიად შეუსაბამოა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონესთან. მოსახლეობის განაწილება ინდუსტრიული საზოგადოების ადეკვატურია, ხოლო სამუშაო ადგილთა სექტორულ-დარგობრივი განაწილება – აგრარულიდან ინდუსტრიალზე გარდამავალი პერიოდისა. განსახლების კრიზისის დაძლევა და ქვეყნის შიგა ტერიტორიული მოძრაობის ნორმალიზაცია ურთულესი ამოცანაა, რომელიც ღრმა მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, რაც საქართველოში თითქმის არ მიმდინარეობს.[32]

მიგრაციის გაფართოება შრომის ბაზარზე მოქმედი ორი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული: შრომისუნარიანი ასაკის ადამიანთა უმრავლესობა ან ვერ შოულობს სამსახურს საკუთარ ქვეყანაში, ან ვერ შოულობს შესაფერ სამსახურს ოჯახის არსებობის უზრუნველსაყოფად მაშინ, როცა ზოგიერთ ქვეყანაში ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში არსებული ვაკანსიების შესავსებად მუშახელის დეფიციტია.

ასევე არსებობს სხვა ფაქტორებიც: დემოგრაფიული ცვლილებები, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები და შრომის ანაზღაურების დონეებს შორის მზარდი სხვაობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში.

ყოველივე ამის შედეგად იზრდება დასაქმების მიზნით საზღვრის გადამკვეთთა რიცხვი, რომელთა ნახევარზე მეტი სამუშაოს მაძიებელი ქალები.[33]

მსოფლიოში მიგრაციული პროცესების განვითარება და მათში არსებული რეგიონული პრობლემები თავისთავად აისახება საქართველოდან მიგრანტთა რაოდენობაზე და ადგილობრივი შრომის ბაზრის ფორმირების პროცესზე.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოდან მიგრაციის უმთავრესი გამომწვევი მიზეზების შესახებ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს.

---

[32] Nataliya Oliynyk. 2009. STATE REGULATION IN THE FIELD OF LABOUR EMIGRATION. 2008-2009.

[33] მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. „კვლევა მიგრაციაზე“-2011.

ემიგრანტების მიერ დასახელებული ემიგრაციის უმთავრესი მიზეზები

მიზეზები	საშუალო	ქალი	კაცი
უმუშევრობა	13.0	14.0	12.0
მეტი შემოსავლის მიღების იმედი	27.5	27.2	27.8
ოჯახისთვის დახმარების გაწევა	19.7	19.1	20.4
სამუშაოდ მიწვევა უცხოეთში	1.7	1.5	1.9
სწავლა	10.3	13.2	7.4
ოჯახის წევრებთან შეერთება	2.1	1.5	2.8
უცხოეთში მყოფი მეგობრების აგიტაცია	3.7	1.5	1.9
ჯანმრთელობის გაუარესება	0.8	0.7	0.9
უცხო ქვეყნის გარემოში დროებითი ცხოვრების სურვილი	8.6	8.8	8.3
უკეთესი სამუშაოს პოვნის იმედი	12.3	12.5	12.0
სულ	100	100	100

ცხადია, ყოველივე ეს ნათელს ხდის იმიგრაციული პროცესების პოლიტიკის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. სუსტი იმიგრაციული პოლიტიკის შემთხვევაში სავსებით რეალურია ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების შესუსტება, ამიტომ გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ სწორი მიგრაციული პოლიტიკის შემუშავება.

საქართველოში ამჟამად რამდენიმე კატეგორიის მიგრანტები არიან: **შიდა მიგრანტები**, რომელსაც განეკუთვნებიან: 1. ეკოლოგიური მიგრანტები. 2. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ), რომელთა რაოდენობა 262 ათას ადამიანზე მეტია! (მსოფლიოში დაახლოებით 25 მლნ იგპ); 3. ლტოლვილები - 3 751 ათასი ადამიანი (მსოფლიოში ლტოლვილების საერთო რაოდენობა 12 მლნ ადამიანს აღწევს).

გარე მიგრაციული ნაკადები. მათ განეკუთვნება: 1. საერთაშორისო შრომითი მიგრანტები, ლეგალურად თუ არალეგალურად წასულები (ტრეფიკინგის მსხვერპლნი, საზღვარგარეთ უკანონოდ გადაყვანილნი, არალეგალური მიგრანტები და სხვა); 2. ტრანზიტული მიგრანტები; 3. ლტოლვილები აფხაზეთიდან და სამხ.ოსეთიდან.

საინტერესოა ემიგრანტთა განაწილება ქვეყნების მიხედვით. საქსტატის მონაცემებით, საქართველოდან წასულ ემიგრანტთა 64% რუსეთის ფედერაციაშია, 16,2% საბერძნეთში, 4,3% გერმანიაში, აშშ-ი 3,8%, უკრაინაში 1,8%, თურქეთში 1,3% და სხვა ქვეყნებში 8,5%.

ჩვენი კვლევებით დასტურდება, რომ ინტენსიური შრომითი ემიგრაციის წარმოშობის მთავარი მიზეზებია ეკონომიკის დაცემის

შედეგად დიფერენციაციის გაღრმავება მოსახლეობის ცხოვრების დონეში, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების წარმოშობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, არასასურველი დემოგრაფიული ტენდენციების განვითარება და სხვა.

ყველაზე მასშტაბური ზეგავლენა მოსახლეობის მიგრაციაზე მაინც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკის კოლაფსმა გამოიწვია. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1990 წელს საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 2530 აშშ დოლარს უდრიდა, ხოლო 1995 წლისთვის იგი მხოლოდ 440 დოლარს გაუტოლდა. 1998 წლის IV კვარტლის მონაცემებით, სიღარიბის დონე საარსებო მინიმუმის მიმართ 45,2%-ს შეადგენდა, სიღრმე – 16,8%-ს, სიმწვავე – 8,7%-ს.[34] ამან ბუნებრივად გამოიწვია ინტენსიური შრომითი ემიგრაციის წარმოშობა.

აღნიშნული ვითარება, სამწუხაროდ, დღემდე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, XXI საუკუნესაც საქართველო საყოველთაო კრიზისით შეეგება. 1990 წლიდან დაწყებულმა ეკონომიკურმა ნგრევამ ასახვა პოვა ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლის გაუარესებაში. ეკონომიკურ დაცემას ლოგიკურად თან მოჰყვა არასასურველი დემოგრაფიული ტენდენციების განვითარება, რაც სპეციალისტების მიერ დემოგრაფიულ კრიზისად შეფასდა: 1990-იანი წლებიდან მიმდინარეობს მოსახლეობის ბუნებრივი დეპოპულაცია, 2010 წლიდან მოსალოდნელია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის აბსოლუტური კლება, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზრდება მოსახლეობის დემოგრაფიული (ძირითადად საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობის ზრდით) და ეკონომიკური დატვირთვა.

ცალმხრივი მიგრაციული პროცესების გამო ქვეყნის მოსახლეობა 1/4-ით შემცირდა, მნიშვნელოვნად შეიცვალა ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა მთლიანად ქვეყანაში და ასევე მის ცალკეულ რეგიონებშიც. მიგრანტთა შორის საკმაოდ მაღალი წილი ახალგაზრდებისაა, ვინც ყველაზე აქტიურ, შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში იმყოფება. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოდან შრომით ემიგრანტთა 40% ქალია. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ინფორმაციით, საქართველოდან საბერძნეთსა და გერმანიაში გასულ შრომით მიგრანტთა 70% ქალია. ამასთან, გარკვეული გრადაციაა ასაკობრივ სტრუქტურაში - 25 წლამდე ემიგრანტებს ძირითადად გერმანიისკენ აქვთ გეზი აღებული, საბერძნეთში კი 40 წელს გადაცილებული ქალები მიდიან.

[34] წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი.

ექსპერტები ქალთა მიგრაციის უარყოფით შედეგზეც ლაპარაკობენ: მაშინ, როდესაც საქართველო დემოგრაფიული პრობლემებს ისედაც განიცდის, ამ დროს რეპროდუქციულ ასაკში მყოფი ქალების ქვეყნიდან მასობრივი გასვლა დემოგრაფიულ სურათს უფრო აუარესებს.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პერიოდი საქართველოსთვის ისტორიაში შევა, როგორც დიდი მიგრაციის პერიოდი. საყოველთაოდ ცნობილმა მიზეზებმა (ომები, სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირებები), აგრეთვე დია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და ქვეყანაში შექმნილმა რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ მძლავრი იმპულსი მისცა საქართველოდან მოსახლეობის გადინებას. ქვეყანაში წარმოების მკვეთრი შემცირების, გასაღების ბაზრების თითქმის მყისიერი დაკარგვით 1990-იანი წლების დასაწყისში ასეულობით ათასმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი. მარტო მრეწველობაში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 400 ათასით. მკვეთრად შემცირდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ახერხებდა მიღებული განათლების პროფილით პროფესიულ საქმიანობას. მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, საქართველოში დარჩენილი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთაგან დიპლომის შესატყვისი სპეციალობით საქმიანობდა მხოლოდ 14,4 პროცენტი, მაშინ, როდესაც უმუშევარი იყო თითქმის ყოველი მეორე დიპლომიანი სპეციალისტი (47,5%).[35]

საქართველოდან გასულ შრომით მიგრანტთა უდიდესი ნაწილი არ "მონაწილეობს" მოსახლეობის აღწარმოების პროცესში. მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წელს 1989 წელთან შედარებით შემცირდა 19,1 პროცენტით, 25-34 წლიანების რაოდენობა შემცირდა 30,8 პროცენტით, დანარჩენი მოსახლეობისა კი – მხოლოდ 16,8 პროცენტით (გასულთა 85 პროცენტი 20-50 წლისაა, მაშინ, როდესაც აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის წილი მთელ მოსახლეობაში 40 პროცენტზე ნაკლებია).[36]

საქართველოდან შრომითი მიგრაციის მასშტაბებზე მეტყველებს შემდეგი გარემოებაც: ემიგრანტების ბოლოდროინდელი, მუდმივად მზარდი ფულადი გზავნილები, რომელიც 2011 წელს 2003 წელთან შედარებით გაიზარდა 4,8-ჯერ. ეს სულ უფრო და უფრო მეტად აღემატება საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას. უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ორი წლის მანძილზე მარტო რუსეთიდან საქართველოში განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცუ-

[35] წყარო: www.geostat.ge.
[36] წყარო: www.geostat.ge.

ლობა დაახლოებით 2%-ით აღემატებოდა ჩვენს ქვეყანაში მთელი მსოფლიოდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობას. 2010 წელს რუსეთიდან განხორციელებული ელექტროგზავნილების მოცულობა კი მხოლოდ 4 პროცენტით ჩამორჩა საქართველოში დანარჩენი მსოფლიოდან განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობას (შესაბამისად, 530,2 მლნ აშშ დოლარი და 553,1 მლნ აშშ დოლარი). სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველო ერთ-ერთია იმ რამდენიმე სახელმწიფოთა შორის, რომელთაც დაქირავებული შრომით დაკავებულები საზღვარგარეთ უფრო მეტი ჰყავთ, ვიდრე თავისთან, სამშობლოში.[37]

საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ იგი მიმდინარეობს ინტენსიური დეპოპულაციის ვითარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსახლეობის მუდმივი მიგრაციის მაღალი ინტენსივობა და შობადობის დონის მკვეთრი შემცირება. ამასთან, უკიდურესად უარყოფითია შრომითი ემიგრაციის გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ პოტენციალზე, რაც გამოიხატა იმით, რომ შემცირდა სახეზე მყოფი მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა, დეფორმირდა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, შრომითი ემიგრაცია, ნაწილობრივ, გადაიზარდა მუდმივ ემიგრაციაში და კვლავაც მაღალი რჩება შრომითი ემიგრაციის მუდმივ ემიგრაციად გადაზრდის ალბათობა. ამასთან, მკვეთრად შესუსტებულია შრომით ემიგრანტთა კონტინგენტის რეპროდუქციული ქცევა.

თუ ასე გაგრძელდა არსებული დემოგრაფიული ტენდენციები გაეროს შეფასებით, 2000-2050 წწ. საქართველოს მოსახლეობა 2 მლნ-ით შემცირდება, რაც ამჟამინდელი მოსახლეობის თითქმის 40% შეადგენს. ევროპაში ასეთი დონის შემცირება ნავარაუდევია მხოლოდ ბულგარეთის, უკრაინისა და ესტონეთისათვის. აღსანიშნავია, რომ შრომით ემიგრანტთა დიდი ნაწილი დაოჯახებულია (57%), მესამედზე მეტი – დაუოჯახებელი, ე.წ. ქორწინებაში არასდროს მყოფი (35%) მესამედი კი ქალია. ასაკობრივი განაწილების თვალსაზრისით, ნაკადი ახალგაზრდებით და აქტიური შრომის ასაკის მქონე პირთა დიდი წილითაა წარმოდგენილი (92%). ე.წ. «მესამე თაობის» წარმომადგენლები შრომით ემიგრანტთა მხოლოდ 8%-ია.

მეტად საინტერესოა უმუშევრობის დონის მონაცემები. 2010 წელს საქართველოში 321 ათასი უმუშევარი იყო, უმუშევრობის დონე კი 16,3 პროცენტს შეადგენდა. მომავალში უმუშევართა რიცხვი გაიზრდება 385 ათასამდე, ხოლო უმუშევრობის დონე – 19,0 პროცენტამდე. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქართველოში

[37] წყარო: www.geostat.ge.

დაახლოებით 1945 ათასი ეკონომიკურად აქტიური ადამიანი ცხოვრობს, ქვეყნიდან გასულია, სულ ცოტა, 800 ათასი შრომითი მიგრანტი, რომლებიც ადგილზე სათანადო სამუშაო ადგილების არსებობის პირობებში საქართველოში დარჩებოდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოლო წლებში საქართველოს პოტენციური სამუშაო ძალის რიცხოვნობა უნდა იყოს დაახლოებით 2745 ათასი კაცი. აქედან საქართველოში სამუშაო ვერ ნახა 1121 ათასმა ადამიანმა (321 ათასი – საქართველოში დაფიქსირებული უმუშევარი და 800 ათასი – შრომითი მიგრანტი), რის გამოც ქვეყანაში ბრუტო უმუშევრობის დონე საქართველოს მთელი შრომითი პოტენციალის, ქვეყანაში მყოფთა და ქვეყნიდან გასულთა ერთობლივი რიცხოვნობის გათვალისწინებით, თითქმის 41%-ია. შესაბამისად, საქართველოში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 59 პროცენტი, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა წილი ქვეყანაში მთელ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მხოლოდ 22,5 პროცენტია. ეს ჩვენი გათვლებია, რაც მეტად ნეგატიურ სურათს გვიხატავს.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის არსებული ხარისხობრივი დისპროპორცია თვალნათლივ დასტურდება დასაქმებულთა მიერ დაკავებულ პროფესიებსა და მათ მიერ მიღებულ პროფესიულ განათლებას შორის შეუსაბამობითაც. დაქირავებით დასაქმებულთა დიდი ნაწილი (40-42%) მუშაობს პრინციპულად სხვა პროფესიით, განსხვავებულ სფეროში და აკეთებს სამუშაოს, რომელიც არანაირად არ შეესაბამება მათ პროფესიულ განათლებას. სამუშაო ძალის პოტენციურ მიმწოდებლებს შორის 51% უმაღლესი განათლების მქონეა, 16% – საშუალო პროფესიული, 4,4 %-დაწყებითი პროფესიული, ხოლო 28%-ს არა აქვს მიღებული პროფესიული განათლება. გამოკვლევის მომენტისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნა სხვადასხვა კვალიფიკაციის კადრებზე კი ასეთია: უმაღლეი დონის კვალიფიკაციის კადრებზე-36%, საშუალო დონის სპეციალისტებზე – 15%, სამრეწველო საწარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტისა, კავშირგაბმულობის კვალიფიციურ მუშებზე – 10%, დაბალკვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე – 49%.[38]

მეტად საინტერესოა ერთი ტენდენცია, რომელიც სოფლად დასაქმებულებს ეხება. აქ დასაქმებულთა რიცხვი ხელოვნურად იზრდება თვითდასაქმებულთა ხარჯზე. სოფლად უმუშევრობა ფაქტობრივად არ აღირიცხება, ვიანიდან სოფლად მცხოვრებნი, რომლებიც საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, აღირიცხებიან თვითდასაქმებუ-

[38] წყარო: www.geostat.ge.

ლებად, თუმცა ეს საქმიანობა უმეტესწილად არის იძულებითი ხასიათის (სხვა სამუშაო უბრალოდ არ არსებობს), დაბალმწარმოებლური, არაეფექტიანი და არასრული.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ მოსახლეობის მიგრაციის რეგიონული პრობლემები თვალსაჩინოა და გამოირჩევა დიდი სიმწვავით, რომელიც მოითხოვს თანდათანობით, მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას. ამასთან, სიტუაციის დარეგულირება მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის აღორძინებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რომ მოსახლეობისთვის უფრო მიმზიდველი იყოს საკუთარ ქვეყანაში მუშაობა და დოვლათის შექმნა.

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის შიდა მიგრაციის პრობლემები საქართველოში, რომელიც მაღალი ინტენსივობით ხასიათდება, განსაკუთრებით ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში.

ცნობილია, რომ მოსახლეობის ინტენსიური ტერიტორიული გადაადგილება საქართველოში უხსოვარი დროიდან მიმდინარეობს. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მიგრაცია განსხვავებული ფაქტორებით იყო განპირობებული, ამიტომაც მიგრაციის ისტორიულ ასპექტში შესწავლა მთელი პროცესის სრულად გააზრებისათვის აუცილებელია. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საბჭოთა პერიოდის მიგრაციის შესწავლას. ამ დროს დიდი გარდაქმნები ხდებოდა, რაც აისახებოდა მიგრაციულ პროცესებზეც. ამ მხრივ ინტერესს იწვევს სსრკ ნგრევის წინა პერიოდის მიგრაციული პროცესები საქართველოში, რაც იმდროინდელი ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანარეკლია. მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველოში ჩამოსულ მოსახლეობაში ჭარბობდა ევაკუირებული მოსახლეობა, რომელთა უმეტესი ნაწილი ომის დამთავრების შემდეგ დარჩა საქართველოში. მათმა რაოდენობამ ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით 10 ათასი კაცი შეადგინა.[39]

გარე მიგრაციის სალდოს მიმართულება შეიცვალა 1957 წლიდან. აქამდე საქართველოში აღინიშნებოდა მიგრაციის დადებითი სალდო, რაც განსაზღვრული იყო ქვეყნის სამრეწველო განვითარების მაღალი ტემპით, კვალიფიციური სამუშაო ძალის დამატებითი მოზიდვის აუცილებლობით, რომელიც იმ დროს რესპუბლიკას ნაკლებად გააჩნდა. იმის მაგივრად, რომ ადგილზე მომზადებულიყო სათანადო მუშახელი, მაშინდელი ხელმძღვანელობა გარედან სპეციალისტების შემოყვანით ხელს უწყობდა რესპუბლიკაში არაქართველი მოსახლეობის ზრდას. 50-იანი წლების მეორე ნახევარში კი

[39] Джаошвили В. Ш. Население Грузии. Тб., 1968. стр.122.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, წასულთა ყოველწლიურმა რაოდენობამ გადააჭარბა შემოსულთა რაოდენობას. შემდგომ ათწლეულებში ეს სხვაობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მაგალითად, 14 წლის განმავლობაში 1979-1992 წლებში რესპუბლიკიდან წავიდა 156 ათასი კაცით მეტი, ვიდრე შემოვიდა.

1979-1992 წლებში საქართველოს მოსახლეობის გარერესპუბლიკური მიგრაციის საშუალო წლიურმა უარყოფითმა სალდომ 11,1 ათასი კაცი შეადგინა. აქედან 5,9 ათასი კაცი მოდიოდა ქალაქის მოსახლეობაზე და 5,2 ათასი სოფლის მოსახლეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ 1979-1989 წლებში საქართველოს სოფლის მოსახლეობის გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო ყოველწლიურად აჭარბებდა ქალაქის მოსახლეობის გარე მიგრაციის უარყოფით სალდოს.

1990-1992 წლებში კი სურათი უკვე საპირისპიროდ შეიცვალა. ქალაქის მოსახლეობის გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ გადააჭარბა სოფლის მოსახლეობის სალდოს. ამ პერიოდში ქალაქის მოსახლეობას გარერესპუბლიკური მიგრაციის შედეგად დააკლდა 53,8 ათასი კაცი, სოფელს კი 16,4 ათასი. თუ 1979-1988 წლებში რესპუბლიკას ყოველწლიურად აკლდებოდა 7 ათასი კაცი, 1989-1992 წლებში კლებამ საშუალოდ 21,2 ათასი კაცი შეადგინა. საანალიზო პერიოდში მან მაქსიმუმს 1991 წელს მიაღწია, როდესაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 28,5 ათასი კაცით მეტი გავიდა, ვიდრე შემოვიდა. ეს განაპირობა იმ წლებში მომხდარმა დიდმა პოლიტიკურმა ძვრებმა, საბჭოთა იმპერიის დაშლამ და მის ბაზაზე დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების აღდგენამ.

საქართველოს მოსახლეობის მიგრაციას უარყოფითი სალდო ჰქონდა მაშინდელ საზღვარგარეთთანაც. 1979-1992 წლებში რესპუბლიკაში საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა 15,7 ათასი კაცი, გავიდა საზღვარგარეთ 30,7 ათასი კაცი. გასულთა რაოდენობამ მაქსიმუმს მიაღწია 1990-1991 წლებში, როდესაც საქართველოდან საზღვარგარეთ გავიდა 12 ათასი კაცი, შემოვიდა 1,8 ათასი. 1989-1992 წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა მიგრაციული კავშირები სამხრეთ კავკასიის მეზობელ რესპუბლიკებთან, რასაც ხელი შეუწყო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტმა.

1979-1988 წლებში საქართველოს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ჰქონდა მიგრაციის დადებითი სალდო, ხოლო 1989-1992 წლებში სურათი მკვეთრად შეიცვალა და მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 17,0 ათასი კაცი შეადგინა. რაც შეეხება სომხეთთან მიგრაციულ კავშირებს, 1979-1992 წლებში საქართველოს ჰქონდა მიგრაციის უარყოფითი სალდო და ამ მაჩვენებელმა შეადგინა 12,3 ათასი კაცი. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან საქართველოს მოსახ-

ლეობის მიგრაციული კავშირები წარმოდგენილია სუსტად და უპირატესად განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. უნდა ითქვას, რომ 1989-1992 წლებში, მასშტაბის ზრდის მიუხედავად, გარე მიგრაციული კავშირები შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენდა მოსახლეობის კვლავწარმოებაზე. ამიტომ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული ქცევის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მოსახლეობის შიგარესპუბლიკურ მოძრაობას.[40]

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მისი სიმცირის მიუხედავად, ხასიათდება ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების დიდი მრავალსახეობით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიგარესპუბლიკური მიგრაციული პროცესების ინტენსიურობაზე. 1979-1992 წლების განმავლობაში, რესპუბლიკის შიგნით, მიგრაციულ ნაკადთა მიმართულებებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის სოფლიდან ქალაქში გადაადგილებაზე. 1979-1992 წლებში მან მთელ მიგრაციულ ნაკადში საშუალოდ წლიურად 38,2% შეადგინა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში საქართველოს შიგნით, ტერიტორიული მიმართულებების მიხედვით „სოფლიდან ქალაქად“ მიგრანტთა წილი საგრძნობლად შემცირდა და 1991-1992 წლებში უკვე ჩამორჩა „ქალაქიდან ქალაქში“ მიგრანტთა წილს. თუ 1979-1992 წლებში ამ მიმართულებაზე მოდიოდა მიგრანტების 40,6%, 1987-1991 წლებში მან შეადგინა 35,1%. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაეცა 1992 წელს, როდესაც ამ მიმართულების მიგრაციაზე მოვიდა მიგრანტთა მხოლოდ 29,1%. მიგრაციული ნაკადების ძირითადი მიმართულებებიდან თავისი მასშტაბით მცირეა მოსახლეობის მიგრაცია „სოფლებიდან სოფლებში“. საქართველოს შიგა მიგრაციაში ამ მიმართულების მიგრანტთა წილმა შეადგინა 11,7%. ამ მხრივ იგი უახლოვდება „ქალაქიდან სოფლად“ მიგრანტთა წილს (15,2%). მიგრაციის ორივე ეს მიმართულება ხასიათდება დაბალი ინტენსიურობით. მოსახლეობის მიგრაციის მიმართულება „სოფლიდან სოფელში“ რესპუბლიკის შიგნით გავლენას ვერ ახდენდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობაზე, მაგრამ ხელს უწყობდა ცალკეული სასოფლო დასახლებების გამსხვილებას და მათ გარდაქმნას ქალაქის ტიპის დასახლებად, აგრეთვე, რეგიონთაშორის მოსახლეობის განაწილების ოპტიმიზაციას. როგორც სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, 1979-1992 წლების განმავლობაში საქართველოში სოფლიდან ქალაქად ყოველწლიურად ჩამოვიდა საშუალოდ 15,0 ათასი კაცი, ხოლო ქალაქებიდან სოფლად

[40] მირიან ტუხაშვილი. „მიგრაცია 3“, “მიგრაცია 5“.

წავიდა 5,7 ათასი, ე.ი. მიგრაციულმა სალდომ 9,3 ათასი კაცი შეადგინა. საქართველოში სოფლის მოსახლეობის მიგრაციული კლების ინტენსივობა, ზემოთ მოყვანილი მიზეზების გარდა, განპირობებული იყო მთელი რიგი ფაქტორებით. მათგან შეიძლება გამოიყოს ურბანიზებულობის სხვადასხვა დონე ცალკეული პერიოდების მიხედვით.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ურბანიზაციის ტემპი დამოკიდებულია ურბანიზაციის დონეზე. გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ, რაც უფრო მატულობს ურბანიზებულობა, მით უფრო კლებულობს სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქის მოსახლეობის მატება, ეს პერიოდი საქართველოში სწორედ სსრკ კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს.

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში საქართველოში სამრეწველო მშენებლობამ და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ ხელი შეუწყო სხვა რესპუბლიკებიდან მოსახლეობის იმიგრაციას საქართველოში. შრომის ბაზრის ფორმირება საქართველოში უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში დაიწყო. ფორმირების პროცესში მყოფი ეროვნული შრომის ბაზრის ფუნქციონირება კიდევ უფრო გაართულა იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივმა უმუშევრობამ. გასული საუკუნის 1990-იან წლებში აფხაზეთის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის საომარი კონფლიქტის შედეგად კიდევ რამდენიმე ათასი ოჯახი დაემატა. იძულებით გადაადგილებული შრომისუნარიანი მოსახლეობის უმრავლესობამ, სამწუხაროდ, უმუშევართა რიგები „შეავსო“. ასეთ პირობებში კიდევ უფრო აქტუალური გახდა რეგიონული თუ ლოკალური შრომის ბაზრების გამოკვლევა უმუშევრობის გამომწვევი მიზეზების, მასშტაბების, ხანგრძლივობის, უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა მახასიათებლების დადგენა-ანალიზი.[41]

იძულებით გადაადგილებულ პირთა უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქებისა და უმუშევრობის პრობლემის მოგვარების მიზნით უნდა გამოიყოს დასაქმების რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომელთაგან მნიშვნელოვანია დროებითი და საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაცია. საჭიროა დამუშავდეს დასაქმებაზე ორიენტირებული სპეციალური პროგრამა, რომლის რეალიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების და დამსაქმებლების შეთანხმებული, კოორდინირებული თანამშრომლობით. პროგრამის მიზანი უნდა იყოს არა მარტო

[41] მირიან ტუხაშვილი. აფხაზეთიდან დევნილთა შრომითი ემიგრაცია.

საზოგადოებრივი სამუშაოების ერთჯერადი ორგანიზება და დროებითი დასაქმება, არამედ საზოგადოებრივი სამუშაოების პრესტიჟის ამაღლება, მათ შორის ინტელექტუალური სამუშაოების გაფართოებით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების პრობლემების მოგვარებისა და შრომის ბაზარზე მათი ადაპტაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო ინიციატივისათვის მხარდაჭერა საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის გზით. ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, მომსახურების თანამედროვე სფეროების განვითარება, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ინტეგრაცია დასაქმების გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კარგი წინაპირობაა. ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო გამოყენებული უნდა იქნეს ეფექტიანი თვითდასაქმების გასაფართოებლად. ცალკე მიმართულებად უნდა გამოიყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა. სპეციალური კვოტების დადგენა მათი გარკვეული ნაწილის გარანტირებული დასაქმების წინაპირობა უნდა გახდეს. გარანტირებული სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კატეგორიის პირების პროფესიული მომზადება-გადამზადება საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე. დასაქმების ხელშეწყობასთან ერთად, რაც მათ მატერიალურ სტიმულირებას უზრუნველყოფს, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

Murman Kvaratskhelia

LABOR MIGRATION IN GEORGIA

Annotation

The article discusses the poverty in Georgia after the independence has been obtained. Are analyzed the reasons causing it and the different types of migration, developed into regional problems and became of significant hampering factor of economic renewal. Are emphasized some problems of employment and unemployment.

კობა ბასილაია

თანამედროვე კორპორაციის ანტიკრიზისული ფინანსური მართვის საკითხისათვის

საქართველოში, თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკის არასტაბილურობის პირობებში, როდესაც ქვეყანაში ბიზნესის სამომავლო

მდგრადი განვითარებისათვის არ არის შემუშავებული სრულყოფილი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური მენეჯმენტის სისტემაში მსოფლიო მოწინავე გამოცდილების პრაქტიკული გამოყენება სამეწარმეო ბიზნესის საქმიანობის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად.

კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიულ მექანიზმში კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკა მიმართულია კორპორაციის კრიზისული განვითარების შესაძლო ტენდენციებისა და ნეგატიური შედეგების გამოვლენისაკენ, რომელიც ორ ძირითად სისტემად არის წარმოდგენილი: ექსპრეს და ფუნდამენტურ დიაგნოსტიკებად.

ფინანსური კრიზისის ექსპრესდიაგნოსტიკა, რომელიც კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური განვითარების კრიზისული პარამეტრების რეგულარული შეფასების სისტემას ახასიათებს, ხორციელდება მისი ფინანსური აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე ანალიზის სტანდარტული ალგორითმების მიხედვით, რომლის ძირითადი მიზანია კომპანიის კრიზისული განვითარების ნიშნების ადრეული აღმოჩენა და მისი კრიზისული მდგომარეობის მასშტაბების წინასწარი შეფასება. კორპორაციის (კომპანიის) ფინანსური კრიზისის ექსპრესდიაგნოსტიკა ხორციელდება შემდეგი ძირითადი ეტაპების მიხედვით: ა) „კრიზისული სივრცის“ დაკვირვების ობიექტების განსაზღვრა; ბ) საწარმოს ფინანსური კრიზისის საფრთხის შეფასების ინდიკატორების სისტემის ფორმირება; გ) საწარმოს კრიზისული ფინანსური განვითარების ცალკეული მხარეების ანალიზი; დ) საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბების წინასწარი შეფასება.

ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის სისტემა, რომელიც კორპორაციის კრიზისული ფინანსური განვითარების პარამეტრების შეფასების სისტემას ახასიათებს, ხორციედება ფაქტორული ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების საფუძველზე.

ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის განხორციელების ალგორითმი (იხ. ნახ. 1), იმ ძირითადი ფაქტორების სისტემატიზაციაა, რომლებიც განაპირობებს კომპანიის კრიზისულ ფინანსურ განვითარებას. ფაქტორული ანალიზი და პროგნოზირება შეადგენს ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის საფუძველს, ამიტომ ცალკეული ფაქტორების სისტემატიზაციას, რომელიც ექვემდებარება კვლევას, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.



ნახ. 1. ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის განხორციელების ალგორითმი

ამრიგად, ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკა შესაძლებელს ხდის, მიღებულ იქნეს კორპორაციის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის სრული სურათი და მოხდეს მისი სამომავლო ფინანსური გაჯანსაღების ფორმებისა და მეთოდების კონკრეტიზება.

ფინანსური სტრატეგიების მართვის სისტემაში მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილიზაციის შიდა მექანიზმების ფართოდ გამოყენება, რამდენადაც სტრატეგიული მექანიზმების წარმატებული გამოყენება შესაძლებელს ხდის, არა მარტო მოხსნას გაკოტრების საფრთხის ფინანსური სტრესი, არამედ მნიშვნელოვანწილად ათავისუფლებს კორპორაციას ნასესხები კაპიტალის გამოყენებაზე დამოკიდებულებისგან და აჩქარებს მისი ეკონომიკური განვითარების ტემპებს.

ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს ფინანსური განვითარების „შემტევ“ სტრატეგიას, უზრუნველყოფს აუცილებელი ფინანსური პარამეტრების ოპტიმიზაციას და იგი ექვემდებარება კორპორაციის მთლიანი ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნებს. ეს მექანიზმი ემყარება კომპანიის

მდგრადი ზრდის მოდელის გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტრატეგიას ძირითადი პარამეტრებით.

მდგრადი ზრდის მოდელის კლასიკური ვარიანტი შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი მკვლევრის რ. ჰიგინსონის მიერ 1977 წელს. შემდეგ ამ მოდელმა სხვადასხვა მოდიფიკაცია მიიღო.

მდგრადი ზრდის მოდელს აქვს სხვადასხვა მათემატიკური ვარიანტები კომპანიის ფინანსური სტრატეგიის გამოყენებული საბაზო მაჩვენებლების მიხედვით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყველა ეს საბაზო მაჩვენებელი რაოდენობრივად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია. ძირითადი საძიებო მაჩვენებლის გათვლის შედეგები, რომელიც შეიძლება მოცემული კომპანიის პროდუქციის რეალიზაციის სიდიდის ზრდის ტემპი იყოს, რჩება უცვლელი (კომპანიის მდგრადი ზრდის მარტივი მოდელის სქემა იხ. ნახ. 2.



ნახ. 2. მდგრადი ზრდის მარტივი მოდელის სქემა

ამრიგად, მდგრადი ზრდის მოდელი არის კორპორაციის საოპერაციო საქმიანობის სიდიდის განვითარების ოპტიმალური ტემპების რეგულატორი (პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ზრდა) ან, მისი შებრუნებული ვარიანტის შემთხვევაში, ფინანსური განვითარების ძირითადი პარამეტრების რეგულატორი. იგი შესაძლებლობას იძლევა, განამტკიცოს მიღწეული ფინანსური წონასწორობა კორპორაციის (ფირმის) ანტიკრიზისული მართვის მოცემულ ეტაპზე მისი ეკონომიკური განვითარების გრძლევადიან პერსპექტივაში.

შესაბამისად, კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმის მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. უკრიზისო განვითარების მასქიმალური პერიოდი კორპორაციის მიღწეული ფინანსური წონასწორობის პირობებში განისაზღვრება პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპების შესაბამისობის პერიოდით იმ მნიშვნელობასთან, რომელიც გათვლილია მდგრადი ეკონომიკური ზრდის მოდელის მიხედვით. ნებისმიერი გადახრა ამ

მაჩვენებლის გათვლილი მნიშვნელობიდან იწვევს კორპორაციის ფინანსური წონასწორობის დაკარგვას.

2. კორპორაციის მდგრადი ზრდა მიიღწევა მისი ფინანსური განვითარების შემდეგი პარამეტრებით:

ა) პროდუქციის რეალიზაციის რენტაბელობის კოეფიციენტი; ბ) მოგების განაწილების პოლიტიკით (წმინდა მოგების კაპიტალიზაციის კოეფიციენტით გამოხატული); გ) კაპიტალის სტრუქტურის ფორმირების პოლიტიკით (რომელიც გამოხატულია ლევერიჯის კოეფიციენტით) ან შესაბამისად, აქტივების დაფინანსების პოლიტიკით (ასახული აქტივების ლევერიჯის კოეფიციენტით); დ) აქტივების შემადგენლობის ფორმირების პოლიტიკით (აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტით გამოხატული).

კომპანიის ფინანსური სტრატეგიის ნებისმიერი ჩამოთვლილი პარამეტრის ცვლილებისას შეიძლება მისი ეკონომიკური განვითარების მისაღები ტემპების მიღწევა ფინანსური წონასწორობის პირობებში.

3. მდგრადი ზრდის მოდელის ყველა პარამეტრი ცვალებადია დროში და კორპორაციის ფინანსური წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად უნდა კორექტირდებოდეს მისი განვითარების შიდა პირობების გათვალისწინებით, ასევე სასაქონლო და ფინანსური ბაზრების კონიუნქტურის ცვლილებების და გარემოს სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური კრიზისიდან გამოსვლის სტაბილიზაციის ღონისძიებების სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი სანაცია, რომელიც წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, მიმართულს მოვალე კომპანიის (კორპორაციის) ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე მისი გაკოტრებულად ცნობის და ლიკვიდაციის თავიდან აცილების მიზნით.

კორპორაციის ფინანსური სანაციის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც იგი ახორციელებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის სფეროს პარტნიორებთან ერთად (კრედიტორებსა და ინვესტორებთან), არის მისი დავალიანების რესტრუქტურიზაცია, რომლის ქვეშ მოიაზრება ღონისძიებათა კომპლექსი მისი სავალო ვალდებულებების გარდაქმნის თვალსაზრისით, რომელიც მიმართულია კრედიტორების მიმდინარე მოთხოვნების დაფარვაზე მისი გადახდისუნარიანობის აღდგენის მიზნით.

ამასთანავე, განასხვავებენ კომპანიის დავალიანების რესტრუქტურიზაციის შემდეგ 5 ძირითად ფორმას მისი ფინანსური სანაციის პროცესში, კერძოდ: ა) დავალიანების გადახდის ვადების პროლონგაცია; ბ) დავალიანების გადახდის ვადების პროლონგაცია მისი ნაწილ-ნაწილ გადახდის გზით; გ) დავალიანების გადაფორმება

ვალის სხვა სახეებად; დ) დავალიანების ქონებაში კონვერსია; ე) კრედიტორულ დავალიანებაზე უარის თქმა (ვალის ჩამოწერა).

ამრიგად, კორპორაციის დავალიანების რესტრუქტურიზაციის მიზანი მისი ფინანსური სანაციის პროცესში მიღწეულად ჩაითვლება, თუკი დაფარულია კრედიტორების მიმდინარე მოთხოვნების საჭირო სიდიდე, რაც უზრუნველყოფს მისი გადახდისუნარიანობის აღდგენას და ფინანსური საქმიანობის ნორმალურად განხორციელებას.

კორპორაციის რეორგანიზაციის ფინანსური ასპექტები. კორპორაციის ანტიკრიზისული მართვის სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს მის აუცილებელ სანაციას და სტრატეგიული განვითარების მიზნების რეალიზაციას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი რეორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს ცალკეული სამეურნეო სუბიექტების ქონებრივ ტრანსფორმაციას, რომელიც მიმდინარეობს მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსის გარდაქმნით სამეურნეო საქმიანობის უფრო ეფექტიანად განხორციელების მიზნით.

ფინანსური მენეჯმენტის პოზიციებიდან კორპორაციის რეორგანიზაცია წარმოადგენს მისი კაპიტალის ინტეგრაციის ან დივერსიფიკაციის ფორმას სამეურნეო პროცესში მისი უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით. როგორი ფორმაც არ უნდა მიიღოს კაპიტალის ტრანსფორმაციამ კორპორაციის რეორგანიზაციის პროცესში, იგი მიმართულია მისი „გარეგანი ზრდის უზრუნველყოფაზე“, და ხორციელდება საინვესტიციო რესურსების ხარჯვის გარეშე. როგორც გამოცდილება ადასტურებს, გარეგანი ზრდა უზრუნველყოფს კორპორაციის უფრო სწრაფ და, ხშირ შემთხვევაში, უფრო ეფექტიან განვითარებას და სტრატეგიული მიზნების მიღწევას, ვიდრე „შიდა ზრდა“, ე.ი. აქტივების ზრდაში კაპიტალის ინვესტირება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოს (კომპანიის) რეორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ძირითადი ფორმებით (იხ. ნახ. 3).



ნახ. 3. კომპანიის რეორგანიზაციის ძირითადი ფორმები

სადაც 1. კორპორაციათა შერწყმა წარმოადგენს ორი კორპორაციის გაერთიანებას, რომლის შედეგადაც იქმნება ახალი კორპორაცია სამართალმემკვიდრე; 2. შეერთება წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე კომპანიის, როგორც იურიდიული პირის, საქმიანობის შეწყვეტას და ყველა ქონებრივი უფლებისა და ვალდებულებების გადაცემას სხვა კომპანიისათვის; 3. დაყოფა ითვალისწინებს კორპორაციის ლიკვიდაციას და, ამავდროულად, მის ბაზარზე ორი ან მეტი დამოუკიდებელი კომპანიის (საწარმოს) შექმნას; 4. გამოყოფა წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე კორპორაციის შექმნას ამ უკანასკნელი საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის გარეშე. გამოყოფის ფორმა შეიძლება იყოს ასევე კორპორაციის გამოყოფა (კორპორაციის) ჰოლდინგური გაერთიანების შემადგენლობიდან; 5. გარდაქმნა ახასიათებს ორგანიზაციული-სამართლებრივი ფირმის ან საწარმოს საკუთრების ფორმების ცვლილებას. გარდაქმნის შედეგად რეორგანიზებული საწარმო (კორპორაცია) აგრძელებს თავის სამეურნეო საქმიანობას სამართალმემკვიდრე საწარმოს სტატუსით. რეორგანიზებული საწარმოს ყველა უფლება და მოვალეობა გადადის ახლად შექმნილ იურიდიულ პირზე შესაბამისი აქტის საფუძველზე.

შესაბამისად, ანტიკრიზისული ფინანსური მართვის პოზიციებიდან კორპორაციების (საწარმოთა) რეორგანიზაცია (როგორც მათი სანაციის ფორმა) შეიძლება გადაყვანილ იქნეს ორ ძირითად ფორმაზე: ა)გაერთიანება (შერწყმა და შეერთება); ბ) დაყოფა (გამოყოფა და დანაწილება).

რეორგანიზაციის მითითებული ფორმები საფუძვლად უდევს კორპორაციის სანაციის შერჩეულ კონცეფციას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს შემტევი ან თავდაცვითი ხასიათი (იხ. ნახ. 4).



ნახ. 4. კორპორაციების სანაციის კონცეფციის ვარიანტების სქემა

რეორგანიზაციის ორი პრინციპული ფორმიდან, რომელიც განხილულია ანტიკრიზისული ფინანსური მართვის განხორციელების პროცესში, შედარებით რთულია კორპორაციათა გაერთიანება მათი შერწყმის ან მიერთების ფორმით (ფინანსურ მენეჯმენტში ტერმინ „შეერთების“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „შთანთქმა“). ასეთი გაერთიანება კლასიფიცირდება რიგი სპეციფიკური ნიშნების მიხედვით. 1. დარგობრივი ნიშნის მიხედვით განასხვავებენ საწარმოთა (კორპორაციების) გაერთიანების შემდეგ სახეებს: ა) ჰორიზონტალური გაერთიანება, რომლის პროცესშიც ინტეგრირდება ერთი დარგის საწარმოები (კომპანიები); ბ) ვერტიკალური გაერთიანება, რომლის პროცესშიც ინტეგრირდებიან მომიჯნავე დარგების საწარმოები. (მაგ., ნედლეულის მწარმოებლები და მომხმარებლები); გ) კონგლომერაციული გაერთიანება, რომლის პროცესშიც ინტეგრირდება საწარმოები, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდება არც დარგობრივი და არც ტექნოლოგიური თავისებურებებით. 2. ნებაყოფლობითი გაერთიანების მიხედვით გამოყოფენ საწარმოთა გაერთიანების შემდეგ სახეებს: ა) მეგობრული გაერთიანება, რომელიც ხორციელდება გაერთიანებული საწარმოების ურთიერთმისწრაფებისა და თანხმობის საფუძველზე; ბ) მტრული გაერთიანება, ანუ მიტაცება, რომლის პროცესშიც ერთი რომელიმე საწარმო მიიერთებს მეორეს მისი თანხმობის გარეშე და ამ უკანასკნელის წინააღმდეგობის მიუხედავად, გაერთიანების კონცეფცია, ფორმა, სახე, ასევე სუბიექტი

(შერწყმა ან შთანთქმა) განისაზღვრება სანაციის საერთო გეგმის მიხედვით ან საწარმოს კორპორაციული სტრატეგიით.

ფინანსური მენეჯმენტის პოზიციებიდან გაკოტრება ახასიათებს კორპორაციის კატასტროფული რისკების რეალიზაციას მისი ფინანსური საქმიანობის პროცესში, რომლის შედეგად მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს კრედიტორების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების პირობები დადგენილ ვადებში და შეასრულოს ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე.

გაკოტრების ცნება ხასიათდება მისი სხვადასხვა სახეებით. საკანონმდებლო და ფინანსური პრაქტიკა გამოყოფს საწარმოთა გაკოტრების შემდეგ სახეებს: 1. რეალური გაკოტრება, რომელიც გამოიხატება კორპორაციის რეალურ უუნარობაში, აღადგინოს მომავალ პერიოდში თავისი ფინანსური მდგრადობა და გადახდისუუნაროთა გამოყენებული კაპიტალის რეალური დანაკარგების სახით. კაპიტალის დანაკარგების კატასტროფული დონე საშუალებას არ აძლევს ასეთ კომპანიას, განახორციელოს ეფექტიანი სამეურნეო საქმიანობა მომავალ პერიოდში, რის შედეგად გაკოტრება ცხადდება იურიდიულად; 2. ტექნიკური გაკოტრება. გამოყენებული ტერმინი ახასიათებს კორპორაციის გადახდის უუნარო მდგომარეობას, რაც გამოწვეულია მისი დებიტორული დავალიანების არსებითი გადავადებით, ამასთან, დებიტორული დავალიანების სიდიდე აღემატება კორპორაციის კრედიტორულ დავალიანებას, ხოლო მისი აქტივების სიდიდე მნიშვნელოვნად აჭარბებს მის ფინანსურ ვალდებულებებს.

1. წინასწარ განხილული გაკოტრება. იგი ახასიათებს კორპორაციის მესაკუთრეების და ხელმძღვანელების მიერ წინასწარ განზრახულ გადახდისუუნარობას, რასაც კორპორაციისათვის ეკონომიკური ზარალი მოაქვს. უეჭველი არაკომპეტენტური ფინანსური მართვა, წინასწარ განზრახული გაკოტრების ფაქტების გამოვლენა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება.

2. ფაქტობრივი გაკოტრება. იგი ახასიათებს კომპანიის (საწარმოს) მიერ წინასწარ ცრუ განცხადებას საკუთარი გადახდისუუნრობის შესახებ კრედიტორების შეცდომაში შეყვანის მიზნით, რათა მათგან მიიღოს კრედიტორული დავალიანების გადავადება ან ფასდაკლება კრედიტორულ დავალიანებაზე. ასეთი ქმედობა ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით.

თუკი სანაციური ღონისძიებები არ იძლევა შესაბამის ეფექტს კომპანიის (საწარმოს) ფინანსური კრიზისიდან გამოყვანის თვალსაზრისით, არბიტრაჟულ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მოვალე საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების და მისი ლიკვიდაციის შესახებ. ამ შემთხვევაში ხორციელდება სპეციალური ლიკვიდაციური პროცედურები. რიგი სალიკვიდაციო პროცედურები

საწარმოთა გაკოტრების დროს უშუალოდაა დაკავშირებული ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციებთან. ეს მენეჯმენტი აყალიბებს სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საწარმო ბანკროტის ქონების საერთო მართვას და კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციები სალიკვიდაციო პროცედურების პროცესში (გაკოტრების მომენტში) მოიცავს: 1. გაკოტრებული კომპანიის ქონების შეფასებას საბალანსო ღირებულებით, რომელიც ხორციელდება საწარმოს სრული საინვესტიციო ქონების საფუძველზე, რომელიც მას ეკუთვნის საკუთრების ან სრული სამეურნეო ფლობა-განკარგვის უფლებით. 2. სალიკვიდაციო (საკონკურსო) მასის სიდიდისა და შემადგენლობის განსაზღვრა, რომელიც წარმოადგენს გაკოტრებულად გამოცხადებული საწარმოს ქონებას და გამიზნულია სარეალიზაციოდ კრედიტორების პრეტენზიის დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის; 3. ქონების შეფასება, რომელიც შედის სალიკვიდაციო (საკონკურსო) მასაში, ხდება საბაზრო ღირებულებით (ვინაიდან გაკოტრებული კომპანიის ქონება ექვემდებარება რეალიზაციას). კრედიტორების პრეტენზიების დაკმაყოფილების მიზნით, იგი წინასწარ უნდა შეფასდეს მინიმალურად შესაძლო საბაზრო ღირებულებით (მოთხოვნის ფასით); 4. გაკოტრებული კორპორაციის რეალური ფინანსური ვალდებულებების სიდიდის განსაზღვრა. სალიკვიდაციო კომისია, კანონმდებლობით დადგენილი კრედიტორების მიერ საწარმო–მოვალისადმი პრეტენზიების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ, აანალიზებს მის ყველა ფინანსურ ვალდებულებას, კრედიტორების მიერ უარყოფილი პრეტენზიების სიას და აგრეთვე მათი დაკმაყოფილების რიგითობას და გაუთვალისწინებელ ვადაში ამ სიას წარუდგენს კრედიტორებს; 5. ქონების გაყიდვის შედარებით ეფექტიანი ფორმების შერჩევა, რომელიც ემყარება გაკოტრებული საწარმოს ქონების რეალიზაციიდან მაქსიმალური ოდენობის სახსრების მიღების შესაძლებლობებს. ქონების გაყიდვის წესის შესახებ პოტენციური მყიდველები წინასწარ უნდა იქნენ გაფრთხილებულები მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით; მყიდველებიდან ორი ან მეტი წინადადების შემოსვლის შემთხვევაში ინიშნება კონკურსი ან აუქციონი; 6. კრედიტორების პრეტენზიების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა გაკოტრებული კორპორაციის (საწარმოს) ქონების რეალიზაციის ხარჯზე. ეს არის ფინანსური მენეჯმენტის შედარებით რთული და პასუხსაგები ფუნქცია გაკოტრების შემთხვევაში სალიკვიდაციო პროცედურების განხორციელების პროცესში. ასეთი პრეტენზიების დაკმაყოფილების წყაროა სახსრები, რომლებიც ამოიღება გაკოტრებული საწარმოს ქონების გაყიდვის გზით; 7. გაკოტრებული კომპანიის სალიკვიდაციო ბა-

ლანსის შედგენა. ეს არის გაკოტრებული კორპორაციის (საწარმოს) ბალანსი, რომელიც შედგენილია სალიკვიდაციო კომისიის მიერ მისი აქტივების აუცილებელი ნაწილის გაყიდვის და კრედიტორების მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების შემდეგ, იგი გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს.

ამრიგად, კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმის შემდგომი სრულყოფით, კორპორაციების (საწარმოთა) ანტიკრიზისული მართვის ღონისძიებებითა და რეკომენდაციების შემუშავებით და სამეწარმეო პრაქტიკაში დამკვიდრებით შესაძლებელი იქნება ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა.

Koba Basilaia

FOR A QUESTION OF ANTIRECESSIONARY FINANCIAL MANAGEMENT OF A MODERN CORPORATION

Annotation

Nowadays in conditions of economical instability, when there is not collaborated a perfect economical and financial politics for a stable future development of business, accruing from transformational economics features of Georgia, for insure effective management of industrial business is remarkably important in financial management system using of progressive world practice in antirecessionary financial management of corporation.

This article offers the system of fundamental diagnostics of financial crisis. Also discusses strategic mechanism of financial stability of corporation and the financial aspects of reorganization of corporation.

By future perfection of strategic mechanism of corporations financial stabilization, by collaboration of measurements of antirecessionary management and recommendations settled in the industry will be possible to bring out the country from recessionary conditions.

თენგიზ ქავთარაძე

აბრობიზნესის სახელმწიფო რეგულირების გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნებში

ბიზნესის განვითარება, როგორც წესი, ბიზნესმენთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ეყრდნობა. ამასთან იბადება კითხვა – იგი რეგულირებადი უნდა იყოს თუ არა? როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, ბიზნესი შეუფერხებლად უნდა ვითარ-

დებოდეს, მაგრამ გარკვეული დოზებით იგი უნდა რეგულირდებოდეს და იმართებოდეს სახელმწიფოს მიერ [1].

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ერევა და აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ბიზნესის განვითარებაში, მასაც არა აქვს უფლება ზედმეტად ჩაერიოს ამ სფეროში. მის ჩარევას თავისი შეზღუდვები გააჩნია. ასე რომ, ბიზნესი და სახელმწიფო მხოლოდ დასაშვები და ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის მისაღები პროპორ-ციულობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულ-დამოკიდებულნი.

ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირება საზოგადოების მოთხოვნილებით ხორციელდება.

ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევა სხვადასხვა ფორმით ვლინდება [4]:

1. გარკვეულად ზღუდავს ამა თუ იმ სფეროს განვითარებას და ამა თუ იმ საქონლის წარმოებას;
2. აყალიბებს სამართლებრივ ბაზას და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ატმოსფეროს, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესისა და, საერთოდ, საბაზრო სისტემის ეფექტურობას;
3. იცავს კონკურენციას;
4. ასტიმულირებს ამა თუ იმ სფეროს განვითარებას და ამა თუ იმ საქონლის წარმოებას;
5. ახალისებს მონოპოლიას;
6. ახდენს ფასების ფიქსირებას, გაყინვას და ა.შ.
7. ადგენს საგადასახადო ნორმებს, განაკვეთებს და ა.შ.
8. ახდენს შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილებას;
9. ახდენს დასაქმებისა და ინფლაციის დონის კონტროლს;
10. იცავს სოციალურ და ეკოლოგიურ წონასწორობას;

სახელმწიფოს ჩართვა ბიზნესში კერძოდ, იმაში გამოიხატება, რომ სოციალური და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის მოთხოვნების შესაბამისად აკონტროლებს, ასტიმულირებს და არე-გულირებს ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების, კავ-შირგაბმულობის, წყალმომარაგების, სანიტარული სამსახურებისა და სხვათა განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სფეროები მთლიანად კონკურეციაზე იქნებოდნენ დამოკიდებული, რასაც შეიძლება დიდი სირთულეები მოჰყოლოდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით [6].

სახელმწიფოს ჩართვა ბიზნესში იმაშიც გამოიხატება, რომ სპეციალური კანონების ძალით განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმ-ყოფება ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, ფასიანი ქაღალდების ბირჟები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, საკრედიტო კომპანიები და სხვ.

განსაკუთრებით ვლინდება სახელმწიფოს როლი საგადასახადო მექანიზმში, ეს მექანიზმი სხვადასხვა ქვეყანაში მკვეთრად განსხვავებულია. მაგალითად, შვეიცარიაში მისი ძირითადი მოტივაციაა ის, რომ მიღწეულ იქნეს შესაძლო გამოთანაბრება მაღალ და დაბალშემოსავლიან მუშაკს შორის.

ზოგიერთი ქვეყნის საგადასახადო მექანიზმი ზედმეტად ჰუმანური, ზოგან კი ზედმეტად შემზღუდველია. ძირითადი პრინციპი ის უნდა იყოს, რომ მან, ჯერ ერთი, შეწონასწორებულად უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი შევსება, და, მეორეც, ბიზნესმენთა, მეწარმეთა, ბანკირთა და სხვათა სტიმულირება და არა შებოჭვა.

საგადასახადო მექანიზმი, პერიოდულად, ეტაპების მიხედვით უნდა კორექტირდებოდეს, იხვეწებოდეს და ვითარდებოდეს. მისი მოტივაცია უნდა იყოს სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთმარეგულირებელი და ურთიერთშეპირობებული განვითარება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცების გათვალისწინებით [7].

სახელმწიფოს როლი ბიზნესის განვითარებაში განსაკუთრებულად უნდა გამოვლინდეს ფულად-საკრედიტო და საფინანსო საბანკო ურთიერთობებში.

სახელმწიფომ სტიმული უნდა მისცეს იმ ინვესტიციებსა და საგარეო ეკონომიკურ კავშირებს, რომლებიც ყველაზე მეტადაა გამართლებული და რომლებსაც სტრატეგიული და ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას, სოციალური კლიმატის გაუმჯობესებას.

სახელმწიფომ ძირითადად უნდა გააკონტროლოს ეროვნული ვალუტა და მისი კონვერტირება, ინფლაცია და სხვა პროცესები, რაც ფულთან არის დაკავშირებული, ბანკების ფუნქციონირება ეროვნული სახელმწიფო ბანკის მეშვეობით და ა.შ.

ბიზნესის რეგულირების პროცესში სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციებია:

1. სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;
2. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა;
3. ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად რესურსების გაადგილებაზე ზემოქმედება;
4. შემოსავლის განაწილებაზე ზემოქმედება;

ბიზნესის რეგულირებაში დადებით როლს თამაშობს იაპონიის სახელმწიფო, მას გააჩნია თავისებურებანი, კერძოდ ეს არის [8]:

1. სახელმწიფო პოლიტიკაში მკაცრად განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულება და მისი განხორციელების ორიგინალური მექანიზმი, რომლის დროსაც განსაზღვრავენ ეკონომიკის განვი-

თარების წამყვან პროფილს, რომელზეც ხდება ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაცია. მაგალითად, 40-იან წლებში პრიორიტეტი მიენიჭა ფოლადსასხმელ და ქვანახშირის მრეწველობას, 50-იან წლებში – მანქანათმშენებლობას; 60-იან წლებში – ავტომობილმშენებლობას, ელექტრომოწყობილობის წარმოებას; დღეისათვის ელექტროგამომთვლელი და ინფორმაციულ-გადამამუშავებელი ტექნიკის განვითარებაა წინ წამოწეული;

2. შეუნელებელი ზრუნვა ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, ამ მიმართულებით სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინფრასტრუქტურის განვითარებას ბიუჯეტის სახსრებით, ნეოპროტექციონიზმის, მაგალითად, ბრინჯის წარმოებისადმი განსაკუთრებული ხელის შეწყობა;

3. ისეთი ორგანიზაციული ფორმების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და იაპონური საქონლის კონკურენტუნარიანობის ზრდის შესაძლებლობას იძლევა;

საყურადღებოა, რომ სწორედ დღეს დაედო საფუძვლად ფუნდამენტური პრინციპი პრივატიზაციის იაპონურ პროგრამას, რომელიც 70-იან წლებში დაიწყო.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირება იაპონიაში ძირითადად ეროვნულ ნიშან-თვისებებს ეყრდნობა, ამავე დროს, იგი ორიენტირებულია შრომის საერთაშორისო დანაწილების მოთხოვნებსა და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის პროცესზე, ეს მიუთითებს იმაზე, რომ იაპონიის სახელმწიფო თვითონ გამოდის ქვეყნის ძირითადი მენეჯერის როლში, რაც ძალზე საყურადღებოა ბიზნესის თანამედროვე გააზრების თვალსაზრისით.

იაპონიაში სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებას საუკუნოვანი ისტორია აქვს. დღეს იქ სახელმწიფო კრძალავს მარცვლეულის და ბრინჯის იმპორტს და ქვეყანა მასზე მოთხოვნილებას 100%-ით აკმაყოფილებს. თუმცა, ეს უფრო ძვირი უჯდებათ. იაპონია ინარჩუნებს ამ პროდუქტებზე 8-ჯერ უფრო მაღალ საშინაო ფასებს ბრინჯის მსოფლიო ფასებთან შედარებით. იაპონიაში სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მინიმალური და მაქსიმალური ფასებია დაწესებული. მინიმალური ფასების გაანგარიშება ხდება ფაქტობრივი თვითღირებულების გათვალისწინებით. აქ ფართოდაა დანერგილი სახელმწიფო შესყიდვის პოლიტიკა. ხელისუფლება ფინანსური დოტაციების მეშვეობით ფერმერებს უხდის იმ თანხაზე რამდენჯერმე მეტს, ვიდრე თვითონ სთავაზობენ მომხმარებელს.

ამრიგად, ეკონომიკის იაპონურ მოდელში არსებითი სპეციფიკით ხასიათდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, სახელმწიფოსა და აგრობიზნესს შორის ურთიერთობა, რასაც საფუძვლად უდევს ღრმა ეროვნული ტრადიციები და ემყარება პარტნიორობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ იაპონიაში სახელმწიფოს მიერ რეგულირებად სფეროებში იწარმოება სოფლის მეურნეობის პროდუქციის 86%. აქ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მთლიანობაში, სახელმწიფო ხელმძღვანელობს რეგულირების ფართო არსენალის გამოყენებით. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო და აგრობიზესი თანაბრად ინაწილებენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების შედეგებზე პასუხისმგებლობას. სოფლის მეურნეობაში შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და საცდელი სადგურები, ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კოოპერატივი, საზოგადოება, ასოციაცია, კავშირები ფერმერთა გაერთიანებისა და დახმარების აღმოსაჩენად. იაპონიაში ყველა ფირმა გაერთიანებულია ერთ ან რამდენიმე კოოპერატივში, რომელთა რაოდენობა 9 ათასზე მეტია. კოოპერატივები მრავალფეროვან და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ გლეხებს. ყოველივე ამის საფუძველზე იაპონიის სოფლის მეურნეობა გახდა მაღალპროდუქტიული და თანამედროვე ფერმერული მეურნეობის სახე მიიღო, რომელიც ახალი ტექნოლოგიური წარმოების წესს ემყარება. ამის შედეგია ის, რომ სოფლის მეურნეობით დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა 1970-2000 წლებში თითქმის 65%-ით შემცირდა [4].

კორეის რესპუბლიკაშიც ეფექტიანი ღონისძიებები ხორციელდება აგრარული სექტორის მოდერნიზაციისათვის. ამასთან, როგორც სახელმწიფოს, ასევე მოზიდული სახსრებით ფინანსდება სხვადასხვა პროგრამა სოფლად, როგორიცაა: კოოპერაციული ფირმებისა და გადამამუშავებელი ფაბრიკების ორგანიზაცია და მშენებლობა, თანამედროვე აგროტექნიკის დანერგვა და გლეხთა დახმარება საცხოვრებელი ბინების მშენებლობასა და რემონტში და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ კორეის რესპუბლიკის აღორძინება დაიწყო აგრარული საკითხის გადაჭრით. სწორედ ამ სფეროში წარიმართა პირველი მსხვილი ინვესტიციები, გადიდდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები და ა.შ.

აშშ-ს აგრარული სექტორის წამყვან ფერმერულ მეურნეობათა საქმიანობაში დიდ როლს ასრულებს ყველა დონის მთავრობა, ეს უწინარესად გამოიხატება სავარგულთა ეფექტიანად გამოყენების, კერძოდ – მიწის ნაყოფიერების ამაღლებაზე ზრუნვით. ეხმარება ფერმერებს სხვადასხვა კრედიტით, აწყობს მათთვის სემინარებსა და კონსულტაციებს, აწვდის ფართო ინფორმაციას უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის და

საერთოდ ახალი ტექნოლოგიების შესახებ მსოფლიო მასშტაბით. მსგავსი ღონისძიებებით მთავრობა უზრუნველყოფს ქვეყნის მთავარი სიმდიდრის – მიწის დაცვა-შენარჩუნებას, მისი ბუნებრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას.

აშშ-ში ფერმერულ მეურნეობათა რაოდენობა მცირდება, ხოლო მათი საშუალო სიდიდე და ფერმერთა შრომის მწარმოებლურობა იზრდება. მაგალითად, 1945-1995 წლებში ფერმერთა რაოდენობა შემცირდა 5,9 მლნ-დან 1,9 მლნ-მდე, ხოლო მათი საშუალო ფართობი ამაღლდა 79 ჰა-დან 199 ჰა-მდე. რაც შეეხება შრომის მწარმოებლურობას, აშშ-ს ფერმერთა მაჩვენებლები ძალზე მაღალია: თუ განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში ერთი დასაქმებული ძლივს გამოკვებავს ოჯახს, იაპონიაში ერთი ფერმერი 14 კაცს, დასავლეთ ევროპაში – 19-ს, ხოლო აშშ-ში კი – 59 კაცს, ამის საფუძველია რთული და მაღალმწარმოებლური ინფრასტრუქტურა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სახელმწიფოს ამა თუ იმ ფორმით მეურვეობა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის დარგში სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე დანახარჯები აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის 4,5%-ს შეადგენს, რაც ერთ ჰექტარ სახნავზე საშუალოდ 410 დოლარის სახელმწიფო სუბსიდიების ტოლფასია. ეს მაჩვენებელი ლატვიაში შეადგენს 150 ევროს. აშშ-ში ფერმერთა პირდაპირი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ოდენობამ შეადგინა 2001 წ. 20013 მლრდ; დოლარი, რაც თითქმის 3-ჯერ აღემატება 1997 წლისას. ამასთან მასში არ შედის სხვადასხვა სახეობის არაპირდაპირი დახმარება, რაც ფერმერთა ფინანსური დახმარების არანაკლებ 50% შეადგენს [4].

სათანადო მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ევროკავშირში, აშშ-გან განსხვავებით, აგრარული სექტორისადმი მხარდაჭერას პროგრამული ხასიათი აქვს. გატარებული ღონისძიებები უფრო მრავალფეროვანი, კანონმდებლობით რეგლამენტირებული და ფართომასშტაბიანია. ევროკავშირის ქვეყნების აგრარული სექტორი რეგულირდება ორ დონეზე: 1. ცალკეული სახელმწიფო მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და 2. თვით ევროკავშირის ერთიანი სტრუქტურების მეშვეობით.

საბერძნეთში 2000-2006 წლებში მოქმედებდა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა. პროგრამის მთლიანი ღირებულება იყო 2684,4 მლნ ევრო. ამავე დროს, 993,4 მლნ ევრო – გრანტის სახით ეძლეოდა ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო კომისიისაგან. პროგრამა მოიცავდა ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონს და დამატებით დასაფინანსებელ ღონისძიებებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა 2000-2006 წწ. ჰოლანდიაში მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო სექტორის რესტრუქტურიზაციას. პროგრამის მთლიანი ღირებულება შეადგენდა 1057,39 მლნ. ევროს, მ.შ. ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელობის დახმარებას – 417 მლნ ევროს [7].

სახელმწიფო მხარდაჭერა ავსტრიის სოფლის მეურნეობისათვის აღნიშნულ პერიოდში მოიცავდა 421,07 მლნ ევროს, აქედან ევროკავშირის წილი იყო 178,07 მლნ და ა.შ.

საქართველოში, მრავალი მიზეზის გამო, სოფლის მეურნეობა, მთლიანობაში, ზარალიანია, ხოლო მიწა, რომელიც საბაზრო ურთიერთობის აუცილებელი ელემენტია და ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქონლიანობას, ფაქტობრივად, ვერ ასრულებს ამ ფუნქციას, რამდენადაც მიწის საკუთრებამ ვერ მიიღო ადეკვატური საბაზრო შინაარსი და ის ეკონომიკურად არ რეალიზდება. მიწების დანიშნულებისამებრ გამოყენების სტიმულირება, მისი გადანაწილება ეფექტიანად მომუშავე მეურნე სუბიექტებს შორის, სახელმწიფოებრივ დარეგულირებას საჭიროებს. მთლიანობაში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის კრიზისული მდგომარეობის მიზეზები, ასევე მისი დაძლევის გზები, არსებითად, დარგს გარეთაა – მაკროეკონომიკურ რეგულირებაში დევს. საკუთრივ სოფლის მეურნეობას ზრდის დიდი შიგა რეზერვები, შემოსავლიანობისა და რენტაბელობის ამაღლების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გააჩნია, რისი რეალიზებაც მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევითაა შესაძლებელი. ამასთან, სახელმწიფოს როლი არ დაიყვანება მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერაზე. სოფლის მეურნეობის აღმავლობა, მისი საქონლიანობისა და ეფექტიანობის ამაღლება მოითხოვს სპეციალურად შემუშავებულ სახელმწიფოებრივ, სისტემური ხასიათის სტრატეგიულ პროგრამას, რომლის რეალიზებაში გადამწყვეტი როლი ასევე მთავრობამ უნდა შეასრულოს. საქართველოსათვის სადღეისო აგრარულ პრობლემათა გონივრული გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის ქვეყნებში ფერმერულ მეურნეობათა და საერთოდ აგრარული სექტორის ფუნქციონირებაზე სახელმწიფოს ზემოქმედების გამოცდილების შესწავლა-განზოგადება.

თანამედროვე ეტაპზე სასურსათო პრობლემის სპეციფიკა უნდა განიხილოს გლობალურ, კონტინენტალურ და ეროვნულ დონეებზე მისი გადაწყვეტის აუცილებლობის გათვალისწინებით. არსებული სასურსათო სიტუაცია მოითხოვს საგანგებო ზომების მიღებას როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა მიერ, ასევე მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობის დონეზე, აგრობიზნესის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, დღის წესრიგში

აყენებს მსოფლიო სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი უკვე დამკვიდრებული და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენას. საგულისხმოა, რომ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიოში შეინიშნებოდა სახნავი მიწების სტაბილურად გაფართოების ტენ-დენცია, რომელმაც ამ დროისათვის 1 მლრდ ჰა-ს გადააჭარბა. სურსათის და პირველ რიგში მარცვლეულის წარმოების მოცულობის ზრდა ძირითადად მიიღწეოდა ექსტენსიური ფაქტორების ამოქმე-დების გზით. მაგრამ, უკვე 60-იანი წლების დასაწყისისათვის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, ამოწურეს რა მათ ეს რეზერვი, მთლიანი მოსავლის მატების 80%-ს აღწევდნენ უპირატესად ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე. ნათესი ფართობების გაფართო-ების ტენდენცია კი დამახასიათებელი გახდა მხოლოდ განვითა-რებადი ქვეყნებისათვის [3].

განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოებისა და სასურსათო კომპლექსის რეგულირებისათვის გამოიყენება მრავალი სხვადასხვა ზომა და სხვადასხვა მექანიზმი, თუმცა სოფლის მეურ-ნეობის პირდაპირი სუბსიდირების დონემ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის ამ, მსოფლიო სავაჭრო ორგა-ნიზაციის მიზანდასახულობების შესაბამისად, საგრძნობლად დაიკ-ლო. აგრობიზნესში არსებობს არა მარტო სახელმწიფო რეგუ-ლირება, არამედ კოორდინაცია მეწარმეების მხრიდან.

საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დაშვებულ ფარგლებში პირდაპირი სუბსიდირებისა და ზოგიერთ სხვა ფორ-მასთან ერთად ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებულში, არსებობს სოფლის მეურნეობაში და მისი პროდუქციის ბაზრებზე წაწევის ქსელში მეწარმეობის რეგულირების სხვადასხვანაირი ინსტიტუციური და ორგანიზაციული ფორმა. ასე, მაგალითად, სასურსათო ბაზრის რეგულირებას კანადაში ახორციელებს მწარმოე-ბელთა 330 ასოციაცია (ხორბლის, შვრიის, კარტოფილის, რძის, ხორცის და მრავალი სხვა) და აკონტროლებს 120 პროვინციული სავაჭრო დეპარტამენტი. ამასთან, ერთი და იგივე ფერმერი შეიძლება იყოს რამდენიმე მწარმოებელთან ასოციაციისა და სავაჭრო გაერთიანების წევრი. ასოციაციების მეშვეობით ნაწილდება სუბსი-დიები და დოტაციები. ასოციაციებს სამინისტრო აძლევს გარანტიებს კრედიტებზე სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისათვის. სხვა ქვეყნებში სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ხელშეწყობისათვის ასევე გამოიყენება ინსტიტუციურ-ორგანიზა-ციული ფორმა. ესპანეთში, საფრანგეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში ამ ამოცანათა გადაწყვეტა ხდება საბითუმო სასურსათო ბაზრების მეშვეობით. ნიდერლანდებში სასურსათო ბაზრის რეგუ-ლირება ხორციელდება ორ დონეზე: ევროკავშირის საერთო სასურ-

სათო ბაზრის ჩარჩოებში და ეროვნულ დონეზე. აგრობიზნესის რეგულირებას ძირითადად ახორციელებენ დარგობრივი აგროსამრეწველო ორგანიზაციები (კავშირები), რომლებშიც წარმოდგენილია აგრობიზნესის ყველა რგოლის ინტერესი – მწარმოებლიდან მომხმარებლამდე [4, გვ 151].

მოყვანილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საბაზრო ურთიერთობები, სახელმწიფო მაინც გამოდის სოფლის მეურნეობაში ეკონომიკის ძირითად მარეგულირებელ რგოლად, გამოყოფს უდიდეს დახმარებებს აგრობიზნესის შემდგომი განვითარებისათვის, ყოველნაირად უწყობს ხელს ფერმერული მეურნეობის განვითარებას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ არის მხოლოდ კერძო საკუთრებაზე გადასვლა, სახელმწიფოს ჩაურევლობა, ფასების ქაოსური ზრდა, თვითნებობა და განუკითხაობა – პირიქით, იგი გულისხმობს დემოკრატიულ მართვას, კანონისა და კანონიერების უზენაესობას. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს აგრობიზნესში ეკონომიკურ ურთიერთობათა ოპტიმალური რეგულირება მიზნობრივად შემუშავებული პროგრამების განხორციელებით. სამწუხაროდ, ასეთი პროგრამები (ერთეული გამონაკლისის გარდა) ჩვენთან არ დამუშავებულა.

სახელმწიფოს მიერ ასკ-ის პროდუქციის ბაზრის რეგულირება მოიცავს მიწოდების, მოთხოვნისა და საბაზრო ფასების მხარდაჭერის ღონისძიებებს. სპეციალისტების აზრით, აგრარული ბაზრის რეგულირების მეთოდთაგან უმთავრესია სამი: საბაჟო, რაოდენობრივი და ფასებით რეგულირება. რაოდენობრივი რეგულირების დროს სახელმწიფო ბაზარზე ყიდულობს ნამეტ პროდუქციას და ყიდის, როდესაც მათი ნაკლებობა იგრძნობა, ხოლო ფასების რეგულირება გულისხმობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შესასყიდ ფასებზე ზემოქმედების და საწარმოო რესურსების შესყიდვის დოზირებას. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ საქართველოში, თანამედროვე სიდუხჭირის პირობებში, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული აგრარული ბაზრის საბაჟო რეგულირება, რადგან დანარჩენი ორი სახის ღონისძიების გასატარებლად საკმარისი თანხები ქვეყანას ჯერჯერობით არ გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., სახელმწიფოს დახმარების გარეშე მცირე მეწარმეობა ვერ განვითარდება. გაზ. „ბანკები და ფინანსები”, 12 აგვისტო, 2009.

2. აბესაძე რ., ბურდული ვ., სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა მისი გამოცოცხლების და მდგრადი

განვითარების აუცილებელი პირობაა. შოთა რუსთაველის სახელობის ახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომების კრებული, ბათუმი, 2011.

3. ბაკაშვილი ნ., მესხიშვილი დ., სახელმწიფოს როლი გლობალური სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრ. კრებული, ბათუმი, 2011.

4. გოგოხია რ., აგრარული კრიზისის დაძლევა სახელმწიფო პრეროგატივაა.. „გამომცემლობა აჭარა", ბათუმი, 2007.

5. რუხაძე ს., აშშ-ის აგროსამრეწველო კომპლექსი: სახელმწიფო რეგულირების საკითხები, 1994.

6. პაპავა ვლ., სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში, „ეკონომიკა", № 7-9, 1995.

7. ქავთარაძე თ., აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. „მეცნიერება", თბილისი, 2003.

8. Курицын А. Н. Управление в Японии М., Наука, 1981.

Tengiz Kavtaradze

EXPERIENCE OF STATE REGULATION OF AGRIBUSINESS IN FOREIGN COUNTRIES

Annotation

The main reason of complicated crisis of national agriculture lies in the sphere of macroeconomic regulation; and the functioning of the resources for its overcoming is able only with the help of state. In Georgia for reasonable solution of present agrarian problems is very important the study and generalization of experience of state influence on the functioning of farms and, generally, agrarian sector in foreign countries. There exists an opinion that for the improvement of agribusiness reformation must be elaborated sectoral programs corresponding to scientific, complex-purposeful sectoral programs adequate to phasic conception with regard for macro – and micro economic processes, where state regulation trend shall be marked out.

მამუკა ხუსკივაძე
ზურაბ ნოზაძე

გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოში

გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, ანუ პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესი სხვადასხვა სა-

ხის ნეგატიური შედეგებით ხასიათდება, რომელთა შორის ძალზე მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ხასიათის პრობლემები.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გარემოსდაცვითი ეკონომიკური პრობლემების უმრავლესობის გენეზისი მოხდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პირობებში და გაღრმავდა პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესში.

როგორც ცნობილია გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები გამოიხატება გარემოზე უარყოფითი ანთროპოგენური და ბუნებრივი ზემოქმედების შედეგად ატმოსფერული ჰაერის, წყლის რესურსების, მიწის რესურსებისა და სხვა კომპონენტების გაჭუჭყიანებით წარმოქმნილი ზარალის ეკონომიკურ შეფასებაში. ხოლო ეკონომიკური ზარალი, თავის მხრივ, წარმოადგენს იმ დანახარჯებს, რომელიც საჭიროა გარემოს გაჭუჭყიანების შედეგად მოსახლეობის, მრეწველობის, სოფლისა და ტყის მეურნეობისადმი და ა.შ. მიყენებული ზიანის ღმოსაფხვრელად.

გაჭუჭყიანებული გარემო უარყოფითად ზემოქმედებს მასში მოქცეულ რეციპიენტებზე მოსახლეობაზე, სატყეო მეურნეობაზე, წყლის ობიექტებზე, სამრეწველო ობიექტებზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე და სხვა. უარყოფითი ზეგავლენა ვლინდება სოციუმის ცხოვრების პირობების გაუარესებაში, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის პროდუქტიულობის დაქვეითებაში და ა.შ.

პრაქტიკაში არსებობს ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის სამი აპრობირებული მეთოდი:

1. პირდაპირი რეგულირება, რაც გამორიცხავს საბაზრო ბერკეტების გამოყენებას და ეფუძნება ნორმატიულ-სამართლებრივი ინსტრუმენტების, ადმინისტრაციული ღონისძიებების, დირექტიული რეგლამენტირების მეთოდის და ა.შ. გამოყენებას;

2. ეკონომიკურ-ეკოლოგიური სტიმულირება, რაც ემყარება საბაზრო კანონებისა და ინსტრუმენტების გამოყენებას;

3. შერეული მეთოდი, სადაც გაერთიანებულია ცენტრალიზებული რეგულირებისა და ეკონომიკურ-ეკოლოგიური სტიმულირების მექნიზმები

გეგმიური ეკონომიკური სისტემის დროს ბუნებათსარგებლობის სფეროში პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა ეკონომიკური მეთოდები, ბუნებრივი რესურსები განიხილებოდა უფასო სიმდიდრედ და მისგან წარმოებულ პროდუქციაზე დირექტიულად დადგენილი ფასები საწარმოებს მისი შეუზღუდავი გამოყენებისაკენ უბიძგებდა ბუნებრივ სიმდიდრეზე სახელმწიფო მონოპოლიის არსებობა ასევე განაპირობებდა მის არარაციონალურ და არაოპტიმალურ გამოყენებას. გარემოს სისუფთავის ხარისხზე კონტროლი და მისი მართვა

დამყარებული იყო ეკოლოგიური ნორმატივებისა და სტანდარტების სისტემაზე (მაგალითად, ჰაერსა და წყალში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ამსახველი პარამეტრები), თუმცა ადგილი ჰქონდა მხოლოდ დეკლარირებულ ეკონომიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობას ამგვარი ნორმატივებისა და სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში. ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროს სახელმწიფო რეგულირების სფეროში პრევალირებდა დარგობრივი მიდგომა, რაც არ ითვალისწინებდა ეკოლოგიური სისტემების ტერიტორიულ და ბუნებრივი ობიექტების სისტემურ ხასიათს.

პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილების ანალიზმა და ამ ქვეყნებში შექმნილმა ეკოლოგიური სიტუაციის შეფასებამ დაადასტურა ზემოთ აღნიშნული ეკოლოგიური პოლიტიკის პირველი გზის არაეფექტიანობა ეკოლოგიზირებული ეკონომიკური ზრდის მიღწევის საქმეში. საბოლოოდ, საერთო-სახელმწიფოებრივმა საკუთრებამ, რესურსების ზეექსპლუატაციამ და გარემოს სისუფთავის ხარისხის არასათანადო კონტროლმა საფუძველი ჩაუყარა მრავალ ნეგატიურ ლოკალურ და გლობალურ ეკოლოგიურ პროცესებს და წარმოშვა ეკონომიკური განვითარების ტექნოგენური ტიპი.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესს შეხვდა ეკონომიკური განვითარების ტექნოგენური ტიპით. ტექნოგენური განვითარება ფაქტობრივად ნიშნავს ბუნებატევად, ბუნებადამანგრეველ განვითარებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია არაადდგენადი ბუნებრივი რესურსების ამომწურავი გამოყენება და ზეექსპლუატაცია აღდგენადი ბუნებრივი პოტენციალის იმ სიჩქარით და მასშტაბებით, რაც აღემატება, მინიმუმ, მარტივ კვლავწარმოებას.

1991 წლიდან, ანუ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისში, ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ცხადია, გავლენა მოახდინა ეკოლოგიურ სიტუაციაზე. ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო საწარმოების მიერ მოხმარებული დაბინძურებული წყლებითა და სასოფლო-სამეურნეო შხამქიმიკატებით წყლის რესურსების გაჭუჭყიანება, იკლო აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მასშტაბებმა. თუმცა, საავტომობილო გზების, საკანალიზაციო და სხვა კომუნალური სისტემების, ჩამდინარე წყლების ფილტრაციის და სხვა სისტემების მოშლამ გაზარდა ეკოლოგიურ პროცესებზე არასამრეწველო სფეროს ზეგავლენა. ფაქტობრივად გაუქმდა საყოფაცხოვრებო და პირადი ნარჩენების შეგროვების სისტემა და შეუძლებელი გახდა მათი მართვის პროცესის განხორციელება. ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული სახელმ-

წიფო კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების გაუარესების გამო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობამ შეუზღუდავი და სტიქიური ხასიათი მიიღო. გაფართოვდა ნიადაგის ეროზიისა და გაუდაბნოების მასშტაბები და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერება.

თავი იჩინა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ნეგატიურმა შედეგებმა გარემოს დაცვის სფეროში. როგორც ცნობილია, მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებისას პირველი მსხვერპლი ხდება დანახარჯები გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1993-94 წლებში საერთოდ არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტიც კი. ამდენად, სათანადო სახსრების არქონის გამო სახელმწიფო ვერარ უზრუნველყოფდა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს სისუფთავის დაცვის მონოტორინგს და ეკოლოგიური სამსახურების დაფინასებას. ამ პერიოდში საერთოდ მოიშალა სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემა გარემოს დაცვის სფეროში.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის დასაწყისში ეკოლოგიურ დესტაბილიზაციას, საბაზრო მექნიზმების არარსებობისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის არაეფექტიანობასთან ერთად, ხელი შეუწყო ახალმა ინსტიტუციურმა პარადიგმამ. კერძოდ, ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლების განუსაზღვრელობამ, მათზე ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის საკუთრების უფლების არასწორმა განაწილებამ ხელი შეუწყო არასწორ ფასწარმოქმნას შემცირების მიმართულებით. ამან გაზარდა მოთხოვნა ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალზე და საფუძველი ჩაუყარა არარაციონალურ ბუნებათსარგებლობას, დააჩქარა მისი დეგრადაცია და ზეექსპლუატაცია.

ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ, ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ცენტრალიზებული რეგულირების მეთოდთან ერთად გადაწყვიტა საბაზრო რეგულატორების დამკვიდრება და შეეცადა მათი ოპტიმალური შეთანაწყობის მოდელის მოძებნას. 1999 წელს შემუშავებულ იქნა ინსტრუქცია მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახდის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ. ამ ინსტრუქციის მიხედვით განისაზღვრა გადასახდის გადამხდელები, დაბეგვრის ობიექტები, გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ჩამონათვალი, გადასახადის განაკვეთები, გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა და შესაბამისი სანქციები. ამავე წელს იქნა შემუშავებული აგრეთვე ინსტრუქცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. ინსტრუქციით დადგინდა გადა-

სახადის გადამხდელები, გადასახადით დაბეგვრის ობიექტები, წიაღით, ტყის ფონდით, საქართველოს „წითელ წიგნში“ შეტანილი მერქნული რესურსების სახეობებით, საქართველოს ტერიტორიაზე გარემოდან ამოღებული მცენარეული რესურსებით, წყლის რესურსებით და ა.შ. სარგებლობსათვის გადასახადის ოდენობა, შეღავათები გადასახადებში, კონტროლის მექანიზმი გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში და სხვა.

მაშასადამე, ამ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 1972 წელს შემოტანილი პრინციპის „გამჭუჭყიანებელი იხდის“ დამკვიდრების მცდელობას.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის აღნიშნულ ეტაპზე ეკონომიკის ეკოლოგიზაციისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფის მიზნით მიღებულ იქნა კანონები: გარემოს დაცვის შესახებ (1996), ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996), ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ (1995), დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996), წიაღის შესახებ (1997), წყლის შესახებ (1997), გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ (1998), ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (1999), კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და დაცვის შესახებ (1998). მიღებულ იქნა, აგრეთვე, საქართველოს ტყის კოდექსი(1999). საქართველოს კანონების გარდა, ამ პერიოდის გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა მოიცავს, ასევე, მთელ რიგ საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებს.

მიუხედავად ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფის მცდელობისა, სერიოზული ნაკლოვანებებით წარიმართა პრივატიზაციის პროცესი ეკოლოგიურ ასპექტში. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ კანონის არარსებობა. პრივატიზაციის პროცესი ფაქტობრივად არ ითვალისწინებდა ეკოლოგიურ საკითხებს და საწარმოებს აძლევდა ეკოლოგიური დანახარჯების არაარსებობის გამო ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომიის საფუძველს. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა შეეძინა უცხოური კომპანიების ეკოლოგიური რეგლამენტაციის საკითხს, ვინაიდან შეიძლებოდა დამდგარიყო ე.წ. „ეკოლოგიური იმპერიალიზმის“ საფრთხე, როცა უცხოურ კომპანიებს გადააქვთ „ჭუჭყიანი“ წარმოება იმ ქვეყნებში, სადაც ეკოლოგიური შეზღუდვები არ არის გამკაცრებული.

შეიძლება ითქვას, რომ 2003 წლამდე საქართველოში ეკოლოგიურად დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების ფორმირებისა და სრულყოფის მიმართუ-

ლებით გატარდა გარკვეული ღონისძიებები. თუმცა, გარემოს სისუფთავის მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო რჩებოდა და კიდევ უფრო მწვავდებოდა გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრობლემები. შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობის გააზრების შედეგად საქართველოს ხელისუფლების მიერ 2001 წელს მიღებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამაში სათანადო ადგილი დაეთმო გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამას, რომლითაც განისაზღვრა განსახორციელებელი ღონისძიებები შესაბამისი მაკროეკონომიკური შედეგებით. მათგან შეიძლება გამოიყოს:

- საქართველოს მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება;
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- ბუნებრივი რესურსების პროდუქტიულობის ამაღლებისა და მათი კვლავწარმოებისათვის ნორმალური პირობების შექმნა;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების სისტემის სრულყოფა და საგადასახადო სისტემის ეკოლოგიზაცია;
- ნიადაგის ეროზიისა და გაუდაბნოების პროცესების შეფასება, პროგნოზირება და მათ წინააღმდეგ მიმართული სპეციალური პროგრამების შემუშავება-რეალიზაცია;
- განახლებადი ენერგეტიკის ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება
- ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და მათი თავიდან აცილების მექანიზმების ფორმირება;
- ეკოლოგიური აღზრდისა და განათლების ხელშეწყობა;
- გარემოსდაცვით საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ინტეგრაცია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროგრამა დროულად და სწორად იყო შედგენილი, თუმცა მასში შემავალი ღონისძიებების უმრავლესობა საერთოდ არ განხორციელებულა, ხოლო ნაწილი მნიშვნელოვანი ხარვეზებით განხორციელდა.

2003 წლიდან, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ეკოლოგიური სიტუაცია ქვეყანაში არ გაუმჯობესებულა და, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო გაღრმავდა გარემოსდაცვითი პრობლემები. ეკონომიკური პროცესების გააქტიურებამ გაზარდა მრეწველობის, ენერგეტიკის, საავტომობილო ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის უარყოფითი ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და მიწის რესურსების სისუფთავის მდგომარეობაზე, არ შემცირებულა პირადი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებით გარემოს გაჭუჭყიანების მასშტაბები.

ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის საკანონმდებლო ბაზა შეივსო შემდეგი კანონებით: ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007), გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007), თბილისის ეროვნული პარკის შესახებ (2007), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის შესახებ (2004), ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ (2007), ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ (2012), საქართველოს ტყის ფონდის მართვის შესახებ (2011) და სხვა.

2003 წლიდან ქვეყანაში გატარებული რეფორმები ნაკლებად ან საერთოდ არ ითვალისწინებდა ეკოლოგიურ ასპექტებს და შეიძლება ეკოლოგიურად არადაბალანსებულ რეფორმებად ჩაითვალოს. ეკოლოგიური რეგულირების სფეროში აქცენტი კეთდებოდა უპირატესად ადმინისტრაციულ მეთოდებზე და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეკონომიკურ-ეკოლოგიური სტიმულირების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა:

- ეკოლოგიური გადასახადები;
- შეღავათიანი დაკრედიტება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მწარმოებლებისათვის მათი სუბსიდირება და სუბვენცირება;
- ეკოლოგიური რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის ფორმირება;
- ეკოლოგიური მომსახურების ბაზრის ჩამოყალიბება;
- გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის ფორმირება და სხვა.

განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემა. ატმოსფერული ჰაერის ძირითად გამაჭუჭყიანებლებს თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ავტოტრანსპორტის, ენერგეტიკისა და მრეწველობის დარგები (ნახ. 1).



ნახ. 1. ატმოსფერული ჰაერის გამჭუჭყიანებლები

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ავტოტრანსპორტით გარემოს დაბინძურების მასშტაბები თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში დღითიდღე იზრდება. მაგ., აშშ-ში მისი წილი მთლიან გაჭუჭყიანებაში უკვე აჭარბებს 63 %-ს. ეკონომიკის ამ დარგის მიერ გარემოს დაბინძურება განსაკუთრებით თავს იჩენს ურბანიზებულ ქალაქებში, ამიტომ ეს პრობლემა მწვავედ დგას თბილისში, სადაც სატრანსპორტო საშუალებების თითქმის 38%-ია თავმოყრილი.

დადგენილია, რომ ადამიანი დღე-დამეში მოიხმარს 12 კუბურ მეტრ ჰაერს, ხოლო ავტომობილი 1000-ჯერ მეტს. სპეციალისტების დასკვნებით, ასევე მიჩნეულია რომ, თუ ერთ კვადრატულ კილომეტრზე ავტომობილების რაოდენობა აღემატება 1000-ს, ის გარემო საერთოდ გამოუსადეგარია საცხოვრებლად.

საქართველოში ბოლო წლებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მატულობს ამ დარგის წილი მშპ-ის მოცულობაში.

ჩვენს ქვეყანაში ავტოტრანსპორტით გარემოს დაბინძურებას განაპირობებს მთელი რიგი მართვადი და არამართვადი ფაქტორები. კერძოდ, საწავავის სახეობები და მათი ხარისხი, მეტეოროლოგიური პირობები, სეზონურობა, ურბანული თავისებურებები, ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობა და ავტომობილების რიცხოვნობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობა. საქართველოში ჭარბობს მეორადი და, ხშირ შემთხვევებში, ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ავტომობილებიდან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა და ტოქსიკურობა დიდწილადაა დამოკიდებული მის ტექნიკურ გამართულობაზე, ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების გადაწევა 2017 წლამდე კიდევ უფრო გააურესებს გარემოს სისუფთავის მდგომარეობას.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო სისტემა უფრო და უფრო მეტად ხდება გლობალური საწარმოო ციკლის აქტიური კომპონენტი და ბოლო წლებში ბევრ ქვეყანაში ფართოდ ინერგება „ზუსტად დროში“(JIT) პრინციპი. ეს არის მარაგების მართვის ეფექტიანი სისტემა, რომელიც გულისხმობს პროდუქციისა და ნედლეულის მიწოდებას ზუსტად საჭირო დროს ზუსტად საჭირო რაოდენობით. ცხადია, ამ დროს იზრდება გადაზიდვების რაოდენობა. ამიტომ, საქართველოში, რომელიც სატრანსპორტო დერეფანს წარმოადგენს, მოსალოდნელია როგორც სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ინტენსივობის, ასევე მისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკურ-ეკოლოგიური შედეგების ზრდა.

საქართველოში, ბოლო წლებში, საინვესტიციო და ბიზნეს-აქტიურობის ზრდის კვალობაზე, გაიზარდა სამრეწველო საწარმოთა

რაოდენობა და მათ შორის მავნე ნივთიერებების გამომშვები საწარმოების რიცხოვნობა (ნახ.2).

	2000	2005	2010	2011	2012	2013
მავნე ნივთიერებების გამფრქვევი საწარმოების რიცხვი	117	153	1059	1365	1398	1835

ნახ. 2. მავნე ნივთიერებების გამომშვები საწარმოების რიცხოვნობა

წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მრეწველობის დარგში გარემოს გაჭუჭყიანების კუთხით განსაკუთრებით გამოსაყოფია შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა), სს „ენერჯიინვესტი“ (საწარმო „აზოტი“), შპს „ჰაიდელბერგცემენტი“ (რუსთავცემენტი და კასპცემენტი) და სხვა გამაჭუჭყიანებლები. ამ და სხვა საწარმოებში წლების განმავლობაში მოძველებული მოწყობილობა-დანადგარების გამოყენება ზრდიდა საწარმოო ტრამვატიზმს, სამრეწველო მოწამვლებს და სხვა ტიპის დაავადებებს. საწარმოთა ხელმძღვანელები დამატებით დაბანდებებს ახორციელებდნენ მხოლოდ საწარმოო და არა გარემოსდაცვით სფეროებში, რაც ზრდიდა სხვაობას საწარმოო სიმძლავრეების ათვისებისა და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის სისტემებს შორის.

ავტოტრანსპორტისა და მრეწველობის დარგებთან ერთად, გარემოს მნიშვნელოვანი გამაჭუჭყიანებელია ენერგეტიკა. ამ დარგიდან გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოშვება (გოგირდის დიოქსიდი და სხვა) გამოწვეულია ქვანახშირის, ნავთობპროდუქტების, ბუნებრივი და თხევადი აირის მოხმარებით. ენერგორესურსების მოხმარების მასშტაბების ზრდამ განაპირობა ამ დარგის ხვედრითი წილის ზრდა გარემოს დაბინძურების საერთო მოცულობაში. მომავალში, ნებისმიერი თანამედროვე ენერგოსისტემის შექმნა (რისი პერსპექტივაც საქართველოს აქვს) უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკურად და ეკოლოგიურად დასაბუთებულ საპროგნოზო შედეგების მიღებას.

ზემოთ აღნიშნულ დარგებთან შედარებით ნაკლებია სოფლის მეურნეობის წილი გარემოს გაჭუჭყიანებაში. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში ქვეყნის ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამების რეალიზაციამ, გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და მეცნიერულად დასაბუთებული ეკოლოგიური ნორმების გათვალისწინების გარეშე (სტანდარტები და ნორმები ნიადაგის მელიორაციაში, განოყიერებაში, ქიმიზაციაში,

რეკულტივაციაში და სხვა), შესაძლებელია გაამწვავოს გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები.

მაშასადამე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოში, თანამედროვე პირობებში, გარემოს კომპონენტების გაჭუჭყიანების მასშტაბები მატულობს, ღრმავდება ეკოლოგიური დეგრადაცია და მწვავდება გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები. აღნიშნული დღის წესრიგში აყენებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების, ბუნებათსარგებლობის ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფისა და ეკონომიკის ეკოლოგიზაციის პრობლემების გადაჭრის აუცილებლობას.

Mamuka Khuskivadze

Zurab Nozadze

ECONOMIC PROBLEMS OF PRESERVATION OF THE ENVIRONMENT UNDER POST-COMMUNIST TRANSFORMATION IN GEORGIA

Annotation

The process of transition from planned to market economy caused radical changes not only in economic, but also in the sphere of the use of natural resources and preservation of the environment. Have been exposed positive as well as negative tendencies and results, to the analysis and estimation of which is dedicated the present article.

Particularly, there are elucidated ecological outcomes and economic problems of the environment preservation policy beginning from post-communist transformation till 2003 and from 2003 till today.

ნუნუ ქისტაური

მედეა მელაშვილი

საქართველოს საგადამხდელო ბალანსის თავისებურებები და მისი სრულყოფის გზები

საგადამხდელო ბალანსი – ეს არის საერთაშორისო ოპერაციების საბალანსო ანგარიში, რაც გამოიხატება უცხოეთიდან შემოსული სავალუტო შემოსავლების და მოცემული ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნებისათვის შესრულებული გადასახადების თანაფარდობით. საერთაშორისო ოპერაციების საბალანსო ანგარიში წარმოადგენს ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების მასშტაბების, სტრუქტურის და ხასიათის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ღირებულებით გამოსახულებას, მის მონაწილეობას მსოფლიო მეურნეობაში. ბოლო დროს, საგადამხდელო ბალანსთან ერთად, რომელიც იძლევა წარმოდგენას ქვეყნებს შორის ფასეულობათა ნაკადების მოძრაობის

შესახებ, დამატებით დგება ქვეყნის საერთაშორისო აქტივების და პასივების ბალანსი, რაც აჩვენებს მის ადგილს საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში მარაგების მაჩვენებლის მხრივ. იგი მიუთითებს, თუ მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის რომელ საფეხურზე იმყოფება ქვეყანა. სხვადასხვა ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამ მაჩვენებლის მიხედვით. ბუღალტრული გაანგარიშებებით საგადამხდელო ბალანსი ყოველთვის უნდა იყოს გაწონასწორებული, თუმცა მისი ძირითადი განაყოფების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადგილი აქვს ან აქტიურ სალდოს – როცა შემოსავლები ჭარბობს დანახარჯებს, ან პასიურ სალდოს – როცა პირიქით ხდება.

საგადამხდელო ბალანსი შემდეგი განაყოფებისაგან შედგება: სავაჭრო ბალანსი (საქონლის გატანა-შემოტანას შორის თანაფარდობა); მომსახურებათა და არაკომერციულ გადასახადთა (ე.წ. „უჩინარ“ ოპერაციათა) ბალანსი; კაპიტალისა და კრედიტების მოძრაობათა ბალანსი.

ისტორიულად, საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების პირველადი ფორმა სწორედ ვაჭრობა იყო. სავაჭრო ბალანსი გვიჩვენებს თანაფარდობას საქონლის იმპორტსა და ექსპორტს შორის და იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჭარბობს, შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური. როგორც წესი, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს გააჩნიათ პასიური სავაჭრო სალდო, ანუ იმპორტი ჭარბობს ექსპორტს და ეს მათ ეკონომიკურად ჩამორჩენილობაზე მეტყველებს. თუმცა, თუკი სავაჭრო ბალანსის დეფიციტს ადგილი აქვს განვითარებულ ქვეყნებში, ეს ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა (მაგ., აშშ) აქტიურად ნერგავს კონკურენტი ქვეყნების (მაგ., იაპონია, დასავლეთ ევროპა, ახალი ინდუსტრიული ქვეყნები) იმპორტულ საქონელს და ეს სულაც არ მიუთითებს რაიმე სახის ჩამორჩენილობაზე. თუკი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის აქტიური სავაჭრო ბალანსი აუცილებელია, როგორც მათი საერთაშორისო ვალდებულებების დაფარვისათვის აუცილებელი სავალუტო რესურსების წყარო, ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებისათვის (იაპონია, გერმანია და სხვ.) აქტიური სალდო გამოიყენება უცხოეთში „მეორე“ ეკონომიკის შესაქმნელად.

„უჩინარი“ ოპერაციების ბალანსი მოიცავს შემოსავლებს და გადასახადებს მომსახურების სფეროში – სატრანსპორტო გადაზიდვები; ელექტრონულად დაზღვევა; ტელესაკომუნიკაციო, სატელეგრაფო, სატელეფონო, საფოსტო და სხვა სახის კავშირგაბმულობა; საერთაშორისო ტურიზმი; სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა; საექსპერტო მომსახურება; უცხოეთში დიპლომატიური, სავაჭრო და სხვა წარმომადგენლობების

შენახვა; საინფორმაციო; კულტურული და სამეცნიერო; რეკლამა; ლიცენზიები; სალიზინგო ოპერაციები; გამოგონებების ჰონორარები; სამხედრო დანახარჯები უცხოეთში და სხვ.

კაპიტალის და კრედიტების მოძრაობის ბალანსი წარმოადგენს სახელმწიფო და კერძო კაპიტალის გატანა-შემოტანის თანაფარდობას.

საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე ზემოქმედებს რიგი ფაქტორები:

1. სხვადასხვა ქვეყნების არათანაბარი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე, საერთაშორისო კონკურენცია. ძალიან დიდი ხანი ამ მხრივ ჩამოყალიბებული იყო ე.წ. მონოცენტრისტული სისტემა აშშ-ის ლიდერობით, მოგვიანებით აშშ-ს ერთლიდერული ბატონობა შეარყიეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და იაპონიამ, ხოლო შემდგომ ამ პროცესში აქტიურად ჩაებნენ ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (სინგაპური, მალაიზია);

2. ეკონომიკის ციკლური რყევები;

3. ეკონომიკის მილიტარიზაცია და სამხედრო ხარჯები;

4. საერთაშორისო ფინანსური ურთიერთდამოკიდებულების ზრდა;

5. საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურული ცვლილებები (ტრადიციულ სავაჭრო საქონელთან ერთად, სულ უფრო წინ იწევს მომსახურებებით ვაჭრობა);

6. სავალუტო-ფინანსური ფაქტორები (ინფლაცია, დევალვაცია, რევალვაცია);

7. საგანგებო მდგომარეობები (სტიქიები, კატასტროფები და მსგავსი მოვლენები).

საგადამხდელო ბალანსი წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ ობიექტს, მისი რეგულირების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს:

1. სახელმწიფო საკუთრება, მ.შ. ოფიციალური სავალუტო და ოქროს რეზერვები;

2. ეროვნული შემოსავლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გადასანაწილებელი წილის ზრდა (განვითარებულ ქვეყნებში 50%-მდე);

3. სახელმწიფოს, როგორც კაპიტალის ექსპორტიორის, კრედიტორის, გარანტის, გამსესხებლის უშუალო მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში;

4. საერთაშორისო-ეკონომიკური ოპერაციების რეგლამენტაცია სახელმწიფოს ნორმატიული აქტების და სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მეშვეობით.

ასე რომ, საგადამხდელო ბალანსის სახელმწიფო რეგულირება ნიშნავს სახელმწიფოს ეკონომიკური (მ.შ. ფინანსური, სავალუტო,

ფულად-საკრედიტო) ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია საგადამხდელო ბალანსის ძირითადი სტატიების ფორმირებისაკენ. სახელმწიფოს ხელშია ღონისძიებათა მთელი არსენალი, რომლებიც შეიძლება მიმართულ იქნეს როგორც ექსპორტის სტიმულირების, ასევე საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების შეკვეცისაკენ, გამომდინარე ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან. დეფიციტური საგადამხდელო ბალანსის მქონე ქვეყნები, როგორც წესი, ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებებს ექსპორტის სტიმულირების, იმპორტის შემცირების მიმართულებით. მათ შორის:

1. დეფლაციური პოლიტიკა – შიდა მოთხოვნებზე საბიუჯეტო დანახარჯების შემცირება, ფასების და ხელფასების გაყინვა ეკონომიკური ვარდნის, უმუშევართა უზარმაზარი არმიის არსებობის პირობებში. ეს პოლიტიკა იწვევს ეკონომიკის კიდევ უფრო ვარდნას, სოციალური კონფლიქტების გამწვავებას;

2. დევალვაცია – ასტიმულირებს ექსპორტს მხოლოდ საქონლის საექსპორტო პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის, ასევე მსოფლიო ბაზარზე სათანადო სასიკეთო სიტუაციის პირობებში. აძვირებს რა იმპორტს, დევალვაციას შეუძლია გამოიწვიოს ფასების ზრდა და თუმცა შეიძლება მდგომარეობის დროებითი გაუმჯობესება გამოიწვიოს, დადებით შედეგებს საბოლოოდ მაინც ვერ გამოიღებს;

3. საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – საბიუჯეტო სუბსიდიები ექსპორტიორებს, საიმპორტო გადასახადების პროტექციონისტული გაზრდა და ა.შ.;

4. სპეციალური ღონისძიებები – სახელმწიფოს პირდაპირი და ირიბი მონაწილეობა ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაში, სამუშაო ძალის მიგრაციის რეგულირება და ა.შ.

თუმცა დაბალანსების საუკეთესო მეთოდად ითვლება ოფიციალური სავალუტო რეზერვების გამოყენება, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა შეღავათიანი კრედიტები, რომლებსაც ქვეყნები იღებენ სხვა ქვეყნებისგან. ამის გამო საგარეო დავალიანება ბოლო დროს გლობალურ პრობლემად გადაიქცა.

საგადამხდელო ბალანსის რეგულირების მსოფლიო გამოცდილება მიუთითებს ეროვნული ეკონომიკების საგარეო და საშინაო გაწონასწორების მიღწევის სიძნელეზე. ეს აძლიერებს ორ ტენდენციას – პარტნიორობა და შეუთანხმებლობა – აქტიური და პასიური ბალანსის მქონე ქვეყნების ურთიერთობებში და, სწორედ ამის გამო, საგადამხდელო ბალანსის დაბალანსების პრობლემა ხშირად იწვევს სახელმწიფოთაშორის გაუგებრობებს.

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ტენდენციაა ის, რომ მსოფლიო მშპ-ში მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების

წილი მცირდება, ხოლო დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონეთა წილი იზრდება. ეს აიხსნება იმით, რომ მრავალი, ახლო წარსულში ჩამორჩენილი ქვეყანა საერთაშორისო ბაზრებზე აქტიურად მონაწილეობს და ეკონომიკურ ზრდას და საგადამხდელო ბალანსის აქტიურ სალდოს აღწევს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოთა კეთილდღეობა მსოფლიო მეურნეობაში მათი მონაწილეობის ხარისხით განისაზღვრება, რასაც სწორედ გლობალიზაციის პროცესი განაპირობებს. მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში აქტიური მონაწილეობით ეს ქვეყნები მაღალ კონკურენტუნარიანობას აღწევენ და საგადამხდელო ბალანსის დადებითი სალდოთი ხასიათდებიან. ეს ეხება უპირატესად განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს (ამ დროს პოსტსაბჭოთა და ჩამორჩენილ ქვეყნებს საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო გააჩნიათ).

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აქაც, სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მსგავსად, იწყება ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც ე.წ. „შოკური თერაპიის" მეთოდებით წარიმართა. სხვა მეტად მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დღის წესრიგში დადგა, შეემუშავებინათ ქვეყნის დამოუკიდებელი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. 1992 წელს შემოღებულ იქნა ერთიანი საბაჟო ტარიფები. იმპორტი იბეგრებოდა 2, ხოლო ექსპორტი 8 პროცენტით. ბუნებრივია, ეს იმპორტის სტიმულირებას უწყობდა ხელს და ახშობდა სამამულო საწარმოო პოტენციალს. გამოდის, რომ ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა თავიდანვე მცდარად შემუშავდა.

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქართველოს დღემდე არც ერთი სამეურნეო პერიოდი არ დაუმთავრებია არათუ დადებითი, გაწონასწორებული სავაჭრო ბალანსითაც კი. არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა იმპორტსა და ექსპორტს შორის. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ საექსპორტო ნომენკლატურაში დასახელებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი ნედლეულია (იაპონია, როგორც ვიცით, ახორციელებს ნედლეულის იმპორტს და მაღალი მწარმოებლურობიდან გამომდინარე, მზა პროდუქციის მნიშვნელოვან ექსპორტს. საქართველოში შექმნილი სიტუაცია დიამეტრალურად განსხვავდება იქაური ვითარებისაგან – ვართ ნედლეულის ექსპორტიორი და სხვა ქვეყანაში წარმოებული მზა პროდუქციის იმპორტიორი, რაც საქართველოში არსებულ წარმოების დაბალ დონეზე მიუთითებს). 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ექსპორტის შემადგენლობაში მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებს ისეთი დასახელების პროდუქცია, როგორიცაა: ფეროშენადნობი, კაკალი, დამუშავებული ან ნახევრად დამუშავებული ოქრო, ჯართი, ცემენტი და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საგადამხდელო ბალანსი დღემდე უარყოფითი სალდოთი ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია წარმოების განუვითარებლობით, ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით, 2006 წლის რუსეთის ემბარგოთი ქართულ საქონელზე, გადატანილი ომებით, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაბალი მსყიდველობითუნარიანობით, შიდა ბაზრის სიმცირით, საკმაოდ დიდი მოცულობის საგარეო ვალით და ა.შ.

ყოველივე ამან უმწვავესი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, რაც უძლიერეს სტიმულს აძლევს ქართულ ეკონომიკას განვითარების ოპტიმალური გზების მოძებნისა და შემდგომი განვითარებისათვის.

2013 წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები ექსპორტის მიხედვით იყვნენ: აზერბაიჯანი, სომხეთი, აშშ, უკრაინა, თურქეთი, კანადა, ბულგარეთი, ყაზახეთი, ბელგია, იტალია და ა.შ. ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მთლიანი რეგისტრირებული ექსპორტის თითქმის 80%.

ქართული ექსპორტისათვის უმსხვილეს ბაზრად ისევ აზერბაიჯანია. მასზე მოდის რეგისტრირებული ექსპორტის 24.4%. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, აქ ექსპორტი 13.3%-ით გაიზარდა და 710.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს საექსპორტო ბაზრებში მეორე ადგილზეა სომხეთი (მთლიანი ექსპორტის 10.9%-ით). საექპორტო ბაზრების ხუთეულშია უკრაინა, რუსეთი და თურქეთი მთლიანი ექსპორტის 6.6%, 6.5% და 6.3% შესაბამისად.



დიაგრამა 1. ექსპორტის მოცულობა
რეგიონების მიხედვით 2008-2013 წწ.

2013 წელს ასევე გაიზარდა ექსპორტი დსთ ქვეყნებში. ეს ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის სავაჭრო ემბარგოს

მოხსნით. ამ დროს დსთ ბაზარზე ქართულმა ექსპორტმა 55.7% შეადგინა. ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.3 პროცენტული პუნქტით აღემატება. ამასთან, გაიზარდა ქართული ექსპორტი ევროკავშირში 72.2%-ით, რაც მთლიანი ექსპორტის 20.9%-ია. ეს სიტუაცია მეტწილად გამოწვეული იყო ქართული ექსპორტის მკვეთრი ზრდით იტალიაში, ბულგარეთსა და გერმანიაში. 2013 წელს დანარჩენი ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში წინა წელთან შედარებით 9.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ამ ქვეყნებზე (ძირითადად აშშ და თურქეთი) მთლიანი ექსპორტის წილმა 23.4% შეადგინა.

2013 წელს მოცულობის მიხედვით ქართულ ექსპორტში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი კვლავ პირველ ადგილზეა. ეს მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, 19.9%-ით გაიზარდა და მთლიან ექსპორტში მსუბუქი ავტომობილების წილმა 24.2% შეადგინა. მეორე უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციაა ფერო-შენადნობები, რომლის მოცულობა მთლიანი ექსპორტის 7.9%-ს წარმოადგენს. მისი ექსპორტი წინა წელთან შედარებით 11.7%-ით შემცირდა. თხილის და კაკლის უხვი მოსავლის წყალობით მათი ექსპორტი გაორმაგდა და ამ პროდუქციის წილმა მთლიანი ექსპორტის 5.7%-ს მიაღწია. ამასთან, მკვეთრად გაიზარდა სომხეთიდან შემოტანილი სპილენძის კონცენტრატების რეექსპორტი.



დიაგრამა 2. უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2012-2013 წწ.

კიდევ უფრო გამყარდა უმსხვილეს საექსპორტო ჯგუფებში ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტის პოზიციები. ეს გამოწვეული იყო როგორც მაღალი მოსავლიანობით, ასევე ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის გახსნით. 2013 წელს ღვინის

რეგისტრირებული ექსპორტი 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 97.1%-ით, ხოლო მინერალური წყლების – 80.1%-ით. გარდა ამისა, ათი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფის წილი 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 64% შეადგინა.

საქონლის რეგისტრირებული იმპორტის მიხედვით უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, იაპონია, ბულგარეთი, იტალია და რუმინეთი. აღნიშნული ქვეყნების წილად მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 70 პროცენტზე მეტი მოდიოდა.



დიაგრამა 3. რეგისტრირებული საქონლის იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

დაწყებული 2009, წლიდან ფიქსირდებოდა როგორც საინვესტიციო, ასევე შუალედური და სამომხმარებლო ჯგუფების საქონლის იმპორტის ზრდა. ქვეყანაში ეკონომიკური და საინვესტიციო აქტივობის შენელების გამო 2013 წელს საინვესტიციო და შუალედური ტიპის საქონლის იმპორტი შემცირდა, ხოლო სამომხმარებლო საქონლის ინპორტის ზრდა ისევ გაგრძელდა და მისმა წილმა მთლიან იმპორტში 45% შეადგინა (6 პროცენტული პუნქტით მეტი 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით).

იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებში პირველ ადგილზე ისევ ნავთობი და ნავთობპროდუქტებია (მთლიანი იმპორტის 12.1%). ამ ტიპის პროდუქციის იმპორტი საანალიზო წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 0.4%-ით და 954.4 მლნ აშშ დოლარი

შეადგინა. უმსხვილეს საიმპორტო პროდუქციაში მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები (მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 9.0%). მათი იმპორტი 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 7.2%-ით გაიზარდა და 710.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ ავტომობილების დიდი ნაწილი რეექსპორტისთვისაა განკუთვნილი. შეიმჩნევა სამკურნალო საშუალებების იმპორტის ზრდის საკმაო ტემპი – გაიზარდა წინა წელთან შედარებით 20.7%-ით და 280.7 მლნ დოლარი შეადგინა. ამ მაჩვენებლის მიხედვით, სამკურნალო საშუალებებმა უმსხვილეს იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა. 2013 წელს სწორედ ავტომობილებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტის ზრდამ გამოიწვია სამომხმარებლო ტიპის საქონლის იმპორტის ზრდა.

ხორბლის იმპორტი, რომელიც ღირებულების მიხედვით მეხუთე ადგილს იკავებს იმპორტირებულ საქონელში, 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია 23.25%-ით. ასევე შემცირებულია შაქრის იმპორტი (20.4%-ით), რომელსაც ღირებულების მიხედვით მესამე ადგილი უკავია საკვები პროდუქციის იმპორტში ხორცისა და ხორცპროდუქტების შემდეგ. ასევე აღსანიშნავია საკვები პროდუქტებიდან შოკოლადის და კაკაოს, ღორის ხორცის და გაყინული თევზის იმპორტის ზრდა შესაბამისად 17.1%, 18% და 5%-ით. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2013 წელს უმსხვილესი 10 სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიან იმპორტში წინა წელთან შედარებით 2.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 37.6% შეადგინა (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 4. უმსხვილესი იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფები 2012-2013 წლებში

2013 წელს საქართველოში უმსხვილეს იმპორტიორად, წინა წლების ანალოგიურად, ისევ თურქეთი რჩება (მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 17.1%), მიუხედავად იმისა, რომ მისი წილი იმპორტში 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა. 2013 წელს თურქეთიდან იმპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება აზერბაიჯანიდან იმპორტს, რომელმაც მთლიანი იმპორტის 8.1%-ს მიაღწია და იმპორტიორ ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა. უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების პირველ ხუთეულშია უკრაინა, რუსეთი და ჩინეთი შემდეგი პროცენტული წილებით შესაბამისად 7.6%, 7.5% და 7.2%. ამასთან, აღსანიშნავია რუსეთიდან იმპორტის 24.4%-ით ზრდა სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენის შემდგომ (იხ. დიაგრამა 5).



დიაგრამა 5. იმპორტის მოცულობა ქვეყნების მიხედვით 2012-2013 წწ.

საქონლის იმპორტში დსთ ქვეყნების წილი 2013 წელს, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2 პროცენტული პუნქტით და მიაღწია 27.5%-ს. ამავე პერიოდში შეიმჩნევა ევროკავშირის ქვეყნების წილის შემცირება 31.0%-დან 28.8%-მდე, ხოლო დანარჩენი ქვეყნების – თურქეთი, ჩინეთი და აშშ – წილი იმპორტში უმნიშვნელოდ გაიზარდა და 43.7%-ს მიაღწია.

საერთოდ, ბოლო წლების მიხედვით, რეგისტრირებული ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები ასე გამოიყურება (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

რეგისტრირებული ექსპორტის და იმპორტის წლიური ზრდის ტემპი

დასახელება	2008	2009	2010	2011	2012	2013
ექსპორტი	21.4%	-24.2%	48.0%	30.5%	8.6%	22.4%
იმპორტი	20.9%	-28.6%	16.8%	34.3%	11.1%	0.4%
სავაჭრო დეფიციტი	20.8%	-30.0%	6.3%	36.0%	12.2%	-9.1%

წყარო: საქსტატი

ჩვენ მიერ ნაშრომში მოყვანილი ანალიზი გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

დღემდე საგადამხდელო ბალანსის რეგულირების მაკროეკონომიკური პოლიტიკა უპირატესად სავაჭრო, ფულად-საკრედიტო, საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას გულისხმობდა. მაგრამ თანამედროვე ეტაპზე წინა პლანზე გამოდის საგადამხდელო ბალანსზე სოციალური, ინსტიტუციური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის ზემოქმედების გათვალისწინება. ამისათვის მიზანშეწონილია ინვესტიციების, უპირატესად, სოციალურ და ინოვაციურ სფეროებში განხორციელება. ამასთან, მრავალი ქვეყნის გამოცდილებით, სწორედ განათლების, სავაჭრო ლიბერალიზაციის, ტელეკომუნიკაციების, ქვეყნის ინსტიტუციური განვითარებითაა შესაძლებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა.

დღევანდელ ვითარებაში საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მომსახურების სფეროს განვითარებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას. საქართველომ უნდა გამოიყენოს თავისი გეოსტრატეგიული და ბუნებრივი მდგომარეობა და განავითაროს სატრანსპორტო მომსახურება, ტურიზმი, ტელეკომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და საბანკო სფეროები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგადამხდელო ბალანსში ეკოლოგიური საქონლისა და მომსახურების, ასევე პატენტების, ტექნოლოგიების ექსპორტისა და იმპორტის (ამ სექტორების პროდუქციის სტატისტიკას ახორციელებს გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამა და მსოფლიო ბანკი) ასახვა, ვინაიდან დღევანდელ პირობებში საგადამხდელო ბალანსის მდგრადობის ხარისხი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მონაწილეობს ქვეყანა ეკოლოგიური, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური ბაზრების საერთაშორისო ბრუნვაში, მომსახურებით, საქონლითა თუ ინვესტიციებით.

პირველხარისხოვან ამოცანად მიგვაჩნია სწორად განისაზღვროს საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტები. ეს საჭიროა იმიტომ,

რომ მოკლევადიან პერიოდში მათმა დადებითმა ზემოქმედებამ (მაგალითად, დასაქმების ზრდა, დარგების რეაბილიტაცია, საგადამხდელო ბალანსის დადებითი სალდო) შესაძლოა გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფერხება გამოიწვიოს (არაპრიორიტეტული დარგების განვითარების გამო).

ვთვლით, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტიციები უნდა განხორციელდეს. ამასთან, საჭიროა, მოხდეს ეკონომიკური საქმიანობის რესტრუქტურიზაცია. დაჩქარებული ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში ინტელექტუალურ კაპიტალში ინვესტიციების ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციების ზრდის ტემპს.

გასაგებია, რომ საგადამხდელო ბალანსის შეფასებისათვის არ არის საკმარისი მისი დადებითი ან უარყოფითი სალდოს დაფიქსირება. აქ აუცილებელია მისი თვისებრივი შეფასება, მისი გრძელვადიანი სტრატეგიული სრულყოფის ტენდენციების, მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის პერსპექტივების განსაზღვრა.

საქართველოს საგადამხდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოთი. აუცილებელია სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირება წარმოების სათანადო დონეზე განვითარების გზით. პირველ რიგში უნდა დასაბუთდეს ქვეყნისათვის (დღევანდელობის, რესურსების, მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების შესატყვისი) პრიორიტეტული მიმართულება. საჭიროა როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის შეცვლა. ნაცვლად ბუნებრივი რესურსებისა და ნახევარფაბრიკატებისა, უნდა განხორციელდეს მზა პროდუქციის, უფრო მაღალტექნოლოგიურის (რაც ამჟამად თითქმის გამორიცხულია), ექსპორტი. ამასთან, საჭიროა, აღმოიფხვრას იმპორტის სტრუქტურაში არსებული ხარვეზებიც (აქ საკმაოდ დიდია ენერგომატარებლებისა და სურსათის წილი). საჭიროა ხარჯების გაზრდა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე, ტექნიკა-ტექნოლოგიებზე, რაც აუცილებელია საექსპორტო წარმოების განვითარებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული საქართველოს ეკონომიკას საშუალებას მისცემს, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს და გარკვეული ნაბიჯები გადადგას ევროპისაკენ, რაც ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების დღევანდელი სტრატეგიის შესატყვისი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.
2. ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები 1998-2013.
3. ვანიშვილი მ., ვაშაკიძე ზ., კიკაჩეიშვილი ნ., ჯუღელი გ. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის თავისებურებანი. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009, გვ. 75.
4. ვეშაპიძე შ. და სხვები. ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი და მისი შემადგენელი ნაწილები. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი, 2008.
5. ლინდერტი პ. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი, „სიახლე“, 2001, გვ. 234.
6. http://www.ambioni.ge/ekonomikuri-vitareba-saqartvelosi ეკონომივითარება საქართველოში.
7. http://economy-ru.com/mirovaya Платежные балансы развивающихся стран, особенности методологии их составления
8. http://uchil.net/?cm=35189 Платежный баланс страны, его роль и назначение.
9. http://uchebnik-online.com/124/985.html Платежный баланс: понятие и основные статьи.
10. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/Annual%20Report_2013_30_04_14.pdf საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში, 2013.
11. ნ. ქისტაური, მ. მელაშვილი. სავაჭრო ბალანსის, მნიშვნელობა საგადამხდელო ბალანსში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 2013 წლის კონფერენციის მასალათა კრებული.

Nunu Kistauri

Medea Melashvili

PECULIARITIES OF BALANCE OF PAYMENT OF GEORGIA AND THE WAYS OF ITS IMPROVEMENT

Annotation

The article discusses the balance of payment as the most important economic document giving the idea about the movement of flows of value among countries and showing at what step of world economic integration is a concrete country. Is also discussed the problems of its formation and significance. Here is analysed the state of balance of payment of Georgia in recent years.

გიორგი ბრეგვაძე

მშენებლობის სექტორის განვითარების თავისებურებანი და პრობლემები საქართველოში

მშენებლობის სექტორს საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში. მშპ-ში მშენებლობის წილი 2013 წელს 9,6 პროცენტია. ჩამორჩება მხოლოდ მრეწველობასა და ვაჭრობას. დარგის ბრუნვამ გასულ წელს 32447 მლნ ლარი შეადგინა. ამ სფეროში დღესდღეობით 750 მდე კომპანია მუშაობს და დასაქმებულია 65863 კაცი, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია დასაქმებულთა შორის.

მშენებლობის სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2013 წელს შეადგენდა 869,9 ლარს. ინვესტ-ტიციები ფიქსირებულ აქტივებში – 343,5 მლნ ლარს, აქედან უცხოურ ინვესტიციებზე მოდიოდა 247,6 მლნ ლარი, ხოლო ადგი-ლობრივზე – 92.8 მლნ ლარი[42].

მშენებლობის სექტორი მოიცავს მრავალ სფეროს, იგი მხო-ლოდ ბინათმშენებლობა არ არის. 2008 წლის ომის შემდეგ და მსოფლიო კრიზისის ფონზე ჩვენთანაც შეფერხდა მშენებლობის ზრდის ტემპები. ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ, მთლიანად ეკო-ნომიკის ზრდის ტემპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მშენებლობა ყოველთვის ერთ-ერთი წამყვანი და დინამიურად განვითარებადი დარგია (იხ. ცხრ 1)[43].

ცხრილი 1

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	I 2014	II 2014	III 2014
ბრუნვა, მლნ ლარი	387.4	778.8	1125.3	1604.6	1412.0	1736.3	1694.5	3348.0	4444.7	3244.7	481.5	750.2	978.7

[42]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

[43] ცხრილი შედგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	**დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი**	**ფიქსირებული აქტივები, მლნ ლარი**	**შუალედური მოხმარება, მლნ ლარი**	**დამატებული ღირებულება, მლნ ლარი**	**გამოშვებული პროდუქცია, მლნ ლარი**
237.9	21344	127.2	256.5	127.1	383.7
292.3	38560	258.7	523.0	246.0	768.9
391.0	46681	474.9	784.5	401.4	1186.0
495.1	52572	635.1	1087.6	630.6	1718.2
600.9	38109	652.2	952.4	482.3	1434.7
629.0	43452	723.8	1147.5	605.2	1752.6
674.6	40303	799.1	1110.4	618.1	1728.5
741.3	65220	518.0	2192.9	1178.5	3371.5
893.2	69946	1898.7	2939.5	1657.2	4596.7
869.9	65863	1397.8	1959.8	1594.7	3554.4
995.2	41455	...	...	...	530.3
1130.7	47254	...	...	...	831.9
1183.1	56937	...	...	...	1055.8

ცხრილიდან კარგად ჩანს თუ როგორი დინამიკით ვითარდება მშენებლობა ბოლო წლებში. არასტაბილურად, მაგრამ მაინც დინამიურად.

საქართველოში მშენებლობის სექტორის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად მილიარდამდე ლარს გამოყოფს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. 2012 წლიდან დღემდე 2,4 მილიარდი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 554 კმ გზასა და 87 ხიდს, აშენდა 16 ახალი ხიდი. წლის ბოლომდე დაიგება 50 კილომეტრი ჩქარმოძრავი ავტომაგისტრალი. წყლის

მიწოდება გაუუმჯობესდა 39 მუნიციპალიტეტს. ახალი საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილდა 700 დევნილი. ეკომიგრანტებზე განაწილდა 33 საცხოვრებელი სახლი. აშენდა 20 ამბულატორია. გაზიფიცირებულია 58 სოფელი. 2013 წელს ელექტროფიცირდა 8 უშუქო სოფელი. მიმდინარეობს კიდევ 20 უშუქო სოფლის ელექტროფიცირების სამუშაოები. 2013 წლიდან დღემდე ექსპლუატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური 251 მლნ დოლარის მთლიანი ინვესტიციით. გარდაბანში მიმდინარეობს 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული თბოსადგურის მშენებლობა. დაიწყო ქარის სადგურების პროექტის განხორციელება. პირველი საპილოტე პროექტი ელექტროსადგური "ქართლი" იქნება. აშენდა და გარემონტდა 1498 ჰიდროტექნიკური ნაგებობა. 2014 წელს აშენდა 9 ახალი სკოლა. შენდება 8 ახალი სკოლა. 1000 სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. 2010-2011 წლებში რეაბილიტირდა 527 სკოლა. დაიწყო 300 ადგილიანი თანამედროვე და კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა. 3 რაიონული უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის შენდება საერთო საცხოვრებლები ახალქალაქში, ზუგდიდსა და ქუთაისში. რეაბილიტირდა 3000 მდე სარწყავი არხი. გაზიფიცირებულია გამყოფი ხაზის მიმდებარე ყველა სოფელი. გუდაურსა და ბაკურიანში ხელოვნური გათოვლიანების პროექტი დაიწყო. საქართველოში პირველად ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი "ტექნოლოგიური პარკი" შენდება. დაიწყო შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ანაკლიის ახალი პორტის განვითარების პროექტი[44].

2015 წლის ბიუჯეტშიც მილიარდ ლარამდეა გამოყოფილი. ეს ძალზე დიდი თანხაა. ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები ამ გზით დიდ მოგებას ნახულობენ. ფაქტობრივად გამოდის რომ, სამშენებლო სექტორი, ჩვენთან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით არსებობს და ვითარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ სახელმწიფო ბიუჯეტი არ გამოყოფს თანხებს, ბევრი კომპანია შეიძლება ერთ დღეს გაკოტრდეს, რაც გამოიწვევს ამ სფეროში დასაქმებული ბევრი ადამიანის უმუშევრად დარჩენას. ამას მოჰყვება მშენებლობის მომიჯნავე დარგების: სამშენებლო მასალების, ამ მასალებით მოვაჭრეთა და გადამზიდავ-დისტრიბუტორთა შემცირება ან უმუშევრად დარჩენა. ამიტომ, სახელმწიფო, ფაქტობრივად, იძულებულია, ხელი შეუწყოს ამ სფეროს, რათა არ გამოიწვიოს კრიზისი. ეს სიტუაცია კი არ შეიძლება საბაზრო ეკონომიკის

[44] მონაცემები აღებულია რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მასალების მიხედვით.

ჯანსაღ განვითარებად ჩაითვალოს. მშენებლობაც და მისი მომიჯ-ნავე დარგებიც უმჯობესია და სასურველია, ვითარდებოდეს კერძო ინვესტიციების ხარჯზე. მართალია ინვესტიციები იზრდება, მაგრამ არც ისეთი ოდენობით და ტემპებით, რაც საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს, შეემცირებინა ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა. (იხ. ცხრ.2)[45].

ცხრილი 2



თავისთავად, თითქოს ცუდი არაფერია იმაში, რომ სახელმ-წიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი და კერძო კომპანიები არიან მასში ჩართული, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს სიტუაცია არ არის გამართლებული. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიარდობით ლარის ხარჯვა ყოველ-წლიურად და ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ბევრი პროექტი საერთაშორისო ვალებით ხორციელდება, არ არის გამართლებული. ჯერ ერთი, ეს ვალები გადასახდელია ადრე თუ გვიან, მეორეც, ასეთი დიდი თანხების გამოყოფა აზიანებს სხვა სფეროებს, მაგალითად: სოციალურ სფეროს, ჯანდაცვას, განათლებას და მეცნიერებას. ამ დარგებისათვის აღარ რჩება ბიუჯეტში თანხები. ამიტომაც სახელმწიფომ კარგად უნდა გააცნობიეროს პრიორიტეტები და უფრო მეტად შეუწყოს ხელი ინვესტორების მოძიებას, რომლებიც თავიანთი თანხებით ააშენებენ. ეს უფრო მეტად შეუწყობს ხელს ჯანსაღი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებას და სწორი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები უმეტესად მთავრობის წევრებთან იყვნენ დაახლოებული და დღესაც არიან,

[45] ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

რისი მაგალითებიც უხვად არსებობს, მაშინ ამ სფეროს განვითარების საფრთხეები და რისკები კიდევ უფრო იზრდება პერსპექტივაში.

მეორე თავისებურება სამშენებლო სექტორის განვითარებისა ისაა, რომ მას ახასიათებს სეზონურობა. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, საქართველოში მთელი წლის განმავლობაში მშენებლობის წარმოება ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მართალია შემოდის ახალი ტექნოლოგიები და ახალი სამშენებლო მასალები, რომლებიც საშუალებას იძლევა მთელი წელი თუ არა, 9-10 თვე მაინც მიმდინარეობდეს მშენებლობა, მაგრამ მაინც სეზონურობა თავის დაღს აჩენს ამ სფეროს.

ცალკე უნდა გამოვყოთ ბინათმშენებლობა. ეს დარგი 2008 წლის ომისა და კრიზისის შემდგომ ნელნელა დგება ფეხზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სფეროში, ბევრ სხვა საგარეო თუ საშინაო ფაქტორებთან ერთად, კრიზისს ხელი შეუწყო იმან, რომ ბევრი სამშენებლო კომპანია არაკეთილსინდისიერად აწარმოებდა ბიზნესს და მათმა არასწორმა მენეჯმენტმა ბევრი მათგანი გააკოტრა. ამის მაგალითია "ცენტრ პოინტი". ამან გამოიწვია მობინადრეთა თანხების დაკარგვა. ამიტომ ამ სფეროში ნდობა დაკარგულია და ბინების შეძენის მსურველები ამჟამად უკვე მზა აშენებული ბინების ყიდვას ამჯობინებენ, ვიდრე მშენებარე ბინებში ფულის ჩადებას. უკვე გამოჩნდნენ კომპანიები, რომლებიც მზა ბინებს ყიდიან და ეს მისასალმებელია. თუმცა ეს კომპანიები უფრო ბანკებთან დაახლოებული ან თვით ბანკების მიერ დაფუძნებული კომპანიებია, მაგალითად m2, რაც თავისთავად სცილდება საბანკო საქმიანობას. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ დიდია იპოთეკური სესხების პროცენტები. კარგი იქნებოდა თუ ახალდაქორწინებულთათვის მაინც თუ იქნებოდა დაბალპროცენტიანი იპოთეკური სესხები, რაც ხელს შეუწყობდა ახლადშექმნილი ოჯახების გამრავლებასა და კეთილდღეობას. ასევე პრობლემურია ისეთი საკითხები, როგორიცაა ასაშენებელი მიწების ყიდვა, მათი ფასები, ნებართვები, არქიტექტურული პრობლემები, აშენებული შენობების ინფრასტრუქტურული მოწყობა, გამწვანება, პარკინგი და, რაც მთავარია, ხარისხი, განსაკუთრებით მრავალსართულიანი შენობებისა. საქართველო სეისმოსაშიშ ზონაში მდებარეობს, ხშირია მიწისძვრები, ქარები, ძლიერი წვიმა, რაც იწვევს უკვე უხარისხოდ აშენებული შენობების მწყობრიდან გამოყვანას. ამის უახლესი მაგალითია იუსტიციის სახლი, რომელიც, უხარისხო გადახურვის გამო, რამდენიმე თვე ჭერის გარეშე დარჩა. არადა ამ შენობის აშენებაში ასეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა. ასევე ახალი პარლამენტის

შენობა, სადაც წვიმა ჩამოდიოდა. ასეთი პრობლემები ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს საკანონმდებლო დონეზე და შემსრულებელი კომპანიები მკაცრად უნდა დაისაჯონ და დაჯარიმდნენ. ასევე საჭიროა სატენდერო კონკურსები უფრო კომპეტენტური პირებით დაკომპლექტდეს და ეს ტენდერები უფრო გამჭვირვალე და საჯარო იყოს.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მშენებლობის სფერო მეტ-ნაკლებად წარმატებით ვითარდება, პრობლემები დაძლევადია და, იმედია, უახლოეს წლებში კიდევ უფრო მეტი ტემპებით განვითარდება და სულ უფრო მეტი უცხოელი ინვესტორი დააბანდებს ამ სფეროში თანხებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
2. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები.
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები.

George Bregvadze

FEATURES AND PROBLEMS OF DEVELOPMENT OF CONSTRUCTION SECTOR IN GEORGIA

Annotation

Article considers the specifics and features of the construction industry in Georgia in recent years. Are studied and analyzed the problems which are in this area and scheduled the ways to solve them.

ეთერ კაკულია

საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემის ფორმირება-განვითარების არსებული მდგომარეობა

საქართველოში დიდი ხნის წინაა დაწყებული საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, თანამედროვე საბანკო სისტემის ჩამოყალიბების აქტიური ფაზა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. პოსტსაბჭოთა საქართველოში, ყოფილი საბჭოთა სისტემის ნგრევა და ახალი საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბება ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა. მიმდინარე წარმატებებს

თან ახლდა რთული პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები. რადიკალური რეფორმების გატარება გარდაუვალ აუცილებლობად იქცა. ამ თვალსაზრისით, ეროვნული ფინანსურ-საბანკო სისტემის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართველოში, დღეისათვის მოქმედი ორიარუსიანი საბანკო სისტემა- ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, მეორე მხრივ კი, კომერციული ბანკების სისტემათა ერთიანობაა. ეროვნული ბანკის უმთავრესი საქმიანობა სწორი მონეტარული პოლიტიკის გატარება, ეკონომიკაში ინფლაციის მოთოკვა და კომერციული ბანკების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობაა, ხოლო კომერციული ბანკების უმთავრესი საქმიანობა სასესხო ბაზარზე შუამავლობაა. მან უნდა უზრუნველყოს ეროვნული დანაზოგის პულტირება ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. ე.ი. საბანკო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული დანაზოგების საინვესტიციო რესურსებად გარდაქმნას. გარდა აღნიშნულისა, დღეისათვის საქართველოში საფინანსო შუამავლობის (სასესხო ბაზარზე) თითქმის 99 პროცენტს საბანკო სექტორი მოიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების მობილიზება და მათი საინვესტიციო რესურსებად გარდაქმნა უპირატესად საბანკო ინსტიტუტების მეშვეობით ხდება. შესაბამისად, საბანკო სისტემას, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარების თვალსაზრისით, უმთავრესი როლი ეკისრება. ამით არის აუცილებელი საქართველოს საბანკო სისტემის არსებული მდგომარეობის შესწავლა, ამასთან მისი შემდგომი განვითარების და თანამედროვე სრულყოფილი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

დამოუკიდებელი საქართველოს ახალი საბანკო სისტემის შექმნის საწყის ეტაპზე მიღებულ კანონებსა თუ ნორმატი ულ აქტებში, განვითარებული ქვეყნების გამოც დილების და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილებები და სრულყოფა ხდება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს თანამედროვე ორიარუსიანი (ორსაფეხურიანი) საბანკო სისტემის ფორმირება – სრულყოფის პროცესი მიმდინარეობს.

* * *

საბანკო სისტემა, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამი ძირითად ჯგუფიდან (ცენტრალური (ეროვნული) ბანკი; საბანკო სექტორი; სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები) მოიცავს ორს:

ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკს;
საბანკო სექტორს.

ცენტრალურ ბანკს გამორჩეული ადგილი უკავია სისტემაში. იგი, როგორც წესი, სახელმწიფო საკუთრებაშია და ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გამოიყენება.

ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით საგანგებო ფუნქციების შესრულება აქვს მინიჭებული.

თანამედროვე პირობებში ცენტრალური ბანკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

- ბანკნოტების ემისია;
- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება;
- ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირება;
- სავალუტო პოლიტიკის განხორციელება;
- საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება;
- მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია;
- საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაცია.

საბანკო სექტორში შედის: კომერციული ბანკები, შემნახველი ბანკები საინვესტიციო ბანკები, იპოთეკური ბანკები, სამიწათმოქმედო ბანკები და ა.შ. განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემათა მსგავსება იმაშია, რომ ისინი თითქმის ყველგან ორსაფეხურიანია. სახელმწიფოთა საბანკო სისტემებს შორის განსხვავებულობა გამოიხატება საბანკო სექტორის სტრუქტურაში. მაგალითად **შვეიცარიის** საბანკო სისტემა განასხვავებს ძირითადად ბანკების 5 ჯგუფს: 1) კანტონალური ბანკები; 2) გროსბანკები (უმსხვილესი ბანკები); 3) რეგიონული ბანკები, შემნახველი სალაროები; 4) სასესხო ბანკები და 5) სასოფლო-სამეურნეო კრედიტორთა კავშირი (ამხანაგობები); სხვა ბანკები; **აშშ-ის** ბანკები სხვადასხვა ნიშნით იყოფა. ერთ-ერთი ნიშანია ნაციონალური და შტატების განცალკევება. ნაციონალური ბანკები ისეთი ბანკებია, რომელებიც ლიცენზიას აშშ-ის ხელისუფლებისგან ღებულობს, ხოლო შტატების ბანკი, ის ბანკია, რომელიც ამ შტატების ხელისუფლების ლიცენზიას მიიღებს. საბანკო სისტემა ასევე მოიცავს კომერციულ ბანკებს, საინვესტიციო ბანკებს, შემნახველ ბანკებს, სასესხო-საშემნახველო ასოციაციებს და ა.შ. **ბრიტანული** ბანკების სისტემა ძლიერ დიფერენცირებულია. მასში ბატონობს სპეციალური ბანკების პრინციპი. ბრიტანეთის ბანკების დაჯგუფება არც ისე ადვილია. აქ გამოიყოფა ძირითადად ბანკების სამი ჯგუფი: 1) დეპოზიტური ბანკები (კლირინგული ბანკები, ფინანსური სესხები, სავაჭრო ბანკები); 2) სააღრიცხვო სახლები; 3) აქცეპტური სახლები,

საზღვარგარეთული ბანკები, სხვა ბანკები. **იტალიაში** ბანკების სისტემის თანამედროვე სტრუქტურა ძლიერ დიფერენ ცირებულია და მისი კლასიფიკაციისათვის გამოიყენება მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმი, რომელიც აისახება საბანკო სისტემაში. ინსტიტუტებს შორის, რომლებიც დასაქმებული არიან მოკლევადიანი დაკრედიტებით, გამოყოფენ შემდეგ 6 ჯგუფს: 1) სახელმწიფო საკრედიტო ინსტიტუტები; 2) ნაციონალური ინტერესების ბანკი; 3) არასახელმწიფო კომერციული ბანკები; 4) შემნახველი სალაროები; 5) სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო სალაროები; 6) სპეციალიზებული კრედიტული ინსტიტუტები [9].

საქართველოში ბანკების სისტემაში ბანკების სხვადასხვა ნიშნით(ტიპებით) დაჯგუფებას ვერ ვხვდებით, აქ ბანკები უნიფიცირებულ კომერციულ ბანკებად არის აღიარებული. ვფიქრობთ, ამ სფეროში უცხოური გამოცდილების გაზიარება დადებითად წაადგება ქართულ საბანკო სისტემას მდგრადი (ეფექტიანი) ფუნქციონირებისათვის.

თანამედროვე საბანკო სისტემის განვითარების, ეროვნული ბანკის ფორმირების საქმეში უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 2 აგვისტოს მიღებული საქართველოს რესპუბლიკის კანონები: „ეროვნული ბანკის შესახებ“, „ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“. 1992 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური დახმარებით დაიწყო მუშაობა საქართველოში თანამედროვე ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. საყურადღებოა სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 29 ნოემბრის, ბრძანებულება - „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების შესახებ", სადაც გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა შეზღუდული იყო ძირითადად ორი გარემოების გამო: **პირველი,** 1993 წლის პირველ აპრილამდე მას არ ჰქონდა ფულის ემისიის საშუალება. საქართველო შედიოდა სამანეთო ზონაში, რაც მას დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური ზეწოლის იარაღად იყენებდა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეწყვიტა საქართველოსთვის საბჭოთა ვალუტის – მანეთის მიწოდება ამ ფონზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1993 წლის 3 აპრილიდან მიმოქცევაში დროებითი ფულადი ერთეულის - კუპონის გაშვება, რომელმაც სრულფასოვან ეროვნული ვალუტის შემოღებამდე იტვირთა გარდამავალი პერიოდის სიმძიმე. **მეორე,** ეროვნული ბანკი ასევე შეზღუდული იყო სავალუტო ოპერაციების

განხორციელებისას, ვინაიდან, პრაქტიკულად არ გააჩნდა სავალუტო რეზერვები. არ იყო შემოღებული ეროვნული ვალუტა.

1994 წლის 25 მაისიდან საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკის სპეციალური დადგენილებით დაუწესდათ ახალი საწესდებო ფონდის ნორმატივები, რომელიც თანდათანობით ზრდიდა საბანკო სისტემის კაპიტალიზაციას.

1994 წლის 12 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით - „საქართველოში საბანკო სისტემის სრულყოფის შესახებ" დაიწყო ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ამ დოკუმენტით მოხდა ფინანსთა სამინისტროს ანგარიშების გადატანა ეროვნულ ბანკში და კლიენტებთან უშუალო ანგარიშსწორების ფუნქციის ჩამორთმევა ეროვნული ბანკისათვის და მისი კომერციული ბანკებისათვის გადაცემა.

1995 წლის 23 ივნისს, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მიღებით, 1995 წლის სექტემბერში, მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის შემოსვლით და 1996 წელს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მიღებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული ბანკის და საბანკო სისტემის შემდგომ განვითარებას, საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბას.

საქართველოს ეროვნული ბანკის და საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების და შემდგომში მათი დინამიური განვითარების ხელშეწყობას ემსახურებოდა ეროვნული ბანკის მიერ 2006 წელს შემუშავებული „საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2006-2009 წლებისათვის“,[4] სადაც დეტალურად იყო გაწერილი საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების და მთავრობის ერთიანი კონცეფცია და ამ კონცეფციის რეალიზებისათვის ერთობლივი, თანმიმდევრული ქმედებათა პროგრამა.* კონცეფციის რეალიზაციით საქართველოს ეროვნული ბანკის განვითარების საქმეში შეიქმნა ახალი გარემოებანი და მისი სამართლებრი დარეგულირების აუცილებლობიდან გამომდინარე, 2009 წელს მიღებულ იქნა ახალი ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. [2]

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სტატუსი, უფლებამოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტი განისაზღვრება, კონსტიტუციასთან [1] (მუხლი 95-ე)ერთად, 2009 წლის 24 სექტემბერს მიღებული ორგანული კანონით საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ (ამვე კანონით გაუქმდა 1995 წლის 23 ივნისს მიღებული ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ). გარდა აღნიშნულისა, ეროვნული ბანკი გამოსცემს

ნორმატიულ დოკუმენტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა საბანკო საქმიანობაში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ახალი კანონით (2009) გაძლიერდა ეროვნული ბანკის ფუნქციები (მ.შ. ინფორმაციის მოპოვების, საზედამხედველო უფლებამოსილებების და სხვა მიმართულებით), ორგანული კანონი ცენტრალურ ბანკს დამოუკიდებლობას ანიჭებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებისას. ეროვნული ბანკი თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევისაგან მის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების – საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს". ამდენად, ოც წელზე მეტია, საქართველოს მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების, მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით ჩამოყალიბდა დღეს მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკი. იგი არის სახელმწიფო ბანკი, რომელიც ახორციელებს ფულადი მიმოქცევის, ფინანსური ბაზრების, ფინანსური ინსტიტუტების რეგულირებასა და კონტროლს. ბანკი, რომელსაც აფუძნებს ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა. იგი თავის საქმიანობაში ეკონომიკურად დამოუკიდებელია, ყველა ხარჯს უზრუნველყოფს თავისი შემოსავლით, პასუხს არ აგებს მთავრობის ვალდებულებებისთვის იმ შემთხვევის გარდა, როცა ეროვნული ბანკი თავად კისრულობს ასეთ ვალდებულებებს. მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი თავისუფლდება ყოველგვარი ბეგარისგან. იგი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად საკრედიტო, სავალუტო პოლიტიკას, ფლობს, ინახავს და განკარგავს საერთაშორისო რეზერვებს, ახორციელებს საბანკო საქმიანობის ლიცენზირებას და უწევს მას ზედამხედველობას, ხელს უწყობს საგადასახადო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას. მას აქვს ექსკლუზიური უფლება, განახორციელოს ბანკნოტების და მონეტების, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის, კანონიერი საშუალებების ემისია, გამოითხოვოს, ამოიღოს მიმოქცევაში არსებული ბანკნოტები, მონეტები და მათ ნაცვლად გამოუშვას იმავე ოდენობით გადახდის საშუალებები. იგი წარმოადგენს მთავარ ექსპერტს ეროვნული ვალუტისა და სხვა საბანკო ბილეთების ნამდვილობის დადგენის საქმეში. იგი იღებს, აგრეთვე, ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული სახელმწიფო დაწესებულებების დეპოზიტებს და გამოდის შესაბამისად დეპოზიტარის როლში.

ამასთან, საქართველოში ეროვნულ ბანკს ეკრძალება საქმიანობის ცალკეული სახეობა.

საქართველოს კომერციული ბანკები. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან, ვიდრე, ეროვნული ვალუტის - ლარის (1995}, ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (1995) და კანონის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (1996) შემოღებამდე, - ნებსით თუ უნებლიედ, გამოუცდელობით თუ უცოდინრობით, ამასთან ამ პერიოდისათვის ქვეყნის ეკონომიკის ახალ საბაზრო რელსებზე გადართვით ეკონომიკაში გამოწვეული ცვლილებების გამო, საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი სტიქიურად მიმდინარეობდა. ამის მაგალითია ის რომ, თუ 1991 წელს საქართველოში მხოლოდ 5 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა, 1993 წლის ბოლოს მათი რიცხვი 179 ერთეულს გაუტოლდა, ხოლო 1994 წლისათვის 226 ერთეულს შეადგენდა. [6] 1994 წლისათვის ბანკებისათვის დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა, დაახლოებით 500 აშშ დოლარს შეადგენდა. რაც მიუღებლად დაბალი იყო.

დღეს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგლამენტირება ხდება: “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (1996), "ეროვნული ბანკის შესახებ" (2009), "მეწარმეთა შესახებ" (1994), კანონითა და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით; აღნიშნულ კანონებში შეტანილი მრავალი ცვლილებისა და დამატებების გათვალისწინებით.

პირველ ცხრილში მოცემულია მონაცემები კომერციული ბანკების შესახებ. როგორც ცხრილიდან ჩანს თუ 2012 წელს უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ფუნქციონირებდა 19-დან 17 ბანკი, 2013 წლის მონაცემებით საქართველოში მოქმედი 21 ბანკიდან 20 უცხოური ბანკის ფილიალს წარმოადგენს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართულ საბანკო სისტემაში ფეხს იკიდებს უცხოური ბანკები. [17] ეს ტენდენცია შესამჩნევია განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ საქართველოს ერთკვირიანი ომის შემდგომ.

ცხრილი 1

რეგისტრირებული ბანკების რაოდენობა[46]

	2008	2009	2010	2011	2012	2013
ბანკების რაოდენობა სულ	20	19	19	19	19	21
მ. შ. უცხოური კაპიტალის მონაწილეობით	17	15	16	18	17	20[47]
ბანკების ფილიალების რაოდენობა	124	120	119	144	142	164
სერვის ცენტრები	559	513	522	564	591	739
კომერციული ბანკების განცხადებული საწესდებო ფონდი მლნ ლარი	525,6	573,4	825,1	915,6,	908,2	1054,0

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქართველოს საბანკო სექტორში შემოსვლა განხორციელდა საბანკო კრიზისის აღმასვლის პერიოდში სწორედ 2008 წლის ბოლოს. მათი ფინანსური დახმარება გამოიხატა არა მარტო სესხების გაცემით, არამედ ადგილობრივი ბანკების თანამფლობელობაში მოქცევით.

დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების და დღევანდელი მდგომარეობის რაოდენობრივი ანალიზსთვის მასალები დინამიკაში შევისწავლეთ. მასალების გაცნობიდან ჩანს რომ 1995 წელთან მიმართებაში 2013 წელს კომერციული ბანკების აქტივების მკვეთრი ზრდა. ამ პერიოდში მთლიანი აქტივები გაიზარდა 52-ჯერ, 278,354 ათასი ლარიდან (1995) 14,568,788 ათას ლარამდე (2013). ასევე მკვეთრი ზრდა შეიმჩნევა ბანკების სააქციო კაპიტალის. ამავე პერიოდში იგი გაიზარდა 46-ჯერ (55,488 ათასიდან (1995) 2,558,935 ათას ლარამდე (2013)), ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტები 2002 წლიდან გაიზარდა თითქმის 16-ჯერ 2013 წლამდე (267,690 ათასი ლარიდან (2002), 4,132,122 ათას ლარამდე (2013)).

[46] ***წყარო:*** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[47] მ.შ. უცხოური ბანკის ფილიალი.

საქართველოს საბანკო არსებული კომერციული ბანკების რეიტინგი აქციების, საკუთარი კაპიტალის, დეპოზიტების მაჩვენებლების მიხედვით ასეთია: 2013 წლის 30 აპრილის მდგომარეობით 2 უმსხვილეს ბანკში (საქართველოს ბანკი და თიბისი) კონცენტრირებული იყო საბანკო სექტორის აქტივების 59,96%, სააქციო კაპიტალის 60,70% და დეპოზიტების (შეიცავს ბანკების, მიმდინარე, ვადიან და მოთხოვნამდე დეპოზიტებს) 59,47%. ეს ორი ბანკი დღეისათვის ინგლისის საფონდო ბირჟის წევრია. ხუთ უმსხვილეს ბანკში (საქართველოს ბანკი, თი-ბი-სი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ლიბერთი ბანკი და ბანკი რესპუბლიკა) კონცენტრირებული იყო საბანკო სექტორის აქტივების 79,89%, სააქციო კაპიტალის 77,19% და დეპოზიტების 81,58%. მონაცემების გაცნობიდან ვლინდება, რომ 30.04.2013-ის მდგომარეობით უმსხვილეს 10 ბანკში კონცენტრირებული იყო საერთო სააქციო კაპიტალის 91,43%, დეპოზიტების 96.61% და აქტივების 94,64%. კომერციული ბანკების მთლიანმა აქტივებმა კი, შეადგინა 14,568,788,066 ლარი, სააქციო კაპიტალმა 2,558,935,188 ლარი, ხოლო დეპოზიტებმა 8,632,561,300 ლარი [5].

დინამიკაში (1995-2013) საბანკო სექტორის მოგება/ზარალის მაჩვენებელის ცვლილებაზე წარმოდგენას იძლევა დიაგრამა 1. სახეზეა მოგების ვარდნა 2008 და 2009 წლებში რაც გამოწვეული იყო საქართველო რუსეთის ომითა და ეკონომიკური კრიზისით. საერთოდ საბანკო სექტორის მოგების მაჩვენებელი როგორც დინამიკაში, ასევე ეკონომიკის სხვა ბიზნეს სექტორთან მიმართებაში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება (შედარებისათვის 2013 წელს ეკონომიკა 3%-ით გაიზარდა, **საბანკო სექტორის მოგება კი თითქმის 200%-ით)**



დიაგრამა 1[48]

[48] ***წყარო:*** საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/[11]

აქ განხილულის გარდა, სხვა ეკონომიკური მონაცემებიდან, რომლიც ახასიათებს საბანკო სექტორის საქმიანობას, გამოვყოფთ მთლიანი საკრედიტო პორტფელის სეგმენტების მიხედვით (ბანკთა-შორისო სესხების გარდა) განაწილების სურათს (იხ. ცხრ. 2). სეგმენტების ჭრილში სისტემის საკრედიტო პორტფელში ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილია კორპორაციული პორტფელი 41%, საცალო პორტფელი 39%-ით, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის პორტფელი 20%-ით. როგორც ცხრილიდან ჩანს 2011- 2012 წლის მანძილზე, ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა საცალო სესხების პორტფელში (16%), მას მოსდევს მცირე და საშუალო ბიზნესისა (12%) და კორპორაციული სესხების პორტფელი (9%).

ცხრილი 2

მთლიანი საკრედიტო პორტფელი სეგმენტების მიხედვით
(ბანკთაშორისო სესხების გარდა)[49]

	2010		2011		2012		ზრდა 2010-11	ზრდა 2011-12
სეგმენტები	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	%	%
კომერციული სესხები	2,745	44	3,273	42	3,606	41	19%	9%
სესხები მცირე და საშუალო ბიზნესზე	1,411	23	1,547	20	1,738	20	10%	12%
საცალო სესხები	2,099	34	2,896	38	3,338	39	38%	16%
სულ	6,256	100	7,717	100	8,712	100	23%	13%

საქართველოს საბანკო სექტორში მიღწეული დადებითი შედეგების მიუხედავად, ზოგიერთი უარყოფითი მაჩვენებლებით, იგი ხვდება საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მონაცემებში. „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში 150 ქვეყანა ხვდება. საბანკო სფეროს კომპონენტში ქართულ ბანკებს ერთ–ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ, ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა სესხის აღების სიმარტივე და საბანკო სისტემის სიჯანსაღე, საქართველო 142 ქვეყანას შორის, შესაბამისად 79–ე, და 104–ე ადგილს იკავებს. [8]

[49] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [17]

მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს, იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც 2012 წლის მდგომარეობას ასახავს, მსოფლიო ბანკის ანგარიშში წარმოდგენილია მოკლე და საშუალოვადიანი კრედიტების საშუალო შეწონილი რეალური განაკვეთები. ამ მონაცემების მიხედვით, საქართველო კრედიტების სიძვირით მსოფლიოში პირველ 20 ქვეყანაშია. საბანკოს სექტორის ხარისხი მხოლოდ კრედიტის საპროცენტო განაკვეთით ვერ განისაზღვრება. მასთან ერთად უნდა განისაზღვროს მაჩვენებელი-სპრედი, ანუ სხვაობა სესხის და დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთს შორის, სხვაგვარად ბანკის მარჟა. 2013 წელს ქართულ საბანკო სისტემაში დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი განაკვეთი 7.3% იყო, სესხებზე კი 15.9%, ანუ 2.2-ჯერ მეტი. სპრედი (მარჟა) გამოდის 8,6%, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2-2.5%-ს არ სცდება, განვითარებად სამყაროში 4-5%-ის ფარგლებშია, ხოლო 8-9%-ზე მეტი მსოფლიოს ყველაზე განუვითარებელ სახელმწიფოებშია. [8]

კომერციულ ბანკებს კანონით აქვთ უფლება, საკუთარი სააქციო კაპიტალის 50% განათავსონ არაპროფილურ ბიზნესებში. კანონში ცვლილების შეტანამდე ეს ზედა ზღვარი გაცილებით დაბალ დონეზე, 20%-ზე ფიქსირდებოდა. ამის გამო დღეს საბანკო ბიზნესის წარმომადგენლები აქტიურად იღებენ მონაწილეობას არასაბანკო ბიზნესში. აღიარებული ფაქტია, რომ საქართველოში, ბოლო 5-10 წლის მონაცემებით საბანკო სისტემა ზოგიერთი მახასიათებლების მიხედვით, ნახტომისებური განვითარების სურათს აჩვენებს, მაშინ, როდესაც მდგრადობით მეტად სუსტად გამოიყურება, საკმარისი იყო ეგზოგენური ფაქტორის გამოჩენა (7-დღიანი რუსეთ საქართველოს ომი), რომ სისტემაში 2008-2009 წლები, როგორც ეს პირველი დიაგრამიდან ჩანს, დიდი ზარალით დაამთავრდა.

* * *

დღეს მოქმედი, თანამედროვე ორიარუსინი საბანკო სიტემის სამართლებრივი რეგულირება ხდება: საქართველოს კონსტიტუციით; 1991-1996 წლებში მიღებული კანონებით: „ეროვნული ბანკის შესახებ“, „ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ (1991), „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (1995) და „საქართველოს კომერციული ბანკის შესახებ“ (1996). მათში ცვლილებები დღესაც მიმდინარეობს, არსებული საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების და მისი შემდგომი განვითარების ((საერთაშორისო სტანდარტებთან შესატყვისობის) მიზნით.

- საკითხის შესწავლიდან გამოჩნდა, რომ დღეს კომერციული ბანკების მარჟა გამოდის 8,6%, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2-2,5%-ს არ სცდება.

- დღეს ქვეყანაში დანაზოგის 99% თავს იყრის კომერციულ ბანკებში. ამასთან, მარჯა მეტად მაღალია, ეს იწვევს იმას, რომ დღეს ქვეყანაში ეროვნული დანაზოგი ბანკებში ძალიან მცირეა და ინვესტ-ტიციებისათვის დიდი შრომაა საჭირო უცხოური ინვესტორების მოსაზიდად.

- ამდენად საბანკო სისტემა ჯერ კიდევ ითხოვს შემდგომ სრულყოფას და დახვეწას, საერთაშორისო ორგანიზაციების შაფა-სებით ეროვნული საბანკო სისტემა სესხის აღების სიმარტივით 142 ქვეყანას შორის 79–ე, ხოლო საბანკო სისტემის სიჯანსაღით 104–ე ადგილზეა.

- მსოფლიო განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემის მსგავსება ვლინდება იმაში, რომ თითქოს ყველა ქვეყანაში ორ-საფეხურიანი (ორიარუსიან) საბანკო სისტემასთან გვაქვს საქმე; მათ შორის განსხვავებულობა მდგომარეობს საბანკო სისტემის სტრუქ-ტურის განსხვავებულობაში. მაგალითად საქართველოს საბანკო სისტემაში კომერციული ბანკებია. სტრუქტურა არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით არამედ აქ ბანკები უნიფიცირებულ კომერციულ ბანკებად არის აღიარებული. მაშინ როდესაც მაგალითად შვეი-ცარიის საბანკო სისტემა განასხვავებს ბანკების 5 ჯგუფს: კანტონალური ბანკები; გროსბანკები (უმსხვილესი ბანკები); რეგიო-ნული ბანკები, შემნახველი სალაროები; სასესხო ბანკები და სასოფლო-სამეურნეო კრედიტორთა კავშირი (ამხანაგობები). თუკი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის მაკრომაჩვენებლები მაღალია, და როგორც ცნობილია საბანკო სისტემა ერთ-ერთი ინსტიტუტია, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მხრივ, მაშინ ვფიქრობთ უპრიანი იქნება თუ საქართველოს საბანკო სისტემის სრულყოფის საქმეში გამოვიყენებთ, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას განსაკუთრებით საქართველოს საბანკო სისტემის სტრუქტურის გაუმჯობესების მხრივ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.
2. საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", 2009.
3. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ.
4. „საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2006-2009 წლისათვის". საქართველოს ეროვნული ბანკი. თბილისი, 2006.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. მასალები, პუბლიკაციები.

6. საქ. ინფ. „საქართველოს საბანკო მოგება გაიზარდა“ თბილისი, 2012.

7. ასათიანი რ. საქართველოს საბანკო სისტემა ფინანსური კრიზისის პირობებში. // ჟ. “ეკონომიკა“, №4. გვ. 10-14.

8. თამაზაშვილი ნ. ქართული ბანკების პარადოქსი - „წილში შესვლა კრედიტის სანაცვლოდ“ გაზეთი „ბანკები და ფინანსები“. №10. 24-30. მარტი, 2010.

9. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ. საბანკო საქმე, თბილისი, 2009.

10. ნ. ყაველაშვილი. „საქართველოს საბანკო სისტემა“ BPI.GE, ორშაბათი, 17 ივნისი, 2013.
www.bpi.ge/index.php?option=com_content...id გადამოწმებულია 06.06.2014

11. www.geoeconomics.ge (№3, 2009, გვ 14-17) ნანახია 05.06.2014

12. http://sukhishvilebi.edu.ge/files/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.05.2014

13. www.scribd.com/doc/95781018 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.04.2014.

14. mosiashviliblog.wordpress.com/2012/12/21/ საბანკო საქმე უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 2.05.2014.

15. https://www.nbg.gov.ge National Bank Of Georgia. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული...01.005.2014

16. www.bpi.ge/index.php?option=com_content...id გადამოწმებულია 06.06.2014

17. geostat. ge (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.)

18. http://data.worldbank.org/indicator/FR.INR.RINR.

Eter Kakulia

PRESENT SITUATION OF FORMATION AND DEVELOPMENT OF CURRENT BANKING SYSTEM OF GEORGIA

Annotation

The article studies the structure of banking system of developed countries. Is discussed the current situation of formation and development of banking system of Georgia.

Statistical materials in dynamics have been used to analyze the banking system, its development and present situation , are expressed opinions about the necessity of further development of banking system structure of Georgia and the decrease of current percentage of bank margin.

ელგუჯა კონჯარია

სასაქონლო-მატარიალური ფასეულობების აღრიცხვის არსი და მნიშვნელობა

საწარმო თავისი საქმიანობის პროცესში იყენებს მატერიალურ აქტივს, რომელიც გამოყენების პროცესში იცვლის სახეს ან შინაარსობრივად განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგება. იმის გამო, რომ იგი დროის მოკლე მონაკვეთში ინარჩუნებს თავის სახეს ან ხანმოკლე პერიოდში არის საწარმოს საკუთრება, აღრიცხვის მიზნით კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე აქტივი. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აქტივის სახით აღირიცხება მანამ, ვიდრე ცნობილი არ გახდება მათთან დაკავშირებული შემოსავლების მიღება. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშებში ასახვის წესები დადგენილია ბასს 2-ის მიხედვით. მისი განმარტებით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ისეთი აქტივებია, რომლებიც:

ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;

ბ) გამოიყენება წარმოების პროცესში და ასევე გათვალისწინებულია გასაყიდად;

გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

აქტივი, რომელიც თავისი ძირითადი დანიშნულების მიხედვით გრძელვადიან აქტივს წარმოადგენს, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ მომენტში საწარმო მას სხვა მიზნობრივ დატვირთვას ანიჭებს, მიმდინარე აქტივად განიხილება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა სააღრიცხვო-ეკონომიკური სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია და მის წინაშე განსაკუთრებული ამოცანები დგას. კერძოდ:

1. სწორად და დროულად გაფორმდეს ყველა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალური მარაგის მოძრაობასთან;

2. უზრუნველყოს სასაქონლო-მატერიალური მარაგის დაცვა;

3. გაუწიოს კონტროლი მარაგების რაციონალურ გამოყენებას:

4. სწორად განსაზღვროს შეძენილი და დახარჯული მატერიალლური მარაგის ფაქტობრივი თვითღირებულება:

5. სწორად და ობიექტურად ასახოს აღრიცხვაში სასაქონლო-მატერიალური მარაგის ინვენტარიზაციის შედეგები.

ამოცანების შესასრულებლად, პირველ რიგში, საჭიროა შეძენილი სასაქონლო მატერიალური მარაგის შეფასება. ამ დროს

აუცილებელია შეფასების მიზნის გათვალისწინება, კერძოდ, ხდება იგი მიმდინარე აღრიცხვის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ბალანსში მათი ასახვის მიზნით.

ბუღალტრულ აღრიცხვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასებას. შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შეფასების მიზანი. კერძოდ, შეფასება ხდება ბალანსში ასახვის მიზნით თუ მიმდინარე აღრიცხვისათვის. ბალანსის შედგენისათვის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შეფასებასთან დაკავშირებით ბასს 2-ის მე-6 პუნქტი განმარტავს: სასაქონლო ფასეულობის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება მოიცავს: მათი შეძენის, კონვერსიის (გადამუშავების) ხარჯებს, აგრეთვე საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება; სატრანსპორტო დამზადების ხარჯებს და საერთოდ იმ დანახარჯებს, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალების და მომსახურების შეძენასთან.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების დასადგენად შეიძლება ნორმატიულ და საცალო ფასთა მეთოდის გამოყენება, რომელიც მიახლოებითი თვითღირებულების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ნორმატიული მეთოდის დროს მხედველობაში მიიღება ნედლეულისა და მასალების ხარჯვის, სამუშაო ძალის გამოყენების, მწარმოებლურობისა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ნორმატიული დონეები. ეს ნორმები რეგულარულად უნდა გადაისინჯოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით.

საცალო ფასების მეთოდი უფრო ხშირად გამოიყენება საცალო ვაჭრობაში, ვინაიდან აქ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა შედგება სწრაფად ცვალებადი, მრავალი დასახელებისა და ასორტიმენტის საქონლისაგან და მათი თვითღირებულების გაანგარიშების დროს სხვა მეთოდების გამოყენება უმეტეს შემთხვევაში არაპრაქტიკულია. მოცემული მეთოდის გამოყენებით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების დასადგენად გასაყიდი ფასებით შეფასებულ სასაქონლო მარაგის საერთო ღირებულებას აკლდება მთლიანი მოგების შესაბამისი პროცენტი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ბუღალტრულ აღრიცხვას წაეყენება შემდეგი მოთხოვნები:

აღრიცხვის მონაცემები უნდა იყოს მარტივი და გასაგები, დროული, ზუსტი და სრული.

აღრიცხვაში უნდა გამოვლინდეს მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია მასალების მიღებას, შენახვასა და ხარჯებთან.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, საწარმოო მარაგის ბურალტრული აღრიცხვის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაცვა მათი შენახვის ადგილებსა და დამუშავების ყველა სტადიაზე;

წარმოების უწყვეტობისთვის საჭიროა მატერიალური მარაგის ნორმის დაცვა თითოეული სახეობის მიხედვით;

მასალების ეკონომიკური და მიზანშეწონილი გამოყენება, ხარჯვის ნორმების შემცირება;

მატერიალური ფასეულობების მოძრაობის ყველა ოპერაციის სწორი დოკუმენტაცია;

მასალების მოძრაობის შესახებ ანგარიშების დროული შედგენა და წარდგენა დანიშნულებისამებრ.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს მიმწოდებელსა და მყიდველს შორის დადებული გარიგება, რომელიც ფორმდება კონტრაქტით (ხელშეკრულებით). მასში აისახება მხარეების უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აისახება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. ეს დოკუმენტები მრავალფეროვანია, რაც დამოკიდებულია ამ ფასეულობების მოწოდების პირობებეზე, სახეებზე, ტრანსპორტირებაზე, ანგარიშსწორების წესებსა და ფორმებზე და სხვა.

საერთაშორისო სააღრიცხვო პრაქტიკაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის აღრიცხვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ანგარიშ-ფაქტურა. იგი მოიცავს საბუღალტრო წიგნებსა და ჟურნალებში შესატან და სხვა ინფორმაციას. კერძოდ, მყიდველისა და გამყიდველის დასახელებას და მისამართს; გაყიდვის თარიღს; მითითებებს შეკვეთებზე; საქონლის აღწერილობას; გადახდის პირობებსა და გადასახდელ თანხას.

ქვეყნის შიგნით საქონლის მიღების ძირითადი დოკუმენტია "სასაქონლო ზედნადები", რომლის გარეშე აკრძალულია საქონლის (ტვირთის) ტრანსპორტირება, შენახვა და რელიზაცია. მასში ასახულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი დღგ-ს და აქციზის ჩათვლით, თანხა და სხვა რეკვიზიტები.

თუ, გამონაკლისის სახით, მატერიალური ფასეულობები შეძენილია ფიზიკური პირებისაგან, მაშინ აუცილებელია "გამარტივებული სასაქონლო ზედნადების" შედგენა.

აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის ოპერაციები პირველად აისახება შესყიდვების ჟურნალში. აქ ფიქსირდება ყველა ანგარიშფაქტურა. მისი შედეგები პერიოდულად ჯამდება და გადაიტანება კრედიტორული დავალიანების საბუღალტრო წიგნში, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ინდივიდუალური მომწოდებლების პერსონალურ ანგარიშებს. წიგნში გამოყვანილი ნაშთი გვიჩვენებს დავალიანების თანხას, რომელიც ეკუთვნის მომწოდებლებს. შესყიდვების ჟურნალიდან შედეგები გადაიტანება მთავარ საბუღალტრო წიგნში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მნიშვნელოვანი საკითხია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მარაგის სწორი გამოთვლა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა წარმოებს ორი მეთოდით:

უწყვეტი (მუდმივი) და პერიოდული აღრიცხვის მეთოდებით.

მარაგების უწყვეტი აღრიცხვა გულისხმობს ფასეულობათა მიღებისა და გასავლის ყველა ოპერაციის სისტემურ ასახვას აღრიცხვაში შესაბამისი მარაგების ანგარიშებზე ჩანაწერთა მოხდენით. ამ წესის გამოყენების პირობებში მატერიალური მარაგების საბოლოო ნაშთი დგინდება ფორმულით:

საბოლოო ნაშთი = საწყის ნაშთს + შემოსავალი-გასავალი

მარაგების აღრიცხვის პერიოდული მეთოდის გამოყენების დროს საჭირო არ არის ფასეულობათა მოძრაობის ყველა სამეურნეო ოპერაციის სისტემატური ასახვა. მასალების საბოლოო ნაშთი კი დგინდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე მარაგის ანგარიშების საწყისი ნაშთების კორექტირების მიზნით. ეს ასეთი ფორმულის გამოყენებით ხდება:

საბოლოო ნაშთი = საწყისი ნაშთი + მარაგის შეძენა –

– მარაგის გასვლა (ხარჯვა)

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების უწყვეტ აღრიცხვას ახასიათებს შემდეგი უპირატესობანი:

1. იძლევა დეტალურ და ვრცელ ინფორმაციას მარაგის ცვლილების შესახებ;
2. საჭიროებს შრომის ნაკლებ დანახარჯებს პერიოდის ბოლოს მასალის გასაანგარიშებლად;
3. დაწვრილებითი და დროული ინფორმაცია აადვილებს მარაგის კონტროლს.

მიუხედავად ამისა, უწყვეტი აღრიცხვის მეთოდს აქვს ნაკლიც – ინფორმაციის საიმედოობის შესამოწმებლად აუცილებელია მარაგის ფიზიკური დათვლა (ინვენტარიზაციის ჩატარება).

უწყვეტი აღრიცხვის მეთოდის გამოყენების დროს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის ღირებულება აისახება შესაბამისი ანგარიშების დებეტში და ფულადი საშუალებების ან ვალდებულებების ამსახველი ანგარიშების კრედიტში, ე.ი. ადგილი აქვს გატარებას:

დებეტი – სასაქონლო-მატერიალური მარაგი

კრედიტი – ფულადი საშუალებების ამსახველი ანგარიშები ან

კრედიტი – მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, როგორც მოკლევადიანი აქტივები, ხშირი ცვლილებების ობიექტია: იცვლება როგორც მისი შედგენილობა, ისე ნაშთები როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად. ამიტომ, მათი ერთობლიობის მხოლოდ თანხობრივი აღრიცხვა ვერ უზრუნველყოფს საწარმოს მიზნების განხორციელებას.

უცილებელი ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა ინდივიდუალურად, ანუ ანალიზურად. ანალიზური აღრიცხვა უნდა განხორციელდეს ნატურალურ და ფულად საზომში. მნიშვნელოვანია ანალიზური აღრიცხვის როლი მარაგის მართვის, ოპერატიული კონტროლისა და აღრიცხვისათვის. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანალიზურ აღრიცხვას ახორციელებენ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანალიზური აღრიცხვისათვის თითოეულ დასახელებას ხელით აღრიცხვის პირობებში უნდა გაეხსნას ბარათი ან ფაილი, კომპიუტერული სისტემის გამოყენების შემთხვევაში. მათში მატერიალური ფასეულობების მოძრაობის (მიღებისა და გაცემის) შესახებ მონაცემები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეიტანება ზედნადებისა და სხვა პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. ბარათში ყოველი ასეთი ჩანაწერის შემდეგ გამოიყვანება ნაშთი.

ამის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის პირველადი დოკუმენტები ბუღალტერიას გადაეცემა დასამუშავებლად. ანალიზური აღრიცხვის ბარათები შეიძლება გაიხსნას არა მხოლოდ დასახელების, მწარმოებლების, მყიდველების, არამედ ფასების მიხედვითაც.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოძრაობის პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტერია ადგენს ანალიზური აღრიცხვის ბრუნვათა უწყისს, სადაც აისახება თითოეული დასახელების მიხედვით როგორც რაოდენებრივი, ისე თანხობრივი მონაცემები.

ოპერატიული კონტროლისათვის ყოველი თვის ბოლოს ანალიზური აღრიცხვის ბარათების მონაცემები უნდა შედარდეს

სინთეზური აღრიცხვის მონაცემებს. ბარათების მიხედვით გამოყვანილი ნაშთების ჯამი ტოლი უნდა იყოს შესაბამის ანგარიშზე.

სამეურნეო სუბიექტი ვალდებულია, ჩაატაროს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია იმ წესებისა და ნორმების დაცვით, რაც დადგენილია ინვენტარიზაციის ძირითადი დებულებით.

ინვენტარიზაციის ძირითადი მიზანია, გამოავლინოს ფაქტობრივად არსებული მატერიალური ფასეულობები, მათი დაცულობა, შენახვისა და გაცემის სისწორე. ინვენტარიზაციას ექვემდებარება აგრეთვე ის ქონება, რომელიც არ ეკუთვნის მოცემულ საწარმოს, მაგალითად, მიღებულია საპასუხისმგებლო შენახვისათვის, გადასამუშავებლად და სხვა.

საწარმო ვალდებულია, ჩაატარონ ინვენტარიზაცია წლიური ანგარიშების შედგენის წინ:

ნედლეულისა და სხვა მატერიალური ფასეულობებისა – ერთხელ მაინც წელიწადში წლიური ანგარიშის შედგენის წინ, მაგრამ არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა; ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისა – ერთხელ მაინც თვეში.

მატერიალურ ფასეულობათა გარკვეულ ნაწილს ბუნებრივი დანაკლისებიც ახასიათებს და მათი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ შემოწმდება ფაქტობრივი ნაშთები და მოხდება მათი შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან, სწორედ ეს არის ინვენტარიზაციის მიზანი: ფაქტობრივი ნაშთების სააღრიცხვო მონაცემებთან შედარებით გამოვლინდეს მათ შორის განსხვავება და შესწავლილ იქნეს მათი მიზეზები.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია ტარდება აღიარებული საერთო წესების მიხედვით, რაც ასე გამოიხატება: ინვენტარიზაციას ატარებს ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: ხელმძღვანელი ან მისი წარმომადგენელი (კომისიის თავმჯდომარე), ბუღალტერი, ტექნოლოგი, საქონელმცოდნე და სხვა გამოცდილი მუშაკები.

ინვენტარიზაცია ტარდება განსაზღვრულ ვადებში დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვით. დაუშვებელია ინვენტარიზაციის ჩატარება კომისიის წევრთა არასრული შემადგენლობით. კომისიის წევრები პასუხს აგებენ აღწერილობაში ფასეულობის შეტანის სისრულესა და სიზუსტეზე, შედეგების თავისდროულად და სწორად გაფორმებაზე.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმება უნდა განხორციელდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით და მონაწილეობით ფასეულობათა დათვლის, აწონვისა და გაზომვის გზით. დაუშვებელია იმ მატე-

რიალურ ფასეულობათა შერჩევით შემოწმება, რომლებიც მიღებული მომწოდებლებისაგან და ინახება შეფუთულ მდგომარეობაში.

საინვენტარიზაციო აღწერაში ჩანაწერების ამოშლა და გადასწორება დაუშვებელია. შეცდომის დაშვებისას უნდა გადაიხაზოს არასწორი ჩანაწერი და ჩაიწეროს სწორი, რაც დადასტურდება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით.

ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგები გაიანგარიშება შედარების უწყისით, სადაც გამოვლინდება სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტობრივ ნაშთებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ფაქტობრივ მდგომარეობის შესახებ ზუსტი შედეგი მიიღება მხოლოდ სრული ინვენტარიზაციით.

ინვენტარიზაციის შედეგებს განიხილავს საწარმოს ხელმძღვანელობა საერთო კრებაზე, რაზეც ფორმდება სპეციალური ოქმი და მიიღება გადაწყვეტილება დანაკლისებისა და დანაკარგების დაფარვის თაობაზე.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისები და დანაკარგები ორი სახისაა: ნორმირებული და არანორმირებული. ნორმირებული დანაკარგები მოსალოდნელი დანაკარგებია, რაც მატერიალური ფასეულობის ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით არის განპირობებული. მათ ბუნებრივ დანაკარგებსაც უწოდებენ. დანაკარგების ნორმა დგინდება პროცენტულად.

არანორმირებული, ანუ ზენორმატიული დანაკარგები გაუთვალისწინებელი დანაკარგებია და ისინი გამოწვეულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დატაცებით, გაფუჭებით და სხვა მიზეზებით. ასეთი დანაკარგები და დანაკლისები დამნაშავე პირებს საბაზრო ღირებულებით დაეწერება. დამნაშავე პირების მიერ დანაკლისი შეიძლება დაიფაროს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობით ან ფულით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისები და ზენორმატიული დანაკარგები, როდესაც კონკრეტული დამნაშავეების დადგენა ვერ მოხერხდება ან დამნაშავე პირებისაგან მათ ამოღებაზე სასამართლომ უარი განაცხადა, ხელმძღვანელის განკარგულებით ჩამოიწერება საწარმოს ფინანსურ შედეგებზე გატარებით:

დებეტი – 8290 სხვა არასაოპერაციო ხარჯები

კრედიტი – 1600 სასაქონლო მატერიალური მარაგი.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა აიღება საწარმოს შემოსავალში და ასევე აისახება ფინანსურ შედეგებზე გატარებით:

დებეტი – 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი.

კრედიტი – 8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავალები.

ინვენტარიზაციის შედეგები აისახება იმ პერიოდის (თვის) აღრიცხვასა და ანგარიშგებაში, რომელშიც დამთავრდა ინვენტარიზაცია.

Elguja Konjaria

THE ESSENCE AND SIGNIFICANCE OF FINANCIAL ACCOUNT OF COMMODITY AND MATERIAL ASSETS

Annotation

To realize economic job factories must have definite size ware-resources payment, which is plural assets, especially current assets.

Their registration and reflection in financial account represent accounting registration international standard 2, according to ware resources payment.

Material assets are the main elements in production process, which reflect in production of material stock.

თინათინ ქურდაძე

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა

დღეისათვის, საქართველოში საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული ყველა საკითხი საკმაოდ აქტუალურია და მტკივნეულიც. მიმდინარე ეკონომიკური და საბიუჯეტო კრიზისი, უმუშევრობა, არასტაბილური ლარის კურსი და სხვა თანმდევი პრობლემები ერთად აღებული, ბიუჯეტში, როგორც ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ დოკუმენტში, აისახება. ეკონომიკური რეფორმები კი, რომელიც დამოუკიდებელი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, გულისხმობს, რომ საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა ვითარდება პარალელურ რეჟიმში აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის, უკრაინის, აზიისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად. სწორედ მსგავსი მიდგომა გახდა იმის საფუძველი, რომ ჩამოყალიბებულიყო უფრო სრულყოფილი და კონკურენტუნარიანი საინვესტიციო გარემო, რეგიონული მმართველობის სერიოზული სისტემით, რათა შეკვეცილიყო ზედმეტი ბიუროკრატიული რგოლები სახელმწიფო ბიუჯეტისა და ცალკეული ადგილობრივი ბიუჯეტების დახვეწილი სტრუქტურული უფლება-მოვალეობებით.

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად რაციონალურად შეიცვლება გადასახადების აგების საფუძვლები, საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისა და გადასახადების ამოღების მეთოდიკა, წესები, ბიუჯეტური პროცესის სტადიები და მისი

აღსრულების მექანიზმები, შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაციის სტრუქტურა. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში წერია: საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით – სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა. ამ სისტემის მონაწილეთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“. საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, გადასახადებისა და მოსაკრებლების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს სხვა აქტების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების საფუძველზე (საქართველოს 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონი № 5172, ვებგვერდი, 07 თებერვალი, 2011 წელი. საქართველოს 2014 წლის 05 თებერვლის კანონი № 1959, ვებგვერდი, 12 თებერვალი, 2014 წელი).

ამავე კანონში წერია, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები: ყოვლისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა, ერთიანობა, უნივერსალობა და კონსოლიდირება. ყოველივე ეს კი, ერთად აღებული, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მახასიათებლებია. საბიუჯეტო პროცესი კი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროცესის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპებიდან ერთ-ერთი, დამოუკიდებლობა – არის საბიუჯეტო სისტემის უმთავრესი პრინციპი, რაც გულისხმობს რომ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები არ უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური დაბალანსების პროცესში. სრულყოფილი საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება კი, გულისხმობს ოპტიმალური საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის არსებობას, აქედან გამომდინარე კი, შესაბამისი პროგრამების შემუშავებას მკაფიოდ გამოხატული მიზნებით, კონტროლის მექანიზმებით, ვადებით და

პასუხისმგებლობით. მაგრამ სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში აღებული საგარეო და შიდა ვალები, რომელმაც წელს ჯერჯერობით 300 მილიონი დოლარი შეადგინა და კიდევ ველოდებით მსოფლიო და განვითარების ბანკებიდან, აზიის ბანკიდან ტრანშებსა და გრანტებს, ქვეყანას დამოუკიდებლობის ელფერს უკარგავს ყველა ჩამოთვლილ საბიუჯეტო სისტემის პრინციპებთან ერთად კონტექსტ-ში. ხოლო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქვეყანაში 508 მილიონი დოლარის ინვესტიციები შემოვიდა, წინააღმდეგობაშია იმასთან, რაც სახეზეა ლარის გაუფასურებისა და სასაქონლო დეფიციტის ფონზე, ასეთ შემთხვევაში, პირიქით, ლარი უნდა გამყარებულიყო, ხოლო ფასები თუ არ დაიკლებდა, სტაბილური მაინც უნდა ყოფილიყო.

საბიუჯეტო ერთეულებს შორის შემოსავლების განაწილებას ამა თუ იმ გადასახადის ფორმირების საქმეში საფუძვლად უნდა ედოს ტერიტორიული ერთეულების მონაწილეობის ხარისხი, წინააღ-მდეგ შემთხვევაში ქვეყნის მმართველი ორგანოები გადასახადების გაზრდით ჩაახშობენ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივასა და სტიმულს. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მსგავსი ხერხები გამოიწვევს ინფლაციას, უმუშევრობის ზრდასა და ფინანსური ბაზრის არასტაბილურობას, რაც დღეისათვის უკვე სახეზეა და ქვეყნის მთავრობა და ეკონომიკური გუნდი გამოსავალს ეძებენ. ამას ადსტურებს 8 დეკემბერს გამართული შეხვედრა საერთა-შორისო-საფინანსო კორპორაციის წარმომადგენლებთან, სადაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ 2014 წლის მე-3 კვარტალში შემოსული ინვესტიციები, რომელიც 99%-ით აღემატება 2013 წელს შემოსული ინვესტიციების ოდენობას, სრულიად მოწყვეტილია რეალობას, რაზეც დღევანდელი კრიზისის სიღრმით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

საერთოდ, ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების მობილიზე-ბისას დაცული უნდა იყოს ეკონომიკური სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც მისღებია განვითარებული ქვეყნისათვის შეიძლება მიუღებელი იყოს ჩვეთვის. აქ იგულისხმება ბოლო პერიოდში გატარებული ცვლი-ლებები. როდესაც გადასახადის განაკვეთის გაზრდა, სუსტი საგადასახადო ადმინისტრირებისა და პერსონალური შედავათების პირობებში ზღუდავს ლეგალურ საქმიანობას და მეწარმე იძულე-ბულია, გადაინაცვლოს „შავ ბაზარზე“ (აქ შეიძლება გარემოვაჭ-რეებიც ვიგულისხმოთ). ასეთ პირობებში არ შეიძლება საგადა-სახადო განაკვეთების შემცირებამ სათანადო ეფექტი მოგვცეს. აქ ადგილი აქვს ე.წ. „მოწესრიგების ასიმეტრიულობას“, როდესაც უკვე არალეგალურ სფეროში მომუშავე მეწარმეს, საგადასახადო განაკვეთის შემცირების შემთხვევაშიაც კი, არ სურს გამოვიდეს ლეგალურ ბაზარზე და გადაიხადოს იმაზე ნაკლები, ვიდრე იხდიდა

ადრე. საქმიანობის ლეგალიზების უცილობელი წინაპირობაა ისეთი გარემოს შექმნა, როდესაც ყველა გადამხდელი დარწმუნებული იქნება, რომ გადასახადის გადაუხდელობისათვის მკაცრად დაისჯება ან პირიქით, წახალისდება, რაც ჩვენ პრაქტიკაში ჯერჯერობით მხოლოდ სუბიექტური ხასიათისაა და მხოლოდ მაღალჩინოსნებზე ვრცელდება „პრემია-დანამატების“ სახით.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის უზრუნველყოფა ბიუჯეტების გათანაბრების ორი ძირითადი მიმართულებით ხდება – ჰორიზონტალური და ვერტიკალური. საბიუჯეტო ფედერალიზმის კონცეფცია გვთავაზობს ვერტიკალურ გათანაბრებას და ბიუჯეტების დაბალანსების შესაძლებლობას ორმხრივად ხსნის: 1. მხარჯავი დაწესებულებების დონის მიერ ხარჯების მიხედვით აღებულ ვალდებულებათა მოცულობა; 2. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის პოტენციურ შესაძლებლობათა მოცულობა. ბიუჯეტების გათანაბრებაზე განსაკუთრებულ როლს, ცხადია, შემოსავლების ზუსტი განსაზღვრა წარმოადგენს, რომელიც უნდა განისაზღვროს კონსტიტუციურ საწყისებზე. როდესაც საუბარია ვერტიკალურ გათანაბრებაზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს რეგიონული ბიუჯეტების გათანაბრება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. როგორც ჩანს, საბიუჯეტო დაბალანსების ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია ვერტიკალური ფინანსური გათანაბრებით, თუ ის არ არის შერწყმული ბიუჯეტების ჰორიზონტალური ფინანსური გათანაბრების პროცესებთან.

თეორიული თვალსაზრისით, ფინანსური გათანაბრება არის სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ფინანსური საშუალებების გათანაბრებით ფინანსური მექანიზმების შემუშავება. აქედან გამომდინარე, განსხვავებული დონის ბიუჯეტების ფინანსური გათანაბრების პრობლემის გადაწყვეტა უნდა დავიწყოთ ამ დონის ბიუჯეტების ურთიერთქმედებისა და ერთმანეთისადმი საბიუჯეტო უფლებების მკაცრად დადგენილი პრინციპებით. ამ მხრივ კი საქართველოში ბიუჯეტების ფინანსური გათანაბრების აუცილებლობის პრობლემა დგას. ცვლილებები, ჩადებული მომავალი 2015 წლის ბიუჯეტში, პენსიების გაზრდით ყველა ასაკობრივ ჯგუფში. იგი უმნიშვნელოა, რადგან თუ ის მეტად გაზრდებოდა, გამოიწვევდა ფასების ზრდას – ეს ბაზრის კანონია, მაგრამ ფასები მაინც იზრდება. ამიტომ დახმარებების და ხელფასების ზრდის პროცესები შეუქცევადი უნდა გახდეს და მიიღოს პერმანენტული ხასიათი, როგორც ეს იყო წინასაარჩევნო დაპირებებში, რათა გაუთანაბრდეს სამომხმარებლო კალათით გათვალისწინებული თანხების რეალურ ოდენობას, სახელმწიფომ კი ფასწარმოქმნაში მარეგულირებელი ფუნქცია უნდა შეასრულოს, რაც

ასახული იქნება აღნიშნულ პროდუქციაზე ფასების ზრდისა და პენსიებისა და სხვა სოციალური შეღავათების ზრდის მცირე პროპორციულობით მაინც. ასევე, ის, რაც თბილისის მერიიის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული შეღავათების სახით, გავრცელდეს სხვა რეგიონული ბიუჯეტებზეც.

ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისი მეტ-ნაკლებად მიბმულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე ყველა კონტექსტში. მიუხედავად ამისა, ჩვენი ეკონომიკური გუნდი აანონსებს – ეკონომიკურ ზრდას 5,2%-ით, ამოღებულს საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე – 70 მილიონი ლარის ოდენობით, რაც არ შეინიშნება მეზობელ რეგიონებში, როგორებიცაა: რუსეთი თურქეთი, უკრაინა და სხვა, მაგრამ ფაქტობრივად ეს მხოლოდ ქაღალდზეა, რადგან იქ პენსიებიც მეტია და ცხოვრების დონეც უფრო მაღალია. იმის დადგენა, თუ რა მოცულობით უნდა მოხდეს ბიუჯეტის შედგენა კონკრეტულ შემთხვევაში როგორც აბსოლუტურ თანხებში, ისე მშპ-თან მიმართებაში, 5%-იანი მატება შედეგს არ იძლევა, იგი მშპ-თან მიმართებაში სულ მცირე 10%-ით მაინც უნდა გაიზარდოს, რომ ქვეყანას და მის რიგით მოსახლეობას რაიმე დაეტყოს, რომ იგი ოპტიმალურად პასუხობდეს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების განხორციელებას. ამიტომ საჭიროა მეტი პრაგმატულობა ბიუჯეტის შედგენისას და მეცნიერულად ჩამოყალიბებული დებულებების მიღმა. იგი არ უნდა იყოს სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილების პირდაპირი იმიტაცია და, მოწყვეტილი არსებული რეალობისაგან (თუნდაც უკრაინასთან შედარება, სადაც ომია და ექსპორტს ჩვენზე მეტს აწარმოებს, თურქეთზე, რუსეთსა და სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ) ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები პრაქტიკულ ასპექტში, უმთავრესად ფისკალურ (საგადასახადო-საბიუჯეტო) პოლიტიკაში აისახება. სწორედ ასეთი პოლიტიკა წარმოადგენს იმ უმთავრეს მექანიზმს, რომლითაც ხელისუფლება, პრაქტიკულად, შედის თითოეული მოქალაქის საქმიანობის არეალში და როგორც საგადასახადო, ასევე საბიუჯეტო ხარჯების მეშვეობით მონაწილეობს მოქალაქეთა კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესში. ამდენად, შეუძლებელია ქართული საზოგადოება გულგრილი იყოს ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო მარათონის დროს მიცემული უამრავი დაპირების შეუსრულებლობის მიმართ. საქართველოში საბიუჯეტო პრობლემები გაცილებით აქტუალურია, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში, თუნდაც ჩვენ ზემო-

აღნიშნულ უახლოეს მეზობელ ქვეყნებში, რადგან ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოების ფინანსური და სოციალური სტაბილურობის განმსაზღვრელი საშუალო ფენა და ჯერ კიდევ დიდია დაბალშემოსავლიანი კატეგორიის ადამიანთა რაოდენობა. მ.შ ყველაზე მტკივნეული პენსიების, დახმარებებისა და ხელფასების ზრდის საკითხი 2015 წლის 1 სექტემბრიდან მხოლოდ 10 ლარით, ასევე დაუბეგრავი მინიმუმის უკან დაბრუნების შეწყვეტის საკითხი 2015 წლიდან, სრულიად მოწყვეტილია რეალობას და გადის ეკონომიკური სამართლიანობისა და თანასწორობის დოქტრინის ჩარჩოებიდან.

მთლიანად ფინანსური სიტუაცია ქვეყანაში შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ზომიერად არასტაბილური. ფისკალური პოლიტიკის ძირითადი ღონისძიებანი ამ ეტაპზე უკვე ვეღარ იძლევა გარკვეულ შედეგებს, ხოლო საგარეო ვალდებულებათა შესაძლებლობანი გრანტების, დახმარებების და ვალების ჩათვლით, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ერთადერთი გამოსავალი, რომელიც ყოველწლიურად იზრდება და უარყოფით შედეგებს მოგვცემს გრძელვადიან პერსპექტივაში. მიღებული უნდა იქნეს განსაკუთრებული ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებს საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური და საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებას მთლიანად. ასევე იმ ავადსახსენებელი დანამატების (და ვითომ არა პრემია – რა მნიშვნელობა აქვს რას დავარქმევთ?) სისტემა მხოლოდ მაღალჩინოსნებისათვის მუშაობს. პარალელურად კი მწირი პენსიები და ხელფასები, სრული დისპროპორციაა. ყოველივე ეს კი შეიძლება მკვეთრად გამოხატული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის უმთავრესი მიზეზიც გახდეს. მატულობს უმუშევრობა და იზრდება სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვიც. ამიტომ ქვეყნის მაკროეკონომიკური არასტაბილურობა სახეზე და ეს პრობლემები ქმედითი ღონისძიებების გატარების გარეშე თავისთავად ვერ გადაიჭრება.

გლობალიზაცია საყოველთაო პროცესია და მოიცავს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. ამიტომ, დიდი ხნის განმავლობასი მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლამ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინ წამოსწია საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემაში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და, შესაბამისად, ეკონომიკური რეგულირებისათვის საგადასახადო-საბიუჯეტო მეთოდებისა და ბიუჯეტური პროცესების სრულყოფისათვის მექანიზმების ფორმირების საკითხების შესწავლის აქტუალობაც. ასევე, გლობალიზაციის პირობებში, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებების კომპლექსური დამუშავება.

მათ შორის ბიუჯეტის დაგეგმვისას ცვლილებების შეტანა უფრო მეტად იქ, სადაც თანხები გათვალისწინებულია საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის შემოსავლების მატებისა და სხვა მსგავსი პრობლემ-ბისათვის. ასევე, საგადასახადო კანონმდებლობაში საგადასახადო განაკვეთების თვალსაზრისით, და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესება, რომელიც არ შეზღუდავს სამეწარმეო საქმიანობას და, შესაბამისად, გააუმჯობესებს სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს, აგრეთვე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ყველაზე აქტუალურია დღეისათვის საქართ-ველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და განსაკუთრებული ბუნებ-რივი კლიმატის გამო.

ზოგადად, ამ თემის აქტუალობა არის მუდმივი დროსა და სივრცეში, მაგრამ ამ პრობლემისათვის მეცნიერული სახის მიცემა ნაკლებად თუ აინტერესებს ვინმეს. საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაზე ზემოქმედების მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საგარეო ურთიერთობებზე პრიორიტე-ტული დარგების განვითარების მიხედვით. ეკონომიკური აღმავლობა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში პირდაპირ კავშირშია საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის განვითარების დონესთან მისი ნორმალური ფუნქციონირების სტრატეგიის განსაზღვრისას.

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვ-ლის პროცესის სირთულეები დაკავშირებულია საბიუჯეტო-საგა-დასახადო სისტემის სრულყოფასთან, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია რომ, ამას, გარდა ობიექტურისა, უფრო სუბიექტური მიზეზები გააჩნია. საქართველოში დღეს მოქმედი სისტემა და საგადასახადო კოდექსი ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა „ნორმალურად“ ფუნქციონირებს. მაგრამ, რადგანაც ჩვენ ვიმყოფებით პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის სტადიაში თანმდევი ელიტარული კორუფ-ციით და მწვავე სოციალური ფონით, ამიტომ, აუცილებელია, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ყველა მიმართულებით, რაც გამოიწვევს წარმოებისა და საგადასახადო ბაზის ზრდას ერთდრო-ულად და, საბოლოო ჯამში, გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლადიმერ (ლადო) პაპავა, არატრადიციული ეკონომიქსი, თბილისი, 2011.

2. ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა, ცენტრალური ევრაზია – ახლებური გროპოლიტიკური გააზრება, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2012.

3. ზვიად როგავა, „გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი“,თბილისი, 2002.

4. საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი“;

5. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;

6. საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები;

7. პერიოდული გამოცემები, გაზეთები – „ბანკები და ფინანსები“.

Tinatin Kurdadze

IMPROVING OF BUDGET-TAX SYSTEM

Annotation

The main task for government for improving of budget-tax (fiscal) system first of all is establishing advantageous finance, economic and social conditions for people and after this strengthening fiscal policy by connection of economy based on infrastructural development.

იზა ნათელაური
თამარ თაფლაძე

საქართველოს ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილების ასპექტები

საქართველო მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური კავშირების მქონე ქვეყანაა, თანამშრომლობს პარტნიორთა დივერსიფიცირებულ წრესთან, ავითარებს თანამშრომლობის როგორც ტრადიციულ, ისე ახალ ფორმებს. თანამშრომლობის ტრადიციული ფორმებიდან განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობას, კერძოდ, ექსპორტს, იმპორტს და რეექსპორტს.

1. საგარეო ვაჭრობის ზოგადი ტენდენციები საქართველოში

2013 წლის მონაცემებით, საქართველოდან უცხოეთში ექსპორტზე გავიდა 2909 მლნ აშშ დოლარის საქონელი, იმპორტის სახით შემოვიდა 7874 მილიონის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მაჩვენებელმა შეადგინა 10783 მლნ აშშ დოლარი, წმინდა ექსპორტის მაჩვენებელმა - 4965 მლნ. წინა, 2012 წელთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა

22,38 %-ით, იმპორტი - 0,4%-ით, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა - 5,5%-ით, წმინდა ექსპორტის მაჩვენებელი, საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი 9,2%-ით შემცირდა. აბსოლუტურ მაჩვენებლებში წლიდან წლამდე იზრდება ექსპორტიც, იმპორტიც და საგარეო ვაჭრობის ბრუნვაც (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მლნ აშშ დოლარი

წლები	**2010**	**2011**	**2012**	**2013**
საგ. ვაჭრობის ბრუნვა	6935 (123,1% წინა წელთან)	9247 (133,3%)	10220 (110,3%)	10783(105.5%)
ექსპორტი	1677 (147,8%)	2189 (130,5%)	2377 (108,6%)	2909(122,38%)
იმპორტი	5257 (1116,8%)	7058 (134,2)%	7842 (111,1%)	7874(100,4%)

წყარო: http//www. geostat.ge

2013 წელს ექსპორტი, იმპორტთან შედარებით, წლიური ზრდის მნიშვნელოვნად მაღალი ტემპით გამოირჩევა. 2011 და 2012 წლებში პირიქით, იმპორტი ექსპორტთან შედარებით წლიური ზრდის უფრო მაღალი ტემპით ხასიათდება. 2010 წელს იმპორტის წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 116,82%, 2011 წელს - 134,26%, 2012 წელს - 111,11%, 2013 წელს მხოლოდ 100,4%; ექსპორტის წლიური ზრდის ტემპი შესაბამისად იყო - 2010 წელს 147,88%, 2011 წელს - 130,53%, 2012 წელს - 108,59%, 2013 წელს - 122,38%. 2010-2012 წლებში იმპორტის ზრდის ტემპმა შეადგინა 149,17%, ექსპორტისა - 141.7%.

2013 წელს საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა შეადგინა 4965 მლნ აშშ დოლარი, 2012 წელს – 5465 მლნ აშშ დოლარი, 2011 წელს - 4869 მლნ, 2010 წელს - 3512,2 მლნ, 2009 წელს - 3229,5 მლნ, 2008 წელს - 4808,2 მლნ, 2007 წელს - 3983 მლნ, 2006 წელს - 2742 მლნ, 2005 წელს 1624 მლნ, 2004 წელს - 1197 მლნ, 2003 წელს - 680 მლნ აშშ დოლარი [წყარო: 10,11,15]. 2000-2012წწ. დეფიციტის ზრდის ტემპი = 5465 / 386,7 = 14,132; საშუალო წლიური ზრდის ტემპი = 1,2221 (122,21%); საშუალო წლიური ნაზრდის ტემპი = 22,21 %.

საქართველოში ექსპორტს რაოდენობრივად ბევრად ჭარბობს იმპორტი. დეფიციტი ქრონიკული და წლიდან წლამდე მზარდია.

საქართველოს, საგარეო სავაჭრო ბალანსის ქრონიკულად მზარდი დეფიციტის პირობებში, ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ექსპორტ-იმპორტის არასასურველი სტრუქტურა აქვს; ექსპორტი ტრადიციულად სანედლეულოა, იმპორტი კი, ძირითადად, შუალედური და ერთჯერადი მოხმარების საქონლით არის წარმოდგენილი. იმპორტის მოცულობასა და სტრუქტურას განსაზღვრავს

არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება. მოხმარებულ მშპ-ში იმპორტი დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: 2007 წელი – 51,2%, 2006 წელი – 47,3%, 2005 წელი – 38,8%, 2004 წელი – 36,0%, 2003 წელი – 29,6% **[10,11]** და სტრუქტურულად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთჯერადი მოხმარების საქონლისაგან შედგება. არც ერთი მაჩვენებელი ახალი არ არის – ასე იყო საბჭოთა პერიოდში და ასეა ახლაც. განსხვავება იმაშია, რომ იმპორტს საბჭოთა პერიოდში საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამჟამად კი მნიშვნელოვანწილად, მასზეა დამოკიდებული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ბედი. რაც შეეხება ექსპორტს, გასული საუკუნის 90-იან წლებში საგარეო ეკონომიკური რეფორმის დაწყებისთანავე დაიწყო აქტიური მუშაობა ექსპორტის სტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მაგრამ ყველაფერი დასრულდა ცნობილი მოვლენებით. დამოუკიდებელ ქვეყნებში დაიშალა ეკონომიკური სისტემები. იმპორტმა შეიძინა სასიცოცხლო მნიშვნელობა. ამან კი მოითხოვა ექსპორტის სანედლეულო სტრუქტურის შენარჩუნება. ამასთან, დეფიციტურმა სამომხმარებლო ბაზარმა და მომხმარებელთა დაბალმა შემოსავლებმა არსებულ სტრუქტურაში ასტიმულირა იმპორტირებული პროდუქციის დაბალი ხარისხი. კიდევ უფრო გაუარესდა იმპორტის სტრუქტურა და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საგარეო ვაჭრობის ოპერაციებიდან საქართველოში უმნიშვნელოვანესია რეექსპორტის ოპერაცია. მას განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს სატრანსპორტო დერეფანი. თავისი პერსპექტივითა და მნიშვნელობით აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში ბადებს საგარეო ვაჭრობის თვისებრივი განვითარების პერსპექტივას. კერძოდ, განვითარდება მომსახურებით ვაჭრობა, რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველია. გაიზრდება ქვეყნის შემოსავლები, შეიქმნება იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა. საქონლის ექსპორტსა და იმპორტს ჩაენაცვლება მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. თუ არ შემცირდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მას ექნება გამართლება იმ მხრივ, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო

დასასრულ საგულისხმოა, რომ საგარეო (საერთაშორისო) ვაჭრობა, მსოფლიო ბანკის ანგარიშების მიხედვით, ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში ერთ-ერთია თანაბარი წონებით წარმოდგენილ 10 ინდიკატორს შორის **[6, გვ. 28-31].**

ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში საქართველოს პირველი ადგილი უკავია ევროპისა და ცენტრალური აზიის იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც მოსახლეობის სიმჭიდროვე საშუალოა, შემოსავ-

ლები კი საშუალოზე დაბალი. რაც შეეხება ინდიკატორებს, პირველი ინდიკატორია საწარმოების რეგისტრაცია (ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველო მე-5-ე ადგილზეა ახალი ზელანდიის, კანადის, ავსტრალიისა და სინგაპურის შემდეგ); მეორეა მშენებლობის ნებართვის მიღება (საქართველო მე-7-ე ადგილზეა); მესამე – სამუშაო ძალის დაქირავება (მე-9-ე ადგილზე ვართ); მეოთხე – ქონების რეგისტრაცია (მე-2-ე ადგილზე ვართ საუდის არაბეთის შემდეგ); მეხუთე – დაკრედიტება (30-ე ადგილი გვიკავია); მეექვსე – ინვესტიციების დაცვა (41-ე ადგილი გვიკავია); მეშვიდე – დაბეგვრა (64-ე ადგილი გვიკავია); მერვე - საერთაშორისო ვაჭრობა (30-ე ადგილი გვიკავია; მეცხრე - კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფა (41-ე ადგილი გვიკავია); მეათე – წარმოების ლიკვიდაცია (95-ე ადგილი გვიკავია).

ოცდამეათე ადგილი საგარეო ვაჭრობის ინდიკატორის მიხედვით, საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების რეალურ შესაძლებლობაზე მიუთითებს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ საგარეო ვაჭრობის ინდიკატორების (ექსპორტისა და იმპორტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტების რაოდენობა, დრო და ღირებულება) მაჩვენებლებით საქართველო წინ უსწრებს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონსაც და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასაც.

პერსპექტივაში, საქართველოს, მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნის მსგავსად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშემწყობი პარტნიორთა წრე და საგარეო სავაჭრო კავშირები სჭირდება რაოდენობრივადაც და სტრუქტურულადაც.

2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია

განსაკუთრებული განსჯის საგანია თანამედროვე საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია და პარტნიორთა წრე.

2013 წლის ინფორმაციით საქართველო თანამშრომლობს მსოფლიოს 136 ქვეყნასთან და ქვეყნების 6 ჯგუფთან. ჩვენი ქვეყნის პარტნიორები განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებს წარმოადგენენ. მსხვილ სავაჭრო პარტნიორთა რიცხვში შედიან: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი ჩინეთი, გერმანია, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი და რუმინეთი. ქვეყნების ჯგუფები იყოფიან ევროკავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სუამის ქვეყნებად. საქართველოს უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნებია თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და და რუსეთი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

გააქტიურდა ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობა მეზობელ თურქეთთან, საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის, ერთობლივი საწარმოების შექმნის, რეგიონული და სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროებში. საზღვრების გახსნისთანავე (გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან) საქონელგაცვლითი ოპერაციები საქართველოს ძირითადად ჰქონდა თურქეთთან. გაჰქონდა: ლითონი, ხე-ტყე, ჯართი, ელექტროენერგია და სხვა სანედლეულო საქონელი. შემოდიოდა: ერთჯერადი მოხმარების საქონელი ფართო ასორტიმენტით. თურქი პარტნიორების თანამონაწილეობით საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაცია გაიარა უამრავმა ერთობლივმა საწარმომ. საქართველოს თურქეთთან აკავშირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც. ამჟამად თურქეთში გადის დიდი რაოდენობით ნახევარფაბრიკატები რკინისა და არალეგირებული ფოლადისაგან, აზოტოვანი სასუქები, ტრიკოტაჟის მაისურები, არმატურა, ხორცისა და თევზის ფქვილი; რაც შეეხება იმპორტს, თურქეთიდან საქართველოში იმპორტირდება: სამკურნალო საშუალებები, მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან, სანიტარულ–ჰიგიენური ნაწარმი, მილები და მილაკები პლასტმასისაგან, მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართულ-რუსული ურთიერთობები, სავაჭრო ეკონომიკური კავშირების ჩათვლით **[1; 9, გვ. 8-13; 12, გვ. 120-127].** 2004 წლამდე, ათეულობით წლის განმავლობაში, საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთთან თანამშრომლობას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები – პოლიტიკური, ეკონომიკრი, კულტურული, რელიგიური – ატარებდა ისტორიულ ხასიათს. საქართველო და რუსეთი, როგორც ორი მეზობელი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, წლების მანძილზე ვითარდებოდნენ ერთიანი, ტერიტორიულად დიდი და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის – სსრკ-ს შემადგენლობაში. ორივე ქვეყანას მინიჭებული აქვს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის სტატუსი და მსგავსი სასტარტო პირობებით ორიენტირებული არიან ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე, საქართველო მცირე ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე, რუსეთი კი დიდი ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე. საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი მაღალი იყო 2004 წლამდე. 1998-2004 წლებში რუსეთზე მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 19,46%, ექსპორტის საერთო მოცულობის 22,89% და იმპორტის საერთო მოცულობის 18,08%. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ხორციელდებოდა 97 სასაქონლო პოზიციის მიხედვით. ექსპორტში დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლით წარმოდგენილი იყო მინერალური წყლები, ღვინო, სპირტიანი სასმელები, კაკალი,

მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები და სხვ.; იმპორტში – ნავთობპროდუქტები, ელექტროენერგია, ხორბლის ფქვილი, საკონ-დიტრო ნაწარმი, სამკურნალო საშუალებები და სხვ. 2002-2004 წლებში აღინიშნებოდა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდა. ექსპორტის ზრდის ტემპმა 2003 წელს, 2002 წელთან შედარებით, შეადგინა 144%, 2004 წელს 138,3% 2003 წელთან შედარებით და 199,2% 2002 წელთან შედარებით. იმპორტის შესაბამისი მაჩვენებლები ტოლი იყო: 136, 172 და 234%-ის. წლიური ზრდის ტემპები მეტყველებს, რომ რუსეთიდან იმპორტი საქართველოში იზრდებოდა უფრო სწრაფად ვიდრე საქართველოს ექსპორტი რუსეთში. 2005 წლიდან დაწყებული, რუსეთთან საქართველოს ექსპორტიცა და იმპორტიც კლებადი აქვს. 2007 წელს მან, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ათეულში (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, აშშ, ბულგარეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ჩინეთი და თურქმენეთი) მესამე ადგილზე გადაინაცვლა. 2012 წლიდან კვლავ გაჩნდა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაფართოების პერსპექტივა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, გარდა რუსეთისა, საქართველოს პარტნიორები არიან აზერბაიჯანი, უკრაინა და სომხეთი. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ორ ერთნაირ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში მყიფი ქვეყნის თანამშრომლობაა. მათ ერთნაირად ეხებათ კავკასიის რეგიონული პრობლემები. ორივე გარდამავალი ეკონომიკის, მცირე ღია ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანაა. ტერიტორიული სიახლოვე ამ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ TRASECA-ს პროექტში. ამ პროექტიდან მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები ორივე ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-სუფსა საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებული თანამშრომლობის პროექტებია. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოდან აზერბაიჯანში ექსპორტირდება მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და არმატურა; აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოდის: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები, თაბაშირი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ავტომობილები.

განვითარებული ქვეყნებიდან საქართველოს პარტნიორებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ აშშ-ს და გერმანიას. კვლავ აქტუალურია TRASECA. აშშ-მა ამ პროექტის ფარგლებში თავის თავზე აიღო აზია-ევროპის სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოების დაცვა. ამ ქვეყნების ფინანსური დახმარება, არსე-

ბული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მხარისთვის მნიშვნელოვანია საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის რეგულირებასა და მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველ-ყოფაში. გერმანიასთან თანამშრომლობას ახალ აქტუალობას სძენს საქართველო ევროკავშირის ურთიერთობების პერსპექტივა.

გარდა ცალკე აღებული ქვეყნებისა, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის ქვეყნებთან, შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებსა და ეკონო-მიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გაფართოების ხაზით; დსთ-ს ქვეყნებთან – სავაჭრო კავშირების გადახედვის კუთხით, საქართველო-რუსეთის გამწვავე-ბული ურთიერთობების გამო. 2010-2012 წლებში საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები მზარდია ქვეყნების ოთხივე ჯგუფის მიხედვით. სტატისტიკა მეტყველებს საქართველოს სავაჭრო თანამშრომლობის ევროპულ ორიენტაციაზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც გადაუჭრელ პრობლემად რჩება ექსპორტისა და იმპორტის სტრუქ-ტურული ოპტიმიზაციის საკითხი (**ცხრილი 2**).

ცხრილი 2

მლნ აშშ დოლარი

	2011	2012	2013
ევროკავშირის ქვეყნები ექსპორტი **და იმპორტი**	424,3 2053,1	363,1 2427,1	608,14 2262,6
დსთ ქვეყნები	1052,6 1941,6	1245,7 1996,6	1621,1 2165,99
შავი ზღვის ეკ. თან-ის ორგანიზ. **ქვეყნები**	1184,7 3553,1	1330,5 3761,3	
ეკ. თან-ის და გან-ის ორგანიზ. **ქვეყნები**	814,2 3387,5	789,9 3929,8	
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზ. **ქვეყნები**	1050,8 4431,9	1033,8 5036,7	
სუამ-ის ქვეყნები	677,7 1322,6	806,3 1240,7	

წყარო: http//www. geostat.ge

საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილის მაჩვენებლით გამოირჩევიან ევროკავშირის ქვეყნები. მათზე მოდის საქართველოს ექსპორტის 18,5% 2010 წელს, 19,3% 2011 წელს და 15,3% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისთვის ეს მაჩვენებელი ტოლია 17,7%-ის საშუალოდ. შედარებით დიდია საქართველოს ექს-პორტი დსთ-ს ქვეყნებში - 40,35% 2010 წელს, 48,1% 2011 წელს და 52,41% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი

საშუალოდ ტოლია 46,95%-ის. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი შემდეგნაირად გამოიყურება – 53,5% 2010 წელს, 54,2% 2011 წელს და 55,9% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 54,5%-ის; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი შეადგენს მთლიანი ექსპორტის 44,2% 2010 წელს, 37,2% 2011 წელს და 33,2% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 38,2%-ის. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნებზე მოდის მთლიანი ექსპორტის 55,5% 2010 წელს, 48,0% 2011 წელს და 43,5% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 49,0%-ის; სუამის ქვეყნები საქართველოს ექსპორტში წარმოდგენილი არიან 22,3%-იანი ხვედრითი წილის მაჩვენებლით 2010 წელს, 30,9% 2011 წელს და 33,9% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 29,0%-ის.

საქართველოში იმპორტთან დაკავშირებით სტატისტიკა ასეთია: ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტი ტოლია 27,9% 2010 წელს, 29,1% 2011 წელს და 30,9% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 29,3%-ის; საქართველოს იმპორტი დსთ-ს ქვეყნებში ტოლია 30,2% 2010 წელს, 27,5% 2011 წელს და 25,5% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 27,7%-ის. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტი შემდეგნაირად გამოიყურება – 49,8% 2010 წელს, 50,3% 2011 წელს და 47,9% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 49,3%-ის; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტი შეადგენს მთლიანი იმპორტის 47,9% 2010 წელს, 48,0% 2011 წელს და 50,1% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 48,7%-ის. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნებზე მოდის მთლიანი იმპორტის 61,3% 2010 წელს, 62,8% 2011 წელს და 64,2% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 62,8%-ის; სუამის ქვეყნები საქართველოს იმპორტში წარმოდგენილი არიან 19,9%-იანი ხვედრითი წილის მაჩვენებლით 2010 წელს, 18,9% 2011 წელს და 15,8% 2012 წელს. 2010-2012 წლების პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ ტოლია 17,2%-ის. განვითარების თანამედრვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია საქართველო – ევროკავშირის თანამშრომლობა, რადგანაც ევროკავშირი მაღალი საერთაშორისო რეიტინგის რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებაა, ეკონომიკური, სოციალური და პოლი-

ტიკური თვალსაზრისით. დანარჩენ სამყაროსთან მიმართებაში მასში შემავალი ქვეყნები, გამოირჩევიან ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მაჩვენებლებით, განათლებისა და ჯანდაცვის დონით, პოლიტიკური სტაბილურობით, პერსპექტიულობით და „მიმზიდველობით“. ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს უამრავ ქვეყანასთან, ტერიტორიულად დიდ და ტერიტორიულად პატარა ქვეყნებთან, ახლო და შორეულ მეზობლებთან, როგორც მდიდარ და ძლიერ, ისე ღარიბ და სუსტ ქვეყნებთან; შემუშავებული აქვს სამეზობლო პოლიტიკა და ეკონომიკური თანამშრომლობის სტრატეგია. მზად არის, ურთიერთხელსაყრელ პირობებში, მისი სამოქმედო გეგმის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და დაცვის შემთხვევაში, წევრად მიიღოს ახალი ქვეყნები და ამ გზით გაფართოვდეს.

ევროკაშირის პოტენციურ პარტნიორებს შორის, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა (ENP) და ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) ფარგლებში მოიაზრება საქართველოც. ერთის მხრივ გვაქვს ევროკავშირი – უზარმაზარი ტერიტორიით (3892 ათასი კვ. კმ), 455 მლნ მოსახლეობით და ყველაზე გიგანტური ეკონომიკით მთელ მსოფლიოში, მეორე მხრივ საქართველო – ტერიტორიულად პატარა (69700 კვ.კმ), 4,497 მლნ მოსახლეობით, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი და ეკონომიკურად სუსტი ქვეყანა. მიუხედავად ამ ძალიან დიდი განსხვავებისა, საქართველოს, ისევე, როგორც ევროპის სხვა ნებისმიერი ქვეყანას, თუკი იგი შეძლებს აღიაროს კანონის უზენაესობა, დაიცვას საკუთარი მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებები, შექმნას გამართული და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა და გაიზიაროს ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები, აქვს თეორიული შანსი, გახდეს ევროკავშირის წევრი [15].

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გზის ობიექტური გააზრებისთვის საკმარისია წარმოვიდგინოთ ევროკავშირი ციფრების ენაზე და მისი ეკონომიკური (უპირატესად სავაჭრო) კავშირები საქართველოსთან:

ევროკავშირი. 2012 წლის მონაცემებით, ევროკავშირზე მოდის მსოფლიო მშპ-ს 23,2%,, მაშინ, როცა აშშ-სთვის ეს მაჩვენებელი ტოლია 21,9%-ის, ჩინეთისთვის – 11,5%, იაპონიისთვის – 8,3%, რუსეთისთვის – 2,8%. აბსოლუტურ მონაცემებში ევროკავშირის მშპ შეადგენს 12928,398 მლრდ ევროს, აშშ-ს – 12207,391 მლრდ-ს, ჩინეთის – 6403,362 მლრდ-ს, იაპონიის 4641,944 მლრდ-ს, რუსეთის – 1573, 755 მლრდ-ს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში მშპ შეადგენს 25500 ევროს, ევროზონაში – 28500 ევროს. იგი მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკების პირველ ხუთეულში მოიხსენიება. ქვეყნების მიხედვით, მშპ ერთ სულ მოსახლეზე

გერმანიაში ტოლია 32299 ევროსი, საფრანგეთში – 31100-ის, იტალიაში – 25700-ის, კანადაში – 40654-ის, აშშ-ში 38856-ის, იაპონიაში – 36376-ის, რუსეთში – 11089 ევროსი; შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს არგენტინას – 9010 ევრო, ბრაზილიას – 9401, ინდოეთს – 1161, ინდონეზიას 2796, მექსიკას – 7976, თურქეთს – 8257 ევრო [15].

2012 წელს ევროკავშირისთვის სახელმწიფო ვალი შეადგენდა მშპ-ს 85%-ს, გაცილებით ნაკლებს ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი აშშ-სთვის (მშპ-ს 106,5%) და იაპონიისთვის (მშპ-ს 237,9%). ამავე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ევროკავშირში შეადგენდა მშპ-ს 4%-ს, აშშ-ში – 8,5%-ს, იაპონიაში – 10,2%-ს.

ევროკავშირი სათანადოდ ზრუნვას დასაქმებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების დასაქმებაზე – „გარანტიები ახალგაზრდებისათვის“ – პროგრამის ფარგლებში. პროგრამის დაფინანსება შეადგენს 6 მლრდ ევროს. დაგეგმილია მისი გაზრდა 8 მლრდ ევრომდე ორი ფონდიდან: ევროპის სოციალური ფონდიდან და ახალგაზრდების დასაქმების საინიციატივო ფონდიდან. ახალგაზრდების დასაქმების ფონდი ასტიმულირებს სამუშაო ადგილების შექმნას ახალ დარგებში: „მწვანე ეკონომიკა“, ჯანდაცვა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. 2007-2011 წწ. მომზადება გაიარა 12,5 მლნ ადამიანმა, მათგან 2,4 მლნ-მა იშოვა სამსახური მომზადებიდან 6 თვის განმავლობაში.

ევროკავშირი ბევრს მუშაობს საფინანსო ზედამხედველობისა და საგადასახადო სისტემის რეფორმირების ხაზით. მსოფლიოში მან პირველმა აამუშავა საგადასახადო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სისტემა. დიდი პროგრესი აქვს საბანკო კავშირის შექმნის ხაზითა და სისტემური რისკების მართვის მიმართულებითაც.

ევროკავშირი ინტენსიურად თანამშრომლობს მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანასთან. მისი მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვა ქვეყნები. ევროკავშირის ყოველწლიური ექსპორტი აჭარბებს 1,7 ტრილიონ ევროს, იმპორტი კი 1,8 ტრილიონს მსოფლიო ექსპორტის საერთო მოცულობაში ევროკავშირზე მოდის 12%, ჩინეთზე 11%, აშშ-ზე 8%, იაპონიაზე 4%, რუსეთზე 3%, ინდოეთზე 2%, ბრაზილიაზე 1%, დანარჩენ ქვეყნებზე 58%. საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის გარდა, ევროკავშირი გამოირჩევა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობითაც. 2010 წელს შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 3 ტრ ევრო (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო მოცულობის 19,7%), გასულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა კი 4,2 ტრ (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო მოცულობის 26,4%). მსოფლიოში

გამორჩეულია ევროკავშირის ციფრული ეკონომიკა (ტელეკომუნიკაციები), კულტურა და ხელოვნება, განათლება და მეცნიერება.

2010-2012 წლები გამორჩეული წლებია განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების თვალსაზრისით. მათ დასახმარებლად ევროკავშირმა დახარჯა 55,2 მლრდ ევრო, მთლიანი ეროვნული შემოსავლის 0,43%. ევროკავშირი თავისი სავაჭრო პრეფერენციებითაც მთელ მსოფლიოშია გამორჩეული, წარმოადგენს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების საქონლის უმსხვილეს იმპორტიორს. მასზე მოდის მათი საერთო ექსპორტის 36%. 2000-2009 წლებში გაორმაგდა ევროკავშირ-აფრიკის სავაჭრო კავშირები. განვითარებადი ქვეყნები ევროკავშირის ბაზარზე დაშვებული არიან ნულოვანი ან ძალიან მცირე ტარიფებით. მათი იმპორტი ევროკავშირში უფრო მეტია ვიდრე იმპორტი აშშ-ში, იაპონიაში, კანადაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ერთად. განვითარებად ქვეყნებზე მოდის ევროკავშის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 70 %-ზე მეტი.

ევროკავშირის სავაჭრო კავშირები საქართველოსთან. ევროკავშირის ინტერესი პატარა და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისადმი უკავშირდება მათ რესურსულ პოტენციალსა და შედარებით იაფ სამუშაო ძალას. საქართველოსთან მიმართებაში ყოველივეს ემატება ქვეყნის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და გეოეკონომიკური უპირატესობები რეგიონში, განსაკუთრებით სატრანსპორტო კომუნიკაციების სფეროში [3,4].

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში 2006 წელს დამტკიცდა ევროკავშირ–საქართველოს სამოქმედო გეგმა (EAP AP) 2006–2011 წლების პერიოდისთვის. ამ გეგმის ეკონომიკური კომპონენტებია ა) მდგრადი ეკონომიკური განვითარება და სტრუქტურული რეფორმები, ბ) სავაჭრო ურთიერთობების განვითარება პრეფერენციულ რეჟიმში და გ) ევროპის ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრირებაა [9, გვ. 7–8].

მიმდინარე პერიოდში, გარდა ცალკე აღებული ქვეყნებისა, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან, შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან – სავაჭრო კავშირების გაფართოების ხაზით, დსთ-ს ქვეყნებთან – სავაჭრო კავშირების გადახედვის კუთხით. ქვეყნების ოთხივე ჯგუფის მიხედვით, საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები მზარდი აქვს. სტატისტიკა მეტყველებს საქართველოს სავაჭრი თანამშრომლობის ევროპულ ორიენტაციაზე; ექსპორტისა და იმპორტის აბსოლუტური და ხვედრითი წილის მაჩვენებლებით გამოირჩევიან ევროკავშირის ქვეყნები, განსაკუთრებით, გერმანია იტალია, ნიდერლანდები, რუმინეთი და საფრან-

გეთი; გერმანია, რუმინეთი და იტალია საქართველოს მსხვილი პარტნიორი ქვეყნების ათეულში შედიან.

საქართველოს ექსპორტის საერთო მოცულობაში ევროკავშირზე მოდის 20,9 % 2013 წელს, 15,3% 2012 წელს, 19,3% 2011 წელს და 18,5% 2010 წელს; 2010–2013 წლების პერიოდისთვის 18,5% საშუალოდ. ექსპორტირდება ძირითადად თხილი და ყურძნის ნატურალური ღვინო. რაც შეეხება იმპორტს ევროკავშირიდან, სტატისტიკა ასე გამოიყურება; 28,9% 2013 წელს, 30,9% 2012 წელს, 29,1% 2011 წელს და 27,9% 2010 წელს; 2010 2013 წლების პერიოდისათვის საშუალოდ 29,2%. იმპორტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასაქონლო ჯგუფებია ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, სატელეფონო აპარატები ფიჭური და სხვა უსადენო ქსელებისთვის, გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები, სიგარეტები და სხვ. ევროკავშირ-საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი მკაცრად დეფიციტურია საქართველოსთვის და დეფიციტი წლიდან წლამდე მზარდია. 2013 წლის დეფიციტმა შეადგინა 1662626,0 ათასი აშშ დოლარი.

საქართველო ცდილობს, დაუახლოვდეს ევროპულ ღირებულებებს და ისარგებლოს საერთო ბაზარზე შესვლის შედავათიანი რეჟიმით. ახალი ბაზარი მას ექსპორტის დივერსიფიკაციის აუცილებლობის წინაშე აყენებს როგორც სასაქონლო, ისე რეგიონულ ჭრილში. უნდა ითქვას ისიც, რომ რეგიონული რეორიენტაციის პროცესი რუსულმა ემბარგომაც დააჩქარა. სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა და გაჭიანურებულმა რეფორმირებამ კი ხელი შეუწყო ე.წ. „გაჭირვების“ ექსპორტს (მაგ., ჯართის ექსპორტს).

ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებში, ისევე, როგორც ყველა მსგავს შემთხვევაში, მხარეებისთვის მთავარია ინტერესთა ჰარმონიზაცია და თავსებადობა. ქართული მხარე ვალდებულია, დაიცვას ტექნიკური ნორმები და სტანდარტები, სანიტარული და ფიტოსანიტარული წესები, ინტელექტუალური საკუთრების უფლება; ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეძლოს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, თანამშრომლობა კვლევით საქმიანობაში, საქონლის წარმოშობის წესების და ვაჭრობის ხელშემწყობი საბაჟო ადმინისტრირება, კარგი მმართველობა დაბეგვრის სფეროში; გარდა ამისა, უნდა მივაღწიოთ სრულ ჰარმონიზაციას ისეთ სფეროებში, როგორიცაა კონკურენციის პოლიტიკა, ინოვაციები და სამრეწველო პოლიტიკა და ფინანსური პოლიტიკა [7]. კამათს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჩამოთვლილი ვალდებულებები გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი. თუ ისინი თანმიმდევრულად ვერ შესრულდება, მინიმუმ საიმედო პროგრესი მაინც უნდა იქნეს მიღწეული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰარმონიზაციის ვადები გახანგრძლივდება.

იმედია, ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის მოდელი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შემამსუბუქებელი იქნება საქართველოში. ჩვენი ქვეყანა შეძლებს – ა) საგარეო ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციას, ბ) ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში პრეფერენციებით თანამშრომლობას ევროკავშირის ქვეყნებთან, გ) საერთაშორისო კონკურენტუნარიანიბის ამაღლებას და ე) ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის სრულყოფას; სამომხმარებლო საქონელს ჩაენაცვლება საინვესტიციო საქონელი და სავაჭრო ბალანსის დეფიციტსაც გამართლება ექნება.

უნდა ითქვას, რომ ეკონომიკაში საქართველოს პარტნიორი ქვეყნების წრე უკვე საკმაოდ დივერსიფიცირებულია. საჭიროა მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციების დარგობრივ და სასაქონლო ჭრილში ოპტიმიზაცია.

3. საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

საქართველოდან ექსპორტზე გადის კაკალი, ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, სასუქები (მინერალური, ქიმიური და აზოტოვანი), ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული, ან ფქვილის სახით, ფეროშენადნობები, ჯართი, მსუბუქი ავტომობილები და სხვ. რაც შეეხება იმპორტს, საქართველოში იმპორტირდება დიდი რაოდენობით ხორბალი, ნედლი ნავთობი, ნავთობპროდუქტები, სამკურნალო საშუალებები და მსუბუქი ავტომობილები (ცხრ. 3 და 4)

ცხრილი 3

ექსპორტი გამსხვილებული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)

წლები	2010	2011	2012
კაკალი	69955,6	75133,9	130085,7
სპირტიანი სასმელები	54019,4	55704,8	67852,1
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	61868	74503,6	85135,3
სასუქები მინერალური, ქიმიური და აზოტოვანი	60213,6	84155,2	144090,7
ოქრო დამუშავებული ან ნახევრად დამუშაბული და ფქვილის სახით	116189,3	117646,7	109290
ფეროშენადნობები	130081,3	263965,8	254910,8
ნარჩენები და შავი ლითონების ჯართი	63616	109380,9	116811,6
მსუბუქი ავტომობილები	78461,6	277360,5	450296,6

წყარო: http//www. geostat.ge

ცხრილი 4

იმპორტი გამსხვილებული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)

წლები	2010	2011	2012
ხორბალი	174156	184232,2	239953,2
ნავთობი ნედლი	696923,1	910975,5	951041,5
ნავთობპროდუქტები	160508,2	236633,1	252668,3
სამკურნალო საშუალებები	191902,2	201377,2	232480
მსუბუქი ავტომობილები	401673,2	510545,3	662759,3

წყარო: http//www. geostat.ge

მესამე ცხრილში მოყვანილ სასაქონლო ჯგუფებზე მოდის მთლიანი ექსპორტის 52,33% 2012 წელს, 48,32% 2011 წელს და 33,15% 2010 წელს. მეოთხე ცხრილში მოყვანილ სასაქონლო ჯგუფებზე კო მოდის მთლიანი იმპორტის 29,83% 2012 წელს, 26,03% 2011 წელს და 30,91% 2010 წელს. ექსპორტის ხვედრითი წილის მაჩვენებლების ცვლილება საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ჩამოთვლილი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საქართველოს ექსპორტზე მოთხოვნა მზარდია, რაც, რასაკვირველია, დადებითი ტენდენციაა.

2013 წლის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტში მსხვილი სასაქონლო პოზიციებია: მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, თხილი და კაკალი, სპილენძის მადნები და კონსტრუქციები, აზოტოვანი სასუქები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური წყლები, სპირტი, ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული და არმატურა. რაც შეეხება იმპორტს, იმპორტის უმსხვილესი სასაქონლო პოზიციებია: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები, სამკურნალო საშუალებები, ხორბალი, სატელეფონო აპარატები, სპილენძის მადნები და კონსტრუქციები, სიგარეტები, გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები და სატვირთო ავტომობილები.

ქვეყნის შიგნით წარმოების სტრუქტურის სრულყოფა, ანუ საწარმოო ორიენტაციის ეკონომიკის შესაძლებლობების სრულად გამოვლენა [13, გვ 67-72], მომავალში აუცილებლად ასტიმულირებს ექსპორტის დივერსიფიკაციის პროცესს როგორც სასაქონლო ჯგუფების, ისე ქვეყნების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება გარდამავალ ქვეყანაში მცირე ღია ეკონომიკით (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, „მეცნიერება“, 2004.

2. ნათელაური ი. საერთაშორისო ეკონომიკისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თანამედროვე პრობლემები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში (თეორია და პრაქტიკა). თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტის გამომცემლობა, 2013.

3. ნათელაური ი., გურაშვილი ნ. მცირე ღია ეკონომიკური სისტემების დაბალანსებული განვითარება და საგარეო სექტორის უნივერსალურობის ფუნქცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტომი 2, თბილისი, „მეცნიერება“, 2002.

4. ნათელაური ი., თაფლაძე თ. საგარეო ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებები და მისი გაუმჯობესების გზები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 4, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინტიტუტის გამომცემლობა, 2011წ., გვ. 430-436 .

5. ნათელაური ი., თაფლაძე თ. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა გლობალიზაციის პირობებში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონიმიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი 5, 2012.

6. ნათელაური ი., ნათელაური ნ. საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. ჟურ. ეკონომისტი, №4, 2010.

7. ნათელაური ი. ყურძნის ნატურალური ღვინის საექსპორტო წარმოება საქართველოში: რეტროსპექტივა და პერსპექტივა. ჟ. ეკონომისტი, №5, 2013.

8. პაპავა ვ., თაფლაძე თ. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების შესახებ. ჟ. ეკონომისტი, №1, 2012.

9. რა უნდა ვიცოდეთ საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციის ექსპორტისათვის. თბილისი, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესის ცენტრი, 2012.

10. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი, თბილისი, 2006, 2007, 2008 წწ.

11. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

12. წერეთელი გ., ნათელაური ი., ბიბილაშვილი ნ. საქართველოს რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის თანამედროვე

მდგომარეობა და პერსპექტივები. ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, №3-4, 2004.
13. Нателаури И. Внешнеэкономический комплекс Грузии: состояние и проблемы функционирования . ж. Кавказ и глобализация, т. 1(4), 2007.
14. http//www.geostat.ge
15. http:// eeas.europa.eu

ქეთევან ქველაძე

ტურიზმის ინოვაციური პოტენციალი საქართველოში

ტურიზმი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და დინამიურად განვითარებადი დარგი, განვითარების სწრაფი ტემპების გამო ასწლეულის ეკონომიკურ ფენომენადაა მიჩნეული. სახელმწიფოთა 38%-თვის ტურიზმი წარმოადგენს შემოსავლების ძირითად წყაროს, ხოლო 83%-თვის – ხუთი ძირითადი შემოსავლიდან ერთ-ერთს. მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით, ტურისტული ბიზნესი უზრუნველყოფს საწარმოო-სერვისული ბაზრის ბრუნვის 10%-ს, მის წილად მოდის მსოფლიო ინვესტიციების მთელი მოცულობის 7% და მთელი საგადასახადო შემოსავლების 5%, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ საქართველოშიც გაიზარდოს დაინტერესება ტურიზმისა და მისი ინოვაციური პოტენციალისადმი, მოხდეს ინოვაციური პროცესების სრულყოფისთვის ხელის შეწყობა, ტურბიზნესში ახალი პროდუქტის, მომსახურებისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა. ამის ხელშემწყობი ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია ტურისტული ინოვაციური პოტენციალი.

ყველა ქვეყანას (რეგიონს, საწარმოს, ორგანიზაციას) გააჩნია გარკვეული პოტენციალი – სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური, საწარმოო, ბუნებრივი რესურსი, სანედლეულო და ა. შ.

ბოლო წლებში მთლიანი პოტენციალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად გვევლინება ინოვაციური პოტენციალი. საერთო პოტენციალის ყველა ნაწილი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. მისი ეფექტური რეალიზაცია დამოკიდებულია ყველა მისი ნაწილის მდგომარეობასა და, ასევე, მათ ურთიერთზემოქმედებაზე. სწორედ მათი ბალანსირება წარმოადგენს საერთო პოტენციალის სრული რეალიზაციის ძირითად პირობას.

ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ხარისხობრივი ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის. აღნიშნული გადასვლა უნდა უზრუნველყოს საკმარისი, მაღალ ინოვაციური პოტენციალის არსებობამ.

ინოვაციური პოტენციალი – ესაა ერთ-ერთი იმ უმნიშვნელოვანესი ელემენტთაგანი, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის არა მარტო ცალკეული რეგიონების, არამედ მთლიანობაში მის მომავალს. იგი წარმოადგენს რთულ, მრავალფაქტორულ, მრავალვარიანტულ მოვლენას, რომელსაც ესაჭიროება ყურადღებიანი, მონდომებული შესწავლა. ამიტომ მისი შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია და ფართოდაა წარმოდგენილი არაერთი მეცნიერის ნაშრომებში.

ინოვაციური პოტენციალი მოიცავს როგორც აღნიშნული მიმართულებებით მიღწეულ დონეს, ასევე ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობებს – პოტენციალს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია შიდა და გარე პირობების მხრიდან არსებული და პოტენციური შეზღუდვები, კერძოდ – ბუნებრივ-კლიმატური პირობების, სოციალური, დემოგრაფიული ფაქტორები, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტების და ა.შ. გათვალისწინება.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა მაჩვენებელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა დახმარებითაც ფასდება ინოვაციური საქმიანობის დონე: დაწყებული ადამიანური კაპიტალის, ცოდნის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დონის, სხვადასხვა ბაზრების, მათ შორის ტურისტული ბაზრის, განვითარების დონის და დამთავრებული საფონდო ბაზრის სხვადასხვა მაჩვენებლების შეფასებებით. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ამუშავებენ მაჩვენებელთა საკუთარ სისტემებს. ამგვარი მაგალითების სადემონსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მაჩვენებელთა შემდეგი სისტემები: 1. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ინდექსი (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი - WEF), რაც საშუალებას იძლევა, დადგინდეს ქვეყნის კონკურენტუნარინობის დონე. 2. ევროპის თანამეგობრობის კომისიის ინოვაციური საქმიანობის შემსწავლელი მაჩვენებლების სისტემა, რომელიც აკეთებს ანალიზს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და ადარებს მას აშშ-სა და იაპონიის შესაბამის მაჩვენებლებთან.

თუმცა, წარმოდგენილ მაჩვენებელთა სისტემები მიმართულია ძირითადად განვითარებული ქვეყნების საკმაოდ წარმატებული ინოვაციური პოტენციალის შეფასებისაკენ და არ ითვალისწინებს განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელ რიგ ფაქტორებს (მაგ., ამ ქვეყნების საინოვაციო კანონმდებლობა, სახელმწიფო პრიორიტეტები და სხვ.). ამ შემთხვევაში ტრადიციული მაჩვენებლების გვერდით მიზანშეწონილია რიგი ინდიკატორების გამოყენება, რომლებიც საშუალებას იძლევიან, შეფასდეს ინოვაციური პროცესების რეზულტატურობა და მათი გავლენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მაგალითად, როგორიცაა: ინოვაციური საქმიანობის წილი ქვეყნის ეკონომიკაში, ინოვაციების სოციალ-ეკონომიკური

ვარგისიანობის მაჩვენებელი, ინოვაციების წილი ქვეყნის ბიუჯეტში და ა.შ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამგვარი მონაცემების ანალიზი გართულებულია შესაბამისი ინფორმაციის, ასევე საჭირო მეთოდიკების არქონის გამო.

ამჟამად საქართველოში არსებული ტურიზმის ინოვაციური პოტენციალის მონაცემთა შეფასების სტატისტიკა უმეტესწილად ძველ მონაცემთა ბაზას ეყრდნობა. რეალურად, დღეს საქართველოში არ არსებობს ქვეყანაში არსებული ტურისტული პოტენციალის რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი მაჩვენებლების ზუსტი მონაცემები, არ არსებობს ასევე მათი ანალიზის მეთოდიკა და შესწავლის მოქმედი თანამედროვე სტრატეგიული გეგმა. საქართველოში აქტიურ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ინოვაციების გაანალიზება და მათი ტურისტული ინოვაციური პოტენციალის შეფასება, რაც ხელს შეუწყობდა მსოფლიო ტურისტულ სივრცეში ქვეყნის ეფექტურ ჩართვას, მსოფლიო ბაზარზე მაღალკონკურენტუნარიანს გახდიდა ტურისტულ პროდუქტს და გაზრდიდა ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს.

საქართველოში არსებული ტურისტული პოტენციალის რეალური შეფასებისა და ინოვაციური დანერგვის შემთხვევაში ჩვენ შესაძლებელობა მოგვეცემა, პრეტენზია განვაცხადოთ ევროპელი (და არა მარტო ევროპელი) ტურისტების დანახარჯების გარკვეულ სეგმენტზე. უცხოელი ექსპერტების აზრით, საქართველოს აქვს ტურისტული პოტენციალი არა მხოლოდ მოიზიდოს, არამედ გაზარდოს ტურისტების დანახარჯები ქართულ კურორტებზე. მაგ., 2006 წელს საქართველოში ჩამოსული ტურისტი საშუალოდ 308 ევროს ხარჯავდა. ინვესტიციების მოზიდვის, ახალი ინოვაციური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ქართულ კურორტებს 2015 წლისთვის შესაძლებლობა ექნება, თითოეული სტუმრის დანახარჯი 44%-ით, ანუ დაახლოებით 443 ევრომდე გაზარდოს.

ტურიზმის ინოვაციურ პოტენციალს უკავია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი როგორც ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონების საერთო (მთლიან) პოტენციალში.

დღეს საქართველოს გააჩნია ის ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული, რეკრეაციული ტურისტული პოტენციალი, რომელიც აუცილებელია კონკრეტულ ტერიტორიაზე ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციისათვის. ძნელად თუ მოიპოვება მსოფლიოში სხვა რეგიონი, სადაც ლანდშაფტების, ეკოლოგიური ზონებისა და უნიკალური კულტურების ისეთი მრავალფეროვნება იყოს თავმოყრილი, როგორც საქართველოში. მთავრობის ოფიციალური საიტების მონაცემებით, ქვეყანაში 12 000 ისტორიულ-რელიგიური და არქი-

ტექტურული ძეგლია, 2400 მინერალური სამკურნალო წყარო (2000-ზე მეტი აღრიცხული და შესწავლილია), 19 ნაკრძალი და 7 ეროვნული პარკია; ჩვენი ქვეყანა კურორტების ქვეყანაა, აქ 150 მუზეუმი, 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია. საქართველოში ტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს განაპირობებს მისი გეოგრაფიული მდებარეობა და უნიკალური კლიმატური პირობები. სტუმრებს აქვთ შესაძლებლობა, ისიამოვნონ კლიმატური ზონების დიდი მრავალ-ფეროვნებით – შავი ზღვის სანაპიროზე არსებული სუბტროპიკული კლიმატიდან სამხრეთული სითბოთი და, ამავე დროს, მარადიული თოვლით დაფარულ კავკასიონამდე, ზომიერად ტენიანი ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ტიპის კლიმატიდან მშრალ კონტინენტურ კლი-მატამდე, რაც ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით კონკურენტ-უნარიანობის ზრდას. საქართველოს უნიკალური პირველქმნილი ლანდშაფტები საშუალებას იძლევა, შეიქმნას 7 ეროვნული პარკი, რომელთაგან უკვე შექმნილია – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი (მოცავს 68 000 ჰექტარზე მეტს); მთავრდება კოლხეთის ეროვნული პარკის სამუშაოები (ფართობი 26.7 ათასი ჰა.); გეგმაშია ცენტრალური კავკასიონის; აღმოსავლეთ კავკასიონის; ივერის ზეგ-ნის; ერუშეთის და აჭარა-იმერეთის ეროვნული პარკები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ყოველ კუთხეში არსებული ბუ-ნებრივი ტურისტული პოტენციალი ინდივიდუალური და უნიკალურია თავისი შინაარსით (განსხვავებული ტრადიციები, სტუმარმას-პინძლობა, რესურსული პოტენციალი, სოციალ-ეკონომიკური პირო-ბები, დიფერენცირებული აგროტურისტული პროდუქტები, ადგი-ლობრივი არაინტენსიური ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარ-მოება, კულტურა, უნიკალურ ფლორა და ფაუნა, კლიმატი, სამკურნალო წყლები, ულამაზესი საცხოვრებელი გარემო), რაც ინოვაციური ტურისტული პოტენციალის მნიშვნელობის მატარე-ბელია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, საქართველოში განვი-თარდეს სხვადასხვა ტიპის ტურისტული მიმართულებები (გამომ-დინარე იქიდან, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარება დონე დაბალია და ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომ ყოველი ტურისტული მიმართულების სათანადო დონეზე განვითა-რება, უკვე ინოვაცია იქნება როგორც რეგიონების, ისე მთელი ქვეყნისთვის), მაგალითად:

> სპა და გამაჯანსაღებელი ტურიზმი 2400-ზე მეტი ბუნებრივი წყაროს საფუძველზე, რომლებიც მინერალების მრავალფეროვანი შემადგენლობით ხასიათდება;

> ეკოტურიზმი, მათ შორის ეკოლოგიურად ადაპტირებული დაცული ტერიტორიებისა, რომლებიც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის

7%-ს შეადგენენ და რომელთა 75% ტყეებითაა დაფარული; ეკოლოგიური ტურიზმის პოპულარობას განსაზღვრავს ქვეყანაში ხელუხლებელი ბუნების, უნიკალური ტყის მასივების, ტბების, ფლორისა და ფაუნის იშვიათი ჯიშების არსებობა.

> სპორტული ტურიზმი, საწყალოსნო სპორტისა და მთის სპორტის სახეობები. ამასთანავე, სხვა ტიპის, ბუნებაზე დაბალი ნეგატიური ეფექტის მქონე ტურები, როგორიცაა ჩიტებზე დაკვირვება, ლაშქრობა, ჯომარდობა და ა.შ.

> სათავგადასავლო-ექსტრემალური ტურიზმი, ეგზოტიკური, ეთნოგრაფიული ტურიზმი და სხვა;

> საკურორტო-სამკურნალო (სამკურნალო წყლები, ტალახები, სპა, აეროთერაპია და ა.შ.), ბალნეოლოგიური ტურიზმი;

> კულტურული და სანახაობითი ტურიზმი, 3000 წლიანი კულტურული ისტორიიდან შემორჩენილი 12000 ხუროთმოძღვრების ძეგლის გასაცნობად.

> ღვინისა და გურმანების ტურები, რომელიც ეფუძნება ყურძნის 500-ზე მეტი ჯიშის, ადგილობრივი და უნიკალური კულტურების ტრადიციებს (იუნესკომ სულ ახლახან „ქართული ღვინის ქვევრი და ტექნოლოგია“ საოცრებათა ნუსხაში შეიტანა) და, ასევე, ადგილობრივი რეცეპტებითა და ტრადიციებით მდიდარ სამზარეულოს.

> აგროტურიზმი, სასოფლო ტურიზმი, რომელიც ეყრდნობა ქართული სოფლების ცხოვრების წეს-ჩვეულებების, ადათების, ტრადიციების, ადგილობრივი უნიკალური ბუნების გაცნობას ფერმერთა სახლებში ან პატარა სასოფლო სახლებში, ან ბანაკებში განთავსებით. აგროტურიზმი, სოფლის ტურიზმი საქართველოსთვის ახალი ინოვაციური მიმართულებაა. ამ მიმართულებების განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებში სოფლების განვითარება-აღორძინებას. ადგილობრივ მოსახლეობას გაუჩნდება დამატებითი შემოსავლების წყარო.

მისასალმებელია, რომ ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მუშაობა დაიწყო ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარებაზე, როგორიცაა – MICE (Meetings, Incentives, Conferences, and Exhibitions), ღვინის, ეკო, სათავგადასავლო, სამთო-სათხილამურო ტურიზმი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ტურისტებს განსაკუთრებით მოსწონთ მეღვინეობა და საქართველოს უძველესი არქიტექტურა და ბუნება.

საქართველოში ტურიზმის სფეროში ინოვაციური პოლიტიკის გატარება ქაოსურად, რეკორდულად მცირე დროში დაიწყო. ინოვაციური პოტენციალის ათვისება საქართველოს შემდეგ ტურისტულ რეგიონებში დაიწყო: სიღნაღი, ქუთაისისა და მცხეთის რესტავრირებული ძველი ძეგლები, მესტია და აჭარაში ახალი

სამთო-სათხილამურო კომპლექსები, სათაფლია და პრომეთეს მღვიმეები, განახლებული ბათუმი, გუდაურში ახალი საინვესტიციო პროექტები, სოფელი ანაკლია. განხორციელებულ პროექტებში წინა მთავრობის მიერ დიდი თანხებიც ჩაიდო, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ გააჩნდა მათი განვითარების შემდგომი გრძელვადიანი, თანმიმდევრული გეგმა, რაც მალევე აისახა უმეტეს ტურისტულ რეგიონებზე. მაგ., სიყვარულის ქალაქ სიღნაღზე, რომელიც ნელ-ნელა კარგავს თავის ტურისტულ ფუნქციას. დღეს მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რეგიონში მეტნაკლებად განახორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რათა განახლებული ადგილები უფრო მეტად მიმზიდველი გამხდარიყო ტურისტებისთვის, მაგ., ინერგება ტურისტული სერვისების ახალი ფორმები და მიმართულებები, განხორციელდა გზების სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოები, თბილისში, სიღნაღში, მცხეთაში, მესტიაში, გუდაურში, ბაკურიანში, ყაზბეგში, ბათუმსა და ანაკლიაში. დაცული ტერიტორიების ობიექტებზე განხორციელდა საინტერესო პროექტები, რითაც, ძირითადად ადგილობრივი დამსვენებლების ხარჯზე, გაუმჯობესდა ტურისტული ნაკადების დინამიკა. ტურიზმის განვითარების ლიდერად მაინც რჩება აჭარის რეგიონი და მისი კურორტები.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი, გარდა ტურისტული რესურსებისა (ბუნებრივი, კულტურული, კულტურულ-ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური), მოიცავს ტურისტულ ინფრასტრუქტურას (განთავსების, კვების, სატრანსპორტო, დასვენება-გართობის, სპეციალური ინფრასტრუქტურა) და ასევე ტურიზმის ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო უამრავი სხვა დარგის მომსახურებას. მათ შორის, უწინარესად, განვითარებული ინფრასტრუქტურა, სასტუმრო-სარესტორნო ქსელი, საავტომობილო გზები, მომსახურება, მშენებლობა, ჯანდაცვა, განათლება, ვაჭრობა და, მეტად მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობა, რომელიც ტურისტულ ბაზარს კომფორტულს, სუფთას, იაფს და მომხმარებელთა ფართო მასებისთვის მიმზიდველს გახდის.

ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით საქართველოს საკმაოდ დამაიმედებელი ტურისტული პოტენციალი აქვს, რაც გლობალური ტურისტული ბაზრისთვის ძალიან მიმზიდველია. შეიცვალა მთავრობის მიდგომა ტურიზმის მიმართ, რომელიც ცდილობს არსებული რეალიების გათვალისწინებით მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკასთან მაქსიმალურად მიახლოებას. ბუნებრივია, საქართველოს პოტენციალის გათვალისწინებით, ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული დარგი უნდა გახდეს, მაგრამ ეკონომიკური აღმავლობის პროცესში მისი როლის

გადამეტება შეცდომა იქნებოდა. დღეისათვის ტურისტული ინფრა-სტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტე-ტებში განიხილება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორ-მაციით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს ახალი ტურის-ტული საინფორმაციო ცენტრების მშენებლობა: ამჟამად საქართ-ველოში ფუნქციონირებს 18 ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და ამ დროისათვის სრულდება თბილისის, მარტვილისა და ჩხოროწყუს საინფორმაციო ცენტრების მშენებლობა. მნიშვნელოვანი სამუშაო განხორციელდა მოგზაურობის გაადვილებისა და სავიზო სისტემის გამარტივების კუთხითაც. საქართველოს აქვს ცალხმრივი უვიზო მიმოსვლა უმეტეს ქვეყნებთან, მათ შორისაა: ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსვლა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობით შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ ვიზები ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის გაიცემა საზღვარზე.

სერვისის ხარისხის ამაღლების მიზნით საქართველოს მას-შტაბით ხორციელდება ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის Iნდუს-ტრიის წარმომადგენლებისთვის. ტურისტებისათვის ახალ მომსახუ-რებებს შორის არის 24 საათიანი ცხელი ხაზი (№0800800909) და მობილური გიდების ჯგუფი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სამუშაოები მოიცავს: სარეკლამო კამპა-ნიებს შიდა და საერთაშორიო ბაზრებზე, პრეს და გაცნობითი ტურების ორგანიზებას, საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში მონა-წილეობის მიღებას, ბეჭდური მასალის გავრცელებას, სოციალურ მედია მარკეტინგს და სხვა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს ქვეყნის ცნობადობის ასამაღ-ლებლად. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, არსებული ბაზ-რების შენარჩუნებასთან ერთად, კონცენტრირებულია ახალი ბაზ-რების ათვისებაზე, მათ შორის განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, რომლებსაც დიდი პოტენციალი გააჩნიათ. 2013 წლის განმავლობაში შვიდი პრეზენტაცია გაიმართა უკრაინაში, აზერ-ბაიჯანში, ლიტვასა და ლატვიაში. 2014 წელს საქართველო იკავებს მეხუთე ადგილს მოსანახულებლად რეკომენდებულ ტოპ 10 ქვეყანას შორის. მიუხედავად თვალშისაცემი მიღწევებისა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი შემაფერხებელი ფაქტორი და პრობლემა არსებობს, მაგ., უმეტეს რეგიონებში შეუსწავლელია არსებული ტურისტული რესურ-სების რეალური რაოდენობა, მდგომარეობა და შეუფასებელია მათი ტურისტული პოტენციალი; თითქმის ყველა რეგიონში დაბალია ინფრასტრუქტურის დონე; პრობლემებია საინფორმაციო უზრუნველ-ყოფაში; მცირეა და ზოგიერთ რეგიონში არც არის ტურისტული ცენტრი/სააგენტო და ასევე არ არსებობს სპეციალური ინსტიტუცია,

რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ქმედითი საინოვაციო სისტემის განვითარების მხარდაჭერაზე და ხელს შეუწყობდა რეგიონში ტექნოლოგიურ ტრანსფერსა და მომსახურებას; დაბალია რეკლამის ხარისხი; არ გაგვაჩნია ქვეყნის „ტურისტული მარკა“, როგორც ტურისტების მოზიდვის ბუნებრივი საშუალება; მაღალია ფასები ტურპაკეტსა და მომსახურებაზე; დაბალია მომსახურე პერსონალის განათლების დონე და, შესაბამისად, მომსახურების ხარისხიც არ შეესაბამება თავის ფასს და ა. შ.

მსოფლიოში მომსახურების ხარისხი გააუმჯობესა და მოგზაურობა გაცილებით საიმედო, სწრაფი და უსაფრთხო გახადა ტურიზმში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვამ, რომლის დახმარების გარეშე დღეს წარმოუდგენელია დარგის განვითარება. ტურიზმი პირველ ადგილზეა ბიზნესსექტორში, სადაც ბიზნესის ფუნქციები თითქმის ექსკლუზიურად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT). საქართველოშიც ტურისტული კომპანიები ნელ-ნელა ინტერესდებიან ინტერნეტის შემდეგი შესაძლებლობებით: ტურისტულ მომსახურებაში დაჯავშნის საინფორმაციო მონაცემები; სასტუმროების დაჯავშნის სისტემების გამოყენება; რეკლამა და ტურისტული პროდუქტის განვითარება და სხვ. კომპიუტერულმა აღჭურვილობამ შესაძლებელი გახადა მძლავრი ავტომატიზებული სისტემების გამოყენება ტურიზმში გადაზიდვების (გადაყვანების) ორგანიზებისას; კომუნიკაცია და ეფექტური კავშირი; მარკეტინგული კვლევები; ტურისტული რესურსებისათვის მონაცემთა საინფორმაციო ბანკი და ა.შ., რაც შეეხება ტურისტული პროდუქტის რეკალამას, ტუროპერატორებისთვის ყველაზე ეფექტიანი ინტერნეტი აღმოჩნდა. ამასთან ერთად, ინტერნეტი, მობილური ტექნოლოგიები და ვაიერლესი ტურისტებს აძლევს საშუალებას, დანიშნულების ადგილების შესახებ მიიღონ ღრმა ინფორმაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

თითეული ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის განვითარების საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა დამოკიდებულია საზოგადოების ინტელექტუალური, სულიერი, ზნეობრივი და შემოქმედებითი პოტენციალის დონეზე. ამგვარი პოტენციალის საბაზო შემადგენელს წარმოადგენს მეცნიერების განვითარება, მოსახლეობის განათლების დონისა და ხარისხის დონე. თვით საინოვაციო პოტენციალი განისაზღვრება მთლიან ეროვნულ პროდუქტში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ფინანსური დანახარჯების წილით. სამწუხაროდ, საქართველოს რეგიონებში ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის ინოვაციური ტურისტული პოტენციალის ათვისება და მისი რაციონალური გამოყენებით სიახლეების შექმნისა და დანერგვის პროცესი ფინანსირების წყაროების არარსებობით, მეცნიერების,

კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობის მიზერული დაფინანსებითა და სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები დაიტერესებითაა გამოწვეული. განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის სექტორში წარმატებას ის ორგანიზაციები აღწევენ, სადაც ინოვაციური საქმიანობა და ახალი პროდუქტის, ინოვაციური პოტენციალის დანერგვა ინოვაციური აქტიურობის მართვის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, ანუ ტურიზმის ინოვაციური მართვის პირობებში ძირითად როლს არა ცალკეული ინოვაციები თამაშობს, არამედ, მასშტაბური ინოვაციური სტრატეგიები, რომლებიც მოწოდებულნი არიან, დროის ხანგრძლივ პერიოდში ტურიზმის წარმოების ცალკეული დარგებისა და მთლიანად ქვეყნის სამეწარმეო სექტორის განვითარების კოორდინირებაზე.

ინფრასტრუქტურის სრულყოფას განაპირობებს: 1. ტურისტული ინფორმაციული ცენტრების შექმნა; 2. ტურისტული ასოციაციების შექმნა; 3. სხვადასხვა შინაარსობრივი მუზეუმების შექმნა და განვითარება (რეგიონული მუზეუმები, ეთნოგრაფიული მუზეუმები ღია ცის ქვეშ, ეკოლოგიური მუზეუმები და სხვ.); 4. ტურიზმის რეგიონული ინსტიტუტების შექმნა და განვითარება. 5. ახალი და განახლებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრების შექმნა და ტურიზმის წამყვანი მიმართულებებისთვის ხელის შეწყობა; 6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ახალი ინოვაციური ელემენტების დამატებით, რათა გადაადგილება გახდეს გაცილებით უსაფრთხო, სწრაფი და კომფორტული. 7. ინოვაციური სიახლეების დანერგვა განთავსების საშუალებების ორგანიზებაში.

საქართველოს ყველა რეგიონისათვის ტურისტული ინოვაციური პოტენციალის ათვისებისა და დანერგვისათვის საჭიროა რიგი თეორიული და პრაკტიკული ამოცანების რეალიზება: 1. ქვეყანაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-განვითარების სამუშაოების საფუძველზე, ყველა რეგიონისათვის ტურიზმისათვის საფუძვლის შემქმნელი პოტენციური რესურსების სრულყოფილი შესწავლა, შესაბამისი მონაცემთა ახლი ბაზის შექმნა, მათი ოპტიმალური გამოყენება და შენარჩუნება, რაც ინოვაციური პოტენციალის ზრდის საშუალებას მოგვცემს. 2. ჩვენს ქვეყანაში არატრადიციული მიმართულებები და ტურისტული მომსახურებების არატრადიციული ხერხების გამოყენება (მაგ. ისტორიული მოვლენების, წეს-ჩვეულებების ჩვენება-გაცნობა თვით ტურისტების მონაწილეობით) და ასევე ეკოლოგიური ტურცენტრების რიცხვის ზრდა, გააფართოებს ინოვაციური ტურპროდუქტების ასორტიმენტს; 3. უნდა შეფასდეს ტურიზმის დარგში საინფორმაციო უზრუნველყოფის თანამედროვე მდგომარეობა და შემდგომ მოხდეს ტურფირმების საინფორმაციო სისტემების და ინტერნეტის ქსელის გავრცელების სრულყოფა; 4. მოიძებნოს ინოვაციური საქმიანობის ინვესტირების პერსპექტიული

ფორმები; 5. დამუშავდეს ინოვაციური საქმიანობის ინვესტირების საორგანიზაციო-ეკონომიკური მექანიზმი; 6. შემუშავდეს იქნეს სოციალურ-კულტურული ინოვაციური პოტენციალის მართვის სტრატეგიის ფორმირების საფუძვლები ტურბიზნესის მართვის მეთოდების სრულყოფის დახმარებით; 7. ტურიზმის ინდუსტრიაში ინოვაციების სოციალური ეფექტურობის კრიტერიუმების და მაჩვენებლების ფორმირება.

ტურისტული ინოვაციური პოტენციალის დანერგვისათვის აუცილებელია ასევე, მარკეტინგული, სარეკლამო სიახლეების გამოყენება, სტიმულირების საქმიანობის გაძლირება, რაც შექმნის მსოფლიო ბაზარზე საქართველოს ნაკლებად ცნობადობის დაძლევის შესაძლებლობას, ამისათვის კი აუცილებელია სახელმწიფო და კერძო ფინანსირების სინთეზირება. ასევე აუცილებელია კერძო და საჯარო სექტორის აქტიური თანამშრომელობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიისადმი კერძო სტრუქტურების დაინტერესება დიდია (რაზეც ტურიზმის სფეროში ქართული ბიზნესწრეების ახლო წარსულში ზოგიერთ რაიონში მიღწეული წარმატება მეტყველებს, განსაკუთრებით სასტუმრო ინდუსტრიაში), მაგრამ ამას ყველაფერს მარტო კერძო სტრუქტურები ვერ გასწვდება, აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა, რაც სახელმწიფოს მიერ განვითარებისთვის საჭირო ხელსაყრელი პირობების შექმნას და სტრატეგიული გეგმის შემუშავებას მოითხოვს როგორც ცალკეული რეგიონების, ისე მთელი ქვეყნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2014.
2. დოლიკაშვილი ლ., ჩეკურიშვილი ნ., ღვინჯილია მ., – ტურიზმის ეკონომიკა, თბ., 2009.
3. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2013.
4. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=
5. http://studopedia.net/7_6364_innovatsionnie-tehnologii-v-sfere-turizma.html
6. http://www.km.ru/referats/CEE12B19A6C4413993B677C6B51D1C06
7. მარკეტინგული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა,... - ჯი პი ჯი ... https://ka-ge.facebook.com/.../195431323891343. Translate this page, 2012 წლის 21 თებერვალი
8. ქველაძე ქ., ინოვაციების პოლიტიკა ტურიზმის განვითარებაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პ. გუგშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფ. გ.

პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, 2013.

Ketevan Kveladze

TOURIST INNOVATION POTENTIAL OF GEORGIA

Annotation

The article discusses the essence end role of one of the main consisting elements of innovative policy of tourism – tourist innovative potential its development factors, the types of tourist resources potential existing in the country and the directions, the introduction of which will promote the development of innovative policy in tourism in Georgia. Will also be revieled defects and reasons hampering the development of innovative potential of tourism in Georgia; there are given recommendations of theoretical end practical character, the realization of which will help our country to implement existing tourist innovative potential.

თეა ლაზარაშვილი
მედეა მელაშვილი

ფულად-საკრედიტო სისტემის თავისებურებები და სრულყოფის გზები საქართველოში

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფულის მიწოდების რეგულირებით ახდენს ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზაციას. იმისდა მიხედვით, თუ რა ფაზაშია ქვეყნის ეკონომიკა, შესაბამისად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ფულის მიწოდების გადიდებას ეკონომიკის დაქვეითების დროს დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის პირობებში კი, პირიქით, შეზღუდოს ფულის მიწოდება დანახარჯების შემცირების მიზნით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა აგრეთვე უნდა მოიცავდეს ფულის მიმოქცევის ისეთ რეგულირებას, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს, მიაღწიოს ერთობლივი მოცულობის დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზაციას.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი გამტარებელი არის ქვეყნის ეროვნული ბანკი, რომლის ძირითად ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში გამოყენებული უნდა იქნეს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში არსებული მეთოდები და ხერხები, რომელიც შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქართველოს კანონმდებლობასთან.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში რთულად მიმდინარეობს საკრედიტო ბაზრისა და საპროცენტო განაკვეთების დარეგულირების პროცესი, რაც იმაში გამოიხატება, რომ, კომერციულ კრედიტებზე მსოფლიოს სხვა მოწინავე განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მაღალია საპროცენტო განაკვეთები. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უშლის ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას. დაბალი საპროცენტო განაკვეთი ხელს შეუწყობს ქვეყანაში მრეწველობის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის ზრდას და შესაბამისად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმტკიცებას.

2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა გადავიდა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე. ინფლაციის თარგეთირებისას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ განისაზღვრება ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც მტკიცდება პარლამენტის მიერ და რომელიც უნდა შენარჩუნდეს საშუალოვადიან პერიოდში.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი ქვეყანაში ეკონომიკის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით განისაზღვრება. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი უნდა ასახავდეს ფასების ისეთ ცვლილებას, რომელიც მიმდინარე ეტაპზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ოპტიმალური იქნება. თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი გადააჭარბებს მიზნობრივს, ეროვნულმა ბანკმა უნდა გაატაროს მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, ხოლო თუ საპროგნოზო მაჩვენებელი მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია, ეროვნული ბანკი მიმართავს შერბილებული პოლიტიკის გატარებას.

როდესაც ვსაუბრობთ ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ მრავალი ფაქტორი. კერძოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამომხმარებლო კალათის სხვადასხვა კომპონენტებზე ფასები სხვადასხვანაირად იცვლება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინფლაციის 0%-მდე შემცირებისას, ზოგიერთ საქონელს ან მომსახურებაზე ფაქტობრივად გვექნება დეფლაცია. ინფლაციის დადებითი მიზნობრივი მაჩვენებელი კი საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ დეფლაციის რისკი და მისი უარყოფითი შედეგები ქვეყნის ეკონომიკაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა ბანკმა სწორი ინფლაციის მოლოდინი ჩამოაყალიბოს, რადგან ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი სწორედ ინფლაციის მოლოდინია. ინფლაციის

თარგეთირების რეჟიმის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მისი გამჭვირვალობაა, რადგან წინასწარ დადგენილი მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა, მკაფიოდ და ცალსახად განისაზღვროს ეროვნული ბანკის მიზანი და დაისახოს მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შესახებ მოლოდინები.

ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირებამდე იყენებდა მონეტარულ თარგეთირებას, რაც ფულის მასის სასურველი ზრდის ტემპის მიღწევას გულისხმობდა. მონეტარული თარგეთირებისას კი ინფლაციის დასარეგულირებლად იყენებდა ფულის მასას, როგორც შუალედურ რგოლს.

როდესაც საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი მეტია მიზნობრივ დონეზე, ეროვნული ბანკი იწყებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას, ხოლო როცა ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი ნაკლებია მიზნობრივ დონეზე, ის მოკლევადიანი საპრეცენტო განაკვეთის შემცირებას ცდილობს, რაც, გარკვეული პერიოდის შემდგომ, გადაეცემა სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს. ეს კი, საბოლოოდ გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას და ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონეზე დაბრუნებას.

ინფლაცია შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ზრდით. როგორც ცნობილია, მონეტარული პოლიტიკა წარმოადგენს ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტს, რომლის მიზანს სწორედ მოთხოვნის მხრიდან წარმოშობილი ინფლაციის გაკონტროლება წარმოადგენს. თუ ფასების ზრდა მოთხოვნის ზრდის შედეგადაა გამოწვეული, მაშინ ეროვნული ბანკი ამტკიცებს მონეტარულ პოლიტიკას და ზრდის საპროცენტო განაკვეთს. მონეტარული პოლიტიკა, თავის მხრივ, რეაგირებს ინფლაციურ მოლოდინებზე, რომელიც ინფლაციაზე დამატებით ზეწოლას ახდენს.

ინფლაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც ენდოგენურმა, ისე ეგზოგენურმა ფაქტორებმა. თუკი ენდოგენური ფაქტორების ზემოქმედებისას მონეტარული პოლიტიკა ეფექტიანია, ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეული ინფლაციის ზრდის წინააღმდეგ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარება ნაკლებად ეფექტიანი იქნება. მკაცრი მონეტარული პოლიტიკა კიდევ უფრო შეამცირებს ერთობლივ მოთხოვნას და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდასაც.

ზემოთქმულის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ 2012-2014 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ "ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეა-

გირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებით გადახრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახრა იმდენად ძლიერია, რომ გავლენას ახდენს ინფლაციაზე მოქმედ ფუნდამენტურ ფაქტორებზე (ინფლაციის მოლოდინი, მშპ-ს პოტენციური დონიდან გადახრა)" [1].

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის მხრიდან რეაგირება მხოლოდ მოსალოდნელი ინფლაციის საფუძველზე ხორციელდება ფასების სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით.

2012-2014 წლებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლად დადგინდა იქნა სამომხმარებლო ფასების წლიური 6%-იანი ზრდა, რომელიც საშუალოვადიანი პერიოდისათვისაა დადგენილი. თუმცა, რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდს, ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლად 3%-ია აღებული და ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შემცირება 6%-დან 3%-მდე ეტაპობრივადაა დადგენილი, შესაბამისად, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი მის გრძელვადიან მაჩვენებელს უნდა დაუახლოვდეს. 2015 წლისათვის ინფლაციის 5%-მდე შემცირება იგეგმება, რაც ასახულია ფუალდ-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში [2].

2012 წელს ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა ნარჩუნდებოდა. ინფლაციის შემცირების ტენდენცია უკვე 2011 წლის ივნისიდან შეიმჩნეოდა, რაც მიწოდების ფაქტორებითა და საბაზო ეფექტის გავლენით იყო განპირობებული. 2011 წლის გაზაფხულიდან ფასების კლება შეინიშნებოდა, რაც ძირითადად ნავთობსა და შაქარზე ფასების კლებით იყო გამოწვეული. ინფლაციის მაჩვენებლის შემცირება მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და 2013 წლის განმავლობაშიც მის მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის პირველ ნახევარში ფასების ცვლილებას კვლავ უარყოფითი დინამიკა გააჩნდა, დეფლაციის მაჩვებელი შედარებით შემცირდა. აღნიშნული დეფლაცია განპირობებული იყო როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის ფაქტორებით. წლის პირველ კვარტალში ინფლაციის უარყოფითი ინდიკატორი 1,5-2%-ის ფარგლებში მერყეობდა. ფასების დონეზე უარყოფითად მოქმედებდა ეკონომიკური აქტივობის შენელებაც. საბანკო სექტორში არსებული მაღალი ლიკვიდობისა და კაპიტალის მიუხედავად, შემცირებული იყო სესხების ზრდის მაჩვენებელი, რაც ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას უწყობდა ხელს. არსებული მდგომარეობისა და საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ეკონომიკა სტიმულირებას საჭიროებდა და, ამიტომაც, ეროვნული ბანკი კვლავ აგრძელებდა შერბილებული მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

2013 წლის ბოლოსათვის ეკონომიკურმა აქტივობამ გამოცოცხლება დაიწყო. შერბილებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ კომერციული ბანკების საკრედიტო აქტივობის ზრდა გამოიწვია და შესაბამისად შემცირდა დეფლაციური ზეწოლა მოთხოვნის მხრიდან. დადებითი ტენდენციები დაფიქსირდა საგარეო სექტორშიც, გაძლიერდა შიდა მოთხოვნაც.

რაც შეეხება 2014 წელს, აქ ინფლაციის მაჩვენებელი 6% იყო და მთელი წლის განმავლობაში მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბლა ნარჩუნდებოდა. მეოთხე კვარტალში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2,8%-ს შეადგენდა. როგორც ცნობილია, მონეტარული ოპერაციების მიზანია ბანკთაშორის ბაზარზე არსებული განაკვეთების სტაბილურობა. საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს შემდეგ მონეტარულ ინსტრუმენტებს: რეფინანსირების სესხები, ერთდღიანი სესხები, ერთდღიანი დეპოზიტები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, 2013 წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის გადაცემის მექანიზმი წინა წელთან შედარებით უფრო მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა. 38,8%-ით გაიზარდა ეროვნული ვალუტით განხორციელებული გარიგებების მოცულობა. საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2013 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად იყენებდა 2008 წლიდან ამოქმედებულ რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომი იყო მოკლევადიანი ლიკვიდობის მიღების დაბალრისკიანი წყარო, რაც დადებითად მოქმედებდა ფულად-ბაზარსა და ფინანსურ სტაბილურობაზე. რეფინანსირების ინსტრუმენტით ხორციელდება ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მართვა და, შესაბამისად, ეროვნულ ბანკს საშუალება აქვს, მისთვის სასურველ საპროცენტო განაკვეთს მიაღწიოს.

2013 წელს ბანკთაშორის ბაზარზე მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი წინა წლების მსგავსად აგრძელებდა საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენებას, რაც ხელს უწყობდა ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურობას, ფულადი ბაზრის განვითარებას, ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებისა და ფულადი ბაზრის აქტივობის გაზრდას.

2013 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი ახდენდა საკუთარი ფასიანი ქაღალდების სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისიას, რომლებიც მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა კომერციული ბანკების მხრიდან ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებსა და

ობლიგაციებთან ერთად. სადეპოზიტო სერტიფიკატები მიმოიქცეოდა 3-თვიანი და 6-თვიანი ვადიანობის სეგმენტზე, ხოლო მთავრობის ფასიანი ქაღალდები 1,2,5 და 10 წლიანი ვადიანობის სეგმენტზე. აღნიშნულმა ფასიანმა ქაღალდებმა შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომელიც საშუალებას გვაძლევდა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიგვეღო სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთების და, აგრეთვე, ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ. ფინანსთა სამინისტრო აგრძელებდა სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებას 1000 ლარის ნომინალური ღირებულებით, მათი ემისია ხორციელდებოდა ეროვნული ვალუტით და არამატერიალიზებული ფორმით.

2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებდა 1 წლიანი ვადიანობის დისკონტური ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ვალდებულებებისა და 2,5, და 10 წლიანი კუპონური ფასიანი ქაღალდების – სახაზინო ობლიგაციების ემისიას. საქართველოს ეროვნული ბანკი, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტით, გავლენას ახდენდა ფულის მულტიპლიკატორის მართვაზე და, შესაბამისად, 2013 წელს კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმა შეადგენდა 10%-ს, ხოლო უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე – 15%-ს. ეროვნული ბანკი აგრეთვე აგრძელებდა კურსწარმოქმნის საბაზრო პრინციპების ხელშეწყობას, სავალუტო ბაზრის განვითარებას და საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურ დონეზე შენარჩუნებას. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების მიზანს წარმოადგენდა გაცვლითი კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილება. ეროვნული ბანკის მცდელობის მიუხედავად, შეამციროს სავალუტო ბაზარზე ჩარევის დონე, წინა წელთან შედარებით, მაინც გაიზარდა ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების სიხშირე.

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს სახაზინო ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა დიდი იყო, წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მეორადი ბაზრის აქტივობა. თუმცა ეს არ არის საკმარისი. მისი აქტივობის უფრო მეტად გაზრდის შემაფერხებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს მიმოქცევაში ფასიანი ქაღალდების არასაკმარისი მოცულობა წარმოადგენდა.

ზემოთქმულიდან გამომიდინარე, შეიძლება დავასკვნათ, იმისდა მიუხედავად, რომ ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულადსაკრედიტო პოლიტიკა წინა წლებთან შედარებით უფრო მეტად წარმატებულია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსასწორებელი:

- სტატისტიკის თანახმად, საპროცენტო განაკვეთები თანდათანობით მცირდება, თუმცა იგი კვლავ საკმაოდ მაღალია;
- უნდა მოხდეს არსებული კანონმდებლობის სრულყოფა და ახალი ნორმატიული აქტების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების ეფექტიან ფუნქციონირებას;
- სავალუტო პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს ქვეყნის ფულად-საკრედიტო სფეროსთან მჭიდრო კავშირში, ერთიან სისტემაში;
- ეროვნული ბანკი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში, რაც მას საშუალებას მისცემს, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე განახორციელოს თავისი საქმიანობა;
- ეროვნული ბანკი ძირითადად ახორციელებს მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც, შედარებით ლიბერალური ფორმით თუ შეიცვლება და ზომიერი გახდება, უფრო დადებით შედეგებს მოგვცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში, 2012.
2. ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში, 2013.
3. www.nbg.gov.ge
4. www.geostat.ge
5. www.mof.ge

Tea Lazarashvili
Medea Melashvili

PECULIARITIES OF MONETARY SYSTEM AND THE WAYS OF ITS IMPROVEMENT IN GEORGIA

Annotation

The article discusses main directions of monetary system formation and development in Georgia. Is also analyzed main direction of monetary system policy in Georgia and are designed its improvement ways.

მაია გელაშვილი

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა ეკონომიკის რეგულირებაში

საქართველოში მიმდინარე ეტაპზე საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა წარმოგვიდგება საზოგადოების ეკონომიკური წყობის მნიშვნელოვან ელემენტად და ასახავს სახელმწიფოს სოციალურ, ეკო-

ნომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ჩამოყალიბებულია სხვადასხვა პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. ამიტომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გადასახადის სახეების, სტრუქტურის, განაკვეთების, საგადასახადო ბაზის და სხვა საგადასახადო ელემენტების მიხედვით. მიუხედავად ამისა, მათ გააჩნიათ საერთო ნიშან-თვისებები, რომელთა მიხედვითაც ყალიბდება საერთო პრინციპები. საგადასახადო სისტემის პრინციპები არის ის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რაზედაც შემდგომ აიგება ქვეყნის საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა. ნებისმიერ სახელმწიფოში ფინანსური ურთიერთობების სრულყოფა და განვითარება შეუძლებელია ეფექტიანი საგადასახადო სისტემის მუშაობის გარეშე, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია სახელმწიფოს განვითარებასთან. შესაბამისად, დასაბუთებულ საგადასახადო სისტემას შეუძლია ეროვნულ ეკონომიკაზე მოახდინოს პოზიციური ზემოქმედება, აღმოფხვრას ნეგატიური მოვლენები და დაამკვიდროს ჭეშმარიტ სამართლებრივ ბაზაზე აგებული მეწარმეობის განვითარების საქმიანი აქტივობის ზრდა და საგადასახადო დაბეგვრა. ნებისმიერი სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა მოიცავს: ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლის და გაუქმების წესებს; საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობების წარმოქმნილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესებს და გადასახადების გადახდასა და კონტროლთან, აგრეთვე, საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებს და წესებს.

საგადასახადო სისტემა სახელმწიფოს ერთ-ერთი და არა ერთადერთი მამოძრავებელი ძალაა. ევროპის მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და საგადასახადო სისტემის გამოყენების შეფასების მაგალითზე შესაძლებელია გამოიკვეთოს საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმდინარე განვითარების ანალიზი და მიმართულებები. კერძოდ, ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებთან დაკავშირებით, „პროგნოზული გათვლებით, 2014-2017 წლებში, ზრდის ტენდენცია ექნება ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას“ [4]. კერძოდ, შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი დაგეგმილია 8,661 მლნ ლარის დონეზე, რაც 2.8%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს, 2014 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადა-

სახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 6,950 მლნ ლარს და 2013 წლისათვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 0.4%-ით აღემატება.ამასთან, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებთან დაკავშირებით, გაანგარიშებისას გათვალისწინებულ იქნა მაკროეკონომიკური პროგნოზები და საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ, 2013 წლიდან შემოღებულ იქნა დაუბეგრავი მინიმუმი დაქირავებული ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადზე, შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება იწვევს 2014 წლის ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან მისაღები შემოსავლის 180.0-200.0 მლნ ლარით შემცირებას. თუმცა, დამატებითი ღირებულების გადასახადის შესრულება გეგმის 53.2%-ს შეადგენს. მაჩვენებლის მიღწევა შესაძლოა გართულდეს იმის გათვალისწინებით, რომ ნომინალური მშპ-ს ზრდის მოსალოდნელი ტემპი 2013-2014 წლებში, შესაბამისად, 9.7%-ს და 8.7%-სშეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს ზედამხედველობას ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, ბიუჯეტის დამტკიცებაზე, შესრულებაზე, ანგარიშგებასა და კონტროლზე, ბიუჯეტის ფულადი სახსრების მართვაში კვლავაც შეინიშნება სისუსტეები, რაც მოითხოვს დამატებით ყურადღებას სამინისტროების მიერ ბიუჯეტის აღსრულების დაგეგმვის გასაუმჯობესებლად. საბოლოო ჯამში, სასურველი სტანდარტის მისაღწევად მიზანშეწონილი იქნება ხაზინის აღსრულების სისტემის მოდერნიზაცია.

ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია და, უფრო მეტიც, აუცილებელიცაა, არსებობდეს განსაზღვრული ხარჯები. განისაზღვროს საგადასახადო რეფორმის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, ეს მიმართულებები გულისხმობს, რომ მოხდეს სტაბილური საგადასახადო სისტემის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს საფინანსო წლის განმავლობაში გადასახადების უცვლელობას, ერთიანობას, ამასთანავე, გადასახადების ურთიერთწინააღმდეგობის აღმოფხვრას. შემდეგი საფეხური გულისხმობს გადასახადების საერთო რაოდენობის შემცირებას და პარალელურად იმ მიზნობრივი გადასახადების გაუქმებას, რომელსაც არ მოაქვს მნიშვნელოვანი შემოსავლები. შემდეგი მიმართულება, შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელს ხდის საქონლის მწარმოებლისათვის საგადასახადო წნეხის შემცირებას, ბუნებრივია, შედავათების საფუძველზე. მკაცრი საგადასახადო მოდელი ითვალისწინებს მაღალი განაკვეთების დაწესებას და საგადასახადო შეღავათების მინიმიზაციას, რის გამოც მეწარმეთა ძირითადი შემოსავალი მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტსა და სხვა

ფონდებში, ხოლო ფირმა განიცდის ფინანსურ სიძნელეებს, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს წარმოების ტემპების დაცემას და საგადასახადო ბაზის სიმწირეს.

ამჟამად, მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო ბაზა ისედაც მწირია, რის შედეგადაც ქვეყნის ადმინისტრაციულ რაიონებს შორის მხოლოდ რამდენიმე გვევლინება არადოტაციურად, ხოლო დანარჩენი რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები კი, ფაქტობრივად, ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერების მოცულობაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით, ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო საგადასახადო გადასახდელების განაწილების მოქმედი სისტემის შემდგომი გააქტიურება.

გადასახადებიც, როგორც ეკონომიკური კატეგორიის მნიშვნელოვანი ფუნქცია, კონტროლის ფუნქციაა. იგი საშუალებას იძლევა, შედარდეს შემოსული გადასახადების რაოდენობრივი მაჩვენებლები ფინანსურ რესურსებზე სახელმწიფო მოთხოვნებთან. გადასახადების მაკონტროლებელი ფუნქციის საშუალებით შესაძლებელი ხდება კონკრეტული სახის გადასახადის და მთელი საგადასახადო სისტემის ეფექტურობის ობიექტური, რაოდენობრივი შეფასება. ამდენად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება გადასახადების, როგორც ეკონომიკის რეგულატორის, როლი და მნიშვნელობა. გადასახადები წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების, მეწარმეთა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე სამეურნეო ერთეულების კომერციულ ინტერესებთან მჭიდრო კავშირს. გადასახადების მეშვეობით განისაზღვრება საკუთრების ყველა ფორმის საწარმოთა ურთიერთობა სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტებთან. გადასახადების გზით წარმოებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მაღალკონტრასტული დიფერენციაციის პირობებში აუცილებელია სახელმწიფოს მიზანდასახული მონაწილეობა ქვეყნის ტერიტორიული განვითარების რეგულირების პროცესში საბიუჯეტო-საგადასახადო, საფინანსო და საკრედიტო მექანიზმების გამოყენებით, ეკონომიკური რისკების გათვალისწინებითა და მართვით, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ამ პრობლემის გადაწყვეტაზე გაწეული ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობას, რადგან ნებისმიერ ეკონომიკურ ურთიერთობებში საგადასახადო სისტემა მოწოდებულია, უზრუნველყოს სახელმწიფო ფინანსური რესურსებით.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკაში საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება, კრიზისული მდგომარეობის დაძლევა და მომავალში განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა, შეუძლებელია ეკონომიკური ურთიერთობების, სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისა და პროცესების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. კერძოდ, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკის თეორიული ასპექტების კვლევას. განსაკუთრებით ფინანსური მართვის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების დასაბუთებას, მათი დაძლევის გზების გამონახვას და შემდგომ დახვეწას, რადგან ძირითადი საბიუჯეტო პროცედურები მოითხოვს რეფორმებს. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება თუ ბიუჯეტის განხილვისას კონცენტრირება მოხდება დეტალებზე და არა სტრატეგიულ პრიორიტეტებზე, რადგან საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკის, პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდების გადაწყვეტა უზრუნველყოფს მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებას და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხია ი., ბასარია რ., საქართველოს სისტემის სრულყოფის საკითხები. თბ., საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2011.
2. ნარმანია დ. საქართველოს საჯარო ფინანსების მდგომარეობა და ტენდენციები, ჟურნალი „ლიბერალი“, თბ., 2010.
3. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ., საჯარო ფინანსები, თბ., 2009.
4. www.mof.ge
5. www.nplg.gov.ge

Maia Gelashvili

BUDGET AND TAX SYSTEM IN REGULATING ECONOMICS

Annotation

Despite the current progress achieved in the tax and budget system of the country, more attention should be paid to surveying theoretical aspects of the budgetary policy of the country, namely to: justification of current problems observed in management theory and practice, finding ways of overcoming them and further refining. Hence we should focus on details instead of strategic priorities which on the whole will lead to and ensure increased quality of the economic security of the country and improved living standard of the population.

ნოდარ გრძელიშვილი

სასტუმრო ინდუსტრია – მისი სპეციფიკური თავისებურებები და მახასიათებლები

სასტუმრო ინდუსტრია მომსახურების სფეროს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის მომსახურებაზე მიმართული საქმიანობის სახეების ერთობლიობას.

მომსახურებას გააჩნია სპეციფიკური თვისებები, რომლებიც არ გააჩნია არც ერთ საქონელს: შეუძლებელია მათი დაგროვება, მათი ტრანსპორტირება და შენახვა, ახასიათებს ხარისხის ცვალებადობა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება შემსრულებლის პიროვნებას, ახასიათებს არამატერიალურობა, მისი წარმოებისა და მოხმარების პროცესის დრო ერთმანეთს ემთხვევა და სხვ. აქედან გამომდინარეობს მომსახურების სფეროს საწარმოს საქმიანობის თავისებურებები: მომსახურების მოწოდების ტერიტორიული შეზღუდულობა, მხოლოდ იმ მომენტისათვის არსებულ მოთხოვნაზე ძლიერი დამოკიდებულება, ხარისხის კონტროლთან სირთულე და პერსონალის საგულდაგულო შერჩევის აუცილებლობა.

მომსახურების სექტორს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკაში სხვადასხვა თვალსაზრისით, კერძოდ:

1. ადამიანები აფასებენ მომსახურებას ისევე, როგორც წარმოებულ პროდუქციას. მომსახურება არ არის რაღაც ისეთი, რისკენაც ყველა ისწრაფვის მას შემდეგ, როცა საქონელზე მოთხოვნები დაკმაყოფილდება.

2. სერვისული ფირმების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება მთლიანად ტოლია და მეტიც კი, ვიდრე დამატებული ღირებულება, რომელიც აწარმოეს საქონლის დამამზადებლებმა.

3. მომსახურების სექტორი ისევე კაპიტალტევადია, როგორც საქონლის წარმოების სექტორი, ამასთან ერთად, სერვისის ინდუსტრიის დარგიდან მრავალი მაღალტექნოლოგიურია.

4. სერვისის დარგებს აქვს ტენდენცია, ზუსტად იყოს ისევე კონცენტრირებული, როგორც წარმოება, ამასთანავე, სერვისული ფირმები ხდება საკმაოდ დიდი მასშტაბის მიხედვით, რათა თავად იყოს მნიშვნელოვანი და ძნელად შემსყიდველი.

5. სერვისის დარგები უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ზრდას, რომელიც საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის მიმდინარე ზრდას.

გინცბერგი და ვოიტა ამტკიცებენ, რომ მომსახურებამ შეცვალა საქონელი, როგორც ყველაზე დომინირებული ძალა ეკონომიკაში, ვინაიდან „ადამიანურმა კაპიტალმა“ შეცვალა ფიზიკური კაპიტალი, როგორც ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყარო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ცნება “მასპინძლობის ინდუსტრია”. ეს ტერმინი აღნიშნავს ორ არსებით თავისებურებას: კლიენტისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების მიღებაზე. მასპინძლობის ინდუსტრია – ეს არის სამეწარმეო საქმიანობა მომსახურების ბაზარზე, რომელიც უკავშირდება სტუმრების მიღებასა და მომსახურებას. ეს ცნება არის ბევრად უფრო ვიწრო, ვიდრე მომსახურების სფერო და მოიცავს საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, დასვენებისა და გართობის პარკებს, სასტუმროებს.

ვ.ი. დალის ლექსიკონის მიხედვით, სასტუმრო არის გავლით გასაჩერებელი ეზო ან სახლი, სადაც არის მომსახურება, ჩამომსვლელებისათვის ბინები და კვება. სასტუმრო მეურნეობის ქვეშ იგულისხმებოდა სამეურნეო საქმიანობა, რომელიც უკავშირდებოდა განთავსების მომსახურების გაწევას. კლიენტების მოთხოვნების გაზრდასთან ერთად და სასტუმროების სწრაფვასთან, გაზარდონ მომსახურების კომპლექსურობა, განთავსების მომსახურება შეივსო კვების მომსახურებით და სასმელების გაყიდვით.

უცხოელი ავტორები (მ. გოტიე და სხვ.) განსაზღვრავენ სასტუმრო ბიზნესს, როგორც ერთობლივ საქმიანობას, რომელიც სთავაზობს საკუთარ მომსახურებასა და სიკეთეებს, რითაც უზრუნველყოფს ადამიანების მატერიალურ პირობებს – განთავსებასა და კვებას. ეს ეხება, როგორც განმარტავს ავტორი, იმ მომსახურებას, რომელიც საჭიროა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ მოგზაურობის დროს (საქმიანი ვიზიტი, ბიზნესი, პირადი და ოჯახური ინტერესები, დასვენება).

სასტუმრო მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობდა მრავალგვარი ფაქტორი: მოგზაურობისადმი მოსახლეობის მოთხოვნილების გაზრდა, ტურიზმის განვითარება, კლიენტების გადახდისუნარიანობის გაზრდა, კონკურენცია, მოგების მიღებისადმი ლტოლვა და სხვ. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ მომსახურების ძირითად სახეებს (განთავსება და კვება) ემატება ახალი მომსახურება: საქმიანი შეხვედრების, მკურნალობის, გართობის მომსახურება. ამასთან, სასტუმრო მეურნეობა სთავაზობს არა მხოლოდ საკუთარი წარმოების მომსახურებას, არამედ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მომსახურებასაც.

სასტუმრო (სასტუმრო კომპლექსი) – ნაგებობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომელიც უკავშირდება მოსახლეობისათვის აუცილებელი რაოდენობის ავეჯით აღჭურვილ ბინებში განთავსების (ცხოვრების) მომსახურების გაწევას, სადაც წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე სასტუმრო მომსახურება. მაშასადამე, სასტუმრო საქმიანობის არსს წარმოადგენს

მოქალაქეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება აუცილებელი ავეჯით, აღჭურვილი დროებითი საცხოვრებელ ფართით და ასევე ბინადრობის თანმხლები მომსახურებით.

სასტუმროს, როგორც მომსახურების სფეროში შემავალ საწარმოს, ახასიათებს ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები და თავისებურებები. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოთხოვნილების სეზონურობა და გარკვეული ტერიტორიისადმი მიმაგრება, რადგან მოთხოვნილების შემცირებისას სასტუმროს არ შეუძლია მოახდინოს საკუთარი მომსახურების რეალიზება სხვა დროს და სხვა ტერიტორიაზე. საკურორტო სასტუმროები სრულად დატვირთულები არიან და იღებენ მოგებას წელიწადში მხოლოდ სამი-ოთხი თვე, ხოლო დანარჩენ დროს მათი მიზანია ზარალის მინიმუმამდე დაყვანა. მათგან განსხვავებით, მსხვილი ქალაქების სასტუმროებში ზაფხულის პერიოდში იგრძნობა კლიენტთა ნაკლებობა და მათი მოზიდვის მიზნით ფასები მცირდება 20-30%-ით. დღესდღეობით სასტუმროების დატვირთვის საშუალო კოეფიციენტი მსოფლიოს მეტად ცნობილ ოტელებში იშვიათად აღემატება 85%-ს. მაგალითად, Ritz-Cartlon-ის სასტუმროების შევსების დონე შეადგენს 70%-ს, რაც 9%-ით აღემატება დარგის საშუალო დონეს. ევროპაში შევსების კოეფიციენტი მერყეობს 62,3%-დან ეკონომიკური კლასის ოტელებში, 68,9%-მდე ლუქსის კლასის ოტელებში.

სასტუმროს სამეურნეო საქმიანობის შედეგების დამოკიდებულება მოთხოვნილების მერყეობაზე საკმაოდ დიდია, რადგან საექსპლუატაციო დანახარჯების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია მათ მუდმივ ნაწილს და არა ცვალებადს. მუდმივ დანახარჯებს მიეკუთვნება ძირითადი ფონდების ამორტიზება, ხელფასის უდიდესი ნაწილი, მნიშვნელოვანი საექსპლუატაციო ხარჯები. ამ უკანასკნელთა სიდიდე მუშაობის ნორმალურ რეჟიმში შეადგენს მუდმივი დანახარჯების მოცულობის 50-70%. რადგან საექსპლუატაციო ხარჯები მოიცავს მუდმივი დანახარჯების ნაწილს, დატვირთვის მომატებასთან ერთად მკვეთრად იკლებს დღე-ადგილების თვითღირებულება. ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შევსების ზრდა 10%-ით იწვევს თვითღირებულების შემცირებას 6-7%-ით.

სასტუმრო ბიზნესის თავისებურებებს შეიძლება მიეკუთვნოს იქნას მეტად დაბალი ელასტიურობა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სასტუმრო ინდუსტრიას ახასიათებს მაღალი საფონდო ტევადობა. ფონდების სტრუქტურაში ჭარბობს ძირითადი ფონდები – შენობები, მოწყობილობები, ავეჯი. ამიტომაც სასტუმრო ბიზნესში ჩადებული ინვესტიციების ამოგება ნელა ხდება, ხოლო კონიუნქტურის მკვეთრი ცვლილების შემთხვევაში დივერსიფიკაციის შესაძლებლობები მეტად შეზღუდულია, რადგან ამ ბიზნესში ინვესტირებული სახსრების უმეტესი ნაწილი ჩადებულია ვიწრო, სპეციალიზებულ შე-

ნობა-ნაგებობებში, რომელთა სხვა მიზნებისთვის გამოყენება მეტად რთულია.

შემდეგ თავისებურებას წარმოადგენს მომსახურების ხარისხის კონტროლის პრობლემა. სასტუმრო მომსახურება არახელშესახებია. რთულია განსაზღვრო მომსახურების ისეთი აუცილებელი ელემენტების "სარეკომენდაციო ნორმა", როგორიცაა პერსონალის თავაზიანობა და თბილი მოპყრობა. ამიტომაც მომსახურების ხარისხის კონტროლი ხორციელდება სასტუმროს პერსონალის ქცევის კონტროლის მეშვეობით. გარდა ამისა, მომსახურების ხარისხზე სასტუმროებში გავლენას ახდენს იმ რგოლების საქმიანობა, რომლებიც ახდენენ ძირითადი მომსახურების რეალიზებას, როგორიცაა, მაგალითად, ადგილების რეგისტრაცია, წინასწარი გადახდა და სხვ.

სასტუმრო მეურნეობა ახორციელებს სხვადასხვა მომსახურებათა კომპლექსს, რაც წარმოადგენს საქმიანობის ამ სფეროს განმასხვავებელ ნიშანს. სასტუმროს მომსახურება შეიძლება იყოს **ძირითადი** (დროებითი დაბინავებისათვის საცხოვრებელი ფართის მიწოდება) და **დამატებითი** (კვების მომსახურება, საყოფაცხოვრებო მომსახურება, კავშირგაბმულობის, სპორტული, სამედიცინო, გასართობი მომსახურება და სხვ.).

როგორც სასტუმრო კომპლექსის თავისებურება, უნდა აღინიშნოს ასევე დამატებითი მომსახურების გაწევა, რომელიც აუცილებელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოგება არ მოაქვს, რადგან წარმოადგენს "სასტუმროს მომსახურების" სახელწოდებით არსებული პროდუქტის შემადგენელ ნაწილს.

სასტუმრო მეურნეობის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუდმივი მზადყოფნა სტუმრების დახვედრისა და მომსახურებისათვის იწვევს მთელი დღეღამის განმავლობაში ერთდროულად ადმინისტრატორის, პორტიეს, მებარგულების, მოახლეების და სხვა მუშაკების სამუშაო ადგილზე ყოფნის აუცილებლობას. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს პერსონალის შრომის გამოყენების ეფექტურობას. მაგრამ საკუთარი და უცხოური გამოცდილება ადასტურებს ამ წინააღმდეგობის გადალახვის შესაძლებლობას, მაგალითად, პროფესიების შეთავსების გზით შრომის ბრიგადული ორგანიზების გამოყენებით. ასეთი ადგილების რეზერვირების სისტემის დანერგვისას ოტელებში შესაძლებელია პორტიეს და სანიტარულ-ტექნიკური პერსონალის სამსახურის მინიმუმამდე შემცირება.

უნდა აღინიშნოს, რომ სასტუმროების ნომრების დირებულება პირდაპირ პროპორციულია სასტუმრო მომსახურების ხარისხთან, რომელიც განისაზღვრება კლასით. განვიხილოთ მონაცემები ოტელების კატეგორიების მიხედვით (იხ. ცხრილი).

შევსება, საშუალო ღირებულება და შემოსავალი ოტელების კატეგორიების მიხედვით

კატეგორია	ნომრების საშუალო შევსება, %	ნომრის საშუალო ღირებულება დღეღამეში, აშშ დოლარში	შემოსავალი, გარდაუვალი გადასახადების გამოკლებით, აშშ დოლარში
ოტელები:			
ლუქსის კლასის	68,9	156,1	20,9
პირველი კლასის	67,0	101,3	12,9
ეკონომიკური კლასის	62,3	60,7	8,0
100 ნომერზე ნაკლები	62,5	84,8	10,6
100-დან 300-მდე ნომრით	64,7	81,9	11,1
300 ნომერზე ზემოთ	69,5	90,0	12,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, ლუქსის კლასის ოტელებს ახასიათებს მეტად დიდი შევსების კოეფიციენტი, ნომრის საშუალო ღირებულება და შემოსავალი გარდაუვალი გადასახადების გამოკლებით. ნომრების რაოდენობის მიხედვით სასტუმროების კლასიფიკაციის დროს ყველაზე ძვირიანები განთავსებულია ოტელებში, სადაც ნომრების რაოდენობა აღემატება 300-ს. ამ ოტელებს აქვს დატვირთვის უდიდესი კოეფიციენტი და შემოსავალი გარდაუვალი გადასახადების გამოკლებით. შემდეგი ნომრების ღირებულების მიხედვით არიან ოტელები, სადაც ნომრების რაოდენობა 100-ზე ნაკლებია. ეს ასახავს ბოლო წლების ტენდენციას – მცირე ეგრეთ წოდებული ბუტიკ-ოტელების მშენებლობას და ექსპლუატაციას. ზემოაღნიშნულიდან ყველაზე დაბალი შემოსავალი გარდაუვალი გადასახადების გამოკლებით, ნომრის ღირებულების მიუხედავად, გამოწვეულია მუდმივი ხარჯების მაღალი კუთრი წონით. ოტელების ყველაზე გავრცელებული კატეგორია – 100-დან 300-მდე ნომერი – ხასიათდება საშუალო მონაცემებით.

სასტუმრო ინდუსტრია ჩამოყალიბდა XX საუკუნეში. ამ საქმიანობის მომავლის განხილვისას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სხვადასხვა ცნობილ მეცნიერს, რომლებიც აღნიშნავენ XXI საუკუნეში მასპინძლობის ინდუსტრიაზე გავლენის მქონე ფაქტორებს: გლობალიზაციას, ახალ ტექნოლოგიებს, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ინტეგრაციას, სავაჭრო მარკის ფორმირებას და სხვ.

არსებობს უამრავი სხვა საბაზრო ფაქტორი, რომელიც ყურადსაღებია საყურადღებოდ ახლო მომავალში. მაგალითად, დაჯავშნის მსოფლიო სისტემები, მსოფლიო საინფორმაციო ქსელები, კავშირგაბმულობის საშუალებები და ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი სხვა საბაზრო სეგმენტები. ამასთან, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ვლინდება ძირითადი მიმართულებების მიხედვით. მასპინძლობის ინდუსტრია მიეკუთვნება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ ინდუსტრიას, ამიტომ აქ მოსალოდნელია ძალიან სწრაფი ცვლილებები. სხვა სიტყვებით, ნებისმიერ დროს შეიძლება აღმოცენდეს და განვითარდეს ესა თუ ის მიმართულება.

ამავე დროს არსებობს პრობლემები – არ არის საკმარისი სათანადო სტრატეგიის შერჩევა და მისი რეალიზაციისათვის საშუალებების მოძიება. სასტუმრო ბიზნესის თანამედროვე პრაქტიკაში ნებისმიერი ეფექტური სიახლე დიდხანს არ რჩება იმ კომპანიის პრივილეგიად, რომელმაც პირველმა აითვისა მოწინავე გამოცდილება. თუ ერთხელ მიღებულია დადებითი შედეგი, ძალიან სწრაფად ხდება ამ სიახლის კოპირება ინდუსტრიის სხვა მონაწილეების მიერ (“მეორე ტალღის” მწარმოებლების მიერ), რაც ახდენს თავდაპირველი უპირატესობის ნიველირებას. დადებითი შედეგის განსამტკიცებლად საჭიროა რამდენიმე სტრატეგიის კომპლექსურად გამოყენება და მათი შეცვლა სიტუაციის ცვლილების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. აბულაძე, ,სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები. თბ., 2008.
2. ე. ბარათაშვილი, თ. ყანდაშვილი, ნ. გრძელიშვილი, თ. როსტიაშვილი, სერვისმენეჯმენტი (სახელმძღვანელო) თბ., 2013.
3. ა. დევაძე, ნ. გრძელიშვილი, ტურიზმი საქართველოში, მონოგრაფია, თბ., 2012.
4. Manula of Statistics of Internatinal Trade in Services. // Union Nations, European Commission, OECD, International Monetary Fond, WTO // Geneva, Luxemburg, New York, Paris, Washington. 2000.
5. Valarie A. Zeithaml, A. Parasaurman, and Leonard L Berry, “ Problems and Strategies in Serices Marketing”, Journal of Marketing, 49 (spring 1985).
6. Scott Edgett and Stephen Parkinson, “Marketing for Service Industries: A Review”, The Service Industries Journal, 13, (July 1993).

Nodar Grdzelishvili

HOTEL INDUSTRY – ITS SPECIFIC CHARACTERISTICS AND FEATURES

Annotation

The article discusses the features of the hotel industry, factors contributing to the development of the hotel industry. The service sector is an important contributor to the economy in different ways. It is said that the cost of hotel rooms in the hotel is directly proportional to the quality of services.

ლეილა ღუდუშაური

აღრიცხვა-ანგარიშგების თავისებურებანი საბანკო სფეროში

აღრიცხვის სისტემა წარმოადგენს საორგანიზაციო პრინციპების, მეთოდური წესებისა და მიდგომების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო (სამეურნეო) ოპერაციების ასახვას დასმული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად. ამრიგად, საქმე გვაქვს **აღრიცხვის ორ ტიპთან – ბუღალტრულ და მმართველობით აღრიცხვასთან**. პირველის დანიშნულებაა ნორმატიული მოთხოვნების შესრულება და ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება, ხოლო მეორის – მმართველობითი საქმიანობის სრული საინფორმაციო უზრუნველყოფა. ამავე დროს, საბუღალტრო აღრიცხვა მმართველობითი აღრიცხვის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს.

ცნობილია ბუღალტრული აღრიცხვის სტრუქტურის ორი მოდელი: ცენტრალიზებული და განაწილებითი. ცენტრალიზებული სისტემის დროს ის პერსონალი, რომელიც ასრულებს ბუღალტრული აღრიცხვის ოპერაციებს, თავმოყრილია (კონცენტრირებულია) ერთიან სტრუქტურულ ქვეგანაყოფში. სხვადასხვა ბანკში ეს შეიძლება იყოს განსხვავებული სტრუქტურა განსხვავებული დასახელებით, მაგ., ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველო ან დეპარტამენტი, მთავარი ბუღალტერია, სააღრიცხვო-საოპერაციო სამმართველო და ა. შ. ყველაზე ტიპურია პირველი დასახელება – ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველო. როგორც წესი, ასეთ სამმართველოში შედის რამდენიმე განყოფილება, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა სექტორებად, იშვიათად – ჯგუფებად, სახელდობრ., საოპერაციო განყოფილება, შიდასამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის განყოფილება (შიდაბუღალტერია), ერთიანი ანგარიშგების განყოფილება, საგადასახადო დაგეგმვის განყოფილება და ა. შ. ამასთან, ან საოპერაციო განყოფილებაში, ან შესაბამის განყოფილებებში (ოპერაციების მოცუ-

ლობის მიხედვით) უნდა არსებობდნენ მუშაკები, რომლებიც უზრუნ-ველყოფენ ზოგიერთი სპეციფიკური ოპერაციის (მაგ., სასესხო, სავალუტო, ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების) აღრიცხვას.

ცენტრალიზებული სისტემის დროს სამუშაოს ტექნოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება: აუცილებლობის შემთხვევაში, მაგ., კლიენტისთვის სესხის გაცემის ბუღალტრულ ანგარიშებში ასახ-ვისას, შესაბამისი ქვეგანყოფილებიდან ბუღალტერიას გადაეცემა აუცილებელი განკარგულებების კომპლექტი. ეს შეიძლება იყოს კლიენტისთვის სასესხო ანგარიშის გახსნის, სესხის გაცემისა და ანგარიშზე მისი ასახვის, აგრეთვე გარესაბალანსო აღრიცხვის განხორციელების განკარგულება და ა.შ. ამავე დროს, აუცილებ-ლობის შემთხვევაში, ბუღალტერია თანამშრომლობს საკრედიტო ქვეგანყოფილებასთან.

განაწილებითი სისტემისთვის დამახასიათებელია ის, რომ ანგარიშებზე ოპერაციების ასახვის მთელი აღრიცხვისა და სპეცია-ლიზებული ანგარიშგების მიღების პროცესები დეცენტრალიზე-ბულია. თითოეულ ქვეგანყოფილებაში, სადაც ეს აუცილებელია, არსებობს საკუთარი ბუღალტერია, რომელიც მისთვის მინიჭებული დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ასრულებს ამ ქვეგანყოფილების ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვის მთელ კომპლექტს. ამასთან, მთავარი (ან ცენტრალური) ბუღალტერია უზრუნველყოფს კონსოლიდირებული აღრიცხვიანობის ფორმირებას, ბანკის შიგასამეურნეო საქმიანობის აღრიცხვას, აღრიცხვის მეთო-დოლოგიას და ასრულებს კონტროლის ფუნქციას. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ბუღალტერი, საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების პროცესში, ექვემდებარება საკრედიტო ორგანიზაციის მთავარ ბუღალტერს.

განვიხილოთ **საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაციის სის-ტემები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები შედარებითი ანალიზის საფუძველზე** (იხ. ცხრ. 1).

ცენტრალიზებული სისტემის ძირითადი ხარვეზები:

- ოპერაციების განხორციელების ტექნოლოგიური „ჯაჭვის“ გართულება მასში დიდი რაოდენობის ქვეგანყოფილების ჩართვისა და ამ უკანასკნელთა ტერიტორიული განაწილების გამო;
- ბუღალტერიის გადატვირთვა ყველა ოპერაციის მომსახუ-რების რუტინული სამუშაოს საკმაოდ დიდი მოცულობით;
- კლიენტებისთვის ოპერაციების გაფორმების მოუხერხებ-ლობა, რაც დაბალი ხარისხის მომსახურებას იწვევს;

• მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება და პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობების მინიჭება ერთი ადამიანისთვის – მთავარი ბუღალტრისთვის.

განაწილებითი სისტემის ძირითადი ნაკლოვანებანი:

• მთავარი ბუღალტერიის კონტროლის შესუსტება ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვაზე;

• გაცილებით დიდი მატერიალური დანახარჯები ბუღალტრულ აღრიცხვაზე, რაც გამოწვეულია ბუღალტრული ქვეგანყოფილებების მართვისთვის საჭირო მენეჯერებისა და, აგრეთვე, ბუღალტერიის სამსახურების რიგითი პერსონალის რაოდენობის ზრდით;

• მართვის ორგანიზაციის სირთულე, გამოწვეული ბუღალ-ტერიის სამსახურების პერსონალის ორმაგი დაქვემდებარებით (ხაზობრივი/წრფივი ქვეგანყოფილების ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიმართ ერთდროულად).

ცენტრალიზებული სისტემის დადებითი მხარეები:

• სქემის სიმარტივე;

• თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების (მათ შორის პროგრამულ-აპარატული საშუალებების, ტელეკომუნიკაციების, ინ-ფორმაციის დაცვის საშუალებების) გამოყენების შედარებით ნაკ-ლები მოთხოვნები და, აქედან გამომდინარე, გაცილებით ნაკლები დანახარჯები.

განაწილებითი სისტემის დადებითი მხარეები:

• ბოროტად გამოყენების რისკის შემცირება უფლებამოსილების გამიჯვნის გამო (მთავარი ბუღალტერია მხოლოდ აკონტროლებს და ოპერაციებს არ ახორციელებს);

• საკმაოდ მოხერხებულია კლიენტის თვალსაზრისით;

• წრფივი ქვეგანყოფილებების დამოუკიდებლობის საკმაოდ მა-ღალი დონე.

ცხრილი 1

საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაციის სისტემების შედარებითი ანალიზი

საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაციის ცენტრალიზებული სისტემა		**საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაციის განაწილებითი სისტემა**	
უპირატესობები	**ნაკლოვანებები**	**უპირატესობები**	**ნაკლოვანებები**
საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაციის ცენტრალიზებული	ოპერაციების წარმოების ტექნოლოგიური „ჯაჭვის“	ბოროტად გამოყენების რისკის შემცირება	მთავარი ბუღალტერიის კონტროლის შესუსტება

სისტემის სქემის სიმარტივე.	გართულება მასში დიდი რაოდენობის ქვეგანყოფილების ჩართვისა და ამ უკანასკნელთა ტერიტორიული განაწილების გამო.	უფლება-მოსილების გამიჯვნის გამო (მთავარი ბუღალტერია მხოლოდ აკონტროლებს და ოპერაციებს არ ახორციელებს).	ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვაზე;
თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების (მათ შორის პროგრამულ-აპარატული საშუალებების, ტელეკომუნიკაციების, ინფორმაციის დაცვის საშუალებების) გამოყენების შედარებით ნაკლები მოთხოვნები და აქედან გამომდინარე, გაცილებით ნაკლები დანახარჯები.	ბუღალტერიის გადატვირთვა ყველა ოპერაციის მომსახურების რუტინული სამუშაოს საკმაოდ დიდი მოცულობით.	საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაციის განაწილებითი სისტემის მოხერხებულობა კლიენტის თვალსაზრისით.	გაცილებით დიდი მატერიალური დანახარჯები ბუღალტრულ აღრიცხვაზე, რაც გამოწვეულია ბუღალტრული ქვეგანყოფილებების მართვისთვის საჭირო მენეჯერებისა და, აგრეთვე, ბუღალტერიის სამსახურების რიგითი პერსონალის რაოდენობის ზრდით.
	კლიენტებისთვის ოპერაციების გაფორმების მოუხერხებლობა, რაც დაბალი ხარისხის მომსახურებას იეეევს.	წრფივი ქვეგანყოფილებების დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი დონე.	მართვის ორგანიზაციის სირთულე, გამოწვეული ბუღალტერიის სამსახურების პერსონალის ორმაგი დაქვემდებარებით (წრფივი ქვეგანყოფილების ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიმართ ერთდროულად).
	მთელი პასუხისმგებლობის დაკისრება და პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობების მინიჭება ერთი ადამიანისთვის – მთავარი ბუღალტრისთვის.		

საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დირექცია
(ხელმძღვანელობს ბანკის მთავარი ბუღალტერი)

- საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდოლოგიის განყოფილება
- ერთიანი აღრიცხვის განყოფილება
- სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის სამმართველო
- ბანკის თანამშრომელთა აღრიცხვის განყოფილება
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილება
- მიმდინარე სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის განყოფილება
- შიგა აღრიცხვის სამმართველო
- საბალანსო განყოფილება
- მიმდინარე ოპერაციების აღრიცხვის განყოფილება
- ფილიალების ოპერაციების აღრიცხვის განყოფილება
- ფასიანი ქაღალდების ოპერაციების აღრიცხვის განყოფილება
- სადილინდო ოპერაციების აღრიცხვის განყოფილება



სქემა 1
საბუღალტრო საქმიანობის ორგანიზაციის განაწილებითი სისტემის ბუღალტერიის აპარატის ტიპური სქემა

როგორც პირველი სქემიდან ჩანს, განაწილებითი სისტემისთვის დამახასიათებელია მთავარი და დამხმარე (ანუ ქვეგანყო-

ფილებების) ბუღალტერიის არსებობა. მთავარი ბუღალტერია, როგორც წესი, ოპერაციების განხორციელების ტექნოლოგიურ პროცესებში საერთოდ არ მონაწილეობს; იგი აღრიცხვის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის ცენტრს წარმოადგენს და მონაცემთა კონტროლსა და კონსოლიდაციას ახორციელებს.

ბუღალტერიის სამსახურის სტრუქტურის აგების მეთოდი დიდ გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე, უსაფრთხოებასა და აღრიცხვის სისტემის ეფექტიანობაზე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია ანგარიშგების სისტემის სწორად შერჩევა და ორგანიზება.

ბანკში ანგარიშგების სისტემის ფორმირება ხორციელდება საინფორმაციო და ავტომატიზებულ სისტემათა თანამედროვე საშუალებების საფუძველზე. ორგანიზაციული თვალსაზრისით ანგარიშგების სისტემის ფორმირებისთვის მიზანშეწონილია ცალკე სტრუქტურის (ქვეგანყოფილების) გამოყოფა, რომელიც შეიძლება შევიდეს როგორც საბუღალტრო აპარატის, ასევე საბანკო ტექნოლოგიის ქვეგანყოფილებაშიც. ასეთი სამსახურის ძირითადი მიზანია სისტემის ჩარჩოებში ანგარიშგების ფორმირების უზრუნველყოფა, რაც ძირითადად შემდეგში გამოიხატება: ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისთვის თვალყურის დევნება; აღრიცხვის კორექტირება ანგარიშგების გამარტივებისა და შესაძლებლობის მიზნით; მონაცემთა აქტუალურობის კონტროლი და ბანკის უზრუნველყოფა საანაგარიშგებო ფორმების მიღების უახლესი ავტომატიზებული საშუალებით.

ანგარიშგების ქვეგანყოფილების ნორმალური ფუნქციონრებისთვის აუცილებელია ბანკის სამი თანამშრომელი (გამომდინარე ბანკის თავისებურებებიდან და ოპერაციების მოცულობიდან, მათ შეუძლიათ ეს ფუნქციები შეასრულონ არასრულ რეჟიმშიც):

I. *მეთოდისტ-ბუღალტერი,* რომელიც ახორციელებს ცვლილებათა კონტროლს მიმდინარე კანონმდებლობასა და ანაგარიშგების სისტემის წარმოების წესებში. ანუ იგი თვალყურს ადევნებს ანგარიშგების წარმოების კორექტულობას ანგარიშგების მიღების თვალსაზრისით, სახელდობრ:

✓ ბანკის ქვეგანყოფილებების მიერ განხორციელებული რეგლამენტირებული ცვლილებებისა და განაცხადების საფუძველზე აყალიბებს ანგარიშგების მიღების ამოცანას;

✓ ახორციელებს სხვადასხვა გადაწყვეტილებების ტესტირებას და საბოლოო მომხმარებელს მზა ანგარიშგების მიღების მეთოდიკას აცნობს;

✓ აღწერს და სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ ანგარიშგების რეგლამენტებსა და მიღების წესებს.

II. *მონაცემთა ადმინისტრატორი*, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემების მონაცემთა მიღების მექანიზმებსა და საშუალებებს. გარდა ამისა, იგი თვალყურს ადევნებს საინფორმაციო სისტემების მონაცემთა აქტუალურობასა და ახორციელებს კონტროლს მათ შევსებაზე;

III. *ანგარიშგებათა შემდგენელი*, რომელიც ადგენს ანგარიშთა ფორმების შაბლონებს (ნიმუშებს) და მათი მიღების მექანიზმებს, აგრეთვე ახორციელებს მათ კორექტურას იმ ქვეგანყოფილების კონსულტაციების საფუძველზე, სადაც უშუალოდ ხდება ანგარიშგების ფორმების ფორმირება.

ავტომატიზებული საბანკო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი მონაცემების მოპოვებას:

- ყოველდღიურ ნაშთებსა და ბრუნვებს საბალანსო ანგარიშების მიხედვით;
- ყოველდღიურ ნაშთებსა და ბრუნვებს პირადი ანგარიშების მიხედვით (გარკვეული სიის შესაბამისად);
- საბანკო ორგანიზაციაში არსებული ავტომატიზაციის სხვადასხვა სისტემებიდან მოპოვებულ სხვა მაჩვენებლებს;
- მომხმარებლების მიერ შეტანილ და რედაქტირებულ მონაცემებს;
- გარე წყაროებიდან მოპოვებულ საცნობარო მონაცემებს (მაგ., ვალუტების კურსებს, რეფინანსირების განაკვეთს და ა. შ.).

მონაცემების საცავს შეიძლება წარმოადგენდეს მონაცემთა დამოუკიდებელი საცავი ან მონაცემებზე მითითებების საცავი. საცავის ვარიანტის არჩევა დამოკიდებულია ბანკის ავტომატიზებული სისტემის ტექნიკურ მაჩვენებლებსა და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემაზე.

სისტემამ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა არსებობის კონტროლი მონაცემთა გაცემის რედაქტირებული კალენდრის მიხედვით, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში – მონაცემთა ადმინისტრატორისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

გარდა ამისა, სისტემას უნდა გააჩნდეს ღია პროგრამული ინტერფეისი, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების ფორმირებას მომხმარებლის მითითებით, ანგრიშგებათა გადაგზავნას მოცემული სისტემის „მზა ფორმების რედაქტორში“ ან მოცემული ორგანიზაციის მიერ გამოყენებულ „ტექსტის რედაქტორში“.

უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშგების სისტემა ბანკში, ისევე, როგორც სხვა ორგანიზაციებში, დიდ გავლენას ახდენს შიდა პროცესების ეფექტიანობასა და ხარისხზე, აქედან გამომდინარე, მას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ღუდუშაური. საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინირინგი: თეორია და პრაქტიკა. თბ., „ინტელექტი", 2012.
2. Пол Х. Аллен. Реинжиниринг банка: программа выживания и успеха/ Пер. с англ. М.: Алпина Паблишер, 2002.
3. www.nbg.gov.ge

Leila Ghudushauri

FEATURES OF ORGANIZATION OF ACCOUNTING IN BANKS

Annotation

The system of organization of accounting in banks can influence the effectiveness and quality of internal processes, so it should always attracts attention.

The article discusses the features of the organization of accounting in banks, their advantages and disadvantages on the basis of comparative analysis.

იზოლდა ხასაია

მარკეტინგული კვლევის მეთოდები ტურიზმში

ტურიზმის მნიშვნელოვანი პრობლემაა კომერციული საქმიანობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება. სწორად განჭვრიტო ტურისტული ბაზრის განვითარების პროგნოზი, შეიმუშაო ბიზნესის წარმოების ფორმები და ხერხები – ნიშნავს კონკურენტებზე დამატებითი უპირატესობის მიღწევას, ტურიზმში საკუთარი ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფას.

ამიტომ, მარკეტინგული კვლევები სხვადასხვა სიღრმისა და მიმართულების ტურისტული კომპანიის მიერ მთელი არსებობის მანძილზე ტარდება. კვლევის მონაცემები კომპანიებს სჭირდება ბაზარზე სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილების შესამუშავებლად. კვლევების ჩატარება შესაძლებელია კომპანიების ძალებით ან სპეციალური სააგენტოების დახმარებით.

მარკეტინგული კვლევის სისტემა არის საწარმოს მარკეტინგული ინფორმაციის ძირითადი ნაწილი, შეიცავს ცნობებს მიზნობრივ ბაზრებზე, მარკეტინგის არხებზე, კონკურენტებზე, საკონტაქტო აუდიტორიაზე, მაკროგარემოს ფაქტორებზე [1, გვ. 144-147].

ხშირად მარკეტინგული კვლევების აუცილებლობა დგება მარკეტინგული პრობლემების არსებობის შემთხვევაში, რომლებსაც მიეკუთვნება: გაყიდვის მოცულობის შემცირება; მომხმარებლის

დაუკმაყოფილებლობა; სიტუაცია, როცა რეალური შედეგები განსხვავდება პროგნოზირებულისაგან.

მარკეტინგული კვლევები საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ მიზეზი და შევაგროვოთ აუცილებელი ინფორმაცია მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად.

მარკეტინგულ კვლევას თუ განვიხილავთ როგორც მიზანმიმართულ პროცესს, მაშინ აუცილებელია თანმიმდევრული ეტაპების გამოყოფა, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენენ მოქმედებათა სქემას:

პირველი ეტაპი – პრობლემის გამოვლენა, მიზნის ფორმულირება. მაგალითად, ტურისტული საწარმოსთვის დროდადრო აქტუალური ხდება პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია მოზიდული კლიენტების არასაკმარის რაოდენობასთან. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ჩნდება გარკვეული კითხვები.

1. როგორ ირჩევენ კლიენტები ტურისტულ კომპანიას?

2. როგორ დავაინტერესოთ ჩვენი წინადადებით პოტენციური ტურისტების უფრო მეტი რაოდენობა?

მარკეტინგული კვლევის მიზნები შეიძლება იყოს **საძიებო**, ე.ი. ითვალისწინებს გარკვეული წინასწარი მონაცემების შეგროვებას, რასაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს პრობლემას ან დაეხმაროს ჰიპოთეზის შემუშავებაში. ის შეიძლება იყოს **აღწერითი** – ითვალისწინებს გარკვეული მოვლენების აღწერას. მაგალითად, აქტიური დასვენების მომხრე მომხმარებელთა რიცხვის დადგენა ან იმ მომხმარებელთა რიცხოვნობის განსაზღვრა, ვისაც გაუგია ტურფირმა „გლობალ ტრეველ“-ის შესახებ. არის **ექსპერიმენტული** მიზნებიც, ე.ი. ითვალისწინებს ჰიპოთეზის შემოწმებას რაღაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ, მაგალითად, ტურზე ფასის დაკლება 10%-ით მიგვიყვანს გაყიდვების ზრდამდე 15%-ით;

მეორე ეტაპზე აუცილებელია ინფორმაციის სახის და მისი უფრო ეფექტური შეგროვების გზის განსაზღვრა. ინფორმაცია შეიძლება იყოს პირველადი ან მეორადი. „პირველადი“ არის კვლევის შედეგად მიღებული ახალი მონაცემები. „მეორადი“ – უკვე გამოქვეყნებული მარკეტინგული კვლევების მასალებიდან მიღებული ცნობები. მეორადი ინფორმაციის წყაროები, თავის მხრივ, ორად დაიყოფა: შიდა და გარე. ინფორმაცია არის შიდა იმ შემთხვევაში, თუ ის ეხება თვით ორგანიზაციის პრობლემებს და გარე – თუ ეხება ფირმის გარეთ მარკეტინგული გარემოს ფაქტორებს, მაგალითად, ინფორმაცია სამომხმარებლო ქცევებზე ან კონკურენტებზე;

მესამე ეტაპი. ინფორმაციის შეგროვება. კვლევის პროგრამის შემუშავებისას აუცილებელია ინფორმაციის შეგროვება. შერჩევის მოცულობის მიხედვით საჭიროა გამოცდილი მუშაკების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ფლობენ ინფორმაციის შეგროვების ტექნოლოგიას. შეგროვებული ინფორმაციის გადატანა ხდება სხვადასხვა მატარებლებზე (ქაღალდი, ელექტრონული, აუდიოვიზუალური).

მეოთხე ეტაპი. *შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი,* მიღებული მონაცემების ერთობლიობიდან მნიშვნელოვანი ცნობებისა და შედეგების ამოღება;

მეხუთე ეტაპი. მკვლევარი მიღებულ მონაცემებს ათავსებს ცხრილებში. ამ ცხრილების მიხედვით გამოითვლება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: სიხშირის განაწილება, საშუალო დონეები, გაფანტულობის ხარისხი და სხვა. შემდეგ მკვლევარი ამუშავებს მიღებულ მონაცემებს თანამედროვე სტატისტიკური მეთოდიკისა და გადაწყვეტილების მიღების მოდელების დახმარებით.

კვლევის მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია მარკეტინგული კვლევის ხასიათზე, რომელიც შეიძლება იყოს თვისებრივი ან რაოდენობრივი. თვისებრივი კვლევის ჩატარება ნიშნავს, რომ მიღებული მონაცემები არ ექვემდებარება რაოდენობრივ ანალიზს. თვისებრივი ანალიზი შეიძლება იყოს გამოყენებული მომხმარებლის მიდრეკილებების, ხასიათისა და მოტივაციის შესწავლისთვის. თვისებრივი კვლევა მიისწრაფვის ინდივიდუალური მომხმარებლის უფრო ღრმა გაგებისაკენ და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისთვის გამოიყენებს არა ციფრებს, არამედ სიტყვებს.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების განმასხვავებელი პარამეტრები შეიცავს: კითხვების ტიპებს, შერჩევის მოცულობას, კვლევის მართვის ხერხს, ანალიზის ტიპს, გამოსაყენებელ მოწყობილობას, განმეორებითი კვლევის შესაძლებლობას, მკვლევრების მომზადებაზე მოთხოვნებს. ამ ნიშნების მიხედვით შეიძლება გამოიყოს მეთოდების სამი ჯგუფი: თვისებრივი მონაცემების შეგროვების მეთოდთა ჯგუფი, რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების მეთოდთა ჯგუფი და თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების მეთოდთა ჯგუფი (mix – მეთოდები).

თვისებრივი კვლევა საშუალებას იძლევა, მივიღოთ დეტალური მონაცემები პირთა მცირე ჯგუფების ქცევის, მოსაზრების, შეხედულებების, ურთიერთობების შესახებ. მიღებული მონაცემები არ შეიძლება იყოს გამოსახული რაოდენობრივად (იშვიათი გამონაკლისის გარდა), მაგრამ იძლევა კარგ წარმოდგენას მომხმარებლის აზროვნების შესახებ. თვისებრივი კვლევები აუცილებელია ახალი

საქონლისა და მომსახურების შემუშავების დროს, სარეკლამო კამპანიების, ტურისტული ფირმის იმიჯის შესწავლისას და სხვა.

თვისებრივი კვლევების ძირითადი მეთოდებია: ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ, პროტოკოლის ანალიზი, პროექციული მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევები, თვისებრივისაგან განსხვავებით, გვაძლევს პრობლემების შეზღუდულ სპექტრზე რაოდენობრივი ინფორმაციის მიღების საშუალებას დიდი რაოდენობით ადამიანებისაგან. ეს კი მისი სტატისტიკური მეთოდებით დამუშავების და შედეგების ყველა მომხმარებელზე გავრცელების საშუალებას გვაძლევს. რაოდენობრივი კვლევები გვეხმარება ფირმის ცნობადობის დონის ან მარკის შეფასებაში, მომხმარებელთა ძირითადი ჯგუფების, ბაზრის მოცულობის გამოვლენაში და ა.შ.

რაოდენობრივი კვლევების ძირითადი მეთოდებია: სხვადასხვა გამოკითხვები და საცალო ვაჭრობის აუდიტი (Retail Audit).

გამოკითხვა გულისხმობს ანკეტაში მოცემულ შეკითხვებზე რესპონდენტის აზრის გარკვევას ინტერვიუერის რესპონდენტთან კონტაქტის გზით.

გამოკითხვა არის პირველადი ინფორმაციის შეგროვების ყველაზე გავრცელებული მეთოდი. ის გამოიყენება კვლევების დაახლოებით 90%-ში [2].

Retail Audit (საცალო ვაჭრობის აუდიტი) არის კვლევა, რომელიც შეიცავს ასორტიმენტის, ფასის, დისტრიბუციის, საცალო ვაჭრობის წერტილებში სარეკლამო მასალების ანალიზს [3].

Retail Audit მეთოდით კვლევა შეიცავს: ანკეტების შემუშავებას; სავაჭრო წერტილების შერჩევის ფორმირებას; ინტერვიუერების მომზადებას; უშუალოდ კვლევას; მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზს.

კვლევის **ეს** მეთოდი ფართოდ გამოიყენება ტურისტული მომსახურებების ბაზრის კვლევაში ქვეყნის ბაზარზე ტურისტული მომსახურების გაყიდვის რეალური მოცულობის განსაზღვრის მიზნით.

მონაცემების მოგროვების ეს მეთოდი ტუროპერატორის ან ნებისმიერი აგენტი-დილერის მიერ ყველა ტურისტული საგზურის საცალო გაყიდვის საშუალებას იძლევა რეგისტრაციის, მომსახურების მახასიათებლების დეტალური ჩამონათვალით.

Mix- მეთოდები – კვლევის შერეული მეთოდები, რომლებიც კარგად ითავსებენ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების უპირატესობებს. Mix-მეთოდებიდან *აშშ და ევროპის ქვეყნების ტურიზმის ინდუსტრიაში ფართოდ გამოიყენება «Mystery Shopping» მეთოდი.*

Mystery Shopping – კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მომსახურების დონის შეფასებას სპეციალისტების დახმარებით, რომლებიც გამოდიან მყიდველების როლში (შემკვეთების, კლიენტების და ა.შ.).

მომსახურების გაყიდვისას მომსახურების ხარისხი არის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, რომლის მეშვეობითაც კლიენტები აფასებენ კომპანიას. *Mystery Shopping* საშუალებას იძლევა, მომხმარებლის თვალსაზრისით შეფასდეს პერსონალის მუშაობა და დროულად იქნეს მიღებული ზომები მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

«Mystery Shopping» მეთოდი მოითხოვს სპეციალურ მომზადებას. პირველ რიგში მუშავდება დეტალური გეგმა – პერსონალის მუშაობის რომელი ელემენტებია შესაფასებელი, რა კრიტერიუმებით, რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება (თუ ორგანიზაციაში არის კლიენტების მომსახურების სტანდარტი, მაშინ შეიძლება დავეყრდნოთ მას). შემდეგ ამ *გეგმის ბაზაზე* მუშავდება ანკეტა და ტარდება მკვლევარების ინსტრუქტაჟი.

«Mystery Shopping» [50] – არის, როგორც აღვნიშნეთ, მარკეტინგული კვლევის ერთ ერთი მეთოდი, რომელიც მიმართულია მომსახურების (საქონლის/პროდუქტის) მიწოდების ხარისხის შეფასებაზე და ხორციელდება სპეციალურად მომზადებული აგენტების მიერ („საიდუმლო მყიდველები“) [4].

აშშ და ევროპაში კაფეების, რესტორნების, მაღაზიების და ბანკების 80% რეგულარულად ატარებენ შემოწმებებს ამ მეთოდით. ევროპაში შექმნილია ასოციაციები, რომლებიც აერთიანებენ «Mystery Shopping»-ის ჩატარების პროფესიონალებს, ერთ-ერთი არის Mystery Shopping-ის მომსახურების მიმწოდებელი საერთაშორისო ასოციაცია MSPA (Mystery Shopping Providers Association). ამ ორგანიზაციის მონაცემებით, აშშ-ში «Mystery Shopping»-ის მომსახურების ბაზრის წლიური ბრუნვა აღემატება $600 მლნ და იზრდება 10-15%-ით წელიწადში. «Mystery Shopping»-ის მომსახურების ყველაზე ხშირი დამკვეთები მთელ მსოფლიოში არის საცალო ვაჭრობის ქსელი, ბანკები, კაფე, რესტორნები, ტურისტული ფირმები და ავტოსალონები.

---

[50] ამერიკასა და ევროპაში ამ მომსახურებას აღნიშნავენ აგრეთვე ტერმინებით «Secret Shopping», «Mystery Customer», «Virtual Customers», ა.შ. , („საიდუმლი მყიდველი“, „საიდუმლო აგენტი“, „ვირტუალური მყიდველი“ და სხვა).

განვიხილოთ Mystery Shopping-ის გამოყენების მაგალითი: ტურისტულმა კომპანიამ თავისი ქსელის ოფისებში გადაწყვიტა მომსახურების ხარისხის შეფასების გაანალიზება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- პროფესიული კომპეტენტურობა (იცის თუ არა შესათავაზებელი მომსახურებების არსი, შეუძლია თუ არა შეარჩიოს კლიენტისთვის ოპტიმალური პაკეტი და ა.შ.);
- კლიენტებთან ფსიქოლოგიური დამოკიდებულება (ზრდილობა, ყურადღება, მოთმენა და ა.შ.);
- ფიზიკური მახასიათებლები (სისუფთავე ოფისში, ინტერიერი, ადგილმდებარეობა და სხვა);

კვლევა იყო ჩატარებული 5 ოფისში (შეფასება ხდებოდა 5 ქულიანი სისტემით), შედეგები კი მოყვანილია ცხრილში.

ცხრილი

მომსახურების ხარისხის შეფასება

პარამეტრები	ოფისი 1	ოფისი 2	ოფისი 3	ოფისი 4	ოფისი 5
პროფესიული კომპეტენტურობა	5	3	4	5	2
კლიენტებთან ფსიქოლოგიური დამოკიდებულება	4	2	5	5	3
ფიზიკური მახასიათებლები	2	5	5	4	5
საერთო რეიტინგი	11	10	14	14	10

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, თბ., 2014.

დასკვნები (კვლევის შედეგების ანალიზი):

ვიზიტორების/კლიენტების მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით ყველაზე უკეთესად გამოიყურება ოფისი 3 და ოფისი 4. ოფისი 1 გადასატანია უფრო უკეთეს ადგილას (უფრო მისაწვდომ ადგილზე) და უნდა გაძლიერდეს კონტროლი ოფისის სისუფთავეზე. პერსონალი აქ შეესაბამება მაღალ მოთხოვნებს.

ოფისი 2 და 5 - თვის აუცილებელია პერსონალის სწავლების პროგრამის შემუშავება და ყურადღება მისაქცევი პერსონალის შერჩევის ხარისხზე.

ტურისტულ პრაქტიკაში მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად და სასურველი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად განხილული მეთოდის გარდა, პერსონალსა და მომხმარებელთა შორის ურთიერთობის ანალიზის, მომსახურების პროცესის ხარისხის მოდელირებისა და შეფასებისთვის გამოიყენება სხვა მეთოდებიც [5, გვ. 205-

208]: დიაგრამული პროექტირების (blue-printing), „შეხების წერტილები“ (serviceencounter), სამომხმარებლო სცენარის მეთოდი, „რეინჟინირინ-გი“ (reengineering), სოციოგრამა.

კვლევის ამ მეთოდების გამოყენება ხელს შეუწყობს საქართ-ველოში ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლებას, რაც დღეისთვის ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ხასაია. მეცნიერული კვლევის მეთოდები ტურიზმში. თბ., 2014, -316გვ.
2. А.Фридман. Методы маркетинговых исследований втуриндуст-рии. http://aleksandrfridman.ru/marketresearchmethods/Page-14.html
3. Курная Н.Н., Щекина Е.Г. Методынаучных исследований всфере туризма. Хабаровск. 2011 – http://edu.dvgups.ru/metdoc/cgu/sots_k-ult_servis/met_n_isl/metod/u_p/main_umk.htm
4. http://www.s-marketing.ru/node7
5. ი. ხასაია, მ. ტყეშელაშვილი. ტურისტული მომსახურების სპეციფიკა და მისი შეფასების მეთოდი. ქუთაისის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ქუთაისი, 2012.

Izolda Khasaia

MARKETING RESEARCH METHODS IN TOURISM

Annotation

The search for new forms and methods of commercial activities is an important problem of tourism. Marketing research of different depth and direction by tourism companies are held during the entire period of existence of the company. The data of research are necessary of the companies for the development in the market of strategic and tactical decisions.

These lection of the method depends on the nature of marketing research. This article examines three groups of methods: a group of qualitative methods of data collection, quantitative data collection methods and qualitative and quantitative methods of data collection (mix - Methods).

The main methods of qualitative research: focus groups, in-depth interviews, protocol analysis, projection methods.

The main methods of quantitative research: various surveys and Retail Audit. The research method of Retail Audit (Tourism) is widely used in research of

the market of the tourist services with the aim of determining the real extent of the sale of tourist services in the domestic market.

Mix- methods – mixed research methods, which are well combine the advantages of both qualitative and quantitative methods. In the tourism industry the US and European countries are widely used of «Mystery Shopping» method. In this paper also considered an example of using the method of Mystery Shopping.

მადონა ხუსკივაძე

ინვესტიციური და ფინანსური საქმიანობის მსოფლიო თანამედროვე მეთოდების დაუფლების და გამოყენების მიმართულებები

ფინანსური პროგნოზირების დაუფლების და სრულყოფის საკითხები დღეისათვის საქართველოს მცირე საწარმოებში არასა-ხარბიელო დონეზე დგას. ფინანსური გეგმა ბიზნესგეგმის მნიშვ-ნელოვანი ნაწილია. მისი საშუალებით უნდა გამოჩნდეს როგორ დაფარავს საწარმო თავის ვალდებულებებს და გადასახადებს, როდის გახდება მომგებიანი და ა.შ. ჩვენ მიერ შერჩეული საწარმოების ბიზნესგეგმების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მოგების გარდატეხის (მომგებიანობის) წერტილი, თითქმის არსად არის ნაჩვენები. ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისები შევსებულია მხოლოდ ძირითად საქმიანობაზე და არ არის ნაჩვენები საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა, ანგარიშის პერიოდებად აღებულია არა თვეები, არამედ კვარტლები (რაც დაუშვებელია პირველი საგეგმო წლისათვის), ზოგიერთ საწარმოთა ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიში მოგება-ზარალის ანგარიშის იდენტურია და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ საწარმოებში ეს ანგარიშები სწორად არ ივსება და საჭიროა შესაბამისი ცოდნა მივაწოდოთ მათ. ცოდნის აუცილებლობა იმაში ვლინდება, რომ ნაღდი ფულის ნაკადების ანგარიშით დგინდება საწარმოში ფულის ნაკლებობა ან სიჭარბე.

მცირე მეწარმეებთან პირად საუბრებში გაირკვა, რომ ზო-გიერთი მეწარმე ფულის ნაკადების ანგარიშს მოგება-ზარალის ანგარიშთან აიგივებს. ეს არასწორია. მოგება-ზარალის ანგარიშში დაფიქსირებული მოგება – ეს არის განსხვავება საწარმოთა შემო-სავლებსა და აღრიცხულ ხარჯებს შორის, ნაღდი ფულის ნაკადი კი წარმოადგენს იმ ფულის რაოდენობას, რომელიც საწარმომ გამოი-მუშავა თავისი საქმიანი გარიგებებით.

გარდა ამისა, მოგება-ზარალის ანგარიშში თანხები დარიცხ-ვისთანავე ხვდება იმის მიუხედავად, ფაქტობრივად გადმოირიცხა იგი საწარმოს ანგარიშზე თუ არა. ფულის ნაკადების ანგარიშში კი

რეალური ფული, ანუ საწარმოს ანგარიშზე ჩარიცხული (ან საწარმოს ანგარიშიდან გადარიცხული) ფულადი საშუალებები აღირიცხება. აგრეთვე, მოგება-ზარალის ანგარიში მოიცავს საწარმოს მხოლოდ ძირითადი (ოპერატიული) საქმიანობის შემოსავლებს, საწარმოს კი პერიოდულად აქვს საინვესტიციო საქმიანობაც (მაგ., ძირითადი ფონდების ყიდვა-გაყიდვა, არამატერიალური აქტივების ყიდვა-გაყიდვა და ა.შ.). ორივე საქმიანობას აქვს ფულში გამოხატული შემოსავლებიც და ხარჯებიც. ეს ფულის ნაკადებში აისახება. ამრიგად, საწარმოს ლიკვიდურობის გასაგებად აუცილებლად საჭიროა ფულის ნაკადების პროგნოზირება პირველ საპროგნოზო წელზე თვეების მიხედვით, მეორეზე კვარტლების, ხოლო მესამეზე მთლიანი წლის მიხედვით.

საწარმოსათვის აუცილებელია ასევე მომგებიანობის გრაფიკის აგებაც. მისი ანგარიში და აგების დაუფლება საშუალებას აძლევს საწარმოს, გაიგოს, როდის გახდება იგი უზარალო და დაიწყებს მომგებიან მუშაობას. ამიტომ, ახლადგახსნილი საწარმო მას უნდა ანგარიშობდეს საფინანსო გეგმის შედგენისას.

მომგებიანობის გრაფიკის ანგარიშისათვის საწარმოს საფინანსო სამსახურმა ერთობლივი ხარჯები (tc) უნდა დაყოს საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით. ასეთი მიდგომით იგი იყოფა ცვალებად ხარჯებად (variable costs) და მუდმივ ხარჯებად (Fixed costs).

მომგებიანობის გრაფიკის აგების არსი იმაშია, რომ მასზე ვიპოვოთ ის წერტილი, რომელსაც „მომგებიანობის გარდატეხის წერტილი“ ეწოდება. ამ დონეზე საწარმოს ზარალი აღარ აქვს და ამ წერტილიდან იწყებს მოგების მიღებას.

მომგებიანობის გარდატეხის წერტილის ანგარიშის ეკონომიკური არსი მდგომარეობს კონკრეტული საქონლის (მომსახურების) მიწოდება-მოთხოვნის ურთიერთკავშირში. ამასთან, ფინანსურმა სამსახურმა უნდა იცოდეს, რომ საქონლის მიწოდების მართვა მას შეუძლია წარმოების დანახარჯებით, ხოლო მოთხოვნის მართვა მას არ შეუძლია.

მომგებიანობის გარდატეხის წერტილი შეესაბამება პროდუქციის გარკვეულ მოცულობას, რომლის გაყიდვა ზარალს აღარ აძლევს საწარმოს. ასეთ დროს საწარმოს შემოსავალი წარმოების ხარჯების ტოლია.

მომგებიანობის გარდატეხის წერტილი (X) ისაზღვრება, როგორც შეფარდება წარმოების მუდმივ ხარჯებსა (FC) და ერთეული პროდუქციის ფასსა (P) და ერთეულ პროდუქციაზე მოსულ ცვალებადი დანახარჯების (VC) სხვაობას შორის [104. გვ. 399].

$$X = \frac{FC}{P - VC}$$

ფორმულაში X მომგებიანობის გარდატეხის წერტილია (რეალიზაციის მოცულობა ერთეულებში);

P - ერთეული პროდუქციის ფასი;

FC - მუდმივი ხარჯები;

VC - ცვალებადი დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე;

მომგებიანობის გარდატეხის წერტილის საანგარიშოდ მოგვყავს პირობითი მაჩვენებლები ახლადგახსნილი ხის მასალების ნახევარფაბრიკატების (ხის ძელაკების) საწარმოსთვის, რომლის სიმძლავრე წელიწადში არის 25000 ცალი ძელაკი.



ნახაზი 1. მომგებიანობის გარდატეხის გრაფიკი

აქვე ვუშვებთ, რომ ერთეული ნაკეთობის საშუალო ფასია 1 ლ, მუდმივი ხარჯები 10 ათ. ლარი. მაქსიმალური რეალიზაცია – 25 ათასი ლარი. ცვალებადი ხარჯები 15 ათასი ლარი (ერთეულ პროდუქციაზე 0,6ლ ანგარიშით). თუ ამ მაჩვენებლებს გრაფიკზე გადავიტანთ, მივიღებთ გამოსახულებას, რომელზეც რეალიზაციის მოცულობის და ერთობლივი ხარჯების ხაზების გადაკვეთის

წერტილი არის მომგებიანობის გარდატეხის წერტილი. იგი ტოლია 14 ათასი ლარის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საწარმო მოგებას მას შემდეგ დაიწყებს, როგორც კი წელიწადში 14 ათასი ლარის პროდუქციას გაყიდის (ე.ი. 14000 ცალ ნაკეთობას).

საწარმოს შეუძლია მართოს მომგებიანობის გარდატეხის წერტილი. თუ იგი შეძლებს ნაკეთობაზე ფასის გაზრდას ბაზარზე, მაშინ პროდუქციის უზარალო მოცულობა, რომელიც ჩვენს მაგალითზე 14000 ათას ნაკეთობას შეადგენს, კიდევ უფრო შემცირდება. ასევე შემცირდება ის, თუ საწარმო შეძლებს ცვალებადი დანახარჯების შემცირებას.

კიდევ უფრო მოსაგვარებელია მცირე საწარმოებში საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური მხარე. მცირე საწარმოებში საინვესტიციო საქმიანობა ძირითადად წარმოდგენილია პირდაპირი ინვესტიციებით გრძელვადიან აქტივებში (შენობა-ნაგებობების აშენება, შესყიდვა, მოწყობილობის, ტექნოლოგიების შექმნა-შესყიდვა, მოდერნიზაცია და ა.შ.), ხოლო საფინანსო საქმიანობა კრედიტების აღებ-დაფარვით. ერთსაც და მეორესაც სჭირდება ეკონომიკური დასაბუთება. საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები ფაქტობრივად არ ახდენენ არც ინვესტიციური პროექტების ეკონომიკურ შეფასებას და არც კაპიტალის სტრუქტურის მართვას. მცირე საწარმოებში მთავარ როლს თამაშობს საწარმოს დამფუძნებლების გადაწყვეტილება, ინვესტიციური პროექტი ძირითადად ხორციელდება მისი პირველადი, შეიძლება ითქვას, იდეის დონეზე შეფასებით (ისიც არაპროფესიული შეფასებით).

როცა მცირე საწარმოები ფუძნდებიან და გარკვეულ კაპიტალს დებენ შენობა-ნაგებობების აშენებით, მოწყობილობების შეძენაში თუ ტექნოლოგიების ყიდვაში, ისინი ვარიანტების შერჩევას თანამედროვე ეკონომიკური აპარატით არ ახდენენ. მათთან მთავარ როლს მხოლოდ ფასი თამაშობს. თუ ფასი დაბალია და მისაღები, მაშინ პროექტი მათთვის მისაღებია. ერთი მხრივ მათი პოზიცია გასაგებია, რადგან მცირე საწარმოებს დიდი თანხები არ აქვთ, კაპიტალი მცირე აქვთ, მაგრამ დაბალფასიანი აქტივი სარისკოა, იგი ან ამორტიზებული იქნება, ან ნაკლები წარმადობის. ამიტომ ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ მცირე საწარმოებს, რადგან მათთვის ინვესტიციური გადაწყვეტილებების კრიტერიუმი არ იყოს მხოლოდ ფასი, მხედველობაში მიიღონ პროექტის ტიპიც და შეაფასონ რისკიც, რაც შეიძლება თან ახლდეს პროექტის არჩევას.

პრობლემა ის არის, თუ როგორ მივცეთ მათ ცოდნა ინვესტიციური პროექტის შეფასებისას და დავარწმუნოთ ამ ცოდნის საჭიროებაში. ჩვენი აზრით, მათ ამ საქმეში უნდა დაეხმაროს მცირე

საწარმოთა განვითარების და მხარდაჭერის სამთავრობო ცენტრი. სხვათა შორის ეს პრობლება გადაუჭრელი იყო 20-30 წლის წინ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრალია და ახალი ზელანდია. 1984 წელს ბეილზმა და მაკონელმა მცირე საწარმოების გამოკვლევისას დაადგინეს, რომ მენეჯერები სრულ უცოდინარობას ამჟღავნებდნენ ამ საქმეში და აღნიშნეს, რომ „ისინი ინვესტიციური პროექტების შეფასების რთულ მეთოდებს არ იყენებენ, იქ უფრო გამოყენებულია ინვესტიციების შეფასების მარტივი მეთოდები (მაგ., გამოსყიდვის ვადა, გამოთვლილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირების გარეშე) [1]. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნებში ჩაატარეს გამოკვლევები კლამერმა, მაკმაჰონმა და სხვებმა. თუ კლამერთან, 1972 წლის გამოკვლევით, მცირე საწარმოების 67% იყენებდნენ ინვესტიციური გამოკვლევის რთულ მეთოდებს, 1981 წლის მაკმა-ჰონის გამოკვლევით, ეს მაჩვენებელი 71%-ს გაუტოლდა [2. გვ. 15-25].

საზღვარგარეთის პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ და პირდაპირ გადმოვიღებთ მას ჩვენს წარმოებაში, მაშინ, მცირე საწარმოებმა ინვესტიციების შეფასება მარტივი მეთოდებით უნდა დაიწყონ და თანდათან გადავიდნენ რთულ მეთოდებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარტივი მეთოდები არასრულყოფილი მეთო-დებია. ეს კი, რა თქმა უნდა, დიდ დროს და ხარჯებს წაართმევს მცირე საწარმოს, გაიწელება ბიზნესის სრულყოფილად დაუფლების პროცესი.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოებმა თავიდანვე უნდა ისწავლონ ინვესტიციური პროექტების შეფასება იმ მაჩვენებლებით, რომლებსაც იყენებენ თანამედროვე, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები.

განვითარებული ქვეყნები კი იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს [3. გვ. 33-39],

1. ინვესტიციური პროექტის გამოსყიდვის პერიოდი Pauback Period - PP

2. შემოსავლის წმინდა დისკონტირებული (დაყვანილი) სიდიდე Net Prezent Value - NPV

3. მომგებიანობის, შემოსავლიანობის ინდექსი Profitability Index - PI

4. რენტაბელობის შიგა ნორმა Internal Rate of Return - IRR

სტატიაში ვიძლევით ამ მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდიკას. გვინდა, ამ მეთოდს დაეუფლოს საწარმოს საფინანსო სამსახურის რომელიმე სპეციალისტი, რათა ყველა ინვესტიციური პროექტი მისი მიხედვით შეაფასოს.

1. ინვესტიციური პროექტის გამოსყიდვის პერიოდი _გამოითვ-ლება ფორმულით:

$$\mathbf{PPP} = \frac{\mathbf{II\ (Initial\ Investment\ )}}{\mathbf{ACI\ (Annual\ Cash\ Inflow)}},$$

სადაც **II** – ინვესტიციების თანხა, ხოლო **ACI** – ყოველწლიური შემო-სავალი.

როგორც ვხედავთ, ამ ფორმულაში არ არის გათვალის-წინებული დროში ფულის ცვლილების ასპექტი. მიმდინარე პერიოდ-ში ინვესტირებული ერთი დოლარი გატოლებულია მომავალში მისით მიღებულ ერთ დოლარ შემოსავალთან. ეს არასწორია. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ მცირე საწარმოები ამ მარტივ მეთოდს იყენებენ, ჩვენ დასავლეთ საქართველოს მცირე საწარმოებს ვთავაზობთ, ისწავლონ ფულის შეფასება დროში და ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა იანგარიშონ მისი მოდიფიცირებული ფორმულით, რომელსაც ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებული ვადა (**DPP**) ეწოდება. ის იანგარიშება ფორმულით:

$$\mathbf{DPP} = \frac{\mathbf{II}}{\sum_{\mathbf{t=1}}^{\mathbf{n}} \mathbf{ACI} \times \frac{\mathbf{1}}{(\mathbf{1+r})^{\mathbf{t}}}}$$

როგორც ვხედავთ, ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირე-ბული ვადის (**DPP**) ფორმულა არის ინვესტიციური პროექტის გამოსყიდვის მარტივი ფორმულის (PP) მოდიფიცირებული ვარიანტი. მასში ჩართულია დისკონტ-ფაქტორი $1/(1+r)^t$. მას დისკონტირების კოეფიციენტი ეწოდება. r არის დისკონტის განაკვეთი (ნორმა), ხოლო t პერიოდი, წლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ინვესტ-ტიციური პროექტი შემოსავალს იძლევა. r-ის მნიშვნელობა იმაშია, რომ გაიზომოს ფულადი კაპიტალის ღირებულების (ფასის) შემცი-რება ოპერაციების დროში გადავადების მიზეზით. დისკონტის ნორმაში შეიტანება ინფლაციის ტემპი, მოგების მინიმალური რეალური ნორმა (ბანკის პროცენტის განაკვეთი) და ინვესტიციური რისკის პროცენტი. r-ის სიდიდედ აშშ-ში 15-20% (r = 0,15-0,20) აიღება, საქართველოში კი მცირე საწარმოებს ვურჩევთ, აიღონ ის 25-30%-ის (r = 0,25-0,30) ფარგლებში, რადგანაც, თუ მოგების ნორმა და ინფლაცია ჩვენთან და აშშ-ში თითქმის გათანაბრდა (3-4%-ის ფარგლებში), სამაგიეროდ ინვესტიციური რისკი საქართველოში 20%-ს აღემატება (აშშ-ში ის 2-3% ტოლია) [4, გვ. 16].

2. შემოსავლის წმინდა დისკონტირებული (დაყვანილი) სიდიდე – NPV. ანუ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება, ეს არის პროექტიდან მიღებული მომავალი შემოსავლების ნაკადის თანა-მედროვე (მიმდინარე) ღირებულება პირველადი ინვესტიციური ხარ-

ჯების გამოკლებით. ამიტომ ეწოდება მას წმინდა მიმდინარე ღირებულება. იანგარიშება ფორმულით:

$$PV=- II+ \Sigma ACI \ 1/(1+r)^t$$

მცირე მეწარმემ იმ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს ინვესტიციური პროექტის ბედი დადებითად, თუკი NPV მნიშვნელობა დადებითია, ე.ი როცა დისკონტირებული შემოსავლები აღემატება ინვესტიციებს.

3. მომგებიანობის, შემოსავლიანობის ინდექსი – PI იანგარიშება დისკონტირებული შემოსავლების შეფარდებით ინვესტიციურ ხარჯებთან.

$$PI= \Sigma ACI \ 1/(1+r)^t \ / \ II$$

თუ PI=1 ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს მომავალი შემოსავლები ინვესტიციური ხარჯების ტოლია და ამ პროექტის რეალიზაციით საწარმო არაფერს არ იგებს. თუ PI>1, მაშინ პროექტი უნდა განხორციელდეს და როცა PI<1, პროექტი არ უნდა განხორციელდეს.

PI და NPV მაჩვენებლებით ინვესტიციური პროექტების პრაქტიკული შეფასებისას საწარმოები დადგებიან არჩევანის წინაშე. ჩვენ მივიჩნევთ, რომ რადგან მცირე საწარმოები შეზღუდული რესურსებით მუშაობენ, მათ უპირატესობა უნდა მისცენ PI მაჩვენებლის სიდიდეს და აირჩიონ ყველაზე მაღალი ამ მაჩვენებლიანი პროექტი. ეს საწარმოს მისცემს გარანტიას, რომ მაქსიმალური მოგება მიიღოს.

4. რენტაბელობის შიგა ნორმა – IRR, მას ინვესტიციების რენტაბელობის კოეფიციენტსაც უწოდებენ. ფაქტობრივად ეს არის დისკონტის ისეთი განაკვეთი (r), რომლის დროსაც NPV-ანუ მომავალი შემოსავლების წმინდა დაყვანილი ღირებულება 0-ის ტოლია.

მცირე საწარმოებისათვის ამ მაჩვენებლის ანგარიში პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან იგი რთულ გაანგარიშებებს მოითხოვს კომპიუტერებისა და ბუღალტერიის რთული პროგრამების დახმარებით, რაც მცირე საწარმოებს არ შეუძლიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ინვესტიციური პროექტების შეფასების ადაპტაცია საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოთა პირობებთან. განხილული რთული მაჩვენებლებიდან ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ, მცირე საწარმოებში გამოიყენონ ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებულ ვადა (DPP) და მომგებიანობის ინდექსი (PI). იმის გამო, რომ მცირე საწარმოთა სასიცოცხლო ციკლი 5-7 წლის ფარგლებში მერყეობს, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, მათ ინვესტიციური პროექტების ეფექტიანობის ანგარიში ჩაატარონ მხოლოდ პირველ 4-5 წელზე, ე.ი. მანამ, სანამ საწარმო საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს.

აქვე ვურჩევთ, რომ, საქართველოში საინვესტიციო სტაბილურობის გათვალისწინებით, მცირე საწარმოებმა ინვესტიციების გამოსყიდვის ვადის (PP) ნორმატივად 2-3 წელი მიიჩნიონ, მით უფრო, როცა არ ახდენენ რისკის გამოთვლას და არც რისკის დაზღვევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bailes J.C. McNally G.M. «Cost and management accounting practices in New Zealand ». International Journal of Accounting Education and Research. Vol. 19. May.1984.

2. McMahon R.G.P. «The determination and use of investment hurde rates in capital budgeting: A survey of Australian practice». Accounting and Finance Vol. 21. May. 1981.

3. Норткотт Д. Принятие инвестиционных решений. М.: «ЮНИТИ»,1997.

Madona Khuskivadze

DIRECTIONS OF MASTERING IN AND USING MODERN METHODS OF WORLDWIDE MODERN INVESTMENT AND FINANCIAL ACTIVITY

The issues of mastering in and improving financial prognostication is at undesirable level in small enterprises in Georgia. For enterprises it is necessary to construct a profit diagram. Its account and mastering in construction gives possibility to the enterprise to know when it won’t have loss and start profitable activity. We admit that small woodworking enterprises should evaluate investment projects with showings used in the modern countries with developed marketing economics.

In the article we present methods of calculation of the showings.

We offer to small enterprises of west Georgia to evaluate money in time and calculate term of investment redeem by our offered and his modified formula.

რევაზ ლორთქიფანიძე

რაციონალური კონკურენციის თეორიის შესახებ

საკითხის საგანგებო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქართული ეკონომიკური მეცნიერების მეტად განსწავლული აკადემიური მკითხველის ყურადღება მონოპოლიებზე მინდა გავამახვილო.

კარგად გემახსოვრებათ, რომ საქართველოს ეკონომიკამ, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ხელოვნურად გაჩაღებული საომარი კონფლიქტების გამო, ქართული კუპონის არნახული ჰიპერინფლაცია იწვნია, რის გამოც, ქვეყანა 1994 წელს მსოფლიოში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს გადაანგარიშებით (მ.შ.

მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებითაც). მას შემდეგ, საბედნიეროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებითა და შიდა რესურსების მობილიზებით, მოხერხდა ამ ხილული რეკორდული პრობლემების სწრაფი ჩაქრობა. დღეს-დღეობით კი, უნიკალური სიმდიდრეების ქართულ სოფელსა და მთლიანად ეკონომიკას, უხილავი საერთაშორისო და შიდა არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების პრობლემა ხრავს, რაც, დარწმუნებული ვარ, ასეთივე საყოველთაო ძალისხმევით დაიძლევა. ოღონდ ამ ძალისმევამ არ უნდა დააყოვნოს, ვინაიდან, ამ მხრივ, პრობლემა ნამდვილად საგანგაშოდ გახანგრძლივდა.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, ბაზრის კონკურენტულობის დონის შესაფასებლად გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის, ლინდის, ჰოლ-ტაიდმანის, ბაზრის კონცენტრაციის, ენტროპიის, დისპერსიისა და სხვა მრავალი იდექსი, თავის მხრივ, სხვადასხვა მეტად საინტერესო ინტერპრეტაციებით. მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონი „კონკურენციის შესახებ“, რომელიც 2012 წლის მაისში გამოქვეყნდა (2014 წლის მარტში მასში ცვლილებები განხორციელდა), მათ არასათანადოდ იყენებს და, როგორც ჩვენი საგადასახადო კოდექსით კარგა ხანია განსაზღვრული დაუშვებლად უნიფიცირებული ამორტიზაციის ნორმები, ჯერ კიდევ ძალზე შორსაა საჭირო სრულყოფილებისაგან (მ.შ. მუხლი 3, პუნქტი „ი“, მუხლი 8, ნაწილი 1 და სხვ.). ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებს მკვეთრად განსხვავებული სპეციფიკები ახასიათებს, რასაც კანონი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს.

კონკურენციის თეორიული საფუძვლების კვლევაში ფასდაუდებელია გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, ლ. ჩიქავა, ი. მესხია, რ. ასათიანი, რ. აბესაძე და სხვ.) კვლევების მნიშვნელობა, გადაუჭარბებლად ძალზე მნიშნელოვანია პროფესორების – ს. პავლიაშვილისა და ს. ფეტელავას დასკვნები უშუალოდ ანტიმონოპოლიურ პრაქტიკაზე დაკვირვებებიდან გამომდინარე. არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერებით არ აღინიშნოს ქართული ეკონომიკისათვის ურთულეს პერიოდებში ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება ზოგადად მეცნიერების მხარდაჭერისა და მონოპოლიების წინააღმდეგ წამოწყებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ინოვაციებისათვის, მაგრამ, პრობლემის უკიდურესი სირთულეებიდან გამომდინარე და ეკონომიკის ცნობილი ინერციულობის გამო, მიმდინარე რეფორმებში ანტიმონოპოლიური ფრონტი დამატებით საყოველთაო ძალისხმევასა და მნიშნელოვან აჩქარებას საჭიროებს.

რაციონალური კონკურენციის თეორია [1], რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, ასახავს ბაზრის მონაწილეთა არა მხოლოდ ცალმხრივ

წილებს, არამედ ხარისხობრივ დეფორმაციებსა და ეკონომიკური აგენტების რაციონალურ რაოდენობას.

რაციონალური კონკურენციის თეორიის მიხედვით:

1) ეკონომიკური კონკურენცია ეკონომიკის ეფექტიანი ზრდის უმნიშვნელოვანესი საფუძველია და ის სულ უფრო ქმედით შედეგებს მიაღწევს, თუ კონკურენტულ პაექრობაში ჩართული ობიექტების რიცხვი გარკვეულ რაციონალურ მნიშვნელობამდე გაიზრდება;

2) კონკურენტთა რაოდენობის ზრდის აუცილებლობა არ უნდა ნიშნავდეს მათი ქაოსური მოზღვავების ხელოვნური პირობების შექმნას, მ.შ. არაკეთილსინდისიერი მსხვილი მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების არაბუნებრივად გადაჭარბებული დანაწევრების გზით, რაც არანაკლებ საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკისათვის. არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების წინააღმდეგ, ჩემი აზრით, უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით „გათიშე და ბაზარმა იბატონოს“, მაგრამ გათიშვისა და, საერთოდ, კონკურენტების რაოდენობის გამრავლების პროცესი არაბუნებრივად უსასრულო არ უნდა იყოს. ბუნებაში საუკეთესოდ თანაარსებობენ დიდი და მცირე მცენარეები და ცხოველები და ასევე ბუნებრივად უნდა მოვაწყოთ ეკონომიკაც;

3) ეკონომიკა უნდა მოვაწყოთ და არამც და არამც ვიფიქროთ, რომ ის თავისით მოეწყობა. ეკონომიკას არ უყვარს უხეში არაგონივრული ჩარევა, მაგრამ, როგორც სახლი არ აშენდება თავისით, არც ეკონომიკა დაბალანსდება თავისით. თავისით შეიძლება ხე ამოვიდეს ტყეში, მაგრამ ქალაქების საჭირო გამწვანება თავისით ვერ მოხერხდება;

4) კონკურენცია თუ რაციონალური, ანუ ზომიერი უნდა იყოს, ეკონომიკის მართვის მიზანი მხოლოდ ზღვრული ეფექტიანობა უნდა იყოს. მაშასადამე, მეტი შემოსავლის მიღების სურვილი არ არის ცუდი, უფრო მეტიც, აუცილებელია. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ის მხოლოდ ბუნებრივი კონკურენტული გარემოს გზით უნდა მივიღოთ და მისი განაწილება და გადანაწილებაც ბუნებრივად სამართლიანი უნდა იყოს;

5) ეფექტიანი მართვა გლობალურ, სახელმწიფო და მიკროეკონომიკურ სისტემებსაც სჭირდება და ზღვრულ შედეგებს რომ მივაღწიოთ, ყოველი მათგანის ყველაზე ეფექტიანი ელემენტები უნდა წავახალისოთ საწყის ეტაპებზე, რათა მათი საშუალებით სწრაფად დავეხმაროთ იმ აუცილებელ სფეროებს, რომლებიც ნაკლებშემოსავლიანია. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეფექტიანი შემადგენლების წახალისებამ ხანგრძლივად არ უნდა დაარღვიოს ეკონომიკური სტრუქტურის ბუნებრივი სიმწიფე, ანუ გარკვეული პროპორციულობა.

სახელმწიფოს მართვისა და, შესაბამისად, საკუთრების სხვადასხვა ფორმების კონკურენციის საკითხებზე გენიალური საკანონმდებლო და თეორიული ხასიათის შედევრების შემუშავება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიწყო და კაცობრიობა დღესაც ინტერესით სწავლობს ძველი საბერძნეთის (პლატონი, არისტოტელე), ინდოეთის (კაუტილია), ჩინეთის (კონფუცი), ბაბილონის (ჰამურაბი) და სხვა ცივილიზაციების მემკვიდრეობას ამ მიმართებით.

კაცობრიობას კარგად ახსოვს, თუ როგორი ნახტომით შეცვალა მსოფლიო ინგლისის სამრეწველო რევოლუციამ. ამ ეპოქის კვალზე, დიდი მნიშვნელობის მოვლენეთა რიგს მიეკუთვნება ინგლისელი ეკონომისტის – ჯონ მეინარდ ქეინზის გენიალური რეკომენდაციებიც მართვის (რეგულირების) და შესაბამისად დასაქმების გენიალური ელემენტარული სქემების შესახებ. რეგულირება, ბუნებრივია, უპირველესად, ანტიმონოპოლიურ ფრონტსაც სჭირდება, ვინაიდან, ვფიქრობ დამეთნხმებით, კონკურენცია ეკონომიკური ზრდის უმთავრესი ფაქტორია.

ჯ. მ. ქეინზის აზრით, საზოგადოების გადახდისუნარიანი მოთხოვნის ვარდნა განაპირობებს საქონლისა და მომსახურების წარმოების შემცირებას, მცირე მეწარმეების მასობრივ გაკოტრებას, მსხვილი ობიექტებიდან დიდი ოდენობით დასაქმებულების დათხოვნას, შედეგად, მსხვილმასშტაბიან უმუშევრობასა და მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემდგომი ვარდნისა და ეკონომიკური დეპრესიების პროცესებს აღრმავებს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ძირითადად ერთი ქვეყნის მაკროეკონომიკის ფუნქციონირებაზე დაკვირვების მაგალითების მოხმობით, ქეინზი ასკვნის, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეიძლება ახასიათებდეს თვითრეგულირებადი წონასწორობა, რომელიც სრულ დასაქმებას განაპირობებს. ხსენებულის მიზეზი, გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტის აზრით, დაზოგვისაკენ მიდრეკილებაა, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნა ნაკლებია ერთობლივ მიწოდებაზე. ამდენად, სახელმწიფომ, მისი აზრით, უნდა მოახდინოს ეკონომიკის რეგულირება ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებით, მ.შ. ფულადი მასის გაზრდით, საპროცენტო განაკვეთის შემცირებით (საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება), საზოგადოებრივი შეკვეთებისა და სამუშაოების საფუძველზე მოთხოვნის შემცირების კომპენსირებით, საბიუჯეტო ფინანსირებითა და სხვ.

ქეინზს, ბუნებრივია, დასავლეთშიც ჰყავს ჩემი აზრით ნაკლებნიჭიერი ოპონენტები, რომლებიც თავისუფალი ბაზრის გაღმერთებას ცდილობენ. ვეთანხმები რა ქეინზს, ჩვენი აზრით, დამატებით უნდა დავაზუსტოთ, რომ საბაზრო ეკონომიკას პერიოდული წონასწორობა

შეიძლება ახასითებდეს, მაგრამ ეს სტაბილურად და გრძელვდიან პერიოდებზე ვერ გავრცელდება. ამასთანავე, გლობალიზების ახალ პირობებში, როცა საბაზრო ეკოომიკა გასცდა სახელმწიფოს მასშტაბებს, დროა გავაცნობიეროთ, რომ სულ უფრო მეტი რეგულირება სჭირდება თავად მსოფლიო ეკონომიკას, ანუ სახელმწიფოების კოლექტიური (ურთიერთშეთანხმებული) მოქმედებაა საჭირო და არა ყველასათვის საზიანო არაკეთილსინდისიერი ქიშპობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო ეკონომიკას უფრო ხანგრძლივი დეპრესია მოიცავს, ვიდრე ახალ და უფრო შორეულ ისტორიაში ფიქსირდებოდა. დიდი ქვეყნები მეტად და მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული მცირე ქვეყნების (რომლებიც, საერთო ჯამში, მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ორ მესამედს შეადგენს) დასაქმების პრობლემების მოგვარებით, რაც თავად მათი კეთილდღეობის ამაღლების სტიმული იქნება. ამასთანავე, დიდი ქვეყნების მიმართ მცირე ქვეყნების კეთილგანწყობაც მეტი და მეტი უნდა იყოს და კოლექტიური ძალოვანი მოქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ წარმოუდგენელი მასშტაბებით დამაზიანებელი საერთაშორისო ბუნების მონოპოლიური კრიმინალური ბიზნესის წინააღმდეგ და შედეგად აღმოცენებული ტერორიზმისა და სეპარატიზმის მძლავრი კერების ჩასაქრობად.

განმეორებადი გახანგრძლივებული გლობალური კრიზისის დასამარცხებლად, საერთაშორისო სახელმწიფო ქმედებები (მ.შ. უპირველესად კოლექტიური შეკვეთები), სულ უფრო მეტად უნდა იყოს მიმართული ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურების შესაძლო სიმწიფის უზრუნველყოფაზე, ეკოლოგიურად სუფთა და უდანაკარგო პროგრესული ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარებასა და აგროსამრეწველო ინდუსტრიაზე, მრავალფეროვან ადგილობრივ უპირატესობათა მაქსიმალურ გათვალისწინებაზე, საშუალო ფენის არსებით ზრდაზე და სხვა, რაც მსოფლიო ეკონომიკის სრულფასოვან (ეფექტიან) ამოქმედებას შეუწყობს ხელს.

სამწუხაროდ, დღევანდელი კიბერტექნოლოგიების ეპოქაშიც კი გვხდებიან „სახელოვანი“ მკვლევრები, რომლებიც ეკონომიკის გონივრული რეგულირების მომხრეებს ჩამორჩენილ მოაზროვნეებად „ნათლავენ“ და თავად თვითრეგულირების „უხილავი ხელის“ თეორიის „წმინდანებად“ გვევლინებიან. უფლის რწმენა და სიყვარული უხვად და ურყევად გაგვაჩნია და მაცხოვრის ყოვლადმომცველობასაც საუკეთესოდ ვხედავთ, მაგრამ, ყველაფრის უფალზე „გადაბრალება“ და თავად არხეინად ყოფნა არაფერს მოგვიტანს. უფლის მოძღვრება გვასწავლის, რომ მეურნეობრიობა, მისთვის წინასწარი მომზადება და გამრჯე შრომა ყველას მართებს, წინააღმ-

დეგ შემთხვევაში, თვითრეგულირება და მონოპოლიების შემყურე ყოფნა ვერაფრით გვიშველის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ლორთქიფანიძე, რაციონალური კონკურენციის თეორია მართვის ზღვრული ეფექტიანობისათვის. თბილისი, აისბიენი 978-9941-0-6966-6, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრული რესურსები, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2014.

Revaz Lordkipanidze

ABOUT THEORY OF RATIONAL COMPETITION

Annotation

In the work author expressed particular concern about the proliferation of monopolies and he worked out special topical issues of competition and economic efficiency for the current stage of economic development of Georgia.

იზა ნათელაური

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ტესტირება

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებიდან საანალიზოდ შევარჩიეთ ექსპორტი, იმპორტი, წმინდა ექსპორტი და მათი შესაბამისი დროითი მწკრივები საქართველოს რეალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2000–2013 წლების პერიოდისათვის. დროის 14 წლიანი პერიოდი (2000–2013 წლები) განეკუთვნება მცირე შერჩევას. მცირე შერჩევისთვის აუცილებელია დროითი მაჩვენებლების ანალიზის უკვე აპრობირებული მეთოდების შევსება დამატებითი კვლევებით, კერძოდ, ტესტირებით განაწილების ნორმალურობასთან მიახლოების შესახებ.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზს დავიწყებთ ექსპორტის, იმპორტის და წმინდა ექსპორტის მაჩვენებლების ვიზუალური შეფასებით; შევეცდებით, გავარკვიოთ მათი ცვლილების ტენდენციები; შემდეგ შევაფასებთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ოპტიმიზაციის შესაძლებობებსა და კრიტერიუმებს.

ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების (ექსპორტი, იმპორტი და წმინდა ექსპორტი) და მათი შესაბამისი დროითი მწკრივების ვიზუალური ანალიზით დგინდება, რომ სამივე ეს მაჩვენებელი დროში მუდმივად მზარდი სიდიდეებია, იმპორტი ტრადიციულად ბევრად ჭარბობს ექსპორტს, შესაბამისად წმინდა

ექსპორტის მაჩვენებელი უარყოფითია. საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი ყოველწლიურად იზრდება და იგი მეცნიერებისა და პრაქტიკოსების განსაკუთრებული განსჯის საგანი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტი და იმპორტი წლიდან წლამდე მუდმივად იზრდება, მათი ზრდის ტენდენცია არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება (იხ. ცხრილი 1და 2). თუ გავითვალისწინებთ საგარეო სექტორის, მ.შ. საგარეო ვაჭრობის დამაბალანსებელ ფუნქციას [2], მარტივად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყანას პრობლემა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით კი არა, სინამდვილეში ეკონომიკის რეალურ სექტორში აქვს. საკითხის განხილვა ამ ჭრილში სცილდება ჩვენი კვლევის თემას და ამ მიზეზით მას ამჯერად მეტად არ ჩავუღრმავდებით. ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ საგარეო ვაჭრობის დამაბალანსებელი ფუნქცია განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს ექსპორტ-იმპორტის ცვლილების სტრუქტურას და მისი რეგულირების მექანიზმებს.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი ტენდენციების ანალიზის გაგრძელებაა ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების ტესტირება ერთგვაროვნებაზე; ეს უკანასკნელი თავის თავში მოიცავს ტესტირებას განაწილების ნორმალურობასთან მიახლოების შესახებ, რადგანაც საქართველოს ამჟამინდელ რეალობაში საქმე გვაქვს მცირე შერჩევასთან.

1. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ტესტირება ერთგვაროვნებაზე

საგარეო ვაჭრობის ანალიზში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ექსპორტისა და იმპორტის დროითი მწკრივების ტესტირებას ერთგვაროვნებაზე. ტესტი ერთგვაროვნებაზე რომ შევამოწმოთ, უნდა ვიცოდეთ ვარიაციის დიაპაზონი, პირველი რიგის საწყისი მომენტი (მარტივი საშუალო), მეორე რიგის ცენტრალური მომენტი (დისპერსია – საშუალოს ირგვლივ გაფანტულობის მაჩვენებელი), სტანდარტული გადახრა (საშულო კვადრატული გადახრა, ანუ კვადრატული ფესვი დისპერსიიდან).

განასხვავებენ ვარიაციის აბსოლუტურ და შეფარდებით დიაპაზონს.

აბსოლუტური დიაპაზონი (b) არის სხვაობა საანალიზო მაჩვენებლის მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის და შეფარდებითი დიაპაზონი (l) კი საანალიზო მაჩვენებლის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობების შეფარდებაა. ჩვენ გვჭირდება შეფარდებითი დიაპაზონი. საქართველოს რეალობაში შეფარდებითი დიაპაზონი

Ex-თვის l_{Fx} =2,908 / 0,3176 = 9,156;

Im-თვის, l_{Im} = 7,885 / 0,3867 = 20,39;

პირველი რიგის საწყისი მომენტი (მარტივი საშუალო) Ex-თვის, Ex (საშ) = 1,201; Im –ისთვის, Im (საშ) = 3,941;

მეორე რიგის ცენტრალური მომენტი (დისპერსია) - $\sigma^2 = \sum (X - X_{საშ})^2 / n$ [Exel:ДИСПР], $\sigma^2_{Ex} = 0,6271$, $\sigma^2_{Im} = 6,7354$.

სტანდარტული გადახრა (საშუალო კვადრატული გადახრა)- σ = SD= $\sqrt{\sigma^2}$,

$\sigma_{Ex} = 0,7919$, $\sigma_{Im} = 2,5953$.

შევეცადოთ 1) მოვახდინოთ საანალიზო მწკრივების ცენტრირება პირველი რიგის საწყისი მომენტის ირგვლივ და 2) შევაფასოთ ამ მწკრივების ოთხ ტოლ ნაწილად გაყოფის შესაძლებლობა სტანდარტული გადახრის (კვადრატული ფესვი მეორე რიგის ცენტრალური მომენტიდან) მაჩვენებელზე დაყრდნობით.

საშუალო მნიშვნელობა Ex-თვის ემთხვევა 2007 წელს, Im-თვის მოთავსებულია 2007-2008 წლებს შორის, საანალიზო პერიოდის შუა წელია 2007 წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალო მნიშვნელობები გარკვეული მიახლოებით განაწილებების ცენტრებია Ex-თვისაც და Im-თვისაც. ამის შემდგომ, დამატებით უნდა დავითვალოთ საშუალო მნიშვნელობებს (–), (+) სტანდარტული გადახრები. საშუალო მნიშვნელობებს (–), (+) სტანდარტული გადახრები, Ex-თვის მინუსით უდრის 0,4091-ს, პლიუსით 1,9925; Im-თვის მინუსით უდრის 1,3457-ს, პლიუსით 6,5363-ს; 2007 წლამდე პერიოდის (2000-2007წწ.) შუა წელია 2003 წელი, 2007 წლის შემდგომი პერიოდის (2007-2013წწ.) შუა წელია 2011 წელი. 2003 წლისთვის Ex = 0,4614 მლრდ აშშ დოლარს, Im=1,1412 მლრდ აშშ დოლარს, 2011 წლისთვის Ex = 2,189 მლრდ აშშ დოლარს, Im=7,058 მლრდ.აშშ დოლარს. განსხვავება 0,346-სა და 0,495-ს, 1,134-სა და 1,993-ს, 0,796-სა და 1,346-ს, 6,302-სა და 6,536-ს შორის დიდია; ამიტომ, სტანდარტული გადახრების მაჩვენებლების დახმარებით ექსპორტისა და იმპორტის მწკრივების ოთხ ტოლ ნაწილად გაყოფა ვერ მოხერხდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები არაერთგვაროვანია.

მიღებული შედეგი არაერთგვაროვნებაზე გადავამოწმეთ სხვა მეთოდითაც. განვიხილეთ ვარიაციის კოეფიციენტი (V = $[(l-1)/(l+1)]^* \sqrt{[(n+1)/3^*(n-1)]}$, ან V = σ/ X(საშ), სადაც X(საშ)–არის საანალიზო მაჩვენებლის პირველი რიგის საწყისი მომენტი):

პირველი ფორმულით დათვლილი

V_{Ex} =[(9,156-1)/(9,156+1)]* √ [(14 +1)/3*(14-1)]) = 0,061,

V_{Im} =[(20,39-1)/(20,39+1)]* √ [(14 +1)/3*(1-1)]) =0,562.

მეორე ფორმულით,

V_{Ex} = 0,659, V_{Im} = 0,659.

ჩავატარეთ ტესტირება განაწილების ნორმალურობაზე ორი მეთოდით: ასიმეტრიისა (მესამე რიგის ცენტრალური მომენტის) და ექსცესის (მეოთხე რიგის ცენტრალური მომენტის – კურტოზისის) კოეფიციენტების შედარებით მათსავე რეპრეზენტატიულობის შეცდომებთან და კოლმოგოროვის კრიტერუმებით. შედეგი დადებითია.

ნორმალურთან მიახლოებული განაწილებისთვის V უნდა მიისწრაფოდეს 0,33-სკენ. ჩვენს შემთხვევაში, ორივე მწკრივისთვის ვარიაციის კოეფიციენტი მეტია კრიტიკულ მნიშვნელობაზე (0,33-ზე), რაც, კიდევ ერთხელ, საანალიზო მაჩვენებლების არაერთგვაროვნებას ამტკიცებს.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებული ცენტრალური მომენტები და ვარიაციის კოეფიციენტი თანამედროვე საქართველოს საგარეო სავაჭრო კავშირების განვითარების შესახებ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას ვერ იძლევა. დამაკმაყოფილებელია პირველი რიგის ტრენდი (ტენდენცია), მეორე რიგის ტრენდი შესამოწმებელია.

ეკონომიკური მაჩვენებლების დროში ანალიზის დროს ფართოდ გამოიყენება ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა, აბსოლუტური წლიური ნაზრდი, შეფარდებითი წლიური ზრდის ტემპი, ნაზრდის ტემპი წინა წელთან, საშუალო წლიური ზრდის ტემპი და საშუალო წლიური ნაზრდის ტემპი [Айрапетов А.М. Таблицы исчисления среднегодовых темпов роста, прироста и снижения. М., Статистика, 1979]. 2000-2010 წლების საქართველოსთვის სურათი ასეთია:

Ex

წლები	**Ex(მლნ აშშ დოლარი)**	**აბს. ნაზრდი წინა წელთან**	**შეფ. ნაზრდი წინა წელთან**	**ნაზ-ის ტემპი წინა წელთან**
2000	322,7	-	-	-
2001	317,6	-5,1	0,98	-0,02
2002	345,9	28,3	1,089	0,089
2003	461,4	115,5	1,334	0,334
2004	646,9	185,5	1,402	0,402
2005	866,2	219,3	1,339	0,339
2006	936,2	70	1,081	0,081
2007	1232,9	296,7	1,317	0,317
2008	1495,3	262,8	1,213	0,213
2009	1133,6	-361,7	0,758	-0,242

2010	1583,3	449,7	1,397	0,397
2011	2189	599,7	1,377	0,377
2012	2377	188	1,086	0,086
2013	2908 (მაქს.)	531	1,223	0,223

∑16816/14=1201,14

14 წლიანი პერიოდისთვის (2000-2013 წწ.) ზრდის ტემპი = 2,908 / 322,7 = 9,003;

საშუალო წლიური ზრდის ტემპი = $\sqrt[14]{9,003}$ = 1,172 (117,2%);

საშუალო წლიური ნაზრდის ტემპი = 17,2 %.

Im

წლები	**Im(მლნ აშშ დოლარი)**	**აბს. ნაზრდი წინა წელთან**	**შეფ. ნაზრდი წინა წელთან**	**ნაზ-ის ტემპი წინა წელთან**
2000	709,4	-	-	-
2001	753,2	43,8	1,062	0,062
2002	795,5	42,3	1,066	0,066
2003	1141,2	345,7	1,434	0,434
2004	1847,9	706,7	1,619	0,619
2005	2490,9	643	1,348	0,348
2006	3677,7	1186,8	1,476	0,476
2007	5214,9	1537,2	1,418	0,418
2008	6301,5	1086,6	1,203	0,203
2009	4366,1	-1935,4	0,693	-0,307
2010	5095,5	729,4	1,167	0,167
2011	7058	1962,5	1,385	0,385
2012	7842	784	1,113	0,113
2013	7885	43	1,005	0,005

∑ 551788/14=3941,3

14 წლიანი პერიოდისთვის (2000-2013 წწ.) ზრდის ტემპი = 7,885 / 0,709 = 11,121;

საშუალო წლიური ზრდის ტემპი = $\sqrt[14]{11,121}$= 1,945 (194,5%);

საშუალო წლიური ნაზრდის ტემპი = 94,5 %.

საქართველოს ექსპორტი, იმპორტი და საგარეო ვაჭრობის დეფიციტი მუდმივად მზარდი სიდიდეებია, მათი ცვლილება მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენციით ხასიათდება. იმავეს ვერ ვიტყვით აბსოლუტური და შეფარდებითი წლიური ნაზრდის და ნაზრდის ტემპის მაჩვენებლებზე. მათი ცვლილება არანაირ კანონ-ზომიერებას არ ექვემდებარება, რის გამოც რეალური სტატისტიკა საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესებაზე ან გაუარესებაზე დასკვნის

გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. ფაქტია მხოლოდ ის, რომ საგარეო სექტორი სტიქიურად ჩამოყალიბების პროცესშია ჯერ კიდევ.

2. ტესტირება განაწილების ნორმალურობასთან მიახლოების შესახებ მცირე შერჩევის პირობებში

განაწილების ნორმალურობაზე საანალიზო მწკრივების ტესტირება მოვახდინეთ ორი მეთოდით: 1) ასიმეტრიისა (A-მესამე რიგის ცენტრალური მომენტის) და ექსცესის (E-მეოთხე რიგის ცენტრალური მომენტის (კურტოზისის, ცენტრის მიმართ სიმჭიდროვის)) კოეფიციენტების შედარებით მათსავე რეპრეზენტატიულობის შეცდომებთან (m_A და m_E _ სთან) და 2) კოლმოგოროვის კრიტერიუმით. ამჯერად ყურადღებას პირველ მეთოდზე შევაჩერებთ მხოლოდ.

პირველი მეთოდით ტესტირებისთვის დავითვალეთ ასიმეტრიისა და ექსცესის კოეფიციენტები და მათი რეპრეზენტატიულობის შეცდომები[51].

Ex -ექსპორტი მლრდ აშშ დოლარი

წლები	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
$(Ex- Ex(საშ.))^3$	-0,146	-0,151	-0,128	-0,058	-0,008	0	0	0,056	0,27	0,023	0,395
$(Ex- Ex(საშ.))^4$	0,077	0,08	0,065	0,023	0,002	0	0	0,022	0,174	0,007	0,29

$\sum(Ex- Ex(საშ.))^3 = 5.0413$

$n\,\sigma^3 = 14 * 0{,}0{,}497^3 = 6{,}958$

$A = 5{,}0413/6{,}958 = 0{,}725$

$m_A = \sqrt{6/n} = \sqrt{6/14} = 0{,}655$

[51] ასიმეტრიის კოეფიციენტი $A = \sum (x_i - x_{საშ})^3 / n\,\sigma^3$; ასიმეტრიის რეპრეზენტატიულობის შეცდომა $m_A = \sqrt{6/n}$; ექსცესის კოეფიციენტი $E = \sum[(x_i - x_{საშ})^4 / n\,\sigma^4] - 3$; ექსცესის რეპრეზენტატიულობის შეცდომა $m_E = 2\sqrt{6/n}$; განაწილება ნორმალურია, როცა სრულდება პირობა $t_A = |A| / m_A < 3$ და $t_E = |E| / m_E < 3$.
იხ. http://www.pslog.net, Показатели ассиметрии и эксцесса и их ошибки репрезентативности.

$t_a = 1,106 < 3$

ნორმალურობის პირობა სრულდება.

$E = -0,55$

$\sum(Ex- Ex(\text{საშ.}))^4=13,476$

$n\,\sigma^4=5,502$

$m_E = 2*0,655 = 1,31$

$t_e = 0,763 < 3$

ნორმალურობის პირობა სრულდება.

Im -იმპორტი

მლრდ აშშ დოლარი

წლები	**2000**	**2001**	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
$(Im- Im(\text{საშ.}))^3$	-11,179	-10,532	-9,924	-5,871	-1,32	0,094	0,394	11,697	37,832	2,869	9,381
$(Im- Im(\text{საშ.}))^4$	24,997	23,087	21,328	10,591	1,448	0,042	0,289	26,552	127	4,077	19,784

$\sum (Im- Im(\text{საშ.}))^3 = 23,253$

$n\,\sigma^3 = 11* 1,771^3 = 61,101$

$A = 23,253/61,101=0,381$

$m_A = \sqrt{6/n} = \sqrt{6/11} = 0,739$

$t_a = 0,516 < 3$

ნორმალურობის პირობა სრულდება.

$E=-0,604$

$\sum(Ex- Ex(\text{საშ.}))^4=259,195$

$n\,\sigma^4=11*(1,771)^4=108,21$

$m_E = 2\sqrt{6/n}=4,434$

დასასრულ, საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ტესტირების საბოლოო მიზანია მათი რაოდენობრივი და სტრუქტურული ოპტიმა-ზაციის შესაძლებლობებში გარკვევა.

3. საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ოპტიმიზაციის შესაძლებლობები და გზები

საგარეო სავაჭრო საქმიანობის ოპტიმიზაციაში მოიაზრება ამ სფეროს განვითარების დასაშვებ ვარიანტებს შორის საუკეთესოს შერჩევის პროცესი ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. საგარეო ვაჭრობის განვითარების დასაშვები ვარიანტებია: პარტნიორი ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის სხვადასხვა კომბინაცია სასაქონლო ჯგუფების, საგარეო ბაზრებისა და ინტეგრაციული ბლოკების მიხედვით. რაც შეეხება კრიტერიუმებს, საუკეთესოს შერჩევის კრიტერიუმი შესაძლებელია რომ იყოს შემდეგიდან რომელიმე ერთი ან რამდენიმე ერთად: შემოსავალი საგარეო ვაჭრობიდან, თანამშრომელი ქვეყნების შიგნით წარმოების განვითარებისათვის ხელშეწყობა, შიდა ბაზრების უზრუნველყოფა საქონლითა და მომსახურებით, პარტნიორი ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მათი რეალური სექტორების დაბალანსებული განვითარება, სოციალური პრობლემების შემსუბუქება, ზოგიერთ შემთხვევაში მათი გადაჭრაც კი და სხვ.

გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში, საგარეო ვაჭრობის ოპტიმიზაციის მოდელები და შესაბამისად კრიტერიუმებიც ერთმანეთისგან განსხვავებულია. განვითარებად ქვეყნებში წამყვანი ადგილი განეკუთვნება საექსპორტო წარმოების განვითარების ხელშემწყობ მოდელს, განვითარებულ ქვეყნებში – მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის უზრუნველმყოფ მოდელს, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მ.შ. საქართველოშიც – სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შემამსუბუქებელ მოდელს. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია: 1) დივერსიფიცირებული საგარეო ეკონომიკური კავშირები, 2) ლიბერალური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, 3) საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და 4) ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის სრულყოფა.

საგარეო სავაჭრო საქმიანობის ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებებია: ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებლების, სტრუქტურული მაჩვენებლების და გეოგრაფიის ოპტიმიზაცია კონკურენტუნარიანობის მსოფლიო რეიტინგის ჩარჩო მოთხოვნების გათვალისწინებით. კამათს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებლები საჭიროებს ოპტიმიზაციას. ოპტიმიზაციის ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ ექსპორტის გაფართოება, მისი რაოდენობრივი ზრდა და სტრუქტურული გაუმჯობესება.

საგარეო ვაჭრობის ოპტიმიზაციის საწყის ეტაპზე აუცილებელია ექსპორტის დივერსიფიკაცია. ექსპორტის დივერსიფიკაცია სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს. საქართველოს რეალობაში, ვფიქრობთ, გაამართლებს ე.წ. საქმიანი ტურიზმი, კერძოდ მხედველობაში გვაქვს ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი და სხვ. ამ მიმართულების უპირატესობა მდგომარეობს დანახარჯების სიმცირესა და შედეგების მოკლევადიან პერიოდში მიღწევადობაში. ჩვენი მოსაზრების დემონსტრირებას შევეცადეთ ღვინის ტურიზმის მაგალითზე [5].

ექსპორტის გაფართოება და ოპტიმიზაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ინტეგრაციის ბედი საერთაშორისო თანამეგობრობაში, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების პრობლემების მოგვარება ქვეყნის შიგნით.

ექსპორტის გარდა, სტრუქტურული ოპტიმიზაციის აუცილებლობა ეხება იმპორტსაც. ექსპორტის დივერსიფიკაცია ქვეყანას საშუალებას მისცემს, შეიმუშაოს წარმოების განვითარების სტრატეგია. ამის შემდგომ სტიმულირდება ინვესტიციებზე მოთხოვნა. ინვესტიციებზე მოთხოვნა, თავის მხრივ, აუცილებლად შეცვლის იმპორტის სტრუქტურას. ერთჯერადი მოხმარების საქონლის ნაცვლად გაჩნდება მოთხოვნა წარმოების განვითარების ხელშემწყობ საქონელზე.

ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის გარდა, ოპტიმიზაციის პრობლემა ეხება საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიასა და პარტნიორთა წრესაც. როგორც არაერთგზის უკვე აღგვინიშნავს (მაგალითისთვის იხ. ამავე კრებულში "ნათელაური ი., თაფლაძე თ. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებების ასპექტები"), საქართველო მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებთან თანამშრომლობს. მათ შორის, ჩვენთვის მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან: აზერბაიჯანი, აშშ, ჩინეთი, იაპონია, ყაზახეთი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა და სხვ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან, სომხეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთსა და მოლდოვასთან. ჩვენი ქვეყნის კავშირები მუდმივად ფართოვდება აშშ-სთან, შვეიცარიასა და კანადასთან. შედარებით გვიან გააქტიურდა საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობა ავღანეთთან, არაბთა გაერთიანებულ სამეფოსთან, დომინიკელთა რესპუბლიკასთან, ინდოეთთან, ისრაელთან, პაკისტანთან, კატარსა და ჩინეთთან. 2013 წლის მონაცემებით [9], საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ათეულში შედის: თურქეთი, აზერბაიჯანი,

უკრაინა, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია, რუმინეთი, იაპონია, აშშ და იტალია.

ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების მხარდამჭერი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. კონკურენტუნარიანობის ამაღლების კრიტერიუმით ფასდება ყველა რადიკალური ცვლილება ეკონომიკაში, მ.შ. საერთაშორისო ეკონომიკაშიც და, მით უფრო, საერთაშორისო ვაჭრობაში. შეფარდებითი უპირატესობის პრინციპთან ერთად, ის გახდება საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო კავშირების რაოდენობრივი, სტრუქტურული და გეოგრაფიული ოპტიმიზაციის საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება გარდამავალ ქვეყნაში მცირე ღია ეკონომიკით (საქართველოს მაგალითზე), თბილისი, „მეცნიერება“, 2004.

2. ნათელაური ი., გურაშვილი ნ. მცირე ღია ეკონომიკური სისტემების დაბალანსებული განვითარება და საგარეო სექტორის უნივერსალურობის ფუნქცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. 2, თბილისი, „მეცნიერება“, 2002.

3. ნათელაური ი., თაფლაძე თ. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა გლობალიზაციის პირობებში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 5, 2012.

4. ნათელაური ი., ნათელაური ნ. საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. ჟურ. ეკონომიკტი, №4, 2010.

5. ნათელაური ი. ყურძნის ნატურალური ღვინის საექსპორტო წარმოება საქართველოში: რეტროსპექტივა და პერსპექტივა. ჟურ. ეკონომისტი, №5, 2013.

6. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრი, თბილისი, 2006, 2007, 2008.

7. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

8. Нателаури И. Внешнеэкономический комплекс Грузии: состояние и проблемы функционирования. жур., Кавказ и глобализация, т. 1(4), 2007.

9. http//www.geostat.ge
10. http:// eeas.europa.eu

Iza Natelauri

TEST OF FOREIGN TRADE INDICES OF GEORGIA

Annotation

The article analyzes export-import time rows for 14 year period (2000-2013) of present Georgia. Are verified their centralization around the initial moment of first row. Is stated that the division of export-import time rows is not possible in four equal parts by means of central moment of the second row. Are estimated projection possibilities of foreign trade indices of Georgia in short-run period.

Are examined the ways and possibilities of optimization commodity structure and geography in Georgia with respect to the fact that geographical diversification has been achieved but commodity diversification is still in the process.

ზურაბ ნოზაძე

ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ზოგიერთი საკითხი თანამედროვე პირობებში

ბუნებათსარგებლობა მეცნიერებისათვის ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი პრობლემაა. იგი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: ეკონომიკას, პოლიტიკას, საერთაშორისო ურთიერთობებს, განათლებას, კულტურას, მეცნიერებას, ეთიკას. არ შეიძლება ბუნებრივი სისტემების შენარჩუნების პრობლემის გამოყოფა თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების პრობლემებისგან.

დღეისათვის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა საქართველოში დიდ ყურადღებას მოითხოვს. განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებს ატმოსფერული ჰაერი, რომელიც ავტომობილებისა და მრეწველობის ობიექტების მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებებისაგან ჭუჭყიანდება, წყალსატევები, რომლებიც გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებით ბინძურდება, მიწები, რომლებიც ირღვევა მათი არარაციონალური გამოყენების გამო.

გარემოსდაცვითი საქმიანობის ძირითადი ამოცანაა ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და გაუმჯობესება, საწარმოო პროცესების მცირენარჩენიან და უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადაყვანა, გამწმენდი ნაგებობისა და დანადგარების, აირდამჭერი მოწყობილობების მუშა-

ობის ეფექტიანობის ამაღლება ბუნებათსარგებლობის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საფუძველზე.

ეკოლოგიურ პრობლემათა ყოველი ჯგუფის მიმართ ფორმირდება გენერალური ამოცანა. გენერალური ეკოლოგიური ამოცანა იმ მდგომარეობის მიღწევაა, როცა ბუნებრივ რესურსზე დატვირთვა არ აღემატება მათ თვითაღდგენით პოტენციალს; გენერალური ეკონომიკური ამოცანა კი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაა (რესურსტევადობის შემცირება და პროდუქციის ხარისხის ამაღლება). გენერალური სოციალური ამოცანაა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ჩვენი აზრით, ეროვნული შემოსავალი უნდა განაწილდეს ფონდებზე, რომლებიც ახასიათებენ გენერალურ ამოცანებს:

- ჯანმრთელი გარემოს შენარჩუნების უზრუნველყოფის ფონდი,
- ეკონომიკური განვითარების ფონდი,
- მიღწეული ცხოვრების დონის შენარჩუნების და შემდგომი სოციალური განვითარების ფონდი.

გენერალური ამოცანების ურთიერთკავშირი შემდეგნაირად გამოიხატება: ბუნებათსარგებლობის გარკვეული ნორმების ფარგლებში განისაზღვრება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მისაღწევადი ამაღლება და ამის საფუძველზე ხორციელდება მაქსიმალურად შესაძლებელი სოციალური პროგრესი. გენერალური ამოცანების ფორმულირებიდან გამომდინარე, გამოიყოფა მიზნების პირველი რანგის სამი პროგრამა:

1. ბუნებრივი სისტემების მდგრადობის შენარჩუნება (პარამეტრები, რომლებიც მიღწეული უნდა იქნეს უახლოეს 5-10 წელიწადში, აგრეთვე შორეული პერსპექტივების (20-30 წელიწადი) შეფასება).

2. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება (პარამეტრები, რომლებიც მიღწეული უნდა იქნეს 15-20 წელწადში)

3. სოციალური განვითარების უზრუნველყოფა (პრობლემები, რომლებიც უნდა გადაიჭრას 5, 10 და 20 წლიანი პერიოდების მანძილზე).

ბუნებრივი სისტემის მდგრადობის შენარჩუნების პროგრამა იყოფა მიზნების მეორე რანგის შემდეგ პროგრამებად:

1. ეკოლოგიური ცოდნის დაგროვების უზრუნველყოფა, ბუნებრივი კომპლექსების შესახებ ფუნდამენტური კანონების შესწავლა (რისთვისაც საჭიროა სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის გამოყოფილი რესურსების გადანაწილება ბიოლოგიური პროფილის მეცნიერებათა ჯგუფის სასარგებლოდ)

2. ტერიტორიის ეკოლოგიური კარტირება: ბუნებრივი რესურსების შეფარდებითი ფასეულების მიხედვით; ბუნებრივი სისტემების

პოტენციალის მიხედვით; ბუნებრივი სისტემების ფაქტობრივი ან დაგეგმილი გამოყენებისა და მათი მდგომარეობის მიხედვით.

3. გარემოს ელემენტების ხარისხის სტანდარტების და იმ ვადების განსაზღვრა, რომელთა განმავლობაში შეიძლება მათი პრაქტიკულად გამოყენება (გარემოს ძირითადი ელემენტების – წყლის, ჰაერის, ნიადაგის – სისუფთავის შემუშავებული სტანდარტები მიიღებენ რა კანონის ძალას, ხდებიან ბუნებათსარგებლობის სოციალური ნორმები).

4. მართვის სისტემის აგება – ეკოლოგიური კომპლექსების მართვის ადმინისტრაციის შექმნა, ბუნებათსარგებლობის ნორმების დაცვის კონტროლის განხორციელება, ეკონომიკური ზემოქმედების ზომები – სანქციები, სუბსიდიები, კადრების მომზადება, ეკოლოგიური განათლების სისტემის შემუშავება.

აუცილებელი პროგრამა უნდა ჩაიწეროს საგეგმო პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი მიზნების მისაღწევად საჭირო დავალებების სახით: სისტემის ეკოლოგიური მდგრადობა არ უნდა იყოს გარკვეულ ზღვარზე ქვემოთ; წარმოების ეფექტიანობის ზრდა არ უნდა იყოს დადგენილ დონეზე ქვემოთ; მკაცრად უნდა განისაზღვროს ის სოციალური ამოცანები, რომლებიც უნდა გადაიჭრას საგეგმო პერიოდის ბოლოსთვის.

აუცილებელი დავალებების განხორციელების თანაბარი უზრუნველყოფის პირობებში პრიორიტეტი ენიჭება ალტერნატივას, რომელიც ახორციელებს მაქსიმალურ წინსვლას დამატებითი პროგრამით, კერძოდ დანახარჯების ერთეულზე ეროვნული შემოსავლის სიდიდის მაჩვენებლის მიხედვით.

ეროვნული მიზნების სისტემის განსაზღვრა გარემოს შენარჩუნების პრობლემების კარდინალური გადაჭრის აუცილებელი პირობაა. გარემოს შენარჩუნების პრობლემები გადაუჭრელი დარჩება, თუ არ შეიცვალა ბუნებათსარგებლობის ის იდეოლოგია, რომელიც ქადაგებს ადამიანის ნაწილობრივ პასუხისმგებლობას მათი ქმედების საბოლოო შედეგებისათვის. ქვეყანა მხოლოდ მაშინ შეძლებს თავისი პოზიტიური მომავლის შექმნას, თუ ჯანმრთელი გარემოსა და ბუნებრივი სისტემების პროდუქტიულობის შენარჩუნების მიზანი დაიმსახურებს ისეთივე მაღალ ეროვნულ პროირიტეტს, როგორც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის პროგრამა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარეაბის პროგრამებში ყველა დონეზე უნდა განისაზღვროს ბუნებრივ კომპლექსებზე დატვირთვის ზუსტი ფარგლები. ამ თეზისის რეალიზაცია გულისხმობს:

- გარემოს ხარისხის სტანდარტების განსაზღვრას, ე.ი. იმ ბუნებრივი სისტემების მდგომარეობის მაჩვენებლის განსაზღვრას,

რომელთა მიღწევა მოცემულ დროს საზოგადოებას შესაძლებლად და აუცილებლად მიაჩნია;

- ეროვნული რესურსების სიდიდის განსაზღვრას, რომელიც უნდა გამოიყოს მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად;
- სამეურნეო გეგმების განსაზღვრას, რომელიც არ სცილდება გარემოს ხარისხის მოცემულ სტანდარტებს;
- ბუნებრივი კომპლექსების მართვის ადმინისტრაციის შექმნას ეროვნულ და რეგიონულ დონეზე;
- ეკონომიკური რეგულირების ბერკეტების გამოყენებას;
- ამოცანების გადაწყვეტის სისტემას რეგიონულ დონეზე.

გარემოს ხარისხის სტანდარტების განსაზღვრა ემყარება საკითხების წინასწარ შემუშავებას შემდეგი მიმართულებებით:

- ეკოლოგიური, რომელიც მოიცავს ბუნებრივი სისტემების თვითაღდგენითი პოტენციალის საზღვრების შეფასებას საგეგმო ტექნოლოგიური დატვირთვის გათვალისწინებით;
- ტექნოლოგიური, რომელიც მოიცავს ბუნებადაცვითი სისტემების უფრო მაღალ დონეზე გადასვლის შესაძლებლობებს;
- ეკონომიკური, რომელიც აფასებს ალტერნატიული ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შედარებით შედეგიანობას;
- სოციალური, რომელიც აანალიზებს მოსალოდნელ სოციალურ დანაკარგს და მოულოდნელ და არასასურველ შედეგებთან შეჯახების რისკის ხარისხს;

ეროვნული რესურსების სიდიდის განსაზღვრისას ისინი უნდა გამოიყოს გარემოს შენარჩუნების ამოცანის გადასაწყვეტად. განვითარებულ ქვეყნებში გარემოს დაცვაზე ხარჯავენ მთლიანი ეროვნული პროდუქტის სოლიდურ თანხას, ხოლო საქართველოში დანახარჯები გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების გაზდრაზე ძალიან მცირეა და მოითხოვს მის განუხრელ გაზრდას, ასევე საჭირო დაფინანსებას იმ ზარალის ლიკვიდაციისათვის, რომელსაც ყოველწლიურად განიცდის ქვეყანა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად.

- თანამედროვე პირობებში წარმოების მოცულობა უნდა განისაზღვროს ბუნებრივი კომპლექსების ხარისხის დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით;
- ბუნებრივი სისტემების გამოყენების მართვის პროგრამა უნდა მოიცავდეს:
- გარემოს ხარისხის სტანდარტებისა და მათი მიღწევის ვადების განსაზღვრას;

- თითოეული ბუნებრივი რესურსის გამოყენების სტარტეგიისა და წარმოების ტექნიკური გარდაქმნის პროგრამის შერჩევას;
- ადმინისტრაციული მართვის სისტემას;
- ეკონომიკური რეგულირების ღონისძიებების სისტემას, უპირველეს ყოვლისა, აღდგენადი რესურსების ღირებულების განსაზღვრას და მოცემული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადის დადგენას;
- ბუნებრივი კომპლექსების მართვის ადმინისტრაციის შექმნა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. ჯერჯერობით გადასაჭრელია მართვის ისეთი რეგიონული სისტემების შექმნის პრობლემა, რითაც შესაძლებელი გახდება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ამოცანების ერთიანი და სრულყოფილი გადაჭრას.
- ტერიტორიული ზონების ადმინისტრაციებმა თითოეულ საწარმოს უნდა დაუწესონ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კვოტები. სამეურნეო ორგანიზაციებმა ადმინისტრაციასთან ერთად უნდა დადონ ხელშეკრულებები ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესახებ.

ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ბუნებათსარგებლობის პრინციპები – გადასახადი ბუნებრივი რესურსით სარგებლობისთვის, კვოტები, კონტროლის ფორმები, სანქციები ბუნებათსარგებლობის პირობების დარღვევისათვის – ანარიცხები საწარმოს მოგებიდან, რომელიც გამოყენებულ იქნა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისათვის.
- ადამიანის ურთიერთობას ბუნებასთან გააჩნია ორი განზომილება: სოციალური და ეკონომიკური. სოციალური ხაზი განისაზღვრება, როგორც პასუხისმგებლობის ხარისხი მიღებული გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოქმედებს ჩვენი და შემდგომი თაობების მომავალზე ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების თავლსაზრისით.

ეკონომიკური ხაზი – ეს არის მიღებული გადაწყვეტილებების მომგებიანობის ხარისხის შეფასება დროის შედარებით ხანმოკლე ინტერვალში. ე.ი. ბუნებასთან მიმართებაში სოციალური ნორმატივები წარმოადგენს მართვის პირველი რანგის ინსტრუმენტს, ხოლო ეკონომიკური ნორმატივები მეორე – რანგის ინსტრუმენტებს.

❖ ეკონომიკურ ინსტრუმენტებს ეკუთვნის: ბუნებრივი ინსტრუმენტების ეკონომიკური შეფასება, გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, ჯარიმები დადგენილი სოციალური ნორმების დარღვევისათვის, შემცირებული ბეგარა და სუბსიდიები, მიმართული ბუნებათდაცვითი ტექნოლოგიის გამოყენებაზე გადასვლის წასახალისებლად.

შეუძლებელია უმთავრესი ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეთავსება. მაგალითად, შეუძლებელია ოზონის ფენისა და კლიმატის შენარჩუნებისათვის ეკონომიკური გამოთვლების ბაზის პოვნა, მაგრამ შეფასების მასშტაბები იმდენად დიდია, რომ ისინი გამოსადეგია მხოლოდ მსოფლმხედველობითი განსჯისთვის. უფრო ვიწროა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის კატეგორიის გამოყენების რეალური შესაძლებლობები. არ შეიძლება ბუნებათსარგებლობის მართვა მხოლოდ ეკონომიკური ნორმატივებით, რადგან ისინი დამატებითი ქმედების მეორე რანგის ინსტრუმენტებია პირველი რანგის ინსტრუმენტებად გვევლინება ადმინისტრაციული ზომები: სოციალური ნორმატივები (გარემოს ხარისხის სტანდარტები, რესურსების გამოყენების ლიმიტები, გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების დასაშვები გამომყოფი ლიმიტები) და ადმინისტრაციული სანქციები – საწაროების დახურვა, სისხლის სამართლის სასჯელი.

ეკონომიკური ნორმატივების როლი მდგომარეობს საწარმოების დაინტერესების უზრუნველყოფაში დადგენილი სოციალური ნორმების დაცვით. სახელმწიფო ადგენს გარემოს ხარისხის სტანდარტებს, რომელთა მიღწევაც აუცილებელია გარკვეული დროისათვის. ადგილობრივი ბუნებათდაცვითი ორგანოები თითოეული საწარმოო ობიექტივისათვის საზღვრავენ რესურსების დანახარჯების ისეთ კვოტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხის სტანდარტების დაცვას. ამ კვოტების ფარგლებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ადგენენ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მინიმალურ გადასახადს. დადგენილი კვოტების გადაჭარბებისათვის დგინდება ამკრძალავი ფასები. ისინი უფრო მძიმე უნდა აღმოჩნდნენ საწარმოსათვის, ვიდრე დანახარჯები ბუნებათდაცვით ღონისძიებებზე. მაშინ საწარმოები დაიწყებენ გარემოს დასაცავად მიმართული ტექნოლოგიების და სამეცნიერო შემუშავების დაფინანსებას. ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტის სისტემა რეგიონულ დონეზე მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ✓ რეგიონის განვითარების კონცეფციის შემუშავება;
- ✓ ბუნებრივი სისტემის მდგომარეობის შეფასება და გარემოს ხარისხის რეგიონული სტანდარტების დაზუსტება;
- ✓ ტექნიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების ეკოლოგიური ექსპერტიზა;
- ✓ სახელმწიფო კონტროლი ბუნებრივი რესურსების მდგომარეობაზე;
- ✓ ბუნებათაცვითი პროპაგანდის და საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარება;
- ✓ ეკოლოგიურ კანონში ჩამოყალიბებული უნდა იყოსს შემდეგი ეროვნული მიზნები:

1. ხელის შეწყობა თითოეული თაობის ვალდებულების შესასრულებლად, უზრუნველყოს სასიცოცხლო გარემო მომავალი თაობებისათვის;

2. საქართველოს ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა უსაფრთხო, ჯანმრთელი, ესთეტიკურად სასიამოვნო გარემოთი;

3. გარემოს გამოყენება მისი დეგრადაციის გარეშე;

4. ეროვნული სიმდიდრის ისტორიული, კულტურული და ესთეტიკური ასპექტების შენარჩუნება;

5. მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და რესურსების გამოყენებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა ცხოვრების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებით;

6. აღდგენილი რესურსების ხარისხის გაუმჯობესება და არააღდგენადი რესურსების განმეორებით გამოყენება.

გარემოს დაცვის ეროვნული პილიტიკა უნდა იყოს კომპლექსური, დაბალანსებული და ითვალისწინებდეს არა მარტო ეკოლოგიურ, არამედ სხვა საზოგადოებრივ ღირებულებებსაც. ბუნებათდაცვითი რეგულირება დაფუძნებული უნდა იყოს წინასწარი გაფრთხილებისა და ეკოლოგიური შედეგების კომპენსაციის პრინციპზე. ძირითადად უნდა ჩაითვალოს გაფრთხილების მეთოდი. იგი მიმართული უნდა იყოს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ბუნებრივ კომპონენტებთან კონტაქტის აღსაკვეთად ან ამ კონტაქტების შესამცირებლად. კომპენსაციის პრინციპი ორიენტირებული უნდა იყოს ეკოლოგიური შედეგების ლიკვიდაციასა და ნეიტრალიზაციაზე.

ბუნებათდაცვითი რეგულირება მოიცავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური ღონისძიებების, სანიტარულ-ჰიგიენური და დაგეგმარებითი მეთოდების კომპლექსს.

ეკოლოგიური შედეგების წინასწარი შეტყობინება (გაფრთხილება) ძირითადად დაფუძნებული უნდა იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მეთოდებზე. უნდა განხორციელდეს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ნორმირება და ნორმატივების შესრულების ვადების დადგენა. ნორმების შეფარდება განსხვავებული უნდა იყოს გარემოს ცალკეული კომპონენტებისათვის.

სამართლებრივ-ადმინისტრაციულ ნორმებთან ერთად უნდა დაინერგოს ეკონომიკურიც, რომელიც ხელს შეუწყობს ბუნებათდაცვით ღონისძიებებს (შეღავათიანი კრედიტირება, საბეგარო შეღავათები, სუბსიდიები და სხვა). გამაჭუჭყიანებელი ნივთიერების გამოფრქვევის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, ფართოდ დაინერგოს ტექნოლოგიური მეთოდები, რომლებმაც უნდა მოიცვას როგორც წარმოების, ისე გაწმენდის პროცესი. ფართოდ უნდა იქნეს გამო-

ყენებული მცირე და უნარჩენო ტექნოლოგია, ასევე უახლესი ტექნიკური საშუალებები და მიღწევები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Коробкин В. И. Экология. Москва, 2005.
2. Промасов В. Ф. Экология здоровье и охрна окружающей среды. Москва, 2001.
3. Белявский Г.О., Фурдуй Р.С., Костиков Е.Ю. Основы Экологии. Киев, 2004.
4. Желваков Э.Н. Экологические правонарушения и ответственностъ. Москва, 2001.
5. Петров В.В. Экологическое право. Москва, 2005.

Zurab Nozadze

SOME ISSUES OF ECOLOGICAL POLICY IN MODERN CONDITIONS

Annotation

In the article the analysis of ecological state in Georgia is considered.

Are made the specific recommendations and ideas improving the ecological situation, increasing the effectiveness of use of nature and recovering the economic state of a country.

ლია დვალიშვილი

ატმოსფეროს დაბინძურების შემცირების პრობლემები საქართველოში

ადამიანის და ბუნების ურთიერთობა ჩვენს პლანეტაზე ადამიანის გაჩენის დღიდან იწყება. ეს უკანასკნელი მუდმივ გავლენას ახდენს გარემოზე. თავდაპირველად ადამიანი უძლური იყო ბუნების წინაშე და მისი გავლენაც უმნიშვნელო. დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდამ, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, ადამიანს ბუნებრივი რესურსების გამოყენება გაუადვილა.

გარემომცველი ბუნების გარდა ადამიანს არსებობის სხვა წყარო არ აქვს. რასაც ისინი ბუნებისგან იღებენ, გამოყენების შემდეგ მას სულ სხვა სახით, სხვა ადგილას და სხვა რაოდენობით უბრუნებენ ბუნებას.

ამჟამად მსოფლიოში ჩამოყალიბებული ტექნოგენური განვითარების ტიპი წარმოადგენს სხვადასხვა დონის, ხასიათის, მასშტაბის მქონე ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობისა და გამწვავების მიზეზს. ეკოლოგიური სიტუაცია დედამიწაზე პერმანენტულად

უარესდება. ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება ნიადაგის, წყლის და ჰაერის ანთროპოგენური გაჭუჭყიანება. მატულობს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები: ატმოსფეროს ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, გაუდაბნოება, ნიადაგის, ტყის ფართობებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირება.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები, რომლის საფუძველი ინოვაციური ტექნოლოგიები და ეკონომიკის სოციალიზაცია და ეკოლოგიზაციაა, ახალ ეკონომიკურ კონცეფციებს ითხოვს.

თანამედროვე ეტაპზე საყოველთაოდ აღიარებული მიზანი გახდა კაცობრიობის და ბუნების ერთობლივი განვითარების უზრუნველყოფა – მდგრადი განვითარება.

მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარება გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნას, რომელიც განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფას, ინოვაციური საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზემოქმედების სისტემის ფორმირებას წარმოების ეკოლოგიზაციაზე.

ბოლო წლების ყველა საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის პროგრამული დოკუმენტი, შეიცავს თეზისს მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რომელიც გულისხმობს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიულ განვითარებას მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

„ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოცვაში; ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს. ადამიანს უფლება აქვს, მიიღოს სრული ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაოს და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ".[52]

ატმოსფერული ჰაერი, რომელიც ირგვლივ აკრავს დედამიწას და მასთან ერთად ბრუნავს, გარემოს ერთ-ერთი ძირითადი კომპო-

[52] საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 37,

ნენტი და სიცოცხლის წყაროა დედამიწაზე. მისი მნიშვნელობა შეუფასებელია ცოცხალი ორგანიზმებისათვის.

ატმოსფეროს სისქე 3000 კილომეტრია. აქ გამოიყოფა სამი ფენა: ტროპოსფერო – 7-18 კმ; სტრატოსფერო – 50 კმ-მდე; მეზოსფერო – 85 კმ-მდე; თერმოსფერო – 300 კმ; 600-1000 კმ-ის ზემოთ კი ეგზოსფეროა. 50 კმ სიმაღლეზე ოზონის კონცენტრაცია შეინიშნება (ოზონოსფერო).

ატმოსფეროს ქვედა საზღვარი დედამიწის ზედაპირია, ხოლო ზედა პირობითად, 2000-3000 კილომეტრამდე ვრცელდება. ასეთ სიმაღლეზე ჰაერი ძალზე გაიშვიათებულია.

ატმოსფეროს ჰაერი ძირითადად ორი აირისაგან – აზოტისა (78,084%) და ჟანგბადისაგან (20,9476%) შედგება. გარდა ამისა, ჰაერში გაბნეულია ნახშირორჟანგი (0,0314%), არგონი და სხვა. ატმოსფერო შეიცავს აგრეთვე წყლის ორთქლს, მტვერს, ყინულის კრისტალებს.

ატმოსფეროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის. აირის ფენები დედამიწის ზედაპირზე არ უშვებს მეტეორიტებს, ოზონის ეკრანი იცავს გამოსხივებისაგან, ჟანგბადის გარეშე წარმოუდგენელია სუნთქვა, ლპობა და წვა. ნახშირორჟანგი სითბური ეკრანია, ის იკავებს დედამიწისაგან გამოსხივებულ სითბოს და მცენარეების მიერ გამოიყენება ფოტოსინთეზისათვის. წყლის ორთქლის როლი ატმოსფერულ მოვლენებში მეტად დიდია: მისი შეკუმშვა იწვევს ღრუბლებისა და ნალექების წარმოქმნას, ხოლო მის გარდაქმნას თან სდევს სითბოს დიდი რაოდენობით შთანთქმა ან გამოყოფა. მტვრის ნაწილაკები წარმოადგენს წყლის ორთქლის კონდენსაციის უმცირეს ბირთვებს.

ცნობილია, რომ ადამიანი ყოველდღიურად დაახლოებით 1 კილოგრამ საკვებს, ერთნახევარ კილოგრამ წყალს, ხოლო ჰაერს მოსვენებულ მდგომარეობაში – 12 კგ-ს და ფიზიკური დატვირთვისას 10-ჯერ უფრო მეტს იღებს. ამასთან, საკვების ვარგისიანობის შემოწმება შესაძლებელია, ასევე დაბინძურებული წყლის გაწმენდაც, მაგრამ ჰაერს ადამიანი ღებულობს ისეთს, როგორიც არის გარემოში. აქედან გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის დაცვა მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისაგან. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე ვრცელდება. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ატმოსფერულ ჰაერში გარე შენარევები ოცჯერ გაიზარდა.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ატმოსფეროს დაბინძურების პრობლემა მთელ მსოფლიოში გახდა აქტუალური.

ზოგადად, ატმოსფეროს დაბინძურება არის ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში დამაბინძურებელი ნივთიერებათა არსებობის შედეგად. ატმოსფერული ჰაერის დაბინ-

ძურებას განაპირობებს როგორც ტექნოგენური, ასევე ბუნებრივი დაბინძურების წყაროების ფუნქციონირება. მაგრამ უმთავრესი დამაბინძურებელი ანთროპოგენური წყაროებია: ტრანსპორტი, სამრეწველო საწარმოები, ენერგეტიკული ობიექტები და სოფლის მეურნეობა.

ჰაერის მიწისპირა ფენის ხარისხი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების რთული ურთიერთქმედების შედეგად ფორმირდება. ყოველ მოცემულ წერტილში ამა თუ იმ დამაბინძურებლის კონცენტრაცია სამრეწველო წყაროდან და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურიდან ატმოსფეროში მოხვედრილი დამაბინძურებლების გადატანის, გადარევის, გაბნევის და გამოლექვის შედეგად წარმოიქმნება. ადგილმდებარეობის ბუნებრივი ტოპოგრაფია და კლიმატური პარამეტრები (ტემპერატურა, ქარის სიჩქარე, მზის რადიაცია, ნალექები, ინვერსიების განმეორებადობა და სხვ.) კონკრეტულ წერტილში არსებული ჰაერის ხარისხის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია. ამ პარამეტრთა კომბინაცია განაპირობებს აგრეთვე ჰაერის მაღალი დაბინძურების ეპიზოდების სიხშირეს და გავრცელებას ამა თუ იმ ტერიტორიაზე.

ატმოსფერულ ჰაერში მინარევების შემცველობა შედარებით დაბალია, ვიდრე, მაგალითად, ბუნებრივ წყლებში, მიუხედავად ამისა, სუნთქვის პროცესში ადამიანის ორგანიზმში შედწეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა ძალზე მნიშვნელოვან მონაცემს აღწევს. ეს განპირობებულია იმ ბუნებრივი პროცესით, რომ სუნთქვის ორგანოებში დიდი ოდენობით ჰაერი გადის. ჰაერის საშუალო მაჩვენებელი 6-ჯერ აღემატება სითხისას [13].

დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, ურბანიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პროცესების სწრაფი ტემპებით განვითარებამ გაზარდა მოთხოვნა ენერგო, საკვებ და სხვა რესურსებზე. იზრდება მსოფლიოს ენერგეტიკული სიმძლავრეების და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, რაც მრავალ გარემოსდაცვით პრობლემას უქმნის მსოფლიოს ურბანულ ცენტრებს.

ეკოლოგთა ცნობილი ფრაზა: „არც ერთ ცოცხალ სახეობას არ შეუძლია არსებობა საკუთარი ნარჩენებისაგან შექმნილ გარემოში", რეალურ და სახიფათო შინაარსს იძენს. სხვადასხვა წარმოშობის ნარჩენების რაოდენობა ელვის სისწრაფით იზრდება, განსაკუთრებით ქალაქებში. ნაგვის დამწველი ქარხნები არ ჭრის პრობლემას, ვინაიდან დედამიწის ზედაპირიდან დაბინძურება გადადის ატმოსფეროში.

ზოგადად, წვის პროცესები ატმოსფერული ჰაერის ერთ-ერთი უმთავრესი დამაბინძურებელია ისეთი მავნე ნივთიერებებით, როგო-

რიცაა ნახშირბადის მონოოქსიდი, აზოტის და გოგირდის ოქსიდები, მყარი ნაწილაკები და ა. შ. ისინი ჰაერში დაგროვებისას ცვლიან მის ბუნებრივ ფიზიკო-ქიმიურ შემადგენლობას და, კონცენტრაციის გარკვეულ ზღვრამდე მიღწევის შემდეგ, ეს ნივთიერებები უარყოფითად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემებსა და მატერიალურ ფასეულობებზე.

გარემოს დაბინძურების, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება.

გარემოს ზეგავლენას განიცდის როგორც საზოგადოება, ასევე ეკონომიკაც. სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები გადაიტანება ჰაერის მასებით და ვრცელდება საკმაოდ დიდ მანძილებზე. ასეთი გზით წარმოიქმნება ატმოსფეროს გლობალური დაჭუჭყიანება.

ცნობილია, რომ ატმოსფერული ჰაერის დაჩქარებულ გაჭუჭყიანებას დასაბამი დაედო XIX საუკუნიდან, როცა მკვეთრად გაიზარდა სხვადასხვა სახის სათბობის მოხმარება. ამასთან დაკავშირებით, სამრეწველო ქალაქებში ჰაერის სისუფთავე და ხარისხი თანდათან უარესდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სრულიად შეუმჩნეველი დარჩა XX საუკუნის დასაწყისამდე, როცა პირველად დაისვა ატმოსფერული ჰაერის დაცვის პრობლემა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას ხელს უშლიდა ერთგვარი მოჩვენებითობა, რომ ყოველწლიურად ატმოსფეროში გამოშვებული ასობით მლნ ტონა გამაჭუჭყიანებელი ნივთიერება წარმოადგენს „ზღვაში წვეთს". გარდა ამისა, გაჭუჭყიანებულ ჰაერს გააჩნია თვითფილტრაციის უნარი. მასში არსებული ცალკეული გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები დროთა განმავლობაში ნაწილობრივ კარგავენ ტოქსიკურობის თვისებებს. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, ატმოსფერული ჰაერის თვითფილტრაციას ხანგრძლივი დრო სჭირდება და მანამ, სანამ ეს პროცესი თავისით განხორციელდება, გაჭუჭყიანებული ჰაერი იძლევა გარეგნულად შეუმჩნეველ, მაგრამ უარყოფით და ზოგჯერ სრულიად გამანადგურებელ ეფექტს.

ატმოსფეროში მოხვედრილი ნივთიერებათა უმრავლესობა უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ისინი ადამიანის ორგანიზმში სასუნთქი ორგანოებიდან ხვდებიან. ნაწილაკების 50% აღწევს ფილტვებში და ილექება. ორგანიზმში შეღწეული ნივთიერებები იწვევს ტოქსიკურ ეფექტს.

დადგენილია საკმაოდ კარგი სტატისტიკური კავშირი ჰაერის დაჭუჭყიანების დონესა და ისეთ დაავადებათა შორის, როგორებიც

არის ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადება, გულის უკმარისობა, ბრონქიტი, ასთმა, პნევმონია, ფილტვების ემფიზემა და სხვა.

ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების თვალსაზრისით, ახდენენ ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედებას. ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს რადიაქტიული ნივთიერებები, სითბური გაჭუჭყიანება (ტემპერატურის გაზრდა), ხმაური და დაბალსიხშირიანი ვიბრაციები. ქიმიურ ზემოქმედებას ახდენს თხევადი ნახშირწყალბადები, სარეცხი საშუალებები, პლასტმასები, პესტიციდები და სხვა სინთეტიკური ნივთიერებები, აზოტის და გოგირდის ნარჩენები, მძიმე მეტალები, ფტორის შენაერთები, მყარი მინარევები, ორგანული ნივთიერებები. წარმოშობის მიხედვით ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები იყოფა ბუნებრივი და ხელოვნური (ანთროპოგენური) წარმოშობის მინარევებად. ბუნებრივი წარმოშობის მინარევები ატმოსფეროში ხვდება ვულკანური მოქმედების, ნიადაგისა და მთის ქანების გამოფიტვის, ტყეების ხანძრის, მეტეორიტების წვის შედეგად. ანთროპოგენური წარმოშობის მინარევები წარმოიქმნება, უპირველეს ყოვლისა, საწვავის წვის პროცესში – შიდაწვის ძრავებში, თბოელექტროსადგურებში, გამათბობელ სისტემებში და აგრეთვე სამრეწველო და ყოფითი ნარჩენების წვის, ბირთვული აფეთქებების და სხვ. შედეგად. ერთ წელიწადში ატმოსფეროში მოხვედრილი მსოფლიო სამრეწველო ყოფითი გამონაბოლქვების საერთო მასა დაახლოებით 600 მეგა ტონას შეადგენს [14]. გასული საუკუნის განმავლობაში ატმოსფეროში მოხვდა 1,35 მეგა ტ კრემნიუმი, 1 მეგა ტონაზე მეტი ნიკელი, 0,6 მეგა ტ თუთია.

მიუხედავად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვისა სამრეწველო, ენერგეტიკულ თუ სატრანსპორტო სექტორებში, ჰაერის დაბინძურება მთელ მსოფლიოში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. აღსანიშნავია საავტომობილო პარკის თანამედროვე ზრდის ტემპი, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ატმოსფეროს ეკოლოგიურ მდგომარეობას. ავტოტრანსპორტი ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული სათბობ-ენერგეტიკული მასალების 20%-ზე მეტს მოიხმარს. ცნობილია, რომ მსოფლიოს დიდ ქალაქებში ყველა სახის ტოქსიკური ნაერთების ჯამური რაოდენობის 40-60% საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის. დადგენილია, რომ ერთი მსუბუქი ავტომობილი ყოველწლიურად შთანთქავს საშუალოდ 4 ტ ჟანგბადს, ნამუშევარ აირებთან ერთად გამოყოფს დაახლოებით 800 კგ ნახშირბადის მონოოქსიდს, 40 კგ აზოტის ოქსიდებს და თითქმის 200 კგ სხვადასხვა ნახშირწყალბადს [9].

ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირორჟანგის გაზი, ოზონის ფენის

გაღარიბება, სითბური ეფექტები, რომლებიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს. ამცირებს ბუნებრივი სამეურნეო რესურსების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობებს, მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე, რომელიც დროთა ვითარებაში შეიძლება გადაიზარდოს სტიქიურ კატაკლიზმებში.

პრობლემა უნივერსალურია, რადგან ჰაერის ნაკადები შეიძლება მოძრაობდეს სხვადასხვა კონტინენტზე. ერთი სიტყვით, ატმოსფერო, ბიოსფერო ჰიდროსფერო და დიტოსფერო მთელი პლანეტისათვის ერთია.

საქართველოში ატმოსფეროს დაბინძურების ძირითადი მიზეზები ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ სექტორებში უნდა ვეძებოთ.

საქართველოში ატმოსფერო ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით ბინძურდება. მათგან ურბანიზებული გარემოს ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი და ენერგოსექტორი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ავტოტრანსპორტის და ენერგოსექტორის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობები და შესაბამისად იზრდება ამ სექტორებიდან მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევები.

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საერთო გაფრქვევებში, დაწყებული 2006 წლიდან, პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი (CO), 2012 წლის მონაცემებით იგი შეადგენდა 15,6%-ს, შემდეგ ნახშირწყალბადები, მყარი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ამიაკი [3].

ატმოსფეროს დაბინძურების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ენერგეტიკის სექტორზე. ამ სექტორიდან ატმოსფერულ გაფრქვევათა რაოდენობრივი ცვლილების ხასიათი განპირობებულია აქ მოხმარებული ენერგორესურსების (ქვანახშირი, ნავთი, მაზუთი, ბუნებრივი და თხევადი აირი და ა. შ.) რაოდენობრივი ცვლილებების ხასიათით.

საქართველოში ელექტროენერგიისა და სითბოს წარმოება წარმოდგენილია გარდაბანში განთავსებული სამი მსხვილი თბოელექტროსადგურით, რომელთა ძირითად საწვავს ბუნებრივი აირი წარმოადგენს. ეს საწარმოებია: სს „ენერჯი ინვესტი", შპს „მტკვარი ენერგეტიკა" და სს „თბილსრესი". მათ მიერ გამოწვეული დაბინძურება მაღალი საკვამლე მილების გამო მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ ახდენს ჰაერის ხარისხის ფორმირებაზე. მუნიციპალური თბომეურნეობის დაშლის შემდეგ (90-იანი წლებიდან მოყოლებული), მსხვილ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში პრაქტიკულად გაუქმდა თბომომარაგების ცენტრალური სისტემები და მოსახლეობა გადასულია ინდივიდუალურ, ძირითადად ბუნებრივ აირსა და შეშაზე მომუშავე გათბობის საშუალებებზე. ენერგეტიკის სექტორიდან

ატმოსფეროს დაბინძურების დიდი წილი ნახშირწყალბადებზე, წვის პროდუქტებზე – ნახშირწყალბადის მონოოქსიდზე, აზოტის ოქსიდებსა და მყარ ნაწილაკებზე (მტვერზე) მოდის.

სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერი ძირითადად მესაქონლეობისა და მეფრინველეობის დარგების მიერ ბინძურდება. თუმცა, მას შემდეგ, რაც მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსები გაუქმდა და მცირე საწარმოები შეიქმნა, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება უფრო ლოკალური ხასიათისაა და სხვა სექტორების ფონზე ნაკლები ხარისხობრივი გავლენით გამოირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ სამრეწველო სექტორიდან ჰაერის დაბინძურება საგრძნობლად შემცირდა, ბოლო პერიოდში იზრდება და ფართოვდება ადგილობრივი ბიზნეს-სექტორი, რაც თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე.

მრეწველობის სექტორიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ატმოსფეროში მტვერი, აქროლადი ორგანული ნაერთები (აონ-ები), აზოტისა და გოგირდის ოქსიდები გაიფრქვევა, რომელთა რაოდენობრივი ცვლილების ხასიათი განპირობებულია საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი ცვლილებით. საქართველოში განსაკუთრებით დიდი მტვერგაფრქვევით ხასიათდება მრეწველობის ისეთი ქვედარგები, როგორიცაა: ცემენტის, გაჯის, ასფალტ-ბეტონის წარმოებები.

დღეისათვის მრეწველობის სექტორში, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია რამდენიმე მსხვილი ობიექტი, კერძოდ: ქვემო ქართლში – სს „ენერჯი ინვესტი" (საწარმო „აზოტი") და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" – რუსთავცემენტი, იმერეთში – შპს „ჯორჯიან მანგანეზი" – ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, შიდა ქართლში – შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" – კასპიცემენტი, ხოლო აჭარაში – შპს „ბათუმის ოილ ტერმინალი" [9].

2009 წელს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" მიერ რუსთავის და კასპის ცემენტის ქარხნებში მტვრის გამწმენდი მაღალეფექტური თანამედროვე სისტემების დამონტაჟების შემდეგ, მრეწველობის სექტორში ცემენტის მტვრის საერთო გაფრქვევები წინა წლებთან შედარებით დაახლოებით 75%-ით შემცირდა. ასევე მიმდინარეობს მტვერდამჭერი სისტემების პროექტირებისა და მონტაჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რომელიც დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამ რეგიონში მანგანუმის მტვრის ემისიის დონით* [9]. იმ ფაქტორების

გათვალისწინებით, რომ ქარხანა რეაბილიტაციის პროცესში იმყოფება და ეკონომიკურ პრობლემებს განიცდის, აგრეთვემაინც ძირითად დამსაქმებელს წარმოადგენს რეგიონში.

ავტოტრანსპორტით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ურბანიზებული გარემოს უმწვავესი პრობლემაა, რაც მძაფრად იჩენს თავს დიდი ქალაქების ცხოვრებაში. გამონაკლისს არც ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს და არსებული მონაცემებით, საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა დიდ ქალაქებში, რომლებიც ტრანსპორტითაა გადატვირთული. ამ კუთხით, ყველაზე მწვავე მდგომარეობა თბილისშია, სადაც მთლიანი სატრანსპორტო საშუალებების დაახლოებით ერთი მესამედია თავმოყრილი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2002 წლიდან მოყოლებული, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა გაიზარდა, დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ კვლავ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი რჩება. კერძოდ, ნახშირჟანგის გაფრქვევათა 87%; აზოტის ჟანგეულების 70%; გოგირდის დიოქსიდი 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში. 2000 წელს საქართველოში 1000 მოსახლეზე 70 სატრანსპორტო ერთეული მოდიოდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში ავტომობილების საერთო რაოდენობა 512,0 ათ. ერთეულით, ანუ 2,6-ჯერ გაიზარდა, მათ შორის მსუბუქი ავტომობილების – 424,9 ათ. ერთეულით, ანუ 2,7-ჯერ. 2013 წლისათვის, 2002 წელთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა თითქმის გასამმაგებული იყო. დღეს საქართველოში ყოველ 100 კაცზე 14 მსუბუქი ავტომობილი მოდის [3].

ავტოტრანსპორტის მიერ თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება განპირობებულია მთელი რიგი ფიზიკო-ქიმიური ფაქტორებით, რომელთაგან აღსანიშნავია მავნე ნივთიერებების გამოყოფის ინტენსივობა და მოცულობა; საწვავის სახეობა და ხარისხი; ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობა; მოძრაობის სწორი ორგანიზაცია, ბუნებრივი განიავების პირობები (ქალაქის მიკრორელიეფი, მისი განაშენიანების თავისებურება, მეტეოროლოგიური პარამეტრები, სეზონურობა) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ავტოტრანსპორტიდან გაფრქვევების დიდი მოცულობა განპირობებულია არა მხოლოდ ავტომობილების რაოდენობით და მოძრაობის ინტენსივობით, არამედ საავტომობილო პარკის თავისებურებებით. პარკი მოძველებულია, მანქანების უმრავლესობა 10-15 წელზე მეტი ასაკისაა და ტექნიკურად გაუმართავია. გამონაბოლქვი აირის რაოდენობა და ტოქსიკურობა მნიშვნელოვნად

დამოკიდებულია ძრავების გამართულობაზე. მავნე გამონაბოლქვის მოცულობის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია საწვავის ხარისხიც. ბენზინისა და დიზელის საწვავში სხვადასხვა მავნე მინარევის შემცველობა (მაგ., ტყვიის შემცველობა ბენზინში, გოგირდის შემცველობა დიზელში და ა. შ.) [14].

ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შიდაწვის ძრავების სრულყოფა, ბენზინის ხარისხის გაუმჯობესება, ელექტრომობილების გამოყენება და სხვა. ახლო მომავალში აღნიშნულ საწვავთა სახეობის შემცველი ნივთიერება იქნება წყალბადი, რომელიც უფრო იაფი და მოქნილი საშუალება იქნება, ვიდრე ელექტროენერგია. ის წვის პროცესში შეუერთდება ჟანგბადს და ყოველგვარი კვამლის გარეშე წარმოქმნის უმნიშვნელო ორთქლს.

ახლო მომავალში ტრანსპორტისათვის საწვავად წყალბადის გამოყენებამ შესაძლებელია გადაჭრას დიდი ქალაქების უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემა – გარემოს, პირველ რიგში კი საჰაერო აუზის დაბინძურება.

ატმოსფეროში გამოფრქვეული მავნე ნივთიერების რაოდენობა 2006 წლიდან 2012 წლამდე მონაკვეთში სულ 28%-ით გაიზარდა.

დაჭერილი (გაუვნებელყოფილი) ნივთიერებების წილი სულ გამოყოფილ მავნე ნივთიერებებში 2012 წლისათვის 13%-ს შეადგენდა [3].

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში ატმოსფერულოს ძირითად დამაბინძურებელ წყაროს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი, ხოლო სამრეწველო გაფრქვევების თვალსაზრისით – ქ. ზესტაფონში ფეროშენადნობთა ქარხანა. ავტოტრანსპორტის წილი ქვეყნის მთლიან გაფრქვევებში 82%-ს შეადგენს. ქვეყანაში სატრანსპორტო გაფრქვევების დიდი რაოდენობის შესამცირებლად სხვადასხვა უწყების მიერ კომპლექსური მიდგომაა საჭირო, კერძოდ, ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია, იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების დასაშვები ასაკობრივი ზღვარის დაწესება და მისი თანდათანობით შემცირება, საავტომობილო საწვავის ხარისხის და ავტომობილების გამონაბოლქვის ნორმების ეტაპობრივი გამკაცრება და მათი კონტროლი, ელექტროტრანსპორტის განვითარება და ა. შ. რაც შეეხება ქ. ზესტაფონში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს, კერძოდ, ძირითადი დამაბინძურებლის – მანგანუმის ორჟანგის გაფრქვევის შემცირებას, აუცილებელია ფეროშენადნობთა ქარხანაში უზრუნველყოფილ იქნეს აირმტვერდამჭერი მოწყობილობების სრული რეაბილიტაცია და განახლება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში, ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტის რაოდენობის ზრდის პარალელურად, საზოგადოებრივი დანიშნულების გამწვანებული ტერიტორიები სულ უფრო მცირდება. შესამჩნევი ხდება ღია სივრცეებისა და მწვანე ზონების სიმწირე, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების განაშენიანებულ ტერიტორიებზე.

სპეციალისტთა გაანგარიშებით, დღეისათვის თბილისში, ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 6 კვადრატული მეტრი გამწვანება მოდის, მაშინ, როცა ის 15 კვადრატული მეტრი და მეტი უნდა იყოს [4].

ზოგადად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამრეწველო ობიექტების გამწვანებასა და ტყის მეურნეობის განვითარებას – ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. ტყე პირდაპირ კავშირშია ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებასა და წყლის რესურსების დაცვასთან, რადგან ჟანგბადის შევსება ძირითადად ფოტოსინთეზის გზით ხდება. 1 ჰა ტყე 10-15-ჯერ მეტ ჟანგბადს გამოყოფს, ვიდრე ნებისმიერი ფოტოსინთეზი

ქვეყნის მასშტაბით ატმოსფერულ გაფრქვევათა მახასიათებლების ეკოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესება მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკის ოთხივე სექტორში გამოყენებული ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შეცვლას სათანადო თანამედროვე ტექნოლოგიებით. ამავდროულად მტვერდამჭერისა და აირგამწმენდის ეფექტურ ტექნოლოგიათა დანერგვას.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. დღეს აქცენტი კეთდება რესურსდამზოგველ და ნაკლებნარჩენებიან ტექნოლოგიებზე, ხარისხზე, ნოუ-ჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქტის შექმნაზე, ახალ სტანდარტებზე და ა.შ.

XXI საუკუნეში საზოგადოების მდგრადი განვითარება წარმოუდგენელია მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების გარეშე. თუმცა XX საუკუნეში ეკოლოგიურმა აზროვნებამ დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებიდან გარემოს დაბინძურების რეგულირება. რათა მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ჰაერში ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საქმიანობისათვის საშიში არ ყოფილიყო.

მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვებების რეგულარული წარმოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ჰაერის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ობიექტური და უტყუარი

ინფორმაციის მისაღებად, რომლის განზოგადება სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

ეკონომიკის სტაბილურობის პერიოდში საქართველოს 11 ქალაქში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვების 33 სტაციონარული ჯიხური ფუნქციონირებდა (მათ შორის 8 დაკვირვების პუნქტი თბილისში), სადაც დღე-ღამეში 4-ჯერ იზომებოდა ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებები: მტვერი, ნახშირბადის მონოოქსიდი, აზოტის ოქსიდები, გოგირდის ანჰიდრიდი. გარდა ამისა, ქალაქებში განლაგებულ წარმოებათა კონკრეტული საწარმოო ციკლიდან გამომდინარე დამატებით იზომებოდა სპეციალურ კომპონენტთა კონცენტრაციებიც.

ბოლო 15-20 წლის მონაცემები საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ მეტად მწირია. სადამკვირვებლო სადგურების სიმცირის, დაკვირვებად ნივთიერებათა არასაკმარისი რაოდენობისა და გაზომვების სიხშირის გამო (დღე-ღამეში 3-ჯერ) ვერ ხერხდება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსის გაანგარიშება და საქართველოს ტერიტორიის დაყოფა დაბინძურების დონეების მიხედვით.

ჰაერის ხარისხის მონიტორინგს აწარმოებს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო. დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებს მხოლოდ ხუთ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონსა და რუსთავში განთავსებული 7 სადამკვირვებლო ჯიხურის საშუალებით. ამათგან 3 ახალი სადგური (2 თბილისში, 1 რუსთავში) ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს მხოლოდ 2009 წლის ბოლოს დაემატა. 2010 წლიდან თბილისში დაიწყო მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის გაზომვები.

ჰაერის ხარისხის გაზომვა წარმოებს დღე-ღამეში სამჯერ სამუშაო დღეებში. თბილისში განისაზღვრება შემდეგი დამაბინძურებელი ნივთიერებები: მტვერი, ნახშირბადის მონოოქსიდი, გოგირდისა და აზოტის ოქსიდები, ტყვია, მიწისპირა ოზონი; ქუთაისში – მტვერი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოოქსიდი, აზოტის ოქსიდები; ბათუმში – მტვერი, ნახშირბადის მონოოქსიდი, გოგირდისა და აზოტის დიოქსიდები; რუსთავში ნახშირბადის მონოოქსიდი და აზოტის დიოქსიდი; ხოლო ზესტაფონში – მტვერი, ნახშირბადის მონოოქსიდი, გოგირდის, აზოტისა და მანგანუმის დიოქსიდები.

ამ ეტაპზე თბილისის მასშტაბით მხოლოდ ერთი, მეტნაკლებად სრულად, ხოლო ორი არასრულად მომუშავე საგუშაგო ფუნქციონირებს, დანარჩენ ქალაქებში კი მხოლოდ ერთი. ამ საგუშაგოებიდან მიღებული მონაცემებით ჩვენ ვიგებთ არა მთლიანად ქალაქის, არამედ მისი ერთი კონკრეტული უბნის ჰაერის

ხარისხს, კერძოდ თბილისში, ეს არის აღმაშენებლის გამზირი, ზესტაფონში – კვალითის დასახლება, ქუთაისში – ნიკეას უბანი, ბათუმში – პორტის მიმდებარე ტერიტორია (თანამედროვე ავტომატური სადგური კი ვაშლიჯვარშია) [4].

მოცემულ ქალაქებში ჰაერის ხარისხი დასაშვებ დონეზე დაბალია. სადამკვირვებლო სადგურების სიმცირე არ იძლევა საშუალებას, ჰაერის ხარისხი სრულყოფილად შეფასდეს თუნდაც ამ ხუთი ქალაქის მთელ ტერიტორიაზე, ამიტომ, ქვეყანაში ჰაერის ხარისხის შესახებ რეალური სურათის შესაქმნელად, აუცილებელია დაკვირვების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია, რათა საკმარისი სიზუსტით დადგინდეს, თუ მოსახლეობის რა ნაწილი იმყოფება დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ.

საერთაშორისო პროექტების შედეგად ბოლო წლებში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიიღო თანამედროვე ლაბორატორიული ტექნიკა (სპექტროფოტომეტრები, ქრომატოგრაფები და სხვა), რის შედეგადაც მათი მონაცემების საიმედოობა გაიზარდა. სადამკვირვებლო ჯიხურები და ნიმუშების აღების მეთოდოლოგია განახლებასა და გაუმჯობესებას საჭიროებს.

ჰაერის მონიტორინგის მონაცემები თვეში ერთხელ ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პირობებში მოსალოდნელია სამრეწველო სექტორის განვითარება და, შესაბამისად, ემისიების მატება, რაც საწარმოო ობიექტების გარემოსდაცვითი რისკების საფუძვლიანი შეფასების გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების სათანადო კონტროლის უზრუნველყოფას მოითხოვს. აუცილებელია დაინერგოს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ახალი და სუფთა ტექნოლოგიები, რომლებიც ყველაზე უფრო ეფექტიანი იქნება გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების თვალსაზრისით.

„XXI საუკუნის დღის წესრიგი" მოიცავს რა ბუნების დაცვის და სოციალურ ამოცანათა ყველაზე ფართო დიაპაზონს, მოუწოდებს ყოველ ეროვნულ მთავრობას, გამოიმუშაონ საკუთარი მდგრადი განვითარების სტრატეგია. ჩვენი პრობლემის შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობების უფლება, ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება თავისთავად აუცილებლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული მისი მიღების წინ.

ყოველი ეკონომიკური პროექტი წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული, მისი ეკონომიკური სარგებლობისა და ბუნებაზე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადი განვითარების არსის და პრინციპების დაცვის ფარგლებში.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მთავარი პრიორიტეტების გამოყოფას, მის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დასაბუთებას და საშუალო შედეგებზე ორიენტირებული განხორციელების ოპტიმალური გზების ძიებას.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მთავარ პასუხისმგებელ უწყებას ქვეყანაში გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს, რომელიც ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს. ასევე სამინისტროს ფუნქციაა ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა და ჰაერის მონიტორინგი. ამ უკანასკნელს ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი გარემოს ეროვნული სააგენტო.

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის არსებული სისტემის პრობლემას დღესდღეობით მონაცემთა შეგროვების მკვეთრი დაცემა წარმოადგენს, რაც ფინანსური რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობით აიხსნება. არსებული ქსელი არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს დაკვირვების პუნქტების რაოდენობისა და განლაგების, მონაცემთა აღების, შენახვის, დამუშავებისა და ანგარიშგების მეთოდების თვალსაზრისით.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და მასთან დაკავშირებული ანთროპოგენური დაბინძურების პროცესების ეფექტურად მართვის გასაძლიერებლად აუცილებელია ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის რეაბილიტაცია, თანდათანობით ავტომატიზაცია და მოდერნიზაცია. გარემოს მონიტორინგის თანამედროვე ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღების, რესურსების ყოველდღიური მართვის და მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

საქართველო ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას. ეკონომიკური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია, თუმცა, ამავდროულად, ეს პროცესი ზეწოლას ახდენს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობები უკეთესი ტექნოლოგიური და მენეჯერული უზრუნველყოფით უნდა განვითარდეს, რაც მნიშვნელოვნად შეაკავებს გარემოზე დატვირთვის ზრდას. დღეისათვის, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში მიმდინარე ცვლილებების პირობებში აუცილებელია ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარე-

ბისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დვალიშვილი ლ. მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება და კონცეფცია. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბ., 2011.
2. დვალიშვილი ლ. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და მდგრადი განვითარების ეფექტი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული. ტ. V, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2012.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2013.
4. ყაჯრიშვილი თ. რა საფრთხის წინაშე დგას დედაქალაქი და რატომ გახშირდა სიმსივნური დაავადებები. ჟ. გზა. №40, 2014.
5. წერეთელი გ. გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1987.
6. garemos_dabinzureba
7. moe.gov.ge
8. momxmarebeli.ge
9. sangu.ge
10. szs.gov.ge
11. ka. wikipedia.org
12. www.geostat. ge
13. www. csrdg.ge
14. www.wikipedia.org.ge
15. fastcheck.ge

ციცინო თეთრაული

ინფლაციის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში

მაკროეკონომიკური განვითარება ხორციელდება ტალღისებური რყევების სახით. ეკონომიკური მერყეობა არის ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა გადახრა მათი მდგრადი მდგომარეობიდან. ტალღისებურ რყევებს, უწინარეს ყოვლისა, ექვემდებარება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები: წარმოებისა და შემოსავლის მოცულობა, მუშაკთა დასაქმება, ფასების დონე, მოგების მოცულობა და სასესხო სარგებლის ნორმა. მაკრო-

ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია ინფლაცია, რომელიც გულისხმობს ქაღალდის ფულის მსყიდველობითი უნარის (ღირებულების) დაცემას და ამის შედეგად ფასების საერთო დონის ამაღლებას. სიმარტივისთვის მათ ყოფენ ორ ჯგუფად: შიგა და გარე (საერთაშორისო) მიზეზებად. ინფლაციის შიგა მიზეზებს მიეკუთვნება: სახელმწიფო ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე; ცენტრალური ბანკის მიერ დაშვებული ფულის გაძლიერებული ემისია სახელმწიფოს მზარდ საჭიროებათა დასაფარავად; კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული საკრედიტო ექსპანსია, გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებების მასშტაბების გადიდება, ბაზრის სტრუქტურის შეცვლა ოლიგოპოლიების სასარგებლოდ; ინფლაციის მოლოდინი. ინფლაციის გარე მიზეზებს მიეკუთვნება: სახელმწიფოს მიერ თავისი საგარეო ვალის გადიდება უცხოური კრედიტების აღების გზით; ბანკების მიერ ეროვნული ფულის ნიშნების უცხოურ ვალუტაზე გაცვლის ოპერაციების წარმოება, ბუნებრივი რესურსების შემცირებასთან დაკავშირებული სტრუქტურული კრიზისები მსოფლიო ეკონომიკაში; სახელმწიფოთაშორის წარმოებული ომები. გლობალიზაცია ფინანსურ სფეროში საშუალებას იძლევა, ქვეყანაში არაფექტიანი საფინანსო სისტემისა და სუსტი კორპორაციული მმართველობის გვერდის ავლით განხორციელდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და იმავდროულად მოხდეს ფინანსური კაპიტალის გადინება.

მონეტარიზმის ფუძემდებელი მ. ფრიდმენი თვლიდა, რომ საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა ფულია და, ამდენად, მისი რეგულირება ფულის საერთო მასისა და ნაკადების მართვითაა შესაძლებელი. მონეტარიზმი, როგორც ნეოკლასიკური თეორიის თანამედროვე მიმართულება, თვლის, რომ საბაზრო ეკონომიკა მდგრადი თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელიც განვითარების სტაბილურ ტემპებსა და ეფექტიანობის მაღალ დონეს უზრუნველყოფს, თუმცა მასში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელი და გარდუვალია. სახელმწიფოს ჩარევა უნდა განხორციელდეს არა საბაზრო მექანიზმის შეცვლის გზით, არამედ რაციონალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საფუძველზე კონკურენციული გარემოს გაძლიერებით, რაც საბაზრო მექანიზმის შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს. ასეთი პოლიტიკა უნდა განახორციელოს ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა, რომელმაც ამასთანავე, ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობა უნდა დაიცვას. მონეტარიზმის საფუძველზე XX საუკუნის ოთხმოციან წლებში აშშ-სა და ინგლისში დამუშავდა ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამები, რომლის განხორციელებითაც ამ ქვეყნებმა მთლიანად დაძლიეს

წარმოქმნილი კრიზისული მოვლენები და კვლავ შეინარჩუნეს ეკონომიკური ლიდერების პოზიციები.

ინფლაციის პოსტკომუნისტური ტიპი სხვა ქვეყნების ინფლაციისაგან მისი განვითარების პირობებით განსხვავდება. ინფლაციური პროცესები ყოფილ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და საქართველოშიც, გასული საუკუნის 60-იან წლებში შეინიშნებოდა, რაც ძირითადად წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ შემცირებაში აისახებოდა. იგი თავიდანვე ფარულ ხასიათს ატარებდა და სასაქონლო დეფიციტში გამოიხატებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ისევ სამანეთო ზონაში რჩებოდა, რაც ეროვნულ ბანკს დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის იარაღად იყენებდა. 1993 წლის აპრილში მიმოქცევაში შემოვიდა დროებითი ფულადი ერთეული – კუპონი, რომელმაც სწრაფი ტემპით იწყო გაუფასურება და საქართველო ჰიპერინფლაციის ზღვარზე აღმოჩნდა. 1995 წელს კი საქართელოს ხელისუფლებამ შემოიღო ეროვნული ვალუტა – ლარი, რამაც ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად შეანელა, მაგრამ ქვეყანაში წარმოების დაბალი დონე იყო და არანაირი პერსპექტივა არ იკვეთებოდა მის ასამაღლებლად უახლოეს მომავალში. ამის გამო ვერ ხერხდებოდა ეროვნული ვალუტის გამყარება სამამულო წარმოების პროდუქციით და საჭირო გახდა ეროვნული ვალუტის სხვა ხერხებით გამყარება. ამიტომ მოხდა ლარის მიბმა დოლარზე. ამრიგად დოლარი აღმოჩნდა ლარის საყრდენი და ხერხემალი. იმისთვის, რომ გაცვლის კურსი დოლარსა და ლარს შორის შედარებით სტაბილური ყოფილიყო, ხდებოდა მისი ხელოვნური გზით შენარჩუნება.

ბოლო პერიოდის მსოფლიო-ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ომმა 2008 წლის აგვისტოში, მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ ამ ორ დიდ დარტყმას გაუძლო და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა და საერთაშორისო დახმარების პირობებში მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. მთავრობის მიერ შექმნილ ანტიკრიზისულ პროგრამაში ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა. კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა სახელმწიფოს ჩარევისაგან არ შეიძლება იყოს თავისუფალი. არ უნდა იქნეს დაშვებული ეროვნული ვალუტის კურსის არც მყისიერი ხელოვნური გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს ის ოქროს შუალედი, რომელიც უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას და, მეორე მხრივ, სტიმული უნდა მისცეს კომერციულ ბანკებს და ხელი შეუწყოს ეკონომიკის, განსაკუთრებით რეალური სექტორის აღორ-

ძინება-განვითარებას. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, საგარეო ვალის შემცირება და ქვეყანაში ეფექტიანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზარზე საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა აქვს და თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, მსოფლიო ბანკის მეშვეობით კი მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, მაგრამ მხოლოდ გარედან დახმარება ვერ გამოიღებს ჩვენთვის სასურველ შედეგს, თუ ჩვენვე არ განვახორციელებთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს მსოფლიო ბიზნესის სფეროში ჩართვით.

ვინაიდან ინფლაციის გამოვლინების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი არის ფასების ზრდის ტემპი, განასხვავებენ ზომიერ (მცოცავ), ჭენებად და ჰიპერინფლაციას. ზომიერი (მცოცავი) ინფლაცია ხასიათდება ფასების ზრდის უმნიშვნელო ტემპით – არაუმეტეს 10%-ისა წელიწადში. მას რეგულირებად ინფლაციასაც უწოდებენ, რამდენადაც მთავრობა იყენებს რეგულირების სხვადასხვაგვარ ბერკეტებს, ზემოქმედებს ბაზრის კონიუნქტურაზე, აკონტროლებს ფულად მიმოქცევას, ზოგჯერ გააზრებულად სტიმულირებს ფასების ზრდას და ზოგჯერ პირიქით, წინააღმდგობას უწევს მათ. ასეთ სიტუაციაში ფული ინარჩუნებს თავის ღირებულებას, რადგან მისი მსყიდველობითი უნარი მდგრადი რჩება. ჭენებადი ინფლაციის დროს ფასების ზრდის ინდექსი პირობითად შეადგენს 20-დან 200-ჯერ მატებას წელიწადში. ჭენებადი ინფლაცია ხასიათდება ფულის გაუფასურების მაღალი ტემპით, ამ დროს მფლობელები ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად დახარჯონ მათ ხელთ არსებული ფული, რაც გამოდის ფასების ზრდის დამატებითი ფაქტორის სახით, რადგან მოთხოვნა იზრდება, კონტრაქტებს უკავშირებენ ფასების ზრდას. ფული სწრაფად მატერიალიზდება საქონელში, მარაგში.

ჰიპერინფლაციის დროს ფასები იზრდება ასტრონომიულად. ხანდახან ფასების ზრდა რამდენიმე ათასჯერაც ხდება წელიწადში. ამ დროს სხვაობა ფასების ზრდასა და ხელფასს შორის კატასტროფულია. ირღვევა საკმაოდ უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობის მაჩვენებელი. ზარალიანი ხდება მსხვილი საწარმოებიც კი. ჰიპერინფლაციის დროს ყველანაირი ფულადი ფორმის კონტრაქტებისაგან იკავებენ თავს. ამ პერიოდში იზრდება ბარტერული გარიგებების წილი.

ინფლაცია თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. მსოფლიოში არ არსებობს არც

ერთი ქვეყანა, სადაც ინფლაციური ზრდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეჩერებულიყო. ინფლაციური პროცესების სწორად ახსნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამა თუ იმ საქონლის წარმოებისათვის საჭირო ფულის რაოდენობის დადგენის საკითხებთან. ძნელი სათქმელია, ზუსტად რამდენი ფული გვესაჭიროება ამა თუ იმ საქონლის საწარმოებლად. კაცობრიობას დღემდე არ გააჩნია მიმოქცევაში ფულის გამოშვების ობიექტური კრიტერიუმი. ადამიანები არასტაბილურობის პირობებში მიისწრაფიან, თავიანთი უძრავი ქონება ფულად აქციონ და ფულის სახით დააგროვონ. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ, დააგროვონ იმაზე მეტი, რაც საჭიროა. არ არსებობს ზუსტი კანონი მიმოქცევაში გამოსაშვები ფულის მუდმივი რაოდენობის ცალსახად განსაზღვრისათვის. ადამიანები კაცობრიობის დასაწყისიდანვე მიისწრაფიან, გაზარდონ კვლავწარმოება, რაც ითხოვს დამატებით რესურსებს და შესაბამისად დამატებით ფულს. ფულადი მასა მუდმივად იზრდება. შეუძლებელია ფულის დაგროვებისა და გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში უზრუნველვყოთ ზუსტი შესაბამისობა სასაქონლო და ფულად მასებს შორის, რაც ინფლაციას წარმოშობს. სავალუტო კურსსა და ინფლაციის მაჩვენებელს შორის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, რაც იმაში გამოიხატება რომ დროის ხანმოკლე პერიოდებისათვის ვალუტის კურსის გავლენა ინფლაციაზე სხვადასხვაგვარია. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელისუფლების მიერ განხორციელებული სავალუტო პოლიტიკა, რომლის უმთავრეს მიზანს სავალუტო კურსის სტაბილურობა წარმოადგენს, ზოგადად, სავალუტო კურსის აწევას თან სდევს იმპორტის გაძვირება, რაც მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენს ინფლაციური პროცესებისათვის, მით უმეტეს საქართველოსთვის, რომელიც დიდადაა დამოკიდებული იმპორტზე. ბალანსირებული ინფლაციის დროს სხვადასხვა საქონლის ფასები ერთმანეთის მიმართ უცვლელია, ხოლო არაბალანსირებული ინფლაციის დროს სხვადასხვა საქონლის ფასები მუდმივად იცვლება ერთმანეთის მიმართ, ამასთან, სხვადასხვა პროპორციით. ბალანსირებული ინფლაცია ბიზნესისათვის საშიში არ არის, რასაც ვერ ვიტყვით არაბალანსირებულ ინფლაციაზე. განასხვავებენ მოსალოდნელ და მოულოდნელ ინფლაციას, მოსალოდნელი ინფლაცია ექვემდებარება წინასწარ განჭვრეტა-პროგნოზირებას, მაშინ, როცა მოულოდნელი წარმოიშობა სტიქიურად, რომლის პროგნოზიც შეუძლებელია.

ბალანსირებული და მოსალოდნელი ინფლაციის კომბინაციას არ მოაქვს ეკონომიკური ზიანი, მაშინ, როცა არაბალნსირებული და მოულოდნელი განსაკუთრებით საშიშია და დიდ დანახარჯებს მოითხოვს ადაპტაციისათვის.

სავალუტო კურსის მოკლევადიანი ცვლილება ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე. ინფლაციის თარგეთირების მთავარი მიზანია სავალუტო გაცვლითი კურსისა და ინფლაციური რყევების განეიტრალება. ამგვარი რეჟიმი საშუალებას აძლევს ეროვნულ ბანკს, უმტკივნეულოდ გამოიყენოს სავალუტო ინტერვენციები სავალუტო კურსის სტაბილიზებისათვის. დოლარიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებული გახდა მასში შემავალი უცხოური კაპიტალის ნაკადებზე, რომლის შემოსვლის სტაბილურობა არ შეიძლება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მართვის გარეშე იქნეს უზრუნველყოფილი. უცხოური კაპიტალი ასტიმულირებს კრედიტბრუნვას და ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, მეორე მხრივ კი ზრდის ლარის გაცვლით კურსს და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს. ინფლაციის პირობებში, როგორი დაბალიც არ უნდა იყოს ის, ადგილი აქვს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის რეალური შემოსავლების ფარულ გადანაწილებას უმცირესობის სასარგებლოდ. ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან, მდიდრები კი კიდევ უფრო მდიდრდებიან. ამიტომ ინფლაცია აძლიერებს საზოგადოებაში სოციალურ დიფერენციაციას და ამწვავებს სოციალურ კონფლიქტებს. მთლიანობაში, დიდია ინფლაციის საზოგადოებრივი დანახარჯები, რაც საყოველთაოდ აღიარებულია. ეკონომისტთა გარკვეული ნაწილის აზრით, მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ იმდენად წინ უნდა გადადგას ნაბიჯი, რომ უზრუნველყოს ფასების აბსოლუტური სტაბილურობა, ანუ ნულოვანი ინფლაცია. თუმცა მაკროეკონომისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა აზრისაა. ისინი თვლიან, რომ ნულოვანი ინფლაციის მიღწევას აზრი აქვს მხოლოდ იდეალური ეკონომიკის პირობებში, თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრება კი ნამდვილად არ გამოირჩევა სტაბილურობით. მიუხედავად იმისა რომ ეკონომისტები ვერ თანხმდებიან ინფლაციის ოპტიმალური ტემპის სიდიდეზე, ისინი სოლიდარულნი არიან იმაში, რომ ფასების პროგნოზირებადი და ზომიერი ზრდა ყველაზე სასურველია ჯანსაღი ეკონომიკური ზრდისთვის. რეალურ ცხოვრებაში ბევრი რამ იმაზე მეტყველებს, რომ ინფლაციის მაღალი ტემპების პირობებში განუსაზღვრელობა, მისი მომავალი ტემპების და ფასების დონის თვალსაზრისით, გაცილებით დიდ მასშტაბებს იძენს, ვიდრე სტაბლურობის პირობებში. ამრიგად, ინფლაციის გაძლიერება თავის თავში შეიცავს დამატებით დანახარჯებს განუსაზღვრელობის ზრდის სახით, რომელიც თავის მხრივ, ძვირი ჯდება, ვინაიდან არსებითად აძნელებს დაგეგმვას. ინფლაცია აშინებს ადამიანებს და არ შეიძლება ეს არ შევაფასოთ. ხანდაზმული ადამიანები შეშფოთებულნი არიან, რომ ინფლაციის მოულოდნელმა აფეთქებამ შეიძლება მინიმუმამდე დაიყვანოს მათი

აქტივების რეალური ღირებულება. ხანდაზმულ ასაკში მთავრობის ან საკუთარი შვილებისაგან დამოკიდებულებაში მათი დაყენებით. ასეთი შიში უსაფუძვლო როდია, რამდენადაც მსგავსი რამ უკვე ბევრგან მოხდა ცხოვრებაში.

არსებობს ინფლაციის პრობლემის გადაჭრის სამი მთავარი გზა, ესაა: 1) ინფლაციის საწინააღმდეგო ქმედების სტრატეგიის შემუშავება ფისკალურ-ფულადი პოლიტიკის მეთოდებით. 2) შეიძლება ისეთნაირად შევცვალოთ თვით ფისკალურ-ფულადი პოლიტიკის ხერხები, რომ ინფლაციის ტემპების შემცირებით ისინი სტაბილურ დაბალ დონეზე შევინარჩუნოთ და 3) შეიძლება უბრალოდ ვისწავლოთ ინფლაციის პირობებში ცხოვრება. ეს ნიშნავს, რომ ყველა ეკონომიკური ინსტიტუტი მთლიანად უნდა იყოს ადაპტირებული ინფლაციის პირობებისადმი. ერთ-ერთი ნაბიჯი ასეთი მდგომარეობის გზაზე ეკონომიკაში იქნებოდა საბანკო სარგებლის განაკვეთებზე კონტროლის გაუქმება და საგადასახადო განაკვეთების კორექტირების მექანიზმის შემოღება, საგადასახადო სისტემაში კორექტივების შეტანა, რომლებიც აღმოფხვრის ინფლაციის ზეგავლენას გადასახადით კაპიტალის დაბეგვრაზე. სხვა სფეროებში ასეთი ღონისძიება შეიძლება გახდეს ინდექსაცია მნიშვნელოვანი მასშტაბებით. ინდექსაცია ავტომატურად იწვევს ინფლაციის ტემპებთან დაკავშირებული მისაცემლების კორექტირებას. რამდენადაც ინფლაცია ცოცხალია, ეკონომიკა სწავლობს მასთან თანაარსებობას, საინფლაციო პროცესებისადმი მსგავსი შეგუება მისი შესაძლო ხარჯების შემცირების საშუალებას იძლევა.

მაღალი ინფლაციის პირობებში არსებობა გულისხმობს შრომით შეთანხმებებში ხელფასის დონის ინდექსაციის პრინციპების ფართოდ გავრცელებას ფასების დონის ზრდის შესაბამისად. ინფლაცია ქვეყნის ეკონომიკაზე შემდეგ ზემოქმედებებს ახდენს: უარყოფითად მოქმედებს კრედიტსა და საკრედიტო სისტემაზე; არღვევს მოთხოვნისა და მიწოდების ნორმალურ სტრუქტურულ თანაფარდობას; ახდენს ქვეყნის საქონელბრუნვის მოშლას ფულადი მიმოქცევის კანონის მოთხოვნების დარღვევის გამო; აძლიერებს სპეკულაციურ ვაჭრობას; ხელს უწყობს კაპიტალის გადადენას წარმოების სფეროდან მიმოქცევის სფეროში, სადაც ის უფრო სწრაფად მიმოიქცევა და მოაქვს უდიდესი მოგება. მივყავართ სამომხმარებლო მოთხოვნის დეფორმაციისაკენ, კერძოდ, მოსახლეობა მიისწრაფის იქითკენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დააღწიოს თავი გაუფასურებულ ფულს; იწვევს ფულადი სისტემის ძირეულ მოშლას ცხადია, ინფლაციის ნეგატიური შედეგების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია. ინფლაციისგან ყველა ზარალდება, ქვეყნის შიგნით არსებული მომხმარებელიც და მწარმოებელიც, ქვეყნის ეკონომიკა კი

ვარდება კრიზისში, საიდანაც გამოსვლა და შემდგომი განვითარება დიდ ძალისხმევას, დროს და მთელი რიგი ანტიინფლაციური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ინფლაციურ პროცესებში ჰიპერინფლაცია ყველაზე დრამატული სიმპტომია იმ ფაქტისა, რომ ეკონომიკა ჩაიძირა ეკონომიკურ პრობლემებში ან ისეთ კონფლიქ-ტებში, რომლისთვისაც თავის გართმევა საზოგადოებას არ შეუძლია არსებული პოლიტიკური სისტემის პირობებში. ჰიპერინფლაცია საშიშია ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელსაც რაიმე აქვს დასა-კარგავი. როდესაც მთავრობა წარუმატებლობას განიცდის ფასების მისაღები სტაბილურობისა და სიმდიდრის განაწილების უზრუნველ-ყოფაში, როდესაც საკუთრება, სამუშაო ადგილები და ეკონომიკური სტაბილურობა უცბად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, ეს კარს უღებს ტოტალიტარულ მთავრობას.

ინფლაცია როგორც ყველგან, ასევე პოსტკომუნისტურ საქართ-ველოში იწვევს უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ძირითადად არსებობს მოსახლეობის ორი ფენა, ღარიბი და მდიდარი. საშუალო ფენა თითქმის მოისპო. ინფლაციის უარყოფითი შედეგები კი კატასტროფულად აისახება ღარიბი ფენის ყოფაზე.

საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და სოციალურ-ეკონო-მიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფლაციის შეფასებას, მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლასა და დარეგულირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფიშერი ს., დორნბუში რ., შმალენზი რ. ეკონომიკა, ტ. IV, თბილისი, 1998.

2. აბესაძე რ. ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუ-შვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.

3. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკსი, თბილისი, 2011.

4. თეთრაული ც. გლობალიზაციის გავლენა ინფლაციურ პრო-ცესებზე. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლი-სადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფე-რენციის მასალების კრებული. ტ. 2, ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბი-ლისი, 2012.

5. ბეგი დ., ფიშერი ს., დორნბუში რ. ეკონომიკა. გამომცემლობა „ცისარტყელა“, 1999.

Tsitsino Tetrauli

ECONOMIC AND SOCIAL RESULTS OF INFLATION IN GEORGIA

Annotation

The given article discusses the regularities of inflation development, are analyzed economic and social results caused by inflation and its regulation mechanisms.

მარინე ცუცქირიძე

ინოვაციური ფაქტორების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში

თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების პირობებში ბიზნესის განვითარება საქართველოში ძირითადად უკავშირდება ეკონომიკურ სისტემებს შორის არსებულ ინტეგრაციული ურთიერთკავშირების გაფართოებას. მათგან მთავარს ევროინტეგრაციული საბაზრო ურთიერთობები წარმოადგენს. მისი ძირითადი მიზანია ბიზნესის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა, რომლის საფუძველი ინოვაციური განვითარებაა. ამიტომ, ინოვაციების გამოყენებას ბიზნესის განვითარებისათვის, მისი უახლესი მეთოდებით წარმართვისათვის, ტექნიკური, შრომითი და რესურსული პოტენციალს გაუმჯობესების მიზანი განაპირობებს. ბიზნესის განვითარებაზე ინოვაციური ფაქტორების გავლენა მისი კონკურენტუნარიანობით, საწარმოო და საბაზრო შედეგებით აისახება და ევროინტეგრაციული პროცესების გააქტიურებას განაპირობებს.

თანამედროვე ვითარებაში მნიშვნელოვან ინოვაციურ ფაქტორებს წარმოადგენს ბიზნესის საქმიანობის ეფექტიანად მართვისათვის საჭირო ინფორმაციული და ტექნიკური საშუალებანი, ინოვაციური, ანუ განახლებული ტექნოლოგიები და შრომის უახლესი მეთოდები. აღნიშნული ფაქტორების გავლენა განაპირობებს ბიზნესის დარგებში ფუნქციონირებადი ფირმების საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მათი მოგებისა და შრომითი შემოსავლების ზრდას. იგი მმართველობითი კაპიტალისა და რესურსების დანახარჯების შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

ინოვაციური ფაქტორების გავლენა ბიზნესის შემოსავლებზე აისახება და ფირმათა საქმიანობაში საბაზრო და საშემსრულებლო

წარმატების მიღწევის, საფუძველს ქმნის. რაც მათი ფუნქცინირების რაციონალურად წარმართვის, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სისტემის გაუმჯობესების მთავარი საშუალებათაგანია. იგი განაპირობებს ბიზნესის როგორც საწარმოო, ასევე საბაზრო შესაძლებლობების გაფართოებას.

საქართველოს ეკონომიკურ სისტემასთან ევროპის საბაზრო და საწარმოო ელემენტების დაკავშირება ინტეგრაციის პროცესის საფუძველზე ხორციელდება. ინტეგრაცია ეკონომიკურ და სოციალურ, საბაზრო პროცესებს შორის სისტემურობის დაცვით მიიღწევა და გამოხატავს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ მწარმოებელთა, ორგანიზაციებისა და სახელმწიფო წარმოებათა შორის მოწესრიგებულ საბაზრო ურთიერთობათა არსებობას. ინტეგრაცია, როგორც ეკონომიკურ ობიექტებს შორის არსებული სისტემური ურთიერთკავშირის გამომხატველი პროცესი, შედგება და აისახება წარმოების დარგობრივი დიფერენცირების ელემენტთა მთლიანობითი ურთიერთკავშირის წარმოქმნის პროცესის შედეგებით.

ასეთი ინტეგრაცია, რომელიც ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებობს, მათ ეკონომიკურ სისტემათა სტრუქტურისა და ფუნქციების საბაზრო ურთიერთობის გზით მოწესრიგების, ურთიერთშეთანხმებულ, საბაზრო მოქმედებათა პროცესს წარმოადგენს. ამავე დროს, განაპირობებს ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი საწარმოო და საბაზრო გარემოს წარმოქმნას, რაც თანამედროვე პირობებში ინოვაციების გამოყენებისა და ფირმათა ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ბიზნესის საქმიანობა და მისი ეკონომიკური სისტემის განვითარების პროცესი უშუალოდ უკავშირდება ევროპული ინტეგრაციული ურთიერთკავშირების წარმოშობას საქართველოსა და საზღვარგარეთის ურთიერთშესაბამის დარგობრივ, საბაზრო, სამეურნეო და სავაჭრო ობიექტებს შორის. ამას ისიც განაპირობებს, რომ მათი ინტეგრაციის დროს ეკონომიკის დარგობრივი და ასევე საწარმოო, ტექნოლოგიური სტრუქტურა, მათი საბაზრო ფუნქციები მოწესრიგებული და ურთიერთშეთანხმებულობის პირობით ფუნქციონირებას ექვემდებარება თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების ვითარებაში.

არსებული ევროინტეგრაციული კავშირები საქართველოსა და სხვა ეკონომიკურ სისტემათა შორის, წარმოადგენს ბიზნესის შემოსავლების ზრდის მიზნით ინოვაციური ტექნოლოგიების შემოზიდვის და დასაქმების საბაზრო პროცესის გაუმჯობესების საშუალებათა ფირმებში გამოყენების აქტიურ და მიზანდასახულ ერთ-ერთ ძირითად საფუძველს.

ინტეგრაციული პროცესების გავლენით, საბაზრო ურთიერთ-კავშირების გაფართოება საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის, საფუძველს ქმნის ფირმათა კონკურენტუნარიანობის ამაღ-ლებისათვის, რაც წარმოებისა და მომსახურების თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიებისა და შრომითი უახლესი სისტემის საშუალებით წარმართვის გზით ხორციელდება. ამასთან ერთად, ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს განვითარებად და ტრან-სფორმაციის გზით წარმოშობილ წარმოებათა ურთიერთწარმმართ-ველ სამეურნეო მოქმედებათა გაერთიანების პროცესს. იგი გამო-წვეულია პოსტკომუნისტური ტრანსფორმციის, ასევე ეკონომიკური და სავალუტო რეფორმების შედეგად. ასეთი ინტეგრაცია მიმართულია ყოველი რეგიონის ფარგლებში არსებული ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენის დასაძლევად, და ამით შრომითი, საშემსრულებლო და საბაზრო განვითარების რთული პრობლემების გადასაწყვეტად. ბიზნესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე იგი შეზღუდულია და ხორციელდება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგების წარმოებასა და საბაზრო სისტემასთან ინტეგრაციული შეთანხმებებით, რომელიც ეკონომიკური, სავალუტო, საკრედიტო და საექსპორტო ურთიერთკავშირის გზით რეგულირდება.

ინტეგრაცია ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთკავ-შირისა და სისტემურობის წარმოქმნის ძირითადი საშუალებაა. ეკონომიკურ სისტემათა განვითარების პროცესი უშუალოდ უკავ-შირდება ინტეგრაციული კავშირების წარმოშობას საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის. იგი მათთან ურთიერთშესაბამი-სობაში მყოფი დარგობრივი, საბაზრო, სამეურნეო და სავაჭრო სისტემების საბოლოო შედეგების ურთიერთგაცვლით აისახება. ინტეგრაციით გამოიხატება ეკონომიკური საქმიანობის ან ეკონომიკის დარგობრივი დიფერენცირების ელემენტთა შორის არსებული ურთიერთკავშირის და მათ შორის საბაზრო ურთიერთობათა წარმოქმნის პროცესი.

ევროინტეგრაციის დროს ეკონომიკურ სისტემათა დარგობრივი და საწარმოო სტრუქტურა და მათი საბაზრო ფუნქციების რეგუ-ლირება ხდება ბიზნესის სისტემის ფუნქციონირების საშუალებით.

ევროინტეგრაცია გულისხმობს ეკონომიკური, სოციალური და საბაზრო საქმიანობის სფეროთა შორის ინტეგრაციული ურთიერთ-კავშირების დამყარებას. ამით იგი დიდ გავლენას ახდენს აღნიშნულ მიზნებთან დაკავშირებული წარმოებისა და მომსახურების სისტემის განვითარებაზე.

ამ მიმართულებით ბიზნესის განვითარებაზე ევროინტეგრაციის გავლენა მნიშვნელოვანია და მის ძირითად ასპექტს წარმოადგენს. ის ასევე განაპირობებს ეკონომიკური, სოციალური დარგებისა და მათი

მომსახურებისათვის აუცილებელ საბაზრო სისტემათაშორის ინტეგრაციის გაფართოებას.

განსაკუთრებით აქტიური როლი ევროინტეგრაციის პერიოდში მიეკუთვნება მისი სოციალური და საბაზრო ასპექტების გაძლიერებას. სოციალური დარგების მომსახურებას, ბიზნესგარემოსა და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საბაზრო სისტემის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ამჟამად მიმდინარე ევროინტეგრაციული პროცესები, რადგან ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეების გამომყენებელ დარგებს, ასევე მათ საბოლოო შედეგებს ბიზნესის სისტემაში გაერთიანებული ფირმების საწარმოო და საბაზრო შედეგებთან, რაც ხელს უწყობს ბიზნესის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში. ამიტომ ევროინტეგრაციის და მასთან დაკავშირებული ინოვაციური ფაქტორების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში გამოიხატება: 1. ეკონომიკური პროცესების გაუმჯობესების გზით განხორციელებული ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების ათვისებასა და დანერგვაში 2. წარმოებისა და მომსახურების, ინფრასისტემური კავშირების ობიექტების წარმოქმნაში; 3. ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნასა და გავრცელებაში განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებსა და მის ეკონომიკურ სისტემებში. 4. ევროინტეგრაციაში მონაწილე დარგებს შორის კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკის იმპორტისა და ექსპორტის გაფართოებაში, მასთან დაკავშირებული საბაზრო პროცესების მოწესრიგებაში.

ინტეგრაციული პროცესები საქართველოს ეკონომიკის სისტემაში საბაზრო ურთიერთობების განვითარების საფუძველზე წარმოიქმნა და ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელ ფაქტორად გვევლინება, რადგან ამით შეიქმნა ინოვაციური პოლიტიკის გატარებისა და ინოვაციური სტრატეგიის განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობა.

საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია სხვა (განსაკუთრებით ევროპის) სახელმწიფოებთან საფუძველს ქმნის ეროვნული ეკონომიკების დაახლოებისა და ურთიერთშეთანხმებული ფუნქციონირებისათვის, ასევე განაპირობებს ევროინტეგრაციის რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების გზით წარმართვას. მისი მართვა, ძირითადად, ბიზნესის განვითარებაზე სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და ფაქტორების ზემოქმედებათა გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

ევროინტეგრაცია ეკონომიკური რეფორმების დროს წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომელიც მოიცავს წარმოების, მომსახურებისა და მათი საბაზრო ურთიერთკავშირების, მათ შორის

ბიზნესის ფუნქციონირების იმ ძირითად არეებს და ობიექტებს, რომლებიც მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის და სოციალური განვითარების თანამედროვე მოთხოვნებთან ურთიერთშესაბამისობაში იმყოფებიან. ამიტომ ევროინტეგრაციის პროცესში ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროა ინოვაციების, მათ შორის იმ ძირითადი ინოვაციური ფაქტორების როლის გაძლიერება, რომელიც აუცილებელია შემოსავლების გაზრდის ან სხვა მიზნით მომუშავე ფირმების სამეურნეო და საბაზრო საქმიანობათა რაციონალურად წარმართვისათვის.

ბიზნესის განვითარების ფაქტორებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინტეგრაციული პროცესები, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება ინტეგრაციის წარმოქმნას საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთკავშირში მყოფ დარგობრივ, საწარმოო და საბაზრო ან სხვა სახის სამეურნეო სისტემებს შორის. ასეთი ინტეგრაცია, როგორც სისტემური პროცესი, ახასიათებს საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი დიფერენცირების ელემენტების საწარმოო ურთიერთკავშირების დამყარებისა და საგარეო საბაზრო ურთიერთობათა წარმოქმნის აუცილებლობას. ევროინტეგრაციის პირობებში ბიზნესის საქმიანობა, მისი წარმოებისა და მომსახურების სისტემის სტრუქტურა და საბაზრო ფუნქციები მოწესრიგებული და რეგულირებადი ხდება. იგი განაპირობებს ბიზნესის ისეთი ობიექტების ეფექტიანად ფუნქციონირებას, რომლებიც იმყოფებიან საგარეო საბაზრო კავშირში და/ან მათთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არსებულ გაერთიანებებს წარმოადგენენ. აღნიშნული საქართველოში არსებული თანამედროვე ბიზნესის შემოსავლების ზრდისა და დასაქმების სისტემის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი საფუძველია.

როგორც ცნობილია, ევროინტეგრაციამ წარმოქმნა საბაზრო ვალდებულებათა განხორციელებისა და ურთიერთკავშირების გაფართოების საჭიროება. იგი წარმოადგენს ბიზნესის სისტემისათვის ინოვაციური სიახლეების მიწოდების და, ამავე დროს, ნოვატორული იდეების გამოყენების საშუალებას.

ამ მიმართულებით ინოვაცია უკავშირდება ისეთი ფინანსური წარმონაქმნის გამოყენებას, რომელიც საბაზრო ურთიერთვალდებულებით დადგენილი პროდუქციისა და ტექნიკის, ტექნოლოგიურ სიახლეთა მიწოდების ან იმპორტის განხორციელებისთვისაა გამიზნული. იგი ბიზნესის სისტემაში ფუნქციონირებადი ფირმების მოგებისა და შემოსავლების ზრდის მიზნით ხორციელდება.

ასეთი ინოვაციური პროცესების წარმართვის მიზნით, ბიზნესის ობიექტებსა და ფირმებში წარმატებით გამოიყენება ინოვაციური

სტრატეგია, რომელსაც საწარმოს საბაზრო სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ბიზნესის ინოვაციური სტრატეგია, მის ურთიერთგანსხვავებულ ფორმათა შემთხვევაში (ტრადიციული, შემტევი, დამცავი, იმიტაციური და სხვ.) ძირითადად დამყარებულია ინოვაციურ ფაქტორებს და ბიზნესის მიზნებთან მათი ურთიერთკავშირის ამსახველ კრიტერიუმებზე.

ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განხორციელებასთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციურ ფაქტორებს: 1. ფირმაში დასაქმების; 2. მისი ტექნიკური დონის სრულყოფის; 3. ტექნოლოგიური სიახლეების – ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისებისა და 4. ფირმათა მართვის ხარისხთან დაკავშირებულ რისკის ფაქტორებს.

დასაქმების ფაქტორების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე განპირობებულია იმით, რომ ინოვაციური სიახლეებისა და შრომის ნოვატორული მეთოდების ათვისების მაღალი დონე ფირმებში დასაქმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ტექნიკური დონის სრულყოფა ძირითადად ინოვაციური ტექნიკის შემოზიდვის და ამისათვის ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირების გაფართოების აუცილებლობას განაპირობებს. წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფის მნიშვნელოვან ფაქტორად ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვა გვევლინება. იგი ძირითადი ინოვაციური ფაქტორი, ბიზნესის საწარმოო სისტემის განვითარებისა და ბიზნესკონტაქტების გაფართოების საფუძველია. ბიზნესის საქმიანობისა და მისი მმართველობითი სისტემის ეფექტიანობა მართვის ხარისხის გაუმჯობესებას უკავშირდება. ამ მიზნით დასახულ მართვის პრობლემათა გადაჭრა კი ამ დროს წარმოქმნილ რისკზეა დამოკიდებული. ბიზნესის შემოსავლების ზრდის მიზანი დაკავშირებულია საბაზრო რისკთან. ამით იგი ინოვაციურ სიახლეთა ექსპორტის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ძირითადს ევროინტეგრაციის პროცესში წარმოადგენს ბიზნესის ისეთი ინოვაციური ფაქტორის მოქმედების გაძლიერება, როგორიცაა დასაქმების სისტემა. ფირმებში წარმოებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მიწოდებასთან ერთად, ბიზნესის წარმატებათა გამსაზღვრელი ფაქტორია დასაქმების საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება და ევროკავშირის ფარგლებში მისი გამოყენება. ეს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთთანამშრომლობის და პროფესიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველთაგანია. ევროინტეგრაციის პირობებში ერთიანი სავალუტო და დასაქმების საბაზრო პოლიტიკის გატარება საფუძველს ქმნის საერთაშორისო ბიზნესის

განვითარებისთვის. ამით შესაძლებელია საქართველოში საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა, მისი დარგობრივი საბაზრო კავშირებისა და არეების გაფართოება, საერთაშორისო კომპანიებისა და კორპორაციების ჩამოყალიბება და ეფექტიანად ფუნქციონირება.

ევროინტეგრაციის ვითარებაში და მის ფარგლებში, საბაზრო კავშირების გაფართოება და ბიზნესის ინოვაციური ფაქტორების ეფექტიანობის ამაღლება საქართველოში, თანამედროვე ეკონომიკური და პროგრესული განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები", თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

2. Berulava G. Female Labor Supply in Georgia. Acollective Model, Proceedings of materials of International Sciencic-Practical conference "Actual Problems of Development of Economy and Economic Science". Tbilisi, Publishing House of Paat Gugushvili Institute of Economics of TSU, 2014.

3. პაპავა ვლ. საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები", თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

4. ცუცქირიძე მ. ბიზნესის ინოვაციური ფაქტორები ევროინტეგრაციის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები", თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.

5. წერეთელი გ. საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები. სამეცნიერო შრომების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობლემები საქართველოში", ტომი I, თბილისი, „მეცნიერება", 2000.

6. მიშინა ვ., არევაძე ნ., ცუცქირიძე მ. საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია კრიზისამდელ პერიოდში. სამეცნიერო შრო-

მების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", ტომი I, თბილისი, „მეცნიერება", 2000.

Marine Tsutskiridze

INFLUENCE OF INNOVATION FACTORS ON BUSINESS DEVELOPMENT AN GEORGIA

Annotation

The article analysis the factors of business development and influence of innovation factors under Eurointegration of Georgian economic system. There are given the characteristics of influencing of results of employment, technical, technological and managerial factors on the activization on business innovation process in Georgia.

დავით ასლანიშვილი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი: გამოცდილება საქართველოსთვის

გერმანიის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების ოდენობა ჩამორჩება აშშ-ს სახელმწიფოს მიერ ემიტირებულ ფასიან ქაღალდებს, თუმცა სანდოობით, ლიკვიდობითა და მოთხოვნის კუთხით ეს ფასიანი ქაღალდი არ ჩამორჩება აშშ-ს ხაზინის ინსტრუმენტს.

გერმანიის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების მოცულობის შესაფასებლად გამოკვლეულ იქნა გერმანიის ფინანსთა სამინისტროს ფინანსური სააგენტოს 2014 წლის ოფიციალური ინფორმაცია.[53]

ამ კვლევამ შემდეგი სურათი წარმოაჩინა:

2014 წლის განმავლობაში გერმანიის მთავრობა აპირებს 205 მილიარდი ევროს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ემისია განახორციელოს, თუმცა, აშშ-სგან განსხვავებით, ის ამცირებს თავის ემისიას 42 მილიარდი ევროს ოდენობით (აქედან 12 მლრდ გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდების და 30 მილიარდი ფულადი ბაზრის ინსტრუმენტი). ამის მთავარი მიზეზია ეკონომიკურ პოლიტიკას შორის სხვაობა – თუ აშშ-ს მთავრობა ახორციელებს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისას სტიმულირებისა და რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკას, რაც დიდი ოდენობით სახელმწიფო ვალის ზრდასა და ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაში

[53]http://www.deutsche-finanzagentur.de/fileadmin/Material_Deutsche_Finanzagentur/PDF/Aktuelle_Informationen/bund_fact_sheet.pdf.

გამოიხატება, გერმანიის მთავრობა მკვეთრად ამცირებს დეფიციტს და ექსპორტის სტიმულირების გზით ახორციელებს ეკონომიკის გაჯანსაღებას.

გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, ამერიკულის მსგავსად, იყოფა ვადიანობის მხრივ:

1. ერთ წლამდე ვადის მქონე ფულადი ბაზრის ორი ინსტრუმენტია მიმოქცევაში – 6 თვიანი და 12 თვიანი ბუბილსები, რაც თარგმანში გერმანიის ბუნდესბანკის სახაზინო ვალდებულებას ნიშნავს;

2. 2 წლიანი შატცები, 5 წლიანი ბობლები (ანუ ობლიგაციები);

3.10 და 30 წლიანი ბუნდები. აქედან 10 წლიანი ობლიგაცია, მისი ამერიკული ანალოგის მსგავსად, მიიჩნევა გერმანიის ეკონომიკისა და მაკროეკონომიკური მოლოდინის ინდიკატორად.

არის შემთხვევები, როდესაც გერმანიის მთავრობა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს კონკრეტული მიზნით უშვებს. მაგალითად 1990 წელს გერმანიის მთავრობამ გამოუშვა გრძელვადიანი „ბუნდები“, რომლის მიზანი იყო გერმანიის გაერთიანების დაფინანსება და აღმოსავლეთ გერმანიის ფინანსური სტიმულირება. ამ ბონდებს Fond Deutsche Einheit” (German Unity Fund), ანუ გერმანიის გაერთიანების ფონდი ეწოდა.

თანამედროვე ეტაპზე კი გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი შემდეგი მახასიათებლებით გამოირჩევა:

გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ 2014 წლის განმავლობაში გამოსაშვები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების კალენდარი – ემისია

სახეობა	% წილი 2014 წლის ემისიაში	ცვლილება 2013 წელთან შედარებით (მლრდ ევრო)	2014 წლის მოცულობა	2014 წლის 1 კვარტალი	2014 წლის 2 კვარტალი	2014 წლის 3 კვარტალი	2014 წლის 4 კვარტალი
6 თვიანი ბუბილები	10,7%	-19	22	6	6	6	4
12 თვიანი ბუბილები	10,7%	-11	22	6	6	6	4
ჯამურად ფულადი ბაზარი	**21,5%**	**-30**	**44**	**12**	**12**	**12**	**8**
2 წლიანი შატცები	25,4%	-8	52	13	13	13	13

5 წლიანი ბობლები	23,4%	-3	48	13	12	12	11
10 წლიანი ბუნდები	26,3%	0	54	14	14	13	13
30 წლიანი ბუნდები	3,4%	-1	7	3	2	0	2
ჯამურად კაპიტალის ბაზარი	**78,5%**	**-12**	**161**	**43**	**41**	**38**	**39**

• 2014 წლის განმავლობაში ბუბილსების გამოშვების კუთხით გერმანიის მთავრობა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში აპირებს მკვეთრად შეამციროს ექვსთვიანისა და თორმეტთვიანის ყოველთვიური 2 მილიარდი ევროს მოცულობა;

• 2 წლიანი შატცების ოდენობა 2014 წლის განმავლობაში საორიენტაციოდ იქნება 52 მილიარდი ევრო, რაც 8 მილიარდით ნაკლებია 2013 წლის ოდენობისაგან;

• 5 წლიანი ბობლების კუთხით ასევე დაგეგმილია შემცირება, თუმცა მცირე ზომით – 2014 წლის ემისია 3 მილიარდი ევროთი ნაკლები იქნება 2013 წლის ემისიისა და ჯამურად ბობლების ოდენობა 48 მილიარდი ევროს ტოლფასი იქნება;

• დაგეგმილია ინფლაციაზე კორექტირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ოდენობის ზრდა – თუ 2013 წელს მათი ოდენობა 10 მილიარდი იყო, 2014 წელს ეს რიცხვი 14 მილიარდს გაუტოლდება;

• 10 წლიანი ბუნდების ოდენობა 2014 წელს უცვლელი რჩება და ის 2013 წლის ემისიას უდრის – 54 მილიარდი ევრო;

• 30 წლიანი ბუნდების ოდენობა ჯამურად მცირეა და 7 მილიარდ ევროს უტოლდება, რაც 1 მილიარდით ნაკლებია 2013 წლის ჯამური ემისიისა;

• მთლიანობაში, ჯამური 205 მილიარდი ევროს ემისიის 21,5 პროცენტი, ანუ 44 მილიარდი ევრო მოდის ფულად ბაზარზე (ანუ მათი ხანგრძლივობა 1 წელს არ აღემატება), ხოლო 78,5 პროცენტი კი, ანუ 161 მილიარდი ევრო, კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტია (ხანგრძლივობა 1 წელზე მეტი ვადისაა);

• აღსანიშნავია, რომ 2014 წელს კაპიტალის ბაზარზე გამოსაშვები 161 მილიარდიდან ახალი გამოშვების ოდენობა მხოლოდ 53 მილიარდი ევროა, ხოლო 108 მილიარდი ევრო წინა წლებში გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გადაფარვაა და ახალი ემისიით ძველის ჩანაცვლებას წარმოადგენს;

• მსგავსი ვითარებაა ფულად ბაზარზე – 2014 წელს გამოსაშვები 44 მილიარდი ევროს გერმანული სახელმწიფო ქაღალდიდან 24 მილიარდი ახალ გამოშვებაზე მოდის, ხოლო 20 მილიარდი ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდის გადაფარვას წარმოადგენს

საკმაოდ ინტენსიურია გერმანიის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების მეორადი ვაჭრობა:

• ლიკვიდურობის კუთხით გერმანულ სახელმწიფო ფასიან ქაღალდს ანალოგი არ გააჩნია ევროზონის ქვეყნებს შორის. სხვაობა ყიდვა-გაყიდვის ფასებს შორის 0,048 ნიშნულზეა;

• 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, გერმანიის სახელმწიფო ქაღალდების ოდენობა ღია მიმოქცევაში 1,155 მილიარდ ევროს უტოლდებოდა;

• ყურადსაღებია გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორადი ვაჭრობა. ყოველდღიურად მეორადი ბაზრის ბრუნვა 20 მილიარდ ევროს აჭარბებს, რაც პირდაპირი მაჩვენებელია თუ რაოდენ მაღალია ინტერესი მსოფლიო ინვესტორთა მხრიდან ამ ინსტრუმენტის მიმართ;

• 2012 წლის მონაცემებით გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით წლიურმა ვაჭრობამ 5,372 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო საშუალო თვიური ბრუნვა 448 მილიარდი ევროს ტოლფასი იყო.

ანალიზის კუთხით საკმაოდ საინტერესოა მეორადი ბაზრის მონაცემების ანალიზი და სქემატურ-გრაფიკული ანალიზი, რაც წარმოდგენილია ცხრილით:

გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ ემიტირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის მონაცემები

მლრდ ევრო	ჯამური წლიური ოდენობა				საშუალო თვიური ოდენობა			
	2012	2011	2010	2009	2012	2011	2010	2009
სავაჭრო ბრუნვა[54]	5,372	6,028	5,679	4,609	448	502	473	392
სხვა მონაწილეები	160	157	247	223	13,3	13,1	20,6	18,6

[54] სავაჭრო ბრუნვა წარმოადგენს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე აუქციონის ჯგუფის წევრი ბანკების მიერ დადებულ გარიგებათა ჯამურ ოდენობას. მაჩვენებელში გაერთიანებულია ბობილსების, შატცეს, 10 და 30 წლიანი ბუნდების, აშშ დოლარში ნომინირებული ბუნდებისა და ინფლაციაზე კორექტირებული (იდნდექსირებული) ფასიანი ქაღალდი.

გერმანიის ფედერალური მთავრობის საავალო პორტფელის მოკლე და გრძელვადიანი მართვა შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

• მთავარი ამოცანა: მიღწეულ იქნეს პორთფელის ისეთი სტრუქტურა, რომელიც გრძელვადიან დაბანდებას და გადავადებულ ხარჯებს გულისხმობს. ამასთანავე, ეს სტრუქტურა გამომშვების (გერმანიის მთავრობის) სტაბილურობას და რისკების ამორჩევადობას (ანუ მართვადობას) გულისხმობს;

• სასურველი პორთფელის მიღწევის გზაზე რისკების მართვა და ხარჯების გაწევა საშუალოვადიან პერსპექტივაში;

• დაბალი საპროცენტო განაკვეთი, როგორც ინდიკატორი და სტიმული ეკონომიკის დაკრედიტებისა და აქტივობის გასაფართოებლად.

დასკვნა

1. საქართველოში მიმდინარე დისკუსია სახელმწიფო ვალის (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია), როგორც ნეგატიური მოვლენისა და ქვეყნის ეკონომიკისთვის უარყოფითი მოვლენისა, აზრს მოკლებულია. ამ ინსტრუმენტს ქვეყნის ტაქტიკური და სტრატეგიული გეგმების მიღწევის გზაზე წარმატებით იყენებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფო, მათ შორის ყველაზე განვითარებული და წამყვანი ქვეყანა, როგორიცაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა;

2. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია უნდა იყოს კონტროლირებადი და ეფუძნებოდეს ქვეყნის ინტერესებს. სხვა მხრივ ემისიის ზრდა, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდში არ არის მიზანშეწონილი, რისი მაგალითია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ეს მიდგომა უგულებელყოფილია საქართველოს მიერ;

3. მნიშვნელოვანია სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთის დინამიკაზე დაკვირვება. მიზანშეუწონელია სახელმწიფომ აიღოს ასეთი გზით ვალი, თუ საპროცენტო განაკვეთი არ არის ადეკვატური. ამ მხრივ საქართველოს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე სიტუაცია და საპროცენტო განაკვეთი 2-ჯერ და 3-ჯერ აღემატება გერმანულ მაჩვენებელს;

4. ბაზრის განვითარებისთვის აუცილებელია მეორადი ვაჭრობა და მისი ლიკვიდობა, რაც საქართველოში საერთოდ არ არსებობს, და თუ რაიმე გარიგება ხორციელდება, ის უცნობია ფართო საზოგადოებისათვის;

5. მართალია, პირველადი ემისია და განთავსება გერმანიაში ბანკების მეშვეობით ხორციელდება, მაგრამ მათი მეშვეობით და მათ გარეშეც არსებობს შესაძლებლობა სახელმწიფო ფასიანი ქარალდების შეძენისა და გადაყიდვის, რაც საქართველოში, სამწუხაროდ, არ არის განვითარებული.

David Aslanishvili

FEDERAL REPUBLIC OF GERMANY STATE SECURITIES MARKET: EXPERIENCE FOR GEORGIA

Annotation

This article described State Bonds of Federal Republic of Germany, its market, creation, development and current situation. Each class and Issues of State Securities is classified and reviewed. Special attention is focused on terms and condition of emissions, primary and secondary market. Differences and peculiarities of USA and Federal Republic of Germany policy with regard of State securities are explored. In conclusion there is comparative analysis of German experience of this market, its output and risks and how correctly use this instrument during the emission of Georgian State Securities.

ქრისტინე ომაძე

საკრედიტო ბაზრის არსი და თავისებურებები

21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს საბანკო სექტორის სიდიდის თანდათანობითი შემცირება და საკრედიტო ურთიერთობები ახალ ფორმებს ღებულობს ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, როგორიცაა დიზინტერმედიაცია (disintermediation) და სეკიურიტიზაცია (securitization), რომლის შედეგად ძლიერდება კონკურენცია თვით ბანკებს, საბანკო და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებს შორის.

დღეისათვის ფინანსური სისტემის ფუნქციონირების რეალიზაციის გაბატონებულ მექანიზმს წარმოადგენს საფინანსო ბაზარი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბაზარი არის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს მყიდველთა და გამყიდველთა კონტაქტში შესვლას და გარიგების განხორციელებას[55].

საფინანსო ბაზარი კი წარმოადგენს საფინანსო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სისტემას. ყველაზე სრულ ინტერპრეტაციას "ფინანსური ბაზრის" ცნების შესახებ იძლევა ოთხი სეგმენტის: საფონდო ბაზრის, საკრედიტო ბაზრის, სავალუტო ბაზრის და ძვირფასი ლითონების ბაზრის ერთობლიობა[56]. ძვირფას ლითონებს

[55] Тарасевич Л. С. Микроэкономика //Л. С. Тарасевич, П. И. Гредянинков. А. И. Леусский. М., ЮРАИТ. 2003. с. 301.

[56] Баженов С. В. Ссудный капитал и финансовый рынок /С. В. Баженов/ Известия СПБУЭФ. -2006. №1. С. 69.

გააჩნია საკუთარი შიდა ღირებულება და ატარებს დაგროვების ობიექტის მნიშვნელობას, ისინი ფინანსურ აქტივებად გვევლინებიან მხოლოდ თავიანთი მაღალი ლიკვიდობის გამო და მათი ბაზარი ატარებს სპეციფიკურ ხასიათს, ამიტომ მკვლევრები ყველაზე ხშირად საუბრობენ რა საფინანსო ბაზარზე, განიხილავენ ფულის ბაზარს, სასესხო კაპიტალის ბაზარს, საკრედიტო და ფასიანი ქაღალდების ბაზარს, რომელთა საზღვრებმა უკანასკნელ პერიოდში ტრანსფორმაცია განიცადა.

ყველაზე ტიპური თვალთახედვა შესაძლებელია დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: ფულადი ბაზარი ყველაზე ხშირად ასოცირდება საფინანსო ინსტრუმენტების ბაზართან მოკლევადიანი პერიოდით, ჩვეულებრივ ერთ წლამდე ვადით, ხოლო სასესხო კაპიტალის ბაზარი აღიქმება გრძელვადიან ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრად. ავტორთა მთელი რიგი კატეგორია მასში მოიაზრებს ფასიანი ქაღალდების ბაზარსაც[57]. ამავე დროს, ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ქვეშ გულისხმობს საკრედიტო ურთიერთობებს, რომლებიც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების საშუალებით, რომელიც უფრო რეალობასთან მიახლოებული განსაზღვრებაა. მეცნიერთა გარკვეული კატეგორია აიგივებს "სასესხო კაპიტალის ბაზარს" და "საკრედიტო ბაზრის ცნებებს"[58]. ფუნქციონალური განსხვავებების და ძირითადი ნიშან-თვისებების შედარებების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ საერთო და განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია აღნიშნული ფინანსური ბაზრებისთვის (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

ფინანსური ბაზრების ძირითადი სეგმენტების დახასიათება

ბაზარი	ფულადი ბაზარი	სასესხო კაპიტალის ბაზარი	კრედიტების მეორადი ბაზარი	ფასიანი ქაღალდების ბაზარი
1	2	3	4	5
ეკონომიკური არსი	საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება	სასესხო კაპიტალის მოძრაობის მომსახურება და ზრდა	გაცემული სესხების რეფინანსირება მიწოდების გადიდებისათვის	ფონდების მოძრაობის მიმართულება

[57]Ерменееви Н. А. Становление и развития мирового рынка ссудного капиталов. И. Н. Еремеевы.//Вестник БГЭУ. 2004. №2. с. 67.

[58]Авдеенко Т. В. Рынок ссудных капиталов в системе экономических отношений / Г. В. Авдеенко. М., ИСПИ РАН. 2004. с. 16.

მოთხოვნა-მიწოდების ობიექტი	გადასახდელი სახსრები	ოპტიმალური ღირებულება	სეკიურიტი-ღირებული აქტივები და კრედიტები	ფასიანი ქაღალდები
ფასი	ჩვეულებრივ არ აღემატება ინფლაციის ტემპს	ჩვეულებრივ რეფინანსირების განაკვეთზე მაღლა	განისაზღვრება ვაჭრობის პროცესში	განისაზღვრე-ბა ვაჭრობის პროცესში
ვადა	ერთწლამდე	ერთწელზე ზემოთ	ერთწელზე ზემოთ	განისაზღვრე-ბა გამოშვების პირობებით
საკუთრე-ბის უფლება	გადაეცემა მყიდველს	ინარჩუნებს კრედიტორი	გადაეცემა მყიდველს	რჩება ემიტენტთან

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის კვლევის შედეგად.

საკრედიტო ბაზარი თავის ფუნქციას ასრულებს საკრედიტო ურთიერთობის საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს დაკრედიტების სპეციფიკურ ფორმებს, სახეებს და მეთოდებს. საკრედიტო ურთიერთობათა ფუნქციონირება გარკვეული ხარისხით კავშირშია საფინანსო ბაზრის ყველა სეგმენტთან. შესაბამისად, საკრედიტო ბაზარი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ტრადიციული კვანძი სასესხო კაპიტალისა, სადაც მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება ფულადი კრედიტი და საკრედიტო ხელშეკრულება. საკრედიტო ბაზრის სივრცე მოიცავს სასესხო კაპიტალს, რომელიც, თავისში აერთიანებს ანაბრების და დეპოზიტების ბაზარს, კრედიტების მეორად ბაზარს და ნაწილობრივ ფულად და საფონდო ბაზრებს.

ინსტიტუციური ნიშნის მიხედვით თანამედროვე საკრედიტო ბაზარი შედგება ორი უმთავრესი კვანძისგან: პირველი, საკრედიტო სისტემისაგან (სხვადასხვა საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების ერთობლიობა) და ფასიანი ქაღალდების ბაზრისგან (იხ. სქემა 1), რომელიც, თავის მხრივ, შედგება პირველად ფასიანი ქაღალდების ბაზრისგან, საფონდო ბაზრისა და არასაფონდო ბაზრისგან, რომელზეც ხორციელდება ისეთი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, რომლებიც არ შეიძლება გაიყიდოს ბირჟაზე. ჩემ მიერ გაანალიზებული და მეცნიერულად შესწავლილი თვალსაზრისიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია შემოვიტანო საკრედიტო ბაზრის (credit Market) შემდეგი განმარტება: საკრედიტო ბაზარი არის იურიდიულად მოქმედი დახვეწილი მექანიზმი, რომელიც საკუთარი

ფუნქციების რეალიზაციას ახორციელებს საკრედიტო ურთიერთობების საშუალებით, გააჩნია საკუთარი სტრუქტურა და ინფრასტრუქტურა, რომლის საშუალებითაც მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ახორციელებს საკრედიტო რესურსების აკუმულირებასა და მოძრაობას ეკონომიკური პროცესების კვლავწარმოების ეფექტიანობის უწყვეტობისათვის.



სქემა 1. საკრედიტო კაპიტალის ბაზრის ინსტიტუციური სტრუქტურა

Kristine Omadze

CORE PRINCIPLES AND FEATURES OF CREDIT MARKET

Annotation

This article investigates the essence of the credit market and its component parts. Reviewed recent changes and changes as a result of this research proposes a new definition of the credit market.

ეთერ ნარიმანიშვილი

სოფლის მეურნეობის დარგების რაციონალური გადაადგილების ძირითადი პრინციპები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაადგილება, მისი რაციონალური განაწილება ქვეყნის ტერიტორიაზე რაიონების და მხარე-

ების მიხედვით, გაფართოებული კვლავწარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულ-ტურების სწორი განაწილება უზრუნველყოფს დამატებითი წმინდა შემოსავლის მიღებას, რაც ძირითადი და საბრუნავი ფონდების თავისდროული და ხარისხობრივი აღდგენის საშუალებას იძლევა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისუფლებიდან გამომდი-ნარე, დარგთა და კულტურათა გადაადგილება სოფლის მეურ-ნეობაში არსებითად განსხვავდება. სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებაზე შრომის გადანაწილებასთან ერთად, ადგილი აქვს, აგრეთვე, ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით შრომის დანა-წილებას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაადგილება მისი ცალკეული დარგებისა და კულტურების ტერიტორიულ-სივრცობრივი განაწილების რთულ პროცესს წარმოადგენს, რომლის შეფასება შესაძლებელია ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა ამა თუ იმ კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოება რეგიონში და თითო-ეული რეგიონის ხვედრითი წილი საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობაში. საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადაადგილების ეკონომიკური ეფექტის შეფასება ხდება რიგი ნატურალური ღირებულებითი მაჩვენებლის მიხედვით, რომელთა შორის გამოსაყოფია წარმოების მოცულობა, ასორტიმენტი, პროდუქციის ხარისხი, დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებასა და ტრანსპორტირებაზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოსავალი სავარგულის ერთეულზე, გაწეული კაპიტალური დაბანდებების ამოგების ვადები, წარმოების რენტაბელობის დონე და ა.შ.

წარმოების რაციონალურ გაადგილებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ტექნოლოგიური პროგრესიც, რადგან დარგთა და კულტურათა სწორი გაადგილება ასტიმულირებს მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღებზე, სპეციალურ ტექნიკასა და სხვა ძირითად და საბრუნავ საშუალებებზე, რითაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშე-ნებლობის, ქიმიური, კომბინირებული საკვებისა და მრეწველობის სხვა დარგების და ქვედარგების განვითარების მძლავრ იმპულსს იძლევა რეგიონში. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორი გაადგილება არა მარტო უზრუნველყოფს მიწის, ფულად-მატე-რიალური და შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებას, არამედ მინიმუმამდე ამცირებს პროდუქციის არარაციონალური გადაზიდ-ვებით გამოწვეულ დანახარჯებს. როცა საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეცია-ლიზაციისა და გაადგილების საკითხს ვიხილავთ, უნდა ვიცოდეთ, რომ პირველი და ყველაზე ძირითადი შემზღუდველი ფაქტორი

რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობებია: სხვა სიტყვებით, შეიძლება იყოს ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ყველა ფაქტორი, მაგრამ არ იყოს სათანადო სიმაღლე ზღვის დონიდან, წლიურად საჭირო საშუალო ტემპერატურა და ა.შ. ასეთ პირობებში, დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი, მევენახეობის განვითარებაზე კურსის აღება ეკონომიკურად არამიზანშეწონილია.

მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურები გაადგილებულია მათთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მათ შორის იწყება კონკურენტული ბრძოლა კონკურენტულ მეურნეობაში ყველაზე შეზღუდული ფაქტორისათვის. ყველაზე ხშირად შეზღუდულ რესურსად სოფლის მეურნეობაში მიწის რესურსი გვევლინება. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით გასათვალისწინებელია იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა კონკურენცია, რომლებიც დამუშავებაში მყოფ მიწაზე არის გაადგილებული. ცხადია, რაც მეტ შემოსავალს იძლევა მრავალწლიანი ნარგაობა და რაც მეტი რესურსები გამოიყოფა მათთვის, მით უფრო ნაკლები მიწის, შრომითი და სხვა საწარმოო რესურსები დარჩება შედარებით ნაკლებ ინტენსიური ერთწლიანი კულტურებისათვის. ასეთ პირობებში მეურნეობაში ჩამოყალიბებულმა საწარმოო სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყოს შედარებით ინტენსიური და ნაკლებ ინტენსიური დარგების ისეთი ოპტიმალური შეთანაწყობა, რომლის დროსაც მაქსიმალური ეფექტიანობით იქნება გამოყენებული როგორც მიწის, ასევე შრომითი და მატერიალური რესურსებიც. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების დროს მხედველობაშია მისაღები ასევე სამომხმარებლო ბაზრების ადგილმდებარეობა, გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა განლაგება, სატრანსპორტო კვანძების არსებობა და სხვა ის პირობები, რომლებიც არსებითად განსაზღვავს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართულებას, არამედ ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების სტადიებზე არსებული დანაკარგების საერთო მოცულობასაც. ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით, მალფუჭებადი და არატრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოების გაადგილება, როგორც წესი, ხდება მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების კვანძების ახლოს, ხილისა და ბოსტნეულის – საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა გაადგილების ზონაში. ზემოაღნიშნული პრინციპით გაადგილდება აგრეთვე მარცვლეულის ელევატორები, ხილ-ბოსტნეულის საცავები და სასაწყობო მეურნეობები. ამა თუ იმ მხარეში კარგად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ქმნის უკეთეს შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების რაციონალური გაადგილებისთვის, საწარმოო სპეციალიზაციის გაღრმავებისა და კონცენტრაციის დონის ამაღლებისთვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებაზე მოქმედებს სხვა მრავალი ფაქტორიც, მათ შორის ქვეყანაში მიღებული ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდის მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების პოლიტიკა, შრომის საერთაშორისო პრინციპი და სხვა. ამასთან, ჩამოთვლილ და განხილულ ფაქტორებს შორის უპირველესი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია. ეს ფაქტორები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გაადგილებას და წარმოების და ეფექტიანობის დონეს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების შემზღუდველი ფაქტორი, გარდა ზემოაღნიშნულისა, შესაძლოა აღმოჩნდეს წყალსაცავების, ნაკრძალების, პარკების და ბუნებისდამცავი სხვა ობიექტების სიახლოვე, განსაკუთრებით მსხვილი სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების, მეღორეობის მსხვილი ფერმებისა და მეფრინველეობის ფაბრიკებისათვის ვლინდება წარმოების იმ საშუალებათა გამოყენების შეზღუდვა, რომელიც აუცილებელია მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებაზე ადრე მოქმედი შემზღუდავი ცალკეული ფაქტორის როლი თანდათან მცირდება. მაგალითად, ინფრასტრუქტურისა და საერთო ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების კვალობაზე, სატრანსპორტო სისტემის გავლენა თანდათან სუსტდება. უფრო მეტიც, თანდათან სუსტდება წარმოების გაადგილების გავლენა მეურნეობის შედეგებზე. ეს თეზისი მტკიცდება განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნების მაგალითზე. თუმცა ამ ქვეყნებში არსებობს არსებითი რეგიონული განსხვავება წარმოების საშუალებებსა და პროდუქციის ფასებზე, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს წარმოების სპეციფიკაციისა და ინტენსიურობის დონეზე.

დასასრულ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებაზე ამა თუ იმ რეგიონში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიწათსარგებლობის ტიპი და მეურნეობათა სიდიდე. მცირე ნაკვეთებად დაყოფილი სავარგულები არ იძლევა საშუალებას თანამედროვე მაღალი წარმოების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისთვის, ხოლო მეტად დიდი ზომის მეურნეობის ექსპლუატაცია იწვევს ქარისმიერი ეროზიის წარმოშობის და ეკოსისტემის ცოცხალი ორგანიზმების ბიომრავალფეროვნების განადგურების საფრთხეს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილების პრინციპების სრული დაცვა უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების გადიდებას, ხარისხის ამაღლებას, წარმოების ხარჯების შემცირებას და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა.,წერეთელი გ., მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, „მეცნიერება", თბ., 2003.

2. ანდღულაძე რ., ქეშელაშვილი ო., სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, „საბჭოთა საქართველო”, თბ., 1992.

3. ანდღულაძე რ., იობაშვილი ა., საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენებით, თბ., 2005.

4. ბურკაძე ვ., მჭედლიშვილი ვ., სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ძირითადი მიმართულებები ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, თბ., 1997.

5. ბურკაძე ვ., ქეშელაშვილი ო., საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის მიზნები, თბ., 1999.

6. კუნჭულია თ., საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პირობები, „მეცნიერება”, 1997.

7. ლაჭყეპიანი ნ., სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და განლაგება, თბ., 1957.

Eter Narimanishvili

EFFECTIVE FUNCTIONING MECHANISM OF AGRICULTURAL ECONOMIC RESOURCES

Annotation

The following requirements have to be taken into account for effective development of tax system: maximum awareness of taxes, stimulating of investment policy; taxes should not give stimuli of production cut, but increase. We believe that in the case of excessive normative manufacturing limit taxes should be decreased according to growth rate of product. It should also be noted that systemic formation of market mechanism allows producers to develop more efficient operation, which is directly related to material dependence in the results of working.

თამარ დუდაური

კრიზისულ სიტუაციაში ფირმის ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავება

კრიზისული სიტუაციები და კომპანიების გაკოტრება წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ ელემენტს, რომელიც ემსახურება მის გაჯანსაღებას და აღწარმოებისა და მისი სისტემური

თვისებების შენარჩუნებას. სამრეწველო კომპანიებისათვის, რომლებიც აღმოჩნდნენ კრიზისულ სიტუაციაში და რომელთა მიმართაც აღძრულია საქმე გაკოტრების შესახებ, იწყება ყველა შიდა სისტემის განუსაზღვრელი, წრფივი, ძნელად მართვადი ტრანსფორმაციის პროცესი შეზღუდული ფინანსური და დროითი რესურსებისა და გარე კონტრაგენტების ზეწოლის პირობებში.

საზოგადოდ მიღებულია, რომ კრიზისის პირობებში არ მუშაობს მართვის სტანდარტული ინსტრუმენტები. ანტიკრიზისული მართვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები კარდინალურად განსხვავებულია: მთავარ პოზიციაზე, რაციონალურობისა და პერსპექტიულობის მაგიერ, იძულებულნი არიან, განიხილონ გადაუდებლობისა და ფინანსური უზრუნველყოფის პრინციპები. ანტიკრიზისული მართვის თეორია და პრაქტიკა ხაზს უსვამს იმ პრიორიტეტული ღონისძიებების სასწრაფო გამოყენების მნიშვნელობას, რომლებიც მიმართულნი არიან გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის სწრაფ აღდგენაზე. ამიტომაც მიჩნეულია, რომ წამყვან როლს ანტიკრიზისულ მართვაში თამაშობს ფინანსური მენეჯმენტი, რომელიც წყვეტს ფინანსური ნაკადების მართვის ამოცანებს. ანტიკრიზისული მართვის სისტემაში სტრატეგიული მენეჯმენტი წარმოადგენს მეორეხარისხოვან ელემენტს. კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც დგება გაკოტრების საშიშროება, მას ცვლის ხანგრძლივვადიანი დაგეგმვა, რომლის მიზანს წარმოადგენს პერსპექტივაში კომპანიის სრული ფინანსური სტაბილიზაცია.

ჩვენი აზრით, კრიზისული სიტუაციიდან ფირმის გამოყვანის პროცდურებში გამოყენებული უნდა იქნეს სწორედ სტატეგიული მიდგომები, რომლის მიზნობრივ ორიენტირად აღებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნილებების სამართლიანი დაკმაყოფილება. მთავარი პინციპი ამ დროს უნდა იყოს ფირმის ან მისი ცალკეული საწარმოო ელემენტების გადარჩენა.

ნებისმიერი ფირმის ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრისათვის ცნობილია მისი ორი ზოგადი ვარიანტი: სტრატეგია “რომ არ წააგო” და სტრატეგია “გაიმარჯვო”, მაგრამ, როგორც ერთი, ისე მეორე სტრატეგია გვთავაზობს ბაზარზე ადგილის შენარჩუნების ან ახალი ბაზრის დაკავების გააზრებულ და არგუმენტირებულ პროგრამას. “თანაცხოვრების” პოლიტიკა, როგორც ეკონომიკის პასიური ვარიანტი, დანახარჯების არც ერთი მნიშვნელოვანი სტატიით არ შეესაბამება ზემოთ მოყვანილ სტრატეგიებს, იმისდა მიუხედავად, რომ განსაზღვრულწილად წარმოადგენს ამ სტრატეგიების აუცილებელ ელემენტს. ცალკე აღებული “თანაცხოვრების” პოლიტიკას, რომელიც არ არის მიბმული რომელიმე ზემოთ ხსენებულ

სტრატეგიასთან, რომლებშიც გააზრებულია შენარჩუნებისა და ახალი ბაზრების დაკავების ქმედებები, შეგვიძლია ვუწოდოთ "კაპიტულანტური" პოლიტიკა.

იმისათვის, რომ დაპროგრამდეს ქმედებები, მიმართული ბაზრის შენარჩუნებას ან მოპოვებაზე, აუცილებელია იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც მიმართულია სამომხმარებლო ფასეულობების ფორმირებაზე და უზრუნველყოფს გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ზრდას პროდუქტზე, რომლის რეალიზაციასაც ახორციელებს კომპანია ბაზარზე.

კრიზისულ სიტუაციაში კომპანიამ შესაძლოა შეიმუშაოს სხვადასხვა სტრატეგია. კარგი სტრატეგია უზრუნველყოფს მდგრად კონკურენტულ უპირატესობას და კომპანიის ეფექტიანობის ამაღლებას. ამ დროს კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს ისეთი სტრატეგიები, როგორებიცაა:

1. კაპიტალის ამოღებისა და ლიკვიდაციის სტრატეგია.
2. კურსის შეცვლისა და რესტრუქტურიზაციის სტრატეგია.
3. დაუკავშირებელი დივერსიფიკაციის სტრატეგია.
4. საერთაშორისო დივერსიფიკაციის სტრატეგია.

ფირმაში ანტიკრიზისული მართვის პროგრამის არსი მდგომარეობს იმ ღონისძიებების სისტემის რეალიზაციაში, რომელიც შეადგენს ანტიკრიზისული მართვის პოლიტიკას და გამიზნულია ფირმის საქმიანობის ნორმალიზაციაზე. კრიზისულ სიტუაციაში მყოფი საწარმოს ანტიკრიზისული სტრატეგიისადმი არსებული მიდგომების ანალიზის საფუძველზე გთავაზობთ კრიზისულ სიტუაციაში სტრატეგიის შემუშავების ალგორითმს.

ცხრილი 1

კრიზისულ სიტუაციაში ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავების ალგორითმი

	შემადგენლობა	**სპეციფიკა**
ეტაპი 1	სტრატეგიული ბაზის განსაზღვრა	ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოძიება
ეტაპი 2	კრიზისის წინა ისტორიის სტრატეგიული ანალიზი	კონტრაგენტებთან ურთიერთობის ისტორიის ანალიზი
ეტაპი 3	კრიზისის შემდგომი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა	განვითარების ახალი პერსპექტივების ძიება, რომლებიც აუცილებლად იქნება ხელსაყრელი არა მხოლოდ თავად ფირმისათვის, არამედ გავლენის განსაზღვრული ჯგუფებისათვისაც

ეტაპი 4	სტრატეგიული პოზიციის განსაზღვრა	სტრატეგიაში მონაწილეთა მიზნების პირდაპირი ან ირიბი ჩართვა
ეტაპი 5	განვითარების გზის არჩევა	ფირმის გარე გარემოსთან ინტეგრაციის ფორმის განსაზღვრა
ეტაპი 6	ორგანიზაციული მოდელის აგება	კლიენტზე ორიენტირებულობის ძირითადი ელემენტების დადგენა, რომლებიც გამოდიან ავტონომიური ბიზნესერთეულების როლში
ეტაპი 7	ფუნქციონალური ქვესისტემების შემუშავება	საკვანძო ქვესისტემების შემუშავება დაინტერესებული მხარეების პოზიციების გათვალისწინებით
ეტაპი 8	კონტროლინგის სისტემის შემუშავება	დაინტერსებული მხარეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მაჩვენებლების დადგენა

ეტაპი 1. სტრატეგიული ბაზის განსაზღვრა. კრიზისულ სიტუაციაში სტრატეგიული მართვის ამ ეტაპზე უნდა განისაზღვროს ძირითადი, საბაზო ატრიბუტები, რომელთა გამოყენება შეიძლება, როგორც კოორდინატთა სისტემის მენეჯერებისათვის.

ეტაპი 2. სტრატეგიული ანალიზი. ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ეკონომიკურ დასაბუთებას. ამიტომ, სტრატეგიის შემუშავების პროცესში მენეჯერის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მიმდინარე და "გასაანგარიშებელი" სიტუაციის სისტემური და ხარისხობრივი ანალიზი. გასაანგარისებელი სიტუაციის ქვეშ იგულისხმება ის, რომელიც უნდა დადგეს მომავალში სტრატეგიით განსაზღვრულ დროში. უკვე ამ ეტაპზე ხდება ბიზნესის მომავალი მოდელის ელემენტების ჩადება, ვინაიდან თანდათანობით ყალიბდება წარმოდგენები ფირმის პერსპექტიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ეტაპი 3. კრიზისის შემდგომი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ამ ეტაპზე ხორციელდება პერსპექტიული იდეების ძიება, რომელიც ეხება ფირმის ხანგრძლივვადიან განვითარებას. სრულიად ნათელია, რომ კომპანია, რომელიც ადგას კრიზისული განვითარების გზას, ხასიათდება საქმიანობის არაეფექტური ორგანიზაციით. ამიტომ, ჩამოყალიბებული თანმიმდევრობა, სტრუქტურა და ფირმის კულტურაც კი მოითხოვს კრიტიკულ გადახედვას. მნიშვნელოვანია განვითარების იმ ახალი პერსპექტივების ძიება, რომლებიც ხელ-

საერელია არა მხოლოდ ფირმის, არამედ გავლენის ცალკეული ჯგუფებისათვისაც.

ეტაპი 4. სტრატეგიული პოზიციის განსაზღვრა. ამ ეტაპზე შემუშავებული ცოდნისა და პერსპექტიული იდეების პლატფორმა საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ ფირმის სასურველი პოზიცია, ბიზნესის მოდელი მომავალში. პოციზიის რეგლამენტირებას ახორციელებენ მისიისა და მიზნების ოფიციალური ფორმულირების მეშვეობით. აბსტრაჰირებული სახით მიზნები წარმოადგენს იმ საკვანძო შედეგებს, რომლისკენაც მიისწრაფის ფირმა.

ეტაპი 5. განვითარების გზის არჩევა. კრიზისულ სიტუაციაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარების გზის არჩევას, ანუ რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან სტრატეგიული გეგმის შერჩევას. ე.ი. მოცემული ეტაპისათვის აუცილებელია განვითარების ალტერნატივების არსებობა, რომელთაგან თითოელი მიმართულია დამტკიცებული მიზნების ეტაპობრივ მიდწევაზე. ცალკე აღებული განვითარების ალტერნატივებისათვის შემუშავებული უნდა იყოს რიგი პრინციპული გადაწყვეტილება:

1. საკვანძო ბიზნესპროცესების (ბიზნესერთეულების) განსაზღვრა;
2. ფირმის გარე გარემოსთან ინტეგრაციის განსაზღვრა;
3. კრიზისული სიტუაციის განმუხტვა;
4. სტრატეგიული განვითარების ფინანსირების მოცულობის, წყაროსა და ვადების განსაზღვრა.

ამავდროულად, კონკრეტული ალტერნატივის არჩევის შემდეგ, უარი უნდა ითქვას იმ ამოცანებსა და პროექტებზე, რომლებიც არ შეესაბამება მას.

ეტაპი 6. ორგანიზაციული მოდელის აგება. ამ ეტაპზე ფირმის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკის გამოყოფის საფუძველზე ხდება მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტების ურთიერთქმედების ოპტიმალური ორგანიზაციული მოდელის შემუშავება. ჩვენი მოსაზრებით, კრიზისული სიტუაციის გადაწყვეტისათვის აუცილებელია, შეიქმნას ორგანიზაციული მოდელი, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- სტრუქტურის მოქნილობა და დინამიურობა;
- რამდენიმე დაინტერესებული მხარისათვის მოდელში ურთიერთხელსაყრელი პუნქტების ჩართვა;
- შემადგენელი ელემენტების კლიენტზე ორიენტირება;
- ყველა ბიზნესერთეულის ერთიან სისტემაში საერთო მიზნობრივი ორიენტაციით ინტეგრირება;
- ყველა პროცესის გაზომვადობა და კონტროლირება.

ეტაპი 7. ფუნქციონალური ქვესისტემების შემუშავება. ამ ეტაპზე უნდა განისაზღვროს ღონისძიებები ფირმის საკვანძო ფუნქციონალური ქვესისტემების უკეთ ორგანიზაციისა და გაუმჯობესებისათვის. ჩვენი აზრით, კრიზისულ სიტუაციაში ფირმის ყველაზე მნიშვნელოვან ქვესისტემებს წარმოადგენს:

1. საფინანსო ქვესისტემა. მას მიეკუთვნება აღრიცხვისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ოპტიმიზაციის საკითხები. იგი უნდა ეფუძნებოდეს კომპლექსურობისა და ყაირათიანობის პრინციპებს.

2. საწარმოო ქვესისტემა. იგი მოიცავს საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციის საკითხებს. ისინი უნდა მოწესრიგდეს პროცესული, ქსელური ურთიერთქმედების საფუძველზე.

3. მარკეტინგული ქვესისტემა. მის კომპეტენციას მიეკუთნება რეალიზაციისა და გაყიდვების სტიმულირების პრობლემები. იგი უნდა ეფუძნებოდეს მომხმარებლის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას, რომელიც მიმართული იქნება მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

4. პერსონალის მართვის ქვესისტემა. იგი პირველ რიგში მოიცავს ცვლილებების მიმართ თანამშრომელთა მოტივაციის საკითხებს, მათ გადამზადებასა და განვითარებას. იგი უნდა ემსახურებოდეს მათი შემოქმედებითი და საწარმოო პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას.

ეტაპი 8. კონტროლინგის სისტემის შემუშავება. კრიზისულ სიტუაციაში ფირმის განვითარების სტრატეგიის შემუშავების დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენს კონტროლინგის სისტემის აგება. ამ დროს განისაზღვრება შემდეგი საკითხები:

1. საწარმოს განვითარების მაჩვენებელთა ჯგუფი;
2. მათი შეფასების მეთოდიკა და მექანიზმი;
3. კორექტირების განხორციელების ტექნოლოგია.

პროცესული მიდგომის პრინციპებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფების შეფასება: პროცესების, პროდუქტებისა და კლიენტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაჩვენებლების. პროცედურაზე მონაწილეთა მნიშვნელოვანი გავლენის გათვალისწინებით, ჩვენ გთავაზობთ შეფასდეს ცვლილებები მათ მოლოდინში, ანუ მათი კმაყოფილება პროცედურების მიმდინარეობით.

შეფასების მექანიზმები და მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს მიღებულ მაჩვენებლებს და ისინი შესაძლებელია იყოს როგორც რაოდენობრივი (გაზომვები), ასევე ხარისხობრივი (გამოკითხვა, ანკეტირება, ექსპერტიზა).

კორექტირების ტექნოლოგიის განსაზღვრა გულისხმობს სტრატეგიის რეალიზაციის გეგმა-გრაფიკის შემუშავებას საკონტროლო

თარიღების გამოყოფით, რომლებზედაც ხდება გასაანგარიშებლად აღებული მაჩვენებლების შეფასება. ასევე, ამ დროს მუშავდება განვითარების ალტერნატიულ ვარიანტზე გადასვლის პროცედურა.

შემოთავაზებული ალგორითმის ნოვაცია მდგომარეობს იმაში, რომ სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების ყოველ ეტაპზე პრიორიტეტულ ფაქტორს წარმოადგენს ფირმის გარემომცველი გარემო.

სტრატეგიის შემუშავების მოყვანილი ალგორითმის გამოყენება შეიძლება კრიზისულ სიტუაციაში მართვის გეგმის შედგენისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Каплан Роберт С., Нортон Дейвид П. Организация, ориентированная на стратегию. Как в новой бизнес-среде преуспевают организации, применяющие сбалансированную систему показателей / Пер.с англ. - М.: ЗАО "Олимп-Бизнес", 2004. – 416с.
2. Томпсон-мл., Артур, А., Стрикленд III, А., Дж. Стратегический менеджмент: концепции и ситуации для анализа, 12-е издание: Пер. с англ. – М.: Издательский дом «Вильямс», 2006. – 928с.
3. Ансофф И. Новая корпоративная стратегия. - Спб.: Питер Ком, 2005. - 416с.
4. Бычков В. Антикризисная стратегия предприятия: инновационный подход. http://www.crisis-strategy.ru/content/view/152/171/

Tamar Dudauri

DEVELOPMENT OF ANTI-RECESSIONARY STRATEGY OF FIRM IN A CRISIS SITUATION

Annotation

The article gives grounded principles and the algorithm of building strategies for industrial companies, being in a crisis situation. This algorithm considers contradictions between companies participants that can be used in making the plan of external management of the above mentioned in a crisis situation.

თეიმურაზ გოგოხია

ფირმის მარკეტინგული სამსახურის როლი და მნიშვნელობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში

შესაბამის მარკეტინგულ ლიტერატურაში, რომელიც ემპირიულ კვლევებს ეხება, ფირმებში მარკეტინგული ორგანიზაციის მნიშვნელობა გამოკვეთილად არის აღნიშნული.

ცნობილია მარკეტინგული ორგანიზაციის შესახებ ემპირიული გამოკვლევების სამი წამყვანი მიმართულება, რომელიც შემდეგ თემატიკას მოიცავს: 1. მარკეტინგული ფუნქციის სტრუქტურული ლოკალიზაცია; 2. მარკეტინგული საქმიანობის ბუნება და არეალი და 3. მარკეტინგული ფუნქციის გავლენიანი როლი [*Workman, John P, Jr,, Christian Homburg, and Kjell Cruner,* 1998; *Harris L. C. and Ogbonna E.,* 2003].

ჩვენი სტატიის მიზანია, შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით, თანამედროვე ემპირიული გამოკვლევების შედეგების განხილვა, რომელიც ფირმის შიგნით მარკეტინგული სამსახურის წამყვან როლს, უპირატეს სტატუსსა და გავლენას ეხება, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე. ერთი სიტყვით, ჩვენ შევეხებით ემპირიული ხასიათის გამოკვლევებს, რომელიც ფირმაში მარკეტინგული ფუნქციის როლს ეხება.

საერთოდ ცნობილია, რომ მარკეტინგული ფუნქციის განხორციელებისა და ორგანიზაციის უამრავი კონცეფცია და ხედვა არსებობს. მათ შორის განსხვავებები კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებითაა განპირობებული. ამიტომ, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გარემო პირობებში ფუნქციონირებადი ფირმები სხვადასხვა მარკეტინგული ორგანიზაციის ფორმებით (მათ შორის, ტრადიციული, თანამედროვე და შერეულით) ხასიათდებიან [*Piercy, N. and Cravens, D. W.,* 1999].

აქედან გამომდინარე, ფირმის სხვა ბიზნესფუნქციების მიმართ მარკეტინგული ფუნქციის განხორციელებისა და ორგანიზაციის და, შესაბამისად, ფირმის სხვა ფუნქციონალური სამსახურების მიმართ მარკეტინგული სამსახურის ფორმირებისა და მისი წამყვანი და გავლენიანი როლის პრობლემა ძალზე აქტუალურია ცვალებადი გარემო ვითარების პირობებში მოქმედი ფირმებისათვის, განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფუნქციონირებადი ფირმებისათვის.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ფირმების წარმატების მიღწევაში ძლიერი და გავლენიანი მარკეტინგული სამსახურების აუცილებლობის შესახებ შეხედულების პოპულარობა მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში პიკს აღწევდა. მაგრამ, უკვე 90-იანი წლების ბოლოსთვის, ეს მოსაზრება აკადემიური წრეების გარკვეულ ნაწილში ეჭვის ქვეშ დადგა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მარკეტინგული ფუნქციის უფრო პერსპექტიულ და ძალზე გავლენიან მომავალს პროგნოზირებდა [*Harris L. C. and Ogbonna E.,* 2003].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინამდებარე სტატიაში მიმოვიხილავთ წარმოადგენს უკანასკნელი ემპირიული კვლევების შედეგებსა და აღმოჩენებს, მიმოხილვას, რომელიც ქვეყნის კულტურული და ბიზნეს გარემო ვითარების კონტექსტის გათვალისწინებით, ფირმებში მარკეტინგული ფუნქციის წამყვან როლსა და უპირატესი მდგომარეობის შემქმნელ დეტერმინანტებს ეხება.

პირველ რიგში აღსანიშნავია შესწავლილ სამეცნიერო სტატიებში აღწერილი ემპირიული კვლევის ზოგადი სტრუქტურა და მეთოდოლოგია: 1. წინასწარი კონცეპტუალური მოდელის ჩამოყალიბება შესაბამისი ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე; 2. მეცნიერული ჰიპოთეზების ფორმულირება წინასწარი კონცეპტუალური მოდელის საფუძველზე; 3. მონაცემთა შეგროვება, კონცეპტუალური მოდელის სრულყოფა და ჰიპოთეზების დაზუსტება თვისებრივი გამოკვლევის საფუძველზე; 4. ეკონომეტრიკული მოდელის აგება კონცეპტუალური მოდელის შესაბამისად; 5. ეკონომეტრიკული მოდელის შეფასება; 6. გამოკვლევის შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია; 7. დისკუსიები და შემდგომი სამეცნიერო კვლევების მიმართულების დასახვა; 8. რეკომენდაციები პრაქტიკოს მენეჯერებისათვის.

რაც შეეხება ემპირიული კვლევების ზემოაღნიშნულ შინაარსს, დღეისთვის ამ მიმართულებით როგორც დასავლურ (აშშ, გერმანია, ნიდერლანდები, ავსტრალია, დანია, ავსტრია, ლიტვა), ასევე აღმოსავლურ (ჰონკონგი, სინგაპური, ტაილანდი, ტაივანი, ავსტრალია) ქვეყნებში ძალზე ცოტა კვლევაა ჩატარებული.

შესაბამისი ლიტერატურის შესწავლისა და ამერიკული და გერმანული ფირმების ორგანიზაციული კულტურის კონტექსტში განხორციელებული გამოკვლევების საფუძველზე, ავტორების ჯგუფმა, სიტუაციური და კონტექსტუალური ფაქტორების გათვალისწინებით, მარკეტინგული ორგანიზაციის ინტეგრატიული კონცეპტუალური ხედვა ჩამოაყალიბა, რომლის მიხედვით, ორგანიზაციული (როგორც სტრუქტურული, ასევე არასტრუქტურული) ფაქტორები გარემო ვითარების (ფირმის როგორც გარე, ისე შიდაკორპორაციული არეალის) ფაქტორებს უკავშირდება. სხვადასხვა ბიზნესგარემო კონტექსტის გათვალისწინებით, მარკეტინგის როლისა და ორგანიზაციის ცვლილებების თვისებრივი გამოკვლევები განხორციელდა ფირმების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მენეჯერებისა და მარკეტოლოგების გამოკითხვების (ინტერვიუების) მეშვეობით. ავტორებმა ფირმაში არსებული მარკეტინგული ფუნქციის ორგანიზაციული ფორმა და, შესაბამისად, მარკეტინგული სამსახურის, სხვა სამსახურებთან (მაგალითად, საინჟინრო ან კვლევისა და განვითარების სამსახურთან) შედარებით გავლენის უფრო მაღალი დონის

არსებობა ცვალებადი გარემო ვითარებით ახსნეს [*Workman, John P, Jr,, Christian Homburg, and Kjell Cruner,* 1998].

იმავე ავტორთა ჯგუფმა კვლევითი მუშაობა ამ მიმართულებით გააგრძელა და სიტუაციურ და ინსტიტუციურ თეორიებზე დაყრდნობით, ამერიკულ და გერმანულ ფირმებში არსებული მარკეტინგული სამსახურების გავლენიანი მდგომარეობა გამოიკვლია. მათი ემპირიული კვლევის მთავარი მიზანი იყო, გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რა სიტუაციაში ექნება მარკეტინგულ სამსახურს სხვა სამსახურების მიმართ ფირმაში გავლენის უფრო მაღალი დონე და როგორ გაიზომოს ეს უკანასკნელი ფირმაში ისტორიულად ჩამოყალიბებული უნიკალური ინსტიტუციური ასპექტების გათვალისწინებით. ავტორთა მთავარ აღმოჩენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სიტუაციური (როგორც გარე, ასევე შიდა არეალის) და ინსტიტუციური ფაქტორები ფირმაში მარკეტინგული სამსახურის წამყვან და უპირატეს მდგომარეობას დადებითად უკავშირდება, რაც სტრატეგული გადაწყვეტილებათა მიღებას მნიშვნელოვნად განაპირობებს [*Homburg, C., Workman Jr, J.P. and Krohmer, H.,* 1999].

აღსანიშნავია *მურმენისა და რასტის* მიერ ამერიკულ ფირმებში ჩატარებული ემპირიული კვლევა. ავტორებმა შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ჩამოაყალიბეს კონცეფცია, რომლის მეშვეობითაც შეძლეს ფირმის მარკეტინგული ფუნქციის როლისა და ღირებულების ემპირიული გამოკვლევა. მათი ძირითადი დასკვნის მიხედვით, ფირმის შედეგიანობაში მარკეტინგული ფუნქციის დადებითი წვლილი ფირმის საბაზრო ორიენტაციით არის განპირობებული, მარკეტინგი კი წარმოდგენილია როგორც მომხმარებელთან ორგანიზაციის დამაკავშირებელი ფუნქცია [*Moorman, C. and Rust, R.T.,* 1999].

ძალზე საინტერესოა *ჟუს* ემპირიული გამოკვლევა, რომელიც აგრეთვე სიტუაციურ თეორიას ეყრდნობა და ტაივანში ელექტრონული კომერციის სექტორში მოქმედი ფირმების მარკეტინგული სამსახურების გავლენიან მდგომარეობასა და სხვა სამსახურებთან ფუნქციათაშორის ურთიერთობებს ეხება. ამ კვლევის მთავარი შედეგის მიხედვით, ფირმის საბაზრო ორიენტაციასა და ფირმის შედეგიანობას შორის ურთიერთდამოკიდებულებაში მარკეტინგის გავლენიანი და წამყვანი პოზიცია მედიატორის როლს ასრულებს [Wu, J.-J., 2004].

საინტერესოა ისიც, რომ ემპირიული კვლევის ანალოგიური შედეგი სხვა ავტორთა ჯგუფმაც მიიღო, რომელიც, ასევე სიტუაციურ თეორიაზე დაყრდნობით, გერმანიაში სხვადასხვა დარგის ფირმებში მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურების როლს იკვლევდა [*Götz, O., Hansen, A.K., Jo, A.R. and Krafft, M.,* 2009].

ყურადსაღებია მარკეტინგული საქმიანობის როლის ემპირიული გამოკვლევა, რომელიც ერთ-ერთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში განხორციელდა, კერძოდ, ლიტვაში. ავტორებმა შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად კონცეპტუალური ჩარჩო შექმნეს და მის საფუძველზე 4 გამოკვლევა ჩაატარეს (2 გამოკვლევა რეცესიამდელ ვითარებას ეხებოდა და 2 – რეცესიის დროს განხორციელდა). მათ მიერ შემდეგი დასკვნები გაკეთდა: 1. მარკეტინგული ფუნქციის მნიშვნელობის რეიტინგი უფრო მაღალია რეცესიის დროს; 2. მსხვილი ფირმები მარკეტინგული ფუნქციის მნიშვნელობას უფრო აფასებენ, ვიდრე მცირე ზომის ფირმები და 3. გაყიდვების ზრდა მარკეტინგული საქმიანობის მნიშვნელობის რეიტინგთან დადებით კორელაციურ კავშირში იმყოფება [*Urbonavičius and Dikčius*, 2009].

ყურადსაღებია ამერიკულ ფირმებში *მ. სარკისის* მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევა, რომელიც ფირმის რესურსულ კონცეფციას ეყრდნობოდა. ავტორის დასკვნის თანახმად, ფირმის მარკეტინგული ფუნქციის წამყვანი და გავლენიანი სტატუსი ტექნოლოგიურ ოპორტუნიზმსა და ფირმის შედეგიანობას შორის ურთიერთდამოკიდებულებაში მედიატორის როლს ასრულებს [*Sarkees, M.*, 2011].

ამ მიმართულების ემპირიული კვლევა ავსტრალიაში განხორციელდა. მის კონცეპტუალურ საფუძველს ე.წ. „ძალაუფლების თეორია“ წარმოადგენდა. კვლევა ფირმაში მარკეტინგული სამსახურების გავლენიან მდგომარეობას ეხებოდა.

ავტორის დასკვნის მიხედვით, ფირმის შიგნით მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი და წამყვანი როლი შეიძლება გაიზარდოს ძალაუფლების სხვადასხვა ფორმისა თუ ინსტრუმენტის გამოყენებით, განსაკუთრებით ტურბულენტურ საბაზრო პირობებში მოქმედ ფირმებში [*Merlo*, 2011].

ფირმებში მარკეტინგული ფუნქციის ორგანიზაციის შესახებ შესაბამის ლიტერატურაში აღწერილი ემპირიული კვლევების მიმოხილვით შესაძლებელია, გაკეთდეს საერთო დასკვნა, რომ, ზოგადად, სხვა სამსახურებთან მიმართებაში მარკეტინგული სამსახურის წამყვანი როლი და გავლენა (სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას), აგრეთვე, წვლილი ფირმის შედეგიანობაში ძალზე მნიშვნელოვანია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ მარკეტინგული სამსახურის როლი გამოკვეთილად ლიდერის სტატუსით სარგებლობს იმ ფირმებში, რომლის საქმიანობის პოლიტიკა და სტრატეგია საბაზრო ორიენტაციის პრინციპებს ეყრდნობა. თუმცა, აღსანიშნავია რომ, ამავე დროს, მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგო-

მარეობის ხარისხს კულტურული და ბიზნეს გარემო ვითარების კონტექსტი განაპირობებს.

რაც შეეხება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის პირობებში ფუნქციონირებად ფირმებში არსებული მარკეტინგული სამსახურების მდგომარეობასა და სტატუსს, აქაც ანალოგიური ვითარება ვლინდება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ძალზე ცოტა ემპირიული კვლევაა განხორციელებული.

შევეხოთ იმ ემპირიულ კვლევებსაც, რომელიც, ქვეყნის კულტურულ და ბიზნეს გარემო ვითარების კონტექსტის გათვალისწინებით, ფირმებში მარკეტინგული სამსახურის წამყვანი და უპირატესი მდგომარეობის შემქმნელ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სტატუსის განმსაზღვრელ დეტერმინანტებს ეხება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს *ვერჰოევისა და ლიფლენგის* ძალზე ყურადსაღები ერთობლივი გამოკვლევა, რომლის კონცეპტუალური ხედვა შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვას ეყრდნობოდა. ავტორებმა, ჰოლანდიური ფირმების მაგალითზე გამოიკვლიეს მარკეტინგის გავლენიანი მდგომარეობის მიღწევის დეტერმინანტები და ამ უკანასკნელთა წვლილი ფირმის შედეგიანობაზე. აქცენტი გაკეთებული ჰქონდათ ფირმის საბაზრო ორიენტაციის მედიატორულ როლზე ფირმის მარკეტინგული სამსახურის გავლენიან მდგომარეობასა და ფირმის შედეგიანობას შორის არსებულ ურთიერთკავშირებში.

თავდაპირველი ჰიპოტეზების თანახმად, ავტორებს მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგომარეობის შემქმნელ დეტერმინანტებად წარმოდგენილი ჰქონდათ: 1. მარკეტინგული სამსახურის საქმიანობის აღრიცხვიანობა; 2. მარკეტინგული სამსახურის საქმიანობის ინოვაციურობა; 3. მარკეტინგული სამსახურის მომხმარებელთან დაკავშირების უნარიანობა; 4. მარკეტინგული სამსახურის შემოქმედებითობა (კრეატიულობა).

გარდა ამისა, ავტორებმა რამდენიმე სხვა ჰიპოთეზა ჩამოაყალიბეს ფირმის მარკეტინგული სამსახურის გავლენიან მდგომარეობას, ფირმის საბაზრო ორიენტაციასა და ბიზნესშედეგიანობას შორის არსებული ურთიერთკავშირების შესახებ. ემპირიული კვლევის შედეგად გაკეთდა მთავარი დასკვნები: 1. მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი პოზიციის მთავარი შემქმნელი დეტერმინანტები აღრიცხვიანობა და ინოვაცია აღმოჩნდა; 2. მარკეტინგული სამსახურის მომხმარებელთან დაკავშირების როლი მის გავლენიან მდგომარეობას არ ზრდიდა, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო ფირმის საბაზრო ორიენტაციისათვის; 3. მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი პოზიცია დადებით კორელაციაში იყო ფირმის საბაზრო

ორიენტაციასთან, რომელიც, თავის მხრივ, დადებით კორელაციაში ფირმის შედეგიანობასთან აღმოჩნდა [*Verhoef and Leeflang,* 2009].

შექმნილი კონცეპტუალური ჩარჩოს გამოყენებით ავტორებმა, უკვე გაზრდილი შემადგენლობით, კვლევა გააფართოვეს და 7 ქვეყანა (მათ შორის აშშ, 5 ევროპული ქვეყანა და ავსტრალია) მოიცვეს. მათ მიერ გაკეთებული მთავარი მიგნებები და აღმოჩენები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: 1. ინდუსტრიალიზებული ქვეყნების ფირმებს ძლიერი მარკეტინგული სამსახურები უნდა ჰქონდეთ; 2. ფირმაში მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგომარეობა დადებით კორელაციაში იმყოფება მარკეტინგული კვალიფიკაციის მქონე მთავარ აღმასრულებელ ხელმძღვანელთან; 3. კონკურენტული სტრატეგიები ფირმაში მარკეტინგული სამსახურის გავლენიან პოზიციასთან მკვეთრ და ცალსახა კავშირში არ იმყოფება [*Verhoef et al.,* 2011].

აღსანიშნავია *ენგელენისა და ბრეტელის* ემპირიული კვლევა, რომელიც სამ დასავლურ (ავსტრია, გერმანია და აშშ) და სამ აზიურ (ჰონკონგი, სინგაპური და ტაილანდი) ქვეყანაში ჩატარდა. კვლევის თეორიულ საფუძველს სამი კონცეფციის[59] გაერთიანებული მოდელი წარმოადგენდა. ინტეგრირებული კონცეფციის მიზანს წარმოადგენდა მარკეტინგული სამსახურის უნარებსა და მის გავლენიან მდგომარეობას შორის არსებულ კავშირზე სამი ეროვნულ-კულტურული დეტერმინანტის შემარბილებელი ზეგავლენის გამოვლენა. ავტორთა მიერ განხორციელებული ემპირიული კვლევის მთავარი დასკვნის მიხედვით: 1. დასავლურ ქვეყნებში ადრე განხორციელებული კვლევების აღმოჩენების საპირისპიროდ, აზიურ ქვეყნებში აღრიცხვიანობა მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგომარეობის დეტერმინანტს არ წარმოადგენს; 2. ინოვაციურობა და მომხმარებელთან დაკავშირება მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგომარეობის დეტერმინანტებს წარმოადგენს ეროვნულ-კულტურული კონტექსტის მიუხედავად [*Engelen, A. and Brettel, M.,* 2011].

საინტერესოა ავტორთა ჯგუფის მიერ დანიურ ფირმებში განხორციელებული ემპირიული კვლევა, რომელიც, *ვერჰოევისა და ლიფლენგის კონცეფციის* გამოყენებით, წინმსწრებ თვისებრივ გამოკითხვებსა და შემდგომ რაოდენობრივ ანალიზს ეყრდნობოდა. კვლევა მიმართული იყო მარკეტინგის გავლენიანი პოზიციის წინაპირობების (დეტერმინანტების) გამოვლენასა და გარკვევაზე,

[59] ვერჰოევისა და ლიფლენგის კონცეფცია [*Verhoef and Leeflang,* 2009], ჰოფსტედეს კულტურული საზომების კონცეფცია [*Hofstede,* 2001] და ლაჩმანის, ნედისა და ჰაინინგის ორგანიზაციაზე ეროვნულ-კულტურული ღირებულებების ზეგავლენის თეორიული მოდელი [*Lachman, Nedd, and Hinings,* 1994].

დანიის ბიზნეს გარემო კონტექსტის გათვალისწინებით. ამ ემპირიულ კვლევაში აღსანიშნავია ავტორების მიერ ხაზგასმული კულტურული კონტექსტის სპეციფიკა და თავისებურება, რაც ფირმის მარკეტინგული სამსახურის წამყვან და უპირატეს მდგომარეობაზე ახდენდა ზეგავლენას. დანიაში ფუნქციონირებად ფირმებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, ავტორებმა ზემოაღნიშნულ კონცეპტუალურ მოდელში შეიყვანეს ახალი კომპონენტი (მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი სტატუსის შემქმნელი დეტერმინანტი), სახელდობრ, დასაქმებულთა კომპეტენციები [*Beckmann, Suzanne C., Michala Jalving and Sarah Rohde Olsen,* 2013].

დასასრულ, აღსანიშნავია ავტორთა კიდევ ერთი ჯგუფის ემპირიული კვლევის ნაშრომი, რომელიც დასავლური (მაგალითად, აშშ და ევროპა) და აღმოსავლური (მაგალითად, აზია) ქვეყნების დღევანდელ საწარმოებში მარკეტინგის როლის გარკვევას ეხებოდა. კვლევა, შესაბამისად, გამიზნული იყო მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგომარეობის წინაპირობებისა (დეტერმინანტებისა) და ამ უკანასკნელთა ფირმის საბაზრო ორიენტაციასა და შედეგიანობასთან ურთიერთკავშირების გამოვლენასა და დადგენაზე. ავტორთა მთავარი დასკვნა ადასტურებდა, რომ მიუხედავად ფირმის ზომისა, ძლიერი და გავლენიანი მარკეტინგული სამსახური ფირმის შედეგიანობასთან არის დადებით კორელაციაში, როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ქვეყნებში. მათი ძირითადი დასკვნების მიხედვით: 1. მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი როლი ფირმაში მის ვალდებულებებსა და რესურსებზე უფრო მეტად არის დამოკიდებული და ნაკლებად – შიდა სიტუაციურ ფაქტორებზე (მაგალითად, ფირმის კონკურენტულ სტრატეგიაზე ან ინსტიტუციურ მახასიათებლებზე); 2. დასავლური ქვეყნების ფირმებში მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგომარეობა ფირმის შედეგიანობაზე როგორც პირდაპირ, ისე ირიბ (საბაზრო ორიენტაციის მეშვეობით) ზემოქმედებას ახდენს; აღმოსავლური ქვეყნების ფირმებში ეს ურთიერთდამოკიდებულება მთლიანად მედიატურია; 3. დაბალ ხარჯებზე ორიენტირებული სტრატეგიები მარკეტინგული სამსახურის გავლენიან მდგომარეობას დასავლური ქვეყნების ფირმებში აძლიერებენ, აღმოსავლური ქვეყნის ფირმებში კი – არა; 4. მარკეტინგული სამსახურის წამყვანი და გავლენიანი პოზიცია მსხვილ ფირმებში უფრო რესურსებითაა განპირობებული და მცირე ზომის ფირმებში კი – უფრო ვალდებულებებით [*Wirtz, Jochen, Sven Tuzovic, and Volker Kuppelwieser,* 2013].

ფირმებში მარკეტინგული სამსახურების მნიშვნელოვანი სტატუსის შემქმნელი ფაქტორების შესახებ შესაბამის ლიტერატურაში აღწერილი ემპირიული კვლევების მიმოხილვით შესაძლებელია,

გაკეთდეს საერთო დასკვნა, რომ 1. მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგომარეობის ხარისხს კულტურული და ბიზნეს გარემო ვითარების კონტექსტი განაპირობებს და 2. ცალკეული ქვეყნის კულტურულ კონტექსტში შეიძლება დამატებითი დეტერმინანტი ფაქტორი აღმოცენდეს, რომელსაც ძალუძს, ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მარკეტინგული სამსახურის ძალაუფლებრივ სტატუსზე, გააძლიეროს ან დაასუსტოს ეს უკანასკნელი ფირმაში.

ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო იქნებოდა ემპირიული კვლევის განხორციელება საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რომ გაეცეს პასუხი გარკვეულ კითხვებს, სახელდობრ, რამდენად დასტურდება მარკეტინგული სამსახურის მნიშვნელოვანი სტატუსის შესახებ ზოგადი, საყოველთაოდ აღიარებული კონცეპტუალური ხედვის პოზიციები საქართველოს ფირმებში და რომელი დამატებითი (კულტურული, ბიზნესისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით განპირობებული) დეტერმინანტი ფაქტორი აღმოცენდება, რომელსაც ძალუძს აღნიშნულ სტატუსზე ზეგავლენის მოხდენა.

ფირმებში მარკეტინგული ფუნქციის ორგანიზაციის შესახებ შესაბამის ლიტერატურაში აღწერილი ემპირიული კვლევების მიმოხილვით შესაძლებელია გაკეთდეს საერთო დასკვნა, რომ, ზოგადად, სხვა სამსახურებთან მიმართებაში მარკეტინგული სამსახურის წამყვანი როლი, გავლენა (მათ შორის, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების დროს), და, აგრეთვე, ფირმის შედეგიანობაში წვლილი ძალზე მნიშვნელოვანია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ მარკეტინგული სამსახურის როლი გამოკვეთილად ლიდერის სტატუსით სარგებლობს იმ ფირმებში, რომლის საქმიანობის პოლიტიკა და სტრატეგია საბაზრო ორიენტაციის პრინციპებს ეყრდნობა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ, ამავე დროს, მარკეტინგული სამსახურის გავლენიანი მდგომარეობის ხარისხს კულტურული და ბიზნეს გარემო ვითარების კონტექსტი განაპირობებს. ემპირიულმა კვლევებმა ისიც გვიჩვენა, რომ ცალკეული ქვეყნის კულტურულ კონტექსტში შეიძლება დამატებითი დეტერმინანტი ფაქტორი აღმოცენდეს, რომელსაც ძალუძს, ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მარკეტინგული სამსახურის ძალაუფლებრივ სტატუსზე, გააძლიეროს ან დაასუსტოს ეს უკანასკნელი ფირმაში.

რაც შეეხება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის პირობებში ფუნქციონირებად ფირმებში არსებული მარკეტინგული სამსახურების მდგომარეობასა და სტატუსს, აქაც ანალოგიური ვითარება ვლინ-

დება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ძალზე ცოტა ემპირიული კვლევაა განხორციელებული.

ჩვენი აზრით, საინტერესო იქნებოდა მსგავსი ხასიათის ემპირიული კვლევის განხორციელება საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მოქმედ ფირმებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Atuahene-Gima, Kwaku and Haiyang Li (2000). Marketing's Influence Tactics in New Product Development: A Study of High Technology Firms in China. *Journal of Product Innovation Management*, 17 (6), pp. 451–470.

2. Beckmann, Suzanne C., Michala Jalving and Sarah Rohde Olsen (2013). The Role of the Marketing Department in Danish Companies: Drivers for Influence. *42nd EMAC Annual Conference*, Istanbul, June.

3. Carson, David (1968). Marketing Organization in British Manufacturing Firms. *Journal of Marketing.* 32 (April). pp. 34-39.

4. Engelen, A. and Brettel, M. (2011). A Cross-Cultural Perspective of Marketing Departments' Influence Tactics. *Journal of International Marketing*, Vol. 19 No. 2, pp. 73-94.

5. Götz, O., Hansen, A.K., Jo, A.R. and Krafft, M. (2009). The Role of Marketing and Sales in Organizations and its Impact on Performance. *MSI Working Paper Series*, Marketing Science Institute, Cambridge, MA, pp. 29-48.

6. Harris L. C. and Ogbonna E. (2003). The Organization of Marketing: A Study of Decentralized, Devolved and Dispersed Marketing Activity. *Journal of Management Studies*, 40:2, March, pp. 483-512.

7. Hofstede, Geert (2001), *Culture's Consequences: Comparing Values, Behaviors, Institutions, and Organizations Across Nations*. Thousand Oaks, CA: Sage Publications.

8. Homburg, C., Workman Jr, J.P. and Krohmer, H. (1999). Marketing's Influence within the Firm. *Journal of Marketing*, Vol. 63 No. 2, pp. 1-17.

9. Lachman, Ran, Albert Nedd, and Bob Hinings (1994), "Analyzing Cross-National Management and Organizations: A Theoretical Framework," *Management Science*, 40 (1), pp. 40–55.

10. Lazo. Hector and Arnold Corbin (1968). The Organization of the Marketing Department. // in *Marketing Management and Administrative Action.* Steuart H. Britt and Harper W. Boyd Jr.. eds. New York: McGraw-Hill. pp. 65-76.

11. Merlo, O. (2011). The Influence of Marketing From a Power Perspective. *European Journal of Marketing*, Vol. 45 No. 7/8, pp. 1152-1171.

12. Merlo, O. and Bell, S. (2007). The Role of Marketing Departments in Entrepreneurial Firms and its Impact on the Market Orientation-Performance Relationship. *Working Paper Series*, Judge Business School, University of Cambridge.

13/2007 (This paper was presented at the 36th European Marketing Academy Conference in Reykjavik, Iceland, 22-25 May 2007).

13. Moorman, C. and Rust, R.T. (1999). The Role of Marketing. *Journal of Marketing*, Vol. 63, No. 4, pp. 180-197.

14. Piercy, Nigel (1986). The Role and Function of the Chief Marketing Executive and the Marketing Department: A Study of Medium-Sized Companies in the UK. *Journal of Marketing Management*, 1 (3), pp. 265-289.

15. Piercy, Nigel F. (1989). The Role of the Marketing Department in UK Retailing Organizations. *International Journal of Retailing*, 4, 2, pp. 46-65.

16. Piercy, N. and Cravens, D. W. (1999). The Marketing Organization and Management. // In *Encyclopedia of Marketing*. Ed. by M. J. Baker, London.

17. Ruekert, Robert W. and Orville C. Walker, Jr. (1987). Marketing's Interaction with Other Functional Units: A Conceptual Framework and Empirical Evidence. *Journal of Marketing*, 51 (January), pp. 1-19.

18. Ruekert, Robert W., Orville C. Walker Jr., and Kenneth J. Roering (1985). The Organization of Marketing Activities: A Contingency Theory of Structure and Performance. *Journal of Marketing*, 49 (Winter), pp. 13-25.

19. Sarkees, M. (2011). Understanding the links between technological opportunism, marketing emphasis and firm performance: implications for B2B. *Industrial Marketing Management*, Vol. 40 No. 5, pp. 785-795.

20. Tull, Donald S.. Bruce E. Cooiey, Mark R. Phillips Jr., and Harry S. Watkins (1991). The Organization of Marketing Activities of American Manufacturers. *Working Paper No. 91-126*. Cambridge, MA: Marketing Science Institute.

21. Urbonavičius, S. and Dikčius, V. (2009). Perceived Role of Marketing Activities in the Context of Transitional Economy. *Tržište*, Vol. 21 No. 2, pp. 167-182.

22. Verhoef, P.C. and Leeflang, P.S.H. (2009). Understanding the Marketing Department's Influence within the Firm. *Journal of Marketing*, Vol. 73 No. 2, pp. 14-37.

23. Verhoef, P.C., Leeflang, P.S.H., Reiner, J., Natter, M., Baker, W., Grinstein, A., Gustafsson, A., Morrison, P. and Saunders, J. (2011). A Cross-National Investigation into the Marketing Department's Influence within the Firm: Toward Initial Empirical Generalizations. *Journal of International Marketing*, Vol. 19 No 3, pp. 59-86.

24. Webster, F.E. (1997). The Future Role of Marketing in Organizations. // in Donald, R.L. and Katherine, E.J. (Eds.), *Reflections on the Futures of Marketing*, Marketing Science Institute, Cambridge, pp. 39-66.

25. Wirtz, Jochen, Sven Tuzovic, and Volker Kuppelwieser (2013). Role of Marketing in Today Enterprises. Forthcoming in *Journal of Service Management*, 10 June.

26. Workman, John P, Jr,, Christian Homburg, and Kjell Cruner (1998). Marketing Organization: An Integrative Framework of Dimensions and Determinants. *Joumal of Marketing*, 62 (July), pp. 21-41.

27. Wu, J.-J. (2004). Marketing's Influence and Cross-Functional Interaction in ECommerce. *International Journal of Services Technology and Management*, Vol. 5 No. 3, pp. 247-262.

Teimuraz Gogokhia

THE ROLE AND SIGNIFICANCE OF MARKETING DEPARTMENT OF A FIRM IN THE DEVELOPED AND DEVELOPING COUNTRIES

Annotation

The aim of the article is to consider the modern state of empirical researches concerning the leading role and influence of the marketing department within firm on the basis of the corresponding literature review.

The article presents the review of the results of recent empirical researches concerning the determinants creating the leading state and influence of the marketing function in firms taking into account the context of cultural and business environment of a country.

მამუკა ჩიხლაძე

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის პერსპექტივები

2011 წლის იანვარში, ნიუ-იორკში გამართულ Global Infrastructure Leadership Forum-ზე, მსოფლიოს 100 გლობალურ პროექტს შორის დასახელდა "რკინის აბრეშუმის გზის" პროექტი, იგივე ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის ინიციატივას, შესაბამისად, მოსალოდნელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა შეფასდეს როგორც პროექტში ჩართული თითოეული მხარის (საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი), ისე მთლიანად რეგიონის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე და განიხილოს გრძელვადიან პერიოდში.

პირველ რიგში, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი იდეალურად ასახავს რეგიონის ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებას, რადგანაც ეს სარკინიგზო მონაკვეთი ევროპის კონტინენტზე მდებარეობს და აზიასთან სარკინიგზო კავშირის ალტერნატიულ არჩევანს წარმოადგენს.

აღნიშნული პროექტი მთლიანად შეესაბამება ევროპარლამენტის 2001/12/EC და ევროსაბჭოს 91/1440/EEC დირექტივებს, რომლებიც განსაზღვრავს ევროპის სარკინიგზო სექტორის განახლებასა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, აგრეთვე, ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში მონაწილე ქვეყნების ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება 2007 წელს, ხოლო მშენებლობა კი 2008 წელს დაიწყო.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის ძირითადი ტექნიკური პარამეტრების მიხედვით გათვალისწინებულია ახალი ერთლიანდაგიანი ელექტროფიცირებული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა თურქეთის ტერიტორიაზე – 68 კმ, ახალი ერთლიანდაგიანი ელექტროფიცირებული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე – 25 კმ, მარაბდა-ახალქალაქის არსებული მონაკვეთის რეკონსტრუქცია – 164 კმ, სადგურ ახალქალაქში ურიკების შემცვლელი სადგურის მშენებლობა (იხ. ნახ. 1, ცხრილი 1).[60]

ნახ. 1. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის რუკა

[60] იხ. საიტი: http://www.mkrailway.ge/main.php?page=32&lan=geo გადამოწმებულია 28.11.2014.

ცხრილი 1

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის ტექნიკური პარამეტრები

ეტაპი	დასახელება	გამზიდ-უნარია-ნობა მლნ ტონა წ.	გზის კატე-გორია	მაქსიმა-ლური ქანობი, %	მინიმა-ლური რადიუსი, მ.	მთავარი ლიანდა-გების რაოდე-ნობა
I	კარწახი-ახალქალაქი (ახალი ხაზი)	15	I	15	600	1
	ახალქალაქი-მარაბდა-გარდაბანი (რეკონსტ-რუქცია)		I I I	35	300	1
	მარაბდა-თბილისი (რეკონსტ-რუქცია)		I I I	15	300	1
I I	ახალქალაქი-თავფარავანი (რეკონსტ-რუქცია	25	I	18	600	1
	თავფარავანი-მარაბდა (რეკონსტ-რუქცია)		I	18	600	1
	მარაბდა-გარდაბანი (ახალი ხაზი)		I	15	600	1
I I I	კარწახი-გარდაბანი	50	I	15/18	600	2

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის მთლიანი ღირებულება 1 მილიარდ დოლარს აჭარბებს, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე, ჯამში, დაახლოებით 850 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება იგეგმება. საქართველოში განსახორციელებელ სამუშაოებს მთლიანად აფინანსებს აზერბაიჯანის რესპუბლიკა, რომელიც 25 წლიანი ვადით გამოყოფს სესხს 1%-იანი განაკვეთით. თანხის დაფარვა განხორციელდება აღნიშნული სარკინიგზო მონაკვეთის ექსპლუატაციის შედეგად მიღებული მოგებით.

აღსანიშნავია, რომ ფოთის ნავსადგურის გავლით ტაჯიკეთის მიმართულებით გვინეადან და ინდოეთიდან ბოქსიტის ტვირთნაკადმა თურქეთის გეოგრაფიულად მოხერხებული ადგილმდებარეობის მქონე ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურების (იზმირის, მერსინის და ისკან-

დერის) გავლით უნდა იმოძრაოს, მით უმეტეს, რომ ამას ხელს უწყობს ფოთის ნავსადგურში მაღალი ტონაჟის გემების მიღების შეზღუდულობა. მიუხედავად ამისა, საერთო გადაზიდვებში გასათვალისწინებელია სარკინიგზო მდგენელი, კერძოდ, საქართველოს რკინიგზის არსებულ ორლიანდაგიან მიმართულებას დაუბრკოლებლად შეუძლია 2500-3000 ტონის შემადგენლობების გატარება, ხოლო მერსინი-მალათია-ყარსის რთული, მთიანი რელიეფით, მხოლოდ 800-1000 ტონის შემადგენლობა მოძრაობს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მერსინი-მალათია-ყარსის სარკინიგზო ხაზის წლიური გამზიდუნარიანობა 3-5 მლნ ტონას შეადგენს. ყოველივე ეს აუცილებლად იმოქმედებს სატარიფო პირობებზე, რაც, ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, განსაზღვრავს კიდეც ტვირთმფლობელის გადაწყვეტილებას[61].

სავარაუდოდ, შესაძლებელია ფოთის ნავსადგურისათვის განკუთვნილი საკონტეინერო ნაკადის ყარსი-თბილისის მიმართულებით გადართვა (დღესდღეობით საკონტეინერო ტვირთნაკადი ფოთის ნავსადგურის საერთო მოცულობის მხოლოდ 20%-ს არ აღემატება), რადგან აზია-წყნარი ოკეანის და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის რეგიონებიდან წამოსული საკონტეინერო გემები თურქეთის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებს მიანიჭებენ უპირატესობას.

ბათუმის ნავსადგურში თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გატარებისა და შენახვის ინფრასტრუქტურა, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს ნავთობპროდუქტის გადაზიდვის არსებული მიმართულების შენარჩუნებას. რაც შეეხება მშრალ ტვირთებს – მისი მოცულობა ბათუმის ნავსადგურში 1,2 მლნ ტონას შეადგენს, რომელშიც მნიშვნელოვანი ნაწილი უკრაინისა და ბულგარეთის ბორნებით გადაიზიდება.

უკრაინის და ბულგარეთის მიმართულებით საბორნე გადაზიდვები მთლიანად შენარჩუნებული იქნება ფოთის ნავსადგურშიც. უფრო მეტიც, აღნიშნული საბორნე ხაზის გადატვირთვის გამო, პერსპექტივაში, მწყობრში ჩადგება ქერჩი-ფოთი-ბათუმის საბორნე კომპლექსი.

საქართველოს ნავსადგურებში ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის მეშბვეობით, სავარაუდოდ, დაკარგული ტვირთნაკადის კომპენსირება შესაძლებელია ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ფოთის ნავსადგურში ყაზახეთის ხორბლისა და უზბეკეთის ბამბის დასაწყობებისა და ბაზრისთვის მისაღები გასაყიდი ფასების მქონე

[61] იხ. საიტი: APM Terminals Poti გადამოწმებულია 28.11.2014.

პროდუქციის სატერმინალო ქსელის შექმნა. შესაძლებელია აგრეთვე ევროპისათვის დეფიციტური ენერგომატარებლების (გოგირდი, თხევადი აირი) დასაწყობება, დამატებითი საბორნე-საავტომობილო ხაზებისა და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის მიმართულებით ძირითადად იმოძრავებს ახალი ტვირთები ჩინეთიდან და ყაზახეთიდან. წინასწარი გამოკვლევებით, მოსალოდნელია წელიწადში 10 მლნ ტონამდე (ეტაპობრივად) მშრალი და ნაყარი ტვირთების ტრანსპორტირება.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩინეთისა და თურქეთის საქონელბრუნვის ზრდას. ბოლო პერიოდში აღნიშნულ ქვეყნებს შორის საქონელბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სარკინიგზო გათვლებით, გადაზიდვის მოცულობა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მონაკვეთზე, თავდაპირველად, უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში 3-5 მლნ ტონა იქნება, ხოლო შემდგომში (სავარაუდოდ, 5 წლის შემდეგ), ტვირთმფლობელებისათვის მისაღები ტარიფების შემთხვევაში, 5-8 მლნ ტონამდე გაიზრდება (ძირითადი ტვირთები: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, გოგირდი, კოქსი, ქვანახშირი, ხორბალი, მინერალური სასუქები, ფერადი და შავი ლითონი, ლითონის კონსტრუქციები).

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის განხორციელება ასევე მნიშვნელოვანია ზერბაიჯანის რესპუბლიკისთვის, რადგანაც ზერბაიჯანი-ირანის შემაერთებელი სარკინიგზო მაგისტრალის ასტარა-რეშუ-ყაზვინის მშენებლობით და ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის განხორციელების შედეგად აზერბაიჯანზე გაივლის როგორც მერიდიანული, ასევე განედური ტრასები. ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის ამოქმედება მნიშვნელოვნად გაზრდის აგრეთვე ბაქოს ნავსადგურისა და აზერბაიჯანის რკინიგზის რენტაბელობას. აზებაიჯანის ნავთობგადამუშავების ინდუსტრიაში მოსალოდნელია დამატებითი ინვესტიციების განთავსება.

პროექტის განხორციელების შედეგად საქართველო და თურქეთი ახალ თანამედროვე სარკინიგზო მაგისტრალს მიიღებენ. გასათვალისწინებელია ის გარემობა, რომ პროექტის დაფინანსება განხორციელდება თურქეთისა და საქართველოს მთავრობათა მინიმალური პირდაპირი ფინანსური დახმარებით. ორივე ქვეყანას საშუალება ეძლევა, გაზარდონ ტრანსპორტირების მოცულობა და მიიღონ მოგება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის (განსაკუთრებით თურქეთის აღმოსავლეთის) ეკონომიკურ განვითარებას.

დღეისათვის, საქართველოსა და თურქეთს შორის კავშირი წარმოებს საავტომობილო მაგისტრალების, საზღვაო და საჰაერო

ტრანსპორტის მეშვეობით. საქართველოსა და თურქეთს შორის სარკინიგზო კავშირის დამყარება მიზანშეწონილია, პირველ რიგში, მასობრივი ტვირთების ტრანსპორტირების თვალსაზრისით.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სწრაფი და შედარებით იაფი რეგულარული სამგზავრო გადაყვანების ორგანიზებაც. თავდაპირველად, შესაძლებელი იქნება განრიგით მოძრავი მატარებლით სტამბულიდან თბილისში მგზავრობა და შემდგომ ბაქოში, ტაშკენტსა და ალმა-ატაში. რეგიონში სამგზავრო გადაყვანების ახლებური გააზრება, კერძოდ, მგზავრებისთვის მომსახურების მაღალი დონის სერვისის შეთავაზება, არა მარტო ეკონომიკის და ტურიზმის აღორძინებას, არამედ პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრებასაც შეუწყობს ხელს.

პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოს რჩება აღდგენილი, საერთაშორისო სტანდარტების დონეზე რეკონსტრუირებული მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა (აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ხაზის მშენებლობა 80-იან წლებში განხორციელდა ადგილობრივი დანიშნულების ტვირთების გადატანისა და მომსახურების მიზნით, რადგანაც იგი არ წარმოადგენდა გამჭოლ რკინიგზას, არამედ ჩიხური იყო, ამიტომაც მისი დაპროექტება და აშენება მესამე კატეგორიის ნორმების შესაბამისად მოხდა).

პროექტის მეშვეობით აზიისა და კავკასიის ქვეყნებს გაუჩნდებათ ხმელთაშუა ზღვაზე გასვლის შესაძლებლობა იზმირის, მერსინისა და ისკანდერის ნავსადგურების მეშვეობით.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის განხორციელება აზიურ სატრანსპორტო დერეფანთან ჰარმონიულად ჩართვის წინაპირობაცაა. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ორი სამომავლო პროექტის განხორციელება: ერთი მხრივ, “ტრანსყაზახური” – ყაზახეთისა და ჩინეთის სარკინიგზო ხაზით დაკავშირება (3,070 კმ.) ევროპული ლიანდაგით ჩინეთის საზღვრიდან აქტაუს ნავსადგურამდე და, მეორე მხრივ, ბოსფორის სრუტის ქვეშ სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა. ზემოაღნიშნული და ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტების ერთმანეთთან ჰარმონიული შერწყმით ტრანს-ევროპული და ტრანს-აზიური სისტემები ერთმანეთს კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის განვითარებასა და მის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

Mamuka Chikhladze

BAKU-TBILISI-KARS RAILWAY LINE PERSPECTIVES

Annotation

Baku-Tbilisi-Kars new railway line construction project was nominated among World's 100 global projects. The project represents regional and international initiative. In the frame of the project European railway network (1435 mm gauge) connects with Caucasian and Central Asian railways (1520 mm gauge) via Turkey.

Considering all abovementioned, Baku-Tbilisi-Kars new railway line will facilitates growth of railway transportation, especially container transportation, support country economy growth and deepen trade opportunities with European and Asian countries as well.

მაია ჩინჩალაძე
ანა კურტანიძე

ფინანსური ურთიერთობების არსსა და ფუნქციებთან დაკავშირებული სადისკუსიო საკითხები

საზოგადოება სახელმწიფოს საფინანსო სისტემის ჩარჩოებში ფუნქციონირებს. სახელმწიფო ემსახურება საზოგადოებას და სანაცვლოდ იღებს გადასახადებს. საოჯახო მეურნეობა ეწევა საქმიანობას და იღებს შრომის ანაზღაურებას, სამრეწველო ფირმა აწარმოებს საქონელს, რომელსაც შემდგომ რეალიზაციას უწევს და იღებს შემოსავალს. მიღებული ფულადი შემოსავლები რესურსებისა და პროდუქტების ბაზარზე კვლავაც იხარჯება პროდუქციის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების და სხვა მატერიალური საქონლის შესაძენად. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში ადგილი აქვს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს, ანუ ფულადი ნაკადების მოძრაობას.

საწარმოს შიდა ურთიერთობები მოიცავს სხვადასხვა ურთიერთობებს საწარმოს სუბიექტთა შორის – ფილიალებს, მუშაკებს, აქციონერებსა და ინვესტორებს შორის. მათ შორის ურთიერთობა დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს ფულად ანაზღაურებასთან, მოგების გადანაწილებასთან, საბრუნავი საშუალებების მართვასთან. ესაა ურთიერთობა მომსახურე პერსონალთან, შრომის ანაზღაურება, პრემიები, შეღავათები, ფინანსური დახმარება და ა.შ. აგრეთვე, ურთიერთობა აქციონერებსა და ინვესტორებთან: პრო-

ცენტული გადასახადები და დივიდენდები აქციების და ინვესტიციების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.

ფინანსური ურთიერთობები მოიცავს ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა:

1. საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ფინანსური ანგარიშსწორებით, ჯარიმებით კონტრაქტის პირობების დარღვევის დროს;

2. წარმოების პროცესით მიღებული მოგების განაწილებით.

3. პროცესის ინვესტირებით მიღებული დივიდენდებით და პროცენტებით.

სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის განხორციელებული პრივატიზაციის პროგრამით.

კომპანიების ფინანსური სისტემა იმავე ფუნქციებს ასრულებს, რასაც სახელმწიფო ფინანსური სისტემა, კერძოდ, სახსრების განაწილებასა და კონტროლს. სახელმწიფო ფინანსების ფუნქციებია ეროვნული შემოსავლის განაწილების ფორმირება და სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულება, ადგილობრივი ბიუჯეტის და სხვა ცენტრალური ფონდებიდან გამოყოფა.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ფინანსების მეშვეობით სრულდება მთლიანი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლების გადანაწილება. რადგან, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები უზრუნველყოფს დანახარჯების გადაფარვასა და საწარმოს მოგებას. შემოსავლის ნაწილი ირიცხება: ბიუჯეტსა და ცენტრალიზებულ ფონდებში, რჩება საწარმოს განკარგულებაში სახელფასო ფონდების ფორმირებისათვის, ეკონომიკური სტიმულებისა და დაფინანსების ხარჯების გაფართოებისათვის, წარმოების განვითარებისათვის.

განაწილება და გაცვლა – ეს არის რეპროდუქცირების სხვადასხვა ფორმა, რომელთაც გააჩნიათ ეკონომიკური გამოხატვის ფორმები. მიუხედავად ამისა, ფინანსური ურთიერთობები წარმოადგენს სამრეწველო ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს, ორგანულად არის დაკავშირებული ყველა ეტაპზე რეპროდუქცირების პროცესში და ურთიერთზეგავლენას ახდენენ კიდეც. ეკონომისტების უმრავლესობა, რომლებიც იზიარებენ აზრს, ფინანსების, როგორც სადისტრიბუციო ინტერპრეტაციის არსის მქონე ურთიერთობებზე, ეწინააღმდეგება ფინანსურ ურთიერთობებში დასაშვებ შეზღუდვებს. მრავალფეროვანი დისკუსია ეკონომიკური ხასიათის ფინანსებზე შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

1. ფინანსების არსი და ფინანსური ურთიერთობების საზღვრები.

2. დებატები ფინანსების ფუნქციებზე.

3. კითხვები ფინანსების სუბიექტურობაზე.

პირველი დისკუსიის ჯგუფის მონაწილეები გამოყოფენ ფინანსების ორ ცნებას – სადისტრიბუციო და რეპროდუქციული. რეპროდუქციული კონცეფციის მხარდამჭერთა არგუმენტაცია არის ის, რომ ფინანსური ურთიერთობების გარეშე ვერ განხორციელდება წარმოების პროცესი და ამიტომ არასწორია ფინანსების მიკუთვნება განაწილების კატეგორიასთან. განაწილების კონცეფციის მხარდამჭერები არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ფინანსები აქტიურად მოქმედებს მთელ საწარმოო პროცესებზე. უფრო მეტიც, განაწილების კონცეფციის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი ვ. რადიონოვა აღნიშნავს, რომ ფინანსები წარმოადგენს რეპროდუქციის კატეგორიას. იგი ფინანსური ურთიერთობების წარმოქმნის ადგილს, მათი მოქმედების საზღვრებს, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში მათ სპეციფიკას უსვამს ხაზს და არა მათი გავლენის სფეროსა და მიმართულებებს.

საკამათოა საკითხი ფინანსური ურთიერთობის საზღვრებზე, რომელიც განსაზღვრავს მოცემული კატეგორიის შინაარსს. ზოგიერთი ავტორი ფინანსურ ურთიერთობებს მხოლოდ გამანაწილებლის როლს ანიჭებს და აიგივებს მას ძირითად და საბიუჯეტო დატვირთვასთან. სადღეისოდ, ფინანსური ურთიერთობები საზოგადოებრივი პროდუქტის პირველად გადანაწილებას ემსახურება, საფუძველს უქმნის რა ფულადი ფონდების შექმნას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია აღწარმოების პროცესი.

არსებობს ასევე მოსაზრება, რომ საკრედიტო ურთიერთობები ფინანსური ურთიერთობების ნაწილია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ხასიათის მიხედვით ამ ორ კატეგორიას შორის მსგავსება არსებობს, საკრედიტო ურთიერთობები ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ეკონომიკური კატეგორიაა.

დისკუსიის შემდეგ ჯგუფს წარმოადგენს ფინანსების ფუნქციები. ყველაზე გავრცელებული ფუნქციებია: განაწილება, კონტროლი, რეპროდუქციული სტიმულირება, ფულადი სახსრების ფონდების შექმნა, გადანაწილების და ბრუნვის ფონდების მომსახურება, შემოსავლებისა და დანაზოგების ფონდების შექმნა, ფულადი სახსრების გამოყენება, მარეგულირებელი და სხვა.

მესამე ჯგუფის განხილვა მოიცავს საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია ფინანსების ობიექტურობასა და ფინანსურ ურთიერთობებზე სახელმწიფოს გავლენასთან. მისი მომხრენი ფინანსებს განიხილავენ, როგორც იმპერატიული ხასიათის ფულადი ურთიერთობის სისტემას, რომელიც აღწერს შემოსავლების და ფონდების გადანაწილებას სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკასთან მიმართებაში.

სადისკუსიო საკითხებს მიეკუთვნება აგრეთვე ის ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ახასიათებენ ფინანსების სპეციფიკას, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას. დავა მიმდინარეობს ძირითადად იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა იმპერატიულობა ფინანსების განმსაზღვრელი. მაგრამ, ტერმინი „იმპერატიულობა“ მეცნიერთა მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. ერთნი მიიჩნევენ, რომ იმპერატიულობა ნიშნავს ფინანსურ ურთიერთობებში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, ხოლო მეორენი მას ფინანსური ურთიერთობების ფუნქციონირების წარმომშობ მიზეზად მიიჩნევენ.

ასე რომ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე სისტემატურად ხდება საწარმოო გეგმის კონტროლი. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების კონტროლი აწესრიგებს შიდა საწარმოო, საწარმოთა შორის, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებსა და ზემდგომ დაწესებულებთან არსებულ ურთიერთობებს. კონტროლდება შრომის რაოდენობა და ხარისხი, ძირითადი და საბრუნავი ფონდები, სხვადასხვა ფონდების ჩამოყალიბება და გამოყენება და ა.შ.

აღნიშნული სადისკუსიო საკითხები განსაკუთრებულ კამათს იწვევს ფინანსური ურთიერთობების ფუნქციების განმარტებასთან დაკავშირებით. ამიტომ, უდავოა, ფინანსური ურთიერთობების ეკონომიკური მახასიათებლების საკითხის უფრო ღრმა შესწავლა დიდად დაგვეხმარება სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში ამ კატეგორიის წარმატებით გამოყენებაში, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და ფინანსური ურთიერთობების სისტემის სრულყოფაში.

Maia Chinchaladze
Ana Kurtanidze

DISPUTABLE TOPICS ABOUT THE ESSENCE OF FINANCIAL FUNCTIONS OF THE FINANCES

Annotation

In the present article number of disputable cases existing in finance science are being discussed. Firstly it concerns the economic nature of finances and limits of financial relations, the influence of the government on financial relations as well as qualitative indicators that define the characteristics of the finances as an economic category.

For further elaboration and formation of theoretical problems about the essence and functions of finances, more profound knowledge of economical nature of the finances and its characteristics is needed, to improve the practical management of the finances and scientifically prove the measures that will be directed to finan-

cial improvement of the economy and perfection of systems of financial interconnection.

ბესიკ დავითაძე
ლევან თელია

სარკინიგზო ტრანსპორტის როლი და ადგილი საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში. ანალიზი, პრაქტიკა

ბოლო 20 წლის განმავლობაში ევრაზიის კონტინენტზე სარკინიგზო ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია სარკინიგზო გადაზიდვებზე მოთხოვნის შემცირება, რაც გამოწვეული იყო მოპოვებითსა და მძიმე მრეწველობაში განხორციელებული რესტრუქტურიზაციით, საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებით, მსხვილი ეკონომიკური ბლოკების დაშლით და ზოგ რეგიონში სამხედრო კონფლიქტებით. ახალმა გამოწვევებმა და საბაზრო ეკონომიკის გაფართოებამ აქტუალური გახადა სარკინიგზო ინდუსტრიაში შემოსავლიანობის გაზრდის მოთხოვნილება. ეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებს შეეხო, რომელთა ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში იმყოფება. ამ ქვეყნების ხელისუფლებათა წინაშე დადგა ახალი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც მიზნად დაისახავდა სახელმწიფო მფლობელობაში არსებული სარკინიგზო ინდუსტრიის განახლებას და მისი შემოსავლიანობის გაზრდას.

საქართველოს რკინიგზის ტექნიკური მახასიათებლები დღეისათვის ასეთია: საქართველოს რკინიგზის მთავარი ხაზის საექსპლუატაციო სიგრძე – 1575 კმ, ლიანდაგის სიგანე – 1520 მმ, მაქსიმალური ქანობი – 37 %, მინიმალური რადიუსი – 160 მ, გვირაბების რიცხვი – 45, ხიდების რიცხვი – 1714, ორლიანდაგიანი ხაზების სიგრძე – 290 კმ, ერთლიანდაგიანი ხაზების სიგრძე – 1285 კმ, ვიწროლიანდაგიანი გზის სიგრძე – 37 კმ, წევის სახეობა – მუდმივი დენი 3300 V, ასევე იგი მოიცავს 22 სამგზავრო ფუნქციის მატარებელ ვაგზალსა და 114 სატვირთო სადგურს[62].

საქართველოს რკინიგზა შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპასა და ცენტრალურ აზიას. ამ ორი კონტინენტის

[62] იხ. საიტი: http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=202&lang=geo. გადამოწმებულია 20.11.2014.

სარკინიგზო ტრანსპორტით დაკავშირების იდეა XIX საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა, მისი განხორციელება კი 1865 წელს დაიწყო. 1871 წ. ფოთი-ყვირილას (ახლანდელი ზესტაფონი) მონაკვეთზე გაიხსნა სარკინიგზო მოძრაობა, 1872 წლის 10 ოქტომბერს კი თბილისიდან ფოთში პირველი მატარებელი ჩავიდა. სწორედ ეს თარიღი ითვლება საქართველოს რკინიგზის "დაბადების დღედ". ამ დღიდან დაწყებული, საქართველოს რკინიგზის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. შენდება რკინიგზის ხაზის განშტოებები: რიონი-ქუთაისი (1877), რიონი-ტყიბული (1887) და ზესტაფონი-ჭიათურა (1895). 1890 წლის 16 სექტემბერს დასრულდა წიფის ორლიანდაგიანი გვირაბის მშენებლობა, რომელიც იმ დროისათვის უნიკალურ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნებოდა. საქართველოს რკინიგზის მშენებლობის მეორე ეტაპს განეკუთვნება თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზი, რომელიც 1883 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. ამ მოვლენამ შავი ზღვის საშუალებით, კერძოდ კი ბათუმის პორტიდან, აზერბაიჯანის ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტს ჩაუყარა საფუძველი. 1899 წელს გაიხსნა სარკინიგზო მოძრაობა საქართველოსა და სომხეთს შორის. ბორჯომის ხეობა ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული ინტერესის საგანს, რასაც მისი საკურორტო თვისებები და მსოფლიოში ცნობილი მინერალური წყალი "ბორჯომი" განაპირობებდა. ჯერ კიდევ 1894 წელს აშენდა ხაშური-ბორჯომის სარკინიგზო უბანი, რასაც 1902 წელს დაემატა ბორჯომი-ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზი, რომელიც სათხილამურო სპორტის მოყვარულებსა და ტურისტებს დღესაც ემსახურება[63].

საქართველოს რკინიგზით სამგზავრო გადაზიდვები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებითაც წარმოებს. ბოლო წლებში რკინიგზით სამგზავრო გადაზიდვების მომსახურების ხარისხი მნიშვნელოვნად ამაღლდა. მოძველებული სავაგონე ინფრასტრუქტურა საჭიროებდა მოდერნიზაციასა და განახლებას. მიუხედავად იმისა, რომ სამგზავრო გადაზიდვებით მიღებული შემოსავალი საქართველოს რკინიგზის მთლიანი შემოსავლების მხოლოდ 5%-ია, ამ მიმართულებითაც საინვესტიციო დანახარჯებმა და გაუმჯობესებულმა მომსახურებამ ხელი შეუწყო სამგზავრო გადაზიდვების მატებას.

სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო კორიდორის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ყველა მონაწილე ქვეყანამ

---

[63] გითოლენდია ბ. საქართველოს ტრანსკავკასიური კორიდორის განვითარების ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები. სადოქტორო დისერტაცია. თბ., 2012. გვ. 36-41.

(მათ შორის შუა აზიის ქვეყნებმაც) გაატაროს თანმიმდევრული და ჰარმონიზებული სატრანსპორტო პოლიტიკა.



სურ. 1. სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების თანაფარდობითი მაჩვენებლები[64]

რკინიგზით სატვირთო გადაზიდვების ძირითადი კომპონენტებია ნედლი ნავთობი, ნავთობპროდუქტები და მშრალი ტვირთები. საქართველოს გავლით ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებისათვის ალტერნატიული და გაცილებით იაფი საშუალებაა ნავთობსადენები, თუმცა ისინი ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს ტვირთნაკადების მოცულობას, რაც ზრდის მოთხოვნას საკრინიგზო გადაზიდვაზე. საქართველოს რკინიგზის მთლიან სატვირთო გადაზიდვებში დაახლოებით 30% ნედლი ნავთობია.

საქართველოს რკინიგზის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ახალი ლიანდაგების (გზების) მშენებლობით. აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოთა მეთაურების შეთანხმებით საფუძველი ჩაეყარა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას, რითაც ეს სამი ქვეყანა ერთმანეთს დაუკავშირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ახალი სარკინიგზო ხაზით მოხდება არა მარტო სამგზავრო, არამედ დამატებითი სატვირთო გადაზიდვების განხორციელებაც. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანზიტო კორიდორის გამტარუნარიანობას და ხელს შეუწყობს საქართველოში დამატებითი ტვირთების მოზიდვას.

[64] წყარო: შპს "საქართველოს რკინიგზა"
http://www.railway.ge/portal/alias__Railway/lang__ka-GE/newsid__851/callerModID__3573/tabid__840/default.aspx

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის ფარგლებში დადგენილია სარკინიგზო მაგისტრალის 105 კილომეტრის სიგრძის ახალი მონაკვეთის მშენებლობა, საიდანაც 75 კილომეტრი თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო 30 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის. გარდა ამისა, საქართველოში 183-კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის – ახალქალაქი-მარაბდა-თბილისის რეკონსტრუქცია განხორციელდება, რაც მის გამტარუნარიანობას წელიწადში 15 მილიონ ტონამდე გაზრდის, ასევე, ახალქალაქში იგეგმება სპეციალური პუნქტის მშენებლობა, რომელიც სარკინიგზო რელსების ევროპულ სტანდარტზე გადაყვანას უზრუნველყოფს. ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთი 25 კილომეტრიან სარკინიგზო ხაზს და 1,2 კილომეტრიან სარკინიგზო გვირაბს შეადგენს. პროექტის ტექნიკური დავალების მიხედვით, გათვალისწინებულია მარაბდა-კარწახის მთელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მათ შორის, მიწის, გეოტექნიკური და სადრენაჟო სამუშაოების წარმოება. ასევე, გვირაბის, გზაგამტარებისა და კარწახის სადგურის მშენებლობა. პროექტის შეფასებით, სარკინიგზო მაგისტრალის მთლიანი მონაკვეთის მშენებლობისათვის 422 მილიონი დოლარია საჭირო, აქედან, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სარკინიგზო მონაკვეთისათვის საჭიროა 200 მლნ აშშ დოლარი, ეს თანხა აზერბაიჯანის მთავრობამ გამოყო 1%-იანი სახელმწიფო კრედიტის სახით 25 წლის ვადით. შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით კი მშენებლობა 600 მილიონი დოლარი დაჯდება, პროექტის დასრულება კი 2009 წლისათვის იყო ნავარაუდევი.

უახლოეს წლებში კასპიის ზღვის რეგიონში (ძირითადად აზერბაიჯანსა და ყაზახეთში) მოსალოდნელია ნედლი ნავთობის მოპოვების მნიშვნელოვანი მატება, რაც გამოწვეულია მსოფლიოში ენერგომატარებლებზე მზარდი მოთხოვნით. ბოლო წლებში გამოკვეთილი ტენდენციით, შემოსავლების მაქსიმიზაციის მიზნით ნავთობის მწარმოებელი ქვეყნები ცდილობენ, საკუთარი წარმოებული პროდუქციის მიწოდება თავადვე აწარმოონ საბოლოო მომხმარებლებთან. ამ მიზნის მისაღწევად აზერბაიჯანი და შუა აზიის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები მნიშველოვან ინვესტიციებს ახორციელებენ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში როგორც საკუთარი ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ცხრილი 1

ნავთობის მოპოვების საპროგნოზო მაჩვენებლები

(მილიონი ბარელი დღეში)

	2005	2010	2015	2020	2025	2030
აზერბაიჯანი	0.4	1.1	1.0	1.0	1.1	1.1
ყაზახეთი	1.3	1.9	2.7	3.1	3.4	3.7
თურქმენეთი	0.2	0.2	0.3	0.3	0.3	0.3
უზბეკეთი	0.1	0.2	0.3	0.4	0.5	0.6
სულ, კასპიის რეგიონი	2.0	3.4	4.3	4.8	5.3	5.7

წყარო: International Energy Outlook, Energy Information Administration (EIA)

ხსენებული ტენდენცია საქართველოს რეალობაზეც აისახა. 2008 წლის თებერვალში, ყაზახეთის ნაციონალურმა კომპანია "ყაზმუნეიგაზმის" შვილობილმა კომპანიამ "ყაზტრანსოილმა" შპს ბათუმის ნავთობტერმინალი შეიძინა. ნავთობტერმინალი ახორციელებს ნედლი ნავთობის და სხვა ნავთობპროდუქტების გადატვირთვას ყაზახეთიდან, აზერბეიჯანიდან, თურქმენეთიდან და საქართველოდან. ტანკერებს ნავთობი მიეწოდება სამი ნავმისადგომიდან თანამედროვე სისტემებით, რაც 130,000 ტონაზე მეტი წყალწყვის ტანკერების მომსახურების საშუალებას იძლევა.

Besik Davitadze

Levan Telia

THE ROLE AND PLACE OF THE RAILWAY TRANSPORT CORRIDOR. ANALYSIS, PRACTICE

Annotation

One of the important sectors of Georgia transport system is the railway, the necessity of development of that was put in agenda due to geopolitical location of Georgia and developments throughout the world political events, in addition to the West seeks to diversify transit routes. Because of this, it is necessary to reduce the cost of Georgia railway freight transportation and increase traffic speed. At the same in this year will be terminated construction of "Tbilisi-Kars" railway.

ნათია კახნიაშვილი

სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტი: მიკროდაზღვევა

მსოფლიოში 2 მლრდ ადამიანზე მეტი აბსოლუტურად მოკლებულია ფორმალურ სოციალურ დაცვას. ღარიბებს ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ სადაზღვევო მომსახურებით სარგებლობა, თუმცა სწორედ ისინი არიან ყველაზე მეტად მოწყვლადნი კებისა და ეკონომიკური რყევების მიმართ. ამ სიტუაციის გადაჭრა მოითხოვს მრავალი ქვეყნის მთავრობის, საზოგადოებრიობის, კერძო სექტორის და ა.შ. მონაწილეობას. ამჟამად, მიკროდაზღვევა განიხილება, როგორც ერთ-ერთი ფინანსური მომსახურება, რომელიც ეხმარება რისკის მართვას, სხვა მომსახურება – ეს არის სესხები და მოქნილი დანაზოგი. დონორები ამ პერსპექტიულ, მაგრამ ჯერ კიდევ შეუმოწმებელ სფეროს ფრთხილად უნდა მიუდგნენ.

რა რისკებს აწყდება ღარიბი მოსახლეობა? რისკები მხოლოდ ღარიბებისათვის არ ჩნდება, მაგრამ მათთვის ისინი გაცილებით ხშირად წამოიჭრება და უფრო ძლიერ ფინანსურ ზემოქმედებას ახდენს მათზე. გარდა ამისა, ღარიბების მოწყვლადობა ყოველთვის ძლიერდება, როცა ისინი ზარალს განიცდიან. ძირითადი რისკებია: სიკვდილი, ავადმყოფობა ან ტრამვა, საკუთრების დაკარგვა (გაქურდვა, ხანძარი...) და სტიქიური უბედურება (გვალვა, მიწისძვრა, მეწყერი...).

საქართველოს ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობა რისკებს საკუთარი ძალისხმევით ებრძვის. მრავალი რამ დამოკიდებულია მრავალრიცხოვან არაფორმალურ მექანიზმთან (დანაზოგი, აქტივის გაყიდვა, ნათესავებისა და მეგობრების დახმარება, დანაზოგის როტაცია, სესხის აღება...), რომლითაც სარგებლობენ, რათა მომზადებული შეხვდნენ და დაუპირისპირდნენ ისეთ რისკებს, როგორიცაა ოჯახში მარჩენალის გარდაცვალება, მძიმე ავადმყოფობა, საქონლის გაწყვეტა და ა.შ.

შესაძლებლობის ფარგლებში ღარიბები აქტიურად მუშაობენ რისკების შესამცირებლად, ხშირად არაფინანსური მეთოდებითაც. ჰიგიენის დაცვა, მაგალითად, ინფექციური ავადმყოფობის რისკის შემცირების არაფინანსური საშუალებაა (განსაკუთრებით ბავშვებს შორის). ასეთი მსგავსი მექანიზმია ნათესაური კავშირის გამოყენება რაიმე ბიზნესის წამოსაწყებად. რისკების შემცირების აუცილებლობა ხშირად იწვევს ღარიბი მოსახლეობის მხრივ კონსერვატიული გადაწყვეტილებების მიღებას, განსაკუთრებით ბიზნესის საკითხებში. ღარიბები აგროვებენ დანაზოგს, აქტივს (მაგალითად, პირუტყვი), ყიდულობენ დაზღვევის პოლისს და ბავშვებს მომავალში რისკებთან

დაპირისპირებას ასწავლიან. არაფორმალური საზოგადოებრივი სისტემები (მაგალითად, დამმარხველი საზოგადოება განაში) განსაზღვრულ რისკებს თავიდან გვარიდებენ, მაგრამ ჩვეულებრივ, ასეთი სისტემები ღარიბებს აწოდებენ არაადეკვატურ დაცვას მაღალდანახარჯიანი და განუჭვრეტელი რისკებისაგან, ისეთის, როგორიცაა ოჯახში მარჩენალის ავადმყოფობა.

სერიოზული ეკონომიკური შერყევების შემთხვევაში ღარიბი მეურნეობა კიდევ უფრო დაუცველია მოსალოდნელი რისკების მიმართ. ასეთ სიტუაციაში ღარიბები დასახმარებლად მიმართავენ მევახშეებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ან ბანკებს. მათ აგრეთვე შეუძლიათ ისარგებლონ დანაზოგით, გაყიდონ მოწყობილობა, არ გადაიხადონ სესხი ან შეამცირონ დანახარჯი საზრდოსა და განათლებაზე.

რა არის მიკროდაზღვევა? მასში იგულისხმება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაცვა განსაზღვრული საფრთხისგან რეგულარული გადასახადების (პრემიების) სანაცვლოდ. რა თქმა უნდა, ეს გადასახადები რისკების ალბათობისა და სიდიდის პროპორციულობის უნდა იყოს. ისევე, როგორც დაზღვევის რისკების გაერთიანება მრავალ კერძო პირს ან ჯგუფებს შესაძლებლობას აძლევს, გასწიონ დანახარჯი რისკის დადგომის შემთხვევაში. მიკროდაზღვევა უნდა შეესაბამებოდეს მცირემქონებელთა ძირითად მოთხოვნილებებს რისკებთან დაცვაში (დამოკიდებულება ბაზარზე, სამედიცინო დაზღვევა, ავტომობილის დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა), იგი უნდა იყოს გასაგები და მისაწვდომი.

რა სიძნელეები წარმოიშობა ღარიბი მოსახლეობის დაზღვევისას? მიკროდაზღვევის არსებულ სქემებს, რომლებიც აწვდიან უფრო რთულ მომსახურებას, ვიდრე მსესხებლის დაზღვევაა უძნელდებათ მიაღწიონ თვითგამოსყიდვას. დაზღვევა მოითხოვს სპეციალიზებულ აქტიურ შესაძლებლობებს, რომელიც გულისხმობს მათემატიკური გაანგარიშების გამოყენებას მომავალი რისკების ფულადი მნიშვნელობის განსასაზღვრელად. მიკროფინანსირებაში აქტუალური ანალიზი გართულებულია მოთხოვნების არამდგრადობით დადაბალშემოსავლიანი მოსახლეობის არაფორმალური ბაზრების დამახასიათებელი მონაცემების უკმარისობით. ხშირად აქტუალურ ანალიზს ახორციელებს ერთი ტიპის დაწესებულება (მაგალითად, ფორმალური სადაზღვევო კომპანია), ხოლო სხვა ორგანიზაცია, მაგალითად, მიკროსაფინანსო, ემსახურება ღარიბ კლიენტებს.

ღარიბების უმრავლესობა დაზღვევაში ვერ ერკვევა ან მის მიმართ აქვს წინასწარ შექმნილი აკვიატებული აზრი. მრავალი სკეპტიკურად მიიჩნევს პრემიების გადახდის აუცილებლობას მომავალში შესაძლებელი გადახდის გამო, თუ სადაზღვევო შემთხვევა

არასდროს დადგება. დაზღვევის სარგებლობის ახსნას დიდი დრო და სახსრები სჭირდება. გარდა ამისა, სადაზღვევო კონტრაქტების ფორმულირება ძალზე რთულია ღარიბებისთვის, რომელთაგანაც ბევრს შესაბამისი განათლებაც არ აქვს.

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი ცდილობს, შეაფასოს ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენები და მათი სავარაუდო გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკაზე. საყურადღებოა სახელმწიფო დაფინანსების ადეკვატურობა, სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების ფასები, ასევე მოსახლეობის ფინანსური დაცულობა და კერძო სადაზღვევო სექტორში მიმდინარე ცვლილებები. მაგალითად, 2013 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო დანახარჯი ჯანდაცვაზე, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას; 2014 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 40% აღნიშნავს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის ფინანსური დაცულობა, თუმცა, ამ კუთხით სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა შედარებით გაუარესდა. 2003 წლიდან 2007 წლამდე პროექტი "თემზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაზღვევა" დააფინანსა იაპონიის სოციალური დაზღვევის ფონდ "კურაციო"-მ. პროგრამები საქართველოში შერჩეულ თემებში განხორციელდა. [65] პროექტის მიზანი იყო მოსახლეობის ღარიბი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების დაფინანსების უზრუნველყოფა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მინიმუმ 36 თემში; იმ მიკროდაზღვევის დაკავშირება, რომლებიც ზრდის რისკების პულინგის (რისკების გაერთიანება) მოცულობას და იძლევა ეკონომიკურ ეფექტს სადაზღვევო პროგრამების მართვის საშუალებით.

2013 წლის "საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა" მხოლოდ 48%-ით დაფინანსდა. სრული დაფინანსების შემთხვევაში მოსახლეობის ფინანსური დაცულობის მხრივ საზოგადოება უკეთეს შედეგს მიიღებდა.

მიკროდაზღვევისათვის საჭირო სისტემა, რომელიც ეფექტიანად მოემსახურება ოპერაციას კლიენტებისათვის ხელსაყრელ ადგილზე და გამოიწვევს ნდობას. ძალზე ძნელია ასეთი ტიპის დისტრიბუციის სისტემის პოვნა. პრემიების მიღებისა და კომპენსაციების გაცემის ახალი სისტემის შექმნა ძვირი დაჯდება და ხშირად არაეფექტურია.

---

[65] *წყარო:* http://www.curatiofoundation.org/ge/projects/Closed/temze-dafudznebuli-djanmrtelobis-dazgveva.page ©2014 საერთაშორისო ფონდი კურაციო

აღმოსავლეთ აფრიკაში სადაზღვევო კომპანიამ – ამერიკული სადაზღვევო ჯგუფი **(AIG)** დადო პარტნიორული შეთანხმება რამდენიმე მფოთან ყველა ამ სამი სიძნელის გადასალახავად.[66]

ამისათვის საჭიროა დონორებმა გულდასმით განიხილონ კლიენტთა მოთხოვნილება ფინანსური მომსახურების ყველა სპექტრისადმი რისკების მართვაზე დაზღვევის გადაწყვეტილების მიღებამდე; წაახალისონ კომერციული სადაზღვევო კომპანიები ღარიბთა მომსახურების ჩარჩოში; იმუშაონ მხოლოდ ძლიერ დაწესებულებებთან (სადაზღვევო კომპანიები, მფო) და განახორციელონ მიკროდაზღვევის პროდუქტების სარგებლობის გულდასმითი ანალიზი; განახორციელონ სხვა დონორებთან (კერძო სადაზღვევო კომპანიები, სახელმწიფო) კოორდინაცია; მიკროდაზღვევის ოპერაციებში ისარგებლონ ტექნიკური ექსპერტიზით და გამოიჩინონ მოთმინება სტრატეგიის განსაზღვრაში; გულდასმით აკონტროლონ მიკროდაზღვევის პარტნიორების მუშაობის მაჩვენებლები; საჭიროების შემთხვევაში მიაწოდონ ტექნიკური დახმარება; აუხსნან კლიენტებს მიკროდაზღვევის ხელსაყრელობა და უპირატესობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ 10, გამომც. „სიახლე“, თბ., 2013;

2. ბერულავა გ. ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), თბ, 2013;

3. ბენიძე ნ, ბიწაძე ჯ, სადაზღვევო ბაზრის სეგმენტაცია საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2014;

4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველოს მთავრობა. თბ., 2013 წლის ნოემბერი.

---

[66] *წყარო:* Методологические Указания для Доноров по финансированию Микрострахования. Женева, 2003; Микрострахования: Усоверенствование Управлений Рисками для бедных, 1 и 2 (Люксумбург: АДА, август и ноябръ).

Natia Kakhniashvili

MICROINSURANCE: THE FINANCIAL ASPECT OF POVERTY REDUCTION

Annotation

Microinsurance is the protection of low-income people against certain risks in exchange for regular premium payments, proportionate to the likehood and cost of the risks involved. Pooling of insurance risks enables a person or a group of people to safeguard compensation when the risk occurs. Microinsurance should answer the main demands of low-income people to protect them from the risks (dependence on market, medical insurance, vehicle insurance, life insurance). It should be comprehensible and accessible.

თამარ ქამხაძე
თამარ რუხაძე
ცირა ელგენდარაშვილი

ფირმის სტრუქტურის სირთულის შეფასება და პატტერნ ანალიზის გამოყენება ორგანიზაციულ სტრუქტურებში

თანამედროვე პირობებში ორგანიზების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ფირმის სტრუქტურის შერჩევა. ამ შემთხვევაში, ფართო გაგებით, მენეჯერთა ამოცანას შეადგენს ისეთი სტრუქტურის არჩევა, რომელიც ყველაზე უკეთესად შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მასზე მოქმედ შიდა და გარე ფაქტორებს. საუკეთესო სტრუქტურა არის ისეთი სტრუქტურა, რომელიც ორგანიზაციას გარემოსთან ეფექტური ურთიერთქმედებისა და პერსონალის ძალისხმევის მიზანმიმართული და პროდუქტიული განაწილების საშუალებას აძლევს.

ფირმის სტრუქტურის სირთულის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ფუნქციონალური ამოცანების ხასიათი. ფუნქციონალური ამოცანები განისაზღვრება ფირმის ფუნქციის დანაწილების გზით. ამას ახორციელებენ მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების ანალიზის საშუალებით. ამასთან, აუცილებელია ორი პირობის დაცვა:

1. არ უნდა მოხდეს ფუნქციონალურ ამოცანათა დუბლირება;
2. ფუნქციონალური ამოცანა მიმართული უნდა იყოს ფირმის გარკვეული მიზნის და ფუნქციის შესრულებაზე.

თითოეულ ფუნქციონალურ ამოცანაზე დგინდება: ქვეგანყოფილება, რომელშიც წყდება სხვა ამოცანებთან ინფორმაციული

კავშირები, გადაწყვეტილების საერთო ალგორითმი, შეზღუდვები (მაგალითად, დროში გადაწყვეტა და მიღებული შედეგების სიზუსტე). ფუნქციონალური სტრუქტურის გამოვლენისას რთული და შრომატევადი სამუშაოა ამოცანების საინფორმაციო შემოსვლის და გასვლის განსაზღვრა, რომლებიც, როგორც წესი, ზოგადი დოკუმენტებია. ისინი განისაზღვრებიან, თითოეული ამოცანის მიხედვით მისი გადაწყვეტის ალგორითმის ანალიზის საშუალებით, შემდეგი წესების დაცვით:

1. შემოსავლების ერთობლიობა უნდა მოიცავდეს ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელ ყველა მონაცემს;

2. გასავლების ერთობლიობა უნდა მოიცავდეს ყველა მონაცემს, რომლებიც გამოიყენება სხვა ამოცანებში;

3. საინფორმაციო კავშირების დუბლირება არ შეიძლება.

ფუნქციონალური ამოცანებისა და მათი ინფორმაციული ურთიერთკავშირების გამოვლენის შემდეგ აიგება ფირმის ფუნქციონალური სტრუქტურის პატერნის რაციონალური მოდელი. ეს ხორციელდება ფუნქციონალური ამოცანების სიმრავლის ერთიან ქსელში დაკავშირების საშუალებით, იგი წარმოადგენს ორიენტირებულ წერტილთა სისტემას F (გრაფ):

$$F = (W, U, V, L, T),$$

სადაც W და V არის საზღვრის წერტილთა სიმრავლე (დაგეგმვის და ხელმძღვანელობის ფუნქციონალური ამოცანები);

U – n წერტილთა (მწვერვალთა) შორის ინფორმაციული ურთიერთობების საზღვრის სიმრავლე;

L – V წერტილთა (მწვერვალთა) შორის ურთიერთობების საზღვრის სიმრავლე;

T – N და V წერტილებს შორის ურთიერთობების საზღვრის სიმრავლე.

F წერტილთა სიმრავლე შესაძლებლობას იძლევა, განხორციელდეს ერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფში გადასაწყვეტი ინფორმაციულად დაკავშირებული ფუნქციონალური ამოცანების ერთობლიობათა დეკომპოზიცია რაიმე სიმრავლეებად, ე.ი. ერთმანეთს შორის კოორდინაციული და ინფორმაციული კავშირების მქონე ფუნქციონალური ამოცანების (ელემენტების) სიმრავლიდან დეკომპოზიციის დროს გამოვლინდება მაქსიმალური ქვესიმრავლეები, რომელთა ელემენტები აკმაყოფილებენ ორ პირობას:

- ქვესიმრავლის ყოველი ელემენტის სტრუქტურულ კუთვნილებაში არსებობს იდენტურობა.
- ქვესიმრავლის ორი ნებისმიერი ელემენტი დაკავშირებულია კოორდინატული ან ინფორმაციული კავშირით.

ორგანიზაციის პატტერნ ანალიზით ტარდება ოთხი ურთიერთ-დამოკიდებული ეტაპი.

1. ფირმის სისტემურ-სტრუქტურული აღწერილობა;
2. ორგანიზაციული სტრუქტურის დიაგნოსტიკა;
3. ფუნქციონალური სტრუქტურის გამოვლენა და ანალიზი;
4. პატტერნ ანალიზის შედეგების გამოვლენა.

პირველ ეტაპზე ასაბუთებენ პატტერნ ანალიზის ჩატარების აუცილებლობას, ე.ი. არკვევენ, თუ რამ განაპირობა მოცემული ფირმის სტრუქტურის კვლევის ჩატარება და განსაზღვრავენ მის საქმიანობაში წარმოქმნილ ძირითად პრობლემებს. შემდეგ გამოვლინდება გლობალური მიზნები და საქმიანობის ძირითადი სახეები, რის შემდგომაც აღიწერება ორგანიზაციული სტრუქტურა (განისაზღვრება შედარებით ავტონომიური შემადგენელი ნაწილები და მათ შორის ურთიერთკავშირი) და ხასიათდება ორგანიზაციის გარემოსთან ურთიერთკავშირი.

მეორე ეტაპზე ახდენენ ორგანიზაციული სტრუქტურის პარამეტრების აღწერას და მის შეფასებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

– კოორდინაციულობის დონე (მოცემული სტრუქტურის კოორდინაციული კომუნიკაციების სიმარტივის საზომი);

– ინფორმაციულობის დონე (ინფორმაციული კომუნიკაციების სიმარტივის საზომი);

– ორგანიზაციული სტრუქტურის სირთულის დონე (ორგანიზაციის კოოპერატიული მოქმედებების ეფექტურობის საზომი);

– მდგრადობის დონე (ორგანიზაციის გარემოსთან ადაპტირების საზომი).

ამ ეტაპის სამუშაოები სრულდება პატტერნ ანალიზისათვის სპეციალურად შემუშავებული „ORRO“ კომპიუტერული ინსტრუმენტის დახმარებით. იგი უზრუნველყოფს ინტერაქტიული რეჟიმით მონაცემების შეყვანას, ჩაწერას, კონტროლს, კორექტირებას, ასევე ზემოთ დასახელებული დიაგნოსტიკური შეფასებების მიღებას.

ორგანიზაციული სტრუქტურის დიაგნოსტიკის შედეგები გამოიყენება ორგანიზაციის ფუნქციონალური სტრუქტურის გამოვლენისა და ანალიზის საფუძვლად. ამ მიზნით აიგება ფუნქციონალური სტრუქტურის პატტერნის რეალიციური (მოხსენებითი) მოდელი. მოდელის სირთულის გამო (საშუალო და დიდი ორგანიზაციებისათვის იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ათეული ფუნქციონალური ამოცანისაგან და მათ შორის რამდენიმე ასეული კავშირებისაგან) მისი აგებისა და დეკომპოზიციისათვის გამოიყენება სპეციალური კომპიუტერული ინსტრუმენტი „FIM“. ამ ეტაპის შედეგია – ფუნქციონალურ-სტრუქტურული კომპონენტების

შემადგენლობა მათი ინფორმაციული მახასიათებლებით.

მეოთხე ეტაპზე, პატტერნ ანალიზის ბოლო ეტაპზე, მზადდება (წინა ეტაპების შედეგების საფუძველზე) დასკვნითი ანგარიში. იგი არის ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული ანალიტიკური ფორმულირებებისა და დებულებების (აუცილებელი ახსნა-განმარტებებითა და დამატებებით) კომპლექტი. ანგარიშის დაწერისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პატტერნ ანალიზი, ეს მხოლოდ კვლევის მეთოდია და არა მისი შედეგი. ხოლო მისი დახმარებით მიღებული შეფასებები ჯერ კიდევ არ არის დასკვნები. ამიტომ ანგარიშში არ გამოიყენება სპეციალური ტერმინოლოგია, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ანალიზის სხვა ეტაპებში. მაგრამ ანგარიში მოთხრობას არ უნდა დავამსგავსოთ.

პროფესიონალი კონსულტანტების მოზიდვის აუცილებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ პატტერნ ანალიზის ჩატარების შემთხვევაში, არსებობს რეალური საფრთხე, რომ მიღებული ინფორმაცია და დასკვნები არაობიექტური (დამახინჯებული), რეალურ ვითარებას დაშორებული იყოს. ეს იმით აიხსნება, რომ ტესტირების შედეგებმა შესაძლოა შემდგომში გამოიწვიოს სტრუქტურის ცვლილება, რომელიც შეეხება პირად სტატუსს და ხელფასის ზომას, ხელმძღვანელებს, შემსრულებლებს, მათ შორის, პატტერნ ანალიზის ჩამტარებლებსაც. ერთი სიტყვით, „შიდა კონსულტანტებისაგან“ ძნელად მოსალოდნელია ორგანიზაციული სტრუქტურის ნაკლოვანებების ობიექტური შეფასება და მათი წარმოქმნის ჭეშმარიტი მიზეზების გამოვლენა. ასეთი ანალიზის საფუძველზე რეორგანიზაციის შემდეგ ხშირად წარმოიქმნება ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც, როგორც ცუდი ფუნდამენტი, მუდმივად შექმნის დესტაბილიზაციის მომენტებს (პერსონალის კარგად შერჩევის შემთხვევაშიც) და ხელს შეუწყობს კონფლიქტური სიტუაციების შექმნას.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ დიდი, წარმატებულად მომუშავე ფირმები კარგად უძალიანდებიან და ეგუებიან გარემოს ცვალებად პირობებს. სტაბილური სტრუქტურებისა და ცალკეული ელემენტებისა და ნაწილების ფუნქციების მაღალი დაბლობის (ცვლილების) წყალობით ისინი ადვილად ადაპტირდებიან ახალ პირობებში. ისეთ ფირმებს, მიუხედავად მათი განსხვავებული მიზნებისა, პირადი მისწრაფებებისა, ხელმძღვანელების გამოცდილებისა და ინტელექტისა, გამოყენებული მეთოდებისა და სხვა ფაქტორებისა, თავდაპირველად ჰქონდათ სტრუქტურული პარამეტრები, რომლებიც კოოპერატიული მოქმედებისათვის ინდივიდებს უქმნიდა სტაბილურ პირობებს.

სტრუქტურული დეფექტების არადროულად აღმოჩენა და

გამოსწორება ხელმძღვნელისათვის ყოველთვის მართვის დაკარგვის რისკს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტიპური სიტუაციაა, როდესაც ფირმის ხელმძღვანელის წინაშე დგება სტრუქტურის სრულყოფის პრობლემა. მის გადასაწყვეტად (შესაბამისი მეთოდიკების ან ანალოგიების არსებობის შემთხვევაშიც) ძირითადად ეყრდნობიან საკუთარ გამოცდილებას, თავიანთი კოლეგების რეკომენდაციებს ან, უბრალოდ, საღ აზრს, რომელიც გამოიხატება ხელმძღვანელის სურვილით, გაუმჯობესოს ორგანიზაციული სტრუქტურა გამარტივების გზით. ე.ი. ორგანიზაციული გარდაქმნები, როგორც წესი, ხორციელდება ინტუიციის დონეზე, სტრუქტურის ანალიტიკური დიაგნოსტიკის გარეშე.

რეორგანიზაციის ამოცანის დასმის მოჩვენებითი სიმარტივისა და ჩვეულებრიობის მიუხედავად, მისი განხორციელება დაკავშირებულია მნიშვნელოვან სირთულეებთან. ჯერ ერთი, ნებისმიერ ფირმას თან სდევს მორალური და საწარმოო ხარჯები, რომლებიც ამცირებენ (რაღაც დროის მანძილზე) შრომის მწარმოებლურობას. მეორე, სტრუქტურული გარდაქმნის არასწორად შერჩეული მიმართულება გამოიწვევს საქმიანობის ძირითადი პროცესების ხანგრძლივ დეზორგანიზაციას და არსებული წესრიგის, დაუშვათ, არაიდეალურის, ნგრევას.

რეორგანიზაციიდან გამოწვეული ზარალის მინიმუმადე დაყვანა შესაძლებელია, თუკი მისი განხორციელების დაწყებამდე არა მხოლოდ გამოვავლენთ ორგანიზაციის საქმიანობის ვიწრო ადგილებს, არამედ განვსაზღვრავთ მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურის პატერნის სირთულეს, რათა შეგვექმნას წარმოდგენა, თუ რა დონემდეა დასაშვები მისი გამარტივება. აუცილებელია გავიგოთ, თუ სად არის ცვლილების ის ზღვარი, რომლის იქითაც გართულებულია ან ინგრევა კიდევაც კოოპერატიული მოქმედება. ასეთი ინფორმაციის არსებობისას სტრუქტურული ცვლილების სწორი მიმართულების შერჩევის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება. მისი მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის პატერნ ანალიზის ჩატარებით. მისი შედეგების გამოყენებით ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებებს სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ. იგი გამოიყენებს არა მხოლოდ თავის გამოცდილებას და ინტუიციას, პირად ურთიერთობებს, არამედ ტრადიციებთან, კვალიფიკაციასა და თანამშრომელთა მისწრაფებებთან თანაფარდობით სტრუქტურული პარამეტრების ობიექტურ რაოდენობრივ შეფასებებს.

პატერნ ანალიზის მეთოდის მიხედვით ორგანიზაციული სტრუქტურის რაციონალიზაციის შესახებ წინადადებების მომზადება იწყება ფირმის სისტემურ-სტრუქტურული აღწერილობით და მისი ორგანიზაციული, კოორდინაციული, ინფორმაციული სტრუქტურის

შემდგომი დიაგნოსტიკით, ასევე ფუნქციონალური სტრუქტურის ანალიზით. ამისათვის გამოიყენება პატტერნ ანალიზის სპეციალური კომპიუტერული ინსტრუმენტული საშუალებები: „ORKO“ და „FIM“. შემდგომ გადაისინჯება ელემენტარული სტრუქტურული რგოლების (ესრ) და სტრუქტურული ნაწილების შემადგენლობა, მათი ორგანიზაციული კომუნიკაციები და ფორმირდება ორგანიზაციული სტრუქტურის ალტერნატიული ვარიანტები. ამასთან, სტრუქტურული რგოლების შემადგენლობის შესაძლო ვარიანტების გადამეტების შესამცირებლად, ე.ი. სასურველი შედეგის უფრო სწრაფად მისაღებად აუცილებელია შემდეგი სამი წესის დაცვა:

1. ელემენტარული სტრუქტურის რგოლების რაოდენობა კონკრეტული პირობების შესაბამისად, მინიმალურად შესაძლო უნდა იყოს;

2. თითოეულ ელემენტარულ სტრუქტურულ რგოლს (ესრ) მკვეთრად მიზნობრივი მიმართულება უნდა ჰქონდეს;

3. ელემენტარულ სტრუქტურულ რგოლებს შორის ინფორმაციული კომუნიკაციები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

პირველი ორი წესის შესრულების უზრუნველყოფა შესაძლებელია, მაგალითად, სტრუქტურულ რგოლებს შორის ფუნქციონალური ამოცანების გადანაწილების გზით, მათ სამუშაოებში პარალელიზმის აღმოფხვრით, ცალკეული რგოლების ლიკვიდაციით. შესაძლებელია ასევე მმართველობითი პირამიდის სიმაღლის შემცირებით. ორგანიზაციის ელემენტებს შორის ინფორმაციული გაცვლის მინიმიზაცია უფრო მარტივია ფუნქციონალურ-სტრუქტურული კომპონენტის გამოყენებით, რომელიც მიიღება ფირმის ფუნქციონალური სტრუქტურის ანალიზით.

ელემენტარული სტრუქტურული რგოლის შერჩევის შემდეგ ფორმირდება ორგანიზაციული სტრუქტურის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი. ამასთან, ამ სამუშაოს შემსრულებელი კონსულტანტი ან ხელმძღვანელი ეყრდნობა თავის ცოდნას, გამოცდილებას და ინტუიციას, მან უნდა გაითვალისწინოს ის ფორმალური და არაფორმალური მდგომარეობები, რომლებიც გავლენას ახდენენ სტრუქტურის ფორმასა და მის ელემენტებს შორის ურთიერთობების ხასიათზე:

– „ვიწრო“ სპეციალისტების და მენეჯერების არსებობა, მათი თვისებები, გამოცდილება და კვალიფიკაცია, არაფორმალური კონტაქტები;

– ფუნქციონალური ამოცანების გადაწყვეტის სირთულე და მათი შესრულების კონტროლის დონე;

– რეალურ პირობებში სტრუქტურის გარდაქმნის პრაქტიკული შესაძლებლობა;

– ორგანიზაციის საერთო მახასიათებლები (ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის ტექნოლოგია, შექმნის ისტორია და ტრადიციები, სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობები და ა.შ.).

ორგანიზაციული სტრუქტურის ალტერნატიული ვარიანტებიდან ყველაზე რაციონალურის შერჩევისათვის (კომპიუტერული ინსტრუმენტის „ORKO"-ს გამოყენებით) აწარმოებენ მათ რაოდენობრივ შეფასებას კოორდინაციულობის დონის, ინფორმაციულობის დონის, ორგანიზაციული სტრუქტურის პატერნის სირთულის დონის და ფირმის მდგრადობის დონის მიხედვით. მიღებულ შეფასებებს უდარებენ დიაგნოსტიკურ შედეგებს. ასეთი შედარების შემდეგ შეიძლება წარმოიქმნას მოთხოვნა ორგანიზაციული სტრუქტურის კიდევ ერთი ვარიანტის ფორმირების შესახებ, მაგალითად, სირთულის უფრო დაბალი დონის ან მდგრადობის უფრო მაღალი დონის ვარიანტისა. პრაქტიკამ უჩვენა, რომ მისაღები შედეგის მიღწევა, როგორც წესი, შესაძლებელია ორგანიზაციული სტრუქტურის არანაკლებ სამიხუთი ვარიანტის ფორმირებისა და შეფასების შემდეგ.

ამრიგად, პატერნ ანალიზის პროცესი, მთელი თავისი სიმარტივითა და ჩვეულებრიობით, მისი ჩატარების მიზეზების შეცნობასთნ ერთად, შემსრულებლისაგან საჭიროებს გამოცდილებას და შესაბამისი მეთოდიკის პროფესიონალურ ცოდნას. ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ სასურველი პროფესიულ კონსულტანტების მოზიდვა, რომელთა ძირითადი ღირსებებია: მაღალი პროფესიონალიზმი, ობიექტურობა და დამოუკიდებლობა, პრობლემებზე არატრადიციული და ფართო შეხედულებები, დიდი და მრავალმხრივი გამოცდილება.

Tamar Kamkhadze
Tamar Rukhadze
Tsira Elgendarashvili

THE EVALUATION OF FIRM STRUCTURE COMPLEXITY AND USE OF PATTERN ANALYSIS IN ORGANIZATIONAL STRUCTURES

Annotation

In short, many different types of organizations, structures and streamline the practical application of Pattern analysis showed that it is possible to find an effective organizational structure (in terms of complexity and stability) option. For choice, it is not enough to have some idea about the features of the organization, you must also have a good intuition which brings experience.

თამარ კილაძე
ლელა ზუბიაშვილი

შრომის სტიმულირება და მისი გამოყენების პრაქტიკა

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დამქირავებლებსა და დაქირავებულ მუშაკთა შორის ურთიერთობები აიგება პრინციპულად ახალ საფუძველზე. მეწარმის (დამქირავებლის) მიზანია საწარმოს საქმიანობის ეფექტური პოლიტიკის შექმნა, რომელიც მიმართულია მოგების მაქსიმიზაციასა და ბაზარზე ორგანიზაციის პოზიციების განმტკიცებაზე. დაქირავებული მუშაკები დაინტერესებულნი არიან მაქსიმალური შემოსავლის მიღებაში, მოცემულ საწარმოში საკუთარი პოტენციალის განვითარებაში, კარიერის ზრდაში და ა.შ. დამქირავებლებსა და დაქირავებულ მუშაკთა ინტერესების შეთანხმებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შრომის სტიმულირების ეფექტური სისტემა, რომელზედაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საწარმოს საქმიანობის ეფექტურობა, და შესაბამისად, საერთო შემოსავლის – ხელფასისა და მოგების სიდიდის ზრდა.

შრომის სტიმულირების სისტემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საწარმოთა საქმიანობის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარებისა და სოციალური გარდაქმნების ეპოქაში. დღეს მრავალი კომპანიის წინაშე დგას პერსონალის შრომითი საქმიანობის სტიმულირების სისტემის სრულყოფის აუცილებლობის მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია საწარმოსა და საზოგადოებაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებთან, რომელიც განსაზღვრავს ახალი პროფესიების გაჩენას და როგორც შედეგი – შრომის სტიმულირების ტრადიციული სისტემის გარდაქმნას. მეორე, პერსონალი საწარმოს ძირითადი აქტივია, იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს წარმატების მიღწევაში. სტიმულირების მოქმედი სისტემის გამოყენებით შესაძლებელია დავაინტერესოთ თითოეული მუშაკი, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ინტერესების შესაბამისად. თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის სტიმულირების ეფექტური სისტემის გარეშე შეუძლებელია საწარმოს წარმატებული განვითარება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების რაოდენობისა და ხარისხის ამაღლება. აქედან გამომდინარეობს შრომის სტიმულირების ეფექტური სისტემის მნიშვნელობა, რომელიც ააქტიურებს მომუშავეთა საქმიანობას და აძლიერებს მათ დაინტერესებას საკუთარი შრომის შედეგებით. ჩვენი აზრით,

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით დღეს ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს, აიგოს შრომის სტიმულირების ეფექტური სისტემა.

საწარმოებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პერსონალის შრომითი საქმიანობის სტიმულირების ორგანიზაციას არა მხოლოდ მათი შრომის ეფექტიანობას, არამედ მთლიანად საწარმოს მწარმოებლურობის ამაღლებისათვის. მაგრამ, ხშირად ხელმძღვანელთა უმრავლესობა ცდილობს პერსონალზე დანახარჯების (ხელფასი, კომპენსაციური ხასიათის გასაცემლები და სხვ.) ეკონომიას და არ ფიქრობს თავიანთი მუშაკების სტიმულირებაზე, რამაც შესაძლოა, თავის მხრივ, გამოიწვიოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემცირება, და, როგორც შედეგი, აისახოს საწარმოს რენტაბელობის მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე.

ამიტომ, ჩვენი აზრით, სტიმულში ჩადებული უნდა იყოს ეფექტური საქმიანობის მიზნის მიმართულების დუალიზმი. ერთი მხრივ, ადმინისტრაციის მიზანია ისეთი მაჩვენებლების ამაღლება, როგორიცაა მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობა, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი, მეორე მხრივ, მომუშავეთა მიზანია გარკვეული მატერიალური სიკეთის მიღება. მაგრამ, შრომის სფეროში სტიმულირების პროცესების გასული წლების ანალიზისა და თეორიული კვლევეის გარეშე ამის გაკეთება ძალზე რთულია.

ცნება „სტიმულირების“ შედარებით სრულ განმარტებას იძლევა ა.ი. კიბანოვი. სტიმულირება, როგორც მომუშავის შრომითი ქცევის მართვის ხერხი, მდგომარეობს პერსონალის ქცევაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებაში მისი ცხოველმოქმედების პირობებზე გავლენის საშუალებით მისი საქმიანობის მამოძრავებელი მოტივების გამოყენებით. ფართო გაგებით, სიტყვა სტიმულირება არის წახალისებისა და დასჯის მოთხოვნების ერთობლიობა და მათთან შესაბამისობის სისტემა. სტიმულირება გულისხმობს მართვის ორგანოებში იმ სიკეთეთა ერთობლიობის არსებობას, რომლებსაც უნარი აქვთ, დააკმაყოფილოს მომუშავეთა მნიშვნელოვანი მოთხოვნები დღეს და ახლა, და გამოიყენოს ის დასაჯილდოვებლად შრომითი ფუნქციების წარმატებულად რეალიზაციისათვის [2].

ეფექტური სტიმულირების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, ცნება „ეკონომიკური სტიმულის“ შინაარსის მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებასა და ეკონომიკურ ინტერესებთან მისი შესაბამისობის სწორი განსაზღვრა. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება „სტიმული“ სხვადასხვანაირად განისაზღვრება. მაგალითად, ვ.ფ.ანდრიენკო სტიმულებში ხედავს თანამშრომელთა ინტერესებს და მოთხოვნებს. მისი აზრით, სტიმული მუშაკს აღუძრავს ეკონომიკური საქმიანობის სურვილს მისი

ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ის არ იძლევა იმის გარანტიას, რომ თანამშრომლები უპირობოდ შეასრულებენ თავიანთ შრომით ფუნქციებს. მამოძრავებელ ძალთა სისტემაში უნდა იყოს ისეთი ელემენტები, რომელიც ხალხის კეთილდღეობის დონეს უშუალოდ დააკავშირებს შრომით პროცესთან, მათ შედეგთან [3].

ზემოაღნიშნულის შედეგად, საყოველთაო ინტერესებიდან გამომდინარე, გავაანალიზოთ „ეკონომიკური სტიმული“ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებთან მათი ფუნქციონალური ურთიერთობების საფუძველზე. ეს საშუალებას იძლევა, სტიმულირების ობიექტის მიმართ ეკონომიკური სტიმული წარმოვიდგინოთ, როგორც ზემოქმედება გარედან, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წარმოების მართვის ორგანოს (სტიმულირების სუბიექტს) გააჩნია ფულადი ან ნატურალურ-ნივთობრივი რესურსები [3].

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს შრომის სტიმულირების შემდეგი ფუნქციები:

1. **ეკონომიკური ფუნქცია.** მიმართულია განმანაწილებელ ურთიერთობათა სრულყოფაზე, შრომის შედეგების მიხედვით ხელფასის დიფერენციაციაზე. სტიმულირება გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებაზე, რომელიც გამოიხატება შედეგობრივ მაჩვენებლებში (წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ხარისხზე, შრომის მწარმოებლურობაზე);

2. **ზნეობრივი ფუნქცია.** ეფექტური სტიმულირება უზრუნველყოფს კოლექტივში კომფორტული ატმოსფეროს ფორმირებას. იმისათვის, რომ სტიმულირების სისტემა იყოს დასაბუთებული და ზუსტი, აუცილებელია გავითვალისწინოთ საზოგადოების ტრადიციები და მენტალიტეტი, ასევე ისტორიული გამოცდილება;

3. **სოციალური ფუნქცია.** რაც უფრო მაღალია სტიმულირების ზემოქმედების პოტენციალი თანამშრომლებზე, მით მაღალია მოსახლეობის შემოსავლების დონე.

მთლიანად ასეთი ზემოქმედება უზრუნველყოფს საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის ფორმირებას.

ერთი სიტყვით, სტიმულის ქვეშ იგულისხმება არა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოთხოვნა, არამედ, ეკონომიკური პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ მათი დაკმაყოფილების მიღწევადობას და ბარაქიანობას. როცა სტიმულირების სისტემით ორგანიზებული ეკონომიკური პირობები ქმნიან კოლექტიური ან ინდივიდუალური დაკმაყოფილების რეალურ მოლოდინს, მაშინ მუშაკს უჩნდება მატერიალური დაინტერესება. იგი მდგომარეობს კოლექტიურ ან ინდივიდუალურ შედეგებში, რომლებმაც უნდა

უპასუხონ საზოგადოებრივად აუცილებელ პარამეტრებს და საქმიანობისადმი პირდაპირ იმპულსს წარმოადგენს. შესაბამისად, დაინტერესება წარმოიქმნება ეკონომიკური სტიმულირების სისტემიდან და გამოდის, როგორც მათი ფუნქციონირების შედეგი [3].

ხშირად სხვადასხვა ეკონომიკური სკოლები აიგივებენ შრომის სტიმულირებისა და მოტივაციის ცნებებს. მაგრამ, სინამდვილეში, ეს ცნებები განსხვავებულია, თუმცა ერთი მიზნის მიღწევას – მუშაკის შრომის ეფექტიანობის ამაღლებას ემსახურებიან. მომუშავეთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად დასახული მიზნების მიღწევისათვის პერსონალის წახალისების პროცესი არის მოტივაცია. ხოლო, დონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ავსებს მოტივაციურ პოლიტიკას და მუშაკის კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, უმეტესწილად მატერიალურის, არის სტიმულირება. მოტივაცია მუშაკის შინაგანი ბიძგია მწარმოებლური შრომისაკენ, ხოლო სტიმულირება გარეგანი წახალისებაა, რომელსაც მუშაკი იღებს დამქირავებლისაგან.

სტიმულირება და მოტივაცია, როგორც შრომის მართვის მეთოდი, თავიანთი მიმართულებებით საპირისპირო ვექტორებია: პირველი, როგორც მეთოდი, მიმართულია არსებული მდგომარეობის განმტკიცებაზე; მეორე – მის შეცვლაზე, მაგრამ ისინი ერთიმეორეს ავსებენ [4]. თანამშრომელთა შრომის ეფექტიანობის გაზრდისათვის საჭიროა კომპლექსური მიდგომის გამოყენება, სხვა სიტყვებით, აუცილებელია მასტიმულირებელი და მოტივაციური გადაწყვეტილებების ურთიერთდაკავშირება. სტუმულირების მექანიზმების შემუშავებული კომპლექსი თანამშრომელთა მოტივაციური მექანიზმების ადეკვატური უნდა იყოს. საინტერესოა საქმისადმი დასავლური მიდგომები. პერსონალის შრომითი საქმიანობის სტიმულირებაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული აშშ-სა და იაპონიაში.

სტიმულირების იაპონური სისტემა დაფუძნებულია სამ პრინციპზე: მუშაკის შრომის ანაზღაურება უფროს-უმცროსობის სისტემით, სამუშაო ძალის მუდმივად (სიცოცხლის ბოლომდე) დაქირავება და ორგანიზაციაში შიდაფირმული პროფკავშირების არსებობა. აღნიშნული პრინციპები საშუალებას აძლევს იაპონურ საწარმოებს, მიიღონ შრომის უკუგების მაღალი დონე, ნაკლები დრო დაკარგონ სხვადასხვა შეფერხებებზე, საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში სწრაფად დანერგონ ინოვაციები, გააჩნიათ ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე კონტროლის უდიდესი უნარი, აწარმოებენ უფრო მეტს და უფრო მაღალხარისხიან საქონელს, ვიდრე მათი კონკურენტები საზღვარგარეთ.

ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ინტერეს იწვევს მსოფლიოში კარგად ცნობილი სტიმულირების იაპონური სისტემა იმის გამო,

რომ, როგორც თანამშრომელთა, ასევე ხელმძღვანელთა შრომის ეფექტიანობა, შრომით და საწარმოო პროცესში მათი უფრო მწარმოებლური ურთიერთობა დამოკიდებულია სწორედ პოტენციური კადრების მოზიდვის, შერჩევის და დაქირავების ეტაპზე, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს ორგანიზაციის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე. გარდა ამისა, შრომითი მოწყობის ასეთი სისტემა წინასწარ განსაზღვრავს ინტერესთა ერთიანობას და განსხვავებას არა მხოლოდ თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის, არამედ მთლიანად კოლექტივის შიგნითაც კოლეგებს შორის. აღსანიშნავია, რომ ინტერესთა ერთიანობის არარსებობის დროს კოლექტივში შრომის მწარმოებლურობა შესაძლოა არც შემცირდეს, რადგან ორგანიზაცია მომუშავეებს მკაცრ მოთხოვნებს უყენებს. მაგრამ საწარმოო კოლექტივის თანამშრომელთა შორის კომპრომისის მიღწევის შემთხვევაში ორგანიზაციის თანამშრომელთა მხრიდან დამოკიდებულება შრომისადმი, შრომითი საქმიანობისადმი და შრომითი კმაყოფილებისადმი შესაძლოა გაიზარდოს, რაც განსაზღვრავს შრომის მწარმოებლურობის ზრდას და ეს მომდინარეობს სწორედ კოლექტივში კომფორტული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნიდან.

აღსანიშნავია, რომ იაპონიაში შრომის სტიმულირების ზემოჩამოთვლილ სამ პრინციპთან ერთად არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, ე.წ. ჯგუფურობა. ჯგუფურობის კონცეფციის თანახმად, ინდივიდი და ჯგუფი განუყოფელია. ამ ჯგუფში თითოეულის წარმატება მთელი ჯგუფის წარმატებაა. ასეთი ფსიქოლოგია აისახა იაპონელთა პიროვნების ფორმირებაზე, მათ არ შეეძლოთ გასულიყვნენ საკუთარი ხასიათისა და მთელი ჯგუფის ფარგლებს გარეთ, ამიტომ იაპონელები თითქმის XIX საუკუნემდე არ ურთიერთობდნენ სხვა ქვეყნებთან. სწორედ ამან განაპირობა ჯგუფების სიძლიერე და შემჭიდროვებულობა, რამაც ხელი შეუწყო მათ, ნაკლები დანახარჯებით გავლენა მოეხდინათ შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე.

შრომის სტიმულირების ამერიკული მეთოდის საფუძველია "ადამიანური რესურსების" კონცეფციის გამოყენება. პერსონალის მართვის იაპონური სისტემისაგან განსხვავებით, ეს კონცეფცია მდგომარეობს სამუშაო ძალის მოზიდვასთან, დაქირავებასთან, თითოეულ პიროვნებაში ჩადებული უნარის სრულად გამოვლენისათვის კაპიტალდაბანდებების ეკონომიკური მიზანშეწონილობის აღიარებაში [5]. ამასთან, ერთი მხრივ, "ადამიანური რესურსების" კონცეფციის გამოყენებას, ხელფასის დარიცხვასა და გაცემასთან ერთად, თან ახლავს დამქირავებლის შესაბამისი ხარჯები. მეორე მხრივ, ასეთი მიდგომის დროს მომუშავეებს შემოსავლების შექმნის

დიდი შესაძლებლობები გააჩნიათ, რომლებიც ექცევიან დამქირავებლის (ადმინისტრაციის) განკარგულებაში. ჩვენი აზრით, სწორედ ეს შესაძლებლობები განსაზღვრავს ადამიანური რესურსების გამოყენების "ღირებულ" ასპექტებს. სწორედ ამას მოაქვს მოგება გრძელვადიან პერსპექტივაში არა მხოლოდ ფირმის, არამედ თითოეული კონკრეტული მომუშავისათვის.

როგორც ჩანს, ამერიკულ მოდელში შესაძლებელია გამოიყოს ორი ტენდენცია, რომლებიც დღეს ერთდროულად მოქმედებენ სამუშაო ძალის გამოყენებისას:

1. ორგანიზაციის მისწრაფება, სრულად უზრუნველყოს წარმოების მოთხოვნა ხარისხიანი სამუშაო ძალით და ამით მიაღწიოს მთავარ კონკურენტულ უპირატესობებს და დასახულ სტრატეგიულ მიზნებს;

2. პერსონალის მომზადების, გადამზადებისა და განვითარების გარდა, ორგანიზაციის დამატებითი დაბანდებები, რომელიც აუცილებელია მათი ეფექტურად გამოყენების პირობების შესაქმნელად. ეს განაპირობებს ორგანიზაციის ინტერესს, შეამციროს კადრების დენადობა და დაამაგროს თანამშრომლები ფირმაში.

ჩვენი აზრით, საქართველოს ორგანიზაციებისათვის უფრო ოპტიმალურია ადამიანური რესურსების მართვის ამერიკული მოდელი, რომელიც მიმართულია თავისუფალი მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობებზე, შემოქმედებით დამოუკიდებლობასა და თანამშრომელთა ინიციატივაზე. შრომის სტიმულირების იაპონური გამოცდილებიდან აღსანიშნავია ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია კორპორაციული სულის გამყარებაზე და კოლექტივში ქმნის კეთილსასურველ ატმოსფეროს. მაგრამ, შრომის სტიმულირების უცხოური მოდელების კოპირება დაუშვებელია ჩვენს საწარმოებში. შრომითი საქმიანობის სტიმულირების თეორიისა და პრაქტიკის ქართული რეალობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს მათი ტრანსფორმაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. პაიჭაძე, ნ. ლაცაბიძე, მ. ცარციძე და სხვ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. 2009. 290 გვ.

2. Управление персоналом организации/ Под ред. А. Я. Кибанов. М.: 2003 – 490 с.

3. Андриенко В. Ф. Экономическое стимулирование трудовой активности: Киев: Наук. думаб 1991- 194 с.

4. Милкевич Дж. Система вознаграждений и методы стимулирования. М.: 2005 -759 с.

5. Шахова В. А. Мотивация трудовой деятельности. М.: Альфа-Пресс. 2006 – с. 332.

Tamar Kiladze
Lela Zubiashvili

STIMULATION OF LABOR AND ITS PRACTICAL APPLICATION

Annotation

Article is devoted to the importance of stimulating employment and the need to improve. Separated from the concepts of "promotion" and "motivation", at the same time are prove their unity are analyzed Japanese and American models of stimulation. Notes that the American model of human resource management of enterprises is more acceptable for Georgian enterprises, but their transformation is necessary with regard for Georgian reality of stimulation of theory and practice of labor activity.

ლალი ხურცია
ვანო ცერცვაძე

ეკონომიკური ეფექტიანობა და ხარჯთაღრიცხვის ანალიზი ჯანდაცვაში

ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელების ინტერესები მოითხოვს ალტერნატიული გადაწყვეტილებების ხშირ და სისტემატიურ ანალიზს, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს სხვადასხვა ვარიანტების ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევები.

ეკონომიკური სისტემა (და მათ შორის ჯანდაცვის სისტემა) უფრო ეფექტურია, სხვა სისტემასთან შედარებით, თუ ის საზოგადოებისთვის აწარმოებს უფრო მეტ საქონელსა და მომსახურებას ზედმეტი რესურსების გამოყენების გარეშე.

ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად სხვადასახვა მიდგომები გამოიყენება. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი არის საზოგადოებრივი პროექტების შეფასების მეთოდი. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის დროს იზომება პროექტის სარგებელი და ხარჯები. ხშირად ამგვარი შეფასება მოითხოვს, რომ ფულადი ღირებულებით შევაფასოთ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა სიცოცხლის წლები, გაუმჯობესებული ჯანმრთელობა, თავიდან აცილებუელი დაავადებები და ა.შ.

ამგვარი შეფასება დიდ სირთულეს წარმოადგებს და მან ბიძგი მისცა ახალი კონცეფციების განვითარებას ჯანდაცვის სისტემის

ანალიზში. ხარჯთეფექტურობა ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის ალტერნატივას წარმოადგენს და მისი საჭიროება დგება იმ დროს, როდესაც მიზანი ეფექტიანობის მისაღწევად დასახულია და ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა საუკეთესო, ყველაზე ეფექტიანი გზის გამონახვა. ხარჯთეფექტურობა ითვლის ჯანმრთელობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ინტერვენციების ხარჯსა და მიღებული სარგებლის ურთიერთდამოკიდებულებას.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის მთავარი ამოცანაა, შეაფასოს საზოგადოებრივი ინვესტიციების ხარჯებისა და მიღებული სარგებლის ღირებულება. ამ ანალიზის მთავარი წინაპირობაა, რომ პროექტი ან პოლიტიკა გააუმჯობესებს სოციალურ კეთილდღეობას, თუ ხარჯთან ასოცირებული სარგებელი აჭარბებს ხარჯებს. სარგებელი და ხარჯები, მათი ფასი უნდა ასახავდეს არა მხოლოდ პირდაპირ, არამედ არაპირდაპირ სარგებელსა და ხარჯებსაც.

ეკონომიკურ თეორიაში ხარჯები იზომება ალტერნატიული ღირებულებით. საზოგადოებრივ და კერძო პროექტებში ხარჯთეფექტურობის შეფასების მთავარი განსხვავება არის ის, რომ საზოგადოებრივი პროექტების ალტერატიულ ღირებულებას როგორც წესი არ გააჩნია საბაზრო ღირებულება, რათა მოხდეს მისი ადეკვატური შეფასება. მაგალითად, საზოგადო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჰესის მშენებლობას ხუდონზე - ამ პროექტს აქვს ალტერნატიული ღირებულება იმ სახით, რომ ეს ჰესი დატბორავს დიდ ტერიტორიას, გაანადგურებს ფლორას და ფაუნას, მრავალი ისტორიული ძეგლი მოხვდება წყლის ქვეშ. მეორე მხრივ, ამ პროექტის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს რეკრეაციული ზონის გაშენება, ტურიზმის განვიათარება. ყველაფერი, რაც ჩამოვთვალეთ - სარგებელიც და ხარჯიც – არ იყიდება ბაზრზე და არ აქვს მონეტარული ღირებულება. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზში ცდილობენ ამ ძნელად შესაფასებელი მოვლენების ასახვას ფულად ერთეულში. ზოგჯერ ამგვარი კონვერტაცია შესაძლებელია, ჰესის შემთხვევაში სარგებელი შეიძლება გავზომოთ იმით, თუ რამდენად გაძვირდება ახლად შექმნილი ტბის ირგვლივ საცხოვრებელი სახლები, თუმცა მრავალ შემთხვევაში ასეთი კონვერტაცია საკმაოდ რთულია.

მაგალითისთვის ავიღოთ საყოველთაო იმუნიზაციის პროგრამა. ამ პროგრამის ხარჯი ადვილი დასათვლელია – მასალა, სამუშაო ძალა პირდაპირი ხარჯია. ასევე შეიძლება დავითვალოთ იმუნიზირებული ადამიანების სარგებელი. მეორე მხრივ, საკმაოდ ძნელია დავთავლოთ იმ ადამიანების სარგებელი, რომლებიც იმუნიზაციის პროგრამაში არ არიან ჩართული, მაგრამ მათი დაინფიცირების რისკი შემცირებულია საზოგადოების სხვა წევრების იმუნიზაციის

შედეგად. ეს სარგებელი ასევე წარმოადგენს ხარჯთსარგებლიანობის პროგრამის ნაწილს, მაგრამ მისი გამოთვლა საკმაოდ რთულია.

ყველაზე ძნელი, მაგრამ აუცილებელი ამოცანა ჯანდაცვაში არის ადამიანის სიცოცხლის შეფასება გარკვეული ღირებულებით. ამასთან დაკავშირებით არსებობს ბევრი მიდგომა. პირველი ცნობილი მიდგომა არის ადამიანის, როგორც კაპიტალის შეფასება, იგი ითვლის ინდივიდის მომავალ გამომუშავებას დღევანდელი ღირებულებით. ეს მიდგომა განსაკუთრებით გამოყენებულია სამართალწარმოებაში, სადაც მოითხოვება დაზიანებების შეფასება. ამ მიდგომით ასევე იზომება ეროვნული წარმოების დანაკარგები სიკვდილიანობიდან და ავადობიდან ან, პირიქით, იზომება მიღებული სარგებელი გადარჩენილი და გაგრძელებული სიცოცხლის შედეგად. ადამიანის კაპიტალის შეფასების მიდგომის, როგორც კეთილდღეობის შეფასების ნაკლოვანება არის ის, რომ იგი არ ზომავს ინდივიდის სურვილს, გადაიხადოს თანხა, რათა თავიდან აიცილოს სიკვდილის და ავადობის რისკი. ეს მიდგომა არ ზომავს აგრეთვე არც იმ კომპენსაციას, როდესაც ადამიანი თანახმაა გასწიოს ასეთი რისკები.

გადახდის სურვილი გამოხატულია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად, რამდენს გადავიხდით გაზის გამათბობლის დაყენებაში, რომ შევამციროთ მახრჩობელა აირით სიკვდილის რისკი, ამ კონცეფციის მეორე მხარე არის კომპენსაცია, რომელსაც თქვენ ითხოვთ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის რისკის სანაცვლოდ. მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები თანახმანი არიან, გასამრჯელოს სანაცვლოდ იმუშაონ სიცოცხლისათვის მავნე დაბინძურებულ გარემოში.

ადამ სმიტი თავის მთავარ ნაშრომში „ერების კეთილდღეობის" შესახებ, იძლევა ახსნას, თუ რატომ არის მუშების ხელფასი. დღევანდელ ეკონომიკაში, იმასთან ერთად, რომ მუშებს განსხვავებული დატვირთვა და შესაბამისად განსხვავებული ხელფასი აქვთ, ხელფასის შემადგენლად ასევე განიხილავენ იმ რისკების შეფასებას, რომელთა გაწევასაც გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ თანხმდებიან დაქირავებული ადამიანები. სურვილის, ანუ მზაობის შეფასება, თუ რის სანაცვლოდ ხდება სიცოცხლისთვის საშიში რისკის გაწევა, რთული შესაფასებელია. არასაბაზრო რესურსების შეფასების მეთოდი წარმოადგენს გაუთვალისწინებელი ცვლადების ნაკრებს. მაგალითად, თუ ადამიანი დგას გულის შეტევის ხ მაღალი რისკის წინაშე, რამდენის ექნება გადახდის სურვილი იმ სამედიცინო პროცედურისთვის, რომელიც შეამცირებს მის რისკს ყ-მდე?

არასაბაზრო რესურსების შეფასება საშუალებას იძლევა, გარკვეული ღირებულება მივანიჭოთ ისეთ არასაბაზრო მოვლენებს,

როგორიცაა შიში და რისკი. თუმცა უმთავრესი პრობლემა არის დაშვების ცდომილება, ვინაიდან საკმაოდ ძნელია რეალისტური პასუხი გასცემა.

იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად ნათელი გავხადოთ მსჯელობა არასაბაზრო რესურსების შეფასების მცდელობაზე, შევეცადოთ პასუხი გავცეთ იმაზე, თუ რამდენად ღირებულია ადამიანის სიცოცხლის ბოლო წელი?

ჯანდაცვის სისტემის ანალიტიკოსები დასავლეთის ქვეყნებში საინტერესო მოვლენას აწყდებიან – რატომ ხარჯავენ ადამიანები ჯანმრთელობაზე გამიზნული თანხების უმეტეს ნაწილს სიცოცხლის ბოლო წელზე. ასაკოვანი ადამიანები თავიანთი ჯანმრთელობის ხარჯების ერთ მეოთხედს სიცოცხლის ბოლო წელზე ხარჯავენ. ეკონომისტები, როლებიც იყენებენ სარგებლიანობის სტანდარტულ ანალიზს, სვამენ კითხვას, თუ რატომ არის ზოგიერთი ადამიანის სიცოხლის სარგებელი ძალიან მაღალი, სხვების კი დაბალი?

მეცნიერები გვთავაზობენ ამ ამოცანის საინტერესო ახსნას. მათ უარყვეს იდეა ადამიანის სიცოცხლის შეფასებაში თანაბარი მიდგომის შესახებ, რომლის შემთხვევაშიც საზოგადოდ ადამიანის ერთი სიცოცხლის წელი 100 000 დოლარი ღირდა.

კვლევები ადასტურებს, რომ მძიმე შემთხვევებში სიცოცხლის გადარჩენა გაცილებით ძვირი ჯდება. აქედან გამომდინარე, ირაციონალურად ჟღერს 100000 შეფასებული სიცოცხლის 500000 დოლარად გადარჩენა. თუმცა, მეორე მხრივ, სიცოცხლის რისკის წინაშე ადამიანები არ ფიქრობენ ზღვრულ სარგებლიანობაზე. მეხანძრემ შეიძლება თავისი სიცოცხლის რისკი ზღვრული სარგებლის გათვალისწინებით მცირედით გაზარდოს. თუმცა, ადამიანი, რომელიც დგას მისი სიცოცხლის დასასრულთან, მზადაა ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში მნიშვნელოვნად შეამციროს სიკვდილის რისკი.

ამ ანალიზს საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრებები: 1. დაბერებული ან მძიმე ავადმყოფი ადამიანისთვის რესურსებს აქვს ძალიან დაბალი ალტერნატიული ღირებულება, ვინაიდან ადამიანი ვეღარ შეძლებს მათ გამოყენებას, როდესაც იგი დაიღუპება. 2. ადამიანებს შესაძლოა ჰქონდეთ რაციონალური იმედი, რომ შეძლებენ სიცოცხლის გახანგრძლივებას, რაც მოიცავს ასევე იმ იმედს, რომ ამ გახანგრძლივებული სიცოცხლის განმავლობაში გამოჩნდება კიდევ უფრო გაუმჯობესებული დახვეწილი გზები ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. 3. ადამიანის სიცოცხლის “სოციალური” ფასი (არა მხოლოდ მათი სიცოცხლის, არამედ მათი ოჯახის, მეგობრების, საზოგადოების) შეიძლება ძალიან მაღალი იყოს.

ყოველ შემთხვევაში ეს ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის ბოლო წელს ამ ადამიანების გადაწყვეტილება ეყრდნობა რაციონალურ გათვლებს.

იმის გამო, რომ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის დროს საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს მონეტარული ფასეულობის მისადაგება სიცოცხლეზე, ავადმყოფობაზე, ასევე სხვა არამატერიალურ სარგებელზე, ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების მიზნით შემოღებულია ხარჯთეფექტურობის ცნება, რომელიც წარმოადგენს უფრო პრაქტიკულ მიდგომას და ხარჯთსარგებლიანობასთან შედარებით უფრო ხშირად გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ხარჯთეფექტურობა ერთმანეთს ადარებს არამონეტარული მიზნის მიღწევის ხარჯებს, მაგალითად, რომელ ინტერვენციას და რა ფასად შეუძლია გადაარჩინოს უფრო მეტი სიცოცხლე.

ხარჯთსარგებლიანობის ანალიზში მიზნის მიღწევა სასურველია იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი სარგებელი არ შეიძლება გამოხატულ იქნეს ფულად ერთეულში. ამისდა მიუხედავად, ხარჯებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინიჭებული მონეტრაული მნიშვნელობა.

ხარჯთეფექტურობის ანალიზში ხარჯების შედარება ეფექტურობასთან ეფუძნება ხარჯების სხვაობისა და შედეგის სხვაობის ურთიერთშეფარდებას. დავუშვათ, კონკრეტული პროექტის განხორციელების შედეგად ხარჯებში მოხდა ცვლილება C_1-C_0 და ამ ცვლილებამ ჯანდაცვაში გამოიწვია ეფექტის ზრდა E_1-E_0. მაშინ ხარჯთეფექტურობის კოეფიციენტი იქნება $(C_1-C_0)/(E_1-E_0)$

ხარჯები არის ფულად ერთეულში, ხოლო შედეგი გამოხატულია ჩვენს მიერ არჩეული ჯანმრთელობის მდგომარეობის რომელიმე საზომი ერთეულით. რა ერთეულში შეიძლება გამოვხატოთ შედეგი?

1. QALY (Quality adjusted life years) – ხარისხიანი სიცოცხლის წლები. ხარჯთ-ეფექტურობის შეფასების დროს შედეგად გამოიყენება ხარისხიანი სიცოცხლის წლები. იწვევს თუ არა ხარჯების ცვლილება პაციენტის სიცოცხლის წლების გაზრდა/შემცირებას.

2. QALY-ის ზომის ერთეული q, მერყეობს 1-დან (შესანიშნავი ჯანმრთელობის მდგომარეობა) 0-მდე (სიკვდილი). პრაქტიკაში QALY გამოიყენება, როგორც ჯამი ადამიანთა ჯგუფის ხარისხიანი სიცოცხლეებისა.

$$QALY = \sum_{t=1}^{t=max} \frac{Fiqi}{(1+d)t}$$

სადაც F არის იმის ალბათობა, რომ ადამიანი კვლავ ცოცხალია i ასაკისთვის. d არის დროში სიცოცხლის ხარისხის კოეფიციენტი, q – ხარისხის ზომა 0-დან 1-მდე, რომელიც ყოველწლიურად ენიჭება ადამიანის დარჩენილ სიცოცხლეს მაქსიმალურ ზომამდე.

მაგალითად, ვთქვათ, პაციენტის ინტერფერონით მკურნალობა მის სიცოცხლეს გაახანგრძლივებს ერთი წლით და ამის ალბათობა არის F_1=0.9 და ორი წლით – ალბათობა 2=0,5. პაციენტი სავარაუდოდ გარდაიცვლება 2 წლის შემდეგ. სიცოცხლის ხარისხი q_1 პირველ წელს არის 0,8 და q_2 = 0,6 მეორე წელს. წელიწადში სიცოცხლის დისკონტირებული კოეფიციენტი 0.05.

ზემოთ აღნიშნული ფორმულის მიხედვით

QALY = (0.9 X 0,8/1.05) + (0,5 X 0,6/1.05^2) = 0.96

ეს ინდიკატორი აჩვენებს, რომ ინტერფერონით მკურნალობის ეფექტურობა შეადგენს 0.96 QALY-ის. აღნიშნული ინდიკატორი ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ალტერნატიული ინტერვენციების შედარების დროს და დადგინდეს QALY-ის ღირებულება

3. QALY – შრომისუუნარო სიცოცხლის წლები – იგივეა, რაც ჯამური ავადობის ტვირთი. დალი წარმოადგენს სიცოცხლის იმ წლებს, რომლებიც იკარგება მოულოდნელი სიკვდილის ან ავადმყოფობის გამო. ამგვარად, სიკვდილიანობა და შრომისუუნა-რობა ფასდება ერთი საზომი ერთეულის ფარგლებში.

მანამდე ავადობით გამოწვეული სიცოცხლის წლების დანა-კარგები იზომებოდა YLL მაჩვენებლით (სიცოცხლის დაკარგული წლების საშუალო მაჩვენებელი), რომელიც იზომებოდა სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობის შეფასებით სიკვდილის მომენტში. ეს მიდგომა არ ითვალისწინებდა შრომიუუნარობის შედეგად დაკარ-გული სიცოცხლის წლებს YLD.

ავადობის ხარჯის ანალიზი ზომავს ავადობის ტვირთს ან ავადობას და აფასებს იმ მაქსიმალურ მოცულობას, რომელიც შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული ეს ავადმყოფობა რომ არ არსებულიყო. ავადობის ხარჯების ცოდნა გვეხმარება იმაში, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება, თუ რომელი დაავადება იმსახურებს სასწრაფო ჩარევას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ავადობის სიმძიმე. ავადობის ხარჯის შესწავლა მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ხარჯთეფექტურობის ანალიზისთვის. ავადობის ხარჯი გვი-ჩვენებს, თუ რომელი დაავადება მოითხოვს პრევენციული და სამკურნალო რესურსების ალოკაციას, თუმცა ამ ანალიზის დროს არ ხდება სარგებლის და ეფექტის გაზომვა და შესაბამისად ავადობის ხარჯის ანალიზი შეზღუდულია იმ გაგებით, რომ იგი ვერ

იძლევა რეკომენდაციას, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს ეს რესურსი.

ყოვლისმომცველი ავადობის ხარჯის ანალიზი მოიცავს პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების ანალიზს. პირდაპირი ხარჯი ზომავს მკურნალობაში გამოყენებულ დანახარჯებს, არაპირდაპირი ხარჯები კი – ავადობით გამოწვეული დაკარგული რესურსის სიდიდეს.

გარდა ამისა, ზოგჯერ ითვლიან არამატერიალურ ხარჯებსაც, როგორიცაა ტანჯვა, ტკივილი (ძირითადად სიცოცხლის ხარისხის გაზომვის შედეგად), თუმცა ამ კატეგორიის ხარჯები ხშირად არ მიიღება მხედველობაში, ვინაიდან საკმაოდ ძნელია ეს კატეგორიები აკურატულად იქნეს გამოსახული მონეტარულ განზომილებაში.

არაპირდაპირი ხარჯების შეფასება, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესოდ მოჩანს ნარკომანიის სფეროში. წამალდამოკიდებულების ავადობის ტვირთის არაპირდაპირი ხარჯები მოიცავს არა მარტო იმ ხარჯების შეფასებას, რომელიც გამოწვეულია ნაადრევი სიკვდილიანობით ან პროდუქტიულობის დაკარგვით, არამედ იმ ხარჯებსაც, რომელიც უკავშირდება გადამდები დაავადებების – C ჰეპატიტისა და აივ შიდსის მკურნალობის ხარჯების შეფასებასაც.

ამ მხრივ საინტერესო კვლევა ჩატარდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, და მათ შორის საქართველოში, 2012 წელს ავსტრალიელი მეცნიერების მიერ შექმნილი სტანდარტიზებული მოდელის საფუძველზე. შესაძლებელი გახდა შეფასებულიყო საქართველოში განხორციელებული შპრიცების გაცვლის პროგრამების ეფექტურობა 2000-2010 წლებში. შპრიცების გაცვლის პროგრამებმა, რომელთა განხორციელებაზე ამ 10 წლის განმავლობაში 2.2 ლარი დაიხარჯა, ხელი შეუწყო აივ ინფექციის 1064 შემთხვევის და აივ ინფექციით გარდაცვალების 12 შემთხვევის პრევენციას. 2000-2010 წლებში, თავიდან აცილებული შიდსის შემთხვევების შედეგად მიღებულ იქნა 148 ხარისხიანი სიცოცხლის წელი (QALY). ასევე შესაძლებელი გახდა C ჰეპატიტის 806 შემთხვევის პრევენცია და შესაბამისად მოპოვებულ იქნა 1450 QALY.

ამავე მოდელის დახმარებით ჩვენ შევეცადეთ გამოგვეანგარიშებინა საპროგნოზო ხარჯთეფექტურობის მაჩვენებლები პროგრამაში სხვადასხვა მოცულობის ინვესტირების შედეგად 2011-2020 წლების განმავლობაში. მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ შპრიცების გაცვლის პროგრამების დაფინანსების შემცირება გამოიწვევს ნარკოტიკის ინტრავენური გზით მოხმარებისათვის საჭირო აღჭურვილობის გავრცელების შემცირებას. შედეგად, მოსალოდნელია HIV და HCV ინფექციების გავრცელების მნიშვნელოვანი ზრდა. თავის

მხრივ, ამას მოჰყვება ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დანაკარგები და შემცირდება საინვესტიციო უკუგების მაჩვენებლი. მაგალითად, თუ 2010 წლისთვის არსებულ ხარჯს შპრიცების გაცვლის პროგრამებში შევამცირებთ 50%-ით, მივიღებთ აივ ინფექციის დაახლოებით 13 000 ახალ შემთხვევას, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა მომდევნო ათი წლის განმავლობაში, თუ პროგრამა უცვლელად გაგრძელდებოდა.

აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ სარგებელი, რომელიც მიიღება ჩანაცვლებითი თერაპიის ან შპრიცების გაცვლითი პროგ-რამების ამოქმედების შედეგად იქნება არა მხოლოდ დაზოგილი საბიუჯეტო რესურსი, არამედ თავიდან აცილებული გადამდები დაავადებები და ხარისხიანი სიცოცხლის წლები. ეს ეფექტი დროში უფრო მკვეთრი და თვალსაჩინო გახდება.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მიდგომები ქართული ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზში იშვიათად გამოიყენება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ჯანდაცვაში, უნდა ეყრდნო-ბოდეს რაციონალურ გათვლებს, სადაც ერთ-ერთი წამყვანი როლი უნდა ეკავოს ისეთ ეკონომიკურ მიდგომებს, როგორიცაა ხარჯთ-სარგებლიანობისა და ხარჯთეფექტურობის ანალიზი.

Lali Khurtsia
Vano Tsertsvadze

ECONOMIC EFFICIENCY AND COST-ACCOUNTING ANALYSIS IN HEALTHCARE

Annotation

The article analyzes different approaches in healthcare economics - economic efficiency, cost-benefit, cost-effectiveness. Given an attempt to estimate the value of human life on the basis of different study.

ასმათ შამუგია

საკადრო პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები თანამედროვე ორგანიზაციებში

დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში ნებისმიერი ორგანიზაციის მოქნილობა და რეფორმების განხორციელების უნარი უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე თვითონ ამ ცვლი-ლებების შინაარსი. თითოეული დაწესებულების მიზანია, მიიღოს ეფექტიანი გადაწყვეტილებები, განახორციელოს ისინი, მოიყვანოს

დღევანდელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და შეინარ-ჩუნოს XXI საუკუნის მოთხოვნებისადმი შესაბამისობის ხარისხი იმ მიზნით, რომ მოწინავე პოზიციები დაიკავოს დარგში. ორგანი-ზაციებს, როგორც წესი, უხდებათ გადაწყვეტილებების მიღება, რეალიზაცია, აგრეთვე განხორციელებული ღონისძიებების ხარისხზე მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება. ეს პროცესი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, ის უწყვეტი და სწრაფად ცვალებადია დროსა და სივრცეში. ასეთ პირობებში ყველა დონის ორგანიზაციისათვის თითოეული ადამიანი ძალიან მნიშვნელოვანი ხდება იმდენად, რამდენადაც ისინი არიან იდეებისა და ინფორმაციის ამოუწურავი წყარო. სწორედ ის, თუ რამდენად ახერხებს ინდივიდი ორგანიზაციის გამოყენებას თავისი შესაძლებლობების რეალიზაციი-სათვის, განსაზღვრავს ამ დაწესებულების წარმატების ხარისხს. აღნიშნული პოზიცია პირდაპირ კავშირშია თითოეული ორგანიზა-ციის მართვის სისტემასთან, რომლებშიც ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს დასაქმებულების კოლექტივი. ეს უკანასკნელი ყალიბდება ცალკეული ინდივიდებისაგან განსხვავებული თვისებე-ბით, უნარ-ჩვევებითა და თავისებურებებით, კადრები ერთობლივად ქმნიან შეკრულ ჯგუფს, გადალახავენ წარმოქმნილ შიდაკონფ-ლიქტურ სიტუაციებს და ისწრაფვიან დაწესებულების წინაშე დასახული მიზნების რეალიზაციისაკენ. მაშასადამე, ორგანიზაციის მართვის ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს თითოეული თანამშრომელი, მისი რესურსები, პოტენციალი, განათლების ხარისხი, მოტივაცია და სტიმულირებისადმი განპირობებული ფუნქციების შესრულება. საყო-ველთაოდ ცნობილია, რომ ზოგადად ადამიანები ქმნიან იმდენს ან დაახლოებით იმდენს, რასაც აქედან იღებენ, და კმაყოფილდებიან ამით. დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდებმა ბევრად უფრო მეტი აკეთონ, ვიდრე აკეთებენ, თუნდაც მეასედი იმისა, რაც შეუძლიათ. ეს არის ყველაზე დიდი რეზერვი ნებისმიერი ორგანიზაციის შემდეგი განვითარებისათვის. იმ დაწესებულებებმა, რომლებშიც მენეჯმენტი მოახერხებს არ იყოს პერსონალის პირო-ბების გარშემო გაუთავებელი ვაჭრობის რეჟიმში და გადავიდეს "იმავე ნაპირზე," რომელზედაც იმყოფება ორგანიზაციის თანამშ-რომლების უდიდესი ნაწილი, უმნიშვნელოვანესია დასაქმებულებთან ერთად დაიწყონ შიდაორგანიზაციული პრობლემების მოგვარება და საკადრო პოტენციალის გამოუყენებელი შესაძლებლობების ამოქმე-დება დასახული მიზნების მაღალი შედეგიანობით მიღწევის გარანტიით.

წარსულში ხელმძღვანელები ხშირად არჩევდნენ ახალ თანამშრომლებს კადრების სამსახურების გარეშე. ამ დროს ისინი ეყრდნობოდნენ საკუთარ ინტუიციასა და გამოცდილებას, აგრეთვე რეკომენდაციას წინა სამუშაო ადგილიდან. სისტემატური შეცდომები კი იწვევდა პერსონალის ხშირ გათავისუფლებას და ახალი კადრის დანიშვნას. ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, არაეკონომიური და არაეფექტიანიც იყო. თანამედროვე პირობებში თანამშრომლების მართვის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა კადრების შეკრება და შერჩევა. ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა პერსონალის მართვის სფეროში დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კადრები იქნება შერჩეული და როგორ ჩატარდება თავად შერჩევის პროცესი. საჭიროა, მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ პერსონალის მართვის ამ ეტაპს, რათა ადგილი არ ჰქონდეს დამატებით გართულებებს ორგანიზაციის საქმიანობაში. არსებული ვაკანსიების შესავსებად საჭირო შესაბამისი კადრების დასაქირავებლად უნდა მოვიპოვოთ ზუსტი ინფორმაცია თვით სამუშაოს ხასიათის, იმ თვისებებისა და კვალიფიკაციის შესახებ, რაც აუცილებელია, გააჩნდეს პრეტენდენტს მოცემული სამუშაოს შესასრულებლად. ესაა ე.წ. მოსამზადებელი ეტაპი პერსონალის შერჩევისათვის, რომელიც შემდეგი თანმიმდევრობით ტარდება:

- სამუშაოს შინაარსის ანალიზი;
- სამუშაოს ხასიათის აღწერა (თანამდებობრივი ინსტრუქცია);
- მოთხოვნები პერსონალისადმი.

სამუშაოს შინაარსის სიღრმისეული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, მოვიპოვოთ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ამოცანების გადაწყვეტა მოუხდებათ თანამშრომლებს მოცემული სამუშაოს შესრულებისას და როგორია ამ სამუშაოს ინდივიდუალური მახასიათებლები. უკვე ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია, შევადგინოთ შესასრულებელი სამუშაოს თანამდებობრივი ინსტრუქცია. ამ დოკუმენტში მოკლედაა აღწერილი მოცემული სამუშაოს შესრულების ძირითადი ამოცანები, საჭირო უნარ-ჩვევები, მომავალი თანამშრომლის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების საკითხები. მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ ეტაპს წარმოადგენს იმ მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომლების შესრულებაც აუცილებელია პრეტენდენტებისათვის სამუშაოს განსახორციელებლად. ე.ი. მაქსიმალურად ზუსტად უნდა განისაზღვროს საჭირო უნარ-ჩვევები, ზოგადი და პროფესიული ცოდნის დონე, კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება და ა.შ.

შერჩევის ორგანიზაციაში მონაწილეობენ ფუნქციური და ხაზობრივი სამსახურების ხელმძღვანელები, მათ, თანამედროვე

მეთოდების გამოყენებით, პროფესიონალი ფსიქოლოგები ეხმარებიან. ფუნქციური და ხაზობრივი სამსახურების ხელმძღვანელებს ეკუთვნით საბოლოო სიტყვა თანამდებობებისადმი წაყენებული მოთხოვნების ჩამოყალიბებისას და ასევე კადრების განყოფილების მიერ არჩეული კანდიდატებიდან სასურველის შერჩევისას. პერსონალის შერჩევის სისტემა განსხვავებულია **აშშ-სა** და **იაპონიაში.** გარკვეულწილად, **იაპონურ ფირმებში** „ორგანიზაციას არგებენ ადამიანს". აქ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სპეციალურ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც საჭიროა თანამდებობრივი მოვალეობების დაუყოვნებელი შესრულებისათვის. ამასთანავე, კონცენტრირებულები არიან ინდივიდუალურ პოტენციალსა და სწავლის ხარისხზე. ეს იმით აიხსნება, რომ იაპონურ დაწესებულებებში ამა თუ იმ პიროვნების დაქირავება, როგორც წესი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდება. კონკრეტული სპეციალური უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მიღება მიმდინარეობს უშუალოდ ორგანიზაციაში. კადრებთან მუშაობის მთელი სისიტემა აქ მორგებულია „მუდმივი დაქირავების" პრინციპს. **აშშ-ში** კი უპირატესობას ანიჭებენ ისეთი თანამშრომლების დაქირავებას, რომლებსაც გააჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები. ასეთ შემთხვევაში ახალი პერსონალის სწავლებაზე გაცილებით ნაკლები დანახარჯებია საჭირო და დაქირავებულს შეუძლია პირდაპირ შეუდგეს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ყველა შემთხვევაში კადრების შერჩევა მიმართულია პრეტენდენტის უნარისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისაკენ, რათა განისაზღვროს მისი შესაბამისობა ორგანიზაციის მუშაობის თავისებურებებთან და პირობებთან. დაწესებულებების უმრავლესობა იყენებს ვაკანტურ თანამდებობებზე შერჩევის გავრცელებულ პროცედურას, რომელსაც კადრების განყოფილება ახორციელებს.

პერსონალის შერჩევის ტიპური პროცედურა მოიცავს ექვს საფეხურს, ესენია:

- განცხადების ბლანკის და ბიოგრაფიული ანკეტის შევსება;
- ტესტირება;
- წინასწარი შესარჩევი გასაუბრება (გამოკითხვა);
- რეკომენდაციებისა და დაკავებული თანამდებობების სიის შემოწმება;
- სამედიცინო შემოწმება;
- გადაწყვეტილების მიღება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი საფეხურის არსი.

საფეხური I: განცხადების ბლანკის და ავტობიოგრაფიული ანკეტის შევსება – იმ პირებმა, რომლებმაც გაიარეს წინასწარი შესარჩევი გასაუბრება, უნდა შეავსონ განცხადება და ანკეტა. ანკეტის კითხვარების რაოდენობა საჭიროა იყოს მინიმალური და აუცილებელია მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ყველაზე უფრო სრულად ახასიათებს პრეტენდენტის ეფექტიანობას. კითხვები შეიძლება ეხებოდეს მის წარსულ სამუშაოს და გონებრივ შესაძლებლობას. ანკეტის პუნქტები ფორმულირებული უნდა იყოს ნეიტრალურ სტილში და გულისხმობდეს ნებისმიერ პასუხს, მათ შორის უარსაც. ანკეტის მონაცემების ანალიზი შერჩევის სხვა მეთოდებთან კომბინაციაში, როგორც წესი, გამოავლენს შემდეგ ინფორმაციას:

- ❖ განმცხადებლის განათლების დონის შესაბამისობა მინიმალურ კვალიფიციურ მოთხოვნებთან;
- ❖ პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისობა თანამდებობის ხასიათთან;
- ❖ თანამდებობით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე არსებული სხვა შეზღუდვები;
- ❖ დამატებითი დატვირთვის საკუთარ თავზე აღებისათვის მზადყოფნა;
- ❖ იმ პირების წრე, რომლებიც რეკომენდაციას აძლევენ დასაქმებულს ან დაეხმარება მას დამატებითი ინფორმაციის მიღებაში.

აღსანიშნავია, რომ ანკეტირების ერთ-ერთი ამოცანაა პირადი თვისებების და იმ გარემოებების დადგენა, რომელიც დაქირავების შემთხვევაში პრეტენდენტებს დაეხმარება მუშაობაში.

საფეხური II: ტესტირება – შერჩევისას, გადაწყვეტილებების მიღების გაადვილების მიზნით, გამოიყენებენ ხოლმე ტესტებსაც. ფსიქოლოგები და პერსონალის მართვის სპეციალისტები ადგენენ შესაბამის სამუშაო ადგილზე მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისათვის პრეტენდენტების უნარისა და გონებრივი შესაძლებლობების გამოსავლენად საჭირო ტესტებს.

საფეხური III: წინასწარი შესარჩევი გასაუბრება (გამოკითხვა) – ამ დროს მუშაობის ორგანიზება შეიძლება სხვადასხვა ხერხებით. სასურველია, ეს ეტაპი განხორციელდეს კადრების განყოფილებაში. ამ ეტაპზე დამქირავებლისათვის აუცილებელია ისეთი დეტალების გარკვევა, როგორიცაა კანდიდატის შესაძლებლობები, ცოდნის დონე, კვალიფიკაცია, გამოცდილება, ინტელექტი და ა.შ. ყოველივე იმის გათვალისწინებით, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ამ ინფორმაციის მიღება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასაუბრების წარმატებით ჩასატარებლად აუცილებელია გარკვეული კრიტერიუ-

მების ჩამოყალიბება, ამასთან, ეს კრიტერიუმები უნდა იყოს კარგად მოფიქრებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული და, საჭიროა ისინი, პრეტენდენტის თვისებების რაოდენობრივი შეფასების საშუალებას იძლეოდნენ.

საუბრის პროცესში მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა კითხვა-პასუხის რეჟიმით. არსებობს სხვადასხვა სახის შეცდომები, რომლებიც ამცირებს გასაუბრების შედეგებს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია პრეტენდენტზე დასკვნების გამოტანა პირველი შთაბეჭდილების მიხედვით. ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევის გათვალისწინება:

❖ მიზანშეწონილია, ყურადღებით მოვუსმინოთ, თუ რას და როგორ ამბობს მოცემული კანდიდატი;

❖ აუცილებელია პრეტენდენტის ქცევაზე თვალყურის დევნება, რათა მასზე მივიღოთ სრულყოფილი ინფორმაცია;

❖ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ყველა საჭირო ინფორმაციის საფუძველზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე აუცილებელი თვისება, რომელიც უნდა გააჩნდეს ინტერვიუს ჩამტარებელს:

❖ მას შეეძლოს შეკითხვების სწორად ფორმულირება;

❖ გააჩნდეს გასაუბრების მიმდინარეობის კონტროლის უნარი, ე.ი. მოახერხოს ის, რომ პრეტენდენტები რაც შეიძლება მეტს საუბრობდნენ იმაზე, რაც მათ აინტერესებთ. ამისათვის პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა ხერხი, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ეფექტიანად წარიმართოს გასაუბრების პროცესი.

იმისათვის, რომ პრეტენდენტმა მოგვაწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია გასაუბრების პროცესში, ერთ-ერთი მეცნიერი **ხ. ჯესნაპი** გვთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს:

❖ მოსაუბრეს ვუყუროთ თვალებში;

❖ არ გავაკეთოთ გრძელი პაუზები;

❖ აქტიური პოზიცია დავიკავოთ საუბრის დროს;

❖ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები დასმულ შეკითხვაზე;

❖ ხშირად დავეთანხმოთ მას.

რასაკვირველია, ყველა ეს ხერხი არა არის უნივერსალური და თავისთავად არ იძლევა წარმატების გარანტიასაც.

საფეხური IV: რეკომენდაციებისა და თანამდებობრივი ჩამონათვალის გადამოწმება-შერჩევის ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს წინა სამსახურიდან რეკომენდაციების ან სხვა ანალოგიური

დოკუმენტების მოთხოვნა. თუ უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან დამქირავებლის რეკომენდაცია იძლევა ზოგად და მინიმალურ ინფორმაციას, მაშინ მისგან სარგებელი მეტად მცირეა. ყველაზე ხშირად ამოწმებენ უკანასკნელ სამუშაო ადგილსა და სასწავლო დაწესებულებას.

საფეხური V: გადაწყვეტილებების მიღება-შერჩევა სრულდება სამსახურში მიღებით და ორმხრივი შრომითი ხელშეკრულების დადებით.

დაქირავების ძირითად ამოცანას წარმოადგენს პერსონალზე მოთხოვნის დაკმაყოფილება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარის-ხობრივ ჭრილში. სამუშაოზე დაქირავება, ესაა ქმედებების ერთობ-ლიობა, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად საჭირო პერსონალის მოზიდვისაკენ.

მენეჯერულ ლიტერატურაში, როგორც წესი, განიხილავენ პერსონალის დაქირავების ორ წყაროს: **შიდა** (ე.ი. ორგანიზაციაში არსებული თანამშრომლები) და **გარე** (ადამიანები, რომლებსაც კავშირი არ აქვთ ამ კონკრეტულ დაწესებულებასთან).

პერსონალის დაქირავების **გარე წყაროებში** შეიძლება გამოვ-ყოთ:

- სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებები;
- კომერციული სასწავლო ცენტრები;
- პერსონალის შერჩევის შუამავალი ფირმები;
- დასაქმების უზრუნველყოფის ცენტრები, შრომის ბირჟები;
- სხვადასხვა პროფესიული ასოციაციები და გაერთიანებები;
- მონათესავე ორგანიზაციები;
- თავისუფალი შრომის ბაზარი.

პერსონალის დაქირავების **შიდა წყარო** შეიძლება იყოს:

- თანამშრომლების ერთი ქვედანაყოფიდან მეორეში გადაყვანა შესაბამისი გადამზადების საშუალებით ან მის გარეშე;
- პერსონალის დაწინაურება და გადაყვანა უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე;
- არსებულ სამუშაო ადგილზე ახალი ფუნქციური როლის ფორმირება შესაბამისი დამატებითი სწავლების საშუალებით.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ შერჩევისას ხშირად გამოიყენება სარეკლამო განცხადებები ვაკანტური სამუშაო ადგილების შესახებ. ასეთი განცხადებების საშუალებით შესაძლებელია ეფექტიანი შედეგების მიღება მინიმალური დანახარჯებით.

თანამედროვე პირობებში დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობას აწესრიგებს დაქირავების საკონტრაქტო სის-ტემა. იგი კონტრაქტის მოქმედების ვადაში აძლევს კადრს დასაქ-

მების გარანტიას, ხოლო დაწესებულების მენეჯმენტს ავალდებულებს, უზრუნველყოს ეს უკანასკნელი შრომის პირობებითა და შესაბამისი ანაზღაურებით.

კონტრაქტი შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ცალკეულ პიროვნებებთან ან გარკვეულ ჯგუფებთან. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ **ინდივიდუალურ** და **კოლექტიურ კონტრაქტებს**.

ინდივიდუალური კონტრაქტი წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას თანამშრომელსა და დამქირავებელს შორის, რომელიც ადგენს ორივე მხარის უფლებებსა და მოვალეობებს გარკვეული სამუშაოს შესრულების პერიოდში.

საკონტრაქტო სისტემის გამოყენების სფეროში დაგროვილი გამოცდილების დახმარებით შესაძლებელია წამოვადგინოთ კონტრაქტის შემდეგნაირი სტრუქტურა:

❖ **ზოგადი დებულებები:** კონტრაქტის დამდები მხარეები, შეთანხმების ვადა, გამოსაცდელი პერიოდის ხანგრძლივობა და ა.შ.;

❖ **თანამშრომლის ვალდებულებები:** (კონტრაქტის საგანი) – რა სამუშაო შეასრულოს დასაქმებულმა, მისი გრძელვადიანი ამოცანები, სამუშაო ფუნქციების კონკრეტიზაცია, შესასრულებული სამუშაოს ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები და სხვ.;

❖ **ორგანიზაციის ვალდებულებები:** სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისთვის საჭირო პირობების შექმნა სამუშაო ადგილზე, შრომის ანაზღაურება, შრომისა და დასვენების რეჟიმი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა.შ.;

❖ **მხარეების პასუხისმგებლობა:** კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

❖ კონტრაქტის გახანგრძლივების ან გაუქმების საფუძველი და წესი;

❖ კონფლიქტების განხილვის წესი;

❖ დამატებითი პირობები.

ინდივიდუალური კონტრაქტი შეიძლება გაფორმდეს როგორც მმართველთან, ისე სპეციალისტთან.

კონტრაქტის ქმედუნარიანობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია, მასში მაქსიმალურად ზუსტად და ნათლად განისაზღროს სამუშაოს მოცულობა, შესრულების ვადები და ორივე მხარის ვალდებულებები. სპეციალისტის სამუშაოზე მიღება მოითხოვს მისი მოვალეობების სწორ შეფასებას, შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოდ გამოკვეთას, შრომის ინტენსივობისა და ხარისხის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას. კონტრაქტში შეტანილი მხარეების პასუხისმგებლობის საკითხი, რა თქმა უნდა, ორმხრივია. რაც

იმას ნიშნავს, რომ თუ დასაქმებულს ორგანიზაციის მიზეზით მიადგა რაიმე სახის ზიანი, იგი უნდა ანაზღაურდეს ამ უკანასკნელის მიერ. ანალოგიურად, თუ კადრმა თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით ზარალი მიაყენა ორგანიზაციას, მაშინ მასთან მიმართებაში გატარდება გარკვეული სახის სანქციები, რომლებიც მითითებული უნდა იყოს კონტრაქტში.

კოლექტიური კონტრაქტი წარმოადგენს შეთანხმებას ორგანიზაციის მენეჯმენტსა და დასაქმებულების ჯგუფს შორის, რომელიც ადგენს მათ უფლება-მოვალეობებს. კოლექტივთან კონტრაქტის დადება ხდება ამ ჯგუფის წარმომადგენელთან ინდივიდუალური კონტრაქტის ანალოგიურად. აღნიშნულ წარმომადგენელს ირჩევენ თვით კოლექტივის წევრები. რაც შეეხება ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ კოლექტივის შერჩევას, იგი ხორციელდება უმეტესად კონკურსის წესით. კონტრაქტით დაქირავებული კოლექტივის ხელმძღვანელის კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები: ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება; კოლექტივის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება და ა.შ. ასეთი კოლექტივის თითოეული წევრი უშუალოდ აგებს პასუხს შესასრულებელი სამუშაოს ხარისხზე ინდივიდუალური კონტრაქტის ანალოგიურად. სამუშაოს შედეგები ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. ამგვარი კოლექტივის საქმიანობა წყდება კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ ან ვადამდე სამუშაოს ხარისხიანად ჩაბარებისას, ან უარყოფითი შედეგების მიღებისას.

ამრიგად, კადრების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემოქმედებითი უნარიანობის გამომუშავების მიზნით აუცილებელია, ნებისმიერმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს მატერიალური სტიმულირების სრულყოფის მზარდი მოტივირების ინოვაციური მიმართულებების დანერგვა, რაც კონკრეტულად გულისხმობს პერსონალის ხელფასის ფორმებისა და მეთოდების უშუალოდ დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხთან დაკავშირების მექანიზმის ფორმულირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Зайцев Л. Г., Соколова М. И., Организационное поведение: учебник, М.: Экономисть, 2005.

2. Кротова Н.В., Клеппер Е.В., управление персоналом; Москва, “Финансы и статистика”, 2006; с. 297-318.

3. Кубанов А.Я., Дуракова И.Б., Высшее образование, управление персоналом; Организации Стратегия, Маркетинг, интернационализация, Учебное пособие; М., Инфра-М 2005; с. 295-296.

4. Gomez-Mejia R. L., Balkin B. D., Cardy L. R., “Managing Human Resources,” Prentice Hall Publications, 1998.
5. Hales C., “Managing Through Organization,” L., 1993.

Asmat Shamugia

THE FORMATION CHARACTERISTICS OF STAFF POLITICS IN MODERN ORGANIZATIONS

Annotation

This scientific article explores that the continuous professional development of staff and the creative power generation is essential for any organization to in-culcation financial incentives to improve the innovative trends of increasing motivation, which concretely includes staff salaries, forms and methods of the quantity and quality of labor expended in connection with the formulation of a mechanism.

ვასილ ხიზანიშვილი

მომხმარებლები, როგორც სტეიკჰოლდერები

სტეიკჰოლდერებს შორის მომხმარებლები აშკარად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტეიკჰოლდერებია ნებისმიერი ორგანიზაციისა-თვის, რამდენადაც მომხმარებელთა თავისებური სახის მხარდაჭერის გარეშე (ისეთის, როგორიცაა მოთხოვნის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ბაზარზე გასვლის შედეგად სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა) საეჭვოა, რომ რომელიმე ორგანიზაციას შეძლებოდა დიდხანს არსებობა. მომხმარებლებში ჩვენ ვგულისხმობთ არა უბრალოდ იმ მომხმარებლებს, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, იძენენ მზა პროდუქციას მაღაზიებსა თუ სუპერმარკეტებში, არამედ ყველა ორგანიზაციას, რომელიც დებს ხელშეკრულებას სხვა ორგანიზაციებთან საქონლითა და მომსა-ხურებით მათი უზრუნველყოფის თაობაზე (მაგ., ისეთი ინსტიტუცია, როგორიც არის უნივერსიტეტი, გარკვეული აზრით წარმოადგენს ასევე მომხმარებელს, რადგან ის ყიდულობს ინვენტარს, მათ შორის ავეჯს, საკანცელარიო საქონელს, წიგნებს, ჟურნალებს და სხვა საქონელსა თუ მომსახურებას საკუთარი ბიზნესის, ანუ სწავლებისა და კვლევისათვის).

დასავლეთის ქვეყნებში საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკად ითვლება ის, რომ საწარმოები მაქსიმალურად ცდილობენ იქონიონ საუკეთესო ურთიერთობები საკუთარ კლიენტებთან. შეიძლება

ითქვას, რომ ეს მიდგომა ნამდვილად წარმოადგენს ორგანიზაციების ბიზნესსტრატეგიების უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რაც განაპირობებს მათ მომავალ კომერციულ წარმატებებს, ე.ი. უახლოესი კონკურენტების ჩამოტოვებას კონკურენციულ სრბოლაში. კომპანიები, რომლებიც ბაზარზე ყვავიან, ის კომპანიებია, რომლებიც მუდმივად უთმობენ ყურადღებას საკუთარი კლიენტების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ხოლო საპირისპირო შემთხვევაში კი, კომპანიები გარდაუვალად კარგავენ საკუთარ წილს ბაზარზე, რაც, საბოლოოდ, ბუნებრივია, უარყოფითად ზემოქმედებს მათსავე რენტაბელობაზე.

მაგრამ შეიძლება დაისვას კითხვა: მიუხედავად მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესთა ასეთი მჭიდრო თანხვედრისა, ამ უკანასკნელთან მიმართებაში, არცთუ იშვიათად, რატომ აქვს ადგილი ეთიკურ დარღვევებს და ამის ფონზე რატომ გამოიყურება მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის რეპუტაცია ასე უბადრუკად? მაგალითად, არცთუ შორეულ წარსულში, დასავლეთში ფირმების მხრიდან ადგილი ჰქონდა საკუთარ კლიენტურაზე საეჭვო ხერხებით მოპყრობის მრავალ შემთხვევას[67]:

- თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები დადანაშაულებულნი იყვნენ საკუთარი მომხმარებლების მოტყუებაში მათთვის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტის მიყიდვის გამო, რაც მდგომარეობს მწარმოებელთა მხრიდან დაავადების გამომწვევი პროდუქციის სახიფათო თვისებების დამალვასა და უარყოფაში.
- მულტინაციონალური ფარმაცევტული კომპანიები დადანაშაულებულნი იყვნენ მესამე სამყაროს ქვეყნების ექსპლუატაციაში, რაც მდგომარეობს გადამდები ინფექციების საწინააღმდეგო მედიკამენტებით ვაჭრობის პროცესში მაღალი ფასების შენარჩუნებისა და დაბალი ფასების გამოყენების პრევენციაში.

რასაკვირველია, მსგავსი მაგალითები შეშფოთების საფუძველს იძლევა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. აქ უსათუოდ ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად თანხვედრაშია მომხმარებლების, როგორც სტეიკჰოლდერების მოთხოვნათა დაკმაყოფილება ფირმის ინტერესებთან? და თუ არის იმგვარი სიტუაციებიც, სადაც მყიდველისა და გამყიდველის ინტერესები შორდება ერთმანეთს[68]? ვფიქრობთ, საბაზო დონეზე მის პროვოცირებას შეიძლება ახდენდეს

---

[67] Andrew Crane, Dirk Matten, Business Ethics, A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the age of globalization), Oxford University Press, Oxford ,2004. P. 267.

[68] N.C Smith, Marketing strategies for the ethics era., Sloan Management Review , N 36/4, 1995, P. 85-97.

ალტერნატიული ვარიანტების არსებობა მხარეებს შორის. მაგრამ ეს არ უნდა იყოს არსებითი საფუძველი ამგვარი მდგომარეობისა. ჩვენი აზრით, აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ეთიკური ასპექტი. თუნდაც ცალსახად გამოკვეთილი ურთიერთინტერესის არსებობის შემთხვევაში, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა აყალიბებს ეთიკურ ან არაეთიკურ ქცევებს მომხმარებელთა მიმართ. როგორც წესი, დასავლეთში ქცევათა ეს ნორმატიული ბაზა ეფუძნება მომხმარებლის უფლებების იდეას, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად იქნეს წარმოდგენილი:

მომხმარებლის უფლებები გულისხმობს თითოეული მომხმარებლის ღირსების პატივისცემას, ანუ მწარმოებლები ვალდებულნი არიან, მომხმარებლები განიხილონ როგორც მიზანი, და არა მხოლოდ მათი მიზნის მიღწევის საშუალება. მაშასადამე, მომხმარებლის უფლებების დაცვა წარმოადგენს ზნეობრივ იმპერატივს, რომელიც ვლინდება პატიოსანი საბაზრო ურთიერთობების პროცესში.

ყველა დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობით, აკრძალული საქონლის შეფუთვასა და რეკლამირებასთან მიმართებაში ინფორმაციის შეგნებული ფალსიფიკაციის დროს, მომხმარებელს სრული უფლება აქვს, ფლობდეს ამა თუ იმ პროდუქტის წარმომავლობასთან დაკავშირებულ სარწმუნო ინფორმაციას. მხოლოდ ამგვარ კონტექსტში იქნებოდა შესაძლებელი დასმულიყო კითხვა მყიდველსა და გამყიდველს შორის პატიოსანი ურთიერთობების თაობაზე. მომხმარებლის უფლებების სწორედ ამგვარი რუხი სფეროების სივრცეში ჩნდება ზემოთ ნახსენები მარკეტინგისა და გაყიდვების საეჭვო პრაქტიკაც, რომლის პრევენციას მომხმარებლებისათვის არა მხოლოდ გარკვეული უფლებების მინიჭება, არამედ ასევე მათი მხრიდან ვალდებულების ნებაყოფლობითი აღება წარმოადგენს, და რაც ასახვას კორპორაციებზე ერთგვარი კონტროლის განხორციელებაში პოულობს, როგორც ლოკალურ – ცალკეული მომხმარებლის უფლებების დაცვის, ისე გლობალურ – ეკოლოგიური პრობლემების თავიდან აცილების სიბრტყეზე. ამგვარ ეფექტებზე უდიდეს ზემოქმედებას სწორედ რომ ჩვენი, როგორც მომხმარებლების მიერ შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ახდენს. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ისეთი პრეცედენტები, როგორიცაა საქვეყნოდ ცნობილი ამერიკული სპორტული პროდუქციის მწარმოებელი კომპანიის “Reebok”-ის დამოკიდებულება მესამე სამყაროს მუშახელის მიმართ, ან ასევე ამერიკული ნავთობმომპოვებელი გიგანტის “ExxonMobil”-ის გამოხმაურება გლობალური დათბობის მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ მომხმარებლების, როგორც სტეიკჰოლდერების ადეკვატურ პოზიციას

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების უსაფრთხო და მდგრადი განვითარების საქმეში.

მომხმარებლები, როგორც სტეიკჰოლდერები

სტეიკჰოლდერებს შორის, მომხმარებლები ნებისმიერი ორგანიზაციისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტეიკჰოლდერებია, რადგან მათ გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ფირმის ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, დასავლეთში საწარმოები მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარ კლიენტებთან კარგ ურთიერთობაში ყოფნას. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს ორგანიზაციების ბიზნესსტრატეგიების უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როგორც მომავალი კომერციული წარმატების წინაპირობას.

მიუხედავად მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების მჭიდრო თანხვედრისა, ამ უკანასკნელთან მიმართებაში არცთუ იშვიათად აქვს ადგილი ეთიკურ დარღვევებს, რაშიც დიდი წილი მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურებს უდევთ. სწორედ ამიტომ, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა აყალიბებს ამგვარ ქცევებს მომხმარებელთა მიმართ. როგორც წესი, მსგავსი მოქმედებების პრევენციას ქცევათა ის ნორმატიული ბაზა წარმოადგენს, რომელიც მომხმარებლების უფლებების იდეას ეფუძნება, და რომლის რეალიზებას დიდწილად მომხმარებლების მხრიდან მიმწოდებლობაზე ერთგვარი კონტროლის განხორციელება განაპირობებს. ყოველი უპატიოსნო ინტერაქციის დროს მომხმარებლების, როგორც სტეიკჰოლდერების ადეკვატურ პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების უსაფრთხო და მდგრადი განვითარების საქმეში.

Vasil Khizanishvili

CONSUMERS AS STAKEHOLDERS

Annotation

Among the stakeholders, the consumers are one of the important stakeholders for any organization, because without them it'll be impossible functioning of any firm. Therefore in the west the industries maximally try to be in good relationship with their clients. This approach presents main and the most important principles of the organization's business strategies, as a precondition of the future commercial success.

Besides the close converge of the producers and consumers' interests, with respect to the last, rarely have place the violations of the ethics, in which a large proportion have the marketing and the sales service. That's why, it's important to clarify, what makes such acts to the consumers. As a rule, the principles of the similar action presents such kind of normative base, which is based on the rights of

the consumers' ideas, and realization of which, largely determines the implementation of the control to the suppliers from the consumers. When all kind of the dishonest interaction, the consumers as the stakeholders' adequate position is given a determined meaning in the case of the secure of manufacture and sustainable development.

მაია კაპანაძე
მერაბ კვანტალიანი

"მწვანე" ეკონომიკა და მისი დაფინანსების პერსპექტივები

ჩვენში განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ვერ უზრუნველყო სიღარიბის შემცირება, ეკონომიკური ზრდა კი არ აისახა მოსახლეობის კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ, ქვეყნის სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა ინკლუზიური (ყოვლისმომცველი) ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რათა ყოველმა მოქალაქემ ისარგებლოს მიღწეული დადებითი შედეგით და, ამავე დროს, შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური ზრდის პროცესში. ამის გათვალისწინებით ახალი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია არა სოციალური დახმარებების, არამედ შემოსავლების ზრდის შესაძლებლობების გაჩენისკენ. ამავდროულად, ხელისუფლება იღებს უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარებების გაწევის პასუხისმგებლობას

როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტში – „საქართველო 2020-ში" არის ნათქვამი, ქვეყნის მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა უნდა განაპირობოს საიმისოდ, რომ თითოეულმა მოქალაქემ ისარგებლოს მიღწეული შედეგებით და თან ეკონომიკური განვითარების პროცესში იყოს ჩართული. ასეთი პოლიტიკის მიზანია მდგრადი განვითარება და ის ეკონომიკური თავისუფლების პატივისცემას დაემყარება.

ინკლუზიური განვითარების კონცეფცია ქვეყნის სამართლიანი და წარმატებული განვითარების ყველაზე საუკეთესო კონცეფციაა. მასში გამოკვეთილადაა ნაჩვენები სახელმწიფოს მნიშვნელობა ეკონომიკის ზრდა-განვითარების პროცესში, რომლის ცენტრშიც დაყენებულია ადამიანი, მისი კულტურა, განათლება, ჯანმრთელობა, დასაქმება, შემოქმედება და ა. შ.

განათლება, მეცნიერება, ტექნოლოგიის მიღწევები მყარ საფუძვლებს უმზადებს სწრაფ აღმავლობას, აორმაგებს ეროვნულ ენერგიას და ასაზრდოებს მოქალაქეთა კეთილდღეობის მატებას,

მაგრამ ამის პარალელურად სულ უფრო ძნელად შესაგუებელი ხდება ცალკეული ქვეყნების გაუსაძლისი სიღატაკე, ტექნიკური ჩამორჩენილობა და მოსახლეობის "სიჭარბე". ეს უკიდურესად ზრდის სოციალურ უსამართლობას და დაძაბულობას მთელ მსოფლიოში, რაც პოლიტიკურ კონფრონტაციასა და ტერორიზმში გადაიზრდება ხოლმე. ინკლუზიურ განვითარებას ამის შეჩერების დიდი უნარი აქვს. გლობალიზაციის ეპოქაში ეს ისეთი მოდელია, რომელიც არსებულ დისბალანსებს შეამცირებს და ეკონომიკური ზრდის ნაყოფის სამართლიანად განაწილებას შეუწყობს ხელს. ეკონომიკური ზრდა თვითმიზანი არ უნდა იყოს, მას სხვა, უფრო დიდი ამოცანების გადაჭრისთვის უნდა ვიყენებდეთ: სიღატაკისა და ქანცგამცლელი შრომისგან თავის დასაღწევად. ამის გზად სხვა-დასხვა სახის რეფორმების კომბინირებას მიიჩნევენ, მათ შორის ე.წ. „მწვანე ზრდას". როგორც ცნობილია, გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფოებს „მწვანე ეკონომიკაზე" გადასვლის რეკომენდაციები მისცეს. ახლა ამისკენ ბევრი ქვეყანა მიისწრაფვის, მათ შორის წამყვანი ქვეყნები, რადგან ასეთი ეკონომიკა ამჟამად ბიზნესპერსპექტივადაა აღიარებულ

საქართველოს ინკლუზიურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მწვანე ტურიზმს. იგი მრავალასპექტიანი მოვლენაა, რომელთაგან ერთ-ერთია მისი სოციალური ასპექტი. იგი უნდა განვიხილოთ სოფლად მცხოვრებთა შემოსავლების წყაროების დივერსიფიცირების ძლიერ საშუალებად, სასოფლო ტერიტორიებისა და სოფლის ინფრასტრუქტურის კომპლექსური განვითარების კომპონენტად და სოფელ ადგილებში სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის ანგარიშგასაწევ ფაქტორად. სწორედ ამიტომ, მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო ყოველმხრივ უჭერს მხარს და სტიმულს აძლევს მწვანე ტურიზმს, მაქსიმალურად ამარტივებს ამ საქმიანობაში ჩაბმას, პრეფერენციებს უწესებს მათ, ვინც ამგვარ მომსახურებას სთავაზობს ბაზარს, ამ პრეფერენციებში კი უპირველესად საგადასახადო შედავათები იგულისხმება.

სხვა ასპექტია ადგილობრივი კულტურის გაცნობა-პოპულარიზაცია, მხარისა და კუთხის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც კიდევ უფრო ღირებულსა და სასარგებლოს ხდის სასოფლო ტურიზმს. აქ ნაკლებად იყენებენ სასტუმროების მომსახურებას და დასვენების ორგანიზებაში ცენტრალურ ფიგურად ოჯახი გვევლინება. ამ შემთხვევაში ოჯახი თავის ჩვეულ პირად გლეხურ მეურნეობას მისდევს, რაც მისი ძირითადი საქმიანობაა, ამის გვერდით კი ამავე მეურნეობის ქონებას ტურისტული მომსახურებისთვისაც იყენებს. აქვე შედის საცხოვრებლითა და საკვებით

უზრუნველყოფა, ადგილობრივი კულტურის, ტრადიციებისა და ყოფის გაცნობა.

სასოფლო ტურიზმს დასვენების პასიურ ფორმას მიაკუთვნებენ, მიზნის მიხედვით კი იგი სოციალური უფროა, ვიდრე კომერციული. საფრანგეთში, მაგალითად, აგროტურიზმის განვითარებამ დიდად განაპირობა უპერსპექტივო სოფელი ადგილებიდან მოსახლეობის მასობრივად წასვლის პრობლემები. აგროტურიზმი ევროპაში ამ ბოლო 40-45 წლის მანილზე განვითარდა, განსაკუთრებით კი საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში. იგი დღეს ძალიან პოპულარული ხდება პოლონეთში, ხორვატიასა და კვიპროსზე. აქ დიდ როლს თამაშობს ის გარემოება, რომ ტურიზმის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, აგროტურიზმი არც დიდ სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს და არც დიდი ტურისტული ფირმების შექმნას. ამიტომ მისი ფართოდ დანერგვა და განვითარება ჩვენს პირობებშიც სასარგებლო იქნება.

დღეს ქვეყნები განსხვავებულად წყვეტენ თავიანთ ეკონომიკურ პრობლემებს. სოფლად საკუთრებითი ურთიერთობების, მენეჯმენტის, რენტის, მეურნეობის ოპტიმალური ზომის და სხვა საკითხები საზოგადოების სულ უფრო გაცხოველებული მსჯელობის და კამათის საგანი ხდება. აშკარაა, რომ სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ფერმების და უმუშევრობის მაღალი დონის ქვეყნისთვის. თუ სოფლის მეურნეობის განვითარებით მიღებული სარგებელი სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის შედეგი იქნება, მაშინ ამ დარგს მხოლოდ პასიური როლი დაეკისრება, ხოლო თუ სახელმწიფოს თანამონაწილეობით კომერციულ მნიშვნელობასაც შეიძენს, მაშინ იგი ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა გახდება. საქართველოს ახლანდელმა მმართველმა ძალამ აგროსექტორის განვითარების ძირითად ამოცანად დასახა დარგის პოტენციალის სრულად ათვისება, კონკურენტუნარიანი წარმოების მოწყობა, იმპორტის ჩანაცვლებაზე ზრუნვა, აგროსასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალის გადიდება, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა, აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება და სხვა. მისი დაპირების მიხედვით, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის რეალურ პრიორიტეტად იქცევა და მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული და რეგიონული პოლიტიკის საფუძველზე განვითარდება.

კაპიტალის ბაზრების სწრაფად ზრდა და მათი მზარდი "მწვანე" ორიენტაცია, აგრეთვე, "მწვანე" ეკონომიკის სტიმულირების ის ფონდები, რომლებიც ბოლო წლების ეკონომიკური დაქვეითების საპასუხოდ იქმნება, ახალ რელსებზე ეკონომიკის გადასვლის მასშტაბურ დაფინანსებას უხსნიან გზას. ფინანსური მომსახურებისა

და ინვესტიციების სექტორები ტრილიონობით დოლარს აკონტრო-ლებენ და მათ თავისუფლად შეუძლიათ "მწვანე" ეკონომიკაზე გადასვლისთვის საჭირო დაფინანსების ძირითადი მოცულობის გაღება. ინსტიტუციური ინვესტორები – საპენსიო ფონდები და სადაზღვევო კომპანიები კარგად აცნობიერებენ გარემოსთან დაკავ-შირებული რისკების განეიტრალების შესაძლებლობას სოციალური ფაქტორებითა და მართვის ხარისხით [1], აგრეთვე, "მწვანე" პორტფელების შექმნით. ხშირად ასევე იქცევიან ბანკებიც ე.წ. "მწვანე" ფინანსური პროდუქტების შემუშავების დროს. მაგალითად, 2007-2010 წლებში განახლებადი ენერგეტიკის სექტორში აშშ-ის მნიშვნელოვანი კერძო ინვესტიციები – 627 მლრდ დოლ. იყო განხორციელებული. მარტო 2004-2008 წლებში ამ სექტორში ინვესტიციები გასამმაგდა და 173 მლრდ დოლარს მიაღწია [2].

საინტერესოა ნორვეგიის გამოცდილებაც. მაგალითად, ნორვე-გიის საპენსიო ფონდ ლობალ-ის ერთ-ერთი მოვალეობაა საყოველ-თაოდ მიღებულ ფასეულობათა დაცვა. ნორვეგიის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა გარემოს დაცვის ამოცანები, მათ შორის – კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა, და ამ ფონდს დაუწესა ახალი საინვესტიციო პროგრამა. მასში შედის ინვესტიციები ეკოლოგიაში, მაგალითად, კლიმატდამზოგავ ენერგეტიკაში, ენერგო-ეფექტიანობის ამაღლებასა და დაბინძურებასთან ბრძოლაში [3]. 2004 წ. ბოლოსთვის ამ პროგრამის ფარგლებში 7 მლრდ ნორვეგიულ კრონაზე მეტი იყო ინვესტირებული, რაც ბევრად აღემატებოდა განზრახულს [4].

"მწვანე" ეკონომიკაზე გადასვლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ინიციატივებს. ამის ნიმუშია ოცეულის ქვეყნების მიერ გამოყენე-ბული ფინანსური სტიმულირების მასშტაბური პაკე-ტები. კერძოდ, 'მწვანე" ინვესტიციებს 2008წ. აშშ-ში მოხმარდა ეკონომიკის სტიმულირებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მთელი სახსრების 16%, ანუ 522 მლრდ დოლარი [5].

გამოყენებული ლილტერატურა

1. www. globalreporting. org და www. intergratedreporting. org
2. Global Trends in Sustainable Energy Investment 2010. UNEP / Blomberg New Energy Finance (2010), გვ. 5
3. The National Budget for 2011. ნორვეგიის ფინანსთა სამინისტრო (2010). ix. www. Globalreporting. Org and Integratedreporting. org
4. GPEG. Responsible Investment. Nnorvegiis finansTa saministro (2010), http://www. regjeringen.no/upload/FIN/brosjyre/2010/spu/English_2010/index.htm

5. Barbier Edward. A Global Green New Deal. University Press, კემბრიჯი, 2010.

Maia Kapanadze
Merab Kvantaliani

GREEN ECONOMICS AND ITS FINANCING PERSPECTIVES

Annotation

The economic policy realized in our country did not ensure shortening the poverty and economic growth was not reflected on people's prosperity. That is why the general point of a country's strategy is secure of the inclusive economic growth for the citizens to use those achieved positive results and have possibilities to be the participant in the economic increasing process.

Inclusive development conception is the best way for country's successful and right development. In this conception there is well shown the government policy in the economic development and growth process where the human role is important.

The green tourism can play a big role in the development of Georgia's economic growth. We can discuss it as the general subsistence for the villagers income, as the complex development component in rural infrastructure and the main strategic factor overcome poverty in the villages.

The capital markets quick growth and their increasing green orientation, also green economics stimulating funds give the great opportunities to finance the new economic way's transition. The sectors of financial services and investigations control trillions of dollars and they can freely finance the solid amounts for green economic transition.

გიორგი კეპულაძე

დემოგრაფიული ცვლილებები და დემოგრაფიული პერსპექტივები საქართველოში

შესავალი

სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას ნებისმიერი ქვეყნისთვის. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, პირველ რიგში, არსებული წარმოების ფაქტორების და, განსაკუთრებით, შრომის ეფექტიანი გამოყენება. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მეტად მნიშვნელოვანია, როცა ქვეყანას დემოგრაფიული პრობლემები გააჩნია, ვინაიდან ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული სიტუაცია

მნიშვნელოვნად განაპირობებს შრომის მიწოდებას, დასაქმების დონესა და მის სტრუქტურას.

საზოგადოების დემოგრაფიული მდგომარეობა წარმოადგენს შრომის ერთობლივი (აგრეგირებული) მიწოდების საფუძველს და ბევრად განაპირობებს შრომის ბაზარზე არსებულ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემების შესასწავლად ძალზე მნიშვნელოვანია შრომის აგრეგირებული მიწოდების ანალიზი, რომელიც უნდა განხორციელდეს მოსახლეობის რაოდენობისა და სტრუქტურის შეფასების საფუძველზე. ამ თვალ-საზრისით, შრომის ერთობლივი მიწოდება დიდად არის დამოკი-დებული შობადობის, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკაზე.

1. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ზოგადი დახასიათება

საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია მე-20 საუკუნეში არათანაბარი განვითარების ტენდენციით ხასიათდება. საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედ ვით (ცხრ. 1), მოსახლეობის რაოდენობამ პიკს მიაღწია 1992 წელს და შეადგინა 5467,4 ათასი კაცი. ე.ი. 53 წლის განმავლობაში (1939 წლიდან 1992 წლამდე) მო სახ ლე-ო ბის რაოდენობა გაიზარდა 1927,4 ათასი ადამიანით, ანუ თითქმის 54%-ით. 1992 წლის შემ დეგ მოსახლეობის ცვლილების დინამიკა ხასიათდება არაერთგვროვნებით და, პირობითად, შეიძლება გამოიყოს სამი პერიოდი:

1. 1992-2004 წლები. ამ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის (12 წლის) გან-მავ ლო ბა ში მოსახლეობა განუხრელად მცირდებოდა და ამ შემცირებამ შეადგინა 21%, ანუ 1152,2 ათასი კაცი (ცხრ. 1). ეს პროცესი გამოწვეული იყო არა მხოლოდ შო ბა დო ბის შემ-ცირებით [69], არამედ ძლიერი მიგრაციულ პროცესებით, როცა საქართველო ჯერ ეთნიკურად არაქართველმა მოსახლეობამ დატოვა და მერე მათ დაემატა შრომის მიგრაციის ძლიერი ნაკადები.

2. 2004-2006 წლები. ეს იყო მოსახლეობის მოკლევადიანი ზრდის პერიოდი, როცა მმცხოვრებთა რაოდენობა გაიზარდა 86,1 ათასი კაცით (4315,2 ათასი კაციდან 2004 წელს 4401,3 ათას კაცამდე 2006 წელს).

[69] 1992-2004 წლების პერიოდში ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა შემცირდა 72,6 ათასიდან 49,6 ათასამდე [1,2].

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის დინამიკა: 1939-2014 წლები [1, 2].

წლები	1939	1959	1970	1979	1990	1995	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
მოსახლეობის რიცხოვნობა	3540,0	4044,0	4666,4	4993,2	5424,4	4794,2	4435,2	4401,4	4371,5	4342,6	4315,2	4321,5	4401,3	4394,7	4382,1	4385,4	4436,4	4469,2	4497,6	4483,8	4490,5

3. 2006-2014 წლები. ეს რვაწლიანი დროის მონაკვეთი ხასიათდება მოსახლეობის არასტაბილური დინამიკით, რომელშიც შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მოკლევადიანი პერიოდი, კერძოდ, 2006-2008 წლებში მოხდა მოკლევადიანი და მოსახლეობის უმნიშვნელო (0,4%) შემცირება; 2008-20012 წლებში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 115,5 ათასი, კაცით ანუ 2,6%-ით, ხოლო2013 წელს 2012 წელთან შედარებითმოსახლეობა შემ ცირდა 13,8 ათასი კაცით, ანუ 0,3%-ით. ეს შემცირება შეიძლება იმ გარემოებით იყოს ახსნილი, რომ 2012 წელთან შედარებით 2013 წელს ემიგრანტების რაოდენობა 5%-ით გაიზარდა და 95 064 კაცი შეადგინდა, ხოლო იმიგრანტთა რაოდენობამ 92 458 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 25%-ით მეტი იყო, ანუ 2013 წელს მიგრაციულმა სალდომ უარყოფითი მნიშვნელობა მიიღო და საქართველო 2606 ადამიანით მეტმა დატოვა, ვიდრე საქართველოში შემოვიდა [3, გვ. 3]. რაც შეეხება მიმდინარე წელს, 2013 წლის 1 იანვართან შედარებით, 2014 წლის იმავე პერიოდისთვის მოსახლეობის რიცხოვნობა ძალზე უმნიშვნელოდ (0,1%-ით) გაიზარდა (ცხრ. 1).

ამასთან, 1992-2014 წლების პერიოდი ხასიათდებოდა შობადობისა და სიკვდილიანობის არაერთგვაროვანი დინამიკით. 1992-2003 წლებში საქართველოში შეიმჩნეოდა შობადობის სტაბილური შემცირება. ამ პერიოდში ცოცხლად დაბადებული ბავშვთა ოდე ნობა შემცირდა 26,4 ათასი ბავშვით და შეადგინა 46,2 ათასი ბავშვი. შემდგომში - 2003-2010 წლებში - მოხდა შობადობის უმნიშვნელო მატება - 62,6 ათას ბავშვამდე, ხო-ლო 2010 წელს ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა კვლავ შემცირდა[1,2].

შობადობის ზოგადი შემცირების პირობებში გარდაცვლილთა რაოდენობის დინამიკა 1990-2014 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია გარდაცვლილთა

რაოდენობის გადაანგარიშებაში მოსახლეობის 1000 სულზე. თუ 1990 წელს გარდაცვლილთა რაოდენობამ მოსახლეობის 1000 სულზე შეადგინა 9,3, მომდევნო წლებში ეს კოეფიციენტი განუხრელად იზრდებოდა და მიაღწია თავის მინიმალურ (9,4) 2007 და მაქსიმალურ დონეს (11,3) 2004 წელს [1,2].

2. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და შრომის ბაზარი: 1990-2013 წლები

შობადობის დაბალი დონე ნეგატიურად მოქმედებს შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი მოსახლეობის რიცხოვნობაზე. ამაზე ნათლად მიუთითებს საქართველოს სტატისტიკური მონაცემები, როცა 1990-2010 წწ. პერიოდში შეიმჩნევა ამ ასაკობრივი ჯგუფის რაოდენობის შემცირება, რასაც მოჰყვა მცირე დადებითი დინამიკა 2010-2013 წლებში (ცხრ. 2). თუ 1990 წელს 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 1328,8 ათას კაცს, 1995 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 1089,9 ათასი კაცი, 2000 წელს კი ეს მაჩვენებელი უკვე 963,5 ათასი კაცის ტოლი იყო, 2005 წელს - 834,1 ათასი კაცი, 2010 წელს - 756,5 ათასი კაცი, 2011 წელს - 759,4 ათასი კაცი, 2012 წელს - 761,1 ათასი კაცი და 2013 წელს - 762,9 ათასი კაცი, ანუ 23 წლის განმავლობაში (1990-დან 2013 წლამდე) შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი მოსახლეობის რაოდენობა 1,7 - ჯერ შემცირდა.

რაც შეეხება შრომისუნარიანი ასაკის (15-64 წლის) მოსახლეობას, 1990 წელს ამ ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 3 598,2 ათას კაცს და 2013 წელს მათი რაოდენობა შემცირდა 3 100,2 ათას კაცამდე, ანუ 1990-2013 წლების პერიოდი ხასიათდება ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის 14%-ნი შემცირებით, რაც შეიძლება მოსახლეობის შობადობის შემცირებით აიხსნას.

შრომისუნარიან ასაკზე უფროსი (65+) მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად იზრდება. 1990 წელს ამ ასაკის მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 497,3 ათას კაცს, 1995 წელს ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 518,1 ათას კაცამდე, 2000 წელს საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა უკვე 550,4 ათას კაცს შეადგენდა, 2005 წელს - 605,0 ათას კაცს, 2010 წელს - 621,9 ათას კაცს, 2011 წელს - 616,6 ათას კაცს, 2012 წელს - 615,9 ათას კაცს და 2013 წელს - 620,7 ათას კაცს.

შრომისუნარიან ასაკზე უფროსი (65+) მოსახლეობის რაოდენობის შეფასებამ გვი-ჩვენა, რომ საკვლევ პერიოდში (1990-2013 წლებში) 65 წელზე უფროსი მო სახ ლე ო ბის რაოდენობა საქართველოში გაიზარდა 25%-ით.

ცხრილი 2

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა: 1990-2013 წწ. [2, გვ.7-8]



როგორც ვხედავთ, 1990-2013 წლებში საქართველოში მიმდინარეობდა 65 წლამდე მოსახლეობის (როგორც შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი, ასევე შრომისუნარიანი ასაკის) შემცირება, ხოლო 65 წელზე უფროსი მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდებოდა.

სპეციალური კვლევები ვარაუდობს ამ ტენდენციის შემდგომ გაგრძელებას.

3. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა: პერსპექტივა 2025 წლამდე

საქართველოს დემოგრაფიული პროგნოზირების [5,6] მიხედვით, შობადობის შემდგომი შემცირების საფუძველზე კვლავინდებურად გაგრძელდება შრომისუნარიან ასაკზე უმ ცროსი მოსახლეობის (-15) რიცხოვნობის შემცირების ტენდენცია და 2020 წლისათვის პროგნოზის საშუალო[70] შეფასების მიხედვით უნდა შეადგინოს 664 ათასი კაცი, ხოლო 2025 წლისათვის ამ ასაკობრივი კატეგორიის მოსახლეობის რიცხოვნობა კიდევ 50 ათასი ადამიანით შემცირდება და 614 ათას კაცს გაუტოლდება.

მოცემული პროგნოზის თანახმად, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობამ 2020 წლისათვის უნდა შეადგინოს 2554 ათასი კაცი, ხოლო 2025 წლისათვის შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობის რიცხოვნობა უნდა დავიდეს 2484 ათას კაცამდე, ანუ უნდა შემცირდეს 70 ათასი ადამიანით.

[70] საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები მოცემულია სამი ვარიანტის მიხედვით: დაბალი (ოპტიმისტური), საშუალო და მაღალი (პესიმისტური). მოცემულ ნაშრომში განხილულია მხოლოდ პროგნოზის საშუალო ვარიანტი.

ცხრილი 3

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა:
2020 და 2025 წლების პერსპექტივა



ამავე დროს, როგორც ამას საქართველოს დემოგრაფიული პროგნოზი ვარაუდობს, უფროსი ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რიცხოვნობა უნდა გაიზარდოს. 2020 წლისათვის 65 წელზე უფროსი მოსახლეობის რაოდენობამ უნდა შეადგინოს 567 ათასი კაცი, ხოლო ხუთი წლის შემდეგ, ანუ 2025 წელს, მათმა რაოდენობამ უნდა მიაღწიოს 598 ათას კაცს, რაც, 2020 წელთან შედარებით, 31 ათასი კაცით მეტი იქნება.

მაშასადამე, შობადობის შემცირების ფონზე მცირდება შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა, ხოლო შრომისუნარიანზე უფროსი მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დაბერების ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, სტატისტიკური კრებული., თბ, 2013, http://geostat.ge¬/cms/site_images/files¬/georgian/population¬/kre-buli.pdf
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2013, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
3. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 30.04.2014. http://geostat.ge/csitePopulations_30.04.2014_geo.pdf
4. 2013 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები, http://geostat.ge
5. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია, საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები. თბ., 2003.

6. Arnania-Kepuladze Tamila, Gender Aspects and Perspectives of Demographic Problem in Georgia, Silesian University in Opava. International Scientific Conference. Karvina, 2008, გვ. 476-484.

Giorgi Kepuladze

DEMOGRAPHIC CHANGEAND DEMOGRAPHIC PERSPECTIVES IN GEORGIA

Annotation

The article analyses the demographic situation in Georgia in period 1990-2014 and considers the demographic perspectives till 2020 and 2025.

As the data analysis of the demographic situation in Georgia in period 1990-2014 has shown the quantity of under working population is steady decline while the number of aged population (+65) increases and such tendency will retain in future until 2020 and 2025.

გიორგი ხარშილაძე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტკრიზისულ პერიოდში

2012 წლის მეორე კვარტლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და წლის ბოლოს, 2011 წლის მონაცემთან შედარებით, 205 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები შეადგინა (გრაფიკი 1). გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნებოდა 2013 წელს, როცა მოხდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მცირედი ზრდა და 941.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ბოლო წლების სტაბილური გაუმჯობესების შემდეგ, ეს კლება სერიოზული შეშფოთების საგანია ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის. ვინაიდან საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი კვლავ განუვითარებელია, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე და კერძოდ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ ადგილობრივი საბანკო სექტორის დაფინანსებით შეუძლებელი იქნებოდა.



დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2003-2013 წლებში[71]

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე (რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) ეროვნული და უცხოური ვალუტით გაცემული სესხებით დავალიანებამ საქმიანობის სახეების მიხედვით შეადგინა 10 მლრდ ლარი. ამ თანხის 47%-მა სამომხმარებლო სესხები შეადგინა. დანარჩენი 53% ისეთ სექტორებზე გაიცა, რომლებიც გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას მცირედ ან საერთოდ არ უწყობენ ხელს. გაცემული კრედიტების თითქმის ნახევარი (45%) ვაჭრობის სექტორზე მოდიოდა, რაც წინა წლების ამავე ტენდენციისგან უმნიშვნელო გადახრის მაჩვენებელია. სოფლის მეურნეობამ, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს სექტორად მიიჩნევენ, მთლიანი კრედიტების მხოლოდ 3% მიიღო, მაშინ, როდესაც სესხების უდიდესი ნაწილი ისეთი სექტორებისკენ მიედინებოდა, რომლებსაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. ეს განსაკუთრებით ვაჭრობის სექტორს ეხება, რომელიც სამომხმარებლო სესხად შეიძლება ჩაითვალოს. ამასობაში საქართველოში სულ უფრო და უფრო იზრდება პროდუქციის იმპორტი, რაზეც უცხოური კრედიტები იხარჯება, ხოლო ეკონომიკის ის დარგები, რომლებსაც იმპორტის ჩანაცვლების ყველაზე დიდი პოტენციალი

[71] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები www.geostat.ge

აქვს, საბანკო დაფინანსების გარეშე რჩება (როგორც ამას სოფლის მეურნეობის მაგალითზე ვხედავთ).

მსხვილი სასოფლო-სამეურნეო სესხების არარსებობის მთავარი მიზეზი უფუნქციო მიწის ბაზარია. სასოფლო-სამეურნეო მიწა იშვიათად გამოიყენება გირაოდ და ამიტომ, მისი კაპიტალიზაცია არ ხდება. ამრიგად, სიმდიდრის დიდი ნაწილი არ არის წარმოებაში გამოყენებული. საქართველოს კვლავ არ აქვს ეკონომიკური ზრდის ადგილობრივი მექანიზმები, რომლებითაც ბანკებიდან კაპიტალის ათვისება, დანაზოგების სტიმულირება და, აქედან გამომდინარე, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების ზრდა იქნებოდა შესაძლებელი.

ფულადი გზავნილებისაგან განსხვავებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მგრძნობიარეა შოკებისა და ეკონომიკური დაღმასვლის მიმართ. 2008 წელს დასავლეთში დაწყებული გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მძიმე იყო ბოლო 70 წლის განმავლობაში წარმოქმნილ კრიზისებს შორის. მსოფლიო ეკონომიკის ზრდის დანაკარგების თვალსაზრისით, ეს კრიზისი ბევრად უარესი იყო 1980-იანი წლების ლათინური ამერიკის სავალო კრიზისზე, 1990-იანი წლების აზიის ფინანსურ კრიზისზე და იმ ჩავარდნაზე, რომელიც საფინანსო ბაზრებზე 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ აღინიშნა. კრიზისის შემდგომი რეცესიის ერთ-ერთი შედეგი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ვარდნა იყო მსოფლიო მასშტაბით. ეკონომიკური ზრდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საგარეო ინვესტიციებისთვის. 2008 წლიდან მსოფლიო ეკონომიკის ზრდის შენელებამ მიმზიდველობა დაუკარგა მნიშვნელოვან ბაზრებს უცხოელი ინვესტორებისთვის და შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შემცირდა.

ცხრილი 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით

(ათასი აშშ დოლარი)[72]

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	2014.8	1564.0	658.4	814.5	1117.2	911.6	941.9
მათ შორის:							
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	15528	7844	22327	8632	14908	16119	11857

[72] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები.

სამთოპოვებითი მრეწველობა	86170	18105	15023	53436	40220	4862	43705
დამამუშავებელი მრეწველობა	312071	188288	124782	175335	120340	167906	99765
ენერგეტიკა	362581	294865	-2131	21878	203952	179403	244745
მშენებლობა	171892	56725	105219	4706	48112	41839	49847
სასტუმროები და რესტორნები	242076	181939	37542	17122	22706	17652	-13360
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	416695	422690	98432	215116	126517	72829	140104
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	458	551	289	1182	16827	17551	720
უძრავი ქონება[73]	**30544**	**277838**	**147410**	**119253**	**224776**	**52806**	**42295**
საფინანსო სექტორი[74]	157723	10892	49663	107406	167702	162552	166386
დანარჩენი სექტორი[75]	219104	104226	59843	90431	131185	178045	155837

ეკონომიკის ყველა სექტორს პირდაპირი უცხოური ინვესტ-ტიციების ბოლოდროინდელი კლება თანაბრად არ შეხებია. ცხრილი 1-დან ნათლად ჩანს, რომ მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მრეწველობის, საფინანსო და ენერგეტიკის სექტორებში. მრეწველობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება პოსტკრიზისულ პერიოდშიც საკმაოდ მაღალ ნიშნულს ინარჩუნებდა. ანალოგიური ტენდენციები შეინიშ-ნებოდა ენერგეტიკის სფეროში, თუ არ ჩავთვლით 2009 წელს, როცა პირიქით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადინება შეინიშ-ნეობდა. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ამ ნაკადებმა 2013 წელს მხოლოდ 2008 წლის მოცულობის 34% შეადგინა. ყველაზე დიდი ვარდნა სამთო-მომპოვებელ, უძრავი ქონებისა და საკონსულტაციო მომსახურების სექტორებში აღინიშნა: 2011 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, 2012 წელს პირდაპირი

[73] ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსა-ხურების გაწევა.

[74] საფინანსო სექტორი 2009 წლიდან მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინ-ვესტიციების მონაცემებსაც.

[75] ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსა-ხურება.

უცხოური ინვესტიციები თითოეულ ამ სექტორში 50%-ზე მეტით შემცირდა[76].

იმისდა მიუხედავად, რომ გლობალური ტენდენციების გავლენის უგულებელყოფა არ შეიძლება, ზემოქმედების ისეთი მთავარი ფაქტორები, როგორიცაა ადგილობრივი და რეგიონული ეფექტები, მაინც გაუთვალისწინებელი რჩება. განსაკუთრებული შეშფოთების საგანი რეგიონში არსებული ხისტი საგადასახადო სისტემები, ყოვლისმომცველი კორუფცია, გადამეტებული სახელმწიფო ჩარევა, რეგულირების განუვითარებელი ბაზა და სუსტი იურიდიული სტრუქტურები იყო. თუმცა, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის „ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსის" მიხედვით, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმით შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. მართალია, შემდგომი ინსტიტუციური განვითარებით საქართველო კიდევ უფრო მეტ სარგებელს მიიღებს, მაგრამ 2012-2013 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ.

ყოველი ინვესტიცია წარმოადგენს მომავალზე ორიენტირებულ აქტივობას, რომლის ძირითად მიზანს მოგების მოლოდინი და მისი მიღების რწმენა წარმოადგენს. ამიტომ, კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების გადაწყვეტილება ამ კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური მომავლის შეფასებაა. პოლიტიკური არასტაბილურობა თავის თავში ორი მთავარი რისკის არსებობას გულისხმობს. ეს რისკები განსაკუთრებით გარდამავალი პერიოდის ქვეყნებზე ვრცელდება. პირველ რისკს წარმოადგენს შიდა არასტაბილურობა ან კონფლიქტური ვითარება, რამაც, შესაძლებელია, საქმიანობის მომგებიანობის შემცირება გამოიწვიოს, ვინაიდან შეიძლება საფრთხე შეექმნას გაყიდვებს და ექსპორტში შეჩერდეს წარმოება. მეორე რისკს წარმოადგენს ის, რომ პოლიტიკური არასტაბილურობა შესაძლოა ნეგატიურად ასახოს ეროვნულ ვალუტაზე, რაც შეამცირებს როგორც ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებული აქტივების ღირებულებას, ასევე ნებისმიერ მოსალოდნელ მოგებას ინვესტიციაზე.

თუმცა, საერთაშორისო ინვესტორები არ იჩქარებენ მათთვის ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ახალ და გრძელვადიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად გარდაქმნას მანამ, სანამ საერთაშორისო ფინანსური ბაზრები არასტაბილური, ხოლო საქართველოს მომავალი გაურკვეველი იქნება. პირდაპირი უცხოური

[76] ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი – 2012 წლის მიმოხილვა საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა, თბ., 2013, გვ. 10.

ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გამოვა გლობალური ეკონომიკა რეცესიიდან და რამდენად წარმატებულად გააგრძელებს და გააძლიერებს საქართველოს მთავრობა აქამდე არსებულ ეფექტიან საინვესტიციო პოლიტიკას.

გაეროს სტატისტიკური კომისიის (UNSTAD) მონაცემებით, 2011 წლისთვის მსოფლიოს გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 16%-ით გაიზარდა, რაც აღემატებოდა 2005-2006 პრეკრიზისულ დონე[77].

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი ნაკლებად განვითარებული ქვეყანა ახორციელებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკას, რაც თავისთავად ზრდის კონკურენციას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც მიისწრაფვიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდისკენ.

შედეგად საქართველოსთვის მიზანშეწონილი იქნება უფრო მეტად აგრესიული პოლიტიკის გატარება ინვესტიციების მოსაზიდად. ამასობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბალმა დონემ შესაძლოა ადგილობრივი დანაზოგების ზრდა წაახალისოს, რაც მთლიანი კაპიტალის ფორმირებას დაემატება; მთლიანი კაპიტალის ფორმირება კი დადებით კორელაციაშია ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასთან (დიაგრამა 2).

როდესაც კაპიტალის შემოდინება მცირდება, ხოლო ერთობლივი მოთხოვნა ფულზე ნარჩუნდება ან იზრდება, იზრდება ფასი, რაც, თავის მხრივ, ადგილობრივი დანაზოგების სტიმულირებას ახდენს.

[77] UNCTAD (2012), *World Investment Report 2012: Towards a New Generation of Investment Policies* gv. 2.



დიაგრამა 2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მთლიანი კაპიტალის ფორმირება[78]

გარდა ამისა, საქართველოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერთჯერად, მსხვილ ინვესტიციებზე. მე-2 ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ 2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარი კონტრიბუტორი გერმანიაა, თუმცა წინა წლებში ეს ასე არ იყო. 2005–2011 წლებში გერმანიის წლიური ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში საშუალოდ 26 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც გერმანიის მიერ 2012 წელს საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებული 142 მილიონი აშშ დოლარის 18%-ს შეადგენს. 2011 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50% საქართველოში ოთხი სხვადასხვა წყაროდან შემოვიდა, 2010 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49% ხუთი წყაროდან, 2009 წელს კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 56% ოთხი წყაროდან შემოვიდა. თითოეულ ამ შემთხვევაში, ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის დიდ წილს ერთი მსხვილი ინვესტიცია შეადგენდა. მაგალითად, 2011 წელს, ისევე, როგორც 2009 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 22% მხოლოდ ერთ ქვეყანაზე მოდიოდა – ჰოლანდიასა (2011-ში) და გაერთიანებულ არაბთა საემიროებზე (2009-ში). ჰოლანდია, აზერბაიჯანი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების

[78] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

შედარებით სტაბილურ წყაროებს წარმოადგენენ; ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ მათი წილი იშვიათად ყოფილა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 5%-ზე ნაკლები, ამ ქვეყნების წილი წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მერყეობდა. მაგალითად, ზოგად ტენდენციას მიუყვებოდა გაერთიანებული სამეფოდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებმაც პიკს 2006 წელს მიაღწია 187 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით, მკვეთრად შემცირდა 2009 წელს, ხოლო 2010-2012 წლებში საშუალო წლიურ 59 მილიონ აშშ დოლარამდე დასტაბილურდა. ჰოლანდიიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასეთ ზოგად ტენდენციას არ მიუყვება – როგორც 2007, ასევე 2011 წელს ამ ინვესტიციებმა 250 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, 2006-დან დღემდე, სხვა წლებში კი 18 მილიონიდან 136 მილიონ აშშ დოლარამდე მერყეობდა.

ცხრილი 2

ძირითადი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2007-2013 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)[79]

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
აშშ	84.4	167.9	-10.0	135.8	28.1	20.3	44.8
თურქეთი	93.9	164.5	97.9	91.8	75.5	81.1	42.7
ნიდერლანდები	229.3	135.9	32.6	73.4	241.0	35.4	153.2
გაერთიანებული სამეფო	145.5	148.9	72.3	59.0	55.0	93.6	55.2
აზერბაიჯანი	41.4	23.9	29.8	58.0	138.0	59.0	81.9
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	130.9	306.6	162.8	55.5	-52.3	24.4	62.0
გერმანია	56.9	40.5	21.3	12.8	25.5	138.8	21.8
ლუქსემბურგი	9.2	5.7	9.4	7.0	43.3	42.0	142.5
ჩეხეთი	228.0	34.9	45.7	24.2	46.6	8.0	43.6

ერთი მხრივ, ეს მსხვილი ინვესტიციები სტატისტიკას დაუცველს ხდის იმ ცვლილებების მიმართ, რაც ერთი მსხვილი ინვესტიციის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს. მეორე მხრივ, ამ მსხვილმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა დაღმავალი ტენდენცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველომ ამ და წინა წლებში შედარებით მცირე და უფრო სტაბილური ინვესტიციების მოზიდვა ვერ შეძლო.

[79] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართვლოში

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
2. საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge
3. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი – 2012 წლის მიმოხილვა საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა თბ., 2013.
4. UNCTAD (2012), *World Investment Report 2012: Towards a New Generation of Investment Policies.*
5. UNCTAD (2013), *World Investment Report 2013: GLOBAL VALUE CHAINS: INVESTMENT AND TRADE FOR DEVELOPMENT.*

George Kharshiladze

TENDENCIES OF DIRECT FOREIGN INVESTMENTS IN POST-CRISIS PERIOD

Annotation

In the given article, there is presented Foreign Direct Investment flows in Georgia in post-crisis period. There is analyzed those problems and results, which emerged after world economic crisis.

დავით ხაჟომია

ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსი და მისი მაჩვენებლები[80]

კონკურენციაზე მესამე გამოცემა მოიცავს გლობალური ეკონომიკის ანგარიშებში: სავაჭრო ლოგისტიკას, ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსს (LPI) და მისი მაჩვენებლების ექვს კომპონენტს. LPI ლოგისტიკური ეფექტურობის ღონისძიებები (მნიშვნელობები) ამ პერიოდში ფართოდაა აღიარებული, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდისთვის. ქვეყნების შესაძლებლობა, ივაჭრონ მთელი მსოფლოს მასშტაბით, დამოკიდებულია გლობალური ტვირთებით მოვაჭრეების და ლოგისტიკური ქსელების ხელმისაწვდომობაზე. ამასთან, ქვეყნების მიწოდებათა ჯაჭვის ეფექტურობა (ღირებულება, დრო და საიმედოობა) დამოკიდებულია მათი ეკონომიკის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე (ლოგისტიკურ სისტემაზე). ლოგისტიკური სისტემისა და ვაჭრობის განვითარება ძირეულადაა დაკავშირებული ვაჭრობის გაფარ-

[80] [1].

თოებასთან, ექსპორტის დივერსიფიკაციასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმზიდველობა და ეკონომიკურ ზრდასთან. LPI 155 ქვეყნის სავაჭრო ლოგისტიკის შედარების საფუძველზე აკეთებს 1-დან (ცუდი) 5-მდე (კარგი) შეფასების სარეიტინგო სკალას. სარეიტინგო სკალა გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყნების 6000 ინდივიდუალური და 1000 საერთაშორისო ექსპედიტორის შეფასებიდან. LPI შეფასება მოიცავს ექვს კომპონენტს [2].

კონკურენტუნარიანობა 2012-ში ჩართულია 143 ქვეყნის შიდა საქმიანობის მაჩვენებლები. ამ მონაცემებისთვის, რესპონდენტები აფასებენ იმ ქვეყნების ლოგისტიკურ საშუალებებს, სადაც ისინი საქმიანობენ, იღებენ ინფორმაციებს ინფრასტრუქტურის ხარისხზე, ძირითად მომსახურებებს, სასაქონლო დოკუმენტაციების პროცედურებთან დაკავშირებულ კეთილგანწყობას და დროს, ღირებულებას და იმპორტ-ექსპორტის საიმედოობას. ეს შიდა ინდიკატორები გვეხმარება, დავადგინოთ ლოგისტიკური რესურსები ქვეყნის შიგნით, მათ შორის პორტებსა და საზღვრებზე. ისინი აანალიზებენ ლოგისტიკური საქმიანობის ეფექტურობის ძირითად დეტერმინანტებს, დიდი ყურადღებაა მიქცეული ლოგისტიკური საქმიანობის ოთხ ძირითად დეტერმინანტზე: ინფრასტრუქტურა, მომსახურება, სასაზღვრო პროცედურები და მიწოდების დრო და საიმედოობა.

„ლოგისტიკის უფსკრული“ მაღალი და დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს შორის დიდია. 2012 წლის ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებსაც ჰქონდათ მცირედი განვითარება, რომლებსაც გასასვლელი ჰქონდათ ზღვაში, კუნძულოვანი ქვეყნები და პოსტკონფლიქტური ქვეყნები. ქვეყნები, რომლებსაც LPI მაჩვენებლების ¾-ზე ნაკლები ქონდათ, არც თუ ისეთი დიდი ვაჭრობის მოცულობა გააჩნიათ, რომლის მიზეზიც სიმძლავრის უკმარისობაა. ასევე სირთულეს წარმოადგენს რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი როლი ”ეკონომია მოცულობიდან” ინფრასტრუქტურაში და ამიტომაც მომსახურება დამოკიდებული ხდება მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, რომელიც მეზობელი ქვეყნებიდან შეზღუდულია.

ხარისხი და ხელმისაწვდომობა ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით გზების, ამჟამადაც აფერხებს ლოგისტიკის სისტემას ქვეყნების განვითარებაში, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. თუმცა, I რეიტინგის საშუალო მაჩვენებლების მქონე ქვეყნებსაც გზებისა და პორტების ხელმისაწვდომობა უშლით ხელს. რკინიგზას თითქმის ყველგან დაბალი რეიტინგები აქვს. ქვეყნების კვლევიდან, სარკინიგზო მომსახურება არ აკმაყოფილებს გამოკითხულთა 90 %-ზე მეტს. ხარისხი

ლოგისტიკური ტვირთგადაზიდვების მომსახურებაში, ექსპედირება და განბაჟების დოკუმენტაცია ასევე მნიშვნელოვანია ვაჭრობის ეფექტურობისათვის.

ლოგისტიკის შესრულება დიდწილად დაკავშირებულია მიწოდების ჯაჭვის საიმედოობაზე და მწარმოებლებისა და ექსპორტიორების პროგნოზირებადობაზე. მიწოდებათა ჯაჭვი იმდენადაა ძლიერი, რამდენადაც მისი სუსტი რგოლია, რომლებშიც ჩნდება მეტი და მეტი სირთულეები სხვადასხვა ქვეყნებში თავიანთი კრიტიკული კონკურენტუნარიანობიდან გამომდინარე. ყოვლისმომცველი რეფორმები, პოლიტიკოსების გრძელვადიანი ვალდებულებები და კერძო დაინტერესებული მხარეები იძენენ მნიშვნელოვან დანიშნულებას. მოვლენები, როგორიცაა 2011 წლის რეცესია და ეკონომიკური პრობლემები ევროპაში, შესაძლოა აცდა რელსებს. იგეგმება ლოგისტიკური რეფორმები და ახლა უფრო და უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნებმა და დონორმა ორგანიზაციებმა განაახლონ მცდელობა, გააუმჯობესონ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსის გამოყენება – მსოფლიო ბანკის ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსი LPI აანალიზებს ქვეყანაში ექვს კომპონენტს:

1. საბაჟო და სასაზღვრო გაფორმების ეფექტურობა (სისწრაფე, სიმარტივე და ფორმალობების აღქმადობა-პროგნოზირებადობა);
2. სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი (პორტები, სარკინიგზო გზები, საავტომობილო გზები, ინფორმაციული ტექნოლოგიები);
3. ორგანიზაციული სიმარტივე, კონკურენტუნარიანი ფასები გადაზიდვებში;
4. ლოგისტიკური მომსახურების კომპეტენცია და ხარისხი (სატრანსპორტო ოპერატორები, საბაჟო ბროკერები);
5. ტვირთებზე მომსახურების და კონტროლის შესაძლებლობა;
6. სიხშირე, რომლითაც მიმწოდებლები ტვირთის მიმღებებთან დაგეგმილ ან მოსალოდნელ დროში აღწევენ.

კომპონენტები შეირჩა ბოლოდროინდელი თეორიული და ემპირიული კვლევის და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, სადაც ლოგისტიკის პროფესიონალები იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო საექსპედიტორო საქმიანობიდან.

LPI იყენებს სტანდარტულ სტატისტიკურ მეთოდებს, რათა გააერთიანოს მონაცემები, ეს მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, შევადაროთ ქვეყნები, რეგიონები და შემოსავლის ჯგუფები. ეს ასევე შეიძლება იყოს გამოყენებული ქვეყნის დონეზე.

იმის გამო, რომ ოპერატორებმა შეიძლება ადგილზე საუკეთესოდ შეაფასონ ლოგისტიკის საქმიანობის ეს სასიცოცხლო ასპექტი, LPI ეყრდნობა სტრუქტურირებული ონლაინ გამოკითხვის ლოგისტიკის პროფესიონალებს კომპანიებიდან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საქონლის მოძრაობაზე მთელ მსოფლიოში: ინტერნაციონალური ტვირთების ექსპედიტორები და მთავარი ჩქაროსნული გადამზიდავები. ექსპედიტორი და ექსპრესგადამზიდავები იძლევიან შეფასების საუკეთესო საშუალებას. მათ შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა და პირდაპირი გავლენა აქვს გადაზიდვის მარშრუტებსა და გადაწყვეტილებებზე, ფირმების წარმოებაზე, გადამზიდავების შერჩევაზე, მიზნობრივი ბაზრის შერჩევაზე. მათ მონაწილეობას ცენტრალური ადგილი უჭირავს LPI-ის ხარისხსა და სანდოობაში, და მათი ჩართვა და უკუკავშირი აუცილებელი იყო კვლევის დამუშავებასა და დახვეწაში [3].

სავაჭრო პროცედურების გაუმჯობესება ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისათვის. ქვეყნები კარგი ლოგისტიკით უმჯობესდებიან უფრო სწრაფად, უფრო კონკურენტუნარიანი ხდებიან და ზრდიან ინვესტიციებს. ლოგისტიკის გაუმჯობესებით, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში ვაჭრობა შესაძლებელია გაიზარდოს 15 %-ით. აქედან 10% იქნება ფირმების და მომხმარებელის სასარგებლოდ, რომლებიც უკეთეს მომსახურებას მიიღებს დაბალ ფასებში.

ასეთი გაუმჯობესებისათვის პოლიტიკოსებმა და დაინტერესებულმა პირებმა უნდა გაატარონ გრძელვადიანი ყოვლისმომცველი რეფორმები. იმისთვის, რომ პროდუქცია ბაზარზე გადაადგილდეს ეფექტურად, საიმედოდ და ეკონომიურად, ქვეყნებმა უნდა შეამცირონ სავაჭრო ხარჯები, ექსპორტი უნდა გახადონ უფრო კონკურენტუნარიანი და აწარმოონ ვაჭრობის მხარდამჭერი პოლიტიკა. ვაჭრობის ხელშემწყობი რეფორმები განსაკუთრებით დაეხმარება სავაჭრო კონკურენციაში [4].

LPI შეფასებები და ქვეყნის რეიტინგი დგება საერთაშორისო გამოკითხვებით და უცხო ქვეყნების ლოგისტიკის პროფესიონალების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან. შიდა LPI პირიქით, გამოკითხული ლოგისტიკის პროფესიონალები აფასებენ ლოგისტიკის გარემოს იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მუშაობენ. ამიტომაც, შიდა ნაწილი შეიცავს უფრო დეტალურ ინფორმაციას ქვეყნებში ლოგისტიკური გარემოს შესახებ, ძირითადი ლოგისტიკური პროცესების შესახებ და შესრულების დროსა და ღირებულებაზე. ეს მიდგომა არ განიხილავს მხოლოდ ლოგისტიკის შეზღუდვებს ქვეყნებში, ისეთ ჭრილებში როგორიცაა პორტები ან საზღვრები. ის აანალიზებს

ქვეყანაში მწარმოებლურობას ოთხი საერთო ლოგისტიკური ეფექ-ტურობის დეტერმინანტით: ინფრასტრუქტურა, მომსახურება, სასაზღ-ვრო პროცედურები და დრო და მიწოდების ჯაჭვის საიმედოობა.

ინფრასტრუქტურა – რესპონდენტ ქვეყნებში, რომლებიც შეფა-სების ზედა კვინტილზე იმყოფებიან, ინფრასტრუქტურის ოთხი კვინტილი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. შეფა-სებებში განსხვავებები ნათლად ჩანს განსაკუთრებით საგზაო და სარკინიგზო მიმოსვლაში. თუმცა, ინფრასტრუქტურა განვითარებად ქვეყნებში, როგორც ჩანს, უმჯობესდება.

მომსახურება – ხარისხი და კომპეტენტურობა ძირითადია ლოგისტიკაში, პროვაიდერები მნიშვნელოვანი ნაწილია ქვეყანის საერთო პროდუქტიულობის. სამი ყველაზე დაბალი LPI კვინტილის მქონე ქვეყნებში ექსპედიტორები შეფასებულია უფრო მეტად, ვიდრე სხვა ტიპის მომსახურება. სარკინიგზო ინფრასტრუქტურა თანმიმ-დევრულად იღებს დაბალ რეიტინგს. და როგორც ინფრა-სტრუქტურაში, ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ მაღალი კვინტილი, რა თქმა უნდა, იღებენ მაღალ შეფასებებს პროვაიდერული მომსახუ-რების ხარისხის და კომპეტენტურობისათვის.

ეკონომიკური კავშირის გაგება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანია გლობალური მიწოდების ჯაჭვის გაგებისათვის. ლოგისტიკური ეფექტურობის მაჩვენებლები აჩენს, თუ რამდენად კარგია ქვეყნების დაკავშირება გლობალურ ქსელებში.

LPI მოიცავს რამდენიმე მაჩვენებელს სასაზღვრო პროცე-დურებსა და ვადებზე. **იმპორტისა და ექსპორტის დრო** – ლოგის-ტიკური მაჩვენებლების შედეგიანობისთვის მნიშვნელოვანია დრო, რომელიც საჭირო სავაჭრო ოპერაციებისათვის. გეოგრაფიული ბარიერები და შიდა სატრანსპორტო ბაზრები ბევრ ქვეყანაში ქმნის სირთულეებს. მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო პროცედურები უფრო და უფრო მსგავსი ხდება, ბევრ ქვეყანაში მიწოდებათა ჯაჭვის შესრულების დროს შეიმჩნევა შეზღუდვები სასაზღვრო სააგენტო-ებიდან. საბაჟო არ არის ერთადერთი მონაწილე სააგენტო საზღვრის მართვაში. სასაზღვრო მართვის უწყებებში სტანდარტების, ტრანს-პორტის, ჯანდაცვის, სანიტარული და ფიტოსანიტარული (SPS) გადა-წყვეტილებები არის კრიტიკული. ასე რომ, თანამედროვე მიდგომების ჩანერგვა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მარეგულირებელ-ნორმა-ტიულ მოთხოვნებთან. საბაჟო რეფორმა უნდა იყოს ყოვლის-მომცველი, დაფუძნებული სამ პრინციპზე:

• ანგარიშვალდებულების გაძლიერება. აუცილებელია შიდა აუდიტი, შემოსავლების და სხვა სახის საბაჟო მონაცემების სისტემატური გამოქვეყნება.

• ინფორმაციის სიმეტრიულობა საბაჟო ხელმძღვანელსა და საბაჟო მოხელეს შორის. ეკონომიკური საქმიანობის და ქცევის ზუსტი ინფორმაციის გენერირება.

• ახალი საკადრო პოლიტიკის შემუშავება. სტრუქტურის სტიმულის შეცვლა საბაჟო მოხელეებისთვის და თანამშრომლების რეგულარული კონტროლი ობიექტური მონაცემების გამოყენებით.

ბიუროკრატიზმი – ინდიკატორები აჩვენებენ საზღვარზე კოორდინაციის ნაკლოვანებებს, რომელიც მიღებულია ტვირთგადამზიდავების ლოგისტიკის ოპერატორებიდან. ზედა LPI კვინტილის მქონე ქვეყნების ოპერატორებს, სამთავრობო უწყებებთან მიმართებაში, საქმე დაახლოებით განახევრებული აქვთ ვიდრე დაბალი LPI კვინტილის მქონე ქვეყნების ოპერატორებს. შესაბამისად, მაღალი კვინტილის მქონე ქვეყნებში საჭიროა ორი ან სამი დოკუმენტი ექსპორტისა და იმპორტის ტრანსაქციებისთვის, ხოლო დაბალი კვინტილის მქონე ქვეყნებში ოთხი ან ხუთი.

მიუხედავად ამისა, 2012 LPI-ს წითელი ლენტის მაჩვენებლების შედარებისას 2010 LPI-თან არის იმედის მომცემი (ცხრ. 1). იმპორტიორებმა და ექსპორტიორებმა აღნიშნა შეფერხებების შემცირება ამ უწყებების მხრიდან. ისინი უნდა მიუახლოვდნენ ზედა LPI კვინტილის მქონე ქვეყნებს, სადაც შეფერხებების რაოდენობა დაბალი რჩება. მთლიანობაში LPI კვანტილებში შემცირდა ფორმალური დოკუმენტების რაოდენობა, რომელიც საჭიროა ექსპორტ-იმპორტისთვის.

იმპორტი და ექსპორტის დოკუმენტაციის გამარტივება დიდი ხანია დღის წესრიგშია, რომელიც ვაჭრობისთვის სასაზღვრო უწყებების ერთი ფანჯრის პრინციპით იმუშავებს. მიუხედავად ამისა, გამარტივებები და ერთეული ინიციატივები არ კმარა. ასევე აუცილებელია, გაუმჯობესდეს სხვა ასპექტები საზღვრის მართვასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურაში.

შეფერხებები, საიმედოობა და მომსახურება მიწოდებათა ჯაჭვში – ქვეყნებში მიწოდებათა ჯაჭვის არადამაკმაყოფილებლობის ზოგიერთი მიზეზი არის ენდოგენური: მომსახურების ხარისხი და ტვირთების დოკუმენტაციის პროცესების სისწრაფე.

პროგნოზირებადი, საიმედო მიწოდების ჯაჭვები წარმოადგენს მთავარს ლოგისტიკის კარგად შესრულებისათვის. მართლაც, ძლიერ ცვალებადმა გამოწვევებმა შეიძლება ჩაშალოს ექსპორტის წარმოება. ფირმებს მოუწევთ, მიიღონ ძვირადღირებული სტრატეგიები, როგორიცაა ექსპრესგადაზიდვა ან მარაგების მკვეთრი ზრდა. ბოლო კვლევა წარიმართა საერთო ლოგისტიკური დანახარჯების მომცველი სამი მიმართულებით [5]:

• სატვირთო გადაზიდვები.

• არაპირდაპირი ხარჯები და ზედნადები ხარჯები მიწოდებათა ჯაჭვის ორგანიზებისას (მოსაკრებლების, სამსახურებრივი ან არაოფიციალური გადასახადები).

• საიმედოობიდან გამომდინარე ხარჯები, როგორიცაა სასაქონლო-მატერიალური მარაგები. ეს ხარჯები ხშირად გაცილებით მაღალია და მგრძნობიარე საქონელის ვადებთან მიმართებაში.

	LPI კატეგორია			LPI ანგარიში			უსაღლესი შესაძლებლობა % -ში	საბაჟო		ინფრა-სტრუქტურა		საერთაშორისო გადაზიდვები		ლოგისტიკის ხარისხი და კომპეტენცია		კვლევა და მოვლენა		დროულობა	
	რიგითობა	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	ქულა	ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი		რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა
სინგაპური	1	1	2	4.13	4.06	4.19	100.0	1	4.10	2	4.15	2	3.99	6	4.07	6	4.07	1	4.39
ჰონ კონგი																			
სარ, ჩინეთი	2	1	2	4.12	4.05	4.19	99.9	3	3.97	7	4.12	1	4.18	5	4.08	5	4.09	4	4.28
ფინეთი	3	1	15	4.05	3.81	4.29	97.6	2	3.98	6	4.12	4	3.85	1	4.14	1	4.14	15	4.10
გერმანია	4	3	7	4.03	3.97	4.09	97.0	6	3.87	1	4.26	11	3.67	4	4.09	7	4.05	2	4.32
ნიდერლანდები	5	3	7	4.02	3.94	4.11	96.7	8	3.85	3	4.15	3	3.86	7	4.05	2	4.12	12	4.15
ჰოლანდია	6	1	15	4.02	3.82	4.22	96.6	4	3.93	10	4.07	8	3.70	2	4.14	4	4.10	7	4.21
ბელგია	7	3	13	3.98	3.85	4.11	95.3	7	3.85	8	4.12	6	3.73	8	3.98	8	4.05	9	4.20
იაპონია	8	7	11	3.93	3.88	3.99	93.8	11	3.72	9	4.11	14	3.61	9	3.97	9	4.03	6	4.21
აშშ	9	8	11	3.93	3.88	3.98	93.7	13	3.67	4	4.14	17	3.56	10	3.96	3	4.11	8	4.21
გაერთიანებული სამეფო	10	8	14	3.90	3.84	3.96	92.7	10	3.73	15	3.95	13	3.63	11	3.93	10	4.00	10	4.19
საქართველო	77	53	104	2.77	2.54	3.01	56.8	44	2.90	58	2.85	91	2.68	70	2.78	93	2.59	115	2.86
ბურუნდუ	155	154	155	1.61	1.29	1.93	19.5	155	1.67	153	1.68	155	1.57	155	1.43	154	1.67	155	1.67

ცხრილი 1. ქვეყნების ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსის (LPI) რეზულტატი.

გზა მომავლისკენ: ლოგისტიკის და სავაჭრო პროცედურების გამარტივების ახალი გამოწვევები – 2007 წლის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებთან შედარებით პრიორიტეტები უკვე შეიცვალა გლობალურიდან ქვეყნის დონემდე, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ღარიბი ქვეყნებისათვის. ლოგისტიკის ეფექტურობა და ვაჭრობის ხელშეწყობა ახლა არის დღის წესრიგში პოლიტიკოსებისთვის, კერძო ფირმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. ამიტომაც მრავალი ქვეყანა ეთანხმება რეფორმებს მიწოდებათა ჯაჭვის ეფექტურობის ამაღლებასა და სავაჭრო და სატრანსპორტო მომსახურების შემსუბუქებაზე.

საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარი დაუჭირა ამ ძალისხმევას. პროექტები, რომელიც ეხება ლოგისტიკას და ვაჭრობის

ხელშეწყობას, წარმოადგენს მსოფლიო ბანკის საერთო პორტფელის დაახლოებით 10%-ს. 2010 წელს მსოფლიო ბანკმა დაიწყო ხელშეწყობა იმ სავაჭრო დაწესებულებებში, რომლებიც დახმარების ინიციატივის დონორები არიან ტექნიკური კუთხით და მიზნად ისახავს ვაჭრობის ხელშეწყობას და ლოგისტიკური პროექტების განხორციელების ხელშეწყობას დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. აზიის, აფრიკის და ამერიკის რეგიონული განვითარების ბანკებმა ასევე გააძლიერა პროექტები და ზრდის მოქმედების პოტენციალს [6].

ლოგისტიკის მომსახურების გაუმჯობესება განვითარებად ქვეყ-ნებში – სავაჭრო მომსახურება საბოლოო სახით ხორციელდება კერძო კომპანიებისგან. ამიტომაც, ახალი წესრიგის სხვა მთავარი ნაწილის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ლოგისტიკის ეფექტურობის ამაღლება და სავაჭრო მხარდაჭერა. მათი თანამშრომლობის ხარისხი ვაჭრობაში და ტრანსპორტში, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად დაკავშირებულია მარეგულირებელ რეფორმებთან.

ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა ცდილობს, წინა პლანზე წამოწიოს ლოგისტიკური მიდგომები და ლოგისტიკური მომსა-ხურების დივერსიფიკაცია. მაგ., 2011 წელს, მაროკოში შეიქმნა ლოგისტიკის განვითარების სააგენტო. წარმატების და ინვესტიციის სწორად განაწილების საწინდარი გახდა პორტი თანგერ ედ, ქვეყნა აწარმოებს ტვირთგადაზიდვების და კომპლექსური ლოგისტიკური მომსახურების განვითარების პოლიტიკას. მსგავსი სტრატეგია ხორციელდება მალაიზიაში, პანამაში და სხვაგან.

2010 წლის LPI სატრანსპორტო ბაზარზე ძირითადი აქცენტი გაკეთდა მომსახურების რეფორმებზე. ტვირტგადაზიდვის კვლევები მიუთითებს, რომ სატვირთო გადაზიდვების ღირებულება სხვადასხვა ქვეყნებში ხშირად გამოწვეულია ბაზარზე სატრანსპორტო პრო-ვაიდერების და მარეგულირებელი ბარიერების სტრუქტურის არაეფექტურობით [7].

ეროვნულმა და რეგიონულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა შექმნან მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს საიმედო, მაღალი ხარისხის მომსა-ხურებებს, განსაკუთრებით ბარიერების გადალახვის მხრივ.

ფორმალობის და პროცედურების შემცირება წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს ვაჭრობის ხელშეწყობაში. სრულყოფილი მიდგომა ითხოვს ინოვაციური მენეჯმენტის ჩართვას საზღვრის მართვაში. ერთ-ერთი არის ელექტრონული ერთი ფანჯრის პრინციპი, რომელიც საშუალებას აძლევს მოვაჭრეებს, წარმოადგინონ იმპორ-ტის, ექსპორტის და ტრანზიტის ფორმალობები, მარეგულირებელი ორგანოების მეშვეობით ერთ ონლაინ ჭრილში. ასეთი ინიციატივები

სასარგებლოა ვაჭრობის ხელშეწყობისთვის, ხარჯების და დროის შემცირებისათვის, რომელიც სჭირდება ფორმალობებს. იგივე ეხება სასაზღვრო-სატრანსპორტო ინიციატივებს, მაგ., როგორიცაა სასაზღვრო პოსტებზე ერთი ფანჯრის პრინციპი, რომელიც მიმართულია სააგენტოების საქმიანობათა ინტეგრაციით ორი ქვეყნის ჰარმონიზაციისკენ: პროცედურების, ინფორმაციის და რესურსების გაცვლით. თუმცა ამ ინოვაციური მიდგომების რეალიზაცია რთულია, რადგან ინსტიტუციური რეფორმების პასუხისმგებლობის აღება პრობლემურია.

სავაჭრო ლოგისტიკური რეფორმის მატრიცა – რეფორმები უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად და ისინი ითხოვენ მუდმივ, ხანგრძლივ ყურადღებას. არსებობს არაერთი უნიკალური ინსტიტუციური მოწყობა ქვეყნებისთვის, რეფორმებთან დაკავშირებული ლოგისტიკის განსახორციელებლად. რა თქმა უნდა, პოლიტიკის გატარება პასუხისმგებლობას ანაწილებს სატრანსპორტო, საინვესტიციო, სავაჭრო, სამრეწველო, საბაჟო და საზღვრის მართვის სფეროში. არც ერთ ქვეყანას არ აქვს ლოგისტიკის სამინისტრო, ამიტომაც, ერთობლივად, რომელიც მოიცავს კერძო სექტორსაც, მნიშვნელოვანია რეფორმების თანმიმდევრული განხორციელება. კანადას, ჩინეთს, ფინეთს, გერმანიას, მალაიზიას და მაროკოს აქვთ ყოვლისმომცველი რჩევების ან მსგავსი კოორდინაციის მექანიზმები.

ხელმძღვანელობის მიერ ლოგისტიკის რეფორმების განხორციელება დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე. მოწინავე და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სატრანსპორტო სააგენტოებმა ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით მიაღწიეს კოორდინაციას. განვითარებად ქვეყნებში სააგენტოებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ვაჭრობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს გამარტივების ხელშეწყობასა და ლოგისტიკის ამაღლებაზე. გამოცდილება გვიჩვენებს ურთიერთშემავსებელ ხისტ და მსუბუქ ჩარევას, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან რეგიონებში. მაგალითად, ვაჭრობის შემსუბუქების ხელშეწყობა აისახება უფრო ადვილად განხორციელებული ფიზიკური ინვესტიციის განვითარებაში ან საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში, როგორიცაა გზები და სარკინიგზო დერეფნები.

LPI 2014 არის მეოთხე გამოცემა და მოიცავს „სავაჭრო ლოგისტიკა მსოფლიო ეკონომიკაში“, რომელიც LPI 2012-ის მსგავსად, ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსს ექვსი მაჩვენებლით განსაზღვრავს და გვიჩვენებს სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის

რეიტინგებს. მიმდინარე კვლევაში ჩართული იყო 160 ქვეყნის მაჩვენებელი.

	LPI კატეგორია			LPI ანგარიში			მესერების მაჩვენებლები %-ში	საბაჟო		ინფრასტრუქტურა		საერთაშორისო გადაზიდვები		ლოგისტიკის ხარისხი და კომპეტენცია		კვლევა და მიკვლევა		დროულობა	
	რიგითობა	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	ქულა	ზედა ზღვარი	ქვედა ზღვარი		რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა	რიგითობა	ქულა
გერმანია	1	1	1	4.12	4.07	4.17	100.0	2	4.10	1	4.32	4	3.74	3	4.12	1	4.17	4	4.36
ნიდერლანდები	2	2	5	4.05	3.97	4.12	97.6	4	3.96	3	4.23	11	3.64	2	4.13	6	4.07	6	4.34
ბელგია	3	1	6	4.04	3.96	4.13	97.5	11	3.80	8	4.10	2	3.80	4	4.11	4	4.11	2	4.39
გაერთიანებული სამეფო	4	2	5	4.01	3.96	4.07	96.6	5	3.94	6	4.16	12	3.63	5	4.03	5	4.08	7	4.33
სინგაპური	5	2	7	4.00	3.95	4.06	96.2	3	4.01	2	4.28	6	3.70	8	3.97	11	3.90	9	4.25
შვედეთი	6	1	20	3.96	3.68	4.24	94.9	15	3.75	9	4.09	3	3.76	6	3.98	7	3.98	8	4.26
ნორვეგია	7	1	19	3.96	3.69	4.22	94.8	1	4.21	4	4.19	30	3.42	1	4.19	31	3.50	5	4.36
ლუქსემბურგი	8	1	21	3.95	3.65	4.24	94.4	10	3.82	15	3.91	1	3.82	14	3.78	22	3.68	1	4.71
აშშ	9	6	10	3.92	3.87	3.97	93.5	16	3.73	5	4.18	26	3.45	7	3.97	2	4.14	14	4.14
იაპონია	10	6	12	3.91	3.85	3.97	93.4	14	3.78	7	4.16	19	3.52	11	3.93	9	3.95	10	4.24
საქართველო	116	91	138	2.51	2.33	2.69	48.3	131	2.21	100	2.42	138	2.32	119	2.44	102	2.59	87	3.09
სამოა	160	149	160	1.77	1.32	2.23	24.8	147	2.00	160	1.50	159	1.75	160	1.75	160	1.75	160	1.88

ნახაზი 2. 2014 წლის ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსის (LPI) რეზულტატი.

საქართველოს 2012 და 2014 წლის მონაცემების შედარებისას არასასურველი შედეგი გამოვლინდა LPI კატეგორიაში, კერძოდ: თუ 2012 წელს ვიყავით 77-ე ადგილზე, ბოლო მონაცემებით გადავინაცვლეთ 116-ე ადგილზე. გამომწვევი მიზეზები შემდეგია: ლოგისტიკის შესრულების პროცენტული (%) მაჩვენებლები 2012 წლის საქართველოს მაჩვენებლების მონაცემებში დაფიქსირდა 56,8 %, რაც აღემატება 2014 წლის 48,3 %-იან მაჩვენებელს. ეს მაჩვენებელი გამომდინარეობს I-ის შეფასების 6 კრიტერიუმის შეჯერებით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: 1. საბაჟო და სასზღვრო გაფორმების ეფექტურობა (სისწრაფე, სიმარტივე და ფორმალობის აღქმა-პროგნოზირებადობა) 2012 წლის მაჩვენებლებით 2,90 ქულით იყო შეფასებული, 2014 წელს კი 2,21 ქულაა. 2. სავაჭრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი (პორტები, სარკინიგზო, საავტომობილო გზები, ინფორმაციული ტექნოლოგია) 2012 წელს შეფასდა 2,85 ქულით, 2014 წელს ეს მაჩვენებელია 2,42 ქულა. 3. ორგანიზაციული სიმარტივე, კონკურენტუნარიანი ფასები გადაზიდვებში 2012 წელს შეფასდა 2,68 ქულით, 2014 წელს 2,32 ქულით. 4. ლოგისტიკური მომსახურების კომპეტენცია და ხარისხი (სატრანსპორტო ოპერაციები, საბაჟო ბროკერები) 2012 წელს შეფასებული იყო 2,78 ქულით, ხოლო 2014 წელს ეს მაჩვენებელი შეფასდა 2,44

ქულით. 5. ტვირთებზე მომსახურების და კონტროლის შესაძლებ-ლობაში შეფასების მაჩვენებლები 2,59 ქულა არ შეცვლილა, თუმცა აქ აღსანიშნავია ის, რომ სხვა ქვეყნების მაჩვენებლების გაუმჯობესებამ გამოიწვია 2012 წლის 93-ე ადგილიდან 2014 წელს 102-ე ადგილზე გადანაცვლება.

ერთადერთი მაჩვენებელი, რომელიც გაუმჯობესდა 2012 წლის შემდეგ, არის მე-6 მაჩვენებელი – სიხშირე, რომლითაც მიმწო-დებლები ტვირთის მიმღებთან დაგეგმილ ან მოსალოდნელ დროში აღწევენ. ეს მაჩვენებელი 2012 წელს შეფასებული იყო 2,86 ქულით, 2014 წელს კი – 3,09 ქულამდე გაიზარდა, რომელმაც 115-ე ადგილიდან 87-ე ადგილამდე გადმოიყვანა შესაბამისი მაჩვენებელი. აშკარაა, მხოლოდ ერთი მაჩვენებლის გაუმჯობესება არ კმარა. ლოგისტიკის მარტივი წესია – მიწოდებათა ჯაჭვების ყველა რგოლი ერთნაირად უნდა ვითარდებოდეს და ძლიერდებოდეს, რადგან ჯაჭვი არ არის მის სუსტ რგოლზე ძლიერი.

მიწოდებათა ჯაჭვების ხერხემალი საერთაშორისო ვაჭრობაა. მათი ლოგისტიკა მოიცავს სატვირთო ტრანსპორტირებას, დასაწ-ყობებას, სასაზღვრო დოკუმენტაციას, გადახდის სისტემებს და სხვა მრავალ აუტსორსინგულ და პროვაიდერულ ფუნქციებს. კარგი ლოგისტიკური მწარმოებლურობის მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდაში, დივერსიფიკაციაში და სიღარიბის დაძლევაშია.

მიუხედავად იმისა, რომ ლოგისტიკის განმხორციელებლები ძირითადად კერძო ოპერატორები არიან, ის გახდა საჯარო პოლიტიკის, ეროვნული ხელისუფლებისა და რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების ზრუნვის საგანი. მიწოდებათა ჯაჭვები არის რთული, თანმიმდევრული და კოორდინირებული საქმიანობა. მწარმოებლურობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მხრი-დან ისეთ ქმედებებზე, როგორიცაა: ინფრასტრუქტურა, ლოგისტიკი-სათვის მომსახურების უზრუნველყოფა და ტრანსსასაზღვრო ვაჭრო-ბის გამარტივება [8].

დასასრულ რა არის LPI?

მსოფლიოში გლობალური ექსპედიტორების და ექსპრეს-გადამ-ზიდავების გამოკითხვებზე დაყრდნობით, ლოგისტიკური ეფექტუ-რობის ინდექსი არის მსოფლიო ბანკის მიერ განვითარებული ბენჩმარკინგ ინსტრუმენტი, რომელიც მიწოდებათა ჯაჭვების მწარმოებლურობის შეფასებაში ეხმარება ქვეყნებს. 160 ქვეყნის ინდექსის შედარება გვეხმარება ქვეყნებში არსებული პრობლემებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებაში და მათი ლოგისტიკური ეფექტურობის ამაღლებაში. ამ კუთხით მსოფლიო ბანკი კვლევებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აკეთებს. საიმედო ლოგისტიკა არის გლობალური ჯაჭვის და ვაჭრობის შესაძლებლობების ინტეგრირება,

მიმართული ეკონომიკის ზრდისა და სიღარიბის შემცირებისაკენ. სახელმწიფომ და კერძო სექტორმა ბევრ განვითარებად ქვეყანაში ან უნდა გააუმჯობესონ ეს სფერო, ან იქნებიან დიდი და მზარდი ხარჯების წინაშე.

„...LPI გვეხმარება ჩვენი პოლიტიკის ფორმულირებაში ლოგისტიკის სფეროში, მიგვითითებს, თუ რომელი სექტორი და ფაქტორი უნდა გავაუმჯობესოთ, რათა გავზარდოთ ჩვენი კონკურენტუნარიანობა“. „... I არის საშუალება, რათა გავაუმჯობესოთ ლოგისტიკის შესრულება“ [9].

გამოყენებული ლიტერატურა

1. Connecting to Compete 2012, Trade Logistics in the Global Economy, The Logistics Performance Index and Its Indicators.
2. This report references the six LPI indicators by their short names: customs, infrastructure, international shipments, logistics quality and competence, tracking and tracing, and timeliness.
3. www.worldbank.org/lpi.
4. 11 Reis and Farole 2012.
5. Arvis and others 2010.
6. IDB 2012.
7. Raballand and Teravaninthorn 2008.
8. Jeffrey D. Lewis Director, Economic Policy, Debt and Trade Department Poverty Reduction and Economic Management Network (PREM) The World Bank Group
9. Jose Luis Irigoyen Director for the Transport, Water, Information and Communications Technologies, and Infrastructure Finance Department Sustainable Development Network (SDN) The World Bank Group.
10. Edy Putra Irawady, Deputy Minister at the Coordinating Ministry of Economic Affairs, Government of the Republic of Indonesia.

David Khazhomia

LOGISTICS PERFORMANCE INDEX AND ITS INDICATORS

Annotation

This article discusses the logistic performance indicators of the countries received in 2012, as a result of survey of individual and international forwarders from 155 countries, which consist of six component.

თამარ კილაძე
თამარ რუხაძე

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები

მსოფლიო ბანკის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, სწრაფად მზარდი მეწარმეობის და ინოვაციის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სამუშაო ადგილებისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გლობალურ ეკონომიკაში კერძო სექტორი 10-დან 9 სამუშაო ადგილს ქმნის. აქედან გამომდინარე მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის და ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნა და კერძო სექტორის განვითარება ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური წინსვლისა და სიღარიბის შემცირების უმთავრესი წინაპირობებია.

„თუმცა, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი მთლიანი შიდა პროდუქტის 20 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს, რაც ბევრ მეზობელ ქვეყანაში დაფიქსირებულ მონაცემებთან შედარებით საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია (მაგალითად, სომხეთში მცირე და საშუალო საწარმოები მთლიანი შიდა პროდუქტის 42%-ს შეადგენს), ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, საშუალოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის 60 პროცენტს შეადგენს“[1].

მსოფლიო ბანკის ახალ ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში ჩატარებული კვლევის შედეგები. მასში გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებიც ქართულ საწარმოებში სამეწარმეო და ინოვაციური საქმიანობის ზრდას უშლის ხელს. მაგალითად, ფინანსებზე წვდომასთან დაკავშირებული სირთულეები (განსაკუთრებით დამწყები კომპანიებისთვის), არასაკმარისი ცოდნა და ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებული პრობლემები, შეზღუდული უნარ-ჩვევები, მეწარმეობისა და ინოვაციის მხარდამჭერი სპეციალური სამთავრობო პროგრამის არარსებობა და ა.შ. მსოფლიო ბანკის აგნარიშში სამეწარმეო კულტურის ზრდასა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული რეკომენდაციებია მოცემული.

ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სოციალური ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020-ში წარმოდგენილია სახელმწიფოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტული საკითხები

და ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2020 წლისათვის.

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს, განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ეფექტური იქნება ქვეყნის განვითარების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს მიზანია, გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა. ამისათვის კი საჭირო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბება, საკუთრების უფლების დაცვა.

სტრატეგიაში დეტალურად არის აღწერილი ის პრობლემები და პრიორიტეტები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია ქვეყნის მდგრადი და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის.

კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოკვეთილია სამი მნიშვნელოვანი ძირითადი მიმართულება: 1. კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა; 2. არასაკმარისად განვითარებული ადამიანური კაპიტალი; 3. ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ მიმართული რეფორმები არ აღმოჩნდა საკმარისი მწარმოებლურობის, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და შესაბამისი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შესაქმნელად.

სამივე ზემოთ ხსენებული კრიტიკული პრობლემა დამღუპველად მოქმედებს მცირე და საშუალო საწარმოების წარმოქმნასა და განვითარებაზე. ეროვნული წრმოების კონკურენტუნარიანობა ქვეყნის ეკონომიკის და პოლიტიკის მნიშვნელოვანი საყრდენია. იგი, გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა, მოიცავს არაეკონომიკურ ფაქტორებსაც, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ეროვნულ ეკონომიკაზე. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის არაეკონომიკურ ფაქტორებს შესაძლოა მივაკუთვნოთ:

- პოლიტიკური პროცესები;
- საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფოს მართვის მნიშვნელოვან საკითხებში;
- განათლების დონე;
- სამეცნიერო ბაზა;
- კანონის უზენაესობა;
- კულტურა;
- ინფორმაციის წვდომადობა;
- შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა.

შესაძლოა დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს როლი იმაში, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იქნებიან საწარმოები და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია, ძალიან დიდია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მათი პროდუქცია უნდა იყოს კონკურენტუნარიანი არა მხოლოდ რეგიონულ და შიდა ბაზარზე არამედ გლობალურ დონეზე.

1996 წლიდან ევროპამ ჩამოაყალიბა ის კრიტერიუმი, რომელიც მიკრო და მცირე მეწარმეობას განსაზღვრავს და, შესაბამისად, მცირე მეწარმეობის განსაზღვრებაც ჩამოყალიბდა: 1. მიკროსაწარმო, სადაც 9 ადამიანამდე უნდა მუშაობდეს, ბრუნვით 2 მლნ ევრო; 2. მცირე საწარმო, სადაც 10-დან 49 ადამიანამდე უნდა მუშაობდეს, ბრუნვით 10 მლნ ევრო.

მცირე მეწარმეობის განვითარებას ევროპაში ის ადასტურებს, რომ 1000 მოსახლეზე 45 მცირე საწარმო მოდის, საქართველოში კი, 1000 მოსახლეზე 12 საწარმოა.

ინგლისში შრომისუნარიანი მოსახლეობის 98% მცირე და საშუალო საწარმოებში მუშაობს. აშშ-ის ბიუჯეტი, რომელიც 3.5 ტრილიონი დოლარია, 46%-ით სწორედ მცირე და საშუალო საწარმოებიდან შემოსული თანხით ივსება. ჩვენთან კი, ეს ციფრი, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, 8-დან 14 პროცენტამდეა.

ევროპის პოზიტიური გამოცდილების გათავისება მნიშვნელოვანია სამამულო ეკონომიკის დაცულობის ასამაღლებლად გლობალური გამოწვევების წინაშე. ეს გამოწვევები საჭიროებს რაციონალური ზომების მიღებას სამრეწველო პოლიტიკის დონეზე და პრინციპულად ახალი სამრეწველო სტრატეგიის ამუშავებას. თითოეული სახელმწიფოს როლი და წონა მსოფლიოში ფასდება მის მიერ ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვის და თანამედროვე ნეგატიური ადეკვატური რეალობის დაძლევის მიხედვით.

დღესდღეობით სინგაპური არის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანა მსოფლიოში. ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ სინგაპური საუკეთესო ადგილია სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. CNN-ის გამოკვლევების მიხედვით, მას მე-5 ადგილი უჭირავს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიხედვით. ქვეყანაში ფუნქციონირებს დაახლოებით 140 000-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის სუბიექტი, რაც ქვეყანაში არსებული საწარმოების დაახლოებით 90 პროცენტს შეადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით.

ეკონომისტები გამოყოფენ სინგაპურის ეკონომიკის და მეწარმეობის წარმატებული განვითარების სამ ძირითად მიზეზს:

- სინგაპურის მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობას შეადგენს სხვადასხვა მომსახურების მიწოდება: სავაჭრო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ფინანსური, ტურისტული და სხვა;
- სამართლებრივი აქტები, რომლებიც კარგ პირობებს ქმნის ქვეყანაში ბიზნესის დასაწყებად და განსავითარებლად, განსაკუთრებული შეღავათებია განკუთვნილი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებიც იწყებენ საქმიანობას;
- საერთო ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები და მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი.

მცირე და საშუალო ბიზნესი სინგაპურის ეკონომიკური განვითარების საფუძველია, რაც განპირობებულია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციით, მიმზიდველი საინვესტიციო იმიჯით და, ასევე, სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკით, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას.

მცირე და საშუალო ბიზნესი ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფასა და სამამულო წარმოებაში.

აშშ მხარს უჭერს თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიას, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვას, ისე, როგორც იაპონიაში, მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს მთავრობამ დიდი როლი ითამაშა მთელი რიგი სფეროების ზრდის სტიმულირებაში. უფრო აშკარად ეს ხდებოდა სოფლის მეურნეობის სფეროში.

როგორც ვიცით, სამეცნიერო სიახლეებზე საკუთრების უფლების ცნობა დიდი პრობლემაა ამა თუ იმ დარგში. სოფლის მეურნეობაში, რომელიც ძირითადად ეფუძნება საოჯახო ფერმებს, ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას, ვინაიდან ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიის შემოტანისას, ის, ვინც პირველი ნერგავს მას, ეწევა უფრო მეტ რისკს და ამიტომ საჭიროებს სახელმწიფოსაგან დაცვას. ამიტომ ამერიკის მთავრობა ორგანიზებას უწევდა მეცნიერული სიახლეების კვლევას და შემდგომ ავრცელებდა ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო სამსახურების მიერ.

ასევე სახელმწიფო მონაწილეობდა სხვადასხვა მსხვილმასშტაბიან აქციებში, როგორიც იყო, მაგალითად, საირიგაციო სისტემების მშენებლობა. ასეთი ჩარევა სახელმწიფოსაგან სწორად მიაჩნდათ სამრეწველო პოლიტიკისადმი ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ეკონომისტებსაც კი.

რატომ არ შეიძლება ჩვენი სახელმწიფოც დაეხმაროს არსებულ მიკრო და მცირე საწარმოებს, აშშ-ს მსგავსად დააზღვიოს

მათი რისკები, რათა მათ შეძლონ ახალი ტექნიკით აღჭურვა, გაეცნონ მსოფლიო სიახლეებს და ხელი მიუწვდებოდეთ იაფ კრედიტზე.

Tamar Kiladze
Tamar Rukhadze

SMALL AND MEDIUM BUSINESS DEVELOPMENT PROBLEMS

Annotation

In order to enhance the small and medium business in Georgia, which in itself means new jobs and the private sector share in GDP growth, it is necessary to take care of state aid to enterprises. It is important how safe they will be able or not to avail themselves of cheap credit to increase production and development. State agencies have begun working in this direction. It would be nice, if small and medium-sized enterprises solve the problems quickly and intensively.

ანა კურტანიძე
გიგა ცისკარიძე

სამრეწველო ბიზნესში პროექტების მენეჯმენტის კვლევის და სრულყოფის მიმართულებათა დადგენა

ტვირთების შეუფერხებელი გადაზიდვა სატრანსპორტო ბიზნესის წარმატებული მართვის საფუძველია. სატრანსპორტო საწარმოები წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც შედგება მრავალი მატერიალური, შრომითი და ფინანსური ელემენტისაგან. შესაბამისად, მისი მენეჯმენტი დინამიური, სწარაფად ცვალებადი, განვითარებადი სისტემაა და ეფუძნება დასაბუთებულობის, მიზანმიმართულობის და მოდელირების პრინციპებს აქედან გამომდინარე განისაზღვრება სატრანსპორტო საწარმოების სახე და მასშტაბები. ტრანსპორტის მართვისათვის აუცილებელი ინფორმაციის უქონლობის და ეკონომიკური დასაბუთების შეუძლებლობის შემთხვევაში ხშირად დგება საკითხი ტრანსპორტის სახეობისა და ტრანსპორტირების ხერხის შერჩევის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტისას, უნდა გავითვალისწინოთ თითოეული სახის ტრანსპორტის ტექნიკურ-ეკონომიკური თავისებურებები.

სატრანსპორტო საწარმოებში მართვის გადაწყვეტილებათა ხარისხი დამოკიდებულია მენეჯმენტის ფუნქციონალური რგოლების მიერ ამოცანების დროულად და მაქსიმალური სიზუსტით გადაწყვე-

ტაზე, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი საინფორმაციო ბანკის ფორმირება, მომწოდებელთა და მომხმარებელთა რაოდენობისა და საიმედობის განსაზღვრა. საქართველოში დაახლოებით ორმოცდაათამდე სატრანსპორტო კომპანიაა. ყველა კომპანია ახორციელებს როგორც საიმპორტო, ასევე საექსპორტო და სატრანზიტო გადაზიდვებს. რაც შეეხება კითხვას, თუ რა სახის გადაზვიდვებზეა ყველაზე მაღალი მოთხოვნა, გამოკითხულთა შეფასებებით ყველაზე მაღალი მოთხოვნა არის იმპორტზე, შემდეგ მოდის ტრანზიტული გადაზიდვები, ხოლო ყველაზე ნაკლებად აქტუალურია საექსპორტო გადაზიდვები. დადგენილია, რომ საბაჟო/საბროკერო მომსახურებას სთავაზობს 12 კომპანია; სასაწყობო/სატერმინალოს – 10 კომპანია; ჩატვირთვა/გადმოგადმოტვირთვას – 15 კომპანია, ტვირთის აწონვას – 7 კომპანია, დაზღვევას – 14 კომპანია და ტვირთის აღწერას – 6 კომპანია. ძირითადად შიდა გადაზიდვები ხდება თბილისი-სარფი, თბილისი-ბათუმი და თბილისი-ფოთის მიმართულებით. რაც შეეხება საერთაშორისო გადაზიდვებს, ძირითადად ტრანსპორტირება ხდება თბილისი-სტამბული, თბილისი-მოსკოვი, თბილისი-ბაქოსა და თბილისი-ერევანის მიმართულებით. ყველაზე ხშირი ურთიერთობა საქართველოს აქვს ჩინეთთან, უკრაინასთან, აზერბაიჯანთან, გერმანიასა და რუსეთთან.

სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროში, ისევე, როგორც თითქმის ყველა ბიზნესში, მნიშვნელოვანია სარეკლამო კამპანიების წარმოება. კვლევის შედეგად დადგინდა რომ გამოკითხულთა მხოლოდ 64% მიმართავს სტიმულირებას. სატრანსპორტო გადამზიდავი კომპანიები იყენებენ სტიმულირების სხვადასხვა ხერხებს: სატელევიზიო რეკლამა, ჟურნალ-გაზეთები, ბილბორდები, რადიო, ფასდაკლებები, საჩუქრები და ინტერნეტრეკლამა. აღსანიშნავია, რომ სტიმულირების ხერხებს შორის ყველაზე აქტუალურია: ჟურნალ-გაზეთები, ფასდაკლებები და ინტერნეტრეკლამა.

სატრანსპორტო გადაზიდვის ბაზრის ტენდენციის შესახებ ბოლო 1 წლის განმავლობაში, გამოკითხულთა 32% მიიჩნევს, რომ გადაზიდვებზე მოთხოვნა 20-40%-ით გაიზარდა; 27% ფიქრობს, რომ მოთხოვნა გაიზარდა 10-20%-ით; 15% მიიჩნევს, რომ ტრანსპორტირების რაოდენობა გაიზარდა ასევე 40-70%-ით; გამოკითხულთა მხოლოდ 15% ფიქრობს, რომ ბაზრის ტენდენცია ბოლო 1 წლის განმავლობაში არ შეცვლილა, ხოლო 11%-ს აზრით, სატრანსპორტო გადაზიდვებზე მოთხოვნა შემცირდა 10-30%-ით.

საქართველოს სამრეწველო-ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს შიდა გადახდისუნარიანი მოთხოვნის ეტაპობრივ ზრდას და შესაბამისად შიდა ბაზრის არსებითად გამოცოცხლებას, დამატებით საკრედიტო რესურსების წარმართვას ეკონომიკური

ზრდის სტიმულირებისათვის, ეფექტიანი სამრეწველო წარმოებათა აღდგენა-განვითარებისა და ინვესტიციური საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

რეგიონის ეკონომიკური განვითარება, წიაღისეული სიმდიდრეების ათვისება შუა აზიაში, ეკონომიკური ინტეგრაციის განუხრელი ზრდის პროცესი, აუცილებლად გაზრდის შუა აზიისა და ა/კავკასიის ქვეყნებში ტვირთბრუნვის მოცულობას, შესაბამისად გაიზრდება საქართველოს გავლით გადასაზიდი ტვირთებიც. დღეისათვის ეკონომიკური სიტუაცია ისეთია, რომ ყოველთვის მოიძებნება ტრანსპორტირების ალტერნატიული გზები, ამიტომ საჭიროა საქართველომ შესთავაზოს ზემოაღნიშნულ ქვეყნებს ტვირთების გადაზიდვის დაბალი ფასები, გაზრდილი სიჩქარე, საიმედოობის მაღალი დონე და სატრანსპორტო მომსახურების სიმარტივე, რაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტმა.

მართვის ავტომატური სისტემის ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა, რამდენჯერმე დაჩქარდეს ორგანიზაციის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება და მათი ოპტიმიზაცია ვირტუალური მეთოდების გამოყენებით, ხოლო სატრანპორტო საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებით მიიღწევა თვითღირებულების 20-40%-ით შემცირება. მართვის ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია მართვის ავტომატიზებული სისტემით მაღალი დონის ინფორმაციული უზრუნველყოფა, მართვის ნებისმიერი პროცესი დაკავშირებულია ინფორმაციის გამოყენებასა და გადამუშავებასთან, რაც ამცირებს სისტემის გაურკვევლობას.

მარაგების მართვის, მასიური მომსახურების ფინანსური ანალიზის და რისკებისაგან დაზღვევის მოდელების მიხედვით საჭიროა, გამოყენებულ იქნეს სატრანსპორტო საწარმოთა ფინანსური შედეგების – მოგების, რენტაბელობის, გადაზიდვის მოცულობის, შემოსავლების მაქსიმიზაცია და სატრანსპორტო გადაზიდვების დანახარჯთა მინიმიზაცია. სატრანსპორტო საწარმოებში მართვის გადაწყვეტილებათა ხარისხი დამოკიდებულია მენეჯმენტის ფუნქციონალური რგოლების მიერ ამოცანების დროულად და მაქსიმალური სიზუსტით გადაწყვეტაზე.

Ana Kurtanidze
Giga Tsiskaridze

DIRECTIONS OF RESEARCH AND IMPROVEMENT OF MANAGEMENT OF PROECTS IN INDUSTRIAL BUSINESS

Annotation

Automatized management system with the high level of information support can be considered as the measure of transport organization management improvement that excludes the implementation of parallel works, duplication of transportations, maximal load of cargo and passenger transportation at one certain route. “Information” is the important resource that is used in the process of analysis and processing of management economic decisions. Any process of management is connected with the large-scale use of information that reduces system uncertainty and due to this information gets the quantitative measurement in the cybernetics.

ნანა მაისურაძე

"RMG"-ის კომპანიების სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვის პრიორიტეტები თანამედროვე კონკურენტულ გარემოში

"RMG"-ის კომპანიების, როგორც კერძო სტრუქტურის და საბაზრო ეკონომიკის შემადგენილი ელემენტის ჩამოყალიბება დაკავშირებულია 1992 წელთან, როცა საქართველო მტკიცედ შეუდგა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებას. მოყოლებული ამ დროიდან, კომპანიებმა განიცადეს როგორც ორგანიზაციული, ასევე თვისებრივი ცვლილებები და საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, როგორც სააქციო საზოგადოება (სს "RMG Copper") და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს „RMG Gold”). როგორც კერძო სტრუქტურა, განვითარების საწყის ეტაპზე ამ კომპანიებში დომინირებდა ცენტრალიზებული მართვის სისტემა, ხოლო კომპანიების ჰორიზონტალური დონის მენეჯერები, როგორც მართვის ერთ-ერთი ორგანიზაციული ფორმა, ძირითადად იმაზე მუშაობდნენ, რომ განესაზღვრათ რესურსების ერთობლივი წვლილი ცენტრალიზებულ სტრატეგიაში. მაგრამ, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებამ და ბუნებრივ რესურსებზე ფასების ხშირმა მერყეობამ მოითხოვა მენეჯმენტის გადაწყობა უფრო მოქნილ მექანიზმებზე და 2012 წლიდან "RMG"-ის კომპანიებმა შეცვალეს დაგეგმვის პროცედურული პროცესი – სტრატეგიული მიზნები უფრო მეტად მუშავდებოდა უშუალო ფინანსური შედეგების შესაბამისად, მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა კონტროლსა და ფინანსურ შედეგებზე და ისეთი საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა:

რეალიზაციის (გაყიდვების) მოცულობის პროგნოზირება; ფულადი სახსრების შემოსავლებისა და გასავლების ბალანსი; შემოსავლებისა და დანახარჯების ნაერთი ცხრილები; საწარმოს აქტივებისა და პასივების ნაერთი ბალანსი; მოგების მაჩვენებელთა ფორმირებისა და გამოყენების პრიორიტეტები; ფასიანი ქაღალდების პორტფელი; საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ეტაპები; დაინტერესებულ მხარეთა ფინანსური მოლოდინის განჭვრეტა. ხოლო, 2013 წლიდან "RMG"-ის კომპანიების სტრატეგიული დაგეგმვის პრიორიტეტები კიდევ უფრო გაიზარდა საინვესტიციო პროექტის ღირებულების და უკუგების მართვის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საინვესტიციო სახსრების მიღების წყაროს და ფორმების კაპიტალურ დაბანდებათა უკუგების და საინვესტიციო დივიდენდების მაჩვენებლების მიხედვით ფორმირებას.

მაშასადამე, 2013 წლიდან "RMG"-ის კომპანიების სტრატეგიულ განვითარებაში პრიორიტეტი დაეთმო ფინანსურ მენეჯმენტს, ამ პერიოდიდან ფინანსური სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა ხდება კომპანიების ფინანსური საქმიანობის თავისებურებების და მისი ფინანსური მენეჯმენტის სტრატეგიული აზროვნების დონისა და კომპანიების მიზნის გათვალისწინებით, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს: ფინანსური უსაფრთხოების დონის ამაღლება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების განაწილების მიმართულებების ოპტიმიზაციასთან სამეურნეო საქმიანობის სფეროების მიხედვით და, რომელიც ხელს უწყობს "RMG"-ის კომპანიების საბაზრო ღირებულების ზრდას სტრატეგიულ პერიოდში და ფინანსური უსაფრთხოების დონის ოპტიმიზაციას – დაკავშირებული კონტროლთან, რომელიც მოიცავს ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის უზრუნველყოფას ფინანსური განვითარების ყოველ დომინანტურ სფერომდე.

ცნობილია, რომ სტრატეგიულ ხედვაზე (და ამას პრაქტიკულად აცნობიერებენ "RMG"-ის კომპანიები), ორიენტირებული მოვლენების შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინასწარ-ხედვის ორ ფორმას: ორგანიზაციულობის პროგნოზს და ფინანსურ გეგმას.

ორგანიზაციული პროგნოზი – ეს არის პროცესი დროის რომელიმე მომენტისათვის ობიექტის სტრატეგიული განვითარების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, საკვლევი ობიექტის მომავალი ფინანსურ მაჩვენებლის, მოვლენათა და პროცესთა განვითარების გზებისა და შედეგების ორგანიზაცია, რომლის ობიექტურ საფუძველს ქმნის წარსული პერიოდების ტრენდების ექსტრაპოლაცია ნორმატიულ პროგნოზებთან შეთანაწყობით [3].

ფინანსური დაგეგმვა სტრატეგიული დაგეგმის და პროგნოზირების მთავარი ორგანული ნაწილია. ამ მიმართულებით დიდი ყურადღება ექცევა იმ ფუნქციას, რომელიც ახორციელებს შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსების, საკმარისი ფულადი ნაკადის არსებობის, კომერციული სტატისტიკის, პერსონალისათვის მატერიალური წახალისების, ფიქსირებული აქტივების ამორტიზების, ხარჯების დეტალიზების უზრუნველყოფის საკითხებს და მოიცავს შემდეგ განაყოფებს: საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების გეგმას; მარკეტინიგის გეგმას; წარმოების გეგმას – პროდუქციის მოცულობას განსაზღვრავს ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში; ტექნოლოგიების განვითარების გეგმას; შრომასა და კადრებთან დაკავშირებულ გეგმას; კაპიტალური მშენებლობის გეგმას; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმას; წარმოების დანახარჯებთან, მოგებასა და რენტაბელობასთან დაკავშირებულ გეგმას; ბუნების დაცვასა და კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ გეგმას; რისკების შეფასების და ეკონომიკური მდგრადი განვითარების შენარჩუნების გეგმას [1; 2; 10].

"RMG"-ის კომპანიები პრიორიტეტს ანიჭებენ იმ ძრითადი ორგანიზაციული და ფინანსური მექანიზმების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის საბაზრო ღირებულების ზრდას და სტრატეგიული ფინანსური მართვის სრულყოფის მექანიზმებიდან უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ფინანსურ მეთოდებს, რომლებიც ზემოქმედებს სამეურნეო პროცესზე და ფულადი რესურსების ფორმირებასა და გამოყენებაში ვლინდება. რაც შეეხება სამართლებრივ უზრუნველყოფას, "RMG"-ის კომპანიების ფინანსური მექანიზმის ფუნქციონირება ეფუძნება ყველა იმ საკანონმდებლო აქტს, დადგენილებას, ბრძანებას და ა.შ., რომელიც გამოცემულია და მოქმედებს საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კანონთან შესაბამის შიდა ფინანსური ნორმატიული დოკუმენტების ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს კი ფინანსური ინფორმაციის სამართლებრივი მართვის და გამოყენების საშუალებას იძლევა და შეიძლება მივიჩნიოთ როგორც შიდა, ასევე გარე ცვლადებად, რომლის მოპოვება და გადაცემა დამოკიდებულია შიდა საინფორმაციო სისტემის სრულყოფაზე [5; 6;7; 8; 9].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ფინანსური მექანიზმების შემდეგი სტრუქტურა (იხ. ნახ. 1) და ფინანსური მართვის ის მექანიზმები, რომელზეც ორიენტირებულია "RMG"-ის კომპანიები.



ნახაზი 1. ფინანსური მექანიზმების სტრუქტურა

წარმოდგენილი სტრუქტურა მოიცავს მართვის იმ შიდა და გარე ფინანსურ მექანიზმებს, რომელზეც ორიენტირებულია "RMG"-ის კომპანიები.

შიდა მექანიზმებია: ყველა ის ფინანსური ოპერაცია, რომლებიც აყალიბებენ ფინანსურ რესურსებს და ქმნიან მისი გამოყენების შესაძლებლობებს და აუცილებლობას, მაგალითად, ქონებრივი მდგრადობის მაჩვენებელი, როგორც "RMG"-ის კომპანიების ეკონომიკური პოტენციალის გამომვლენი მექანიზმი; ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებელი, როგორც "RMG"-ის კომპანიების სტრატეგიული გეგმის რეალური სურათის ამსახველი მექანიზმი; გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი, როგორც "RMG"-ის კომპანიების კონკურენტუნარიანობის გამოვლენის მექანიზმი; კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი, როგორც "RMG"-ის კომპანიების გაკოტრების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმი; მადნის გამდიდრების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელი როგორც წარმოების ზრდის და დანახარჯების შემცირების გამომვლენი მექანიზმი; ფინანსური მდგრადობის აბსოლუტური მაჩვენებელი, როგორც "RMG"-ის კომპანიების ეკონომიკური მდგრადობის გამომვლენი მექანიზმი; ადამიანური რესურსების მართვის ფინანსური მექანიზმი, როგორც "RMG"-ის კომპანიების ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გამოყენების მექანიზმი; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც "RMG"-ის კომპანიების წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფის მექანიზმი.

გარე მექანიზმებია: დაზღვევა, როგორც ფინანსური რისკების შემაფერხებელი მექანიზმი, ლიცენზირება, როგორც უფლების მოპოვებისა და შემდგომში დამატებითი ფინანსური სახსრების შემოსავლის მექანიზმი, დაკრედიტება, როგორც ფინანსური დისბალანსის დამფარავი მექანიზმი, სახელმწიფო გადასახადები, როგორც მზადყოფნა – ფინანსური საქმიანობის განხორციელების მექანიზმი, კომპანიის გლობალურობის მაჩვენებელი, როგორც "RMG"-ის კომ-

პანიების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მექანიზმი.

"RMG"-ის კომპანიების ფინანსური სტრატეგიის კომპლექსურმა კვლევამ გამოავლინა ამ კომპანიების ის ძირითადი მახასიათებლები [4, გვ. 231-233], რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო სტრატეგიის სრულ ფუნქციონირებას, სახელდობრ, ეს მახასიათებლებია: კომპანიების ფუნქციონალური ფორმა – მოიცავს საქმიანობის ერთ ფორმას, რომლის დამუშავება ფინანსური მენეჯმენტის ერთი-ერთი ფუნქციაა; ფუნქციონალური სტრატეგიული სისტემა – საშუალებაა კოორდინაციისა და ინტეგრირების ყველა ფუნქციონალური ქვედანაყოფის; ფინანსური საქმიანობის განვითარება – ფინანსური მენეჯმენტის მთავარი ფუნქცია, რომლიც მიზანია ფინანსური სტრატეგიის ფორმირება; გრძელვადიანი ფინანსური მიზნების ფორმირება – მთავარი განმსაზღვრელია კომპანიის მისიის და სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის; ფინანსური ეფექტიანი მიმართულებების შერჩევა – მოიცავს სტრატეგიული ალტერნატივების ძიებას, შეფასებას და შესაბამისი კრიტერიუმების შერჩევით საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაციას; გარე ცვლადები ფინანსური საქმიანობის პროცესში – სტრატეგიული ქცევის მთავარი ამოცანაა სწრაფი რეაგირება გარემოს ცვლადებზე მიმდინარე ამოცანების კორექტირების საფუძველზე; ფინანსური გარემოს ადაპტაცია – გულისხმობს ფინანსური რესურსების მანევრირებას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ "RMG"-ის კომპანიების ფინანსური უზრუნველყოფა, ანუ სტაბილიზაცია დამოკიდებულია გარე და შიდა ცვლადებზე, ფინანსური მექანიზმების მოქნილობაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული პოლიტიკა, განპირობებული ამ კომპანიების მახასიათებლებით (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

"RMG"-ის კომპანიების ფინანსური სტაბილიზაციის შიდა მექანიზმები და პოლიტიკა

ფინანსურის ტაბილიზაციისეტაპები	**"RMG"-ის კომპანიების ფინანსური სტაბილიზაციის მექანიზმები და პოლიტიკა**		
	1. ოპერატიული	2. ტაქტიკური	3. სტრატეგიული
1. გადახდისუუნარობისშეჩერება	ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემყარება ვალდებულებების შემცირების პოლიტიკას		
2. ფინანსურიწონასწორობისუზრუნველყოფა		ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემყარება ფინანსურიდამო-უკიდებლობისპოლიტიკას	
3. ფინანსურიწონასწორობისშენარჩუნება			ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემყარება კაპიტალ-დამზოგველპოლიტიკას

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბლანკი ი. ა., ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამ. საქ. ტექ. უნივერსიტეტი, თბ., 2006.

2. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები. გამ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010.

3. კაკაბაძე ვ. ბიზნეს-ადმინისტრირება (სრულყოფის თორმეტი საფეხური). გამ.: „მერიდიანი“, თბ., 2012.

4. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ., კორპორაციული ფინანსები. ტომი II, გამ. „უნივერსალი”, თბ., 2013.

5. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 25 ივლისის დადგენილება „სსკ-ის 1761 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად - „ცალკეულ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის და დღგ-ის თანხის ბიუჯეტში გადახდის წესი“. 25 ივლისი, თბ., 2012.

6. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ცორპორაციული მართვის სახელმძღვანელო. თბ., 2012.

7. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და საკონსულტაციო პროგრამა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო. თბ., 2010.

8. საქართველოს შრომის კოდექსი 2013.

9. სააქციო საზოგადოება "RMG Copper"-ის ყოველწლიური ანგარიში 2013.

10. Бригхмэм Ю., Хьюстон Дж. Финансовый менеджмент. Экспресс-курс, IV изд./Пер. с англ. С-Пб. Питер, 2011.

Nana Maisuradze

PRIORITIES OF STRATEGIC FINANCIAL PLANNING OF "RMG" COMPANIES IN MODERN COMPETITIVE ENVIRONMENT

Annotation

In the presented scientific article, financial planning is discussed as one of the most important measures to provide competitiveness of an entity. Factors of provision of financial stabilization of RMG Companies have been revealed. The following has been established: relation of financial stabilization to internal and external variables, on mechanisms of financial management; the following has been worked out; the following has been analyzed: stages of financial stabilization, their characteristics and function of these characteristics in development of general strategy of companies, namely: functional form of companies, including a single form of activity, processing of which is one of the functions of financial management; functional strategic system, which is a means of coordination and integration of all functional subdivisions; development of financial activity – the main function of financial management, the aim of which is formation of financial strategy; formation of long-term financial aims, which is the main determinant of mission and realization of strategic aims of the company; choosing of financial effective directions, which covers searching for strategic alternatives, assessment and maximization of market value by choosing appropriate criteria; external variables in the process of financial activity – the main task of strategic behavior is fast response on variables of the environment, on the basis of correction of current tasks; adaptation of financial environment, which means manoeuvring of financial resources.

In the article - on the basis of studies of the Doctor of Economy Vazha Kakabadze, it was established that organizational forecast is a process for any moment of time, on the basis of analysis of tendencies of strategic development of the entity, organization of future financial index of subject of the study, ways and re-

sults of events and processes, the objective basis of which is made by extrapolation of trends of last times by coordination with normative prognoses.

თამარ მაწიაშვილი
ალექსანდრე ნინუა

საავტომობილო ტრანსპორტის მნიშვნელობა ახალმწიფოსათვის და მისი განვითარების გზები

საქართველოს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისტორიულად, საქართველო წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანზიტო ტერიტორიას. სამხრეთ კავკასია ერთ-ერთი უმოკლესი გზაა შუა აზიიდან ევროპამდე და საკმაოდ მიმზიდველია საერთაშორისო გადაზიდვებისათვის. ამიტომაც, ქვეყანაში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას და ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო წლებში რადიკალურად შეიცვალა საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით. ძალზე მოკლე დროში მნიშვნელოვნად ამაღლდა ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი. აუცილებელ მინიმუმამდე შემცირდა მთავრობის მხრიდან რეგულაციები და პრაქტიკულად გაუქმდა საერთაშორისო გადაზიდვებთან დაკავშირებული ადრე არსებული "შემაფერხებელი" ბარიერები. მეორე მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარები-სათვის. აღნიშნული ცვლილებები შეეხო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ყველა სფეროს: საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და მილსადენის ტრანსპორტს. გარდა ამისა, საკმაოდ განვითარდა საზღვაო ტერმინა-ლები.

კაცობრიობის განვითარების ისტორია განუყოფელია ტრანსპორტის განვითარების ისტორიასთან. თუ სიტყვა „ტრანსპორტის" ქვეშ ვიგულისხმებთ, უპირველეს ყოვლისა, ხალხისა და მატერიალური ფასეულობების გადაადგილების პროცესს სივრცეში, მაშინ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ადამიანის ფიზიკური არსებობისათვის საჭმლის, ტანსაცმლის, საცხოვრებლის შემდეგ აუცილებელია ტრანსპორტი. ზოგადად, თვით ადამიანის და სამუშაო იარაღის გადაადგილების გარეშე შეუძლებელია შეიქმნას პროდუქტი,

ტანსაცმელი, აშენდეს საცხოვრებელი და შესრულდეს ნებისმიერი მიზანმიმართული მოქმედება.

ტრანსპორტი, ფართო გაგებით, ეს არის სახალხო მეურნეობის დიდი და ძლიერი დარგი, რომლის ჩარჩოებშიც შედის მაგისტრალური ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობები, საქალაქო და სამრეწველო ტრანსპორტი.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ დარგს ტრანსპორტი წარმოადგენს, რასაც განაპირობებს საქართველოს გეოპოლიტიკური და საერთო ეკონომიკური მდგომარეობა.

გეოპოლიტიკა, თანამედროვე ხედვით, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ახლებურად გაგებული თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომელიც გეოგრაფიული ფაქტორის, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების, პოლიტიკური პროცესებისა და საერთაშორისო კრიზისების რეგულირების კომბინირებულ ანალიზს ეფუძნება.

სწორედ საქართველოს სატრანსპორტო-სატრანზიტო გზების და ზოგადად საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მისი აქტიურად ჩართვა ისტორიული ტრანსკავკასიური კორიდორის განვითარებაში. დიდია საქართველოს ისტორიული როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების დაკავშირებაში.

სამრეწველო წარმოების აღმავლობამ და სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგარეოეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ბათუმი მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგური გახდა. ბათუმიდან უცხოეთში დიდძალი რაოდენობით გაჰქონდათ ნავთობი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სპირტიანი სასმელები, აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, ნოხები, ქსოვილები, ფაიფური, სპილენძისა და თუჯის ნაწარმი, შავი ქვა, ქვანახშირი, სიმინდი, ცოცხალი ფრინველი, კვერცხი, თამბაქო და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება ძირეულად არის დაკავშირებული მისი ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – საავტომობილო გზების განვითარებასთან. საქართველოს მასშტაბებისა და რთული ბუნებრივი რელიეფის მქონე ქვეყანაში, სატრანსპორტო სისტემის სტრუქტურაში საავტომობილო ტრანსპორტის პრიოტიტეტი უდავოა მაღალტექნოლოგიური სატრანსპორტო მომსახურების პარამეტრების (მოქნილობა, მობილურობა, საიმედოობა, გადაზიდვის სიჩქარე, ტვირთების დაცულობა) თვალსაზრისით. საქართველოში ტრანსპორტის დარგის ოთხივე მიმართულება (საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო) საკმაოდ განვითარებულია. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ასრულებს სა-

ტრანზიტო ქვეყნის ფუნქციას. ტრასეკას პროექტში მონაწილეობა სატრანზიტო პოტენციალის რეალიზების კარგ საშუალებას იძლევა. ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების საშუალებით საქართველოსთვის უფრო ხელმისაწვდომი ხდება ევროპული და სხვა რეგიონული ბაზარი. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ხოლო კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს ევროპული სატრანსპორტო კომპანიების საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს კომპანიების ევროპის მასშტაბით ფუნქციონირებას.

საქართველოს ტრანსპორტის სექტორი საკმაოდ განვითარებულია, საბჭოთა პერიოდში სატრანსპორტო სექტორის საქმიანობა ძირითადად ქვეყნის შიგნით ფუნქციონირებაზე იყო აგებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი სატრანსპორტო სექტორი საერთაშორისო ბაზარზე გავიდა. თურქეთთან საზღვრის გახსნამ მკვეთრად გაზარდა საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის მასშტაბები.

საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძეა 20,229 კილომეტრი. მათ შორის:

- საერთაშორისო მნიშვნელობის – 1,474 კილომეტრი;
- შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის – 3,326 კილომეტრი;
- ადგილობრივი მნიშვნელობის – 15,439 კილომეტრი;
- ხიდები: 3,588 ცალი, საერთო სიგრძით 12,527გრძ/მ;
- გვირაბები/გალერეები 25 ცალი, საერთო სიგრძით 12,537 გრძ/მ [1].

საქართველოში დაახლოებით 20,250კმ სიგრძის საავტომობილო და 1,550კმ სიგრძის სარკინიგზო ქსელია. ყოველწლიურად თითქმის 24.5 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა ხდება ქვეყნის საავტომობილო გზებით და 16.3 მილიონი ტონის – რკინიგზით. აღსანიშნავია, რომ მგზავრების გადაყვანაც გზების გადატვირთ-ვასთანაა დაკავშირებული. საქართველოს საავტომობილო გზებით დაახლოებით 257 მილიონი მგზავრი გადაადგილდება, ხოლო რკინიგზით – 2.2 მილიონი. საქართველოში გადაზიდული ტვირთის მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი, დაახლოებით 59.9 პროცენტი, მოდის საავტომობილო გადაზიდვებზე. 1990 წლის შემდეგ საავტომობილო მაგისტრალებმა და რკინიგზამ თავისი ფუნქცია დაიბრუნა, თუმცა ვერც საავტომობილო გზები და ვერც რკინიგზა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. წლების განმავლობაში მიტოვებული და მოუვლელი მაგისტრალების უმეტესობა განადგურდა. ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ მიმოსვლის აღსადგენად დიდი დატვირთვის მქონე გზები გაარემონტა. მიუხედავად ამისა, ჯერ

კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი სიტუაციის საბოლოო მოწესრიგებამდე.

მას შემდეგ, რაც საქართველომ შეიძინა აზია-ევროპის დამაკავშირებელი კორიდორის სტატუსი, სახელმწიფოს წინაშე პრიორიტეტული გახდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს საავტომობილო გზები წარმოადგენს, რადგან სატვირთო გადაზიდვის საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის. საავტომობილო გადაზიდვების გაზრდილმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა არსებული გზების რეკონსტრუქციის და ზოგ შემთხვევაში ახალი უსაფრთხო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა (მაგალითი ნაჩვენებია ცხრილში).

საავტომობილო გზებზე მიმდინარე მნიშვნელოვანი სამუშაოებიდან აღსანიშნავია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი (თბილისი–სენაკი–ლესელიძის საერთაშორისო დანიშნულების ახალი ავტომაგი-სტრალის მონაკვეთი, რომელიც დაკავშირებს საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებს შავი ზღვის ნავსადგურებთან და ხელს შეუწყობს დამატებითი სატრანზიტო ტვირთების მოზიდვას საქართველოს მიმართულებით), რომლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია მიმდინარეობს BP-ის, KFW-ის, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის კრედიტით.

ცხრილი 1

იგოეთის უბანი: ჯამური სატვირთვო გადაზიდვები (ავტომობილი/დღეღამეში ორივე მიმართულებით) [2]

წლები	მცირე სატვირთო	საშუალო სატვირთო	დიდი სატვირთო	გადაბმული	ჯამური
2006	379	348	427	72	1,225
2007	391	359	452	76	1,279
2008	401	368	475	80	1,324
2009	408	375	497	84	1,364
2010	416	382	519	88	1,405
2011	422	387	536	92	1,437
2012	428	392	554	95	1,469
2013	433	397	572	99	1,501
2014	439	402	591	103	1,534
2015	444	407	611	107	1,568
2016	452	413	631	111	1,608
2017	459	420	653	116	1,648
2018	467	427	675	120	1,689
2019	474	433	698	125	1,731

2020	482	440	722	130	1,774
2021	487	444	743	135	1,810
2022	492	449	766	140	1,847
2023	497	453	788	145	1,884
2024	502	458	812	151	1,922
2025	507	462	836	156	1,961
2026	509	464	858	161	1,993
2027	511	466	881	167	2,025
2028	514	467	905	172	2,058
2029	516	469	929	178	2,092
2030	518	470	954	184	2,126

გაგრძელდება სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე გვირაბის მეორე რიგის მშენებლობა, რაც ითვალისწინებს აღნიშნულ მონაკვეთზე მეორე ახალი გვირაბის სამშენებლო სამუშაოებს, რომლის დასრულება დაგეგმილია მომავალ წელს, რაც შემდგომ შესაძლებელს გახდის მოძრაობის ორივე მიმართულებით ცალმხრივ რეჟიმზე გადასვლას.

ბათუმის და თბილისის ახალი აეროპორტების გახსნასთან დაკავშირებით, მათთან მისასვლელი საავტომობილო გზის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის მიზნით, საავტომობილო გზის ამ მონაკვეთებს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და აშშ-ს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა ქვეყნისათვის ძალზედ მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის (245 კმ) სრულ რეაბილიტაციას. სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდება თბილისიდან, ასევე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან, თურქეთისა და სომხეთის რესპუ-ბლიკების საზღვრებამდე მისასვლელი გზები.

ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურის გარეშე. ეს ეხება როგორც შიდასახელმწიფოებრივ ასევე, საერთაშორისო მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას. ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა საბაზისო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება. ძირითად ავტომაგისტრალებზე უსაფრთხო და მაღალი გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გზების მახასიათებლების დაახლოება საერთაშორისო მოთხოვნებთან; ყოველწლიურად ჩასატარებელია გზების ინფრასტრუქტურის მოვლის, რეაბილიტაციის, განვითარებისა და მშენებლობის სამუშაოები. აუცილებელია ყველა რაიონულ ცენტრთან მისასვლელი საავტომობილო გზების, ძირითად საკურორტო, ისტორიულ

და კულტურულ ძეგლებთან მიმოსასვლელი გზების რეაბილიტაცია; მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი გზების სრული რეაბილიტაცია; ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის დინამიკის მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზი; კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია. კონომიკური სტრატეგიის წარმატებით განხორციელების მიზნით საჭირო საგზაო ინფრასტრუქტურული ღონისძიებები უნდა მოიცავდეს საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და ადგილობრივი გზების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს, აგრეთვე გზების დიზაინის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. აუცილებელია დაზიანებული და შემდგომ რეაბილიტირებული მონაკვეთების მონიტორინგი და სახიდე გადასასვლელების და სხვა ხელოვნური ნაგებობების აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოების უწყვეტად გაგრძელება. უსაფრთხოების ამაღლების მიზნით საჭიროა ავტომაგისტრალების და გზების გასწვრივ განლაგებულ კომერციულ და სერვისულ ობიექტებთან მისასვლელი მეორეხარისხოვანი გზების შესაბამისობაში მოყვანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია. http://www.uta.gov.ge/saqart_shesaxeb.html
2. ჟ. “Environmeal Technologies”. EE-60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ადაიანი-იგოეთის მონაკვეთის რეაბილიტაცია. გარემოზე ზემოქმედების შეფასება. თბ., იანვარი, 2007.

Tamar Matsiashvili

Alexander Ninua

IMPORTANCE OF MOTOR ROAD TRANSPORT FOR STATE AND WAYS OF ITS DEVELOPMENT

Annotation

Georgia as a subject of international law, sovereign and independent state, due to its historical and geopolitical location still have an effective opportunity to actively engage in the modern world economic space. Due to current relations, the scale and diversity of the potential possibilities, national identity and maximal keeping of self-affirmation, it can make even the slightest contribution to the world states transport and economic relations, in the regulation of currently carrying out complex processes and reach the benefits to take advantage of the significant part, grounded on inclusive, or general economic growth.

ანი მეგრელიშვილი

დეფლაციური პროცესების მაკროეკონომიკური ანალიზი საქართველოში

ბოლო პერიოდში მსოფლიოს ნებისმიერ ეკონომიკურ ჟურნალსა თუ გაზეთში დიდი ყურადღებაა გამახვილებული ერთ-ერთ მნიშვნელოვან და არცთუ ისე იშვიათ მოვლენაზე, რომელიც დეფლაციის სახელითაა ცნობილი. დეფლაცია, იგივე ნეგატიური ინფლაცია, პროდუქტებისა და მომსახურების ფასების შემცირების გრძელვადიან პროცესს გულისხმობს. დეფლაცია და არა ინფლაცია არის თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის შეშფოთების მიზეზი. ამის საფუძველს კი იძლევა რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტები.

საქართველოში დეფლაცია, როგორც მიმდინარე ეკონომიკური პრობლემა, ქვეყ ნის დღის წესრიგში ჯერ კიდევ 2011 წლის ივნისის თვეში დადგა, ამ პერიოდში 4-%-იანი დეფლაცია აღინიშნა. აქ თავისთავად იგულისხმება, რომ მანამდე არსებული ინფლაცია, ანუ ფასების ზრდის ტენდენცია, ფასების შემცირებით შეიცვალა. ამავე წლის ივნისის თვეში ინფლაციის შემცირებას პროგნოზირებდა საერთაშორისო სავალუტოფონდიც.

დეფლაციური პროცესები კვლავ ტენდენციურად რჩება 2012 წელსაც. საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა ეკონომიკური მდგომარეობა სავალალოა. 2012 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო სტატისტიკურმა სააგენტომ დააფიქსირა ფასების მნიშვნელოვანი დაწევა ერთი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით. სურსათსა და უალკოჰოლო საქონელზე 2011 წლის ივნისთან შედარებით, ფასები დაეცა 4.3%-ით, ხოლო ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე კი 5.6%-ით. პირველადი მოხმარების საქონელზე ფასების დაცემა მოასწავებს მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკური გაჭირვების გაღრმავებას.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები 2012 წელს შემდეგნაირად გამოიყურება: ივნისის თვეში დეფლაცია (ნეგატიური ინფლაცია) შეიმჩნეოდა აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის (0.2%), კავშირგაბმულობის (1.9%), საოჯახო ნივთების (0.6%), დასვენების (1.7%) და სხვა საქონლისა და მომსახურების (0.2%) სფეროებში. ფასები გაიზარდა მხოლოდ ტრანსპორტის (მნიშვნელოვნად, 11%–ით), ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს (1%), საცხოვრებელისა და მისი მომსახურების (1.2%), განათლების (0.8%) და სასტუმრო-რესტორნის (5.1%) სფეროებში. საბოლოო ჯამში, თვის ფასების ზრდა ნეგატიურია და დეფლაციამ შეადგინა 0.2%.

არც 2013 წელს დაუკარგავს აქტუალობა დეფლაციურ პრობ-ლემას და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყ-ნებული მონაცემები კვალავ უარყოფით ინფლაციაზე მეტყველებს.

ოფიციალური სტატისტიკა გვამცნობს, რომ საქართველოში 2013 წლის აპრილში, წინა თვესთან 2012 წლის მონაცემს თუ შევადარებთ, ინფლაციის მაჩვენებელი 1,7%-ს შეადგენს. იმავე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მიუხედავად წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო მოლოდინებისა, ფასების კლების ტენდენცია საყოფაცხოვრებო ტიპის გადასახადებს არ შეხებია, პირიქითაც კი, წინა თვის მაჩვენებლებთან შედარებით შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი ამ ჯგუფში ფასები გაიზარდა 9,2%-ით. შესაბამისად, ფასების მატება დაფიქსირდა საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების ქვეჯგუფზე (31,4 %).

2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარება კი გვაჩვენებს, რომ ამჯერად გაძვირებული პროდუქტის ნუსხაში ჯანმრთელობის დაცვაა ამ ჯგუფში ფასები გაიზარდა 3,9%-ით. ფასები გაიზარდა ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზეც (13,4%). სამაგიეროდ, გაიაფებულ პროდუქციას შორის, მაგალითად, აპრილისა და თებერვლის მონაცემების შედარებით, შემდეგი სურათია: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები – ამ ჯგუფში ფასები შემცირდა 1,3%-ით. აღნიშნულ ჯგუფში ფასები შემცირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (7,8%), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1,6%). ამასთან, ფასები გაიზარდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე (4,7 %). ტრანსპორტი მოცემულ ჯგუფში ფასები შემცირდა 0,6 %-ით. ფასების კლება დაფიქსირდა საწვავ-საპოხმასალებზე (1,4 %).
უკანასკნელი 3 წლის ოფიციალური ინფლაციური მონაცემები წარმოდგენილია დიაგრამაზე:



ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოსათვის დეფლაციური პრობლემის აქტუალობა უდავო რეალობაა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დეფლაციური სპირალის სერიოზული საფრთხე არსებობს საქართველოს ეკონომიკაში (თუმცაღა, 2014 წლის მონაცემებით საქართველოში წლიური ინფლაციის დონის დეფლაციური მაჩვენებელი აღარ აღინიშნება),

წარმოიშობა კითხვა: რა შეიძლება იყოს დეფლაციური პროცესების გამომწვევი ძირითადი მიზეზი? ზოგადად, დეფლაციური პროცესების მიზეზები შეიძლება მრავალგვარი იყოს და, შესაბამისად, მათი ცალსახად დასახელება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

როგორც წესი, ეკონომისტთა უმრავლესობა პირველ რიგში მოხმარების შემცირებას განიხილავს დეფლაციის გამომწვევ ძირითად მიზეზად.

დეფლაციის ალტერნატიული ახსნა გულისხმობს საქონელზე ფასების დაცემას მიმწოდებელთა შორის კონკურენციის გამო.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი საქართველოში დეფლაციური პროცესების გამომწვევ მთავარ მიზეზად მოთხოვნის შემცირებას ასახელებს. მეორე მხრივ, მოთხოვნის კლება, ჩვეულებრივ, ნელი ეკონომიკური ზრდის და მზარდი უმუშევრობის შედეგია. საქართველოს შემთხვევაში მოთხოვნაში ეს ვარდნა იმ პოლიტიკურ გაურკვევლობას მოჰყვა, რომელიც ქვეყანაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან იყო დაკავშირებული. ეს გაურკვევლობა 2013 წელსაც გაგრძელდა საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში.

ერთია ვიმსჯელოთ დეფლაციის გამომწვევ მიზეზებზე და მეორე, მის რეალურ შედეგებზე, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც ქვეყნის მთავრობის, ასევე მოსახლეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთში ეკონომისტები ინფლაციაზე მეტად დეფლაციას უფრთხიან, ვინაიდან დეფლაციის სპირალიდან ქვეყნის გამოყვანა გაცილებით უფრო ძნელია, და, საბოლოო ჯამში, დეფლაციის სპირალი ეკონომიკურ დეპრესიას მოასწავებს.

უმნიშვნელოვანესია დეფლაციის გავლენა საბანკო დეპოზიტების საპროცენტი განაკვეთებზეც. ამ დროს ადამიანები აღარ ჩქარობენ ფულის მიტანას ბანკებში, ვინაიდან დეფლაცია წარმოშობს დეფლაციურ მოლოდინს, ის კი, თავის მხრივ, ამცირებს ნდობას როგორც ბანკების, ასევე სახელმწიფოს მიმართ. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ ფული ეკონომიკიდან თანდათანობით ქრება.

აქ მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი გვამცნობს, ეროვნული ბანკის აზრით, „ეკონომიკის მონეტიზაცია არ წარმოადგენს რამდენადმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს" და „მონეტიზაციის ზრდით ეკონომიკის ზრდის მიღწევა სრულიად არასწორია". ცხადია, ეროვნული ბანკის მიდგომა წინააღმდეგობში მოდის არატრადიციულ მონეტარულ პოლიტიკასთან, რომელიც მსოფლიოში ფართოდ მიღებულ და ადაპტირებულ მეთოდს წარმოადგენს. დღესდღეობით საქართველოს მონეტარიზაციის კოეფიციენტი კრიტიკულად დაბალია - 14.7%.

დეფლაციის დაძლევისა და ეკონომიკურ ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად პირველად, ყველაზე ეფექტიან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს რეფინანსირების სესხის ვადის გაზრდა 7 დღიდან ერთ წლამდე მაინც. იაფასიანი კრედიტორესურსი ბანკებს საშუალებას მისცემს უზრუნველყონ ეკონომიკის იაფი დაკრედიტების მოცულობა, რაც, თავის მხრივ, აამაღლებს ეკონომიკის მონეტიზაციის დონეს. რეფინანსირების სესხი უნდა გაიცეს მკაცრად განსაზღვრული პირობებით. კერძოდ, უნდა განისაზღვროს ეკონომიკაზე გაცემული კრედიტის ღირებულების ზედა ზღვარი. კრედიტის მიზნობრიობა უნდა იყოს მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება, კრედიტი გაიცეს არა ნაკლებ ერთი წლის ვადით და მხოლოდ ლარში.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფო ბანკის შექმნა, რომელიც მთავრობის მიერ მოზიდულ საინვესტიციო სახსრებს გაანაწილებს კრედიტების სახით როგორც სხვა ბანკებზე, ასევე ბიზნესსა და მოსახლეობაზე.

როგორც ვიცით, ინფლაციის დონის რეგულაცია ხდება მონეტარული პოლიტიკის საშუალებით, რომელსაც საქართველოს შემთხვევაში ეროვნული ბანკი ახორციელებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის ინფლაციის თარგეთირება. აღნიშნული რეჟიმი გულისხმობს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას. გრძელვადიან პერიოდში ფასების ცვლილების სასურველ დონედ საქართველოში განიხილება წლიური ინფლაცია 3%-ის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ინფლაციის მაღალი დონე, რაც პროდუქტიულობის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს უკავშირდება. განვითარების არსებულ ეტაპზე, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალო ვადიან პერიოდში, 2014 წლისათვის 6%-ს შეადგენს, 2015 წლისათვის კი 5 %-ს. დროთა განმავლობაში, ქვეყნის

ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, ეროვნული ბანკი ეტაპობრივად შეამცირებს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს 3%-მდე.

იმისათვის, რომ არ გაღრმავდეს სავალო დეფლაცია, აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება დეფლაციის დასაძლევად და ინფლაციის დადებითი მაჩვენებელის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი პერიოდულად ამცირებს რეფინანსირების განაკვეთს, ესპროცესი არ იძლევა სასურველ შედეგს. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ რეფინანსირების განაკვეთი განსაზღვრავს მხოლოდ იმ ფულის ფასს, რომელსაც კომერციული ბანკები იყენებენ არასაკრედიტო მიზნებისათვის შვიდი დღის განმავლობაში და რომელიც ვერ ხვდება ეკონომიკაში. სხვა, მის ხელთ არსებულ ფინანსურ ბერკეტებს ეროვნული ბანკი ჯერ-ჯერობით არ, ან ვერ იყენებს.

დეფლაციის დასაძლევად სასურველია, ეროვნულმა ბანკმა გაითვალისწინოს ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი გამოცდილება. დეფლაციის განვითარების თავიდან ასაცილებლად და ინფლაციის მაჩვენებელის გასაზრდელად აშშ მთავრობამ მიმართა ე.წ. **"რაოდენობრივი შერბილების"** ***(Quantitativeeasing)*** პოლიტიკას. ეს არის არატრადიციული მონეტარული პოლიტიკის სახეობა, რომელსაც გამოიყენებენ ტრადიციული მონეტარული პოლიტიკის არაეფექტიანობის პირობებში. მისი არსი მდგომარეობს ცენტრალური ბანკის მიერ ფინანსური აქტივების შეძენას, ან უზრუნველყოფის სახით მიღებაში, ეკონომიკაში ფულის გარკვეული მოცულობით გაშვების მიზნით.

საქართველოში დეფლაციურ პროცესებზე მსჯელობისას მიმდინარე მოვლენების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდში დეფლაციური პროცესების ტენდენციური სახე ნამდვილად საყურადღებო და შემაშფოთებელია. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს აღარ შეინიშნება დეფლაციური მაჩვენებლები, დეფლაციის ციკლური ბუნებიდან გამომდინარე, პრობლემა სრულყოფილად გადაჭრილად არ შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დეფლაციის სპირალიდან ქვეყნის გამოყვანა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს დეფლაციურ პრობლემას და ატარებდეს მის საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ბ. ახობაძე. ინფლაცია, დეფლაცია და მომავალი.
http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-

2. ი. მესხია. მონეტარული პოლიტიკის ახალი ორიენტირი - ინფლაციური თარგეთირება. ჟურ. ბიზნესი და კანონმდებლობა. N 7-8. 2008.

3. 2013 წლის ეკონომიკური მიმოხილვა. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.

4.საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

Ani Megrelishvili

DEFLATIONARY PROCESSES OF MACROECONOMIC ANALYSISIN GEORGIA

Annotation

The article deals with the economic problems, such as deflation. Deflation, the negative inflation is a reduction of the price of goods and services in the long process. Deflation, not inflation, is a cause for concern in the modern world economy. The foundation provides a number of important economic factors that will automatically cause a deflationary process.

It is proved that deflation and inflation events are real in the last three years in Georgia. Laying causes of deflationary processes in Georgia, from which it is considered to be substantially reduced usage. The Economic Policy Research Center considers that the main cause of deflation process is the reduction in demand. On the other hand, the reduction of demand, usually, is a result of slow economic growth and rising unemployment.

დავით მესხი

ელექტრონული კომუნიკაციების სფერო და მისი რეგულირების ინსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები საქართველოში

ჩვენ ვცხოვრობთ განვითარებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაში. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რადიოს აღმოჩენას სულ რაღაც ასიოდე წელი გვაშორებს. ხოლო პირველი მიმმართველი სისტემა – საკაბელო ხაზი, ასევე მხოლოდ 150 წლის წინ იქნა პირველად გამოყენებული. სახეზეა ინტერნეტის მსოფლიო აბლაბუდა, კომპიუტერული ქსელები, ოთხი თაობის მობილური სისტემები. არსებობს მობილური ინტერნეტი, ვიდეოკავშირი, მონაცემების გადაცემის ქსელები, ფაქსი, ტელექსი, WI-FI, WI-MAX და ა.შ.

ახალი ინფორმაციების გაცვლას ადამიანები ყველა ეპოქაში, თვით ისტორიულ ეპოქამდეც ცდილობდნენ. ეს შეიძლება განხორციელებულიყო ხმით, ჟესტებით, მიმიკით. თუმცა, ადამიანებს ყვირილით თუ სხვა ხმოვანი საშუალებებით ერთმანეთისათვის შეიძლება მიეწოდებინათ ინფორმაცია მხოლოდ რამდენიმე ასეულ მეტრზე. ეს მანძილი რომ გაეზარდათ საჭირო გახდა გამოეგონებინათ მრავალი ტექნიკური საშუალება. თუმცა ერთია მანძილი და მეორეა გადაცემული ინფორმაციის ფორმა, მოცულობა, სიჩქარე.

ადამიანთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად ხმოვანი სიგნალიზაცია თანდათან შეცვალა უფრო თანამედროვე, შუქის სიგნალიზაციამ. როგორც ცნობილია, შუქი ვრცელდება მილიონჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ხმა (ხმის გავრცელების სიჩქარე 0 გრადუსი ტემპერატურის და ნორმალური ატმოსფერული წნევის პირობებში შეადგენს 331 მ/წმ-ში, ხოლო შუქის – თითქმის 300000 კმ/წმ-ში).

ისტორიულად, შუქის სიგნალიზაციის პირველი საშუალება კოცონები იყო. შუქის სიგნალიზაცია არსებობდა ადამიანთა მოდგმის მთელი ისტორიის მანძილზე. ამით სარგებლობდნენ თავიანთი ლაშქრობების დროს კართაგენის მხედართმთავარი ჰანიბალი (მე-3 – მე-2 საუკუნე ჩვ. წ. აღ.) და რომის მხედართმთავარი გაი იულიუს ცეზარი (პირველი საუკუნე ჩვ. წ. აღ). ასეთი მაგალითები მსოფლიოს ისტორიაში მრავალია.

მსოფლიოს ისტორიაში არსებობდა ინფორმაციის მიწვდენის მრავალი სახე, რომელიც უზარმაზარ იმპერიებს მართვაში ეხმარებოდა: საკმარისია გავიხსენოთ ალექსანდრე მაკედონელის იმპერია, რომელიც მოიცავდა მთელ მაშინდელ მსოფლიოს ინდოეთისა და ეგვიპტის ჩათვლით, ან მონგოლთა იმპერია ჩინგიზ ხანის დროს, რომელიც გადაჭიმული იყო ჩინეთიდან ესპანეთამდე, ინდოეთის, ჩინეთისა და შუა აზიის ჩათვლით. კარგი და საიმედო კავშირის, შესაბამისი ბრძანებების მიუწოდებლად ეს იმპერიები ნამდვილად ვერ იარსებებდნენ.

ამრიგად, კავშირგაბმულობა არის სახელმწიფოს, ორგანიზაციის, საწარმოო პროცესის მართვის, სახელმწიფოებსა და უბრალოდ ადამიანებს შორის ინფორმაციის მიწვდენის შეუცვლელი საშუალება, რომლის როლი და დანიშნულება დღითი დღე იზრდება.

ინფორმაციის რაოდენობრივ ზრდას ექსპონენციალური ხასიათი აქვს. ადამიანთა მოღვაწეობის, ტექნიკური რევოლუციის მონაპოვრები სახეზეა: ინტერნეტი, მობილური ტელეფონი, თანამგზავრული ტელევიზია და ა.შ. ახალი აღმოჩენების ცხოვრებაში დანერგვის ტემპებიც მაღალია: ტელეფონის ლაბორატორიული გამოკვლევიდან მის მასიურ წარმოებამდე მე-19 – საუკუნის 80-იან წლებში 56 წელი დასჭირდა; ელექტროძრავის დანერგვას – 65 წელი,

მე-19 მე-20 საუკუნეების მიჯნაზე რადიოს განვითარებას დასჭირდა 36 წელი; ელექტროვაკუუმური მილაკის დანერგვას – 33 წელი; რენტგენის დანერგვას – 18 წელი; 1920-დან 1940 წლებამდე ტელევიზორის დანერგვას მოუნდა 15 წელი; ოდნავ მოგვიანებით 15 წელში დაინერგა რადარი; ატომური რეაქტორის გაშვებას დასჭირდა 10 წელი; ატომური ბომბის გამოცდას – 7 წელი; ტრანზისტორის დანერგვას – 5 წელი; მზის ბატარეების დანერგვას – 2 წელი. მობილური ტელეფონის დანერგვას – 1 წელი. სწრაფია არა მარტო ახალი აღმოჩენების დანერგვის, არამედ მათი გავრცელების ტემპები. თუ ტელეფონის აბონენტთა რაოდენობა წლიურად მხოლოდ 3%-ით მატულობს, ინტერნეტის აბონენტთა ზრდის ტემპი შთამბეჭდავია და თვეში 6%-ს აჭარბებს...

რაც შეეხება მობილურ ტელეკომუნიკაციებს და მათ განვითარებას საქართველოში, აუცილებელია ითქვას, რომ პირველი მობილური ოპერატორი "მეგაკომი" საქართველოში ამოქმედდა 1996 წელს. ეს იყო მობილური კავშირგაბმულობის პირველი თაობის ამერიკულ "AMPS" ტექნოლოგიაზე აგებული სისტემა. 1997 წლის მარტში ამოქმედდა კომპანია "ჯეოსელის" მობილური კავშირგაბმულობის ქსელი (მეორე თაობის GSM-900 ტექნოლოგია, მესამე თაობის ტექნოლოგია).

1997 წლის სექტემბერში ამოქმედდა კომპანია "მაგთიკომის" მობილური კავშირგაბმულობის ქსელი (მეორე თაობის GSM-900 ტექნოლოგია და მესამე თაობის ტექნოლოგიები). 1999 წლის ოქტომბერში ამოქმედდა კომპანია "იბერიატელის" მობილური კავშირგაბმულობის ქსელი (პირველი თაობის NMT-450 ტექნოლოგია).

2006 წლის შემდეგ ამოქმედდა კომპანია "ჯეოსელის" და კომპანია "მაგთიკომის" ქსელები 1800 მგჰც სიხშირეზე. 2007 წელს ამოქმედდა კომპანია "ბილაინის" ქსელი (მეორე თაობის GSM-1800 ტექნოლოგია). მესამე თაობის (G2, 5-G3) CDMA ტექნოლოგიაზე მუშაობს კომპანია "იბერიატელი" (ამჟამად კომპანია ტელენეტი").

ბოლო ათწლეულში მიმდინარეობს მობილური კავშირის აბონენტების განუხრელი ზრდა. 1996 წელს აშშ-ში მონაცემების გადაცემის ტრაფიკმა სატელეფონო ტრაფიკს გადააჭარბა. იგივე მოხდა ევროპის სახელმწიფოებში 1999 წელს. საქართველოში მობილური ქსელის აბონენტების რიცხვმა ფიქსირებული ქსელის აბონენტების რიცხვს 2003 წელს გაუსწრო. ამჟამად მობილური ქსელის აბონენტების რიცხვი საქართველოში 2 მილიონზე მეტია (მათი უმეტესობა ორ კომპანიაზე – "მაგთიკომზე" და "ჯეოსელზე" მოდის) და 3-ჯერ მეტია, ვიდრე ფიქსირებული ქსელების აბონენტთა რაოდენობა.

მობილურმა კავშირმა გაიარა თავისი განვითარების სამი საფეხური: 1G, 2G, 2,5G, 3G, 4G ტექნოლოგიები. ამჟამად მობილური კავშირის აბონენტთა რაოდენობა მსოფლიოში 2 მილიარდ აბონენტს აჭარბებს. როგორია პროგნოზი? რა იქნება შემდეგ? გამოჩნდა მე-3 თაობის მობილური სისტემის "მკვლელი" მე-4 თაობის სისტემები, რომლებიც აგებულია WI-MAX ტექნოლოგიაზე.

WI-MAX ფორუმში უკვე მონაწილეობს 519-ზე მეტი კომპანია. მიღებულია ამ სისტემის სტანდარტი. 4G სისტემით დამყარებულია გადაცემის სიჩქარის რეკორდი: შემომავალი ტრაფიკი – 100 მბტ/წმ, გამომავალი ტრაფიკი 20 მბტ/წმ. თუმცა, 4G ქსელების შესაძლებლობები ამით არ ამოიწურება. კომპანია Samsung-მა შეძლო მიეღწია 1 გბტ/წმ სიჩქარისთვის. არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აზიის ქვეყნები ერთობლივად ამუშავებენ მე-4 თაობის ქსელებს. ჩინეთში ტესტირებულია მსოფლიოში პირველი 4G ქსელი. აზიის "ვეშაპებმა" (იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა) მოილაპარაკეს თანამშრომლობის შესახებ საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში.

განვითარების მასშტაბების გათვალისწინებით და მათი კომუნიკაციების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ სფეროს მუდმივი მონიტორინგი (როგორც ბუნებრივი მონოპოლიების სეგმენტის) და, საჭიროების შემთხვევაში, რეგულირების შესაბამისი ბერკეტების გამოყენება. ამ მიზნით საქართველოში 2000 წლიდან ფუნქციონირებს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, დებულების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუდმივმოქმედ დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს. კომისია ვალდებულია, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინოს ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ. იგი არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება. კომისია სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, მისი შემოსავლის წყარო ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირების და ლიცენზიის მფლობელი ორგანიზაციების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურია.

ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნის წინაპირობა გახდა პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნამ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის სრულიად ახლებური ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები დაადგინა. კანონის მიხედვით გამიჯნულია მთავრობის,

როგორც დარგში პოლიტიკის დამდგენი ორგანოს და კომისიის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები.

კომისიის ძირითად მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობა;
- თანასწორუფლებიანი და სამართლებრივი კონკურენტული გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვა და ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა.

კომისია უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი და აუქციონი რადიომაუწყებლობის, ტელემაუწყებლობის, ნუმერაციის და სიხშირული რესურსებით სარგებლობის გამოყენების ლიცენზიის მისაღებად. ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია და ლიცენზიების გაცემა, შეჩერება, გაუქმება და ვადის გაგრძელება მხოლოდ კომისიის პრეროგატივაა. კომისია ასევე ვალდებულია, განახორციელოს მონიტორინგი ავტორიზებული პირების საქმიანობაზე, გაცემული ლიცენზიების პირობების შესრულებაზე და აწარმოოს ავტორიზებულ პირთა და ლიცენზიანტების უწყებრივი კომისიის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა; ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირებისთვის განიხილოს ლიცენზიანტებს შორის წარმოქმნილი დავები, ასევე დავები მათსა და მომხმარებლებს შორის.

2005 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო იქნა კანონი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას". კანონის აღნიშნული ნაწილი ასახავს საყოველთაოდ აღიარებული საკონკურენციო ნორმების დაცვას. აპრობირებულ და ეფექტურ მექანიზმს სრულად შეესაბამება ევროკავშირში ადაპტირებული კონკურენციული კანონმდებლობა. კერძოდ, მოცემულია მომსახურების ბაზრის ანალიზისა და კვლევის პრინციპები და ეტაპები, ასევე დებულებები მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკურ აგენტთა განსაზღვრისა და ამ უკანასკნელთა მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე. კანონი ადგენს შერწყმისა და წილის შეძენის გამოკვლევის პროცედურას.

ცნობილია, რომ "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონით (მიღებულია 13.09.2002) დადგენილია შესაბამის სფეროებში მარეგულირებელი

ორგანოების უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის კონკურენციის დაცვისა და განვითარების მიმართულებით. საქმე ისაა, რომ ინფრასტრუქტურული დარგები, სადაც კონკურენცია შეზღუდულია (ბუნებრივად) და სადაც კონკურენციის დამკვიდრება ძალისმიერი ან სხვა მეთოდებით აუცილებლად იწვევს უკუეფექტს რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის თვალსაზრისით, სახელმწიფოს მხრიდან (კომისიების მეშვეობით) ექვემდებარება მუდმივ კონტროლსა და რეგულირებას.

კომისიის ძირითად ფუნქციებს შორის არის საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობისა და მომსახურების მიწოდების, აგრეთვე ტელერადიოსამაუწყებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრა და ამ პრიორიტეტებთან ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის შესაბამისობის დადგენა. მოქმედი კონონმდებლობის, მათ შორის: “მაუწყებლობის შესახებ”, “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ”, “მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ”, “რეკლამის შესახებ” და “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონების შესრულების და სალიცენზიო პირობების დაცვის მიზნით კომისია აწარმოებს ტელერადიომაუწყებლობის მონიტორინგს.

კომისიის კომპეტენციაში შედის რადიოსიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის საშუალებების სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია, მეტროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა.

კომისია არეგულირებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების ურთიერთჩართვის ტექნიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ საკითხებს, რომლის ძირითადი მიზანი მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ნებისმიერი ოპერატორის მომსახურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს განვითარების, მარტვის და რეგულირების ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სისტემებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა წარმოადგენს. ფორმირებიდან განვლილ პერიოდში კომისია აქტიურად იყო ჩაბმული მსოფლიო ბანკის, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ევროპის

საბჭოს (CoE) მიერ სხვადასხვა დროს ორგანიზებულ საკონსულტაციო თუ დარგის განვითარების ხელშემწყობ პროექტებში.

2001 წლიდან კომისია ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) ასოცირებული წევრია. 2007 წლიდან ინსტიტუტის საპროცედურო წესებში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველო ETSI-ის სრულუფლებიანი წევრი გახდა. 2005 წლის თებერვალში საქართველო მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (ICANN GAC) მე-100 სამთავრობო წევრი გახდა. ქვეყნის ინტერესებს ზემოაღნიშნულ კომიტეტში სწორედ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს.

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას საერთაშორისო ასპარეზზე თანამშრომლობის მრავალმხრივი გამოცდილება აქვს. 2000 წლის ოქტომბერში კომისიის ინსტიტუციური განვითარების ხელშემწყობი პროექტი დაიწყო. იგი ითვალისწინებდა ამერიკელი ექსპერტების დახმარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა მართვისა და რეგულირების იურიდიული, ტექნიკური და ეკონომიკური ასპექტები.

კომისიამ მიიღო და გაითვალისწინა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს რჩევები სიხშირული სპექტრის მართვის, ორგანიზაციული მართვის, ურთიერთჩართვის, ტარიფებისა და რეგულირების სხვა სფეროებში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა დამთავრდა, კომისია განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან. აგრეთვე, ევროპის ქვეყნების დიდი გამოცდილების გათვალისწინებით, ევროკომისიამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სატელეკომუნიკაციო სფეროს მარეგულირებელ ორგანოს. განისაზღვრა ეფექტიანი მარეგულირებელი მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი კომპონენტები და კავშირგაბმულობის სფეროში თანამედროვე მარეგულირებელი ბაზის ჩამოყალიბების მიზნით, 2000 წლის ივლისში დაიწყო "საქართველოს კავშირგაბმულობის რეგულირების განვითარების პროგრამა". იგი ითვალისწინებდა სატელეკომუნიკაციო, ეკონომიკურ და იურიდიულ სფეროებში საექსპერტო დახმარებასა და შესაბამისი სემინარების ჩატარებას. საექსპერტო თემატიკა განისაზღვრა ხუთი ძირითადი თემით: ლიცენზირება, მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობა, ურთიერთჩართვა, სატარიფო პოლიტიკა და უნივერსალური მომსახურება.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სფეროში მარეგულირებელი რეჟიმის ჩამოყალიბებას ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და სერიოზულ დახმარებას უწევს მსოფლიო ბანკი. მსოფლიო ბანკის სატელეკომუნიკაციო გუნდი დაარსების დღიდან აქტიურ დახმარებას უწევდა საქართველოს სატელეკომუნიკაციო სფეროში მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მისი რეკომენდაციებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ". ასევე, შემუშავდა ორეტაპიანი პროექტი, რომელიც სრულად ასახავს დარგის გარდაქმნისა და სრულყოფის ძირითად ასპექტებს.

გარდა ამისა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა განვითარების სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, მსოფლიო ბანკისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით, 2004 წლის იანვარში გაეროსა და კომისიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც გაერომ შეიმუშავა საქართველოსათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-დოკუმენტის პროექტი. არსებული დოკუმენტი განსაზღვრავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა როლს, მიზნებსა და ამოცანებს, სტრატეგიას, პოლიტიკას, ამ ტექნოლოგიათა მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებს, აგრეთვე იმ პრიორიტეტულ მიზნებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა, ფუნქციები და მიზნები ორი კანონით განისაზღვრება – საქართველოს კანონით "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" და საქართველოს კანონით "მაუწყებლობის შესახებ".

კომუნიკაციების სფეროში შედიან ის სუბიექტები, რომელთა საქმიანობაც ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით რეგულირდება. ანუ საკომუნიკაციო კომპანიები, რომლებიც სხვადასხვა სერვისებისა და პროდუქტების მიმწოდებლები არიან საქართველოს ბაზარზე და ამისთვის შეზღუდულ სიხშირულ რესურსს იყენებენ. ესენია – მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები, ფიქსირებული კავშირგაბმულობის სატელეფონო კომპანიები, ინტერნეტსერვისების მიმწოდებლები და ა.შ.

ამიტომ, ამ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკურენციის ხელშეწყობისა და ბაზრის რეგულირების შესაბამისი მექანიზმის ამოქმედება, რათა კონკურენტული გარემო შეიქმნას და მან უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ტექნოლოგიური განვითარება და მეორეს მხრივ, ადეკვატური საფასო პოლიტიკა. ანუ კონკურენტული გარემო შეიქმნას ისე, რომ საფასო პოლიტიკა ბაზრისთვის მისაღები

და ადეკვატური იყოს. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მონოპოლისტური და ოლიგოპოლიური გაერთიანებები არ შეიქმნას.

ამ მიზნით კომისია სხვადასხვა, კანონით განსაზღვრულ, მეთოდებსა და ინსტრუმენტებს იყენებს. კერძოდ, კონკრეტულ ბაზარზე ორ მეწარმე სუბიექტს შორის კონკრეტული დავის შემთხვევაში შესაძლებელია მათი საჩივარი განიხილოს და კომისიამ მისი გადაწყვეტა მოლაპარაკების გზით შეძლოს. ამასთან, თუ ბაზარზე კონკურენტული პირობები ირღვევა და მცირე კომპანიებს დიდი კომპანიები გარკვეულად ზღუდავენ, საბითუმო ბაზრის სეგმენტში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზედაზღვრული ტარიფების მექანიზმი. მაგალითად, დღეს, როცა ერთი ქსელის ოპერატორი ზარს მეორე ქსელის ოპერატორთან ახორციელებს, ზედაზღვრული ტარიფი მუშაობს. თუ ადრე ეს 7 თეთრი იყო, 1 იანვრიდან ეს სამნახევარი თეთრი იქნება, ანუ, მაგალითად, "ჯეოსელიდან" "მაგთიზე" დარეკვისას "მაგთის" არ შეუძლია ჯეოსელს ამ ზარის დასრულებისათვის სამნახევარ თეთრზე მეტი მოსთხოვოს. რა თქმა უნდა, ეს ტარიფი დგინდება მომსახურებაზე გაწეული რეალური ხარჯის საფუძველზე.

საბოლოო ანგარიშით, ამგვარი რეგულირება კომპანიებს ჯანსაღი კონკურენციის შესაძლებლობას აძლევს და, მეორე მხრივ, ხდება მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება, რადგან მომსახურების საფასური უახლოვდება ზღვრულ დანახარჯებს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია მეოთხე თაობის, ანუ 4G ტექნოლოგიის დანერგვა. პრაქტიკულად, 2 – 3 წლის განმავლობაში საქართველო მთლიანად იქნება მოცული მობილური ფართოზოლიანი მეოთხე თაობის ინტერნეტით.

ასევე, მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე, რომელიც ოპტიკურბოჭკოვანი გზით ინტერნეტის გავრცელების გაზრდას გულისხმობს. ამ პროექტის მიხედვით, უახლოესი 3 – 4 წლის განმავლობაში არა მხოლოდ მობილური, არამედ სადენიანი ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტითაც იგეგმება მთელი საქართველოს ათვისება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიაშვილი შ. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში. თბ., "ინოვაცია", 2009.

2. ფეტელავა ს. გოგიაშვილი შ. ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური საკითხები). თბ., "ლოი", 2012.

3. საქართველოს კანონი “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”.
4. საქართველოს კანონი “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ”.
5. საქართველი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის წლიური ანგარიში.
6. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5704
7. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3200
8. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3051

David Meskhi

INSTITUTIONAL AND LEGAL ASPECTS OF ELECTRONIC COMMUNICATIONS AND ITS REGULATION IN GEORGIA

Annotation

The paperwork analyzes the communications, including the essence of electronic communications and the value in country's social-economic development of the modern stage. Substantiates the need for regulation of the communications sphere and the basic laws of the provisions and articles upon which the Communications Regulatory Commission carries out monitoring and supervision, if necessary - the appropriate regulatory mechanism.

ვანო ცერცვაძე

ნარკოტიკები, აბრეშუმის გზა და ბიტკოინები

ნარკოტიკების მიმოქცევა, ისევე, როგორც ნებისმიერი საქონელისა, ეკონომიკისა და ბაზრის პრინციპებით იმართება. გარდა ჩვეულებრივი მოთხოვნა-მიწოდებისა, რომელიც განსაზღვრავს ნარკოტიკების შავ ბაზარზე არსებულ ფასსა და ნარკოტიკების რაოდენობას, ბაზარი ასევე მყისიერად რეაგირებს სტიმულებზე, მათ შორის აკრძალვებსა და სანქციებზე.

მართლაც, თუ გადავავლებთ თვალს სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ტენდენციებს საქართველოში, შემდეგი დინამიკა შეინიშნება: 90-იანი წლების დასაწყისიდან შავ ბაზარზე ჭარბობდა ოპიუმი – ე.წ. „შავი“. შავი ფართოდ იყო გავრცელებული ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც იზრდებოდა ველური ყაყაჩო. ოთხმოცდაათიანების ბოლოდან 2003-2004 წლებამდე თანდათანობით იზრდებოდა ჰეროინის ხვედრითი წილი. ეს წლები ერთგვარი აყვავების წლები იყო ნარკოტიკების ბაზრისთვის, ვინაიდან სამართალდამცავი სისტემის

არაოფიციალური კონტროლის პირობებში კუსტარული ნარკოტიკი შეცვალა უფრო სრულყოფილ პირობებში დამზადებული ჰეროინის მოხმარებამ.

2003 წელს, როდესაც ვარდების რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ სამართალდამცავი სისტემის რეფორმა მოახდინა, ჩაიკეტა ის გზები, რომელთა გავლითაც ჰეროინი ხვდებოდა ქართველ მომხმარებლებთან. იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკებზე მოთხოვნა საკმაოდ არაელასტიკურია გარე ფაქტორების ცვლილებასთან მიმართებაში, ანუ ნარკოტიკებზე მოთხოვნა უმნიშვნელოდ იცვლება ფასის ზრდის ან პოლიციური დევნის გამკაცრების პირობებში, ნარკოტიკების მომხმარებლები ამ პერიოდში საკონდიტრო დანიშნულების ყაყაჩოს თესლიდან დამზადებული კუსტარული ოპიოდის გამოყენებაზე გადავიდნენ.

ცოტა ხანში ხელისუფლებამ საერთოდ აკრძალა აღნიშნული პროდუქტი სავაჭრო ქსელში და ნარკოტიკების ბაზარზე არსებული მოთხოვნა 2004-2008 წლებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან არალეგალურად იმპორტირებული ბუპრენორფინის შემცველი სუბოტექსის აბებიდან მომზადებულმა საინიექციო ნარკოტიკმა შეცვალა.

ეს წლები განსაკუთრებული ანტინარკოტიკული კამპანიით ხასიათდება. 2006 წელს გამოცხადდა ნულოვანი ტოლერანტობა ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ და მასიური შემოწმებები დაიწყო ქუჩაში გონივრული ეჭვის საფუძველზე. არსებობს კვლევა, რომელმაც დაადგინა, რომ 2008 წელს ამ კამპანიის შედეგად დაკავებულ იქნა 45000 ადამიანი, რომელთაგან დაახლოებით 30000 ადამიანზე აღიძრა საქმე ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით.

ნარკოტიკების ბაზარზე სიტუაციის ამგვარმა მკვეთრმა გაუარესებამ კიდევ უფრო წინ წამოსწია ჩამნაცვლებლების მნიშვნელობა. მომხმარებლები დაუბრუნდნენ ნარკოტიკების კუსტარულად დამზადებას. 2008-2009 წლებში დაიწყო კუსტარულად დამზადებული სტიმულატორების გამოყენება, რომლებიც მზადდება ეფედრინის შემცველი ხველებისა და გაციების საწინააღმდეგო პრეპარატებისგან, რომელთა ყიდვაც ურეცეპტოდ შეიძლებოდა ქვეყნის აფთიაქებში. ამგვარი ნარკოტიკის უარგონული სახელი საქართველოში იყო ვინტი, რომელიც ხანგრძლივი მოქმედებით ხასიათდება. ამავე პერიოდში გავრცელდა ასევე კარგად დავიწყებული ძველი კუსტარული ნარკოტიკი „ჯეფი“, რომელიც ასევე იყენებს ეფედრინს და ნარკოტიკი მიიღება ე.წ. მარგანცოვკასთან ქიმიური რეაქციის გზით. ჯეფი ხანმოკლე მოქმედების სტიმულატორია. 2011 წლიდან აიკრძალა ეფედრინის შემცველი მედიკამენტები, სავაჭრო ქსელებიდან ამოიღეს კალიუმის პერმანგანიტი. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში იოლად

ხელმისაწვდომ კუსტარულ საინექციო საშუალებების სპექტრს შეემატა კოდეინის შემცველი ნარკოტიკი ე.წ. ნიანგი (კრაკადილი). 2014 წელს სააფთიაქო ნარკომანია მკვეთრად შეიზღუდა რეცეპ-ტურის გაცემის პროცედურების გამკაცრების შედეგად. შედეგად მივიღეთ ის, რომ ტრადიციული ნარკოტიკების მიწოდება სა-ქართველოს შავ ბაზარზე უკიდურესად შემცირდა, თუმცა მოთხოვნა კვლავ რჩებოდა. ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ კრაკადილის მიღებით შეიძლებოდა, რომელიც ადამიანის ორგანიზმის ძალზე დამანგრეველი ნარკოტიკია, გარდა იმისა, რომ იგი იწვევს სერიოზულ ნევროლოგიურ დარღვევებს და ადამიანის ორგანოების ატროფიას (რისთვისაც მას უწოდეს კიდეც კრაკადილი), მისი მოხმარებით გამოწვეული ზედოზირების რისკი საკმაოდ მაღალია;

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში (1) გაერთიანებულია სხვადასხვა კვლევის შედეგი 2009-2013 წლებში, საიდანაც ნათლად ჩანს ის ცვლილებები, რომელიც განიცადა ნარკოტიკების შავმა ბაზარმა. სამართალდამცავი სისტემის გააქტიურებამ სუბოტექსის განდევნა გამოიწვია ბაზრიდან, რაც ზღუდავდა მიწოდებას. მოთხოვნა ბაზარზე უცვლელი დარჩა და სუბოტექსის ჩანაცვლება მოხდა ვინტითა და ჯეფით. 2012 წელს აიკრძალა გარკვეული საყოფა-ცხოვრებო ქიმიური აგენტები და ეფედრინის შემცველი მედი-კამენტები – ეს ნაბიჯები კვლავ მიწოდების შემცირებისკენ იყო მიმართული. ნარკოტიკებზე მოთხოვნა არც ამჯერად შემცირდა და მოხდა კიდევ უფრო საშიში კუსტარული ნარკოტიკის – კრაკადილის შემოსვლა მიმოქცევაში. ერთადერთი, რაც წლების განმავლობაში დარჩა უცვლელი, არის ჰეროინი, მისი მოხმარების მაღალი წილი მოდის ბათუმზე, რაშიც დიდ როლს თამაშობს თურქეთთან სიახლოვე და თურქი ტურისტების სიმრავლე ბათუმში.

იგივე ტენდენცია, კერძოდ მიწოდების შემცირებისკენ მიმარ-თული პოლიტიკა, შეინიშნება ასევე არაინიექციური ნარკოტიკების ბაზარზე. მოყვანილი გრაფიკი (2) ასახავს, თუ როგორ ინაცვლებს მოთხოვნა სააფთიაქო ნარკომანიაზე (დეპრესანტებზე), მაშინ, როდე-საც ხდება ნარკოტიკული ანალგეტიკების და ჰალუცინოგენების მიწოდების შეზღუდვა.

აღნიშნული ანალიზი მოწმობს, რომ ნარკოტიკების ბაზარზე მიწოდების შეზღუდვის პოლიტიკა თითქმის ვერ ახდენს გავლენას ნარკოტიკების მოთხოვნაზე და წამალდამოკიდებული პირები ბაზაარ-ზე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით ახერხებენ ახლ პირობებთან ადაპტაციას ახალი ნარკოტიკული საშუალებების მოძიების გზით. ასეთი ტენდენცია მიუთითებს, რომ 2014 წლის შემოდგომიდან სააფთიაქო რეცეპტურის გამკაცრება ახალ პირობებს

შესთავაზებს ნარკოტიკების ბაზარს. შემცირდება სააფთიაქო ნარკომანია, შესაძლოა ასევე შემცირდეს მოხმარებული კრაკადილის რაოდენობაც, რაც გამოწვეული იქნება მომხმარებელთა ნაადრევი სიკვდილიანობით. სავარაუდოდ, უცვლელი დარჩება ჰეროინის მოხმარება, ასევე შესაძლოა ბაზარზე გამოჩნდეს 90-იან წლებში მივიწყებული „შავიც“.

თუმცა ეს ძალიან მარტივი პროგნოზია და შესაძლოა ნარკოტიკების მომწოდებლებმა და მომხმარებლებმა გაცილებით უფრო მოხერხებულ და საიმედო გზას მიაგნონ.

სამეცნიერო სტატიის ავტორის მიერ ჩატარდა თვისებრივი ინტერვიუ ქართველ მარიხუანის მომხმარებელთან იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება ამ ნივთიერების მიწოდება ბაზარზე. როგორც აღმოჩნდა, მიმწოდებელი და მომხმარებელი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით უკავშირდებიან და უთანხმებენ ერთმანეთს მარიხუანას ფასსა და ყიდვის ადგილს. სქემა დაახლოებით შემდეგია:

1. „ბარიგა“ წინასწარ, თბილისის ან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, შერჩეულ ადგილებში ასაწყობებს დაფასოებულ მარიხუანას.

2. „ბარიგა“ მიემგზავრება უცხოეთში, საიდანაც უკავშირდება თავის თანამზრახველს საქართველოში და სთხოვს მარიხუანას მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია მისი სკაიპის სახელისა და მარიხუანას ყიდვის შესაძლებლობის შესახებ.

3. მომხმარებელი უკავშირდება „ბარიგას“ სკაიპის მეშვეობით. „ბარიგა“ აძლევს ანგარიშის ნომერს, რომელზედაც მომხმარებელმა წინასწარ უნდა ჩარიცხოს ფული. ამისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფულადი გზავნილების სისტემაც და ბანკთაშორისი გადარიცხვებიც. სკაიპის დახმარებით მიმწოდებელი ინარჩუნებს ანონიმურობას, ხოლო საბანკო ანგარიშად გამოიყენება უცხოეთის ქვეყნის რეზიდენტი პირის მონაცემები.

4. თანხის ადრესატამდე მისვლის შემდეგ „ბარიგა“ ამცნობს მომხმარებელს, თუ რომელ ადგილას არის შენახული მარიხუანას დაფასოებული პაკეტი.

5. ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება მომხმარებლებს შორის და სკაიპის კონტაქტი მოქმედებს სანამ დასაწყობებული მარიხუანას მარაგი არ ამოიწურება.



გრაფიკი 1. ინიექციური ნარკოტიკები



გრაფიკი 2. არაინიექციური ნარკოტიკების მოხმარება

ასეთი სქემა მუშაობაზე ასევე მოწმობს სკაიპში არსებული ქართველი მომხმარებლების ე.წ. ნიკების სიმრავლე, რომლებშიც ფიგურირებს ტერმინი „მარიხუანა“ და „პლანი“.

საბანკო ტრანსფერები უცხოეთში განპირობებულია „ბარიგის“ მხრიდან საკუთარ უსაფრთხოებასა და ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან მიუწვდომლობაზე. როდესაც „ბარიგა“ ამოწურავს გასაყიდი მარიხუანას გარკვეულ რაოდენობას, ის იცვლის ადგილმდებარეობას და ფულადი გზავნილის მიმღებ პარტნიორს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ ნარკოტიკების მიმოქცევაში მსოფლიო მასშტაბით გაცილებით უფრო დახვეწილი ფორმები მიიღო, რომლებიც ქართული ბაზრისთვის ჯერ კიდევ უცხო, მაგრამ არცთუ ისე შორეული პერსპექტივაა.

გავიხსენოთ, რომ ქართველმა “ბარიგამ” პოლიციის დევნისგან თავის დაღწევის მიზნით მარიხუანას გაყიდვა სკაიპით დაიწყო და ფულადი გზავნილებისთვის მომხმარებლებს უცხოური ქვეყნების საბანკო ანგარიშებზე მოსთხოვა ფულის გადარიცხვა.

თუმცა უსაფრთხოება აქ პირობითი ცნებაა და დამოკიდებულია დროზე, რომლის განმავლობაშიც პოლიცია დაადგენს იმ რეზიდენტი პირის ვინაობას, რომლის ანგარიშზეც ირიცხებოდა თანხები და ბოლოს და ბოლოს გავა „ბარიგის“ კვალზე. ფული ამ შემთხვევაში არის ის კვალი, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს ნარკოტიკის გამსაღებლამდე. მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ისეთი ფული, რომელსაც ვერ აკონტროლებს ვერ ცერთი მთავრობა და ცენტრალური ბანკი?

ბიტკოინები. ელექტრონული ფული

ბიტკონის წარმოშობა უკავშირდება ინტერნეტს და ანონიმურ პირს – სატოში ნაკამოტოს. არავინ იცის ეს არის ერთი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი. თუმცა ფაქტია, რომ 2008 წელს სატოში ნაკამოტოსმა შექმნა ბიტკოინების პროგრამა და საფუძველი ჩაუყარა ახალ ელექტრონულ ვალუტას.

ელექტრონული ფულის შექმნის იდეა იყო, შექმნილიყო ოქროს მსგავსი ვალუტა ინტერნეტსივრცეში. ელექტრონულ ფულს უნდა აეღო ოქროს ის თვისება, რომლის გამოც ოქრო წარმოადგენს იდეალური გადახდის საშუალებას, ყველაზე ლიკვიდურ საქონელს.

ოქროს გაყალბება, გამრავლება, კოპირება შეუძლებელია. ოქროს დაგროვების ერთადერთი გზა მისი მოპოვებაა. ოქრო შეზღუდული რესურსია და მისი მოპოვებაც შრომატევადი პროცესია. სწორედ ამის გამო ოქრო ძვირად ფასობს. ბიტკოინების კონ-ცეფციასაც ოქროს მოპოვების მსგავსი პროცესი დაედო საფუძვლად. ბიტკოინების მოპოვებაც ასევე მოითხოვს ბევრ დროსა და რესურსს.

მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა არა ადამიანის შრომა, არამედ მძლავრი კომპიუტერები და ინტერნეტსივრცე.

ოქროს მსგავსად, ბიტკოინიც შეზღუდული რესურსია. ბიტ-კოინებს საფუძვლად უდევს ისეთი პროგრამული კოდი, რომელიც მისი მოპოვების სისწრაფეს დროში თანდათანობით ამცირებს და ნულისკენ მიისწრაფვის. სხვა სიტყვებით, დროის განმავლობაში მოპოვებული მონეტების რაოდენობა კლებულობს. სულ 2033 წლისთვის მოპოვებული იქნება 21 მილიონი მონეტა და ამით ბიტკოინების მარაგი ამოიწურება.

ბიტკოინის გაყალბების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ტრანზაქციების ისტორია. ყველა ტრანზაქცია გაერთიანებულია ჯაჭვში, ამ ტრანზაქციების შემოწმება ყველას შეუძლია და ამიტომ მისი გაყალბება შეუძლებელია, ვინაიდან ამისთვის თეორიულად საჭირო გახდება მთელი ტრანზაქციების გადაწერა.

იმისათვის რომ კარგად გავიგოთ ამ ახალი ვალუტის არსი, შეგვიძლია გავიხსენოთ კიდევ ერთი ანალოგი. ჯერ კიდევ მე-20-ე საუკუნის დასაწყისში წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე მცხოვრები იაპის ტომი, როდესაც საჭირო იყო დიდი ფულადი ხარჯის გაწევა, ფულად ერთეულად იყენებდა უშველებელი ქვის დისკებს (მაგალითად, ქალიშვილის გამზითვების დროს). იცვლებოდნენ მფლობელები, ქვა ერთი ოჯახიდან მეორის საკუთრებაში გადადიოდა, თუმცა იმის გამო, რომ ქვები ძალიან მძიმე იყო, მათ იშვიათად გადააადგილებდნენ (სახლში არ მიჰქონდა პატრონს). ყველა გარიგება საკუთრების შესახებ ზეპირი ისტორიის ნაწილი ხდებოდა და კუნძულის თითოეულმა მცხოვრებმა იცოდა, თუ ვინ იყო ამა თუ იმ ქვის პატრონი, რაც შეუძლებელს ხდიდა ერთი და იმავე ქვის ორჯერ დახარჯვას.

ტრანზაქციების შედეგად ბიტკოინები ასევე არ გადაად-გილდება. წარმოდგენისთვის ბიტკოინი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ჩანაწერი გიგანტური ბუღალტრული აღრიცხვის წიგნში, რომელიც შეიცავს მიმოქცევაში არსებული ყველა ბიტკოინის გარიგების ისტორიას.

ბიტკოინის შექმნის შემდეგ მისი გამომუშავების ერთადერთი საშუალება მისი მოპოვებაა (მაინინგ). მაინინგი წარმოადგენს კრიპტოგრაფიული ამოცანის ამოხსნას მკაცრად განსაზღვრული ალგორითმის მიხედვით. მას, ვინც ამ ამოცანას ამოხსნის, ეძლევა ჯილდო ერთი ბიტკოინბლოკის სახით, რომელიც 50 მონეტას შეიცავს. გარკვეული რაოდენობა ბლოკების მოპოვების შემდეგ ამოსახსნელი ამოცანის სირთულე იზრდება, რაც ანელებს ბიტკოინბლოკების მოპოვების სისწრაფეს.

თავდაპირველ ეტაპზე ალგორითმის ამოხსნას ჩვეულებრივი კომპიუტერების დახმარებით იოლად ართმევდნენ თავს, თუმცა, ბიტკოინების მოპოვებასთან ერთად, საჭირო ხდებოდა უფრო მძლავრი კომპიუტერების გამოყენება. ახალი ბლოკების შექმნას უკვე სჭირდებოდა საათები და შემდეგ დღეები. ბიტკოინის მომპოვებლებმა ამ მიზნით დაიწყეს ვიდეოდაფების გამოყენება. ბევრი მაღაროელი არ სჯერდებოდა ერთ დაფას და თავის კომპიუტერში დაფების ფერმას ქნიდა. თავიდან ვიდეო დაფაზე დახარჯული ფულის ამოღება 1-2 კვირაში ხდებოდა, თუმცა მალე ეს პროცესი არარენტაბელური გახდა დაფის მიერ გამოყენებული დიდძალი ელექტროენერგიის გამო.

ახლა ბიტკოინების მოპოვება პრაქტიკულად შეუძლებელია ჩვეულებრივი სამომხმარებლო კომპიუტერით და ამ მიზნისთვის ბაზარზე გამოჩნდა სპეციალური ტექნიკა, რომელთა ერთადერთი დანიშნულება ინტერნეტში ბიტკოინბლოკების გენერაციაა.

2014 წლის ივნისში საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა მრავალმილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა ბიტკოინების მომპოვებელი ტექნიკის მწარმოებელ BitFury-სთან, რომლის საფუძველზეც დაიწყო საქართველოში ბიტკოინების გენერაციის პროცესი. ჯერჯერობით ბიტკოინებით ვაჭრობას საქართველოში მასშტაბური სახე არ მიუღია, თუმცა ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული ბიტკოინებით ბოლო 5 თვის მანძილზე უკვე შედგა 100-ზე მეტი ტრანზაქცია.

ბიტკოინების გაცვლის უმაღლესი კურსი დოლართან მიმართებაში 2013 წელს დაფიქსირდა, როდესაც 1 ბიტკოინი 1200 დოლარი ღირდა. ბოლო თვეების განმავლობაში – 2014 წლის შემოდგომა, 2015 ზამთარი – ბიტკოინის ფასი 400 დოლარიდან 200 დოლარამდე დაეცა. მიუხედავად ამგვარი არასტაბილურობისა, ბიტკოინი, როგორც გადახდის საშუალება, აღიარებულია ისეთი ონლაინ მაღაზიების მიერ, როგორიცაა Amazon და Ebay. ბიტკოინით შეიძლება ანგარიშსწორება ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა Dell, Microsoft, AirBaltic, რომ აღარაფერი ვთქვათ ინტერნეტში არსებულ უამრავ შემოთავაზებაზე საყოფაცხოვრებო საქონლისა და მომსახურებების სფეროდან.

ჩამოთვლილი კომპანიების გვერდით ბიტკოინებმა პოპულარობა არალეგალურ ინტერნეტბაზრებზე მოიპოვა მისი ანონიმური ბუნებიდან გამომდინარე. იმის გამო, რომ ბიტკოინს ვერ აკონტროლებს ვერც ერთი ქვეყნის ბანკი, ყველა ტრანზაქცია, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება ანონიმურად განხორციელდეს. ინტერნეტში არსებული საიტების მეშვეობით შესაძლებელია ბიტკოინების ანონიმური

შესყიდვა და მათი კვლავ ჩვეულებრივ ფულად ერთეულში კონვერტირება.

დარქნეტი – არალეგალური საქონლის ბაზრობა ინტერნეტში

დარქნეტი ინტერნეტის ანონიმური ქსელია. არავის შეუძლია თქვას, ვინ არის დარქნეტში განთავსებული ვებგვერდების მფლობელი, ვინ არიან ვიზიტორები და ა.შ. ჩვეულებრივი საიტების მფლობელების დადგენა ადვილი შესაძლებელია იმ რეგისტრების მიხედვით, სადაც ფიქსირდება დომენის მყიდველის სახელი (http://directnic.com an www.nic.net.ge). დარქნეტში განთავსებული ვებსაიტები კი იყენებენ ტორ-ის ქსელს - Tor (The Onion Router) network. ამ ქსელს გააჩნია იმდენი განტოტება, რომ საიტის წარმომავლობის გარჩევა, თუ საიდან მოდის ან საით მიემართება მონაცემი, თითქმის შეუძლებელია.

ნორმალურ ბრაუზერებს (Chrome, Mozila, Iexplorer, Safari) არ შეუძლიათ გახსნან დარქნეტის ვებგვერდები, ვინაიდან ვერ ახერხებენ დარქნეტში განთავსებული დომენური სახელების (.onion) გარდაქმნას IP მისამართებად. ეს დომენური სახელები იქმნება ტორ-ის ქსელის ფარგლებში და შესაბამისად მათი მოძებნა ინტერნეტში არსებული დნს სერვერების მიერ შეუძლებელი ხდება. დარქნეტის საიტების მონახულება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ბრაუზერით TOR.

ტორ-ის ქსელი, ისევე, როგორც ინტერნეტი, შეიქმნა აშშ სამხედრო უწყების მიერ, იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ანონიმური კომუნიკაცია სამთავრობო უწყებებს შორის. ამ პროტოკოლების გამოყენება ახლაც ხდება და აშშ სამხედრო უწყება ახლაც იყენებს ტორ-ს ფაილების გაზიარებისთვის საჯარო წვდომისგან დაფარულად. თუმცა, ისევე, როგორც ინტერნეტის შემთხვევაში, ამ პროტოკოლმა გავრცელება სხვა მიმართულებითაც პოვა და ანონიმურობის ამგვარი დონიდან გამომდინარე, დარქნეტი იქცა კრიმინალური ხასიათის შემცველ წინადადებებისა და შემოთავაზებების ადგილად. აქ შეიძლება წააწყდეთ პროფესიონალი ქილერის სერვისის შემოთავაზებას, შეიძლება შეხვდეთ ჟურნალისტს ან ინფორმატორს, რომელსაც სურს სიმართლის თქმა ან ფაქტების გაყიდვა ისე, რომ თავი აარიდოს ციხეში მოხვედრას, აქ ნახავთ ადამიანებს, რომლებიც ვაჭრობენ ნარკოტიკებითა და ბავშვების პორნოგრაფიით. ერთი სიტყვით, ეს არის პროტოკოლი, რომელიც დამნაშავეებს, ჟურნალისტებსა და სხვადასხვა ფარულად მოქმედ ადამიანს საშუალებას აძლევს, ქსელში თავიანთი საქმიანობა ანონიმურად წარმართონ.

სავაჭრო მიზნით დარქნეტში შექმნილი პირველი ყველაზე ცნობილი საიტი სილქროუდი იყო (Silk Road), სადაც მომხმარებლებს შეეძლოთ ეყიდათ და გაეყიდათ ლეგალური თუ არაკანონიერი საქონელი ბიტკოინების გამოყენებით. ვინაიდან ბიტკოინის გაცვლა ანონიმურადაა შესაძლებელი. სილქროუდზე გამყიდველები ჰყიდდნენ ყველაფერს ნარკოტიკებიდან დაწყებული ყალბი დოკუმენტებითა და იარაღით დამთავრებული. ამ მიზეზის გამო ეს საიტი სწრაფად იქცა FBI-ს სამიზნედ, რომლის წარმომადგენლებმაც 2012 წელს დაა-პატიმრეს მისი ხელმძღვანელი რ. ულბრიხტი (Ross William Ulbricht).

სილქროუდის დახურვის შემდეგ ერთ თვეში შეიქმნა სილ-ქროუდ 2 (Silk Road 2.0), წინამორბედის სრული ანალოგი, რომელიც მომხმარებლებს კიდევ უფრო მეტ უსაფრთხოებას პირდებოდა. ამჯერად საიტს ხელმძღვანელობდა ანონიმი მომხმარებელი სახელად “Defcon”. თუმცა ერთი წლის თავზე FBI-მ მასაც მიაგნო. Defcon აღმოჩნდა 26 წლის ბ. ბენთოლი (Blake Benthall). სილქროუდ 2 დაიხურა. აშშ-მა, სხვა ქვეყნის ძალოვნებთან ერთად, ჩაატარა გაერთიანებული ოპერაცია დარქნეტის წინააღმდეგ, რის შედეგადაც დააკავეს 17 ადამიანი და გააუქმეს ასობით დომენი. ამოღებულ იქნა 1 მილიონ დოლარის ღირებულების ბიტკოინი, 250 ათასი დოლარი ნაღდი ფული, უამრავი კომპიუტერი, ნარკოტიკები, ოქრო, ვერცხლი, იარაღი და სხვა.

სილქროუდ 2-ის აღმოჩენა შესაძლებელი გახდა ადამიანური შეცდომის წყალობით. თავის დროზე ხსენებულმა ბენთოლმა, Silk Road 2.0 რეგისტრაციის დროს თავისი ნამდვილი ელფოსტა მიუთითა. გუგლმა ფედერალებს მისცა ბენთოლის პაროლი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა არალეგალური კვანძის გახსნა.

ამჯერად დარქნეტის ქსელში ფუნქციონირებას განაგრძობს უამრავი ონლაინ მარკეტი, სადაც ვაჭრობა არალეგალურ საქონელზე მიმდინარეობს. ყველაზე პოპულარული მათ შორის არის ბაზრობა აგორა. ამ საიტზე წარმოდგენილია ათასობით შემოთავაზება ნარკოტიკების თაობაზე ბიტკოინების სანაცვლოდ. საინტერესოა, რომ მრავალი მათგანი წარმოადგენს ახალ სინთეზურ ნარკოტიკს, რომლებიც ჯერჯერობით არ არის შეტანილი არც ერთი ქვეყნის ფსიქოტროპული ნივთიერებების ოფიციალურ ნუსხაში და, აქედან გამომდინარე, არ წარმოადგენს აკრძალულ ნივთიერებას.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ქართველმა მომხმარებლებმა და მიმწოდებლებმა შეიტყვეს ამგვარი შესაძლებლობის შესახებ. ზემოთ ნახსენები სცენარისგან განსხვავებით, დარქნეტისა და ბიტკოინების გამოყენება ნარკოტიკის მიმწოდებელს საშუალებას მისცემს, სა-ქართველოდან გაუსვლელად აწარმოოს აკრძალული ნივთიერებების

დისტრიბუცია სრულიად ანონიმურად. ამისთვის ყველა პირობამ სიმბოლურადაც და რეალურადაც საქართველოში მოიყარა თავი – აბრეშუმის გზა – დარქნეტი და ელექტრონული ფული – ბიტკოინი. სავარაუდოდ, მხოლოდ მიწოდების შეზღუდვაზე ორიენტირებული პოლიტიკის შენარჩუნების პირობებში, მხოლოდ მოცდა მოგვიწევს იმისთვის, რომ ნარკოტიკების ბაზარმა ახალი მიმართულებით დაიწყოს განვითარება.

Vano Tsertsvadze

DRUGS, SILK ROAD AND BITCOINS

Annotation

The article analyzes current trends on the drug market in Georgia in connection with innovative technologies and the supply-demand relationship. We argue that the tightening of supply, is not influential on the demand reduction and the drug market will be adjusted to meet the demand criterias.

თეიმურაზ ცისკარიძე
გიგა ცისკარიძე

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და სატრანსპორტო სისტემების განვითარება

ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებს ბევრად განსაზღვრავს მათი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებზე. მაგალითად, ცენტრალურ კავკასიაში აზერბაიჯანი და საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში ორიენტირებულნი არიან დასავლეთისკენ, სომხეთი – რუსეთისკენ [1]. გარდა ამისა, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ნაყოფიერად იყენებს იგი ეროვნულ, ბუნებრივ, შრომით, მატერიალურ, ფინანსურ რესურსებს.

შავი ზღვის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა. იგი ესაზღვრება BSEC-ს, რომელიც მოიცავს 20 მლნ კვ. კმ-ს და მისი მოსახლეობა 330 მლნ-ზე მეტს შეადგენს. მას უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია. ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი BSEC-ს სივრცე წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად რეგიონს. შავი ზღვის სივრცე ასევე წარმოგვიდგება, როგორც პროდუქციის გასაღების დიდი ბაზარი ევროპისა თუ მსოფლიოს სხვა

რეგიონებისათვის. ამავდროულად, BSEC-ს გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობა, რეგიონში არსებული მდიდარი ენერგორესურსების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და მარშრუტების გათვალისწინებით, რაც მეტად მიმზიდველია ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით. რეგიონი უცხოელი ინვესტორების ყურადღებას იპყრობს ენერგეტიკის სფეროში, რადგან სამ სახელმწიფოში – თურქმენეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში [3] ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგია, ხოლო, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსები აქვთ. საქართველოს მისი ადგილმდებარეობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს უქმნის. ზღვისპირეთი ხელს უწყობს საზღვაო ტრანსპორტის ინტენსიურ გავითარებას, ვინაიდან, მსოფლიოში ნავთობისა და გაზის რესურსებზე დიდი მოთხოვნაა. ცენტრალური კავკასია დაინტერესებულია არა მარტო საკუთარი ნავთობისა და გაზის რესურსების დასავლეთში ტრანსპორტირებით, არამედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებით, რის შედეგადაც ცენტრალური კავკასია შეძლებს შესაბამისი "ხიდის" ფუნქცია შეასრულოს [4].

ბოლო ათწლეულში საქართველოზე გამავალი ენერგოდერეფნებით ნავთობნაკადების მოცულობების ზრდის პერსპექტივებმა, პარალელურად კი ახალი მილსადენების სისტემების ექსპლუატაციაში გაშვებამ, მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონში ენერგომატარებლების ტრანსპორტირების თანაფარდობის სურათი. საქართველოზე გამავალი ახალი ენერგოდერეფნების ამოქმედება არა მხოლოდ კასპიის რეგიონში ნავთობის ექსპორტის ზრდითაა გამოწვეული, არამედ, განპირობებულია როგორც ყაზახეთის და აზერბაიჯანის, ასევე მსხვილი დასავლური ნავთობკომპანიების სურვილით, მოახდინონ ნავთობნაკადების დივერსიფიკაცია, რათა ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი რუსეთის მიმართულებებზე.

მიუხედავად ჩრდილოელი მეზობლების მისწრაფებისა, რუსეთის მილსადენები და სატრანსპორტო სისტემები დაბალი გამტარუნარიანობით ხასიათდებიან. ამასთან, მათი სიმძლავრეები თითქმის სრულიადაა ამოწურული. გარდა ამისა, იმ მილსადენების სიმძლავრეთა უმეტესობა, რომელიც მიმართულია შავი ზღვის რეგიონისკენ, არ შეესაბამება ნავთობის საექსპორტო ტენდენციებს. შესაბამისად, გაჯერებულია ტანკერების რაოდენობაც ბოსფორის სრუტეში, რომლის საშუალებითაც ხდება კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზარზე. რთული სეზონური კლიმატური პირობების გამო რუსეთის შავი ზღვის ნავსაგურები გამოუყენებელია ნავთობის

ჩატვირთვის ოპერაციების განსახორციელებლად, რაც, ერთობლიობაში, კონკურენტუუნაროს ხდის გადაზიდვებს.

მსოფლიო ბანკის ექსპერტების გამოკვლევებზე დაყრდნობით, ნავთობის ექსპორტის ზრდის პარალელურად, მოსალოდნელია, საქართველოზე გამავალი ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნებით კასპიის ნავთობის მოცულობების გეგმაზომიერი გადმორთვა რუსეთისგან, ალტერნატიული, მყარი, უსაფრთხო და ინტეგრირებული ენერგოდერეფნების სისტემების ამოქმედება. როგორც აღინიშნა, რუსეთის ენერგოსატრანსპორტო სისტემები არ არიან სათანადოდ აღჭურვილნი და ვერ უზრუნველყოფენ კასპიის რეგიონიდან მოსალოდნელი გაზრდილი ნავთობნაკადების ეფექტურ ტრანსპორტირებას. საჭირო იქნება მილსადენების და სატრანსპორტო სისტემების სიმძლავრეთა გაზრდა, ბაზრის მოთხოვნათა პროგნოზული მონაცემების შესაბამისად. ექსპერტთა ვარაუდით, ნავთობნაკადების სრულად ტრანსპორტირება ძირითადად დამოკიდებული იქნება ორი მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდის და დატვირთვის პერსპექტივებზე. 2007 წელს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ყაზახეთის კასპიის სატრანსპორტო სისტემის (KCTS) შექმნას. ამ სატრანსპორტო სისტემის საშუალებით ხორციელდება 50 მლნ ტონა ყაზახური ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება. (KCTS) მოიცავს აგრეთვე ატირაუს მილსადენის სისტემას.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენის გარდა, ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება ბაქოდან განხორციელდება ბაქო–სუფსის და ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენების საშუალებითაც. გარდა ამისა, კავკასიის რეგიონის რკინიგზებით ნავთობნაკადების ტრანსპორტირების ზრდის ტენდენცია გავლენას მოახდენს საქართველოს და შავი ზღვის ნავსადგურების ინფრასტრუქტურის განვითარებაზეც. ნავთობის ტრანსპორტირების თანაფარდობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ექსპორტის 75%-ის ტრანსპორტირება ხორციელდებოდა მილსადენებით, ხოლო 25%-ის კი რკინიგზა-ნავსადგურის ტექნოლოგიური სქემით.

ბაქო-სუფსის მილსადენი ცნობილია დასავლეთის მარშრუტის სახელწოდებით. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოხდა არსებული მილსადენის რეკონსტრუქცია, რომელიც შემდგომ დაუკავშირდა თბილისის ჩრდილო-დასავლეთიდან ბათუმის მიმართულებით გამავალ, ექსპლუატაციიდან გამოსულ ნავთობსადენს. გარდა ამისა, სუფსაში, ოფშორულ ზონაში, განხორციელდა ნავთობის გადამამუშავებელი მოწყობილობის მშენებლობა. ბაქო-სუფსის მილსადენის დიამეტრი 530 მმ-ია, ხოლო გამტარუნარიანობა – 7 მლნ

ტონა. დამატებით საქაჩი სადგურების დამონტაჟების შემთხვევაში შესაძლებელია გამტარუნარიანობის გაზრდა, დაახლოებით 10 მლნ ტონამდე.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით ხორციელდება ნავთობის ტრანსპორტირება ბაქოდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, თურქეთიდან, რომლის საბოლოო პუნქტს ხმელთაშუა ზღვაზე არსებული თურქეთის ნავსადგური ჯეიჰანი წარმოადგენს. რის შემდგომაც, ტანკერების საშუალებით, ნავთობი ევროპულ ბაზრებს მიეწოდება. პროექტის განხორციელება მიზნად ისახავს რუსეთის სატრანსპორტო სისტემის ალტერნატივის შექმნას.

ყულევის პორტის – შპს "შავი ზღვის ტერმინალი"-ს მშენებლობა 2000 წელს დაიწყო. მაგრამ, 2 წლის შემდეგ, დაფინანსების შეწყვეტის გამო, შეჩერდა. მშენებლობას საქართველოს რკინიგზა და ავსტრიული კომპანია "არომაგ ოილი" აწარმოებდნენ. 2004 წლის სექტემბერში, პროექტის გაგრძელების მიზნით, შეიქმნა საერთაშორისო კონსორციუმი, რომელშიც ტერმინალის მშენებლობის ინიციატორები და ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები შედიოდნენ. ტერმინალმა თავის თავზე აიღო გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს რკინიგზაზე მთელი რიგი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განვითარებას გულისხმობდა. სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 3 მლნ აშშ დოლარი გამოიყო. მისი მიზანია ტვირთის მიწოდების დაჩქარება და ტვირთბრუნვის გაზრდა. ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 10 მლნ ტონამდე ნავთობპროდუქტის გადატვირთვის საშუალებას იძლევა, აქედან: 3 მლნ ტონა ნავთობის, 3 მლნ ტონა დიზელის და 4 მლნ ტონა მაზუთისას. სარეზერვუარო პარკის მთლიანი მოცულობა 320 000 კუბური მეტრია, 380 000 ტონამდე გაზრდის პოტენციალით. ნავთობპროდუქტების ჩამოსასხმელად ტერმინალში გათვალისწინებულია ორი ნავსაბმელი, რომლებიც 100 000 ტონამდე ტვირთამწეობის ტანკერებს ემსახურება. ჩამოსხმის მწარმოებლურობა საათში 1 000-დან 8 000-მდე კუბურ მეტრს შეადგენს. ობიექტს ემსახურება წინასაპორტო სარკინიგზო სადგური, რომელიც ტვირთის გადასხმის მოლოდინში მყოფ 180 ვაგონ-ცისტერნას ერთდროულად იტევს. სარკინიგზო ესტაკადებზე ერთდროულად 168 ვაგონ-ცისტერნის გადმოტვირთვაა შესაძლებელი.

2010 წლის ივლისიდან ყულევის პორტმა ყაზახური ნავთობის გადაზიდვა დაიწყო. ამ ორი პროექტის რეალიზეციისთვის, რომელიც დიდტონაჟიანი ტანკერების (100 000 ტონაზე მეტი ტვირთამწეობით) მომსახურების აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული, განხორციელდა ფსკერის გაღრმავების სამუშაოები. ტერმინალის ტექნიკური

აღჭურვილობა ტანკერებს რეკორდულად მცირე – რეგიონის სხვა ტერმინალებთან შედარებით 2-ჯერ ნაკლებ – დროში დატვირთვის საშუალებას აძლევს.

2012 წლის ივლისში კი ნავთობტერმინალში არსებული პროპილენის გადასატვირთი ახალი კომპლექსის მეშვეობით ყულევის ტერმინალით ქიმიური პროდუქციის გადატვირთვაც გახდა შესაძლებელი.

2013 წ. ბოსფორის ქვეშ მარმარაის გვირაბი გაიხსნა, რომელიც ევროპის კონტინენტს, ბოსფორის სრუტით, აზიასთან აკავშირებს. გვირაბი მნიშვნელოვანია სტამბოლი-ანკარას სწრაფი სარკინიგზო ხაზის განვითარებისათვის.

ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ევროპის ქვეყნები აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოსთან მისი უპირატესი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. მეტრეველი, კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. თბ., 2009. გვ. 3-28.
2. ისმაილოვი ე., პაპავა ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი, 2007. გვ. 167.
3. Гаджиев С., Геополитика Кавказа. Москва, 2003. с. 295.
4. პაპავა ვ. „ცენტრალური კავკასიის“ გეოპოლიტიკური როლის შესახებ. თბილისი, 2012. გვ. 557.
5. კალიცკი ჟ. Caspian Energy at the Crossroads. Foreign Affairs. Foreign Affairs 2001, Vol. 80, No. 5, p. 122.

Teimuraz Tsiskaridze

Giga Tsiskaridze

GEOPOLITICAL LOCATION OF GEORGIA AND THE DEVELOPMENT OF TRANSPORT SYSTEMS

Annotation

One of the main objective of the Black Sea Economic Cooperation Organization is to include all strategic directions of cooperation. Considering of Black Sea region’s geopolitical location, the most important part is cooperation in transport sector. Georgia with it’s geographic location has great advantage, than other South Caucasus states. It’s very favorable to develop transport systems. After our country became independent, Georgia had acquired a new function in the transport crossroads.

უდესიანი ხატია

ეკონომიკური უსაფრთხოება და მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმები

ეკონომიკური უსაფრთხოება წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ და ა.შ. ღონისძიებათა კომპლექსური სისტემაა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივ დაცვასა და ქვეყნის ეკონომიკის დინამიურ განვითარებას.

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, როცა უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე. მისი ობიექტია როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, ისე მისი შემადგენელი სექტორები და ელემენტები.

ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. ფუნქციური თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის უნარი, უზრუნველყოს საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, რესურსების ეფექტური გამოყენება და განაწილება, ასევე სახელმწიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება. სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობასა და მუდმივად განახლების უნარს.

არსებობს უამრავი ფაქტორი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკას. საფრთხე შესაძლოა შეუქმნას როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებმა. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება პოლიტიკური არასტაბილურობა, სუსტი სახელმწიფო მენეჯმენტი, კორუფცია, სტიქიური მოვლენები, და ა.შ. პოლიტიკური არასტაბილურობა ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისთვის. მთავრობათა ხშირი ცვლა, რევოლუციები და გადატრიალებები არამიმზიდველს ხდის ქვეყანას უცხოელი პარტნიორებისთვის, აფერხებს მის ინტეგრაციას საერთაშორისო სტრუქტურებში, ქმნის ბარიერებს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებისთვის,

ვერ ხერხდება გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მუდმივად იცვლება ეკონომიკური პოლიტიკა და მისი ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები, რაც, შესაბამისად, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას.

პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითრებისთვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. სუსტი სახელმწიფო მენეჯმენტის პირობებში შეუძლებელია წინსვლაზე ფიქრი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შექმნა და განხორციელება. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ეროვნული ეკონომიკის ძირითადი პრიორიტეტები, ეროვნული მეურნეობის ის დარგები, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

რაც შეეხება გარე ფაქტორებს, მათში იგულისხმება გლობალური ეკონომიკური კრიზისი, შეიარაღებული კონფლიქტები, საიმპორტო პროდუქციაზე დამოკიდებულება, ეკონომიკური ბლოკადა და სხვა. მსოფლიოში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 2007 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, მძიმე დარტყმა მიაყენა მრავალი ქვეყნის ეკონომიკას. რაც უფრო მეტადაა ინტეგრირებული ესა თუ ის ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, მით უფრო მძიმეა მისთვის კრიზისის შედეგები. საქართველოში მსოფლიო კრიზისი განსაკუთრებით საბანკო, სამშენებლო, საინვესტიციო სექტორებზე აისახა. 2007 წლიდან მნიშვნელოვნად მცირდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში.

2009 წელს, 2007 წელთან შედარებით, ინვესტიციები 2 712.9 მილიონი აშშ დოლარით მცირდება. 2010 წლიდან კი კვლავ ზრდას იწყებს.



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოშო
(მლნ აშშ დოლარი)

ეკონომიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვნად ასუსტებს შეიარაღებული კონფლიქტები. ამ მოვლენამ შესაძლოა მოახდინოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზეგავლენა ქვეყანაზე. საქართველოს ეკონომიკაზე პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, ხოლო არაპირდაპირი ზემოქმედების მაგალითია აშშ-ერაყის ომი, რასაც მოჰყვა ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ქვეყნის ეკონომიკას საფრთხეს უქმნის დაძაბული ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან. ამის კარგი მაგალითია 2006 წლის ეკონომიკური ბლოკადა, რომელიც რუსეთმა საქართველოსთან განახორციელა. შედეგად, ჩვენი ქვეყნის ისედაც მცირე საექსპორტო შემოსავალი კიდევ უფრო შემცირდა. ეს კი უარყოფითად აისახა როგორც საექსპორტო პროდუქციის მწარმოებლებზე, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე.

ეკონომიკური ძალა შეიძლებ იყოს აქტიური და პასიური. აქტიური ძალა მოიცავს ქვეყნის უნარს, სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური ბერკეტების საშუალებით გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნების ქმედებებზე მათთვის ზიანის მიყენების, ზიანის მიყენების დამუქრებით, დახმარების გაწევის ან დახმარების გაწევის შეპირებით. პასიური ძალა გულისხმობს ქვეყნის უნარს, მაქსიმალურად შეზღუდოს მასზე სხვა ქვეყნების გავლენა, ანუ თავი დაიცვას სხვა ქვეყნების აქტიური ძალისაგან.

მცირე ქვეყნებისთვის აქტიური ეკონომიკური ძალის ფლობა, მათი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ძალიან რთულია. შესაბამისად, საქართველომ მთავარი აქცენტი პასიური ეკონომიკური ძალის ჩამოყალიბებაზე უნდა გააკეთოს. ეკონომიკური ძალის მაჩვენებლებია:

1. *ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან.* მიჩნეულია, რომ რაც უფრო ნაკლებია მშპ-სთან მიმართებაში საგარეო ვაჭრობის პროცენტული მოცულობა, მით უფრო ძლიერია ქვეყნის პასიური ეკონომიკური ძალა. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული ვაჭრობაზე. შესაბამისად, სხვა ქვეყნებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, როგორიც არის ემბარგო, ბოიკოტი, და სავაჭრო ბარიერები, რადგან მსგავსი ქმედებები დიდი ეფექტის მომტანი ვერ იქნება. ამ კუთხით საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საგარეო ვაჭრობა მშპ-ს მოცულობას აღემატება. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის უდიდესი ნაწილი იმპორტს უკავია, რაც ზრდის სახელმწიფოს სამომხმარებლო დამო-

კიდებულებას სხვა ქვეყნებზე და ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

2. *იმპორტსა და კოტებზე მოთხოვნის ელასტიკურობა.* ქვეყნის ეკონომიკური ძალა უფრო დიდია, თუკი მის მიერ ექსპორტირებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნა არაელასტიკურია, ხოლო იმპორტზე – პირიქით. ელასტიკურია ისეთი საქონელი ან მომსახურება, თუკი რაიმე ფაქტორის (ფასი, ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.) ცვლილების შედეგად მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად იკლებს. საქართველოს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფი (ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები, შავი ლითონის ჯართი) საკმაოდ არაელასტიკურია, რაც ეკონომიკური ძალისა და უსაფრთ-ხოებისთვის კარგია. თუმცა ამ კუთხით ორი პრობლემა მაინც არსებობს. პირველი, ექსპორტის წილი საგარეო ვაჭრობაში ძალიან მცირეა და მეორე, ექსპორტში მეორე და მესამე სასაქონლო ჯგუფების წილი (მსუბუქი ავტომობილები და შავი ლითონების ჯართი) შეიძლება მომავალში არასტაბილური იყოს.

3. *მონოპოლია.* თუკი ქვეყანა გარკვეულ მნიშვნელოვან პროდუქტზე მიწოდების მონოპოლიას ფლობს, მისი, როგორც პასიური, ისე აქტიური ძალა იზრდება. ევროკავშირის მიმართ ბუნებრივი აირის სახით მსგავსი ტიპის ძლიერი ენერგეტიკული ბერკეტი გააჩნია რუსეთს.

4. *ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო პარტნიორების დივერსი-ფიკაცია.* რაც უფრო ბევრი სახეობის საქონლისა და მომსახურების ექსპორტს ან იმპორტს ახორციელებს ქვეყანა და ასევე რაც უფრო მეტი სავაჭრო პარტნიორი ჰყავს, მით უფრო დიდია მისი ეკონომიკური ძალა. ჩვენი ქვეყნის ექსპორტის თითქმის 50% სულ 5 სასაქონლო ჯგუფსა და 4 სავაჭრო პარტნიორზე მოდის, რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია. ასეთი ძლიერი დამოკიდებულების უარ-ყოფითი მხარეები 2006 წელს რუსეთის მიერ ემბარგოს დაწესების შემდეგაც გამოჩნდა, როდესაც ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი წამყვანი საექსპორტო საქონლის (ღვინო, მინერალური წყალი და ა.შ.) გაყიდვები კატასტროფულად შემცირდა.

5. *საერთშორისო სავალუტო რეზერვები.* რაც უფრო მეტ უცხოურ სავალუტო რეზერვს ფლობს ქვეყანა, მით უფრო ძლიერი ბერკეტი აქვს მას საგარეო შოკებისგან თავის დასაცავად. შესა-ბამისად, მისი ეკონომიკური ძალა იზრდება.

ზემოთ ჩამოთვლილი დებულებების სრულყოფილად შესრუ-ლება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის შეუძლებელია. თუმცა, მათი გათვალისწინება აუცილებელია ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღ-წევად. ქვეყნის სტაბილურობა, განვითრება და ძლიერება ეკონო-მიკური უსაფრთხოების გარეშე წარმოუდგენელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი http://geostat.ge/

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი http://www.economy.ge/ge/home

3. რ. კაკულია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები. ჟურ. ეკონომიკური პროფილი, 3, 2007.

4. ი.მესხია. ეკონომიკური უსაფრთხოება: ანალიზი და პროგნოზები. ჟურ. ბიზნესი და კანონმდებლობა, 4, 2008.

5. თ. თაქთაქიშვილი. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები. 2010.

6. ზ. თეთრუაშვილი, მ. თეთრუაშვილი. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობებში. თბილისი, 2006.

Khatia Udesiani

FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS ECONOMIC SECURITY AND MACROECONOMIC REGULATORY MECHANISMS

Annotation

The article deals with economic security as a prerequisite to sustainable development of the country, which ensures economic growth, high levels of productivity, effective satisfaction of economic requirements, effective state control over use and movement of national resources and security of the economic interests at the international level. Are substantiated the external and internal factors that affect economic security. The country's economic security is a base of political, military and social securities, and it is based on economic strength. Economic power can be active or passive.

ა ვ ტ ო რ ე ბ ი

1.	**აბესაძე რამაზი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
2.	**არევაძე ნანული**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
3.	**არნანია-კეპულაძე თამილა**	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
4.	**ასლანიშვილი დავით**	– საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი, თსუ ასისტენტ პროფესორი
5.	**ბაკურაძე რატი**	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
6.	**ბარათაშვილი ევგენი**	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
7.	**ბასილაია კობა**	– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
8.	**ბერულავა გიორგი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
9.	**ბიბილაშვილი ნანა**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
10.	**ბრეგვაძე გიორგი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
11.	**ბურდული ვახტანგი**	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ
12.	**გელაშვილი მაია**	– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

13.	ბოგოხია თეიმურაზი	– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
14.	ბრძელიშვილი ნოდარი	– საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
15.	დავითაძე ბესიკი	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
16.	დავლაშერიძე ნატა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
17.	დათუნაშვილი ლინა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი
18.	დვალიშვილი ლია	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
19.	დუდაური თამარი	– კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომოკის აკადემიური დოქტორი
20.	ელგენდარაშვილი ცირა	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
21.	ზარანდია ჯანდრი	– ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
22.	ზუბიაშვილი ლელა	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
23.	თაფლაძე თამარი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
24.	თეთრაული ციცინო	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
25.	თელია ლევანი	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
26.	კაკულია ეთერი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

27.	კაპანაძე მაია	–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
28.	კახნიაშვილი ნათია	– თსუ ასისტენტ პროფესორი
29.	კეპულაძე გიორგი	– აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი
30.	კვანტალიანი მერაბი	– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი
31.	კვარაცხელია მურმანი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
32.	კილაძე თამარი	– ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
33.	კონჯარია ელგუჯა	–სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემიის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
34.	კურატაშვილი ალფრედი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
35.	კურტანიძე ანა	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
36.	ლაზარაშვილი თეა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
37.	ლიპარტია ზურაბი	–სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
38.	ლორთქიფანიძე რევაზი	– ემდ, პროფესორი
39.	მაისურაძე ნანა	– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
40.	მაწიაშვილი თამარი	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
41.	მეგრელიშვილი ანი	– თსუ სტუდენტი
42.	მესხი დავითი	– თსუ დოქტორანტი
43.	მელაშვილი მედეა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

44.	ნარიმანიშვილი ეთერი	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
45.	ნათელაური იზა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
46.	ნინუა ალექსანდრე	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
47.	ნოზაძე ზურაბი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
48.	ომაძე ქრისტინე	– საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
49.	პაპავა ვლადიმერი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ემდ, პროფესორი
50.	რევიშვილი ზურაბი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
51	რუხაძე თამარი	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, ეკონომიკის დოქტორი
52.	სარჩიმელია როლანდი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ
53	სისვაძე ილია (აზიკო)	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
54.	უდესიანი ხატია	– თსუ სტუდენტი
55.	ქავთარაძე თენგიზი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
56.	ქამხაძე თამარი	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
57.	ქველაძე ქეთევანი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

58.	ქისტაური ნუნუ	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
59.	ქურდაძე თინათინი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
60.	ღუდუშაური ლეილა	– თსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
61.	შამუგია ასმათი	– ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
62.	ჩინჩალაძე მაია	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
63.	ჩიქოვანი ელენე	– საქართველოს ბიზნესის აკადემიის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
64.	ჩიხლაძე მამუკა	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
65.	ჩხეიძე თინა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სმმდ, პროფესორი
66.	ცერცვაძე ვანო	– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის დოქტორანტი
67.	ციხკარიძე გიგა	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
68.	ციხკარიძე თეიმურაზი	– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
69.	ცუცქირიძე მარინე	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
70.	ხაჟომია დავითი	– საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
71.	ხარშილაძე გიორგი	– საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

72.	ხასაია იზოლდა	– აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
73.	ხიზანიშვილი ვასილი	– იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
74.	ხურცია ლალი	– თსუ, ემდ
75.	ხუსკივაძე მადონა	– ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტი “ლამპარის” ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
76.	ხუსკივაძე მამუკა	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
77.	ჯავახიშვილი რევაზი	– თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

A U T H O R S

1.	**ABESADZE RAMAZ**	– Director of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Doctor of Economic Sciences, Professor
2.	**AREVADZE NANULI**	– Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
3.	**ARNANIA-KEPULADZE TAMILA**	– Doctor of Economics, Full Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
4.	**ASLANISHVILI DAVID**	– PhD Student of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchat of Georgia, Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
5.	**BAKURADZE RATI**	– PhD Student of Georgian Technical University
6.	**BARATASHVILI EVGENI**	– Doctor of Economic Sciencies, Professor of Georgian Technical University
7.	**BASILAIA KOBA**	– Doctor of Economics, Associated Professor of Sokhumi State University
8.	**BERULAVA GEORGE**	– Doctor of Economic Sciencies, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
9.	**BIBILASHVILI NANA**	– Candidate of Economic Sciencies, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
10.	**BREGVADZE GIORGI**	– Candidate of Economic Sciencies, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
11.	**BURDULI VAKHTANG**	– Doctor of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
12.	**CHIKHLADZE MAMUKA**	– PhD Student of Georgian Technical University
13.	**CHIKOVANI ELENE**	– Doctor of Economics, Professor of Business Academy of Georgia
14.	**CHINCHALADZE MAIA**	– Assistant Professor of Georgian Technical University

15.	**CHKHEIDZE TINA**	– Doctor of Agricultural Sciences, Professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
16.	**DATUNASHVILI LINA**	– Candidate of Economic Sciences, Docent, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
17.	**DAVITADZE BESIK**	– PhD Student of Georgian Technical University
18.	**DAVLASHERIDZE NATA**	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
19.	**DUDAURI TAMAR**	– Doctor of Economics, Associated Professor of Caucasus International University
20.	**DVALISHVILI LIA**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
21.	**ELGENDARASHVILI TSIRA**	– Doctor of Economics, Assistant Professor of Georgian Technical University
22.	**GELASHVILI MAIA BADRI**	– Doctor of Economics, Associated Professor of Samtskhe-Javakheti State Teaching University
23.	**GOGOKHIA TEIMURAZ**	– PhD Student of Sokhumi State University, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
24.	**GHUDUSHAURI LEILA**	– Doctor of Economics, Associated Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
25.	**GRDZELISHVILI NODAR**	– Doctor of Economics, Associated Professor of David Aghmashenebeli University of Georgia
26.	**JAVAKHISHVILI REVAZ**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
27.	**KAKHNIASHVILI NATIA**	– Assistant Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
28.	**KAKULIA ETER**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
29.	**KAMKHADZE TAMAR**	– Doctor of Economics, Assistant Professor of Georgian Technical University
30.	**KAPANADZE MAIA**	– Doctor of Economics, Associated Professor of Georgian Technical University

31.	**KAVTARADZE TENGIZ**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
32.	**KEPULADZE GIORGI**	– Postgraduate Student of Akaki Tsereteli Kutaisi State University
33.	**KHAZHOMIA DAVID**	– PhD Student of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchat of Georgia
34.	**KHARSHILADZE GEORGE**	– PhD Student of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchat of Georgia
35.	**KHASAIA IZOLDA**	– Associated Professor of Akaki Tsereteli Kutaisi State University
36.	**KHIZANISHVILI VASIL**	– Doctor of Economics, Assistant Professor of Iakob Gogebashvili Telavi State University
37.	**KHURTSIA LALI**	– Doctor of Economic Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
38.	**KHUSKIVADZE MADONA**	– Doctor of Economics, Associated Professor of Kutaisi Teaching University "Lampari"
39.	**KHUSKIVADZE MAMUKA**	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
40.	**KILADZE TAMAR**	– Doctor of Economic Sciences, Professor of Georgian Technical University
41.	**KISTAURI NUNU**	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
42.	**KONJARIA ELGUJA**	– Doctor of Economics, Associated Professor of Teaching University European Academy
43.	**KURATASHVILI ALFRED**	– Doctor of Economic Sciences, Professor, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
44.	**KURDADZE TINATIN**	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
45.	**KURTANIDZE ANA**	– Doctor of Economics, Assistant Professor of Georgian Technical University
46.	**KVANTALIANI MERAB**	– Senior Teacher of Sokhumi State University

47.	**KVARATSKHELIA MURMAN**	– Doctor of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
48.	**KVELADZE KETEVAN**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
49.	**LAZARASHVILI TEA**	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
50.	**LIPARTIA ZURAB**	– Doctor of Economic Sciences, Full Professor of Sokhumi State University
51.	**LORTKIFANIDZE REVAZ**	– Doctor of Economic Sciences, Professor
52.	**MAISURADZE NANA**	– PhD student of Sokhumi State University
53.	**MATSIASHVILI TAMAR**	– PhD Student of Georgian Technical University
54.	**MEGRELISHVILI ANI**	– Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
55.	**MELASHVILI MEDEA**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
56.	**MESKHI DAVID**	– PhD Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
57.	**NARIMANISHVILI ETER**	– Doctor of Economics, Associated Professor
58.	**NATELAURI IZA**	– Candidate of Economic Sciences, Chief of dep. of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
59.	**NINUA ALEKSANDER**	– PhD Student of Georgian Technical University
60.	**NOZADZE ZURAB**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
61.	**OMADZE KRISTINE**	– PhD Student of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchat of Georgia
62.	**PAPAVA VLADIMER**	– Chief Research Fellow of P. Gugushvili Institute of Economics of TSU, Academician of National Academy of Georgia, Doctor of Economic Sciences, Professor
63.	**REVISHVILI ZURAB**	– Candidate of Economic Sciences, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU

64.	**RUKHADZE TAMAR**	– Doctor of Economics, Senior Teacher of Georgian Technical University
65.	**SARCHIMELIA ROLAND**	– Doctor of Economic Sciences, Professor, Senior Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
66.	**SHAMUGIA ASMAT**	– Doctor of Economics, Assistant Professor of European Teaching University
67.	**SISVADZE ILIA (AZIKO)**	– Doctor of Economics, Professor
68.	**TAPLADZE TAMAR**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
69.	**TELIA LEVAN**	– PhD Student of Georgian Technical University
70.	**TETRAULI TSITSINO**	– Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
71.	**TSERTSVADZE VANO**	– PhD Student of Georgian Institute of Public Affairs
72.	**TSISKARIDZE GIGA**	– PhD Student of Georgian Technical University
73.	**TSISKARIDZE TEIMURAZ**	– PhD Student of Georgian Technical University
74.	**TSUTSKIRIDZE MARINE**	– Candidate of Economic Sciences, Researcher of P. Gugushvili Institute of Economics of TSU
75.	**UDESIANI KHATIA**	– Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
76.	**ZARANDIA JANDRI**	– Doctor of Economics, Associated Professor of Sokhumi State University
77.	**ZUBIASHVILI LELA**	– PhD Student of Georgian Technical University

ს ა რ ჩ ე ვ ი

რამაზ აბესაძე სახელმწიფო – ეკონომიკის “მესაჯე”	**5**
ვლადიმერ პაპავა პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიალიზმი და რუსეთის ეკონომიკური განვითარების მოდელის თავისებურებები	**13**
ალფრედ კურატაშვილი კანონის წინაშე ყველა ადამიანის კონსტიტუციური თანასწორობა – ადამიანის უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის აუცილებელი პირობა!!!	**22**
ვახტანგ ბურდული გლობალიზაციის პირობებში ნეოინდუსტრიული განვითარებისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების თეორიული ასპექტები	**33**
გიორგი ბერულავა ეკონომიკური განვითარების პროცესში ინსტიტუტების როლის შესახებ	**61**
რევაზ ჯავახიშვილი ევროკავშირი: ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი ფორმა, მისი შექმნა და განვითარება	**70**
ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების ზოგიერთი ასპექტი	**79**
ილია (აზიკო) სისვაძე წარმოების ეფექტიანობის მათემატიკური ანალიზი, ოპტიმიზაცია და პროგნოზირება	**87**
თამილა არნანია-კეპულაძე ადამ სმიტი: ადამიანთა ქცევის ორი მოდელი	**99**
ელენე ჩიქოვანი ბიზნესის კეთილსინდისიერების კონცეფციის არსისა და დანერგვის შესახებ საქართველოში	**104**
თინა ჩხეიძე ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოების პრობლემები საქართველოში	**111**
ლინა დათუნაშვილი მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა და დარგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში	**122**
ზურაბ რევიშვილი საქართველოს სოფლის პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია	**135**
როლანდ სარჩიმელია ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომიკაში	**151**

Ната Давлашеридзе **ЗНАЧЕНИЕ МЕЖРЕГИОНАЛЬНОЙ КОНКУРЕНЦИИ В РАЗВИТИИ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ**	**163**
ზურაბ ლიპარტია, რატი ბაკურაძე ბუღალტრული აღრიცხვა-აუდიტის ინსტიტუციური რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები	**170**
ევგენი ბარათაშვილი, ჯანდრი ზარანდია მომსახურების სფეროს მარკეტინგ-მენეჯმენტის სრულყოფის საკითხისათვის	**178**
მურმან კვარაცხელია შრომითი მიგრაცია საქართველოში	**185**
კობა ბასილაია თანამედროვე კორპორაციის ანტიკრიზისული ფინანსური მართვის საკითხისათვის	**198**
თენგიზ ქავთარაძე აბროგიზნესის სახელმწიფო რეგულირების გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნებში	**208**
მამუკა ხუსკივაძე, ზურაბ ნოზაძე გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოში	**217**
ნუნუ ქისტაური, მედეა მელაშვილი საქართველოს საგადამხდელო ბალანსის თავისებურებები და მისი სრულყოფის გზები	**226**
გიორგი ბრეგვაძე მშენებლობის სექტორის განვითარების თავისებურებანი და პრობლემები საქართველოში	**239**
ეთერ კაკულია საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემის ფორმირება-განვითარების არსებული მდგომარეობა	**244**
ელგუჯა კონჯარია სასაქონლო-მატარიალური ფასეულობების აღრიცხვის არსი და მნიშვნელობა	**257**
თინათინ ქურდაძე საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა	**264**
იზა ნათელაური, თამარ თაფლაძე საქართველოს ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილების ასპექტები	**271**
ქეთევან ქველაძე ტურიზმის ინოვაციური პოტენციალი საქართველოში	**286**

თეა ლაზარაშვილი, მედეა მელაშვილი ფულად-საკრედიტო სისტემის თავისებურებები და სრულყოფის გზები საქართველოში	**296**
მაია გელაშვილი საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა ეკონომიკის რეგულირებაში	**302**
ნოდარ გრძელიშვილი სასტუმრო ინდუსტრია – მისი სპეციფიკური თავისებურებები და მახასიათებლები	**307**
ლეილა ღუდუშაური აღრიცხვა-ანგარიშგების თავისებურებანი საბანკო სფეროში	**313**
იზოლდა ხასაია მარკეტინგული კვლევის მეთოდები ტურიზმში	**320**
მადონა ხუსკივაძე ინვესტიციური და ფინანსური საქმიანობის მსოფლიო თანამედროვე მეთოდების დაუფლების და გამოყენების მიმართულებები	**327**
რევაზ ლორთქიფანიძე რაციონალური კონკურენციის თეორიის შესახებ	**334**
იზა ნათელაური საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ტესტირება	**339**
ზურაბ ნოზაძე ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების ზოგიერთი საკითხი თანამედროვე პირობებში	**349**
ლია დვალიშვილი ატმოსფეროს დაბინძურების შემცირების პრობლემები საქართველოში	**356**
ციცინო თეთრაული ინფლაციის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში	**370**
მარინე ცუცქირიძე ინოვაციური ფაქტორების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში	**378**
დავით ასლანიშვილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი: გამოცდილება საქართველოსთვის	**385**
ქრისტინე ომაძე საკრედიტო ბაზრის არსი და თავისებურებები	**390**

ეთერ ნარიმანიშვილი სოფლის მეურნეობის დარგების რაციონალური გადაადგილების ძირითადი პრინციპები	**393**
თამარ დუდაური კრიზისულ სიტუაციაში ფირმის ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავება	**397**
თეიმურაზ გოგოხია ფირმის მარკეტინგული სამსახურის როლი და მნიშვნელობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში	**403**
მამუკა ჩიხლაძე ბაქო-თბილისი-ჭარსის სარკინიგზო ხაზის პერსპექტივები	**414**
მაია ჩინჩალაძე, ანა კურტანიძე ფინანსური ურთიერთობების არსსა და ფუნქციებთან დაკავშირებული სადისკუსიო საკითხები	**420**
ბესიკ დავითაძე, ლევან თელია სარკინიგზო ტრანსპორტის როლი და ადგილი საქართველოს სატრანსპორტო დერეფანში. ანალიზი, პრაქტიკა	**424**
ნათია კახნიაშვილი სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტი: მიკროდაზღვევა	**429**
თამარ ქამხაძე, თამარ რუხაძე, ცირა ელგენდარაშვილი ფირმის სტრუქტურის სირთულის შეფასება და პატტერნ ანალიზის გამოყენება ორგანიზაციულ სტრუქტურებში	**433**
თამარ კილაძე, ლელა ზუბიაშვილი შრომის სტიმულირება და მისი გამოყენების პრაქტიკა	**440**
ლალი ხურცია, ვანო ცერცვაძე ეკონომიკური ეფექტიანობა და ხარჯთაღრიცხვის ანალიზი ჯანდაცვაში	**446**
ასმათ შამუგია საკადრო პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები თანამედროვე ორგანიზაციებში	**453**
ვასილ ხიზანიშვილი მომხმარებლები, როგორც სტეიკჰოლდერები	**462**
მაია კაპანაძე, მერაბ კვანტალიანი "მწვანე" ეკონომიკა და მისი დაფინანსების პერსპექტივები	**466**
გიორგი კეპულაძე დემოგრაფიული ცვლილებები და დემოგრაფიული პერსპექტივები საქართველოში	**470**

გიორგი ხარშილაძე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტკრიზისულ პერიოდში	**476**
დავით ხაჟომია ლოგისტიკური ეფექტურობის ინდექსი და მისი მაჩვენებლები	**484**
თამარ კილაძე, თამარ რუხაძე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემები	**496**
ანა კურტანიძე, გიგა ცისკარიძე სამრეწველო ბიზნესში პროექტების მენეჯმენტის კვლევის და სრულყოფის მიმართულებათა დადგენა	**500**
ნანა მაისურაძე **"RMG"**-ის კომპანიების სტრატეგიული ფინანსური დაბებმვის პრიორიტეტები თანამედროვე კონკურენტულ გარემოში	**503**
თამარ მაწიაშვილი, ალექსანდრე ნინუა საავტომობილო ტრანსპორტის მნიშვნელობა ახალმწიფოსათვის და მისი განვითარების გზები	**510**
ანი მეგრელიშვილი დეფლაციური პროცესების მაკროეკონომიკური ანალიზი საქართველოში	**516**
დავით მესხი ელექტრონული კომუნიკაციების სფერო და მისი რეგულირების ინსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტები საქართველოში	**521**
ვანო ცერცვაძე ნარკოტიკები, აბრეშუმის გზა და ბიტკოინები	**530**
თეიმურაზ ცისკარიძე, გიგა ცისკარიძე საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და სატრანსპორტო სისტემების განვითარება	**540**
უდესიანი ხატია ეკონომიკური უსაფრთხოება და მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმები	**545**
ავტორები	**550**

CONTENTS

Ramaz Abesadze **THE STATE – AS THE "HELMSMAN" OF ECONOMY**	**5**
Vladimer Papava **POST-SOVIET POST-INDUSTRIALISM AND THE FEATURES OF THE MODEL OF ECONOMIC DEVELOPMENT OF RUSSIA**	**13**
Alfred Kuratashvili **CONSTITUTIONAL EQUALITY OF ALL PEOPLE BEFORE LAW – NECESSARY CONDITION OF PROTECTION OF RIGHTS AND SOCIAL-ECONOMIC INTERESTS OF PERSON!!!**	**22**
Vakhtang Burduli **THEORETICAL ASPECTS OF NEO-INDUSTRIAL DEVELOPMENT AND BUILDING OF INNOVATIVE ECONOMY IN CONDITIONS OF GLOBALIZATION**	**33**
George Berulava **ON THE ROLE OF INSTITUTIONS IN THE PROCESS OF ECONOMIC DEVELOPMENT**	**61**
Revaz Javakhishvili **EUROPEAN UNION: THE PROMINENT FORM OF ECONOMIC INTEGRATION, ITS CREATION AND DEVELOPMENT**	**70**
Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili **SOME ASPECTS OF FOOD INDUSTRY DEVELOPMENT OF GEORGIA**	**79**
Ilia (Aziko) Sisvadze **MATHEMATIC ANALYSIS, OPTIMIZATION AND FORECASTING OF THE EFFECTIVENESS OF A PRODUCTION**	**87**
Tamila Arnania-Kepuladze **ADAM SMITH: TWO MODELS OF HUMAN BEHAVIOUR**	**99**
Elene Chikovani **ABOUT THE ESSENCE OF BUSINESS INTEGRITY CONCEPT AND ITS INCULCATION IN GEORGIA**	**104**
Tina Chkheidze **PROBLEMS OF RATIONAL USE AND REPRODUCTION OF FOREST RESOURCES IN GEORGIA**	**111**
Lina Datunashvili **ACTUAL STATE IN FRUIT-DROWING AND ITS PERSPECTIVES IN GEORGIA**	**122**

Zurab Revishvili **POST-SOVIET RURAL TRANSFORMATION IN GOERGIA**	**135**
Roland Sarchimelia **OPERATION RESEARCHES IN ECONOMY**	**151**
Nata Davlasheridze **SIGNIFICANCE OF THE INTERREGIONAL COMPETITION IN THE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMY**	**163**
Zurab Lipartia, Rati Bakuradze **PRIORITIES OF IMPROVING INSTITUTIONAL ACCOUNTING AND AUDIT REGULATIONS**	**170**
Evgeni Baratashvili, Jandri Zarandia **ON THE ISSUE OF IMPROVEMENT OF SERVICE SPHERE MARKETING & MANAGEMENT**	**178**
Murman Kvaratskhelia **LABOR MIGRATION IN GEORGIA**	**185**
Koba Basilaia **FOR A QUESTION OF ANTIRECESSIONARY FINANCIAL MANAGEMENT OF A MODERN CORPORATION**	**198**
Tengiz Kavtaradze **EXPERIENCE OF STATE REGULATION OF AGRIBUSINESS IN FOREIGN COUNTRIES**	**208**
Mamuka Khuskivadze, Zurab Nozadze **ECONOMIC PROBLEMS OF PRESERVATION OF THE ENVIRONMENT UNDER POST-COMMUNIST TRANSFORMATION IN GEORGIA**	**217**
Nunu Kistauri, Medea Melashvili **PECULIARITIES OF BALANCE OF PAYMENT OF GEORGIA AND THE WAYS OF ITS IMPROVEMENT**	**226**
George Bregvadze **FEATURES AND PROBLEMS OF DEVELOPMENT OF CONSTRUCTION SECTOR IN GEORGIA**	**239**
Eter Kakulia **PRESENT SITUATION OF FORMATION AND DEVELOPMENT OF CURRENT BANKING SYSTEM OF GEORGIA**	**244**
Elguja Konjaria **THE ESSENCE AND SIGNIFICANCE OF FINANCIAL ACCOUNT OF COMMODITY AND MATERIAL ASSETS**	**257**
Tinatin Kurdadze **IMPROVING OF BUDGET-TAX SYSTEM**	**264**

Iza Natelauri, Tamar Tapladze **ASPECTS OF QUANTITATIVE AND STRUCTURAL CHANGES OF EXPORT-IMPORT OF GEORGIA**	**271**
Ketevan Kveladze **TOURIST INNOVATION POTENTIAL OF GEORGIA**	**286**
Tea Lazarashvili, Medea Melashvili **PECULIARITIES OF MONETARY SYSTEM AND THE WAYS OF ITS IMPROVEMENT IN GEORGIA**	**296**
Maia Gelashvili **BUDGET AND TAX SYSTEM IN REGULATING ECONOMICS**	**302**
Nodar Grdzelishvili **HOTEL INDUSTRY – ITS SPECIFIC CHARACTERISTICS AND FEATURES**	**307**
Leila Ghudushauri **FEATURES OF ORGANIZATION OF ACCOUNTING IN BANKS**	**313**
Izolda Khasaia **MARKETING RESEARCH METHODS IN TOURISM**	**320**
Madona Khuskivadze **DIRECTIONS OF MASTERING IN AND USING MODERN METHODS OF WORLDWIDE MODERN INVESTMENT AND FINANCIAL ACTIVITY**	**327**
Revaz Lordkipanidze **ABOUT THEORY OF RATIONAL COMPETITION**	**334**
Iza Natelauri **TEST OF FOREIGN TRADE INDICES OF GEORGIA**	**339**
Zurab Nozadze **SOME ISSUES OF ECOLOGICAL POLICY IN MODERN CONDITIONS**	**349**
Lia Dvalishvili **PROBLEMS OF DECREASING OF ATMOSPHERIC POLLUTION IN GEORGIA**	**356**
Tsitsino Tetrauli **ECONOMIC AND SOCIAL RESULTS OF INFLATION IN GEORGIA**	**370**
Marine Tsutskiridze **INFLUENCE OF INNOVATION FACTORS ON BUSINESS DEVELOPMENT AN GEORGIA**	**378**
David Aslanishvili **FEDERAL REPUBLIC OF GERMANY STATE SECURITIES MARKET: EXPERIENCE FOR GEORGIA**	**385**

Kristine Omadze **CORE PRINCIPLES AND FEATURES OF CREDIT MARKET**	**390**
Eter Narimanishvili **EFFECTIVE FUNCTIONING MECHANISM OF AGRICULTURAL ECONOMIC RESOURCES**	**393**
Tamar Dudauri **DEVELOPMENT OF ANTI-RECESSIONARY STRATEGY OF FIRM IN A CRISIS SITUATION**	**397**
Teimuraz Gogokhia **THE ROLE AND SIGNIFICANCE OF MARKETING DEPARTMENT OF A FIRM IN THE DEVELOPED AND DEVELOPING COUNTRIES**	**403**
Mamuka Chikhladze **BAKU-TBILISI-KARS RAILWAY LINE PERSPECTIVES**	**414**
Maia Chinchaladze, Ana Kurtanidze **DISPUTABLE TOPICS ABOUT THE ESSENCE OF FINANCIAL FUNCTIONS OF THE FINANCES**	**420**
Besik Davitadze, Levan Telia **THE ROLE AND PLACE OF THE RAILWAY TRANSPORT CORRIDOR. ANALYSIS, PRACTICE**	**424**
Natia Kakhniashvili **MICROINSURANCE: THE FINANCIAL ASPECT OF POVERTY REDUCTION**	**429**
Tamar Kamkhadze, Tamar Rukhadze, Tsira Elgendarashvili **THE EVALUATION OF FIRM STRUCTURE COMPLEXITY AND USE OF PATTERN ANALYSIS IN ORGANIZATIONAL STRUCTURES**	**433**
Tamar Kiladze, Lela Zubiashvili **STIMULATION OF LABOR AND ITS PRACTICAL APPLICATION**	**440**
Lali Khurtsia, Vano Tsertsvadze **ECONOMIC EFFICIENCY AND COST-ACCOUNTING ANALYSIS IN HEALTHCARE**	**446**
Asmat Shamugia **THE FORMATION CHARACTERISTICS OF STAFF POLITICS IN MODERN ORGANIZATIONS**	**453**
Vasil Khizanishvili **CONSUMERS AS STAKEHOLDERS**	**462**
Maia Kapanadze, Merab Kvantaliani **GREEN ECONOMICS AND ITS FINANCING PERSPECTIVES**	**466**

Giorgi Kepuladze **DEMOGRAPHIC CHANGEAND DEMOGRAPHIC PERSPECTIVES IN GEORGIA**	**470**
George Kharshiladze **TENDENCIES OF DIRECT FOREIGN INVESTMENTS IN POST-CRISIS PERIOD**	**476**
David Khazhomia **LOGISTICS PERFORMANCE INDEX AND ITS INDICATORS**	**484**
Tamar Kiladze, Tamar Rukhadze **SMALL AND MEDIUM BUSINESS DEVELOPMENT PROBLEMS**	**496**
Ana Kurtanidze, Giga Tsiskaridze **DIRECTIONS OF RESEARCH AND IMPROVEMENT OF MANAGEMENT OF PROECTS IN INDUSTRIAL BUSINESS**	**500**
Nana Maisuradze **PRIORITIES OF STRATEGIC FINANCIAL PLANNING OF "RMG" COMPANIES IN MODERN COMPETITIVE ENVIRONMENT**	**503**
Tamar Matsiashvili, Alexander Ninua **IMPORTANCE OF MOTOR ROAD TRANSPORT FOR STATE AND WAYS OF ITS DEVELOPMENT**	**510**
Ani Megrelishvili **DEFLATIONARY PROCESSES OF MACROECONOMIC ANALYSIS IN GEORGIA**	**516**
David Meskhi **INSTITUTIONAL AND LEGAL ASPECTS OF ELECTRONIC COMMUNICATIONS AND ITS REGULATION IN GEORGIA**	**521**
Vano Tsertsvadze **DRUGS, SILK ROAD AND BITCOINS**	**530**
Teimuraz Tsiskaridze, Giga Tsiskaridze **GEOPOLITICAL LOCATION OF GEORGIA AND THE DEVELOPMENT OF TRANSPORT SYSTEMS**	**540**
Khatia Udesiani **FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS ECONOMIC SECURITY AND MACROECONOMIC REGULATORY MECHANISMS**	**545**
AUTHORS	**556**

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი **“ეკონომისტი”** (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. რ. აბესაძე).

ჟურნალში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ეკონომიკის სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად დაიბეჭდება რეცენზიები, ეკონომიკური მიმოხილვები და სხვადასხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები.

ავტორთათვის ჟურნალში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.

2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში მათთვის დამახასიათებელ მასშტაბებთან. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ერთ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).

4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.

5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

* * *

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან ფუნქციონირებს გამომცემლობა

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე – გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება;

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები;
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებულები, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები);
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები.
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები.

დაიბეჭდა თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი სესილი ხანჯალაძე

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი, გ. ქიქოძის № 14

99 68 53, 93 22 60

ელ-ფოსტა: economics_institute@yahoo.com

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1

1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0128

t. 995 (32) 2251432, 995 (32) 2252736

www.press.tsu.ge